ალექსანდრე რონდელი

პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში

მეორე, განახლებული გამოცემა

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო
ურთიერთობათა კვლევის ფონდი

თბილისი
2009

წინამდებარე მონოგრაფია ეხება პატარა ქვეყნების ადგილსა და როლს საერთაშორისო ურთიერთობებში. პატარა ქვეყნებთან დაკავშირებულ თეორიულ საკითხებთან ერთად წიგნში სათანადო ადგილი ეთმობა ამ ქვეყნების ახალ ტიპს – პოსტსაბჭოურ პატარა სახელმწიფოს. ამ სახელმწიფოთა პრობლემატიკა განხილულია სამხრეთ კავკასიის და, უმეტესწილად, საქართველოს მაგალითზე. წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისთვის და საერთაშორისო პოლიტიკით დაინტერესებული მკითხველისთვის.

სამეცნიერო რედაქტორი:
პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ზურაბ დავითაშვილი**

რეცენზენტები:
აკადემიკოსი **ლევან ალექსიძე**

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **კახა კაციტაძე**

© ალექსანდრე რონდელი, 2003.

საავტორო უფლებები დაცულია.

თუ ავტორის წერილობითი ნებართვა არ არსებობს, წიგნის არცერთი ნაწილი არ შეიძლება იქნეს გადაბეჭდილი ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით, ქსეროასლების, ინფორმაციის შენახვისა და მოძიების ელექტრონული სისტემებით.

ISBN 978-9941-404-74-0

გამომცემლობა „ნეკერი“, 2009

ვუძღვნი მშობლების, ნინო ამირეჯიბის და
დავით ცაგარეიშვილი-რონდელის,
ნათელ ხსოვნას

სარჩევი

წინასიტყვაობა 6
წინასიტყვაობა მეორე განახლებული გამოცემისთვის 9

თავი 1. პატარა ქვეყანა: სამეცნიერო კვლევის ობიექტი 11
- რას ნიშნავს პატარა ქვეყანა 14
- პატარა ქვეყნების ტიპოლოგიის მცდელობები 19

1.1 რამდენად შესწავლილია პატარა ქვეყნები 28
1.2. პატარა ქვეყნის როლი საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი კონცეფციების მიხედვით 50
- რეალიზმი 51
- პლურალიზმი 55
- გლობალიზმი 60

თავი 2. პატარა ქვეყანა საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში 64

2.1. ეროვნული უსაფრთხოების თავისებურებები 79
- პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება 83
- პოლიტიკური უსაფრთხოება 94
- სამხედრო უსაფრთხოება 97
- ეკონომიკური უსაფრთხოება 100
- საზოგადოებრივი უსაფრთხოება 103
- ეკოლოგიური უსაფრთხოება 104
- ეროვნული უსაფრთხოების ზოგიერთი თანამედროვე პრობლემა 106

2.2 პატარა ქვეყნის შესაძლებლობები 108
- საგარეო პოლიტიკის თავისებურებები 112
- საგარეო პოლიტიკაზე დემოკრატიული კონტროლი 118
- პატარა ქვეყნის დიპლომატია 120

2.3 პატარა ქვეყნის დიპლომატიის ინსტრუმენტი – კავშირები ... 133
- ასიმეტრიული კავშირები 146
- სამხედრო კავშირები 153

2.4 საგარეო პოლიტიკური როლები:ბუფერი, ნეიტრალიტეტი, მიუმხრობლობა 162
- ბუფერული სახელმწიფო 163
- ნეიტრალიტეტი 174
- მიუმხრობლობა 183

2.5 პატარა ქვეყანა საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში 189
- პატარა ქვეყნის ეკონომიკის ზოგიერთი თავისებურება 195

თავი 3. პატარა ქვეყნის ახალი ტიპი:პოსტსაბჭოური სახელმწიფო 208
3.1 დემოკრატიზაციის პროცესი 216
■ დემოკრატიზაცია და უსაფრთხოება..... 218
■ დემოკრატიზაცია და ეთნონაციონალიზმი 219
3.2 ინსტიტუციური გარდაქმნები და სახელმწიფოს როლი 224
■ დაგეგმილი ინსტიტუციური გარდაქმნები 224
■ სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა 228
■ ოთხი მთავარი პრობლემა 229
■ ინსტიტუტთა როლი 231
3.3 ნაციონალიზმის ფაქტორი 233

თავი 4. ახალწარმოშობილ სახელმწიფოთა შიდა სისუსტე 242
4.1 უნიათო მართვა 242
4.2 კორუფცია 245
4.3 კუთხურობა 250
4.4 ოჯახსამოფარებული უზნეობა 252
4.5 ძლიერი ლიდერის მოთხოვნილება 255
4.6 პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნების
ეკონომიკური პრობლემები 258

**თავი 5. პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნების უსაფრთხოების
პრობლემები** 270
■ უსაფრთხოების ბუნდოვანება 271
■ სუსტი ქვეყნები/სუსტი სახელმწიფოები 274
■ „მეგობრობა/მტრობა“ 277
■ პოლიტიკური კულტურა – საფრთხის წყარო 278
■ დეზინტეგრაცია და/ან რეინტეგრაცია 279
■ უსაფრთხოების კომპლექსი, თუ კოლექტიური
უსაფრთხოების სტრუქტურა? 280
5.1 პატარა პოსტსაბჭოური ქვეყნის საგარეო პოლიტიკა
(საქართველოს მაგალითი) 283
■ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირება 285
■ საქართველო, რუსეთი და დასავლეთი 290
■ საქართველოს არჩევანი 297

ბოლოთქმა 304

წინასიტყვაობა

დიდ სიზმარს განა პატარა კაცი ვერა ნახავსო.
ქართული ანდაზა

პატარა ქვეყანა. ამ სიტყვებში თითქმის ყოველთვის იგულისხმება სუსტი, დაუცველი სახელმწიფო. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ნოე ჟორდანია 1934 წელს, უკვე ემიგრაციაში, სინანულით წერდა: „ყველა არსებული პატარა სახელმწიფოები არსებობენ რომელიმე დიდ სახელმწიფოს თუ სახელმწიფოთა შემწეობით, ე. ი. ყველა ისინი წარმოადგენენ მიუცილებელ ღერძს საერთაშორისო წონასწორობისა ... ერთი სიტყვით არც ერთი პატარა ერი არ არის გაშვებული ეულათ, ბაწარ წაძრობილი, გინდ იყავი და გინდ არა. ერი, რომლის თავისუფლება არავის არ ესაჭიროება, სხვის უღელშია... ვერც ერთი პატარა ერი თავს ვერ გაათავისუფლებს დიდისაგან მხოლოდ საკუთარი ძალღონით. სუსტის და მძლავრის კანონი მუდამ ძალაშია".[1]" მან ალბათ ყველაზე უკეთესად იცოდა, რას ნიშნავს იყო პატარა, უმწეო ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობათა დაუნდობელ მორევში.

XX საუკუნის დასაწყისისა და დღევანდელ საქართველოს შორის ბევრი მსგავსება და იმავდროულად ბევრი განსხვავებაც არის. გარდა ამისა, თავად თანამედროვე საერთაშორისო სისტემა, საერთაშორისო ურთიერთობები ძალზე განსხვავდება უწინდელისაგან. და მაინც, პატარა ქვეყანას ხშირად არ ულხინს, განსაკუთრებით თავისი დამოუკიდებელი არსებობის საწყის ეტაპზე. უჭირს დღევანდელ საქართველოსაც.

დამოუკიდებლობის შენარჩუნება რომ ძნელია, ამას ყველაზე ნათლად პატარა ქვეყნების მაგალითი ადასტურებს. მათი ბედი ხშირად ტრაგიკულია, მაგრამ ზოგჯერ გასაოცარი სიმტკიცისა და მამაცობის, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უნარის გამოვლენის მაგალითებიც გვხვდება. ვინც დამოუკიდებელი ფინეთის ისტორიას ახლოს გაეცნობა, არ შეიძლება ამ მცირერიცხოვანი ერის მიღწევებით არ მოიხიბლოს. ფინელებმა გაუძლეს ისტორიის ქარტეხილებს, ცხოვრების ყველა სფეროში

1 ნოე ჟორდანია. რჩეული ნაწერები. გამომცემლობა „საქართველო", თბილისი, 1990, გვ.170-171.

დაწინაურდნენ და ჭეშმარიტად მოწინავე და განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფო შექმნეს -წარსულში მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარე თანამედროვე განვითარებული ტექნოლოგიების ქვეყანა გახდა. თავის დროზე ფინელებმა ქედი არ მოიხარეს თავიანთი აგრესიული დიდი მეზობლის – საბჭოთა კავშირის წინაშეც და მხედრული მამაცობით მთელი მსოფლიოს პატივისცემა დაიმსახურეს.

დღეისათვის ბევრი პატარა ქვეყანა (შვეიცარია, ისრაელი, სინგაპური, დანია, შვეცია, ლუქსემბურგი, ისლანდია, ირლანდია და სხვა) საოცარი მიღწევებით გამოირჩევა.

შეუძლებელია არ გიხაროდეს საბჭოთა კავშირის მიერ ანექსირებული ბალტიის ქვეყნების სწრაფი პროგრესი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. ამ სამი პატარა ერის ისტორიაში ტრაგიკული პერიოდები ხშირი იყო, მაგრამ მათ ყველაფერს გაუძლეს და დღეს სხვებისათვის სამაგალითონი არიან.

წინამდებარე წიგნი პატარა ქვეყნებს, მათ არსებით ნიშნებს, განსაკუთრებით კი უსაფრთხოებას, მდგრადობასა და საგარეო პოლიტიკას ეხება.

დედამიწაზე მრავალი პატარა ქვეყანაა, მაგრამ მათი თავისებურებების შესახებ დაწერილი წიგნები ძალზე ცოტაა. პატარა ქვეყნების რიცხვი იზრდება, მაგრამ მათ შესახებ სპეციალური ლიტერატურა უწინდებურად მწირი რჩება. შესაძლოა ეს იმითაც აიხსნას, რომ პატარა ქვეყნები საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც წესი, გამორჩეულ როლს არ ასრულებდნენ და მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში შედარებით მოკრძალებული ადგილით კმაყოფილდებიან.

პატარა ქვეყნების პრობლემატიკა საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა შორის პოპულარობით არ სარგებლობს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ათწლეულებში ამგვარი ქვეყნების მიმართ ინტერესმა იმატა.

ყველაზე აქტიურად პატარა ქვეყნების პრობლემატიკას თავად პატარა ქვეყნების მკვლევარნი შეისწავლიან. პირველ ყოვლისა, ეს ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოებს, ისრაელს, აფრიკის ქვეყნებს ეხება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პატარა ქვეყნების ოჯახს ამგვარივე კატეგორიის და იმავდროულად მეტად თავისებური სახელმწიფოების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი (მათ შორის – საქართველოც) შეემატა. პოსტსაბჭოურმა სახელმწიფოებმა თა-

ვიანთი მეტად სპეციფიკური პრობლემების გამო იმთავითვე მიიპყრეს ყურადღება.

პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნები, დიდი სიძნელეებისა და კრიტიკული ვითარების მიუხედავად, თანდათანობით აშენებენ საკუთარ სახელმწიფოებრიობას, ცდილობენ საკუთარი ადგილის პოვნას საერთაშორისო ეკონომიკურ ცხოვრებაში, ზრუნავენ საკუთარ უსაფრთხოებაზე, რაც საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენს.

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოებრიობისა და საბაზრო ეკონომიკის შენებიდან გამომდინარე მოთხოვნილებებისთვის პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტა უმეტესწილად გამოუცდელი აღმოჩნდა. ამ მხრივ არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს.

დამოუკიდებლობის პირველი ათწლეულის უკიდურესი სირთულეების მიუხედავად, საქართველომ მაინც მოახერხა თავისი მომავალი არსებობისათვის სერიოზული საფუძვლის შექმნა, გაბედული საგარეო პოლიტიკის გატარება. საქართველოს შემდგომი განვითარების კარგი პერსპექტივა აქვს, თუ შესაფერის სტრატეგიას აირჩევს და თანმიმდევრულად შეუდგება მის განხორციელებას.

ავტორი მადლობას უხდის ვახტანგ როდონაიას, რომელმაც გულდასმით წაიკითხა წიგნის ხელნაწერი და ავტორს ბევრი საგულისხმო რჩევით დაეხმარა.

კეთილი რჩევისათვის ავტორი მადლობას უხდის ვლადიმერ პაპავას, სტივენ ჯონსს, ზურაბ დავითაშვილს, იოსებ სალუქვაძეს, გიორგი ხელაშვილს, შოთა უტიაშვილს, ნატო საბანაძეს. დავით აფრასიძეს, ნათია ეჯოშვილს, თორნიკე თურმანიძეს.

წიგნის მომზადებაში ავტორს დიდი დახმარება გაუწიეს მამუკა კომახიამ, ვახუშტი ჯაოშვილმა, ნათია სვანიძემ, ლევან გელაშვილმა, თეა წულუკიანმა, თამარ გუნიამ, ლინა პანტელეევამ, ალექსანდრე ორახელაშვილმა, ირაკლი ბურდილაძემ, ეკა ტყეშელაშვილმა, რევაზ ბახტაძემ.

ავტორი ყველას გულითად მადლობას უხდის. ბუნებრივია, რომ მხოლოდ ავტორი აგებს პასუხს ყველა შესაძლო შეცდომაზე, რომლისგანაც არავინ არის დაზღვეული.

წინასიტყვაობა
მეორე განახლებული გამოცემისთვის

წინამდებარე წიგნის პირველი გამოცემა 2003 წლის პირველ ნახევარში, „ვარდების რევოლუციის" წინ დაისტამბა. 2003 წლიდან მოყოლებული ჩვენმა ქვეყანამ სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ გადაქცევის გზაზე ბევრი სირთულე და გამოწვევა დაძლია, მაგრამ ზოგიერთს ჯერაც ვერ გაუმკლავდა. ჭეშმარიტად დემოკრატიად გადაქცევისათვის ჩვენმა საზოგადოებამ კიდევ ბევრი უნდა გააკეთოს. ამავე დროს საერთაშორისო გარემოც და მასში მიმდინარე პროცესები ხელსაყრელი უნდა იყოს ჩვენი პატარა ქვეყნისთვის. შიდა და საგარეო პოლიტიკის მართებულად წარმართვა, შიდა და საგარეო ფაქტორების ოსტატურად შეხამება და გამოყენება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ელიტის უმთავრეს და ურთულეს ამოცანას წარმოადგენს.

წიგნის პირველი გამოცემიდან ბევრი რამ შეიცვალა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობებში. იყო მიღწევები, იყო პრობლემებიც, იყო 2008 წლის აგვისტოს რუსული აგრესია და მისი მძიმე შედეგები. ჩვენმა ქვეყანამ არ თქვა უარი თავის სტრატეგიულ არჩევანზე და კვლავაც ცდილობს თავი დაიმკვიდროს დემოკრატიულ სახელმწიფოთა ოჯახში.

მინდა სიამოვნებით აღვნიშნო, რომ წიგნის პირველი გამოცემის შემდგომ პერიოდში პატარა ქვეყნის შესახებ რამდენიმე უცხოურ ახალ შრომასთან ერთად ქართველ ავტორთა საყურადღებო შრომები დაიბეჭდა, რომელთა შორის მინდა გამოვყო თორნიკე თურმანიძის, რევაზ ბახტაძისა და გიორგი გვალიას მონოგრაფიები.[2] აღსანიშნავია გია ნოდიას, დავით დარჩიაშვილის, ჯაბა დევდარიანის და გიორგი გოგიას მიერ დაწერილი შრომები, რომლებიც

---

2 თორნიკე თურმანიძე. ბუფერული სახელმწიფოები. ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია. თბილისი, 2006; Tornike Turmanidze. Buffer States: Power Policies, Foreign Policies and Concepts. Nova Science Publishers. Inc., New York, 2009; რევაზ ბახტაძე. გადაწყვეტილების მიღება სუსტ სახელმწიფოში. ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია. თბილისი, 2007; გიორგი გვალია. ძალთა წონასწორობა თუ საფრთხის წონასწორობა? ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია. თბილისი, 2008

საქართველოს შესახებ საზღვარგარეთ დასტამბული მეტად სერიოზული მონოგრაფიის თავებს წარმოადგენენ.[3] საყურადღებოა აგრეთვე ფიქრია ასანიშვილის მონოგრაფია, რომელშიც საქართველოს უსაფრთხოების საკითხებს მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო.[4]

ჩვენი გამოცდილი ექსპერტები ვლადიმერ პაპავა, არჩილ გეგეშიძე და სხვები კვლავაც აქვეყნებენ შინ და საზღვარგარეთ საქართველოსა და რეგიონის ქვეყნების შესახებ შრომებს.

წიგნის პირველი გამოცემა სულ 600 ცალად დაიბეჭდა, ამიტომ სტუდენტებისა და დაინტერესებული პირებისთვის უკვე ძნელად მისაწვდომი გახდა. მეორე, განახლებულ გამოცემაში ვეცადე პირველი გამოცემის სისუსტეები შემერბილებინა და ახალი ლიტერატურა მომეწოდებინა. განსაკუთრებული მადლიერების გრძნობა მინდა გამოვხატო ქალბატონ ეკა მეტრეველის მიმართ, რომელმაც ძალიან დიდი დახმარება გამიწია წიგნის მეორე გამოცემის მომზადებისას.

მაისი, 2009 წელი

---

3 Statehood and Security: Georgia after the Rose Revolution. Bruno Coppieters and Rober Legvold (editors). The MIT Press, Cambridge, Mass., 2005

4 ფიქრია ასანიშვილი. სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების პრობლემები ტრანსფორმირებად საერთაშორისო სისტემაში. „ინტელექტი 2005", თბილისი, 2006

თავი 1

სამეცნიერო კვლევის ობიექტი: პატარა ქვეყანა

ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი.

სიმონ ჩიქოვანი

საერთაშორისო ურთიერთობებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში ნელა, მაგრამ მაინც განუხრელად იზრდება პატარა ქვეყნების პრობლემატიკის ამსახველი გამოკვლევების რიცხვი. ეს გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, რადგან მიმდინარე საუკუნის მეორე ნახევრიდან პატარა ქვეყნების რიცხვი, ისევე როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში მათი ადგილი და როლი, განუხრელად იზრდება. ამავე დროს საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის თეორიულ დებატებში ჩახედულთათვის კარგად არის ცნობილი, რა სკეპტიციზმით შეჰყურებს ექსპერტთა ნაწილი პატარა ქვეყნების, როგორც ფენომენის, კვლევის აქტუალურობასა და პერსპექტივებს. სკეპტიკოსთა აზრით, პატარა სახელმწიფოები არაფრით განსხვავდებიან სხვა სიდიდის სახელმწიფოებისაგან და, ამდენად, მათი ცალკე გამოყოფა და შესწავლა აუცილებლობას არ წარმოადგენს. უფრო მეტიც, მიმდინარე საუკუნის მანძილზე და ადრეც არაერთგზის გამოთქმულა მოსაზრება, რომ პატარა ქვეყნები საერთაშორისო სისტემაში დიდხანს ვერ იარსებებენ და მალე გაქრებიან.

ამასთანავე, მეტად საყურადღებოა, რომ პატარა ქვეყნების რიცხვიც იზრდება და მათი შესწავლა კი არ შენელებულა, არამედ გაცხოველდა კიდეც.

დღეს დედამიწაზე არსებული 100-ზე მეტი პატარა ქვეყანა ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდება. სწორედ ეს აბრკოლებს პატარა ქვეყნის „ზუსტი პორტრეტის" შექმნას. *მარტინ უაითმა* ერთხელ შენიშნა, რომ არ არსებობს „საშუალო ქვეყანა".[5] იგივე შეიძლება პატარა სახელმწიფოთა შესახებაც ითქვას; თუმცა ამ

5 Wight, Martin. Power Politics, Edited by Hedley Bull and Karsten Holbraad. Leicester University Press, RIIA, 1995, p.107

კატეგორიის სახელმწიფოთა ზოგადი პორტრეტის შექმნა შეიძლება მაინც უფრო ადვილ საქმედ მოგვეჩვენოს.

მართალია, პატარა სახელმწიფოების არსებობის ფაქტს არავინ უარყოფს და არც „პატარა სახელმწიფოებად" მათ განსაზღვრას ეწინააღმდეგება, მაგრამ უარყოფდნენ და ზოგიერთი დღესაც უარყოფს მას, როგორც სამეცნიერო კვლევის სპეციფიკური ობიექტის განმსაზღვრელ ცნებას და თავად ობიექტს. პატარა ქვეყნების შესახებ ბევრს მსჯელობენ. საერთაშორისო სისტემაში მათი ადგილი, ფუნქცია და ქცევა საკმაოდ პოპულარული თემაა. მას ასახავს პოლიტიკა, ჟურნალისტიკა, საზოგადოებრივი აზრი. ამავე დროს, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართა გარკვეული ნაწილი არ განიხილავს პატარა სახელმწიფოებს თავისი სამეცნიერო დისციპლინის კვლევის ობიექტად და საზოგადოდ, მათ სახელმწიფოთა განსაკუთრებულ, სპეციფიკურ ტიპად არც მიიჩნევს. 1975 პიტერ ბეერმა დაასკვნა, რომ „პატარა ქვეყნის" კონცეფცია როგორც ანალიტიკური ინსტრუმენტი არ გამოდგება საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევაში.[6*]

საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლისას ძირითად ტრადიციად იქცა დიდი, ძლიერი სახელმწიფოების როლის, ადგილისა და საგარეო პოლიტიკის განხილვა და მთელი საერთაშორისო პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობათა, სამხედრო-სტრატეგიული და უსაფრთხოების პრობლემატიკის შესწავლა პირველ რიგში სწორედ ამგვარი ქვეყნების გათვალისწინებით. ამგვარი ტრადიცია, გაკვირვებას არც უნდა იწვევდეს, რადგან საერთაშორისო სისტემის ხასიათი და დინამიკა სწორედ უდიდესი, უძლიერესი ქვეყნების როლითა და ქმედებებით განისაზღვრება. მით უმეტეს, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობებში ჯერაც ძალისა და უსაფრთხოების ინტერესების პრიმატია და დარგის თეორიულ კონცეფციებს შორის *კლასიკურ ტრადიციად* წოდებული *რეალიზმი* დომინირებს. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ პატარა სახელმწიფოთა მიმართ როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში, ასევე პრაქტიკაშიც საკმაოდ სკეპტიკური (თუ ნიჰილისტური არა) დამოკიდებულება დამკვიდრდა.

მოკრძალებული სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობების

---

6 * იხ.:Peter J. Baehr. Small States: A Tool for Analysis. "World Politics". Vol. 27, 1975, pp. 457-465; Niels Amstrup. The Perennial Problem of Small States: A. Survey of Research Efforts. "Cooperation and Conflict". Vol. 11, 1976. pp.163-182

მქონე პატარა სახელმწიფოებს ძლიერი ქვეყნები არა მარტო აბუ-ჩად იგდებდნენ, არამედ ხშირად მათ ინტერესებს და საკუთრივ მათაც ფეხქვეშ თელავდნენ. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ თუნდაც წინა საუკუნის ისტორიული მოვლენები, როცა ათობით პატარა სახელმწიფო მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნების ინტერესე-ბის შეჯახების, მათი აგრესიული და იმპერიული მისწრაფებების მსხვერპლი გახდა. გავიხსენოთ, გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა როგორ წაართვეს დამოუკიდებლობა 1938-40 წლებში ავსტრიას, ნორვეგიას, ბელგიას, ჰოლანდიას, ჩეხოსლოვაკიას, პოლონეთს, ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს. უფრო ადრე საბჭოთა რუსეთმა აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს დამოუკიდებლობის დე-კლარაციები თავზე გადაახია. ისიც გავიხსენოთ, როგორ ექცეოდა საბჭოთა კავშირი მეორე მსოფლიო ომის წინ მონგოლეთს, ფინეთს, რუმინეთს. დალხენილი ცხოვრება არც მეორე მსოფლიო ომის შემ-დეგ დადგომიათ პატარა ქვეყნებს. საბჭოთა კავშირმა მეზობელი პატარა ქვეყნები სატელიტებად გაიხადა და დამოუკიდებელი შიდა და საგარეო პოლიტიკის გატარების საშუალება არ მისცა.

„ცივი ომის" პერიოდად სახელდებულ ბიპოლარულ საერთა-შორისო სისტემაში, ბევრი პატარა სახელმწიფო საკუთარი სუვე-რენიტეტის გადარჩენის მიზნით იძულებული გახდა თამაშის ის წესები მიეღო, რომლებიც ორმა ზესახელმწიფომ დაამკვიდრა და დაპირისპირებულ ბანაკებს შორის ერთ-ერთი აერჩია. ზოგიერთმა პატარა ქვეყანამ ნეიტრალიტეტის წყალობით მაშინაც მოახერხა განზე დარჩენა, როგორც ნეიტრალურმა სახელმწიფომ, ხოლო ზოგ-მა კი დროებით ე.წ. მიუმხრობლობის მოძრაობას შეაფარა თავი.

დღეს პატარა ქვეყნებს შედარებით „საამური" დრო დაუდგათ, რადგანაც მსოფლიო პოლიტიკურ სისტემაში საერთაშორისო სა-ზოგადოების ელემენტებმა იმძლავრა. პატარა ქვეყნების გადარ-ჩენა და დამოუკიდებელი არსებობა ამჟამად უფრო ადვილია და მათი რიცხვიც განუხრელად მატულობს.

პატარა სახელმწიფოების, როგორც სახელმწიფოთა სპეციფი-კური კლასისა თუ ტიპის, გამოყოფა ყოველთვის აწყდებოდა ისეთ პრობლემას, როგორიც მათთვის დამახასიათებელი იმ უნიკა-ლური, განუმეორებელი თავისებურებების გამოვლენაა, რომლებ-მაც ამ კატეგორიის ქვეყნები სამეცნიერო კვლევის ობიექტად უნდა აქციონ.[7]

---

7 პატარა ქვეყნების ტიპის გამოყოფის შესახებ იხ.:Michael Handel. Weak States in the International System. Frank Cass, London, 1990. pp. 9-65

რას ნიშნავს პატარა ქვეყანა. კვლევის ობიექტის განსაზღვრა, თუ იგი ობიექტების გარკვეულ ტიპს მოიცავს, ტიპოლოგიის კრიტერიუმების თუ საკვლევი ტიპის უმნიშვნელოვანეს მახასიათებელთა გამოყენებასაც გულისხმობს. შესაძლებელია ობიექტების კლასიფიკაციაც და ტიპოლოგიაც. ობიექტების კლასიფიკაცია უფრო ერთი რომელიმე ნიშნის, უფრო ხშირად რომელიმე რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით ხორციელდება, ტიპოლოგია კი კომპლექსური მაჩვენებლების მიხედვით, უფრო თვისებრივი მახასიათებლების გამოყენებით მიღწეული ობიექტების დაჯგუფებაა.

პატარა ქვეყნები სუვერენულ სახელმწიფოთა გარკვეული კატეგორიაა, გარკვეული ტიპია. პატარა ქვეყნების დაჯგუფება, მათი კლასიფიკაცია რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით (ტერიტორიის სიდიდე, მოსახლეობის რიცხოვნობა და ა. შ.) თუ გვსურს, მაშინ პატარა ქვეყნების კატეგორიაში მხოლოდ N რაოდენობის ქვეყნების მოქცევას შევძლებთ, რადგან მხოლოდ რაოდენობრივი კრიტერიუმებით შევიზღუდებით. პატარა ქვეყნის ტიპის გამოყოფა კი უფრო კომპლექსური, თვისებრივი დაჯგუფების, ტიპოლოგიის ცდაა და რამდენიმე თვისებრივი კრიტერიუმის პარალელურად გამოყენების შედეგია. ამასთანავე, პატარა ქვეყნების ტიპის გამოყოფა რაოდენობრივი კლასიფიკაციის მცდელობასაც გულისხმობს.

რაოდენ ადვილად არ უნდა გვეჩვენებოდეს პატარა ქვეყნის რაოდენობრივი კრიტერიუმების, ჩარჩოების განსაზღვრა, სინამდვილეში ეს ამოცანა უაღრესად რთული გამოდგება. სამეცნიერო კვლევისთვის აუცილებელი ტრადიციული ტიპოლოგიის მეთოდი ხშირ შემთხვევებში არა მხოლოდ საუკეთესო ანალიტიკური ინსტრუმენტია, არამედ თავსატეხიც. სიდიდის მიხედვით სახელმწიფოთა დახარისხება, ფაქტობრივად, ერთი (ტერიტორიის ან მოსახლეობის სიდიდე) რაოდენობრივი მახასიათებლის გამოყენების საფუძველზე თითქოს არც ისეთი რთული პრობლემაა. ეს მართლაც შედარებით ადვილი იქნებოდა, სახელმწიფოები თავიანთი ტერიტორიისა თუ მოსახლეობის სიდიდის მიხედვით კოორდინატთა სისტემაში კლასტერებად (ჯგუფებად) რომ განლაგებულიყვნენ. კლასტერებში „მოხვედრილი" ქვეყნები სხვადასხვა კატეგორიებს (მიკროსახელმწიფო, პატარა, საშუალო, დიდი, ზესახელმწიფო) ასახავდნენ.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პატარა ქვეყნების ცალკე კლასად თუ ტიპად გამოყოფა ურთულეს პრობლემად იქცა. სპეციალ-

ურ ლიტერატურაში დამკვიდრდა შეხედულება, რომლის თანახმადაც პატარა ქვეყანა სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობებით სუსტი პოლიტიკური ერთეულია, ხოლო მის რაოდენობრივ მახასიათებელთა შორის უმნიშვნელოვანესი მაინც მოსახლეობის რიცხოვნობაა.

ექსპერტები პატარა ქვეყნების კატეგორიაში აქცევენ ისეთებს, რომელთა მოსახლეობა 10-15 მლნ კაცს არ აჭარბებს. *ჯ. მერიოტის* აზრით ამ კატეგორიაში ხვდება ის ქვეყნები, რომელთა მოსახლეობა 13 მლნ კაცზე ნაკლებია.[8] ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი *საიმონ კუზნეცი* პატარა ქვეყნებად მიიჩნევს 10 მლნ კაცამდე მოსახლეობის მქონე ქვეყნებს.[9] *ჰელმუტ კრამერის* აზრით, პატარა ქვეყნის მოსახლეობა არ უნდა აღემატებოდეს 15 მლნ კაცს.[10] *რონალდ ბარსტონიც* ამგვარ ზღვარს ემხრობა.[11]

უნდა შევეხოთ პატარა სახელმწიფოთა ერთ ფრიად საყურადღებო ჯგუფს, რომლებიც, ექსპერტთა აზრით, დამატებით კვლევას საჭიროებს. ქართულ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდა ტერმინი „ჯუჯა სახელმწიფოები", რომლითაც გამოყოფენ დედამიწაზე არსებულ ათობით ძალზე პატარა ქვეყანას. მათი რიცხვი იზრდება და მათ მიმართ ყურადღებაც მატულობს. საერთაშორისო ურთიერთობათა ლიტერატურაში ამ ყველაზე პატარა ქვეყნებს *მიკრო* – ან *მინისახელმწიფოებს* უწოდებენ.[12] (მინისახელმწიფოებიც აზრთა სხვადასხვაობას

---

8 J.A.R. Marriot. The Problem of the Small State. "The Fortnightly". Vol. 151, N902, February 1942, p.134

9 Simon Kuznets. "Economic Growth of Small Nations". In: E.A.G.Robinson (Ed.) *Economic Consequences of the Size of Nations,* St. Martin's Press, New York, 1960, p. 14

10 Helmut Kramer. "Kleinstaaten – Theorie und Kleinstaaten – Aussenpolitik in Europa". In: Arno Waschkuhn (Ed.), *Kleinstaat – Grundsätzliche und Aktuelle Probleme. "Politische Schriften".* Vol.17, Vaduz, 1993

11 Ronald P. Barston. "The External Relations of Small States". In: August Schou and Arne Olav Brundtland(Eds.), *Small States in International Relations,* Almqvist and Wiksell, Stockholm, 1971, p.41

12 ქვეყნების ამ ჯგუფის შესახებ იხ.:Burton Benedict (Ed.) Problems of Smaller Territories. University of LoOndon, The Athloolne PrRess, 1967; Jorri Duursma. Fragmentation and the International Relations of Micro-States: Self-determination and Statehood. Cambridge University Press, Cambridge, 1996; E. Plischke. Microstates in World Affairs: Policy, Problems and Options. Washington, D.C., American Enterprise Institute for Public Policy Research, 1977; მიკროსახელმ-

იწვევს. არც მათი რაოდენობრივი პარამეტრების შესახებ არ არსებობს ერთიანი შეხედულება. ექსპერტთაერთი ჯგუფი ფიქრობს, რომ ხსენებულ კატეგორიაში ხვდება ყველა ის ქვეყანა, რომლის მოსახლეობა 1 მლნ კაცს არ აღემატება.[13] *პატრიშა ბლერს* მიაჩნია, რომ მინისახელმწიფოებში 300 ათას კაცზე ნაკლები უნდა ცხოვრობდეს,[14] ხოლო *სტენლი დე სმითის* აზრით, ეს ზღვარი 150 ათას კაცს არ უნდა აღემატებოდეს.[15] *პიტერ ჰაინი* მიიჩნევს, რომ მიკროსახელმწიფოს მოსახლეობა 1 მლნ კაცზე ნაკლები უნდა იყოს.[16] მიკროსახელმწიფოების შესახებ არსებული სპეციალური ლიტერატურის ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ ამ კატეგორიის სახელმწიფოთა გამოყოფისას, ექსპერტები უტყუარ მახასიათებლად უფრო ხშირად მოსახლეობის დაბალ მაჩვენებელს (1 მილიონამდე კაცს) მიიჩნევენ.

სამწუხაროდ, საერთაშორისო სისტემაში დღეისათვის არსებული 200-მდე ქვეყანა რაოდენობრივი მაჩვენებლების თვალსაზრისით, უკიდურესად დიდი სხვაობების მიუხედავად, სასურველ კლასტერულ, სტატისტიკურ ჯგუფებად თუ კატეგორიებად არ ლაგდება. ნიშანდობლივია, რომ სწორედ პატარა ქვეყნების დიდი რიცხვის გამო უაღრესად გაძნელდა პატარა და საშუალო, პატარა და მიკრო-სახელმწიფოთა ერთმანეთისაგან გამიჯვნა. კლასიფიკაციის, განსაკუთრებით კი ტიპოლოგიის შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანია ე.წ. „იდეალური ტიპის" გამოყოფა და ტიპებს შორის მკაფიო „საზღვრების" დადგენა. დიდი და უდიდესი სახელმწიფოების გამოყოფისას, მათი სიმცირის გამო, ბევრად ნაკლებ სირთულეს ვაწყდებით. პატარა ქვეყნების ძირითადი გეოგრაფი-

---

ნიფოთა შესახებ იხ. Jorri Duursma. Micro-States: The Principality of Liechtenstein. In Small States in International Relations. Edited by Christine Ingebritsen, Iver Neumann, Sieglinde Gstöhl, and Jessica Beyer. Univeristy of Washington Press, Seattle. 2006. pp. 86-146: Thomas Eccardt. Secrets of the Seven Smallest States of Europe: Andorra, Liechtenstein, Luxembourg, Malta, Monaco, San Marino and Vatican City. Hippocrene Books, Inc., New York, 2005

13 Jacques Rapaport, Ernst Muteba, Joseph J. Therattil, *Small States and Territories: Status and Problems*, Arno Press, New York, 1971, pp.183-202

14 Patricia W. Blair. *The Ministate Dilemma*, Carnegie Endowment for International Peace, New York, 1967, p.3

15 Stanley A. de Smith. *Microstates and Mickonesia*, New York University Press, New York, 1970, p.vii

16 Peter Hein. "The Study of Microstates", In: E. Dommen and P. Hein (Eds.), *States, Microstates and Islands*, Croom Helm, London, 1985, pp.16-29

ული მაჩვენებლების (ფართობი, მოსახლეობა) მიხედვით რანჟირება, სიდიდის მიხედვით ქვეყანათა ჯგუფების გამოყოფის შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა. ამჟამად არსებულ 200-მდე სუვერენულ სახელმწიფოს შორის სიდიდის, მოსახლეობის რიცხოვნობის, ეკონომიკური განვითარების დონის, სამხედრო-პოლიტიკური ძლიერებისა და სხვა მახასიათებლების თვალსაზრისით დიდი განსხვავებებია. საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლისას მკვლევარები იძულებულნი არიან დააჯგუფონ ქვეყნები, გამოყონ მათი კატეგორიები თუ ტიპები, დაახასიათონ ისინი ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სპეციფიკური ნიშნების მიხედვით, დაადგინონ მათი ადგილი, ფუნქცია და როლი საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში და სხვ.

პატარა ქვეყნების კვლევა ორი მიმართულებით წარიმართა. პირველი მიმართულება (პატარა ქვეყნის დეფინიცია) საკმაოდ უნაყოფო აღმოჩნდა, მეორე კი (პატარა ქვეყნის სპეციფიკურობა, მისი ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის თავისებურებები) სულ უფრო მეტ მკვლევარს იზიდავს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ქვეყნების შესწავლისას ყველაზე დიდი ყურადღება ექცევა მათ სიცოცხლისუნარიანობას, გადარჩენისა და საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილისა და ფუნქციის პოვნის უნარს, ხსენებული მიზნების მიღწევისათვის საჭირო პირობებსა და მათი საგარეო პოლიტიკის იმ სპეციფიკურ მახასიათებლებსა და მეთოდებს, რომლებიც ამ მიზნების მიღწევას უზრუნველყოფენ.

პირველ ყოვლისა, განვიხილოთ პატარა ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მახასიათებლები, რომლებიც მის „პატარად" მიჩნევას განაპირობებს. რას ნიშნავს ტერმინი „პატარა ქვეყანა"? რატომ არის ზოგიერთი ქვეყანა პატარა?

საერთაშორისო სისტემის შემადგენელი ქვეყნების განხილვისას აშკარაა, რომ ამ ქვეყნებს, პირველ ყოვლისა, სიდიდე განასხვავებს. სიდიდეში იგულისხმება მათი ტერიტორიის ფართობი და მოსახლეობის რიცხოვნობა. ჩვენ ვცადეთ 190 ქვეყნის[17] რანჟირება სიდიდის ამ ორი უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის მიხედვით. ქვეყნების რანჟირება ჯერ მხოლოდ პირველი, შემდეგ კი მეორე ნიშნის მიხედვით მოვახდინეთ, საბოლოოდ, ორი ხსენ-

17 სტატისტიკურ ანალიზში არ ჩაგვირთავს ათზე მეტი ძალიან პატარა ტერიტორია (ე.წ. მიკროსახელმწიფო), რომელთა სიდიდისა და მოსახლეობის მაჩვენებლები გავლენას არ ახდენს ანალიზის შედეგებზე.

ებული მაჩვენებლის ჯამი იქნა გათვალისწინებული. ცხრილის ზედა ნაწილში სურათი ნათლად გამოიკვეთა. პირველი ათი ადგილი შემდეგნაირად განაწილდა:ჩინეთი, აშშ, რუსეთი, ინდოეთი, ბრაზილია, ინდონეზია, მექსიკა, ირანი, კანადა, ნიგერია. ხსენებული ქვეყნები, პირველ ყოვლისა, ტერიტორიის უზარმაზარი ფართობით და ამავე დროს მოსახლეობის დიდი რიცხოვნობით გამოირჩევა. თუმცა ამ ათეულში აშკარად მაინც პირველი ოთხეული (ჩინეთი, აშშ, რუსეთი, ინდოეთი) გამოირჩევა. ცხრილის შუა ნაწილში ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდა თურქეთი, გერმანია, სუდანი, ეთიოპია, ავსტრალია, არგენტინა, საფრანგეთი, უკრაინა, ყაზახეთი, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, ესპანეთი, ვენესუელა, მოზამბიკი, იტალია, სამხრეთი აფრიკა, ავღანეთი და სხვ. აქ, როგორც ვხედავთ, სტატისტიკურმა მეთოდმა ერთ რიგში მოაქცია განვითარების დონისა და საერთაშორისო პოლიტიკაში „წონის" სრულებით განსხვავებული მახასიათებლების მქონე ქვეყნები.

ხსენებულ ცხრილში, ქვემოთ და ქვემოთ სურათი ჯერ დაახლოებით იგივე რჩება და მხოლოდ რიგით 150-ე ქვეყნის (სვაზილენდი, ტერიტორია – 17 300 კვ. კმ. მოსახლეობა – 859 ათასი კაცი) შემდეგ კი ყველა დანარჩენი ქვეყანა (ფიჯი, სოლომონის კუნძულები, გამბია, ჯიბუტი, ბაჰრეინი და სხვ.), ტერიტორიითაც მცირეა და მოსახლეობის რიცხოვნობითაც 1 მლნ კაცზე ნაკლებია (ორი გამონაკლისია:ტრინიდადი და ტობაგო და მავრიკი, რომელთა მოსახელობა 1 მლნ კაცს ოდნავ აღემატება).

ამათგან უმრავლესობის მოსახლეობა 1 მლნ კაციდან 60 მლნ კაცამდე მერყეობს (ამგვარი ქვეყანა 120-ზე მეტია). რანჟირებისას პრაქტიკულად შეუძლებელია მათ შორის რაიმე დაჯგუფებების, კლასტერების გამოყოფა. უფრო მეტიც, სრულებით არ მოჩანს ზღვარი ე.წ. საშუალო და პატარა ქვეყნებს შორის. 2009 წელს ავტორმა იგივე მეთოდის გამოყენებით სცადა კიდევ ერთხელ გამოეყო პატარა ქვეყნების ჯგუფი, ან თუნდაც ამ ჯგუფის ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობრივი მახასიათებლების ზედა ზღვარი. ამ შემთხვევაშიც ადრე გამოვლენილი კანონზომიერება გამეორდა.

მკვლევარებმა პატარა ქვეყნების სიდიდის ნიშნით დასაჯგუფებლად არაერთგზის სცადეს რანჟირების მეთოდის გამოყენება, მაგრამ ტერიტორიის ფართობისა და მოსახლეობის სიდიდის მაჩვენებლის გამოყენებით ამგვარი ამოცანა ვერ იქნა მიღწეული.

პატარა ქვეყნების ტიპოლოგიის მცდელობები. პატარა სახელმწიფოების, როგორც სახელმწიფოთა განსაკუთრებული ტიპის, გამოყოფა, როგორც უკვე აღინიშნა, საკმაოდ რთული ამოცანა აღმოჩნდა. საყურადღებოა, რომ ზოგიერთი მკვლევარი არ მიიჩნევს საჭიროდ პატარა ქვეყნების რაოდენობრივი პარამეტრების და სხვა მახასიათებლების ზუსტ განსაზღვრას. ეს მათი, როგორც სახელმწიფოთა განსაკუთრებული ტიპის, ზუსტ დეფინიციასაც ეხება. ამ მკვლევართა აზრით, ამგვარი მცდელობები უშედეგო დარჩება, რადგან ქვეყნების ტიპოლოგიის პრობლემა იმდენად კომპლექსურია, რომ მისი გადაწყვეტა შეუძლებელია.[181] *პატარა* შეფარდებითი ცნებაა (მით უმეტეს, საერთაშორისო სისტემის მონაწილეებთან მიმართებაში) სახელმწიფოები იზრდება და ნაწილებად იშლება, ჩნდება ახლები, ხდება სხვადასხვა ქვეყნის ინტეგრირებაც და საპირისპირო პროცესიც. შეუძლებელია ცნება თუ ტიპი *პატარა* სახელმწიფოებთან მიმართებაში ზუსტად იქნეს განსაზღვრული.

მკვლევართა მეორე ჯგუფი ფიქრობს, რომ სახელმწიფოთა ამა თუ იმ რაოდენობრივ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შესაძლებელია მათი ტიპების გამოყოფა. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი გამოკვლევა, რომელიც ყველაზე პატარა პოლიტიკურ ერთეულებს – მიკროსახელმწიფოებს მიეძღვნა და საკმაოდ შედეგიანი აღმოჩნდა.[19] მასში სახელმწიფოთა გარკვეული ტიპის (მიკროსახელმწიფოთა) გამოსაყოფად მოხმობილია სამი ცვლადი (ფართობი, მოსახლეობა და ერთობლივი ეროვნული პროდუქტი). ხსენებული სამი ცვლადის გამოყენება შედეგიანი გამოდგა ერთი *კლასტერის*, ე.წ. მიკროსახელმწიფოების ჯგუფის გამოსავლენად, მაგრამ ამავე მეთოდის გამოყენება თუნდაც შემდეგი მაღალი „წონითი კატეგორიის" – პატარა სახელმწიფოთა კლასტერის გამოსაყოფად უკვე უნაყოფოა.

უდიდესი და უმცირესი სახელმწიფოების მიმართ რაოდენობრივი მეთოდი გამოდგება, რადგან სახელმწიფოთა ორივე ხსენ-

---

18 David Vital. *The Survival of Small States. Studies in Small Power/Great Power Conflict*. London. Oxford University Press. 1971, pp. 1-12; Mario Hirsch. "La situation internationale des petits états: Des systèmes politiques pénétrés. L'exemple des pays des Benelux", *Revue Française de Science Politique*, Vol. 24, 1974, pp. 1026-1055; Annette Baker Fox. *The Power of Small States. Diplomacy in World War II*. The University of Chicago Press, Chicago, 1959, pp. 1-9.

19 *Small States and Territories. Status and Problems*. Arno Press. New York, 1971.

ებული კატეგორია რანჟირების ჯაჭვის თავსა და ბოლოშია და ამდენად, უფრო ადვილად განისაზღვრება; პატარა ქვეყნები კი ძალზე ბევრია და ისინი ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან. გარდა ამისა, მიკროსახელმწიფოებისაგან განსხვავებით, რომელთა ადგილი და როლი საერთაშორისო ურთიერთობებში ძალზე უმნიშვნელოა, პატარა ქვეყნები ამ ურთიერთობათა არა მარტო მნიშვნელოვანი მონაწილეები არიან, არამედ ისინი მათზე გარკვეულ გავლენას ახდენენ და ხშირად სპეციფიკურ როლებსაც ასრულებენ.

პატარა ქვეყნების ტიპის გამოყოფა, და საზოგადოდ, მისი დეფინიცია, ინგლისელი *რონალდ ბარსტონის* აზრით, ზოგიერთი რაოდენობრივი მახასიათებლის (მოსახლეობა, ეეპ, სამხედრო ხარჯები და ა.შ.) გამოყენებით არის შესაძლებელი.[20] თუმცა იგივე *ბარსტონი* აღიარებს, რომ ხსენებულ მაჩვენებელთა შორის ურთიერთდამოკიდებულება მარტივი სულაც არ არის.[21]

მკლევართა კიდევ ერთი ჯგუფი მიიჩნევს, რომ პატარა და ქვეყნების ურთიერთმიმართება, მათი ურთიერთობა მხოლოდ სიდიდეში სხვაობით არ აიხსნება. პატარა სახელმწიფოების „პორტრეტის" შესაქმნელად მხოლოდ მათი სიდიდის მაჩვენებლები არ იკმარებს. საჭიროა აგრეთვე სხვა ცვლადები (ქვეყნის პოლიტიკურად, სტრატეგიულად და ეკონომიკურად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, მისი შიდაპოლიტიკური ვითარება), რომლებიც საერთაშორისო სისტემის სტრუქტურას ასახავს მოცემულ მომენტში. ამ მოსაზრების მომხრენი პატარა ქვეყნებს განიხილავენ კომპლექსურად, მრავალი მახასიათებლის შეჯერებით და თვისებრივი მხარეების გათვალისწინებით.

მკვლევართა სხვა ჯგუფი პატარა ქვეყნის კვლევისას ყურადღებას აღქმით, პერცეფციულ ასპექტებზე ამახვილებს. ამასთან, პატარა ქვეყანა მათთვის სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი, უძლური ქვეყანაა და რომელიც საკუთარ თავს ამგვარად აღიქვამს.[22] პატარა ქვეყანა მცირე სიდიდისა და ამით გამოწვეული საკუთარი სისუსტის შეგრძნების შედეგად რეალ-

---

20 Ronald P. Barston. The External Relations of Small States. In: August Schou and Arne Olav Brundtland (Eds). *Small States in International Relations*, Almqvist and Wiksell, Stockholm, 1971,pp. 39-56

21 იქვე, გვ.43-44

22 Robert L. Rothstein. *Alliances and Small Powers*, Columbia University Press, New York, 1969, pp. 11-45

ისტურად განსაზღვრავს საკუთარ ადგილს და შესაძლებლობებს საერთაშორისო სისტემაში. ამგვარად, *პატარა* არის ისეთი ქვეყანა, რომელიც საკუთარ თავს სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით უმწეოდ და სხვათა ნებაზე დამოკიდებულად აღიქვამს. სწორედ პატარა ქვეყნად საკუთარი თავისა და საკუთარი სისუსტის აღიარება უდევს საფუძვლად ამგვარი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ პრინციპებს.

მკვლევართა ერთი ჯგუფი *პატარა ქვეყნებს* მათი *ქცევის* სპეციფიკურობაზე დაყრდნობით გამოყოფს და განიხილავს. ამ მხრივ საყურადღებოა პატარა ქვეყნების ცნობილი მკვლევრის, ამერიკელი *ანეტ ბეიკერ ფოქსის*, შეხედულება, რომლის თანახმადაც პატარა ქვეყნის, მისი საგარეო პოლიტიკის არსი ყველაზე მკაფიოდ ვლინდება ექსტრემალურ პირობებში, როცა პატარა ქვეყანა უკიდურეს ზეწოლას განიცდის.[23] იმავე მიდგომით გამოირჩევა ისრაელელი *დევიდ ვიტალი*. მისი აზრით, პატარა ქვეყნის ზუსტ დეფინიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს; განვითარებულ ქვეყანას *პატარა* ეთქმის, თუ მისი მოსახლეობის რიცხვი 10-15 მილიონზე ნაკლებია (სუსტად განვითარებული ქვეყნის შემთხვევაში მოსახლეობის რიცხვის ზედა ზღვარი 20-30 მლნ კაცია). ვიტალი ფიქრობს, რომ *პატარა ქვეყნის* არსი მჟღავნდება მის შესაძლებლობებში და მის საგარეო პოლიტიკაში.[24] ამგვარი მიდგომის მქონენი მიიჩნევენ, რომ ამ ტიპის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის არსს ექსტრემალურ ვითარებაში გამოვლენილი ქცევა ასახავს.

მკვლევართა მეექვსე ჯგუფი, პატარა ქვეყნის სპეციფიკური ტიპის გამოყოფისას კომპლექსურად მიდგომის მომხრე უფროა. ამ მიდგომის ყველაზე მნიშვნელოვან წარმომადგენელს ფინელ *რაიმო ვაირიუნენს* მიაჩნია, რომ სახელმწიფოთა ტიპოლოგია პატარა ქვეყნის ტიპის გამოყოფისას, ხუთი ასპექტის შეხამებას უნდა დაეყრდნოს:1. მოსახლეობისა და ტერიტორიის სიმცირე; 2.

---

23 Annette Baker Fox. *The Power of Small States. Diplomacy in World War II*, Chicago University Press, Chicago. 1959. p.6; Annette Baker Fox. "The Small States in the International System. 1919-1969", *International Journal*. Vol. 24, 1969. p. 751, fn. 3

24 David Vital, *The Inequality of States. A Study of the Small Power in International Relations*, Clarendon Press, Oxford, 1967.p. 6; David Vital. *The Survival of Small States. Studies in Small Power/Great Power Conflict*, London. Oxford University Press, 1971, p.9.

გარედან *შეღწევადობის* მაღალი დონე; 3. *ქცევის* სპეციფიკური ტიპი; 4. სპეციფიკური ინტერესები; 5. სპეციფიკური როლი (განსაკუთრებით – ხელმძღვანელობის მიერ დანახული). *ვაირიუნენის*[25] აზრით, სიდიდე და როლი ყველაზე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ასპექტებია. იგი აგრეთვე ფიქრობს, რომ პატარა ქვეყნის ინტერესების შესწავლა მეტად პერსპექტიული მიმართულებაა.[26]

ყველაზე ხშირად სახელმწიფოებს ზომის (სიდიდის) მიხედვით შემდეგნაირად აჯგუფებენ:დიდი, საშუალო და პატარა ქვეყნები.[2] ხშირად გამოყოფენ სახელმწიფოთა ხუთ ჯგუფს:*უდიდესი, დიდი, საშუალო, პატარა და მიკრო (მინი)* სახელმწიფო. ამგვარ დაჯგუფებაში აშკარაა გეოგრაფიული მაჩვენებლების (ქვეყნის ფართობი და მოსახლეობის რიცხოვნება) განმსაზღვრელი მნიშვნელობა. საერთაშორისო ურთიერთობებში ცხადია, გეოგრაფიული პირობებისა და ფაქტორების როლი დიდია, მაგრამ ჯერჯერობით მთავარი, განმსაზღვრელი ფაქტორები მაინც საერთაშორისო სისტემის ხასიათი და ქვეყნის ძლიერებაა. ამიტომაც საერთაშორისო ურთიერთობებში პატარა ქვეყანა, პირველ ყოვლისა, განიხილება, როგორც სამხედრო-პოლიტიკურად სუსტი ქვეყანა. ძალის პრიმატის გამო ქვეყნების საყოველთაოდ მიღებული დაჯგუფება (ტიპოლოგია) მათი ძლიერებისა და საერთაშორისო სისტემაში მათი „წონის" ამსახველია. ამიტომაც, დამკვიდრდა საერთაშორისო ურთიერთობებში ცნებები „სუპერძალა", „ძლიერი ქვეყანა", „საშუალო ქვეყანა", „სუსტი ქვეყანა", „მინი(მიკრო)ქვეყანა". კიდევ ერთხელ:საერთაშორისო ურთიერთობებში *პატარა ქვეყანა* თითქმის ყოველთვის იგივე *სუსტი ქვეყანაა.*

მაშ ასე, პატარა ქვეყანა სუსტი ქვეყანაა. სამხედრო-პოლიტიკური სისუსტე აიძულებს მას იყოს უსაფრთხოების „მომხმარებელი" და არა – „შემქმნელი". სამხედრო-პოლიტიკური სისუსტე სრულებითაც არ ნიშნავს, რომ პატარა ქვეყნები მხოლოდ ვითარების შენარჩუნებისა და გადარჩენის მსურველი მშვიდობიანი, არააგრესიული პოლიტიკური ერთეულებია.[27] სუსტი ქვეყნები თითქმის ისევე ხშირად ეომებიან ერთმანეთს, როგორც დიდი, ძლიერი სახელმწიფოები. ბუნებრივია, რომ სუსტი ქვეყნები თა-

25 Raimo Väyrynen, "On the Definition of and Measurement of Small Power Status", *Cooperation and Conflict,*. Vol.6, 1971,pp. 91-102

26 იქვე, გვ.99

27 იხ.: Edward E. Azar. Probe for Peace: Small-state Hostilities. Burgess, Minneapolis, 1973

ვიანთი მოკრძალებული შესაძლებლობების გამო ყოველთვის ცდილობენ საკუთარი თავი ზნეობრივი თვალსაზრისით უფრო მომგებიანად წარმოაჩინონ და „დაჩაგრულად" თუ „მსხვერპლად" გამოიყურებოდნენ. როგორც მოსწრებულად შენიშნავს უ. *რაპარდი*:„თუ პატარა სახელმწიფოები საერთაშორისო ასპარეზზე ძირითადად უფრო „უცოდველნი" ჩანან, ვიდრე უძლიერესი ქვეყნები, ამის მიზეზი არა მათი „წმინდანობაა", არამედ მათი ნაკლები უნარი, „ცოდვები" ჩაიდინონ".[28] სუსტი ქვეყნები, მართალია, უძლიერეს სახელმწიფოებთან შედარებით ნაკლებად აგრესიულნი არიან, მაგრამ ეს უმთავრესად იმიტომ ხდება, რომ მათ აგრესიის ჩადენის საშუალებები აკლიათ. ისინი არ არიან იმპერიალისტურნი, რადგან მათი მოკრძალებული შესაძლებლობები იმპერიალისტური პოლიტიკის გატარების საშუალებას არ იძლევა. თავიანთი „წონითი კატეგორიის" ქვეყნებს კი პატარა, სუსტი ქვეყნები ზუსტად ისევე ექცევიან, როგორც ძლიერები – დანარჩენთ. პატარა ქვეყნებს შორის ომები ისევე ხშირად ხდებოდა და ხდება, როგორც – საშუალო და დიდ ქვეყნებს შორის. გავიხსენოთ თუნდაც პარაგვაისა და ბოლივიას („ჩაკოს ომი"), ისრაელსა და მის არაბ მეზობლებს, ერაყსა და კუვეიტს შორის ომები.

საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიასა და პრაქტიკაში ფეხმოკიდებული ცნება „სუსტი ქვეყანა" საერთაშორისო სისტემის ანარქიულობიდან და იერარქიულობიდან გამომდინარეობს და სავსებით კანონზომიერია. სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზის არის მითითებული, რომ ქვეყნების კლასიფიკაციისა თუ ტიპოლოგიის ყველა ცდა საბოლოო ჯამში მათი ძლიერებისა და სტატუსის შეფასებას ეყრდნობა.[29] ქვეყნების ტიპოლოგიის *კლასიკური* სქემის თანახმად, საერთაშორისო სისტემაში შემავალი პოლიტიკური ერთეულები იყოფა ძლიერ, საშუალო და პატარა(სუსტ) სახელმწიფოებად.[30] მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამატებით გამოყოფენ *სუპერძალებს* (უძლიერეს ქვეყნებს) და მიკროსახელმწიფოებს.[31]

---

28 William E. Rappard. "Small States in the League of Nations", *Political Science Quarterly*, 49, 1934, p.574

29 Joseph Frankel. *International Relations in a Changing World*. Fourth Edition. Oxford University Press, Oxford and New York, 1990, pp.34-35

30 იქვე..., p.35

31 Michael Handel. *Weak States in the International System*. Frank Cass. London, 1990, p.11

ამერიკელი *სტივენ სპიგელი* მიიჩნევს, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში არსებობს შემდეგი კატეგორიის ქვეყნები:*სუპერძალა, მეორე დონის ძალა, საშუალო სახელმწიფო, პატარა სახელმწიფო, რეგიონული სახელმწიფო, მიკროსახელმწიფო* და *დაქვემდებარებული* სახელმწიფო.[32]

უძლიერესი, ძლიერი და საშუალო ქვეყნები ზემოქმედებენ საერთაშორისო სისტემაზე, პატარა, სუსტი ქვეყნის გავლენა კი იმდენად უმნიშვნელოა, რომ მათ პრაქტიკულად ანგარიშს არავინ უწევს. მაგრამ, არსებობს გამონაკლისიც – ზოგიერთი პატარა ქვეყანა სტრატეგიულ რესურსებს ფლობს, უაღრესად მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობა აქვს და სხვ. ამ შემთხვევაში ცალკეულმა პატარა ქვეყანამ, შესაძლოა, საერთაშორისო სისტემის მასშტაბით მისი ზომის არაპროპორციული მნიშვნელობა შეიძინოს. დღეს არსებული პატარა ქვეყნებიდან ზოგიერთმა არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, არამედ საერთაშორისო ავტორიტეტი და საკმაო გავლენაც მოიპოვა. *რ. კლაინის* აზრით, ფართობით პატარა, მაგრამ მრავალრიცხოვანი და მუყაითი ხალხით გამორჩეულ ქვეყანას შეუძლია დაძლიოს საკუთარი ტერიტორიის სიმცირით გამოწვეული უარყოფითი მხარეები[33]. სულ სხვაა წარმოდგენილი როგორც დედამიწაზე არსებული ქვეყნების ყველაზე მრავალრიცხოვანი და სპეციფიკური ჯგუფი – პატარა ქვეყნები.— საერთაშორისო პოლიტიკაში მათი კოლექტიური როლი და საერთაშორისო პროცესებსა და მოვლენებზე მათი გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია.

პატარა ქვეყნების ტიპის გამოყოფისას მკვლევარნი ამ ტიპის ქვეყნების განსაზღვრას ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებლების მიხედვით ეცადნენ. *მარგრეტ ზიბერის* შეხედულებით, სახელმწიფოს სიდიდის განსაზღვრა შემდეგი მახასიათებლების გამოყენებით უნდა ხდებოდეს:*ქვეყნის ფართობი, მოსახლეობის რიცხვი, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი, დასაქმებულთა რიცხვი, ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მოცულობა, ენერგიის მოხმარება, სამხედრო ხარჯები, სამეცნიერო ჟურნალების რიცხვი, წიგნების საერთო ტირაჟი,*

---

32 Steven L. Spiegel, *Dominance and Diversity*, Little, Brown and Company, Boston, 1972, pp.93-96

33 [26] R.S. Cline, *World Power Trends and US Foreign Policy for the 1980's*, Boulder, CO, Westview Press, 1980, p.147

ეროვნული პატენტების რიცხვი;[34] *ჯან ლუკ ველუტს* კი მიაჩნია, რომ მოსახლეობის რიცხვისა და ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის (ეეპ) მაჩვენებელთა კომბინაციის გამოყენებით პატარა ქვეყნების სამი კატეგორია გამოიყოფა:10-50 მლნ კაცი და/ან 2-10 მლრდ დოლარის ეეპ, 5-10 მლნ კაცი და/ან 1-2 მლრდ დოლარის ეეპ, 3-5 მლნ კაცზე ნაკლები და 1 მლრდ დოლარზე ნაკლები ეეპ.[35]

პატარა, (სუსტი) ქვეყნების ცნობილი მკვლევარი *მაიკლ ჰანდელი* აღნიშნული კატეგორიის ქვეყნების, მისთვის მისაღებ, „იდეალურ" მახასიათებლებს გვთავაზობს. მისი აზრით, *იდეალური პატარა ქვეყნისათვის* დამახასიათებელია:*1. მცირე ტერიტორია; 2. მცირე მოსახლეობა; 3. მცირე ერთობლივი ეროვნული პროდუქტი (ეეპ); 4. მძიმე მრეწველობის უქონლობა და (ან) სიმცირე; 5. წარმოების ვიწრო სპეციალიზაცია; 6. მცირე შიდა ბაზარი და უცხოურ ბაზრებზე დიდი დაქვემდებარება; 7. უმნიშვნელო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; 8. უცხოურ კაპიტალზე დაქვემდებარება; 9. სამხედრო თვალსაზრისით უმწეობა და სხვის დახმარებაზე დამოკიდებულება; 10. ფართომასშტაბიანი, ხანგრძლივი ომის წარმოების შეუძლებლობა; 11. ლოკალური და რეგიონული ინტერესები; 12. ძალთა წონასწორობის მექანიზმზე უმნიშვნელო გავლენა; 13. პასიური და ოპორტუნისტული საგარეო პოლიტიკა; 14. რისკის გაწევის შიში; 15. გარედან ადვილი „შეღწევადობა"; 16. საერთაშორისო სამართლისა და ქცევის ნორმების, საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური მხარდაჭერა.*[36]

პატარა ქვეყნების განმარტების, მათი კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიის ცდები, „იდეალური" თუ „საშუალო" პატარა ქვეყნის განსაზღვრის ხშირი მცდელობა გვაფიქრებინებს, რომ ხსენებული კატეგორიის ქვეყნების მრავალფეროვნების გამო, ერთიანი,

---

34 Margret Sieber. "Dimension of Small States Dependence: The Case of Switzerland", In: Otmar Holl (Ed.), *Small States in Europe and Dependence*, Westriew Press, Boulder, Co, W. Braumuller , Wien, 1983, p.112

35 Jean-Luc Vellut, "Smaller States and the Problem of War and Peace: Some Consequences of the Emergence of Smaller States in Africa". *The Journal of Peace Research*, 4, 1967, pp. 252-269

36 Michael Handel, *Week States in The International System*, Frank Cass, London, 1990, pp. 52-53

ყველასათვის მისაღები დეფინიციის, პატარა ქვეყნების „ზუსტი პორტრეტის" შექმნა კვლავაც ურთულეს პრობლემად რჩება.

მკვლევართა უდიდესი ნაწილი იმ დასკვნამდე მიდის, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევისას ნებისმიერი ქვეყნის მთავარი მახასიათებელი მის სამხედრო-პოლიტიკურ ძლიერებაში, საერთაშორისო პრობლემებზე და მთლიანად საერთაშორისო სისტემაზე გავლენის მოხდენის მისეულ უნარში მდგომარეობს. ნორვეგიელი *ო. კნუტსენის* აზრით, „პატარად მივიჩნევთ ისეთ სახელმწიფოს, რომლის საგარეო ძლიერება თუნდაც ერთ-ერთი მისი მეზობლისას მნიშვნელოვნად ჩამოუარდება".[37] ჰოლანდიელ *ლ. ჟაკეს* მიაჩნია, რომ „პატარა სახელმწიფო არის ისეთი სახელმწიფო, რომელსაც არც მსოფლიო და არც რეგიონის მასშტაბით არ ძალუძს საკუთარი პოლიტიკური ნების ცხოვრებაში გატარება, ანუ საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა ძალის პოლიტიკის მეშვეობით".[38] ამერიკელი *ჰ. გოლდჰამერი* ფიქრობს, რომ „ტერმინი *პატარა ქვეყანა*, როგორც ჩანს, წაადგება დიდ ქვეყნებს მცირე მოსახლეობით, პატარა ქვეყნებს დიდი მოსახლეობით, პატარა ქვეყნებს მცირე მოსახლეობით და ზოგჯერ ნებისმიერი სიდიდის ქვეყანას, რომელიც ძირითადად არ ერევა მსოფლიო საქმეებში".[39] ჩვენი აზრით, ამერიკელი *რ. როთსტაინი* არსებითად გამოხატავს მკვლევართა ამ ჯგუფის თვალსაზრისს:„პატარა ქვეყანა არის ისეთი სახელმწიფო, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ მის ხელთ არსებული შესაძლებლობების გამოყენებით არ ძალუძს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ამდენად, ძირითადად უნდა დაეყრდნოს სხვა სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას, სხვადასხვა ინსტიტუტებს, პროცესებს და მოვლენებს და ა.შ. პატარა ქვეყნის მიერ საკუთარი უძლურების შეგრძნება აგრეთვე გაზიარებული უნდა იყოს საერთაშორისო პოლიტიკაში ჩართული სხვა სახელმწიფოების მიერ."[40] პატარა ქვეყნის დეფინ-

---

37 ოლავ კნუტსენი. პატარა სახელმწიფო:უსაფრთხოების პრობლემა. „პოლიტიკა", თბილისი, N 7, 1991, გვ. 27

38 L. G. M. Jaquet, "The Role of States Within Alliance Systems", In: A. Schou and A. O. Brundtland (Eds.), *Small States in International Relations*, Almqvist and Wiksell, Stockholm, 1971, p. 58

39 H. Goldhammer, *The Foreign Powers in Latin America*, Princeton University Press. Princeton, 1972, p. 237

40 R. L. Rothstein, *Alliances and Small Powers*, Columbia University Press, New York and London, 1968, p.29

იციის ლ. გოტშელისეულ მცდელობაში წინ არის ნამორეული აღ-ქმითი ასპექტი. ლორენტ გოტშელი აღნიშნავს, რომ "...."პატარა" საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში ნიშნავს, რომ ამგვარ სახელმწიფოს მეზობლები საფრთხედ, საშიშროე-ბად არ განიხილავენ.[41] როგორც ვხედავთ, შემოთავაზებულ გან-მარტებათა ავტორები ერთსულოვანნი არიან მთავარში:პატარა ქვეყანა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი ქვეყანაა, რომელსაც თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში დამოუკიდე-ბლად არ ძალუძს საკუთარი ეროვნული ინტერესების უზრუნ-ველყოფა. ამ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას პატარა ქვეყნების პრობლემატიკით დაინტერესებული ყველა მკვლევარი.

საყურადღებოა, რომ ცნებას *პატარა ქვეყანა* ხშირად უსად-აგებენ სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტ, მაგრამ მოზრდილი ტერიტორიის მქონე ქვეყნებს (მაგალითად საუდის არაბეთს, მონგოლეთს, ლიბიას, მავრიტანიას და სხვ.). ამიტომ უფრო გამართლებულია ტერმინი *პატარა ქვეყანა* იხმარებოდეს იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც ტერიტორიის თვალსაზრისი-თაც პატარები და სამხედრო-პოლიტიკურადაც სუსტნი არიან. სწორედ ამიტომ გახშირდა ბოლო ხანს ტერმინი *სუსტი ქვეყანა* და ეს გამართლებულიცაა, რადგან საერთაშორისო ურთიერთობებში, სადაც ჯერაც *ეროვნული ინტერესებისა* და ძალის პრი-მატი შეინიშნება, სუსტი ქვეყნების კატეგორიაში გულისხმობენ არა მხოლოდ პატარა ქვეყნებს, არამედ ტერიტორიის თვალსაზ-რისით შედარებით მოზრდილებსაც, რომლებიც ამის მიუხედავად, სამხედრო-პოლიტიკურად სუსტნი, ზოგჯერ კი უმწეონიც კი არ-იან.

როცა ვამბობთ „პატარა ქვეყანა", ქვეცნობიერად უფრო მეტად მის ქცევით მახასიათებლებს ვგულისხმობთ და არა მის ზომას, შენიშნავს დანიელი *ჰანს მოურიტცენი*.[42] პატარა ქვეყნის დეფინიციის სირთულის არსი სწორედ ამაში მდგომარეობს. საერ-თაშორისო ურთიერთობებში, საერთაშორისო სისტემაში, რომელ-შიც ხსენებული ურთიერთობები ვითარდება, არის ქვეყნები, რომ-

41 Laurent Goetschel. The Foreign and Security Policy Interests of Small States in Today's Europe. In Small States Inside and Outside the European Union: Interests and Policies. Laurent Goetschel (Ed.). Kluwer Academic. Dordrecht. 1998. p.13

42 Hans A. Mouritzen. "Defence Acquiescence: Making the Best Out of Dependence", In: Otmar Höll (Ed.). *Small States in Europe and Dependence*. Westview Press, CO, W.Braumuller, Wien, 1983, p. 240

ლებიც სისტემის სტრუქტურასა და ხასიათს განსაზღვრავენ, მაგრამ არის ისეთი ქვეყნებიც, რომელთა ხვედრი ხსენებულ სისტემასთან შეგუებაა. პატარა ქვეყნები სწორედ ამ მეორე კატეგორიას განეკუთვნება. მთავარი მათი სიდიდე კი არ არის, არამედ საერთაშორისო სისტემაში მათი როლი და „წონა". პატარა ქვეყანა ვერ ახდენს შესამჩნევ ზეგავლენას საერთაშორისო სისტემაზე, ამიტომაც პატარა ქვეყნების ყოველგვარი კლასიფიკაციისა თუ ტიპოლოგიის მცდელობებს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ პატარა ქვეყნის არსს არა მხოლოდ რაოდენობრივი მახასიათებლები გამოხატავენ, არამედ ყველაზე უფრო არსებითი საერთაშორისო სისტემაზე მისი გავლენის უნარია. სწორედ ამის გამოა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში ტერმინები *პატარა ქვეყანა* და *სუსტი ქვეყანა*, ფაქტობრივად, სინონიმებად იქცა.´

პატარა ქვეყნების პრობლემატიკის შესწავლა სულ უფრო კომპლექსური ხდება, რადგან მათი რიცხვის ზრდასთან ერთად მათი როლებისა და ფუნქციების რიცხვიც იზრდება. საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პროცესები და ტენდენციები გვაფიქრებინებს, რომ XXI საუკუნე, შესაძლოა, პატარა ქვეყნების სრულებით ახალი, თვისებრივად განსხვავებული როლისა და ფუნქციის ეპოქად იქცეს.

ამასათანავე, პატარა ქვეყნების კვლევისას ჩამოყალიბებული გარკვეული ტრადიცია ჯერჯერობით ძალას კვლავ ინარჩუნებს.

1.1 რამდენად შესწავლილია პატარა ქვეყნები

პატარა ქვეყნების პრობლემები საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტების ყურადღებას ყოველთვის იპყრობდა, მაგრამ ამ დისციპლინის ჩარჩოებში პატარა ქვეყნების და სუსტი სახელმწიფოების პრობლემატიკა მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გამოიკვეთა. აქედან მოყოლებული დეკოლონიზაციის პროცესისა და გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების შედეგად ახალწარმოქმნილ სუვერენულ სახელმწიფოთა (მათი დიდი უმრავლესობა კი პატარა ქვეყნები იყო!) საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩენამ და მათი არსებობისა და შემდგომი განვითარების პრობლემების სიმწვავემ პატარა ქვეყნების პრობლემატიკა საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის საგანი გახადა.

მათ შესახებ ადრეც წერდნენ. ეს იყო უმეტესად ისტორიული, გეოგრაფიული, დიპლომატიური ხასიათის შრომები, რომლებიც ამა თუ იმ პატარა ქვეყნის დიპლომატიური აქციების, პოლიტიკური ვითარების, გეოგრაფიული თუ ეკონომიკური პირობების ისტორიული მოვლენების აღწერას და ანალიზს წარმოადგენდა. ამგვარი ნაშრომები, როგორც წესი, რომელიმე კონკრეტულ პატარა ქვეყანას, კონკრეტულ ისტორიულ ეპოქას თუ ეპიზოდს ეხებოდა და ეს სულაც არ იყო პატარა ქვეყნების ან სუსტი სახელმწიფოების, როგორც სახელმწიფოთა სპეციფიური ტიპის, მახასიათებლებისა თუ მათი უსაფრთხოებისა ან ეკონომიკური პოლიტიკის შესწავლისა და ანალიზის ცდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ამგვარ ნაშრომში, მნიშვნელოვან ემპირიულ მასალასთან ერთად გვხვდება საინტერესო დაკვირვებები და შეფასებები, რომლებიც არა მხოლოდ ამა თუ იმ პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ქმედებების შეფასებაში გვეხმარება, არამედ საერთაშორისო სარბიელზე პატარა ქვეყნისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ზოგადი თავისებურების, კანონზომიერებისა და სპეციფიკური *ქცევის* დანახვის საშუალებას გვაძლევს.

განვლილი საუკუნე პატარა ქვეყნების მომრავლებისა და საერთაშორისო ურთიერთობებში მათი ადგილისა და როლის ნელი, მაგრამ განუხრელი ზრდის ხანაც აღმოჩნდა. ამან, ბუნებრივია, მათი პრობლემატიკისადმი ინტერესი გაზარდა; მაგრამ ეს არ ყოფილა მხოლოდ კონკრეტული ქვეყნების პრობლემების მიმართ ინტერესი; იგი პატარა ქვეყნების, როგორც გარკვეული ფენომენის, სახელმწიფოთა სპეციფიკური ტიპის და ამდენად დიდი, ძლიერი ქვეყნებისაგან მნიშვნელოვად განსხვავებული პოლიტიკურ-ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მათგან გამომდინარე საგარეო პოლიტიკის მიმართ ინტერესს გულისხმობდა.[43]

ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ეპოქა აღმოჩნდა, როცა პატარა სახელმწიფოთა პრობლემატიკის კვლევამ სისტემატური სახე მიიღო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კვლევამ დღემდე ვერ მიაღწია იმ მასშტაბს და სიღრმეს, რასაც პატარა ქვეყნები იმსახურებენ, მაგრამ რაც გა-

---

43 იხ. მაგალითად:G.I. Hambro. "The Role of Smaller Powers in International Affairs To-day", *International Affairs*. 15. 1936, pp. 167-182; H. Koht, "Neutrality and Peace: The View of a Small Power", *Foreign Affairs*, 15. 1937, pp. 280-289; W.E. Rappard, "Small States in the League of Nations", *Political Science Quarterly*, 49. 1934, pp. 544-575.

კეთდა, უდავოდ წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. სერიოზული ყურადღება მიექცა *პატარა ქვეყნების* ფენომენს, მათ ადგილსა და როლს საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში (განსაკუთრებით, გაბატონებული თეორიის – *პოლიტიკური რეალიზმის* თვალთაკუთხით), მათ საქმიანობას საერთაშორისო ორგანიზაციებში, პატარა ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობისა და ძლიერ ქვეყნებთან მათი ურთიერთობების საკითხებს. ოლავ კნუდსენის აზრით, პატარა ქვეყნების კვლევა ძირითადად სამი მიმართულებით ხორციელდებოდა:1. ერთა თვითგამორკვევის პრობლემა, 2. საგარეოპოლიტიკური ინსტრუმენტების, ნეიტრალიტეტისა და კავშირების გამოყენება და 3. საგარეო პოლიტიკის შემუშავება და მისი თავისებურებების შესწავლა. [44]

მეორე მსოფლიო ომის შემდგომი ხანის სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში პატარა ქვეყნების ადგილს მიეძღვნა, ტრადიციულად გამოყოფენ ამერიკელი *ა. ბ. ფოქსის* გზის გამკვალავ შრომას:*პატარა ქვეყნების ძალა:დიპლომატია მეორე მსოფლიო ომის დროს*, რომელიც მიეძღვნა ევროპის პატარა ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობებს მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.[45] ეს ნაშრომი დაწერილია იმ დროს ზენიტში მყოფი პოლიტიკური რეალიზმის სკოლის ტრადიციის მიხედვით. კონკრეტული მასალის მოშველიებით მასში გაანალიზებულია საერთაშორისო პოლიტიკაში პატარა ქვეყნების შეზღუდული შესაძლებლობები. ა. ფოქსის წიგნმა ძალიან მაღალი შეფასება დაიმსახურა, მაგრამ მისი ნაკლიც აშკარაა. კერძოდ ავტორი პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ საქმიანობას განიხილავს ძლიერი სახელმწიფოების ხედვის კუთხით, ამერიკული *პოლიტიკური რეალიზმის* სკოლის პოზიციიდან. ქალბატონმა *ფოქსმა* პატარა ქვეყნების დიპლომატიის საკითხებს კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ნაშრომი მიუძღვნა[46]. დაახლოებით იგივე შეიძლება ითქვას ამერიკელი *მ. ზინგერის* წიგნის „*სუსტი*

---

44 Olav Knudsen. Small States, Latent and Extant: Towards a General Perspective. Journal of International Relations and Development, 5 (2). p. 182

45 A.B. Fox. *The Power of Small States: Diplomacy in World War II*, Chicago, University of Chicago Press, 1959

46 A. B. Fox, "Small State Diplomacy", In: Stephen D. Kertesz and M. A. Fitzsimons (Eds). *Diplomacy in a Changing World*, University of Notre Dame Press. 1959, pp. 339-364

სახელმწიფოები ძლიერთა სამყაროში" – შესახებაც, რომელიც ბირთვული იარაღის ეპოქაში პატარა, სუსტი ქვეყნების როლსა და შესაძლებლობებს ეხება.[47]

სამწუხაროდ, დაუმსახურებლად მოექცა ჩრდილში შვეიცარიელი *ტ. ფლაინერის* შრომა „*პატარა ქვეყნები სახელმწიფოთა ურთიერთობებში*", რომელშიც დეტალურად არის განხილული პატარა სახელმწიფოთა პრობლემები და საგარეო პოლიტიკა.[48] ეს უყურადღებობა არ გახლავთ შემთხვევითი ვინაიდან საერთაშორისო ურთიერთობათა შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში ამერიკელ მკვლევართა ისეთი მოძალებაა, რომ ევროპის პატარა ქვეყნების ავტორთა მნიშვნელოვანი შრომებიც კი დღემდე უყურადღებოდ რჩება. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ დანიურ, შვედურ, ნორვეგიულ, ფინურ და ზოგიერთ სხვა ენებზე დაწერილი პატარა ქვეყნების ამსახველი საყურადღებო შრომები მიმომხილველთა და ექსპერტთა ყურადღების მიღმა დარჩა. ეს განსაკუთრებით ითქმის დანიელ მკვლევართა (*ო. პედერსენი, ნ. ამსტრუპი, ჰ. ბრანერი, ვ. ქრისთმას-მიოლერი, პ. ჰანსენი* და სხვები) მიმართ, რომელთა მიერ პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრობლემების შესახებ დაწერილი მეტად საყურადღებო შრომები ენობრივი ბარიერის გამო პრაქტიკულად მიუწვდომელია სხვა ქვეყნების მკვლევართათვის (ისინი მხოლოდ დანიურ ენაზეა გამოქვეყნებული). *ნ. ამსტრუპის* ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებული მეტად საინტერესო სტატია „*პატარა სახელმწიფოების მარადიული პრობლემა:კვლევის მიმოხილვა*" ამის დადასტურებაა.[49]

60-იანი წლებიდან პატარა ქვეყნების პრობლემატიკისადმი მიძღვნილი გამოკვლევების რიცხვი იზრდება. საერთაშორისო პოლიტიკაში, ძლიერი და სუსტი ქვეყნების ადგილსა და შესაძლებლობებს, მათი დაპირისპირების საკითხებს უძღვნა თავისი ნაშრომი გერმანელმა *ი. პეკერტმა*.[50] პატარა, სუსტი ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში მონაწილეობის საკითხებს

---

47 M. R. Singer, *Weak States in a World of Powers*, New York. The Free Press,1972

48 T. Fleiner. "Die Kleinstaaten in den Staatenverbindungen des Zwanzigsten Iahrhunderts", *Zurcher studien zum Internationalen Recht*, Nr 38. Zurich. 1966

49 N. Amstrup. "The Perennial Problem of Small States: A Survey of Research Efforts", *Cooperation and Conflict*. Vol. 11. 1976. pp. 163-182

50 I. Peckert, *Die Grossen und Die Kleinen Machte*, Stittgart, Deutsche Verlags-Austalt, 1961

განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ამერიკელმა *რ. როთსტაინ-მა* თავის ცნობილ წიგნში *„კავშირები და პატარა ქვეყნები“*[51]. საბჭოთა ჯარების მიერ ჩეხოსლოვაკიაში 1968 წლის აგვისტოში დემოკრატიზაციის პროცესის ჩახშობის შემდეგ აშშ-ში გამოქვეყნდა ჩეხი ემიგრანტის *ვ. შვეიკსის* წიგნი *„პატარა სახელმწიფოების გადარჩენა: უთანასწორო კონფლიქტებში პოლიტიკური თავდაცვა“*, რომელმაც უთანასწორო ჭიდილში პატარა ქვეყნების გადარჩენის მეტად მტკივნეულ პრობლემას ახალი განზომილება შემატა. ავტორმა პატარა ქვეყნის გადარჩენის აქამდე ნაკლებად გამოყენებული სტრატეგია განიხილა – პატარა, სუსტი ქვეყნის პოლიტიკური წინააღმდეგობა ძლიერ მჩაგვრელთან კონფლიქტში, რაც პატარა ქვეყნის მიერ პოლიტიკური და ზნეობრივი უპირატესობის გამოყენებას გულისხმობს ძლიერი აგრესორის სამხედრო ძალის განეიტრალების მიზნით[52].

ნორვეგიელმა *ტ. მატისენმა* თავის ცნობილ შრომაში *„პატარა ქვეყნების ფუნქციები ძლიერი სახელმწიფოების სტრატეგიაში“* ყურადღება პატარა და ძლიერი სახელმწიფოების დაპირისპირების, პატარა ქვეყნების მიმართ ძლიერი ქვეყნების „ქცევის“ თავისებურებებზე და პრობლემებზე, საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებში[53] პატარა ქვეყნების ადგილსა და ფუნქციებზე გაამახვილა. ინგლისელმა *რ. ბარსტონ-მა* პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ზოგადი თავისებურებების გაანალიზება სცადა და ამისათვის მოიშველია ნორვეგიის, ნიდერლანდების, შვეიცარიის, ზამბიის, -ისრაელის, კვიპროსის, კუბის, სინგაპურისა და ახალი ზელანდიის მაგალითები[54]. პატარა ქვეყნის ყველაზე ეფექტური იარაღის – ოსტატური დიპლომატიის გამოყენების პრობლემებს შეეხო თავის შრომაში კანადელი *ა. ენ-დრიუ*[55].

---

51 R. L. Rothstein, *Alliances and Small Powers,* New York, Columbia University Press. 1968

52 V.V. Sveics, *Small Nation Survival. Political Defense in Unequal Conflicts,* New York, Exposition Press, 1970.

53 T. Mathisen, *The Functions of Small States in the Strategies of the Great Powers,* Universitets forlaget, Oslo, 1971.

54 R. Barston (Ed.). *The Other Powers: Studies in the Foreign Policies of Small States,* London, George Allen and Unwin LTD, 1973

55 A. Andrew. *Defense by Other Means. Diplomacy for the Underdog,* Canadian Institute of International Affairs, Toronto, 1970

დემოკრატიის პირობებში პატარა ქვეყნების განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობის საკითხებს შეეხნენ თავიანთ შრომებში ამერიკელები *რ. დალი* და *ე. თაფთი*[56]. ხსენებული შრომა ფაქტობრივად, წარმოადგენს იმ პრობლემის (სახელმწიფოს სიდიდე და დემოკრატია) განხილვის გაგრძელებას, რომელიც ჯერ კიდევ პლატონმა წამოიწყო და მას შემდეგ ახალი დროის ევროპელ მკვლევართა მიერ ბევრჯერ იქნა განხილული.

ბალკანეთის პატარა ქვეყნების უსაფრთხოების პრობლემების თაობაზე საყურადღებო გამოკვლევა გამოაქვეყნა ამერიკელმა *ა. ბრაუნმა*, რომელშიც იგი პატარა ქვეყნების სიცოცხლისუნარიანობის, მათი საგარეო პოლიტიკის და ურთიერთობების საკითხებსაც შეეხო[57].

70-იანი წლების დასაწყისისთვის გაირკვა, რომ საჭიროა პატარა ქვეყნების პრობლემატიკის კვლევის განზოგადება, ერთგვარი შეჯამება და ამისათვის ოსლოში (ნორვეგია) მოეწყო საგანგებო სიმპოზიუმი, რომლის შედეგები გამოქვეყნდა სპეციალურ გამოცემაში, რომელიც პატარა ქვეყნების თემატიკით დაინტერესებულთათვის დღემდე სამაგიდო წიგნად არის მიჩნეული[58]. მიუხედავად იმისა, რომ ამ გამოცემაში გამოქვეყნებული შრომების უდიდესი ნაწილი მიეძღვნა საერთაშორისო ურთიერთობებში პატარა ქვეყნების ადგილისა და ფუნქციების თეორიულ ასპექტებს, გარკვეული ადგილი დაეთმო აგრეთვე ზოგიერთი რეგიონების პატარა ქვეყნებისა და ზოგიერთი ცალკეული სახელმწიფოების საგარეოპოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების შესწავლას.

აღსანიშნავია ისრაელელი მკვლევრის *დ.ვიტალის* წვლილი პატარა ქვეყნების შესწავლაში. მის კალამს ეკუთვნის ორი მეტად მნიშვნელოვანი შრომა პატარა ქვეყნების ადგილსა და როლზე საერთაშორისო სისტემაში. პირველ შრომაში („*საერთაშორისო უთანასწორობა:პატარა ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებში*") დ. ვიტალმა ყურადღება გაამახვილა პატარა ქვეყნების სუსტ და ძლიერ მხარეებზე საერთაშორისო ურთიერთობათა

---

56 R. A. Dahl, E. R. Tufte, *Size and Democracy*, Stanford, Stanford University Press, 1973

57 A. Braun, *Small-State Security in the Balkans*, Barnes and Noble Books, Totowa, NI, 1983

58 A. Schou and A. O. Brundtland (Eds.), *Small States in International Relations*, Nobel Symposium 17. Almquist and Wiksell, Stockholm, 1971

თვალსაზრისით[59]. თავისი მეორე შრომა *„პატარა ქვეყნისა და ძლიერი ქვეყნის კონფლიქტის შესწავლა“* ავტორმა უთანასწორო დაპირისპირებაში პატარა ქვეყნის გადარჩენის სტრატეგიას მიუძღვნა[60].

განვითარებადი ქვეყნების (მათი უმრავლესობა კი პატარეებია!) საგარეო პოლიტიკის საკითხებს მიუძღვნა თავისი მეორე ნაშრომი ამერიკელმა *რ. როთსტაინმა*, რომელშიც ხსენებული ქვეყნების საგარეოპოლიტიკური შესაძლებლობები ამ ქვეყნების სპეციფიკურ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასთან მიმართებაში განიხილა[61].

განვითარებადი, ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში და მათი რეალური სუვერენულობისა და მდგრადობის საკითხებს საგანგებო ყურადღება დაუთმო კანადელმა *რ. ჯექსონმა* თავის შრომაში *„ქვაზი-სახელმწიფოები: სუვერენულობა, საერთაშორისო ურთიერთობები და მესამე სამყარო“*[62]. *ჯექსონმა* გვიჩვენა, რომ ყოფილი კოლონიებისა და ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოების დიდი უმრავლესობა, თუ არა ყველა, არ წარმოადგენს სრულფასოვან, სიცოცხლისუნარიან პოლიტიკურ ერთეულებს და არსებობას განაგრძობს მხოლოდ საერთაშორისო საზოგადოების დახმარებისა და საერთაშორისო ცროვრებაში დამკვიდრებული ახალი ნორმებისა და წესების წყალობით.

სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ტერმინი „არშემდგარი“ ქვეყანა. როგორც წესი, ამგვარი ქვეყნები პატარა, და რაც მთავარია სუსტი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნებია. არშემდგარი, სუსტი სახელმწიფოები მომრავლდა დეკოლონიზაციის, იმპერიების (მათ შორის საბჭოთა იმპერიის) დაშლის შედეგად. ამგვარი სახელმწიფოები საფრთხეს უქმნიან არა მხოლოდ საკუთარ მოსახლეობას, არამედ ასუსტებენ საერთაშორისო და

---

59 D. Vital, *The Inequality of States: A Study of the Small Power in International Relations*, Clarendon Press, Oxford, 1967

60 D. Vital, *The Survival of Small States: Studies in Small Power / Great Power Conflict*, London, Oxford University Press, 1971

61 R. L. Rothstein, *The Weak in the World of the Strong: The Developing Countries in the International System*, New York, Columbia University Press, 1977

62 R. H. Jackson, *Quasi-states: Sovereignty, International Relations and the Third World*, Cambridge University Press, 1993

რეგიონულ უსაფრთხოებას. ამგვარი ქვეყნების შესახებ ყურადსაღებია ორი – რობერტ როტბერგის რედაქტორობით და აშრაფ ღანისა და კლერ ლოკარტის ავტორობით, გამოქვეყნებული მონოგრაფია.[63]

შვეიცარიელი *პ. უ. დიურენმატის შრომაში „პატარა ქვეყანა და ძალის პრობლემა“* გაანალიზებულია პატარა ქვეყნის ძალზე შეზღუდული შესაძლებლობები „ძალის პოლიტიკის“ ეპოქაში[64]. *გერმანელი გ. დანიკერის* წიგნში *„პატარა ქვეყნის სტრატეგია“* აგრეთვე ხაზგასმულია ამ კატეგორიის ქვეყნების მეტად რთული პრობლემები საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით[65]. სამაგიეროდ, საერთაშორისო ურთიერთობათა ცნობილი მკვლევარის, ამერიკელი *რ. ქიოჰეინის* შედარებით მოკლე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან სტატიაში *„პატარა მოკავშირეთა დიდი გავლენა“* განხილულია პატარა ქვეყნების შესაძლო სტრატეგიის საყურადღებო ასპექტი – ძლიერ ქვეყნებთან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირში მყოფი პატარა, სუსტი ქვეყნების მიზანმიმართული დიპლომატია და ლობირება[66]. *რ. ქიოჰეინმა* გვიჩვენა, რომ სუტ მოკავშირეებს (სამხრეთი კორეა, ისრაელი და სხვ.) ზოგჯერ ძალიან ბევრი ძალუძთ, ძლიერი მოკავშირისათვის (აშშ) მისი ეროვნული ინტერესების საზიანო გადაწყვეტილებების თავზე მოხვევაც კი.

პატარა, სუსტი სახელმწიფოს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში არსებობისა და გადარჩენის საკითხებს, ძირითადად კვიპროსის მაგალითზე, მიეძღვნა *პიტერ უორსლისა* და *პასხალის კიტრომილიდესის* რედაქციით 1979 წელს გამოსული კრებული *„პატარა სახელმწიფოები თანამედროვე მსოფლიოში: გადარჩენის პირობები“*.[67]

---

63 Robert I. Rotberg (Editor). State Failure and State Weakness in a Time of Terror. Brookings Institution Press, Washington. D.C., 2003; Ashraf Ghani. Clare Lockhart. Fixing Failed State: A Framework for Rebulding a Fractured World. Oxford Unievrsity Press, Oxford, 2008

64 P. V. Durenmatt, *Der Kleinstaat und das Problem der Macht*, Basel, Helbing und Lichtenhahn, 1955

65 G. Daniker. *Strategie des Kleinstaats*, Frauenfeld, Verlag Huber, 1966

66 R. O. Keohane, "The Big Influence of Small Allies", *Foreign Policy*, N2, Spring 1971, pp. 161-182

67 Peter Worsley and Paschalis Kitromilides (Eds), *Small States in the Modern World: The Conditions of Survival*, Revised Edition. Nicosia, 1979

პატარა ქვეყნების პარადოქსულ უნარს ზოგჯერ უჩვეულოდ ძლიერნი იყვნენ და საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაზე გარკვეული გავლენაც კი იქონიონ, შეეხნენ შვედი მკვლევარები ულფ ლიდელი და სტეფან პჰერსონი თავიანთ სტატიაში "სუსტი სახელმწიფოს ძალის პარადოქსი: კვლევისა და ლიტერატურის განხილვა" (1986).[68]

საერთაშორისო პოლიტიკაში ე.წ. ბუფერული სახელმწიფოების როლის შესწავლის პირველ მცდელობას წარმოადგენს ამერიკელთა *ჯ. ჩეის* და *თ. როსის* შრომა *„ბუფერული სახელმწიფოები მსოფლიო პოლიტიკაში"*[69]. ეს შრომა განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან ბუფერული სახელმწიფოების, როგორც საკმაოდ გავრცელებული და ამავე დროს უაღრესად მნიშვნელოვანი ფენომენის, თეორიული შესწავლის მცდელობები აქამდე არ ყოფილა.

ფორმალური მეთოდების მოშველიებით სახელმწიფოთა ტიპების გამოყოფის საყურადღებო მცდელობა იყო ამერიკელების *რ. რუმელის* და *მ. ისტის* ცნობილი სტატიები რომლებშიც ავტორებმა დააჯგუფეს ქვეყნები (მათ შორის პატარებიც) მრავალი მახასიათებლის შეჯერების საფუძველზე[70]. მორის ისტის ერთ-ერთი დასკვნის თანახმად პატარა განვითარებად და პატარა განვითარებული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში დიდი განსხვავება არ არის, რაც რამდენადმე მოულოდნელი იყო. ორივე ავტორმა გვიჩვენა, რომ ქვეყნის სიდიდე დიდად განსაზღვრავს მისი საგარეო პოლიტიკის ხასიათს, მის ადგილს საერთაშორისო სისტემაში, ხოლო პატარა ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობებს მართლაც მეტად სპეციფიკური ხასიათი აქვს. იგივე დასკვნებამდე მივიდა ამერიკელი *ჯ. სოიერი* თავის შრომაში *„ქვეყნების განზომილებები:სიდიდე, სიმდიდრე და პოლიტიკა"*[71]. ამერიკელი *ს. სპიგელი* შრომაში *„დომინირება და ნაირგვარო-*

---

68 Ulf Lindell and Stefan Persson. The Paradox of Weak State Power: A Research and Literature Review. "Cooperation and Conflict", XXI, N2, 1986, pp. 79-97

69 J. Chay and T. E. Ross, *Buffer States in World Politics*, Westview Press, Boulder and London, 1986

70 R. J. Rummel, "Some Empirical Findings on Nations and Their Behavior", *World Politics*, vol. 21, N2, January 1969, pp. 226-241; M. A. East. "Size and Foreign Policy Behavior: A Test of Two Models", *World Politics*, vol. 25, N4, July 1973, pp. 556-576

71 J. Sawyer. "Dimensions of Nations: Size, Wealth and Politics", *American Journal of Sociology*, 72, 1967, pp. 556-576

ბა", რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის პრობლემებს ეხება, აგრეთვე გვთავაზობს სახელმწიფოთა კლასიფიკაციას, რომელიც, მისი აზრით, ასახავს საერთაშორისო სისტემის რეალურ იერარქიულობას[72].

ცნობილმა ნორვეგიელმა მკვლევარმა *ო. კნუტსენმა* მეტად საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა პატარა ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებს, რომელიც ბატონმა *ალექსანდრე კუხიანიძემ* თარგმნა და გამოაქვეყნა ქართულ ჟურნალ „პოლიტიკაში" 1991 წელს[73].

კნუტსენსვე ეკუთვნის 2002 წელს გამოქვეყნებული სტატია „პატარა სახელმწიფოები, უხილავი და არსებული: ზოგადი შეხედულებისაკენ",[74] რომელშიც იგი მოუწოდებს მკვლევარებს პატარა ქვეყნების ზოგადი პრობლემატიკის შესწავლის მაგიერ თავად ამგვარი ქვეყნების შესწავლა გააღრმავონ და პატარა ქვეყნების შემსწავლელი ქვედისციპლინა და თეორია განავითარონ. კნუდსენს მიაჩნია, რომ პატარა ქვეყნების შესწავლამ ჯერ ვერ მიაღწია იმ დონეს, როდესაც შესაძლოა პატარა ქვეყნების თეორიის შესახებაზე საუბარი.

შვეიცარიელმა მკვლევარმა *დანიელ ფრაიმ* თავისი შრომის *„უსაფრთხოება, მსოფლიო პოლიტიკის პრობლემები"* ერთი თავი პატარა ქვეყნების უსაფრთხოებას მიუძღვნა.[75] პატარა ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების თაობაზე ავტორის მეტად საყურადღებო შეხედულებები ამგვარი ქვეყნების ოთხი შესაძლებელი სტრატეგიის (თვითიზოლირება, საკუთარ სახელმწიფოში შეღწევის არდაშვება, სპეციალიზაციის გზით ქვეყნის უნარიანობის გაზრდა, საერთაშორისო გარემოს შეცვლის სტრატეგია) სახით. ავტორს მიაჩნია, რომ პატარა ქვეყანას, ძალის უკმარისობისა და სისუსტის მიუხედავად, მაინც გააჩნია საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების მეტ-ნაკლები ეფექტურობით უზრუნველყოფის საშუალებები."

---

72 S. L. Spiegel, *Dominance and Diversity,* Little, Brown and Company, Boston, 1972

73 ო. კნუტსენი. პატარა სახელმწიფოები:უსაფრთხოების პრობლემა. ჟურნალი „პოლიტიკა", თბ., N7-N8, 1991

74 Olav F. Knudsen. "Small States, Latent and Extant: Towards a General Perspective." "*Journal of Internaitonal Relations and Development*". 5. 2. 2002. pp. 182-198

75 D. Frei, *Sicherheit, Fragen der Weltpolitik,* Stuttgart, Berlin, Wien, 1977

პატარა ქვეყნების ეკონომიკური შესაძლებლობებისა და ძლიერი და სუსტი სახელმწიფოების ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ რამდენიმე მეტად საყურადღებო შრომა გამოაქვეყნეს *ე. ა. გ. რობინსონმა, პ. ლოიდმა, მ. მიხაელიმ, ა. ჰირშმანმა* და *გ. ლეგოსმა*.[76] ამერიკელმა *პ. კატცენსტაინმა* შეისწავლა ევროპის პატარა განვითარებული სახელმწიფოების (შვეიცარია, ავსტრია, ნიდერლანდები, შვეცია, ბელგია, ნორვეგია, დანია) მსოფლიო ბაზართან შეგუების, მასში ინტეგრირების პროცესი. მან თავის წიგნში „პატარა სახელმწიფოები მსოფლიო ბაზრებზე" გვიჩვენა, რა გზებითა და რომელი მექანიზმების გამოყენებით მოახერხეს ევროპის განვითარებულმა პატარა ქვეყნებმა, თავიანთი ღია ეკონომიკისა და მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურაზე უკიდურესად დამოკიდებულების მიუხედავად, საკუთარი თავისთვის უზიანოდ ინტეგრაციულ პროცესებში შედეგიანად ჩართვა, თავიანთ სასარგებლოდ მათი გამოყენება[77].

2003 წელს კატცენსტაინი კვლავ დაუბრუნდა თავის წიგნში განხილულ პრობლემატიკას და ხელმეორედ გვამცნო, რომ გლობალიზებულ სამყაროში პატარა ქვეყნებს, თუ ისინი სათანადოდ განვითარებულნი არიან და განვითარების, ცვალებად გარემოსთან შეგუების ეფექტურ სტრატეგიას აირჩევენ, ისინი მოახერხებენ მუდმივად ცვალებად ეკონომიკურ გარემოში დინამიკური ეკონომიკის განვითარებას.[78]

პატარა ქვეყნების პრობლემატიკის შესწავლაში მნიშვნელოვანი წილი შეიტანა ევროპელ ავტორთა კოლექტივმა, რომელთა შრომები კრებულის („*პატარა ქვეყნები ევროპაში და დაქვემდებარება*") სახით გამოიცა 1983 წელს[79]. ხსენებული კრებული

---

76 E. A. G. Robinson (Ed.), *Economic Consequences of the Size of Nations*, New York, St. Martin's Press 1960; P. J. Lloyd, *International Trade Problems of Small Nations*, Durham,1968; M. Michaely, *Consentration in Economic Trade*, Amsterdam. North Holland Publishers Co., 1962; A. O. Hirshman, *National Power and the Structure of Foreign Trade*, Berkeley, University of California Press, 1969; G. Lagos, *International Stratification and Underdeveloped Countries*, Chapel Hill, The University of North Carolina Press, 1963

77 P. J. Katzenstein, *Small States in World Markets: Industrial Policy in Europe*, Cornell University Press, Ithaca and London, 1985

78 Peter J. Katzenstein. "Small States and Small States Revisited". *"New Political Economy"*. Vol.8. N1, 2003, pp.9-30

79 O. Holl (Ed.). *Small States in Europe and Dependence*, Westview Press, Boulder, CO, W. Braumuller, Wien, 1983

ევროპის განვითარებული პატარა ქვეყნების კვლევისა და არსებული გამოცდილების ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს.

ე. წ. „არშემდგარი" სახელმწიფოების (ესენი კი უმეტესწილად პატარა ქვეყნებია, რომლებიც იმპერიების რღვევის შედეგად წარმოიქმნა!) თეორიული და პრაქტიკული ასპექტები განიხილეს რობერტ როტბერგმა[80] და ჯეფრი ჰერბსტმა.[81] „არშემდგარი" პატარა სახელმწიფოების რიცხვს ბევრი პატარა პოსტსაბჭოური ქვეყანა შეემატა, თუმცა მათ მიმართ სპეციალურ ლიტერატურაში „არშემდგართან" ერთად ტერმინები „სუსტი სახელმწიფო"და „კვაზი-სახელმწიფო"გამოიყენება.

პატარა, სუსტი ქვეყნების პრობლემებისადმი მიძღვნილ ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული შრომებიდან ყველაზე საყურადღებოდ მიგვაჩნია ჰარვარდის (აშშ) და ებრაული უნივერსიტეტის (იერუსალიმი) მკვლევრის *მ. ჰანდელის* წიგნი *„სუსტი ქვეყნები საერთაშორისო სისტემაში"*, რომელიც პირველად 1981 წელს გამოიცა, ხოლო მისი მეორე, შესწორებული გამოცემა 1990 წელს გამოქვეყნდა[82]. *ჰანდელის* წიგნი გამოირჩევა როგორც კვლევის მასშტაბის, ასევე თეორიული სიღრმის თვალსაზრისით და მან სათანადო ადგილი დაიკავა პატარა ქვეყნებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 90-იან წლებში გამოცემული ორი კრებული, რომლებიც პატარა ქვეყნების უსაფრთხოების საკითხებს მიეძღვნა. 1996 წელს დასტამბული კრებული *„პატარა სახელმწიფოები და უსაფრთხოების პრობლემა ახალ ევროპაში"* ცივი ომის შემდგომი ევროპის პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების საკითხებს ეხება[83]. კრებულში წარმოდგენილ სტატიებში განხილულია ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის პატარა (მათ შორის პოსტსაბჭოთა) სახელმწიფოთა უსაფრთხოების თეორიული ასპექტები ბიპოლარული საერთაშორისო სისტემი-

---

80 Robert I. Rotberg. *"The Failure and Collapse of Nation-States: Breakdown, Prevention, and Repair"*. In *When States Fail: Causes and Consequences*. Edited by Robert I. Rotberg. Princeton University Press, Princeton, 2004, pp. 1–49

81 Jeffrey Herbst. *"Let Them Fail: State Failure in Theory and Practice. Implications for Policy"*. In *When States Fail: Causes and Consequences*. Edited by Robert I. Rotberg. Princeton University Press, Princeton, 2004. pp. 302-318

82 M. Handel. *Weak States and the Security System*, Frank Cass, London. 1990

83 W. Bauwens. A. Clesse and O. F. Knudsen (Eds), *Small States and the Security Challenge in the New Europe*, Brasssey's, London. 1996

დან ახალ ვითარებაში გარდამავალი პერიოდისათვის. კრებულში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო გაზრდილი ურთიერთდამოკიდებულებისა და ინტეგრაციის გაღრმავების პროცესის პირობებში პატარა სახელმწიფოების ეკონომიკური და პოლიტიკური სუვერენიტეტის შენარჩუნების საკითხებს.

ახალ პირობებში პატარა ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტებს მიეძღვნა 1997 წელს გამოქვეყნებული კრებული *„პატარა ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოება ცვალებად მსოფლიოში"*[84], რომელიც ცნობილი ისრაელელი ექსპერტების, *ეფრაიმ ინბარისა* და *გაბრიელ შეფერის* მონაწილეობითა და რედაქციით გამოიცა. ამ კრებულში ავტორებმა ცივი ომის შემდგომ მსოფლიოში პატარა ქვეყნებისათვის შექმნილი ახალი პირობები და ამგვარი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის შესაძლო სტრატეგიაა განხილული.

პატარა ქვეყნების ისტორიულად ახალ პირობებს და თანამედროვე ინტეგრაციის (ევროპის კავშირი) მათ პოლიტიკაზე გავლენას ეხება მეტად საყურადღებო სტატიების კრებული „პატარა სახელმწიფოები ევროპის კავშირში და გარეთ: ინტერესები და პოლიტიკა" (1998).[85]

დანიის უსაფრთხოების პოლიტიკა განიხილა ბერტელ ჰერლინმა თავის ნაშრომში „დანიის უსაფრთხოების პოლიტიკა უკანასკნელი 50 წლის მანძილზე – გრძელვადიანი არსებითი უსაფრთხოების პრიორიტეტები".[86]

საყურადღებოა, რომ პატარა ქვეყნების შესახებ თეორიულ ლიტერატურაში შეინიშნება თავად ამგვარი ქვეყნებიდან (უმთავრესად ჩრდილოეთ ევროპის და გერმანულენოვანი ქვეყნები!) ავტორთა სიმრავლე. იგივე ითქმის ამერიკელ ავტორთა შესახებაც. იმის თქმაც კი შეიძლება, რომ დღეისათვის პატარა ქვეყნების კვლევის შედარებითი ინტენსიურობის თვალსაზრისით ჩამოყალიბდა კვლევის ორი სკოლა: ამერიკული და ევროპული (სკანდინავიურ-გერმანული). ამ გარემოებაზე ყურადღება გაამახვილეს რომენ კირტმა, არნო ვაშკუნმა და ვილჰელმ ქრისთმას-

---

84 E. Inbar. G. Sheffer (Eds.), *The National Security of Small States in a Changing World*, Frank Cass, London, Portland. 1977

85 Small States Inside and Outside the European Union: Interests and Politics. Laurent Goetschel (Editor). Dordrecht. Kluwer academic, 1998

86 Bertel Heurlin, *Danish Security Policy Over the Last 50 Years – Long-Term Essential Security Priorities*, DUPI Working Paper, No. 2001/7

მიოლერმა.[87] კიდევ შეიძლება ისრაელის, ლათინური ამერიკისა და აფრიკის ზოგიერთი ქვეყნის მკვლევართა გამოყოფა.

მიკროსახელმწიფოების წარმოშობა, მათი პოლიტიკისა და პერსპექტივების სამართლებრივი ასპექტები დეტალურად განიხილა ჰოლანდიელმა მკლევარმა იორი დუურსმამ თავის ცნობილ შრომაში „ფრაგმენტირება და მიკრო-სახელმწიფოების საერთაშორისო ურთიერთობები: თვითგამორკვევა და სახელმწიფოებრიობა".[88] უფრო ადრე, 1977 წელს გამოსულ ე. პლიშკეს მონოგრაფიაში „მიკროსახელმწიფოები მსოფლიო საქმეებში: პოლიტიკის პრობლემები და არჩევანი", გაანალიზებულია მიკრო-სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემაში ქცევის თავისებურებები, აგრეთვე მათი როლის ზრდის, გაეროში ხმის მიცემის პროცესში მათი გაზრდილი მნიშვნელობა და საზოგადოდ მიკროსახელმწიფოების პერსპექტივები.[89]

ცალკეული პატარა ქვეყნებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიებიდან გამოვყოფდი ცნობილი ფინელი დიპლომატის მაქს იაკობსონის მიერ დაწერილ "ფინეთი ახალ ევროპაში", რომელიც XX საუკუნის ფინეთის საგარეო პოლიტიკის პრობლემებს მიეძღვნა.[90] საყურადღებოა, რომ ამ წიგნის წინასიტყვაობა ლეგენდარულმა ამერიკელმა დიპლომატმა ჯორჯ ქენანმა დაწერა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში, ბუნებრივია, დაიწყო ამ ქვეყნების თვისებრივად ახალი შესწავლა. ბევრი საყურადღებო შრომა გამოიცა პოსტსაბჭოური ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოების სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, მათი საგარეო

---

87 Romain Kirt, Arno Waschkuhn. "Was ist und zu welchem Zweck betreift man Kleinstaaten-Forschung? Ein Plädoyer fur die wissenschaftliche Beschäftigung mit kleinen Nationen". In Romain Kirt, Arno Waschkun (eds..). Kleinstaaten – Kontinent Europa: Probleme und Perspektiven. Baden-Baden. Nomos, 2001. p. 25; Wilhelm Christmas – Møller. "Some Thoughts on the Scientific Applicability of the Small State Concept: A Research History and Discussion". In Otmar Holl (ed.). Small States in Europe and Dependence. Vienna, Braumuller, 1983. p. 36

88 Jorri Duursma. Fragmentation and the International Relations of Micro-State: Self-determination and Statehood. Cambridge University Press. Cambridge. 1996

89 E. Plischke. Microstates in World Affairs: Policy, Problems and Options. Washington, D.C., American Enterprise Institute for Public Policy Research, 1977

90 Max Jakobson. Finland in the New Europe. Washington papers/175. CSIS. Praeger, Westport, Connecticut, 1998

პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების თავისებურებათა შესახებ. ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად ბალტიის სახელმწიფოებში, უკრაინასა და ბევრ სხვაში ქვეყნდება საგარეოპოლიტიკური წელიწდეულები, იბეჭდება საგარეო საქმეთა სამინისტროებისა და *think-tank*-ების პერიოდული გამოცემები. გარდა ამისა, ქვეყნდება ბევრი ნაშრომი როგორც თავად პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებში, ასევე მათ საზღვრებს გარეთაც, როგორც პოსტსაბჭოური სივრცის თავისებურებათა, ასევე მისი ცალკეული ქვეყნებისა და მათი ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ.

პოსტსაბჭოური სახელმწიფოების შესახებ საყურადღებო შრომები იბეჭდება მაგალითად ისეთ პერიოდულ გამოცემებში, როგორიც არის "Lithuanian Foreign Policy Review", "The Estonian Foreign Policy Yearbook" და სხვა. ბევრი საყურადღებო შრომა ქვეყნდება პერიოდულ გამოცემებში „Центральная Азия и Кавказ" და „Кавказ и глобализация".

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია აკადემიკოს რ. მეტრეველის თაოსნობით 1994 წლიდან მოყოლებული რეგულარულად აქვეყნებს წელიწდეულს „ქართული დიპლომატია", რომელშიც იბეჭდება შრომები ჩვენი ქვეყნის როგორც დიპლომატიური ისტორიის, ასევე თანამედროვე საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ცალკეული პატარა ქვეყნებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიებიდან გამოვყოფდი ცნობილი ფინელი დიპლომატის მაქს იაკობსონის მიერ დაწერილ "ფინეთი ახალ ევროპაში", რომელიც XX საუკუნის ფინეთის საგარეო პოლიტიკის პრობლემებს მიეძღვნა.[91] საყურადღებოა, რომ ამ წიგნის წინასიტყვაობა ლეგენდარულმა ამერიკელმა დიპლომატმა ჯორჯ კენანმა დაწერა. პოსტსაბჭოური ქვეყნების შესახებ ლიტერატურა ჯერ კიდევ ძალიან მწირია. ერთ-ერთი პირველი შრომა იყო ფილიპ პეტერსენის „პოსტსაბჭოთა ბალტიის სახელმწიფოთა უსაფრთხოების პოლიტიკა".[92] აღნიშვნის ღირსია *ბირთე ჰანსენისა* და *ბერტელ ჰერლინის* რედაქციით გამოცემული სტატიების კრებული *„ბალტიის სახელმწიფოები*

---

91 Max Jakobson. Finland in the New Europe. Washington papers/175. CSIS. Praeger, Westport, Connecticut, 1998

92 Philip Petersen, "Security Policy in the Post-Soviet Baltic States", *European Security*, Vol. 1, No. 1 (Spring 1992), pp. 13-49.

მსოფლიო პოლიტიკაში"[93]. წიგნში განხილულია ბალტიის პატარა სახელმწიფოების უსაფრთხოების პრობლემები, განსაკუთრებით რუსეთთან მიმართებაში.

სომხეთის საგარეო პოლიტიკის ანალიზის ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს ნიკოლაი ოვანისიანის 1998 წელს გამოცემული „სომხეთის საგარეო პოლიტიკა".[94]

პოსტსაბჭოურ სივრცეში რუსეთის ურთიერთობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. ამ მხვრივ, მეტად საყურადღებოა ლატვიელი ექსპერტების მიერ 2006 წელს გამოქვეყნებული კრებული „ლატვიურ-რუსული ურთიერთობები:საშინაო და საერთაშორისო განზომილებები".[95]

პატარა ქვეყნისა და სუპერსახელმწიფოს ურთიერთობების მრავალ ასპექტს უძღვნეს თავიანთი ნაშრომები ლატვიელმა და ამერიკელმა ავტორებმა კრებულში „ლატვია და აშშ: დამონებული ერიდან სტრატეგიულ პარტნიორამდე".[96] ქართველი მკითხველისთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ბრიტანელი *ედმუნდ ჰერციგის* წიგნი *„ახალი კავკასია:სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო"*, რომელიც 1999 წელს გამოიცა და დღემდე სამხრეთ კავკასიის სამი ახალგაზრდა პოსტსაბჭოური პატარა სახელმწიფოსადმი მიძღვნილ ერთადერთ მონოგრაფიად გვევლინება.[97] აღსანიშნავია, რომ *ჰერციგის* შრომა შედარებითი ანალიზის მცდელობას წარმოადგენს და ამდენად განსაკუთრებით ღირებულია. *ჰერციგი* სამხრეთ კავკასიის სამი პატარა სახელმწიფოს სუვერენული არსებობის საწყისი ეტაპის კომპლექსურ ანალიზს გვთავაზობს და ამას რეგიონის „პორტრეტის ფონზე" აკეთებს.

2000 წელს რუმინეთის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტმა საკუთარი პერიოდული

---

93 Birthe Hansen, Bertel Heurlin (Eds.). *The Baltic States in World Politics*, Curzon Press, 1998

94 Nikolay Hovhannisyan. *The Foreign Policy of Armenia*, Yerevan, 1998.

95 Latvian-Russian Relations: Domestic and International Dimensions. (Editor Nils Muižnieks).LU Akadêmiskais apgâds, 2006

96 Latvia and the USA: From Captive Nation to Strategic Partner. Edited by Daunis Auers. Academic Press of the University of Latvia, Riga, 2008.

97 Edmund Herzig, *The New Caucasus: Armenia, Azerbaijan, and Georgia*, The Royal Institute of International Affairs, London, 1999

ჟურნალის ერთი ნომერი პატარა ქვეყნებს მიუძღვნა.[98] ხსენებული ტომის სათაურია *„პატარა სახელმწიფოები გლობალიზაციის ეპოქაში“*. სტატიები დაწერილია საერთაშორისო ექსპერტთა „გუნდის“ მიერ და გლობალიზაციის პირობებში პატარა ქვეყნების არსებობასა და მომავალს ეხება. განსხვავებით გლობალიზაციის რადიკალური, უარყოფითი გაგებისაგან, ხსენებულ ტომში გლობალიზაცია განიხილება, პირველ ყოვლისა, როგორც თანამშრომლობა. ამავე დროს, ავტორები აღნიშნავენ იმ უარყოფით მომენტებსა და პატარა ქვეყნების თვითმყოფადობისა და ეროვნული კულტურებისათვის საფრთხეებს, რომლებიც გლობალიზაციას თან ახლავს.

2000 წლის შემდეგ გამოქვეყნდა რამდენიმე კრებული, რომლებიც პატარა ქვეყნების პრობლემატიკას მიეძღვნა. პირველი, „პატარა სახელმწიფოები და კავშირები“ (2001)[99] პატარა ქვეყნების კავშირებში შესვლის ზოგად პრობლემებსა და ევროპის პატარა სახელმწიფოების კავშირებში ყოფნის სხვადასხვა ასპექტებს მიეძღვნა, ხოლო მეორე – „პატარა სახელმწიფოები მსოფლიო პოლიტიკაში: საგარეოპოლიტიკური ქცევის ახსნა“ (2003),[100] პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკის თავისებურებებს ეხება, მაგალითებად კი მოტანილია ცენტრალური ამერიკის, ევროპის, აფრიკისა და აზიის ზოგიერთი ქვეყანა. მესამე კრებული „პატარა სახელმწიფოები საერთაშორისო ურთიერთობებში“ (2006)[101] მოიცავს როგორც რამდენიმე უკვე ცნობილ, „კლასიკურ“ შრომას პატარა ქვეყნების შესახებ, ასევე რამდენიმე ახალ სტატიას, დაწერილს უმთავრესად სკანდინავიელი ავტორების მიერ. 2005 წელს თომას ეკარდტის მიერ გამოცემული წიგნი „ევროპის შვიდი უმცირესი სახელმწიფოს საიდუმლოებები“ ანდორის, ლიხტენშტაინის, ლუქსემბურგის, მალტის, მონაკოს, სან მარინოსა და ვატიკანის მეტად საყურადღებო „პორტრეტების“ კრებულს წარმოადგენს.[102]

---

98 *Romanian Journal of International Affairs*, Vol.VI, N1-2, 2000

99 Small States and Alliances. Erich Reiter, Heinz Gärtner (Editors). Physica-Verlag, Heidelberg, 2001

100 Small States in World Politics: Explaining Foreign Policy Behavior, Edited by Jeanne A. K. Hey. Lynne Rienner Publishers, Boulder, 2003

101 Small States in International Relations. Edited by Christine Ingebritsen, Iver Neumann, Sieglinde Gstöhl and Jessica Beyer. University of Washington Press, Seattle; University of Iceland, Reykjavik, 2006

102 Thomas Eccardt. Secrets of the Seven Smallest States of Europe: Andorra, Liech-

2001 წელს გამოქვეყნდა შვედი მკვლევარის, *სვანტე კორნელის* ვრცელი მონოგრაფია *„პატარა ერები და დიდი ქვეყნები“*, რომელიც კავკასიის პატარა ქვეყნების პრობლემებს მიეძღვნა.[103] *ს. კორნელმა* თავისი სადოქტორო დისერტაცია მიუძღვნა საქართველოში მომხდარ კონფლიქტებს და შემდეგ ეს შრომა წიგნად დასტამბა(2002).[104] ამ ნაშრომში ავტორი თამამად ილაშქრებს მიღებული შეხედულებების წინააღმდეგ და საქართველის მაგალითის მოშველიებით ამტკიცებს, რომ ავტონომიები და საზოგადოდ, ეთნოტერიტორიალური მოწყობა სეპარატიზმს უწყობს ხელს.

სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის პატარა პოსტსაბჭოური სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საკითხები განხილულია წიგნებში:*„ენერგია და კონფლიქტები ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში“* (2000) და *„კასპიის ზღვის რეგიონული უსაფრთხოება“* (2001)[105].

საყურადღებო შრომები ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოურ პატარა ქვეყნებზე გამოქვეყნდა 90-იანი წლების მიწურულში: „ცენტრალური აზია:დამოუკიდებლობის გამოწვევები“, *„ცენტრალური აზია და ახალი გლობალური ეკონომიკა“* და *„ცენტრალური აზია თანამედროვე მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურებში“*.[106]

რუსეთის სტრატეგიული კვლევის ცენტრმა წამოიწყო სხვადასხვა ქვეყნების შესახებ მონოგრაფიების გამოცემა. ერთ-ერთი

---

tenstein, Luxembourg, Malta, Monaco, San Marino and Vatican City. Hippocrene Books, Inc., New York, 2005

103 Svante E. Cornell, *Small Nations and Great Powers*, Curzon, 2001

104 Svante E. Cornell, *Autonomy and Conflict: Ethnoterritoriality and Separatism in South Caucasus – Cases in Georgia*, Uppsala Universitet, Uppsala, 2002

105 Robert Ebel and Rajan Menon (Eds), *Energy and Conflict in Central Asia and the Caucasus*, Rowman and Littlefield Publishers, Inc., London, 2000; Gennady Chufrin (Ed), *The Security of the Caspian Sea Region*, SIPRI, Oxford University Press, New York, 2001

106 Boris Rumer and Stanislav Jhukov (Eds), *Central Asia: The Challlenges of Independence*, M. E. Sharpe, Armonk, N.Y., 1998; Boris Rumer (Ed), *Central Asia and the New Global Economy*, M.E. Sharpe, Armonk, N.Y., 2000. С. В Жуков, О. Б. Резникова. Центральная Азия в социально-экономических структурах современного мира.Московский общественный научный фонд. Научные доклады. 134, ИМЕМО РАН, Москва, 2001

პირველი დაისტამბა ორტომეული საქართველოს შესახებ: „*საქართველო: განვითარების პრობლემები და პერსპექტივები*“.[107] დამოუკიდებლობის მოპოვებიდან „ვარდების რევოლუციამდე“ საქართველოს განვითარების დეტალური ანალიზი შემოგვთავაზა ბრიტანელმა ჯონათან უითტლიმ თავის მონოგრაფიაში "საქართველო ეროვნული გამოღვიძებიდან ვარდების რევოლუციამდე: დაგვიანებული გადასვლა ყოფილ საბჭოთა კავშირში" (2005).[108]

ფრანგმა მკვლევარმა სილვია სერანომ საქართველოს მიუძღვნა საკმაოდ მოზრდილი წიგნი, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად დიდი ადგილი დაუთმო საქართველოს ადგილს საერთაშორისო სისტემასა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკას."[109]

ქართველი ავტორებიდან პატარა ქვეყნის პრობლემატიკას შეეხო ყველა ის მკვლევარი, ვინც დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკისა და ეკონომიკის შესახებ დაწერა. ამიტომ, საკმაოდ ძნელია იმ ნაშრომების გამოყოფა, რომლებიც სახელდობრ პატარა ქვეყნის თავისებურებათა განხილვას მიეძღვნა. გამოვყოფდი *დავით დარჩიაშვილის* მონოგრაფიას *„პოლიტიკოსები, ჯარისკაცები, მოქალაქეები“*, რომელიც 2000 წელს გამოქვეყნდა.[110]

საქართველოში სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და დემოკრატიზაციის პრობლემებს შეეხო თავის შრომებში *გია ნოდია*.[111]

ახალ საქართველოს მიუძღვნა თავისი წიგნი *რევაზ გაჩეჩილაძემ*[112]. მასვე ეკუთვნის საყურადღებო ნაშრომი სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში სახელმწიფოებრიობის მშენებლობის შესახებ[113].

---

107 Грузия: Проблемы и перспективы развития, Москва, т. 1, 2001; т. 2, 2002

108 Jonathan Weatley. Georgia from National Awakening to Rose Revolution: Delayed Transition in the Former Soviet Union. Ashgate, 2005

109 Silvia Serrano. Géorgie Sortie d'empire. CNRS Editions, PAris, 2007, pp. 221-267, 269- 274

110 დავით დარჩიაშვილი, პოლიტიკოსები, ჯარისკაცები, მოქალაქეები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2000

111 Ghia Nodia, "Dynamics of State-Building in Georgia", *Demokratizatsia*, Vol. 6, N 1, Winter 1998, pp. 6-13; Ghia Nodia, "Georgia's Identity Crisis", *Journal of Democracy*, Vol. 6, N 1, January 1995, pp. 104-116'; Ghia Nodia, "How Different Are Post-communist Transitions?" *Journal of Democracy*, Vol. 7, N 4, October 1996

112 Revaz Gachechiladze, *The New Georgia: Space, Society, Politics*, UCL Press, London, 1995

113 Revaz Gachechiladze, "Geographical and Historical Factors of State Building in

რამდენიმე თავი ეძღვნა პატარა ქვეყნის (საქართველოს) *პრობლემებს* წიგნში *„სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები“*, რომელიც 2000 წელს გამოქვეყნდა[114]. დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ასპექტებს შეეხო *ზურაბ დავითაშვილი.*[115] საქართველოს გეოპოლიტიკის საკითხებს მიუძღვნა ნაშრომი *მამუკა ბიჭაშვილმა.*[116] რამდენიმე შრომა საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებასა და საგარეო პოლიტიკაზე გამოაქვეყნა *ვახტანგ მაისაიამ.*[117]

საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე ვითარებას, მისი განვითარების პრიორიტეტებსა და პერსპექტივებს მიეძღვნა *ალექსანდრე თვალჭრელიძის, პ. კერვალიშვილის, დ. გეგიას,*

---

the Transcaucasia", *Caucasian Regional Studies,* Issue I, 1996, pp.24-36

114 სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები. (შედგენა და ზოგადი რედაქცია:გია ნოდია, დავით დარჩიაშვილი). მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 2000 იხ.:კახა კაციტაძის მიერ დაწერილი თავები:„საქართველოს სამხედრო აღმშენებლობის ძირითადი მიმართულებები“ (გვ. 41-44), „საქართველოს არმიის აღმშენებლობის სტრატეგიული საკითხები“ (გვ. 45-50) და „არმია და საზოგადოება“ (გვ. 51-56); დავით დარჩიაშვილის მიერ დაწერილი თავი „სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობების ზოგიერთი საკითხი და შესაბამისი პრობლემატიკა საქართველოში“ (გვ.57-86); ლევან ალაფიშვილის მიერ დაწერილი თავი „საქართველოს უსაფრთხოების სისტემა, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები და დემოკრატიული კონტროლი სამხედრო ძალებზე“ (გვ. 87-118); თამარ პატარაიას მიერ დაწერილი თავი „თავდაცვის ბიუჯეტირების პრობლემები საქართველოში“ (გვ. 119-154)

115 Зураб Давиташвили. Нейтралитет или западная ориентация? «Центральная Азия и Кавказ». 5 (23). 2002. стр. 109-116.

116 მამუკა ბიჭაშვილი. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობისათვის. „საზოგადოება და პოლიტიკა“, I, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1996, გვ. 113-136.

117 ვახტანგ მაისაია. ეროვნული უსაფრთხოება და შეიარაღებულ ძალებზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა (საქართველოს მაგალითი). საერთაშორისო კონფერენცია „დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე და სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები საქართველოში“. თბილისი, 9-10 სექტემბერი, 1997; ვახტანგ მაისაია. ნატო-საქართველოს პარტნიორობის პერსპექტივების გლობალური კონტურები. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, 61, 2001; Vakhtang Maisaia, „The Local Geopolitical Code of Georgia and Its Influence on the Regional Security Regime in the BSEC Zone", Heads of the Reports of the Conference *Postcommunist Democratic Changes and Geopolitics in Transcaucasia (South Caucasus)*, Tbilisi, 17-18 October, 1997.

ს. ესაკიასა და *ს. სანაძის* მონოგრაფია „საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები:ანალიზის და უახლოესი პერსპექტივა."[118]

დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური პრობლემების შესახებ გამოქვეყნებული *ვლადიმერ პაპავას* მრავალრიცხოვანი შრომებიდან რამდენიმეს გამოვყოფდი.[119]

118ა. თვალჭრელიძე, პ. კერვალიშვილი, დ. გეგია, ს. ესაკია, ს. სანაძე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები:ანალიზი და უახლოესი პერსპექტივა. გამომცემლობა „სანი", თბილისი, 2002.

119იხ.: პაპავა, ვ., *საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე.* თბილისი, 1995; პაპავა, ვ., ეკონომიკური რეფორმების ძირითადი თავისებურებანი საქართველოში. *ეკონომიკა*, 4-6, 1995; პაპავა, ვ., *საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში:მიღწევები და შეცდომები.* თბილისი, „იმპერიალი"; პაპავა, ვ., კაკაბაძე, ვ., ფრიტრედერული პოლიტიკის უპირატესობანი პოსტკომუნისტურ საქართველოში. *მაკრო მიკრო ეკონომიკა*, 5-6, 2002; პაპავა, ვ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, „პდპ", 2002; Papava, V., *Some Problems of the Economic Independence of Georgia and the Transition to the Market Economy.* Tbilisi, "Metsnicreba", 1991; V. Papava, The Georgian Economy: Problems of Reform. *Eurasian Studies,* Vol. 2, No. 2, 1995; V. Papava, The Georgian Economy: From "Shock Therapy" to "Social Promotion". *Communist Economies & International Transformation,* Vol. 8, No. 8, 1996; V. Papava, "Social Promotion" of Economic Reform in Georgia. *Economic Systems,* Vol. 20, No. 4, 1996; V. Papava, The Georgian Economy: Main Directions and Initial Results of Reforms. In: *Systemic Change in Post-Communist Economies.* Selected Papers from the Fifth World Congress of Central and East European Studies, Warsaw, 1995. Ed. by P. G. Hare. London, Macmillan Press, 1999; V. Papava, Leszek Balcerovicz and Georgia. GFSIS, Tbilisi, 2002; V. Papava, On the Special Features of Georgia's International Economic Function. *Central Asia and the Caucasus,* No. 2, 2002; V. Papava, International Monetary Fund and Post-communist Georgia. GFSIS. Tbilisi, 2002; V. Papava, T. Beridze, Industrial Policy and Trade Regime in Georgia, *Eurasian Studies,* Vol. 3, No. 4, 1996/97; V. Papava, E. Chikovani, (Ed), Georgia: Economic and Social Challenges of the Transition. *Problems of Economic Transition,* Vol. 40, No. 7/8, 1997; Папава, В., Беридзе, Т., Проблемы реформирования грузинской экономики. *Российский экономический журнал,* No. 3, 1994; Папава, В., *Грузия на пути к рыночной экономике.* Тбилиси, Мецниереба, 1996; Папава, В., Беридзе, Т., Экономические реформы в Грузии. *Российский экономический журнал.* No. 1, 1998; Папава, В., О ходе реформ и перспективах развития экономики Грузии. *Общество и экономика,* No.2, 1998; Папава, В., Об особенностях международной экономической функции Грузии. *Центральная Азия и Кавказ,* No. 2, 2002; Папава, В., О Некоторых ошибках Международного валютного фонда в Грузии. *Вопросы экономики,* No. 3, 2002; Vladimer Papava. On the Role of the

საქართველოს ეკონომიკის საკითხებისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი შრომებიდან მათი საერთაშორისო ასპექტის გამო გამოვყოფდი კიდევ რამდენიმე შრომას.[120*]

რამდენიმე ნაშრომი პატარა ქვეყნის შესახებ ეკუთვნის ამ

International Monetary Fund in the Post-Communist Transformation of Georgia In *Emerging Markets Finance and Trade*. September-October. 2003. Vol. 39, No 5, pp. 5- 26: Vladimer Papava and Michael Tokmazishvili. Becoming European: Georgia's Strategy for Joining the EU. In *Problems of Post-Communism*. January-February 2006. Vol.53. No 1. pp. 26 - 32; Vladimer Papava and Vepkhia Chocheli. Financial Globalization and Post-Communist Georgia: Global Exchange Rate Instability and its Implications for Georgia. iUniverse, Inc. New York Lincoln Shanghai, 2003: Vladimer Papava. Necrocconomics. The Political Economy of Post-Communist Capitalism (Lessons from Georgia). iUniverse, Inc. New York Lincoln Shanghai, 2005: Vladimer Papava. Georgia's Macroeconomic Situation Before and After the Rose Revolution. *The Georgian Economy: National, Regional and Global Prospects. Problems of Economic Transition*. Vol. 48. No 4. August 2005, pp. 8- 17: Vladimer Papava. Georgia's Economic Role in the South Caucasus. *The Georgian Economy: National, Regional and Global Prospects. Problems of Economic Transition*. Vol. 48. No 4, August 2005, pp. 84- 92;Vladimer Papava. The Political Economy of Georgia's Rose Revolution. *A Journal of World Affairs*, Vol. 50, No. 4, 2006; Vladimer Papava. The Essence of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What About the European Choice? *Georgian International Journal of Science and Technology*. Vol. 1. Issue 1. 2008. pp. 1-9: Vladimer Papava. Georgian Economy: Main Directions and Initial Results of Reforms. From "Shock Therapy" to "Social Promotion". In Paul G. Hare (Ed.) Systemic Change in Post-Communist Economies. Selected Papers from the Fifth World Congress of Central and East European Studies. Warsaw, 1995. pp. 226 – 292: ვლადიმერ პაპავა. პოსტრევოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პათოლოგიური ანატომია. „შრომები". საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, საგამომცემლო ფირმა „სიახლე", თბილისი 2008, გვ. 18-34.

120* Nodar Khaduri. Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Postcommunist Georgia. *The Georgian Economy: National, Regional and Global Prospects. Problems of Economic Transition*. Vol. 48. No 4, August 2005, pp. 18 – 29; Merab Kakulia and Nikoloz Gigineishvili. The Primary Objectives and Priorities of Monetary Policy in Georgia. *The Georgian Economy: National, Regional and Global Prospects. Problems of Economic Transition*, Vol. 48. No 4, August 2005. pp. 30 - 42: Teimuraz Beridze. Measuring Georgia's Nonobserved Economy. *The Georgian Economy: National, Regional and Global Prospects. Problems of Economic Transition*. Vol. 48. No 4. August 2005. pp. 43- 54; დავით იაკობიძე. საქართველო და მსოფლიო ფინანსური კრიზისი. თბილისი, „კომენტარი", 2009.

წიგნის ავტორსაც.[121]

სამწუხაროდ, ჯერჯერობით საკმარისი ყურადღება არ ეთმობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე აღმოცენებული ახალი სუვერენული სახელმწიფოების (მათი უმრავლესობა კი პატარა ქვეყნებია) საგარეო პოლიტიკური და ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების თეორიულ ასპექტებს. ამ ქვეყნების უმრავლესობას არ გააჩნია დამოუკიდებელი არსებობის საკმარისი გამოცდილება, სათანადო სტრატეგიული კულტურა. მათი საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები უაღრესად რთული და მწვავეა, ხოლო მათი უსაფრთხოება და სიცოცხლისუნარიანობა მეტად სუსტ საფუძველს ემყარება და ზოგჯერ სათუოა. ამგვარი ქვეყნების შესწავლა დღეისათვის აუცილებლობას წარმოადგენს.

1.2 პატარა ქვეყნის როლი საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი კონცეფციების მიხედვით

ზოგი თუ ვტირით თავის ბედს,
სხვანი დადიან ცინებით.
ვაჟა-ფშაველა

საერთაშორისო სისტემაში პატარა ქვეყნების ადგილისა და ფუნქციის, მათი პრობლემებისა და საგარეო პოლიტიკის თავისებურებათა უკეთ გაცნობიერებისათვის ინტერესს მოკლებული

121 ალექსანდრე რონდელი. სუსტი ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე. „ქართული დიპლომატია", წელიწდეული, 2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1995, გვ. 5-24; ალექსანდრე რონდელი. პატარა ქვეყნის ორი როლი:ბუფერი და ნეიტრალიტეტი. „ქართული დიპლომატია", წელიწდეული, 5, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1998, გვ. 151-165; ალექსანდრე რონდელი. პატარა ქვეყნის დიპლომატიური საქმიანობა. „ქართული დიპლომატია", წელიწდეული, 7, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2000, გვ. 15-20; ალექსანდრე რონდელი. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები. სადისკუსიო წერილების სერია, 3, გაერო-ს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისი, თბილისი, 1999, 43 გვერდი; Alexander Rondeli. "Georgia in the Post-Soviet Space", *Caucasian Regional Studies*, Issue I, 1996, pp. 96-100; Alexander Rondeli, "The Choice of Independent Georgia", In: Gennady Chufrin (Ed), *The Security of the Caspian Sea Region*, SIPRI, Oxford University Press, New York, 2001, pp.195-211; ალექსანდრე რონდელი. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. "მეცნიერება", თბილისი, 2003

არ იქნება ისინი საერთაშორისო ურთიერთობათა განსხვავებული თეორიული სკოლების (რეალიზმი, პლურალიზმი, გლობალიზმი) პოზიციებიდან განვიხილოთ. ამგვარი მიდგომა არა მხოლოდ პატარა ქვეყნების ცალკეული თავისებურებების, არამედ მათი სპეციფიკისა და პრობლემების კომპლექსურად გაცნობიერების საშუალებას იძლევა.

საერთაშორისო ურთიერთობათა ზოგიერთი თეორიული სკოლა თავის კონცეფციაში პატარა ქვეყნებს უპირატესად სამხედრო-პოლიტიკური, ტერიტორიული თვალსაზრისით განიხილავს, სხვები კი – უფრო ეკონომიკურ, ფუნქციურ ჭრილში.

რეალიზმი. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში კლასიკურ ტრადიციად მიჩნეული, ჯერაც გაბატონებული *რეალიზმის* კონცეფცია საერთაშორისო სისტემის ჩარჩოებში სახელმწიფოთა ურთიერთობებს ძალის, ძლიერების პრიმატის ნიშნით განიხილავს[122]. რეალიზმი აღიარებს, რომ საერთაშორისო პოლიტიკა არის სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთქმედება ანარქიულ და იერარქიულ საერთაშორისო სისტემაში. ყოველი სახელმწიფო სხვების მიმართ შიშის თუ საკუთარი ჰეგემონისტური მისწრაფებების გამო საკუთარი მიზნების მიღწევას ძალის პირდაპირი (მუქარა, ზეწოლა, და ა.შ.) ან არაპირდაპირი გამოყენებით ცდილობს. ეს მიზნები კი უბრალოდ გადარჩენიდან მსოფლიო ჰეგემონობამდეა.

რეალიზმის კონცეფცია მსოფლიოს სახელმწიფოებს, მათი შესაძლებლობებისა და მიზნების გათვალისწინებით, რამდენიმე ჯგუფად ყოფს:

1. სახელმწიფოები, რომლებსაც ძალუძთ მსოფლიოში წამყვანი როლი შეასრულონ. ესენია სუპერძალები, უძლიერესი სახელმწიფოები (მაგ., აშშ, ადრე სსრკ);
2. სახელმწიფოები, რომლებიც მსოფლიოში წამყვანი როლის შესრულებაზე აცხადებენ პრეტენზიას; მაგრამ ისინი საერთაშორისო ურთიერთობათა რომელიმე სფეროში გავლენითა თუ ლიდერობით შემოიფარგლებიან (მაგ., საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, რუსეთი);

---

122 რეალიზმის შესახებ იხ.:ალექსანდრე რონდელი. საერთაშორისო ურთიერთობები. მესამე, განახლებული გამოცემა. გამომცემლობა "ნეკერი", 2006, გვ. 64-110; Barry Buzan, "The Timeless Wisdom of Realism?" In: Steven Smith, Ken Booth, Marysia Zalewski (Eds.). *International Theory: Positivism and Beyond*, Cambridge University Press, Cambridge, 1996, pp 47-65

3. სახელმწიფოები, რომლებიც რეგიონული ლიდერის როლის შესრულებას ცდილობენ (მაგ., ეგვიპტე, ბრაზილია, ნიგერია, ზაირი, ირანი, თურქეთი და ა. შ.);
4. სახელმწიფოები, რომელთა მცირე სიდიდე და სამხედრო-პოლიტიკური სისუსტე მათ მხოლოდ ლოკალური როლის შესრულების საშუალებას აძლევს. მათ, პირველ ყოვლისა, თავიანთ გადარჩენაზე და უფრო ძლიერი მეზობლების კლანჭებიდან თავის დაღწევაზე უნდა იზრუნონ. ამგვარი პატარა ქვეყნები მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობას შეადგენენ, მაგრამ ისინი საერთაშორისო ურთიერთობებში ობიექტები უფრო არიან, ვიდრე – სუბიექტები.

რეალიზმი აღიარებს:საერთაშორისო სისტემაში ძალის პოლიტიკა ბატონობს და მიუხედავად იმისა, რომ დღეს ამგვარი პოლიტიკა ხშირად საკმაოდ არის შენიღბული, საერთაშორისო ურთიერთობათა არსს მაინც იგი წარმოადგენს. ბუნებრივია, რომ რეალიზმის, ძალის პოლიტიკის კონცეფციაში პატარა სახელმწიფოებს, რბილად რომ ვთქვათ, მეორეხარისხოვანი ადგილი და როლი აქვთ მიკუთვნებული. რეალიზმის კონცეფციის თანახმად, პატარა, სუსტი ქვეყნების ბედ-იღბალი მხოლოდ ძლიერი ქვეყნების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. ნიშანდობლივია, რომ *ჰანს მორგენთაუ* ლამის რეალიზმის ბიბლიად მიჩნეულ თავის 600-გვერდიან ნაშრომში *სახელმწიფოთა პოლიტიკა. ძალაუფლებისა და მშვიდობისათვის ბრძოლა* პატარა სახელმწიფოების საკითხს თითქმის არ ეხება და მხოლოდ გაკვრით შენიშნავს:„პატარა ქვეყანამ საკუთარი უფლებების დასაცავად უფრო ძლიერი მეგობრის მფარველობა უნდა მიიღოს... პატარა ქვეყნის უფლებების დაცვა... ძალთა წონასწორობის მექანიზმის მეშვეობით ხდება“[123]. საერთაშორისო ურთიერთობათა გამოჩენილი თეორეტიკოსი ფრანგი *რაიმონ არონიც* პატარა ქვეყნებს საერთაშორისო იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურად მიიჩნევს[124]. გამოჩენილი ამერიკელი დიპლომატი და მეცნიერი *ჯორჯ ქენანი*, რომელსაც

---

123 Hans I. Morgenthau. *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*. Fourth Edition. Alfred A. Knopf, New York . 1967, p. 282

124 Raymond Aron. *Peace and War: A Theory of International Relations*. F. Praeger. New York, 1968, p. 98 ; რ. არონის კონცეფციის შესახებ იხილეთ: თეა ნულუკიანი. საერთაშორისო ურთიერთობების რაიმონ არონისეული კონცეფცია. “ნეკერი. თბილისი, 1998

უზარმაზარი წვლილი აქვს შეტანილი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და მიზნების შემუშავებაში, პატარა ქვეყნების ადგილსა და როლს თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში ძალზე სკეპტიკურად აფასებს. *ქენანს* მიაჩნია, რომ საერთაშორისო სისტემა იერარქიული უნდა იყოს და მასში წესრიგს ძლიერი სახელმწიფოები უნდა ამყარებდნენ; ხოლო ის ლიბერალური წარმოდგენა, თითქოს დიდი სახელმწიფოები ბუნებით არიან ცუდები, პატარა ქვეყნები კი – უმანკონი და კეთილნი, ბავშვური სიზმარია. ქენანის აზრით, ამის შედეგად წარმოდგა „სუსტი და უუნარო ქვეყნების მთელი გროვა, რომელთა სუვერენული სტატუსი სრული უაზრობაა"[125]. ვიეტნამში დაწყებული ომის გამო, აშშ-ის კონგრესის ერთ-ერთ კომიტეტში მოწყობილ სხდომაზე გამოსვლისას *ქენანმა* შენიშნა, რომ „არსებობს ძალიან ბევრი ახალი პატარა სახელმწიფო გამოუცდელი მთავრობით, ქვეყნები ეროვნული სახელმწიფოებრიობის სუსტი ტრადიციებით. მერწმუნეთ, ისინი ერთმანეთთან ბრძოლას დაიწყებენ და ჩვენი, როგორც ძლიერი ქვეყნის, როლი უნდა იყოს ამ კონფლიქტების იზოლირება, შერბილება, რადგან ისინი დიდ ზიანს მიაყენებენ მსოფლიო მშვიდობას"[126].

რეალიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო თეორეტიკოსი *არნოლდ ვოლფერსი*, იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო სისტემაში პატარა, სუსტ ქვეყნებს მეორეხარისხოვან როლს აკუთვნებს, შენიშნავს: არსებობს „პარადოქსული ფენომენი, რომელსაც „სუსტის ძლიერებას" ვუწოდებთ; ეს კარგად გამოიხატა მთელი რიგი სუსტი სახელმწიფოების შედეგიანი პოლიტიკით სუპერ-ძალების სამყაროში, განსაკუთრებით – კუბისა და ალბანეთის მაგალითზე, რომლებმაც, თუნდაც გამონაკლისის სახით, მათზე ბევრად ძლიერი მეზობლების დაწოლას გაუძლეს"[127]. „სუსტის ძლიერების" მთავარი მიზეზი, მისი აზრით, თვით ძლიერი სახელმწიფოების ურთიერთობებში ძევს. *ვოლფერსის* აზრით, პატარა, სუსტ ქვეყნებს შედეგიანი პოლიტიკის გატარება შეუძლიათ, არა მხოლოდ სხვისგან ძალის „სესხებით", არამედ საკუთარი შესაძლებლობების სწორი გამოყენებით, სუსტი ქვეყნების სოლიდარობაზე

---

125 G. F. Kennan, *The Cloud of Danger: Current Realities of American Foreign Policy*, Boston, Atlantic- Little, Brown, 1977, pp. 29-31

126 I. W. Fulbright (Ed.), *The Vietnam Hearings*, New York, 1966, pp. 150-151

127 Arnold Wolfers, *Discord and Collaboration: Essays on International Politics*, Baltimore, The Johns Hopkins University Press, 1988, p. 111

დაყრდნობით[128].

რეალიზმის კონცეფციის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში პატარა ქვეყნები დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ იმ დრომდე, სანამ და რამდენადაც ეს ძლიერ ქვეყნებს აძლევს ხელს. ისინი ზოგჯერ პატარა ქვეყნების ბუფერულ როლზე თანხმდებიან, ზოგჯერ კი პატარა ქვეყნებს ნეიტრალიტეტით „ასაჩუქრებენ". რეალიზმის თანახმად, პატარა ქვეყნები საბოლოოდ ძალთა წონასწორობის მექანიზმის მეშვეობით ცდილობენ მფარველი ან მფარველები გამონახონ, რომელიმე ქვეყანასთან ან ქვეყნებთან შევიდნენ კავშირში, რაც მათი გადარჩენისა და შემდგომი არსებობის საწინდარი გახდება.

პატარა ქვეყანა, პირველ ყოვლისა, უსაფრთხოების გარანტიებს ეძებს. მას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობები არ ჰყოფნის. მფარველის მოძიება, ძლიერ ქვეყანასთან კავშირის დამყარებით და ამ გზით ძალის „სესხება" მას საკუთარი ეროვნული ინტერესების, პირველ ყოვლისა კი, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ესაჭიროება.

მულტიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში პატარა ქვეყანას თითქოს უფრო მეტი არჩევანი და უფრო მოქნილი საგარეო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობები მოეპოვება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პატარა ქვეყნის „მოქმედების რადიუსი" და ინტერესებისა და უსაფრთხოების სფერო, როგორც წესი, რეგიონის მასშტაბისაა და, პირველ ყოვლისა, რეგიონში ძალთა წონასწორობისა და უსაფრთხოების დინამიკითა და ხასიათით განისაზღვრება. ამასთან, პატარა ქვეყნები, რეგიონულ დონეზეც კი, ვერ ქმნიან საერთაშორისო ურთიერთობებში „თამაშის წესებს". ისინი თავიანთი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად იმაზე არიან გამეცადინებულნი, რათა ძლიერი ქვეყნების მეტოქეობა გამოიყენონ და კავშირების მექანიზმის მოქნილი გამოყენებით საერთაშორისო პოლიტიკის მორევს დააღწიონ თავი.

ბიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში ორი დაპირისპირებული ძალის პოლუსი (სათანადო „ანტურაჟით"), ორი დაპირისპირებული ბლოკი, პატარა ქვეყანას მისი საგარეო პოლიტიკური არჩევანის, ორიენტაციის თვალსაზრისით ძალიან მცირე შანსს უტოვებს. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ პატარა ქვეყნების მიმართ, რომლებიც გეოპოლიტიკური მდებარეობის, მათ ტერი-

128 იქვე. p. 112

ტორიაზე სტრატეგიული ნედლეულის არსებობის ან კიდევ ზოგიერთი სხვა მიზეზის გამო დაპირისპირებული ძალის პოლუსების განსაკუთრებული ინტერესების სფეროს წარმოადგენენ. ამგვარ პატარა ქვეყნებზე გარედან, ერთ-ერთი ძალის პოლუსის მხრიდან, ისეთი ზეწოლა ხორციელდება, რომ, როგორც წესი, ისინი არანაირი სურვილის გარეშეც კი ან ერთ, ან მეორე ბლოკში ამოყოფენ თავს.

ბიპოლარულ საერთაშორისო სისტემაში პატარა ქვეყანას საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ორი გზა, ორი სტრატეგია რჩება:ან ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოს მოკავშირე გახდეს, ან ბიპოლარული კონფრონტაციის გარეთ დარჩეს და თავი მიუმხრობელ ან ნეიტრალურ ქვეყნად გამოაცხადოს. თუ ბიპოლარულ სისტემაში კონფრონტაციის დონე მაღალია და ორ მეტოქეს შორის ურთიერთობები – ძალიან დაძაბული, მაშინ პატარა ქვეყანას უაღრესად მძიმე ვითარება ექმნება. თუ ბიპოლარულ სისტემაში დაძაბულობისა და კონფრონტაციის დონე დაბალია, მაშინ პატარა ქვეყანას მანევრირების და აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარების მეტი შესაძლებლობები უჩნდება. „ცივი ომის" პირობებში მრავალმა პატარა ქვეყანამ „მიუმხრობლობის მოძრაობას" შეაფარა თავი და ამ გზით ასე თუ ისე ეცადა ბიპოლარული კონფრონტაციის პროცესისაგან თავის დაღწევას.[129]

პატარა ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური სისუსტე, მისი გეოპოლიტიკური თუ ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა და მნიშვნელობა კი ის ძირითადი მახასიათებლებია, რომლებიც მის ადგილსა და როლს განსაზღვრავს რეალიზმის თვალით დანახულ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში, ძალის პოლიტიკის დაუნდობელ სამყაროში.

პლურალიზმი. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში განვითარდა და გამოიკვეთა *პლურალიზმის* კონცეფცია, რომლის სასაძირკვლე მოსაზრების თანახმადაც, თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში სრულუფლებიან მოქმედ პირებს სუვერენულ სახელმწიფოსთან ერთად, *არასახელმწიფო მონაწილეებიც* (ტრანსნაციონალური კორპორაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ეკლესია, საერთაშორისო ტერორისტული და სხვა სახის კრიმინალური ჯგუფები, სხვადასხვა ქვეყნების ელიტებისა და უბრალო მოქალაქეების არაფორ-

129 მიუმხრობლობის შესახებ იხილეთ შემდეგი თავი.

მალური კავშირები, საერთაშორისო პროფესიული გაერთიანებები და სხვ.) წარმოადგენენ. საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკას შორის სხვაობა კი თითქმის წაშლილად მიიჩნევა[130]. *პლურალიზმის* კონცეფციის მიხედვით, ამჟამად სახელმწიფოები ეკონომიკურად ძალიან ურთიერთდამოკიდებულნი არიან და მრავალი საერთაშორისო პროცესის (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული ინტეგრაცია და სხვ.) შედეგად სახელმწიფო საზღვრების ადრინდელი მნიშვნელობა და სუვერენულობა შეიზღუდა, ხოლო სამხედრო ძალის ფაქტორი მსოფლიო პოლიტიკაში თავის უწინდელ მნიშვნელობას კარგავს. შესაბამისად, *პლურალიზმის* მიმდევართა შეხედულების თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობათა რეალისტური ხედვა მოძველდა და თანამედროვე მსოფლიოს რეალური ვითარების განსახილველად აღარ გამოდგება, ვინაიდან იგი კვლავაც ძალის, სამხედრო ძლიერებისა და სუვერენული სახელმწიფოს როლს განმსაზღვრელად მიიჩნევს და ამის გამო საერთაშორისო ურთიერთობებს უკიდურესად გამარტივებული სქემის თვალსაზიერიდან განიხილავს.

პლურალიზმის კონცეფციაში წამყვანი ადგილი მსოფლიოს სამეურნეო ინტერნაციონალიზაციას, სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებას, სახელმწიფო საზღვრების „გამჭვირვალობას" და ინტეგრაციის შედეგად სახელმწიფოთა სუვერენიტეტის განუხრელი შეზღუდვის ტენდენციას უჭირავს. ბუნებრივია, რომ *პლურალიზმის* მიერ დანახულ სამყაროში რაციონალიზმი, ეკონომიკური ინტერესები და მიზნები წამყვანი ფაქტორებია. ბუნებრივია ისიც, რომ ამგვარ სამყაროში ქვეყნების უსაფრთხოება უფრო უზრუნველყოფილია და მათ ტერიტორიულ მთლიანობას ნაკლები საშიშროება ემუქრება. ამასთან, ამგვარი საერთაშორისო სისტემის პირობებში პატარა, სუსტი სახელმწიფოები ადრინდელთან შედარებით თავს უფრო უსაფრთხოდ უნდა გრძნობდნენ. უფრო მეტიც:პატარა ქვეყნების, როგორც საერთაშორისო შრომის დანაწილების ელემენტების, როლი გაზრდილია

130 პლურალიზმის შესახებ იხ.:ალექსანდრე რონდელი. საერთაშორისო ურთიერთობები. მესამე განახლებული გამოცემა. გამომცემლობა "ნეკერი", თბილისი, 2006, გვ. 177 – 193; Robert O. Keohane. Joseph S. Nye, *Power and Interdependence* Second Edition. Scott, Foresman and Company, Glenview, 1989; Richard Little, "The Growing Relevance of Pluralism?" In: Steven Smith, Ken Booth an Marysia Zalewski (Eds.), *International Theory: Positivism and Beyond*, Cambridge University Press, Cambridge, 1996, pp. 66-86

და ისინი ინტეგრაციულ პროცესებში მათზე ბევრად უფრო ძლიერ ქვეყნებთან ერთად არიან ჩაბმულნი. ბევრი მათგანის ბუფერული როლი საერთაშორისო სავაჭრო „ხიდების", „დერეფნების" როლით იცვლება და მათი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა თანდათან გეოეკონომიკურ შეფერილობას იძენს.

პლურალისტებს მიაჩნიათ, რომ ტრანსნაციონალიზმი და ურთიერთდამოკიდებულება გლობალური პროცესებია და ამიტომ ისინი მეტ-ნაკლებად მსოფლიოს ყველა სახელმწიფოზე უდიდეს გავლენას ახდენს[131]. ამასთან, პლურალისტების აზრით, მსოფლიოში გაძლიერდა დემოკრატიზაციის პროცესი და ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფო ლამის მმართველობის უნივერსალურ ფორმად იქცა, რაც გლობალიზაციის პროცესს თავისთავად დამატებით მძლავრ იმპულსს ანიჭებს[132].

პლურალიზმის კონცეფცია, რა თქმა უნდა, გლობალიზაციის პროცესების შედეგებში სტაბილურობას, მშვიდობას, ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს ხედავს. *პლურალიზმის* სხვადასხვა მიმართულებების და მიმდინარეობების წარმომადგენლები აღიარებენ, რომ მეურნეობის ინტერნაციონალიზაციის პროცესები მსოფლიო განვითარების ლოგიკური შედეგია და საბოლოოდ ყველასათვის სტაბილურობისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მომტანი. ამასთანავე, ისინი ერთნაირად არ აფასებენ ხსენებული პროცესების გამაღრმავებელი მექანიზმების თავისებურებებს, მათ ამჟამინდელ და მომავალში შესაძლო შედეგებს. *პლურალიზმის* ბევრი მიმდევარი საერთაშორისო ურთიერთობათა არსისა და სურათის გამარტივებას და მისგან „იდეოლოგიური" კონცეფციის შექმნას არ ცდილობს. *პლურალიზმის* კონცეფცია მსოფლიოს განიხილავს, როგორც უაღრესად რთული და ურთიერთდაკავშირებული მოვლენებისა და პროცესების ერთიანობას, მაგრამ გლობალური ურთიერთდამოკიდებულების შემდგომ გაღრმავებას დადებითად აფასებს.

---

131 ხსენებული პროცესის შესახებ იხ.:Philip G. Cerny, "Globalisation and Other Stories: the Search for a New Paradigm for International Relations", *International Journal*, Vol. LI, N 4, Autumn 1996, pp. 617-637; Roland Robertson, *Globalisation: Social Theory and Global Culture*, Sage, London, 1992; Y. Sakamoto (Ed.), *Global Transformation: Challenges to the State System*, United Nations University Press, Tokyo, 1992

132 ამის შესახებ იხ.:Francis Fukuyama, *The End of History and the Last Man*, Free Press, New York, 1992

პლურალიზმის მოწინააღმდეგეები ამგვარ კონცეფციაში მცდარ შეხედულებას და ზოგჯერ ილუზიასაც კი ხედავენ. კრიტიკა მომდინარეობს როგორც მარცხნიდან (რადიკალები, მარქსისტები, სტრუქტურალისტები და ა.შ.), ასევე – მარჯვნიდანაც (რეალისტები). „მემარცხენე" კრიტიკოსები პლურალიზმს მცდარ კონცეფციად იმიტომ მიიჩნევენ, რომ, მათი წარმოდგენით, მსოფლიო სისტემა კაპიტალისტურია და ამდენად, რანაირადაც არ უნდა განვითარდეს, მასში ძლიერი, განვითარებული სახელმწიფოების მიერ ნაკლებგანვითარებული, სუსტი სახელმწიფოების ჩაგვრა და ექსპლუატაცია შენარჩუნდება და კიდევ უფრო გაღრმავდება. „მემარჯვენე" კრიტიკოსები კი პლურალიზმს იმაში ადანაშაულებენ, რომ იგი უგულებელყოფს საერთაშორისო ურთიერთობათა უმთავრეს ფაქტორს – ძალას და ივიწყებს, რომ მსოფლიო იმთავითვე იყო, არის და მუდამ იქნება მხოლოდ არათანაბარი ძალის მონაწილეთა იერარქიული და ანარქიული სისტემა.

ჩვენს პლანეტაზე ურთიერთდამოკიდებულების პროცესის აშკარა გაღრმავების მიუხედავად, პლურალიზმის კრიტიკოსები მიგვითითებენ იმ გარემოებაზე, რომ პირველი მსოფლიო ომის წინ ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების შესახებ ასევე ბევრს საუბრობდნენ და ამ იდეების იმდროინდელი აპოლოგეტი ინგლისელი *ნორმან ანჯელი* თავის წიგნში *დიდი ილუზია* ამტკიცებდა, რომ საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკურ სფეროში ქვეყნებს შორის იმდენად ღრმა ურთიერთდამოკიდებულებაა მიღწეული, რომ სამხედრო და პოლიტიკურ ძლიერებას აღარაფერი ძალუძს[133]. 1911 წელს *ანჯელის* წიგნის ერთი მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა, იგი ბესტსელერი გახდა, ავტორმა ნობელის პრემია მიიღო, მაგრამ 1914 წელს პირველი მსოფლიო ომი მაინც დაიწყო. კრიტიკოსები შენიშნავენ, რომ მაშინ, ომის წინა პერიოდში, მსოფლიო ეკონომიკურად იმგვარადვე იყო ინტეგრირებული, როგორც ამჟამად და ამისთვის სათანადო სტატისტიკას იშველიებენ. ისინი მიგვითითებენ, რომ 1913 წელს წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოების სამრეწველო ექსპორტი მათი ერთობლივი შიდა პროდუქტის 13%-ს შეადგენდა, ხოლო 1992 წელს ეს მაჩვენებელი დაახლოებით ამგვარივე – 14% იყო. არც საზღვარგარეთ პირდაპირი ინვესტირების მაჩვენებლები – განვითარებული ქვეყნების ერთობლივი შიდა პროდუქტის დაახლოებით 10%

133 Norman Angell, *The Great Illusion*, G. P. Putnam's Sons, New York, 1911

– სხვაობს დიდად მაშინ და დღეს[134].

ყოველივე აქედან გამომდინარე, შეიძლება თუ არა ითქვას, რომ დღეს საერთაშორისო სისტემა ისევე ანარქიულია, როგორც XX საუკუნის დასაწყისში? – პასუხი ორმაგია:დიახ! (იმიტომ, რომ თანამედროვე საერთაშორისო სისტემა არსებითად ისეთივეა, როგორიც საუკუნის დასაწყისში იყო. იგი ძლიერი და სუსტი სახელმწიფოების ერთიანობაა, რომელშიც წესრიგს ძლიერნი ამყარებენ და უპირატესობასაც თავიანთ ინტერესებს ანიჭებენ. ამასთანავე, გაიზარდა საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ქცევის ნორმებისა და წესების როლი, საზოგადოებაში გაძლიერდა ეკონომიკური კეთილდღეობის მიმზიდველობის ფაქტორი, თანამედროვე ტექნოლოგიამ თვისებრივად შეცვალა ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი). არა! (იმიტომ, რომ დღევანდელი ურთიერთდამოკიდებულება მაინც განსხვავდება უწინდელისაგან როგორც პირობებით, ასევე წამყვანი ფაქტორებით. XX საუკუნის დასაწყისში გადამამუშავებელი მრეწველობა თავმოყრილი იყო მხოლოდ რამდენიმე განვითარებულ ქვეყანაში. ამჟამად კი ზოგიერთმა სამრეწველო დარგმა ფართოდ მოიკიდა ფეხი იაფი მუშახელის მქონე ბევრ განვითარებად სახელმწიფოში. საუკუნის დასაწყისში გლობალიზაციის სტრუქტურას კოლონიური იმპერიები, პირველ ყოვლისა კი, ბრიტანეთის იმპერია განსაზღვრავდა, ხოლო ბრიტანული, გერმანული თუ ამერიკული კომპანიები თავიანთ საქმიანობას საზღვარგარეთ საკუთარი ქვეყნების სამხედრო ძალის იმედით და მასზე დაყრდნობით ახორციელებდნენ. გარდა ამისა, დღეს ინფორმაციულმა ტექნოლოგიამ ძლიერ დააჩქარა და გააადვილა სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ურთიერთობა).

როგორია პატარა ქვეყნის ბედი პლურალიზმის კონცეფციის თანახმად? ამ კონცეფციის ლოგიკიდან გამომდინარეობს, რომ პატარა ქვეყნებს ურთიერთდამოკიდებულების, ინტეგრაციის გაღრმავების პირობებში უსაფრთხოების უფრო განსხვავებული პრობლემები გაუჩნდებათ. თუ ადრე პატარა ქვეყნის უსაფრთხოებაში, პირველ ყოვლისა, ფიზიკური გადარჩენა იგულისხმებოდა, ამჟამად მისი უსაფრთხოების პრობლემების „ეკონომიზაცია" შეიმჩნევა. პატარა ქვეყნისათვის დღეს უაღრესად მნიშვნელოვანია საერთაშორისო შრომის დანაწილების მექანიზმში და საერთა-

134 Peter Beinart, "An Illusion for Our Time", *The New Republic*, October 20, 1997, pp. 20-24; Lous Uchitelle, "World Economy Is as Interconnected Today as in 1913", *New York Times*, April 30, 1998

შორისო ბაზარზე საკუთარი ადგილისა და ფუნქციის მოძიება და დამკვიდრება. მისი სიცოცხლისუნარიანობა, უწინარეს ყოვლისა, მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხასიათზეა დამოკიდებული. ადრე ნეიტრალიტეტისა და მიუმხრობლობის მონადინე ზოგიერთი პატარა ქვეყანა დღეს საერთაშორისო ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვას და აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებას ამიტომაც ცდილობს. პატარა ქვეყნის ნაცადი „თავშესაფარი" – მუდმივი ნეიტრალიტეტი, ზოგიერთი ავტორის აზრით, მალე დავიწყებას მიეცემა[135]. ყოველ შემთხვევაში, მათი აზრით, ევროპაში მიმდინარე პროცესები ამაზე მიგვითითებს.

რეალიზმთან შედარებით, *პლურალიზმი* პატარა სახელმწიფოებს ბევრად მეტ უსაფრთხოებას, ეკონომიკურ კეთილდღეობას და უღრუბლო მომავალს ჰპირდება. არ არის გამორიცხული, მსოფლიო პლურალიზმის კონცეფციის ძირითადი პრინციპების მიხედვით განვითარდეს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც პატარა ქვეყნების სრული (პირველ ყოვლისა, კულტურული და ეკონომიკური) უსაფრთხოება ძნელი წარმოსადგენია.

პლურალიზმის თვალით დანახული მსოფლიო სრული ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის, მაგრამ სანამდე გაგრძელდება ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების პროცესი? რა დონეზე შეჩერდება იგი – რეგიონულზე, გლობალურზე თუ მალე სულაც გაჩერდება? თუ შემდგომი განვითარება პლურალიზმის კონცეფციის მიხედვით წარიმართა, მაშინ შორეულ მომავალში არც სუვერენული სახელმწიფოები იქნება და, მაშასადამე – არც დიდი და პატარა სახელმწიფოები. ჯერჯერობით კი პატარა სახელმწიფოებს, საერთაშორისო სისტემაში მათი საარსებო პირობების გარკვეული გაუმჯობესების მიუხედავად, როგორც თავიანთი უსაფრთხოების, ასევე ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის თვალსაზრისით ურთულესი პრობლემები აქვთ გადასაწყვეტი.

გლობალიზმი. საერთაშორისო ურთიერთობათა ამ რადიკალური კონცეფციის სამი ძირითადი თეორიული სკოლა (მსოფლიოსისტემის, დაქვემდებარებისა და სტრუქტურალიზმის) საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესს და საერთაშორისო სისტემას

---

135 Michael Cox and Roger MacGinty, "Farewell to a Beautiful Idea: The End of Neutrality in the Post-Cold War World", In: Werner Bauwens, Armand Clesse and Olav F. Knudsen (Eds.), *Small States and the Security Challenge in the New Europe*, Brassey's . London, 1996, pp. 122-134

ერთ პრინციპულ პოსტულატზე დაყრდნობით აფასებს:მსოფლიო წარმოადგენს გლობალურ კაპიტალისტურ სისტემას, რომელშიც ძლიერი ქვეყნები თავიანთი ეკონომიკის სტრუქტურული უპირატესობების გამო პატარა, სუსტ ქვეყნებს აკონტროლებენ და ძლიერი ეკონომიკის მეშვეობითვე ექსპლუატაციას უწევენ მათ[136].

ამ კონცეფციაში საერთაშორისო ურთიერთობები ეკონომიკურ ჭრილში განიხილება, ხოლო საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები წარმოდგენილია როგორც ერთიანი გლობალური კაპიტალისტური სისტემა[137]. ხსენებული სისტემა იერარქიულად სამი საფეხურისაგან შედგება: 1. ბირთვი; 2. ნახევრადპერიფერია და 3. პერიფერია. გლობალიზმის თანახმად, შრომის კაპიტალისტური დანაწილების გლობალურ საერთაშორისო სისტემაში ბირთვს წარმოადგენენ განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფოები, რომლებშიც განვითარებულია კაპიტალტევადი და მეცნიერებატევადი დარგები (მაღალი კვალიფიკაციის და მაღალი ხელფასების მქონე მუშახელით), პერიფერიაში კი (სუსტ ქვეყნებში) წარმოდგენილია შრომატევადი დარგები (იაფი და არაკვალიფიციური მუშახელით). პერიფერია არა მხოლოდ ეკონომიკური ჩამორჩენილობით და სიღარიბით გამოირჩევა, არამედ იგი პოლიტიკურ ზეწოლასაც განიცდის.

[*გლობალიზმის* კონცეფციიდან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ პატარა სახელმწიფოები დიდებთან შედარებით უფრო დამოკიდებულნი და მეტიც – მათზე დაქვემდებარებულნი არიან]

სამხედრო-პოლიტიკური სისუსტისა და მცირე, არატევადი

---

136 იხ.:ალექსანდრე რონდელი. საერთაშორისო ურთიერთობები. მესამე განახლებული გამოცემა. გამომცემლობა "ნეკერი", თბილისი, 2006, გვ. 213 – 230; გვ. 162-180; გვ. 194 – 240; გვ. 272 – 291; გვ. 231-236; Immanuel Wallerstein, *The Modern World - System I*, New York, Academic Press, 1974; Immanuel Wallerstein, *The Modern World-System II*, New York, Academic Press, 1980; Immanuel Wallerstein, *The Modern World System III*, San Diego, Academic Press, 1989; Samir Amin, *Imperialism and Unequal Development*, Hassocks, Harvester Press and New York, Mounthly Review Press, 1977; Robert W. Cox, *Production, Power and World Order: Social Forces in the Making of History*, Columbia University Press, New York, 1987; Paul Knox, John Agnew, *The Geography of the World Economy*, Edward Arnold,London,1990;

137 იხ.:Raymo Vayrynen, "Small States in Different Theoretical Traditions of International Relations", In: Otmar Holl (Ed.), *Small States in Europe and Dependence*, Western Press, Boulder, CO, W. Braumuller, Wien, pp. 89-99, 1983

შიდა ბაზრის გახსნილობის გამო საერთაშორისო სისტემაში ცვლილებები მათზე ბევრად უფრო დიდ გავლენას ახდენს. [პატარა ქვეყნები საერთაშორისო კაპიტალისტურ სისტემაზე გავლენას ვერ ახდენენ.] სამაგიეროდ, ხსენებული სისტემა მთლიანად დომინირებს და განსაზღვრავს მათ როლსა და ფუნქციას შრომის საერთაშორისო დანაწილებაში (გეოგრაფიულ ფაქტორებთან ერთად). [*გლობალიზმის* კონცეფციიდან გამომდინარე, ეკონომიკური და კულტურული უსაფრთხოების უზრუნველყოფა პატარა ქვეყნისათვის უაღრესად რთული ამოცანაა.]

გლობალიზმის კონცეფციის მიხედვით, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემა არათანაბრად ვითარდება; ეს კანონზომიერებაა და არა დროებითი ტენდენცია. ამიტომ, ის, ვინც განვითარებულ ქვეყნებთან, „ბირთვთან" შედარებით ჩამორჩენილია, მომავალშიც ჩამორჩენილი დარჩება; ბირთვს კი,'„პერიფერიის" დაქვემდებარებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად აქვს ექსპლუატაციისკარგად მომართული"და შემოწმებული მექანიზმები, რომელთა მარწუხებიდან თავის დაღწევასაც ჩამორჩენილი ქვეყანა პრაქტიკულად ვეღარ შეძლებს.აზიაში ზოგიერთი ახალი ინდუსტრიული ქვეყნის (სინგაპური, სამხრეთ კორეა, მალაიზია და სხვ.) გამოჩენამ გლობალიზმის კონცეფციის მიმდევართ საკმაოდ ძლიერი დარტყმა მიაყენა, მაგრამ მათ ხსენებული მოვლენა რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევებად (ობიექტური და სუბიექტური ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების იშვიათ დამთხვევად)წარმოადგინეს. გლობალისტების აზრით, მომავალში პერიფერიის ქვეყნების ძალიან მცირე ნაწილი თუ შეძლებს „ბირთვთან" მიახლოებას.

ჩამორჩენილობის დაძლევა, გლობალისტების შეხედულებით, ძლიერი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყანას შეუძლია, მაგრამ ამგვარი ქვეყანა პერიფერიაში განა ბევრია? ჩამორჩენილი ქვეყნების უმრავლესობა სწორედ სუსტი სახელმწიფოებრიობით, სახელმწიფო ინსტიტუტების განუვითარებლობით,მათი დაბალი ეფექტურობით და არამდგრადობით გამოირჩევა. ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნები ვერ ახერხებენ თავიანთი ეროვნული ინტერესების შესაბამისად საკუთარი ეკონომიკის განვითარებას. ამგვარი ქვეყნები მაღალგანვითარებული სახელმწიფოების კაპიტალისტური „ინტერვენციის" ობიექტები ხდებიან. განვითარებული სახელმწიფოების დაქვემდებარებაში რჩებიან და მათგან ექსპლუატაციას განიცდიან.

გლობალიზმი საერთაშორისო სისტემას და მასში მიმდინ-

არე პროცესებს კაპიტალიზმის განვითარების თვალსაზიერიდან განიხილავს, მისთვის განმსაზღვრელია, კაპიტალისტური განვითარების რომელ საფეხურზე იმყოფება ესა თუ ის ქვეყანა და როგორია მისი ადგილი შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში. გლობალიზმის კონცეფციის თანახმად, კაპიტალიზმის სისტემაში ამა თუ იმ ქვეყნის ადგილი და როლი არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სამხედრო-პოლიტიკური შესაძლებლობებით განისაზღვრება. ბუნებრივია, რომ პატარა ქვეყნები, თავიანთი მცირე სიდიდისა და შეზღუდული რესურსების გამო, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საერთაშორისო სისტემის იერარქიის მაღალ საფეხურზე ვერ მოხვდებიან და, ამდენად, უფრო დაქვემდებარებულ, მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ.

გლობალიზმის კონცეფციის არსიდან გამომდინარე, პატარა ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემა, ეკონომიკური ხასიათის უფროა. პატარა ქვეყანა საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის არსებით სტრუქტურებზე და მექანიზმებზე გავლენას ვერ ახდენს. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობების პროცესზე მისი გავლენაც უმნიშვნელოა. უფრო მეტიც, სხვებზე ეკონომიკური დაქვემდებარების გამო, პატარა ქვეყანა პოლიტიკურადაც უმწეო და მყიფეა.

პერიფერია და პატარა ქვეყნები სინონიმებად არ უნდა მივიჩნიოთ. არსებობს „ბირთვის" ნაწილად ქცეული განვითარებული პატარა კაპიტალისტური სახელმწიფოები (შვეიცარია, დანია, ნორვეგია, ბელგია და სხვ.). პატარა ქვეყნების უმრავლესობა კი „პერიფერიის" ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ამდენად, გლობალიზმი პატარა ქვეყანას საერთაშორისო სისტემის სუსტ, მეორეხარისხოვან მონაწილედ მიიჩნევს, მაგრამ მის სისუსტეს, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური ასპექტით განსაზღვრავს.

თავი 2

პატარა ქვეყანა საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში

ეს ცხოვრება კიბეა, ზოგი ადის,
ზოგი ჩამოდის, ზოგიც ცვივაო
ქართული ანდაზა

შეხედულება, თითქოს ქვეყანა, რომელიც დამოუკიდებლობას მოიპოვებს, თავისთავად სიცოცხლისუნარიანია, ძალიან ხშირად მცდარია. დღეს დედამიწაზე მრავალი იმგვარი სახელმწიფო არსებობს, რომელთა სიცოცხლისუნარიანობაში ბევრს სამართლიანად ეჭვი ეპარება. ამგვარ სახელმწიფოებს *კვაზი-სახელმწიფოებს* ვუწოდებთ[138]. ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ ამჟამად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა არის „იმთავითვე" არასიცოცხლისუნარიანი სახელმწიფოების გამოვლენა და „განკურნება" (თუნდაც მათი საზღვრების გადასინჯვის გზით!)[139]. ის აზრი, თითქოს ყველა ქვეყანას შეუძლია არსებობა და განვითარება, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მალევე დაწყებულ დეკოლონიზაციის პერიოდში გახდა პოპულარული. დღეს, ბევრი ექსპერტი, გამოცდილებაზე დაყრდნობით, ამგვარ შეხედულებას მცდარად მიიჩნევს.

საერთაშორისო ურთიერთობებში ასხვავებენ *ძლიერ* და *სუსტ ქვეყნებს*, მაგრამ ამასთანავე ასხვავებენ *ძლიერ* და *სუსტ სახელმწიფოებს*. ქვეყანა სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძლება ძლიერი იყოს, მაგრამ, როგორც სახელმწიფო, იყოს საკმაოდ სუსტი (მაგ., ნიგერია, ყოფილი სსრკ და სხვ.). და პირიქით, ქვეყანა სამხედრო-ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძლება პატარა, სუსტი იყოს, მაგრამ ამავე დროს ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდეს (მაგ., ფინეთი, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი სინგაპური, ავსტრია და სხვ.). ეროვნული უსაფრთხოების პოზიციებიდან გამომდინარე, სუსტი სახელმწიფოებრიობის მქონე თუნდაც გიგანტ ქვეყანას, ძლიერი სახელმწიფოებრიობის

138 იხ.:H. Jackson, *Quasi-states: sovereignty, international relations and The Third World*, Cambridge University Press, Cambridge, 1993, p.1, p.21.

139 Jefrey Herbst, "Is Nigeria a Viable State?" *The Washington Quarterly*, Vol, 19. N2, Spring 1996, pp. 153-154.

მქონე სუსტ, პატარა ქვეყანასთან შედარებით, მეტი თუ არა, ნაკლები პრობლემები არ ექნება. შიდა სისუსტე, სოციალური და ეთნიკური გათიშულობა, სუსტი ეკონომიკა, ძლიერი და მდგრადი სახელმწიფო ინსტიტუტების უქონლობა, მოსახლეობის დაბალი პოლიტიკური და ეკონომიკური კულტურა, დემოკრატიული ტრადიციების უქონლობა, ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა და ადამიანის უფლებათა მიმართ არატოლერანტული დამოკიდებულება ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას ურთულეს პრობლემებს უქმნის.[140]

ადრე, გაერო-სა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნამდე, როცა ლიბერალურ-დემოკრატიული ქვეყნები არც ისე ბევრი იყო, სუსტი სახელმწიფოები, განსაკუთრებით, წაგებული ომის შემდეგ, იშლებოდა და ძლიერი მეზობლების ნადავლი ხდებოდა. ამჟამად კი საერთაშორისო საზოგადოებაში მომრავლდა ისეთი ქვეყნები, რომელთაც არა აქვთ თანამედროვე სახელმწიფოებრიობის გამოცდილება და სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტით გამოირჩევიან. მათ არც ერთიანი სამოქალაქო საზოგადოება გააჩნიათ, ხშირად არც მათ მთავრობებს ძალუძთ თავიანთი მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების დაცვა, მათი მინიმალური მოთხოვნილებების უზრუნველყოფა (მაგ., ავღანეთი, ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, აფრიკის ბევრი ქვეყანა). ამის შედეგად დღეს არსებობენ ქვეყნები, რომლებიც არც პოლიტიკური სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევიან და არც ეკონომიკურით. ამ დროს მათი სუვერენულობა საერთაშორისო თანამეგობრობის, გაერო-ს მიერ არის გარანტირებული.[141] ამის გამოა, რომ ამ ქვეყნების მთავრობები ხშირად სამოქალაქო ხელისუფლების ელემენტარულ მოვალეობებსაც კი ვერ ახორციელებენ (ასეთებია: მოსახლეობის განიარაღება, გადასახადების აკრეფით საკმარისი შემოსავლის უზრუნველყოფა, ელემენტარული წესრიგის დამყარება და სხვ.), მათი აღსრულება საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, ან გავლენის საკუთარი სფეროების დამყარებაში მეტოქეობის შედეგად შეიძლება კოლექტიურად გარეშე ძალებს დაეკისროს. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ამგვარი ვითარება უდიდესი შეღავათია სუსტი სახელმწიფოებისათ-

---

140 B. Buzan. *People, States and Fear. The National Security Problem in International Relations*. The University of North Carolina Press. Chapel Hill. 1983. p. 66.

141 ზოგიერთი მკვლევარი ამგვარ სახელმწიფოებს „არშემდგარ" სახელმწიფოებსაც კი უწოდებს!

ვის, რადგან მათ „საერთაშორისო აღიარება აქვთ მოპოვებული და საკუთარი მთავრობების პოლიტიკური თუ ეკონომიკური უუნარობის მიუხედავად, არსებობა უნდა განაგრძონ".[142]

ფართოდ გავრცელებული პოლიტიკური და ეკონომიკური შეფასებებიდან (სისუსტე, დაუცველობა, მცირე და არატევადი შიდა ბაზარი, მასშტაბური წარმოების გაშლის შეუძლებლობა და ა.შ.) გამომდინარე, პატარა ქვეყნები არ უნდა არსებობდნენ. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორეტიკოსებს და ბევრ დიდ პოლიტიკოსსაც კი პატარა ქვეყნები ანაქრონიზმად მიაჩნია. გერმანული „გეოპოლიტიკის მამა" *კარლ ჰაუსჰოფერი* ფიქრობდა, რომ პატარა ქვეყნებს დამოუკიდებელი არსებობის სულ უფრო ნაკლები შანსი უნდა დარჩენოდათ; მისი აზრით, ისინი დიდი ქვეყნების შემადგენლობაში უნდა შესულიყვნენ. პირველი და მეორე მსოფლიო ომების წლებში ბევრი პატარა ქვეყანა ოკუპირებული იქნა, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ისინი, როგორც სუვერენული სახელმწიფოები, კვლავ აღორძინდნენ; უფრო მეტიც, მიმდინარე საუკუნის 40-იანი წლების მიწურულიდან დღემდე ათობით ახალი სუვერენული სახელმწიფო წარმოიქმნა; მათი უმრავლესობა (მათ შორის – საქართველოც პატარა ქვეყნებია).

თუ თვალს გადავავლებთ მიმდინარე საუკუნის მოვლენებს, დავრწმუნდებით, რაოდენ „გამძლე" და სიცოცხლისუნარიანნი აღმოჩნდნენ პატარა ქვეყნები. ბევრი მათგანი, სამხედრო და ეკონომიკური თვალსაზრისით, იმდენად სუსტი იყო, რომ პირველივე სერიოზულ კრიზისს უნდა „აღეგავა პირისაგან მიწისა", მაგრამ ისინი არათუ გადარჩნენ და განმტკიცდნენ, არამედ ბევრი ახალი „კოლეგაც" კი გაიჩინეს. რას უნდა უმადლოდნენ პატარა, სუსტი ქვეყნები თავიანთ გადარჩენას და ამჟამინდელ მომრავლებას? მხოლოდ საკუთარ მონდომებას და სიცოცხლისუნარიანობას, თუ სხვა, ობიექტურ გარეშე პირობებსა და ფაქტორებს? უნდა ვაღიაროთ, რომ უფრო მეტად – მეორეს.

პატარა ქვეყნების წარმოქმნა და არსებობა განპირობებულია გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეთნიკური თუ ეკონომიკური ობიექტური ფაქტორებით და მათი არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი დიდი, ძლიერი ქვეყნების სურვილი და დაინტერესებაა. საერთაშორისო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებაში ძალთა წონასწორობის მექანიზმიც მონაწილეობს და მისი

142 J. Mayall. *Nationalism and International Society*. Cambridge University Press. 1990. p. 123.

წყალობით პატარა ქვეყნების არსებობა რეგიონულ და მსოფლიო დონეზე, ფუნქციურ აუცილებლობას წარმოადგენს. როცა ძალთა წონასწორობის მექანიზმი დიდ ცვლილებებს განიცდის, სწორედ მაშინ ხდება დრამატული მოვლენები, რომლებიც, პირველ ყოვლისა, პატარა ქვეყნებზე ახდენს გავლენას.

დიდი და პატარა, ძლიერი და სუსტი სახელმწიფოები თავიანთი გაჩენის წუთიდან უთანასწორობის, ძალადობის სამყაროში აღმოჩნდებიან ხოლმე, ხოლო განვითარების ტემპებსა და ხასიათში სხვაობა კიდევ უფრო ზრდის დისპროპორციებს ძალისა და სიმდიდრის განაწილებაში. *რობერტ ტაკერს* მიაჩნია, რომ სახელმწიფოთა შორის უთანასწორობა ყველაზე მეტად საერთაშორისო სისტემის ხასიათით არის გამონვეული[143]. იგი შენიშნავს, რომ საერთაშორისო სისტემაში მოქმედი ძალთა წონასწორობის მექანიზმი, მართალია, პატარა ქვეყნებს ხშირად შველოდა საკუთარი დამოუკიდებლობის შენარჩუნებაში, მაგრამ იმავე მექანიზმს სუსტთა ინტერესი ასევე ხშირად უმსხვერპლია.

უნდა აღინიშნოს ძალზე მნიშვნელოვანი ერთი გარემოება, რომელმაც საერთაშორისო საზოგადოებაზე და, პირველ ყოვლისა, პატარა და სუსტ ქვეყნებზე უდიდესი გავლენა მოახდინა. ეს არის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ახლებური, გაზრდილი როლი საერთაშორისო ურთიერთობებში, მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში[144]. საერთაშორისო სისტემაში ამ ქვეყნების მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესა სახელმწიფოთა „ქცევის" ახალი წესებისა და ნორმების დამკვიდრებამ. ეს პროცესი XIX საუკუნის შემდეგ დაიწყო. თანდათანობით გამოიკვეთა ერთა თვითგამორკვევის უფლება, საკუთარ ტერიტორიაზე სახელმწიფოთა სუვერენული უფლებები, საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა, საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე სახელმწიფოთა თანასწორობა და, რაც მთავარია, ძალის გამოყენების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. ამ ახალი ნორმების გავრცელება მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა იყო და იგი დასავლურ საზოგადოებაში, შემდეგ კი მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობებში XIX საუკუნის დემოკრატიული,

---

143 Robert W. Tucker. *The Inequality of Nations*. Basic Books. New York. 1977. p.7

144 ამ საკითხის შესახებ იხ:ალექსანდრე ორახელაშვილი. სუსტი სახელმწიფოები და საერთაშორისო მართლწესრიგის რეფორმა. ქართული დიპლომატია. ნელინდეული, 5, თბილისი, 1998, გვ. 219-241

ლიბერალური და ეგალიტარული ტრადიციების დამკვიდრების შედეგი იყო. მართალია, პოლიტიკაში ჯერ ისევ ძალა ბატონობდა და საერთაშორისო ურთიერთობებში ეროვნული ინტერესები უპირველეს მნიშვნელობას ინარჩუნებდა, მაგრამ სახელმწიფოთა „ქცევის" დემოკრატიული და ლიბერალური ნორმები მაინც სულ უფრო მეტად იკიდებდა ფეხს.

მართალია, ჰაგის პირველ (1889 წ.) და მეორე (1907 წ.) კონფერენციებზე, ძლიერმა ქვეყნებმა აღიარეს სუსტი ქვეყნების კანონიერი უფლებები, მაგრამ სინამდვილეში მაინც ორმაგი სტანდარტის პოლიტიკა ბატონობდა და საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაში უწინდებურად ძლიერი ქვეყნები პარპაშებდნენ. ახალი საერთაშორისო ნორმების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი იყო აშშ-ის პრეზიდენტის *ვუდრო ვილსონის* საქმიანობა, რომელიც ყველა ერის თვითგამორკვევის უფლების ლეგალიზაციისაკენ იყო მიმართული. ამის შედეგად საერთაშორისო ურთიერთობებში ლიბერალური დემოკრატიის თეორია განხორციელდა. ერთა ლიგის შექმნაც საერთაშორისო წესრიგის მექანიზმში *ჯ. ლოკისეული* ლიბერალიზმის გამოყენების ცდა იყო.[145] ჯერ ერთა ლიგაში და შემდეგ – გაეროშიც სუსტი და ძლიერი სახელმწიფოები თითქმის ერთნაირი უფლებებით სარგებლობდნენ. ერთა ლიგაში ძლიერი ქვეყნების ტოლი უფლებები ჰქონდათ სუსტ ქვეყნებსაც, მაგრამ მათი რეალური ძალა და შესაძლებლობები მაინც მინიმალური იყო. ერთა ლიგის ყველა გადაწყვეტილება, მართალია, ძლიერი სახელმწიფოების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ამ ფორუმზე სუსტ, პატარა ქვეყნებს შეეძლოთ საჯაროდ გამოეტანათ თავიანთი პრობლემები, ეთქვათ საკუთარი სათქმელი, ხმა მიეწვდინათ მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის და სოლიდარობისთვისაც კი მიეღწიათ.

მოგვიანებით იგივე განმეორდა გაერო-ში. თუ ერთა ლიგაში პატარა, სუსტ ქვეყნებს ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის უფლება არ ჰქონდათ, გაეროშიც, უშიშროების საბჭოში, მუდმივი ადგილი და ვეტოს უფლება მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოებს მიაკუთვნეს. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ორივე საერთაშორისო ორგანიზაციაში ძირითადად თანასწორუფლებიანი მონაწილეობა პატარა ქვეყნებისათვის ახალი ისტორიული საფეხური, დიდი მონაპოვარი იყო.[146] 20-იანი წლებიდან მოყოლებული, პატარა სახელმწიფოთა მიმართ ჩადენილი აგრესია ძლიერი სახელმწი-

145 Edward.H. Carr, *The Twenty Year's Crisis, 1919-1939*, ..., p. 28.

146 Michael Handel, *Weak States in the International System*..., p. 269.

ფოებისათვის უკვე საჩოთირო საქმე ხდება. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ძლიერი ქვეყანა თავისი აგრესიის სამართლიანობის დასასაბუთებლად იძულებულია, პატარა ქვეყნის მიერ ჩადენილი მტრული აქტი და თავდასხმა გამოაცხადოს და ამით მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში საკუთარ ქმედებას ზნეობრივი საფუძველი შეუქმნას. ასე იყო, როცა უცნობი პირების მიერ ალბანეთ-საბერძნეთის საზღვარზე იტალიელი გენერლის *ტელინის* მკვლელობა (1923 წლის 17 აგვისტო) იტალიის მთავრობამ საბერძნეთის კუნძულ კორფუზე თავდასხმისათვის საბაბად გამოიყენა. ასე იყო, როცა იაპონელებმა *მუკდენის* ინციდენტი (1931 წლის 27 აგვისტო) მანჯურიის ოკუპაციისათვის საბაბად გამოიყენეს. 1934 წლის 5 დეკემბერს *ვალ-ვალის* ინციდენტი უმწეო აბისინიაზე (ეთიოპიაზე) თავდასხმისათვის გამოიყენა ფაშისტურმა იტალიამ. 1939 წლის აგვისტოს მიწურულს პოლონურ სამხედრო ფორმაში გადაცმულმა გერმანელებმა *გლაივიცში* (გლივიცე) საკუთარ რადიოსადგურზე მიიტანეს იერიში და ფაშისტური გერმანიის მთავრობამ ეს პოლონეთზე თავდასხმისათვის საბაბად გამოიყენა. საბჭოთა მთავრობამ ფინეთს დააბრალა, რომ მისმა არტილერიამ ცეცხლი გაუხსნა საბჭოთა ჯარებს *მაინილასთან* (1939 წლის 25 ნოემბერი), რაც საბჭოთა აგრესიის საბაბი გახდა.

ამგვარი რამ დღესაც შეიძლება მოხდეს. ჩეჩნეთისათვის დახმარების აღმოჩენაში საქართველოს დადანაშაულება განა რუსეთის მიერ შესაძლო დამსჯელი ოპერაციისა და აგრესიის „ზნეობრივ-პროპაგანდისტული საფუძვლის“ შექმნის მცდელობა არ იყო?

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი დიდი, ძლიერი სახელმწიფოების თვალთმაქცობისა და იმპერიული ზრახვების საუკეთესო მაგალითი იყო. რუსეთმა ბევრად უფრო სუსტ საქართველოს საკუთარი გეოპოლიტიკური და ნეოიმპერიალისტური ინტერესების გამო თავს დაესხა, მაგრამ ომის დაწყებაში საქართველო დაადანაშაულა.

ძნელი დასაჯერებელია, რომ სუსტმა ქვეყანამ მასზე ბევრად ძლიერი ქვეყნის წინააღმდეგ პირველმა გამოიყენოს ძალა; ცნობილია, რომ ამ ინციდენტთაგან ბევრი სწორედ ძლიერი აგრესორის მიერ იყო მოწყობილი ან პროვოცირებული, რათა თავისი მომავალი აგრესია ზნეობრივად რამდენადმე მაინც ყოფილიყო გამართლებული.

უკვე აღინიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე თეორიებში დიდი გავლენა აქვს მოპოვებული პოლიტიკური

რეალიზმის უახლეს სახესხვაობას – *სტრუქტურულ რეალიზმს* ანუ *ნეორეალიზმს*. მას საერთაშორისო პოლიტიკის მთავარ, განმსაზღვრელ ფაქტორად საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა და ხასიათი მიაჩნია. კლასიკური, ტრადიციული *პოლიტიკური რეალიზმი*, როგორც გახსოვთ, ძალის, ძლიერების პრიმატზე იყო დაფუძნებული და პატარა, სუსტ სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობებში მეორეხარისხოვან, უმნიშვნელო როლს ანიჭებდა. ნეორეალიზმის კონცეფციის მიხედვითაც, საერთაშორისო სისტემაში ჩართული სახელმწიფოები იერარქიას თავიანთი ძლიერების შესაბამისად ქმნიან. ბუნებრივია, რომ პატარა, სუსტი ქვეყნების სიცოცხლისუნარიანობა ამგვარ გარემოში, პირველ ყოვლისა, ძლიერი სახელმწიფოების ინტერესებით განისაზღვროს. ამგვარ გარემოცვაში ყველაფერი ძალთა წონასწორობაზეა დამოკიდებული და უსაფრთხოება მხოლოდ მის საფუძველზე მყარდება, ხოლო კავშირები (ალიანსები) და კოალიციები ამ წონასწორობის ყველაზე მნიშვნელოვანი მექანიზმია. თუ ყველაფერი არა, ბევრი რამ მაინც სუსტი ქვეყნის გეოპოლიტიკურ მახასიათებლებზე, საერთაშორისო სისტემის ყველაზე ძლიერი ქვეყნების მიმართ მის მდებარეობაზე არის დამოკიდებული. სუსტი ქვეყნისათვის განსაკუთრებით სახიფათოა ძლიერ ქვეყანასთან უშუალო მეზობლობა; ეს მას ძალიან ხშირად საგარეო პოლიტიკური მანევრებისა და არჩევანის შესაძლებლობას არ უტოვებს.[147]

ნეორეალიზმის კონცეფციის მიხედვით, საერთაშორისო პოლიტიკა განისაზღვრება საერთაშორისო სისტემის თავისებურებებით. მაშასადამე, საერთაშორისო პოლიტიკურ მოვლენებს – ომებს, მშვიდობას, კავშირებს, ძალთა წონასწორობას, ჰეგემონიზმს და ა.შ. -საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა, მისი შემადგენელი ელემენტების ურთიერთმიმართება, სტრუქტურული ცვლილებები განაპირობებენ. ნეორეალიზმის სკოლის წარმომადგენელთა აზრით, სუვერენული სახელმწიფოები არიან და კიდევ ძალიან დიდხანს დარჩებიან საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარ მოქმედ პირებად. ნაციონალიზმი და ეროვნული თვითგამორკვევა ახალ-ახალი სახელმწიფოების წარმოქმნის მძლავრი და სულ უფრო მზარდი ფაქტორებია.[148]

---

147 ო. კნუტსენი, პატარა სახელმწიფო; უსაფრთხოების პრობლემა. „პოლიტიკა", თბ., №8, 1991, გვ. 27.

148 R. Stavenhagen, "Self-Determination: Right or Demon?" *Stanford Journal of International Affairs*, Vol. II, Issue 2, Summer 1993, pp. 1-12; H.Hannum, *Au-*

სუსტი, პატარა ქვეყნების პოლიტიკა და შესაძლებლობები საერთაშორისო პოლიტიკის ნეორეალისტური მოდელის მიხედვით ისევე შეზღუდული და უღიმღამოა, როგორც პოლიტიკური რეალიზმის კონცეფციაში. ამ მოდელში ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება წონასწორობის მექანიზმს. მის გარეშე სისტემა რღვევას იწყებს. სუვერენული სახელმწიფოები საერთაშორისო სისტემის უნიტარულ მონაწილეებია და ყოველი მათგანის მიზანი, სულ მცირე – ფიზიკური გადარჩენა და სტატუს კვოს (დამოუკიდებლობა, მთლიანობა, პოლიტიკური ინსტიტუტები და ა.შ.) შენარჩუნებაა, ხოლო ყველაზე მეტი – საყოველთაო ბატონობა. ამიტომ საკუთარი მიზნების მისაღწევად სახელმწიფოები იყენებენ ნებისმიერ გზას. ერთი მხრივ, ისინი საკუთარ შესაძლებლობებს (ეკონომიკური და სამხედრო ძალა, შიდა პოლიტიკური ძალების ერთიანობა და ა.შ.) ზრდიან, მეორე მხრივ კი, „საგარეო ფრონტზე", ხელსაყრელი მოკავშირეების მოსაძიებლად და მომგებიანი კავშირების და კოალიციების შესაქმნელად (ამავე დროს, საპირისპირო, მეტოქე კავშირების შესასუსტებლად) აქტიურად მოქმედებენ. ყოველი სახელმწიფო, პირველ ყოვლისა, საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილის შენარჩუნება/გაუმჯობესებას და ძალის მაქსიმალურ გაზრდას ცდილობს. საერთაშორისო პოლიტიკაში უსაფრთხოება და დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ცხადია, ნებისმიერი ქვეყნის უპირველესი მიზნებია, მაგრამ ყველაზე მეტად ეს სუსტ ქვეყნებზე ითქმის. მათ კარგად ესმით, რომ ანარქიულ და დაუნდობელ საერთაშორისო პოლიტიკაში ამ ორი მიზნის მიღწევა საკუთარი მოკრძალებული შესაძლებლობების იმედით ძალზე რთული ამოცანაა. *ჰ. ბული* სამართლიანად შენიშნავს: „ძალთა წონასწორობის შენარჩუნების პრინციპი, ეჭვგარეშეა, ძლიერი ქვეყნისათვის არის ხელსაყრელი, ხოლო სუსტ ქვეყნებს იგი ხელს არ აძლევს, რადგანაც ხშირად ეს მათ დაქუცმაცებას და გაქრობას ნიშნავს".[149]

გაზრდილი ეკონომიკური ინტეგრაციის, საერთაშორისო ვაჭრობის, ტრანსეროვნული კორპორაციების, კაპიტალის ექსპორტის, საერთაშორისო ფორმალური და არაფორმალური ორგანიზაციების და სხვადასხვა გლობალური პროცესების გაღრმავების შედეგად სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება დიდად

---

tonomy; Sovereignty and Self-Determination, The Accomodation of Conflicting Rights, University of Pennsylvania Press. Philadelphia. 1990.

149 H. Bull, *The Anarchical Society,* Columbia University Press. New York. 1977, p. 107.

გაიზარდა.[150] სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პირობებში სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო პოლიტიკა სულ უფრო გადახლართული და ურთიერთგანმსაზღვრელი გახდა. დიდ ქვეყნებთან შედარებით, უფრო „გახსნილი" და ნაკლებად დივერსიფიცირებული ეკონომიკის მქონე პატარა ქვეყნები, ურთიერთდამოკიდებულებისა და ინტეგრაციული პროცესების დიდ ზეგავლენას განიცდიან. აქედან გამომდინარე, მათი საგარეო პოლიტიკაც სულ უფრო „ეკონომიზირებული" ხდება და საგარეო ვაჭრობის საკითხები პატარა, სუსტი ქვეყნებისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. პატარა ქვეყნების ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების პრიორიტეტებში ეკონომიკური კავშირების სტაბილურობისა და ექსპორტის უზრუნველყოფის საკითხებმა თვალსაჩინო ადგილი დაიკავეს.

კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციიდან გამომდინარე, გეოპოლიტიკური სივრცე თანდათან გეოეკონომიკური ხდება და მომავალი კონფლიქტები, უფრო ეკონომიკურ, ვიდრე პოლიტიკურ ხასიათის იძენს.[151] *რ. არტის* აზრით, ძლიერი ქვეყნების ურთიერთობებში ძალის გამოყენება კლებულობს, მაგრამ იგივე არ ითქმის დანარჩენი კატეგორიის (საშუალო და პატარა) ქვეყნების შესახებ.[152] პატარა ქვეყნების უსაფრთხოების ეკონომიკური კომპონენტის მნიშვნელობის განუხრელი ზრდის მიუხედავად, სხვა „ტრადიციული" კომპონენტების (სამხედრო, შიდა სიმტკიცე, ხელსაყრელი კავშირები და სხვ.) როლი კვლავინდებურად დიდია.

საერთაშორისო ურთიერთობათა რადიკალურ მოდელებში არც პატარა, სუსტ სახელმწიფოთა უმრავლესობის ბედი უნდა იყოს შესაშური. დაქვემდებარების კონცეფციიდან გამომდინარე, პატარა ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა ეკონომიკურად და პოლიტიკურად იმდენად სუსტი და უმწეოა, რომ, ეკონომიკასა და პოლიტიკაში მსოფლიო მასშტაბის რადიკალური ცვლილებების გარეშე, ისინი დაქვემდებარებული და ექსპლუატირებული მდგომაროებისთვის არიან განწირულნი.

---

150 R.O. Keohane, J. S. Nye, *Power and Interdependence*, 2rd Edition, Scott, Foresman and Company, 1989. pp. 23-24.

151 იხ.:E.N. Luttwak, „From Geopolitics to Geo-Economics. Logic of Conflict, Grammar of Commerce", *The National Interest*, N20, Summer 1990.

152 R. J. Art, "To What Ends Military Power?" *International Security*, Vol. 4, N4, 1980, pp. 29-30.

გავლენის, ინტერესებისა თუ პასუხისმგებლობის სფეროს დამკვიდრების პოლიტიკური პრაქტიკა ახალი არ გახლავთ, მაგრამ საკუთრივ ტერმინი – *გავლენის სფერო* XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დამკვიდრდა. ლორდი *კერზონი* შენიშნავს, რომ ეს ტერმინი 1869 წელს ერთ-ერთმა პირველმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გორჩაკოვმა გამოიყენა, როცა ბრიტანელი კოლეგისადმი გაგზავნილ წერილში განაცხადა – ავღანეთი რუსეთის გავლენის სფეროს გარეთ არისო.[153] მოგვიანებით აფრიკის *გავლენის სფეროებად* დაყოფა ამ მხრივ კლასიკურ მაგალითად რჩება.

თუ ორმა თუ მეტმა ძლიერმა სახელმწიფომ გარკვეული ტერიტორიები თავიანთი გავლენის სფეროებად აღიარა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ ტერიტორიებზე (ქვეყნებზე) მათ ერთმანეთის უფლებებიც იმთავითვე განსაზღვრეს.[154] მაგრამ გავლენის სფეროების დამამყარებელმა ძლიერმა ქვეყნებმა, როგორც წესი, კარგად იციან, რომ მათ მიერვე დადგენილ გარკვეულ „თამაშის წესებს" უნდა დაემორჩილონ. ზოგჯერ ერთ-ერთი ძლიერი ქვეყანა თავისი გავლენის სფეროში მისთვის უფრო ხელსაყრელ „ქცევის" წესებს ამკვიდრებს. ზოგჯერ ძლიერი ქვეყანა უკვე არსებულ სტატუს კვოს თავიდან ოდნავ გადაამეტებს და, მეტოქეთა საპასუხო რეაქცია თუ ნაკლებ სახიფათო მოეჩვენა, კიდევ უფრო მეტს გაბედავს. ამგვარად, ნაბიჯ-ნაბიჯ, მეტოქის თუ მეტოქეთა საპასუხო რეაქციის მოსინჯვით, სტატუს კვოს დამრღვევი ძლიერი ქვეყანა თავისი ქმედებით (ე.ი. პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური ძალადობით) მიუახლოვდება იმ ზღვარს, რომლის გადალახვაც მისთვის შეიძლება სერიოზული გართულებებით დასრულდეს. ზემოხსენებული „რეაქციის მოსინჯვის" თვალნათლივი მაგალითია რუსეთის მიერ 1992-94 წლებში განხორციელებული სამხედრო-პოლიტიკური აქციები ე.წ. „ახლო საზღვარგარეთში" (მოლდავეთი, ტაჯიკეთი, აზერბაიჯანი, საქართველო). რუსეთის მიერ თამაშის საკუთარი წესების დამკვიდრების და გავლენის სფეროს გაფართოების სურვილზე მიუთითებს ამ სახელმწიფოს მიერ 90-იან წლებში წარმოებული აქტიური პოლიტიკა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე (სერბია, ბოსნია-ჰერცეგოვინა). 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი რუსეთის მხრიდან საკუთარი გავლენის სფეროს დამკვიდრების მორიგი მცდელობა იყო. ხსენებული ომის წინ და მის შემდეგაც რუსე-

153 Lord Curzon. Frontiers. Oxford, Clarendon Press, 1907. p. 42.

154 H. Bull. *The Anarchical Society...*, p. 221.

თის ხელმძღვანელებმა არაერთგზის გამოთქვეს ამგვარი სფეროს შექმნის სურვილი და დასავლეთს მოუწოდეს ეცნო რუსეთის ეს მოთხოვნა. პრეზიდენტმა მედვედევმა კი განაცხადა, რომ რუსეთს უნდა ჰქონდეს „პრივილეგირებულ ინტერესთა" სფერო.

უძლიერესი ქვეყნების მიერ თავიანთი გავლენის სფეროების განსაზღვრისა და დამკვიდრების პროცესში ამ სფეროებში ნებსით თუ უნებლიეთ მოხვედრილი სუსტი ქვეყნების საგარეო პოლიტიკა ბევრად არის დამოკიდებული იმ „თამაშის წესებზე", რომლებსაც გავლენის სფეროთა „განმგებლები" და მათ შორის არსებული ანტაგონიზმის დონე განსაზღვრავენ. ეჭვგარეშეა, რომ ამგვარ პირობებში სუსტ ქვეყნებს მანევრირების მეტად შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ.

საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში სუსტის დაჩაგვრა სულ უფრო და უფრო მეტ უზნეობად გამოიყურება; იმის მიუხედავად, რომ სუსტი, პატარა ქვეყნების ფორმალურ სტატუსსა და მათ რეალურ ძალას შორის დღეს ჯერ კიდევ საკმაო სხვაობაა, გარკვეული პროგრესი მაინც უდავოა – სუსტი ქვეყნების საერთაშორისო სტატუსი და მათი სოლიდარობა საგრძნობლად განმტკიცდა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში სახელმწიფოები განსაკუთრებულ ისტორიულ პერიოდში წარმოიქმნა. მათი უმრავლესობა პატარა და ამავე დროს სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი ქვეყნებია. ურთულეს ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, მათ გადასაწყვეტი აქვთ უდიდესი ამოცანა -—სტაბილური დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის შექმნა.

სახელმწიფოებრიობის მშენებლობა ახალგაზრდა სუვერენულ ქვეყნებს იმ ისტორიულ პერიოდში უწევს, როცა ტრადიციულ ერ-სახელმწიფოს[155], რომელიც დასავლეთ ევროპაში მე-18-19 საუკუნეებიდან მოყოლებული ჩამოყალიბდა, როგორც ადამიანთა პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა, საფრთხე ემუქრება.

ერთი მხრივ, ტრადიციულ ერ-სახელმწიფოს ასუსტებს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებების გამაღრმავებელი და ეკონომიკური კეთილდღეობის მომტანი გლობალური ინტეგრაციული

---

155 ერი-სახელმწიფო – მთავარი პოლიტიკური ერთობა თანამედროვე მსოფლიოში და საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი აქტორი. ერი-სახელმწიფოს ცნებაში იგულისხმება, რომ ამგვარი სახელმწიფოს მოქალაქეები, ეთნიკური კუთვნილების განურჩევლად, ერთი ერის წარმომადგენლებია.

პროცესები, მეორე მხრივ, ერ-სახელმწიფოს ასუსტებს, შესაძლოა, ძირსაც უთხრის აგრესიული სეპარატიზმი, ერთა თვითგამორკვევის პრინციპის არაცივილიზებული ფორმით გამოვლენა.

ახალგაზრდა სუვერენულ ქვეყნებს, რომლებიც თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მშენებლობას იწყებენ, ურთულესი პრობლემა ხვდებათ წინ—-შექმნან სახელმწიფოებრიობა სახელმწიფოს ტრადიციული ფორმის დაწყებული ეროზიის პირობებში, განსაკუთრებით – სეპარატიზმისა და ირედენტიზმის შესამჩნევლად გაზრდილი აქტიურობის ვითარებაში.

ამ ურთულეს პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს ის გარემოება, რომ საკმაოდ ხშირად სეპარატიზმსა და ირედენტიზმს ხელს უწყობენ გარეშე ძალები, რომლებიც საკუთარ მიზნებს ახორციელებენ და დიდად არც ახალი სუვერენული ქვეყნების ბედ-ილბალი ეფიქრებათ და არც საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცება.

საერთაშორისო საზოგადოების იდეა, საერთაშორისო წესრიგის ყველაზე რეალურ გარანტად რომ განიხილება, დღეს უკვე ნაწილობრივ ხორცს ისხამს. გაეროს, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო სამართლისა და სასამართლოს არსებობა საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის უტყუარი ნიშნებია. მაგრამ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საერთაშორისო საზოგადრება ჯერაც ანარქიულია. მასში ძალის პოლიტიკა და უსაფრთხოების ინტერესები ბატონობს და, დიპლომატიური პოლიტიკისა და მთელი რიგი საერთაშორისო შეთანხმებების მიუხედავად, ძლიერი ქვეყნები პატარა, სუსტ სახელმწიფოებს მსოფლიო საზოგადოების მეორეხარისხოვან წევრებად განიხილავენ და მათ ამის შესატყვისად ექცევიან.

საერთაშორისო საზოგადოების განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე სუსტი ქვეყნების უსაფრთხოება და სხვა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიც უფრო მეტად იქნება დაცული. სწორედ სახელმწიფოთა ჭეშმარიტ საერთაშორისო საზოგადოებაში უნდა დასრულდეს „ძალის პოლიტიკის“ ბატონობა და სუსტი ქვეყნების უსაფრთხოებაც მაქსიმალურად დაცული უნდა აღმოჩნდეს.

საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის საფუძველზე ჩამოყალიბებულ სახელმწიფოთა საერთაშორისო საზოგადოებაში ახალ დამოუკიდებელ ქვეყნებს და რაც მთავარია, პატარა, სუსტ სახელმწიფოებს დამოუკიდებელი არსებობისათვის ადრინდელზე

ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობები ექმნებათ. დღეისათვის პატარა სახელმწიფოებს უფრო ძლიერი ქვეყნების აგრესიის შიში ნაკლებად აქვთ. საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ორგანიზაციები პატარა ქვეყნებს არსებობისა და შემდგომი წინსვლისათვის ხელსაყრელ პირობებს უქმნიან. ამის შედეგად არა მარტო ხსენებული ქვეყნები მიიწევენ წინ, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოებაც მტკიცდება.

გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ მიმართ გაზრდილი კრიტიკის მიუხედავად, დადებით როლს ასრულებენ და კაცობრიობის სანუკვარი იდეალების ხორცშესხმას ემსახურებიან. შეუძლებელია სათანადოდ არ შეაფასო საერთაშორისო (მათ შორის რეგიონული) ორგანიზაციების მიერ ახალი სუვერენული ქვეყნების განვითარებისათვის გაღებული დახმარება, პატარა, სუსტი სახელმწიფოებისათვის გაწეული მფარველობა, დაძაბულობისა და კონფლიქტების შემცირებისა და დარეგულირებისაკენ მიმართული მცდელობები.

არსებობს პატარა ქვეყნების ერთი ჯგუფი, რომლებიც ასრულებდნენ და ამჟამადაც ასრულებენ უაღრესად მნიშვნელოვან და კეთილშობილურ მისიას – — ხელს უწყობენ საერთაშორისო ურთიერთობებში ცივილიზებული ქცევის ნორმებისა და წესების განმტკიცებას. ესენი სკანდინავიის სახელმწიფოები და ფინეთია. ამ ჯგუფს შეგვიძლია მივაკუთვნოთ შვეიცარიაც.

ჩრდილოეთ ევროპის 5 პატარა ქვეყანა (ნორვეგია, შვედეთი, დანია, ფინეთი და ისლანდია), თავიანთი მცირე სამხედრო შესაძლებლობების მიუხედავად, საერთაშორისო ურთიერთობებში და დიპლომატიურ საქმიანობაში ძალზე მნიშვნელოვან, თავიანთ სიდიდესთან შედარებით არაპროპორციულად დიდ როლს ასრულებენ.[156] რაც მთავარია, მათი როლი ძალზე სპეციფიკური და ამავე დროს კეთილშობილურია – თანამშრომლობის, ცივილიზებული ქცევის განმტკიცება მხოლოდ თავად ჭეშმარიტად დემოკრატიულ, პოლიტიკურად "ცივილიზებულ" სახელმწიფოებს ძალუძთ. ხსენებულ სახელმწიფოებს მთელი მსოფლიო პატივს სცემს არა მხოლოდ მათი შთამბეჭდავი ეკონომიკური და სოციალური მიღწევებისათვის არამედ მათი "მაცივილიზებელი" როლისთვისაც

156 Christin Ingebritsen. "Norm Enterpreneurs: Scandinavia's Role in World Politics". In Small States in International Relations. Edited by Christine Ingebritsen, Iver Neumann, Sieglinde Gstöhl, and Jessica Beyer. Univeristy of Washington Press. Seattle, 2006, pp. 273-285

საერთაშორისო პოლიტიკაში. ჩრდილოეთ ევროპის ხსენებულმა ქვეყნებმა, თავიანთი შედარებით პერიფერიული მდებარეობის გამოც მოახერხეს მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე მწვავე პრობლემებისა და მოვლენებისაგან ოდნავ განზე დარჩენა და თავიანთი კეთილდღეობისა და განვითარებისათვის მეტი ყურადღების დათმობა. ისინი ეცადნენ უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალური პოზიცია დაეკავებინათ, თუმცა ზოგჯერ ამაოდ (1939 წელს სსრკ თავს დაესხა ფინეთს, 1940 წელს ნორვეგია და დანია ოკუპირებულ იქნენ ფაშისტური გერმანიის მიერ). ჩრდილოეთ ევროპის ხსენებულმა ქვეყნებმა შეძლეს დიდი ავტორიტეტის მოპოვება საერთაშორისო დიპლომატიაში, "ცივილიზებულ" საერთაშორისო ქცევისა და საერთაშორისო თანამშრომლობის დამკვიდრებასა და განმტკიცებაში. ქრისტინ ინგებრიტსენის აზრით სკანდინავიის ქვეყნების, როგორც "ნორმებისმათა დამამკვიდრებელთა" როლი სამ სფეროში გამოიკვეთა: კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებაში, მდგრადი განვითარებისათვის ხელშეწყობასა და ღარიბი ქვეყნებისათვის ეკონომიკური დახმარების წახალისებაში.[157] ჩრდილოეთ ევროპის ხსენებული პატარა ქვეყნებისა და შვეიცარიის როლი საერთაშორისო ურთიერთობათა "გაკეთილშობილებაში" მართლაც ძალიანუაღრესად შთამბეჭდავი და მისაბაძია.

პატარა, სუსტი სახელმწიფოები თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ. ახალგაზრდა სუვერენულ ქვეყნებს რაც შეეხება, მათი წარმოქმნა და დამოუკიდებელი არსებობა უმეტესწილად სწორედ საერთაშორისო ნორმებისა და წესების თვისებრივი გაუმჯობესებისა და კეთილისმყოფელი გავლენის შედეგია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგაზრდა სუვერენული ქვეყნების წინაშე მდგარი სახელმწიფოებრიობის შექმნისა და განმტკიცების პრობლემა, რომელიც, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში მომხდარი სასიკეთო ძვრების მიუხედავად, მაინც უაღრესად მწვავე რჩება. ტრადიციული ერი-სახელმწიფოს ისტორიული ბედი და მისი ტრანსფორმირების თანამედროვე პროცესები, როგორც არ უნდა შევაფასოთ, მაინც აშკარაა, რომ სადღეისოდ მსოფლიოში დამკვიდრებული პოლიტიკური ორგანიზაციის ეს ფორმა ჯერჯერობით ერთადერთია, რომელსაც ძალუძს ქვეყანაში საკუთრების ფორმებისა და შიდა უსაფრთხოების გარანტი იყოს; ამავე დროს ხელი შეუწყოს გლობალურ და

157 იქვე, . . . p. 283

რეგიონულ ინტეგრაციულ პროცესებს და საერთაშორისო უსაფრთხოება განამტკიცოს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ პოსტკომუნისტური, პოსტსაბჭოთა სივრცის ახალი სუვერენული სახელმწიფოები სტაბილური დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას და დახმარებას საჭიროებენ. ხსენებული ქვეყნების წინაშე მდგარ ამოცანას მეტად ართულებს ის გარემოება, რომ მათ თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობა არა მხოლოდ ურთულესი სპეციფიკური ადგილობრივი პირობების, არამედ ტრადიციული ერი-სახელმწიფოს დაწყებული შესუსტების პროცესის გათვალისწინებითაც უხდებათ.

პოსტკომუნისტური სივრცე სადღეისოდ უსაფრთხოების საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთი უსუსტესი რგოლია. თუ ამ სივრცეში აღმოცენებულმა ქვეყნებმა სტაბილური სახელმწიფოებრიობის დამკვიდრება ვერ მოახერხეს, საფრთხე შეექმნება არა მხოლოდ პოსტკომუნისტური სივრცეში მოსახლე ერებს და ხალხებს, არამედ – მთელ საერთაშორისო სისტემასაც.

პოსტკომუნისტური სივრცის ქვეყნების მცდელობას – ააშენონ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოებრიობა – საერთაშორისო საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. სწორედ პოსტკომუნისტურ სივრცეში უნდა დამკვიდრდეს ყველაზე ეფექტურად საერთაშორისო სამართლის პრინციპები, ქცევის მიღებული ნორმები და წესები, რათა თავიდან იქნეს აცილებული არა მხოლოდ ხსენებულ სივრცეში წარმოდგენილი ახალი სუვერენული ქვეყნების კოლაფსი, არამედ საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში „უმწეო“, არასტაბილური სახელმწიფოებისაგან შემდგარი, უზარმაზარი კონფლიქტოგენური რგოლის ჩამოყალიბება. ამგვარი ვითარება, ცხადია, ხელს ვერ შეუწყობდა რეგიონის ბუნებრივი და ადამიანური რესურსების ეფექტურად გამოყენებას, შრომის დანაწილებას საერთაშორისო სისტემაში და მის მექანიზმებში რეგიონის მიერ საჭირო ადგილისა და ფუნქციის დამკვიდრებას, საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებას.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა და მსოფლიოს პასუხისმგებელმა სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პოსტკომუნისტურ სივრცეში საერთაშორისო პრინციპების, ნორმებისა და წესების ცივილიზებულ და ეფექტურ დანერგვას.

2.1 პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების თავისებურებები

თითო სადარდებელი ყველასა აქვსო
ქართული ანდაზა

საგარეო პოლიტიკის მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში *ეროვნული უსაფრთხოების* პრობლემების, საფრთხეების წყაროთა, მათი მასშტაბისა და ხასიათის დადგენა, მათი განეიტრალებისათვის საჭირო გზებისა და ხერხების მოძიება და განსაზღვრა ერთ-ერთი ყველაზე რთული საქმეა. ნებისმიერი ქვეყნის მოქმედება გამიზნული უნდა იყოს მის ხელთ არსებული ყველა საგარეო პოლიტიკური საშუალებით ქვეყნის უსაფრთხოებისა და შემდგომი განვითარების პირობების უზრუნველსაყოფად. ძლიერი ქვეყნის მსგავსად, პატარა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა ქვეყნის უმთავრესი ფასეულობების – *სახელმწიფო სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, ეკონომიკური პოტენციალის, კულტურული თვითმყოფადობის* - შენარჩუნება-განმტკიცებას უნდა ემსახურებოდეს. ამგვარი საგარეო პოლიტიკა გულისხმობს აგრეთვე *სახელმწიფოებრიობის, ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტების* შენარჩუნებასა და შემდგომ განმტკიცებას.

უსაფრთხოების შესახებ თანამედროვე შეხედულებებს დიდად განაპირობებს გლობალიზაციის პროცესი, პოსტინდუსტრიული ეკონომიკა და საზოგადოების მცდელობით შეცვლილი საერთაშორისო გარემო. ტრადიციული შეხედულებები სუვერენიტეტის, ომის, სტაბილურობის, ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების თაობაზე ბევრს მოძველებულად ეჩვენება. გაიზარდა უსაფრთხოების არასამხედრო კომპონენტების, განსაკუთრებით ეკონომიკურის მნიშვნელობა. ტრანსნაციონალური ძალები, სტრუქტურები და პროცესები, ინფორმაციული რევოლუცია ეროვნულ უსაფრთხოებაზე უდიდეს გავლენას ახდენენ.

იცვლება ომების ხასიათიც. ტრადიციული, კლასიკური ომი ადგილს უთმობს შიდასახელმწიფოებრივ ეთნიკურ, რელიგიურ და სამოქალაქო კონფლიქტებს, პარტიზანულ ომებს, საერთაშორისო ტერორიზმს. გარდა ამისა, მასობრივი განადგურების (ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური) იარაღის გავრცელება ეროვნულ მთავ-

რობებს აიძულებს გადახედონ ეროვნული უსაფრთხოების არსსა და პრიორიტეტებზე საკუთარ წარმოდგენებს. მრავალ სუსტ სახელმწიფოს არ ძალუძს სტაბილური სახელმწიფოებრიობის და დინამიკური ეკონომიკის შექმნა და შენარჩუნება, ასევე საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ეს კი დამატებით პრობლემებს უქმნის საერთაშორისო საზოგადოებას, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემას.

ყველა სახის საფრთხის სისტემურად გაცნობიერება, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემათა კომპლექსური შეფასება, უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო სტრატეგიის, ძირითადი მიზნების, პრიორიტეტებისა და მათი განხორციელებისათვის საჭირო მექანიზმების შემუშავება და ამოქმედება სწორედ საგარეო პოლიტიკის წარმართვის სფეროში ხორციელდება.

საერთაშორისო სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპზე პატარა ქვეყნებს, თავიანთი უსაფრთხოებისა და შემდგომი განვითარების პირობების თვალსაზრისით, უწინდელთან შედარებით ბევრად უკეთესი ვითარება შეექმნათ. უამრავი მწვავე კონფლიქტისა და გაზრდილი კონფლიქტურობის მიუხედავად მსოფლიოში მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები მიმდინარეობს. პირველ ყოვლისა, მხედველობაში მაქვს საერთაშორისო ურთიერთობებში ომის, როგორც პოლიტიკის საშუალების, დაგმობა და მისი გამოყენების მნიშვნელოვანი შეზღუდვა. ძალადობის დაგმობასა და აკრძალვასთან ერთად მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ქცევის საერთაშორისო ნორმებისა და წესებისადმი დამოკიდებულებამ, საერთაშორისო ქცევის პრაქტიკამ, გაიზარდა საერთაშორისო სამართლის ნორმებისადმი დაქვემდებარება, საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვი, მათი როლი. საერთაშორისო ასპარეზს ტოვებენ ტოტალიტარული და იმპერიული სახელმწიფოები, იზღუდება იმპერიული პოლიტიკა. აღნიშნულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო საერთაშორისო ურთიერთობებში დემოკრატიული ნორმების, მშვიდობიანი პოლიტიკის შემდგომ განმტკიცებას. ამან კი პატარა ქვეყნებს ბევრად უფრო მისაღები საარსებო გარემო შეუქმნა, საერთაშორისო საზოგადოებაში ადგილი განუმტკიცა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პროცესებმა საბოლოო ჯამში პატარა ქვეყნების უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინეს, ამ კატეგორიის ქვეყნებს კვლავაც მრავალი

პრობლემა აქვთ გადასაჭრელი (მათ შორის – ეროვნული უსაფრთხოების სფეროშიც). პირველ ყოვლისა, ეს ეხება პატარა სახელმწიფოების ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას. პატარა ქვეყნის ეკონომიკა, დიდი ქვეყნებისაგან განსხვავებით, უფრო „გახსნილი" და, როგორც წესი, ნაკლებად დივერსიფიცირებულია. მათი ეროვნული ეკონომიკა უფრო ბევრად არის დამოკიდებული საერთაშორისო ეკონომიკურ კონიუნქტურაზე, საერთაშორისო ბაზარზე მიმდინარე ყველა ცვლილებაზე. პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკა სულ უფრო „ეკონომიზებული" ხდება, რადგან საგარეო ვაჭრობისა და ექსპორტის საკითხები ამ კატეგორიის ქვეყნებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

პატარა სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებში ხშირად განსაკუთრებული მნიშვნელობა შიდა უსაფრთხოების პრობლემებს ენიჭება. ყოველი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა არა მხოლოდ მისი საშინაო პოლიტიკით განისაზღვრება და მას ემსახურება, არამედ, თავის მხრივ, საშინაო პოლიტიკის მრავალ ასპექტს განაპირობებს. საერთაშორისო ურთიერთობებში საგარეო პოლიტიკის შედეგიანად წარმართვა პატარა სახელმწიფოსაგან სათანადო მოქნილობას მოითხოვს. პატარა ქვეყანა მის გარშემო მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებისა და ძვრების მიმართ ძალზე მგრძნობიარეა და მოქნილობის უნარის გარეშე ახალ პირობებში გარკვევა, ადაპტირება და მათზე რეაგირება შეუძლებელი ხდება. ყველაზე მეტად კი ხსენებული მოქნილობის უნარს პატარა სახელმწიფოს შიდა სტაბილურობა და სიმტკიცე განაპირობებს. პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება, პირველ ყოვლისა, ქვეყნის შიგნით პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და ეთნო-კულტურულ სტაბილურობას ეფუძნება.

შიდა არასტაბილურობა და მის შედეგად სახელმწიფოებრიობის შესუსტება ბოჭავს ნებისმიერი ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, საფრთხეს უქმნის თავად ამ ქვეყნის სუვერენულ არსებობას. ყველაზე მეტად ეს ახალგაზრდა სუვერენულ სახელმწიფოებს ეხება. მათი აბსოლუტური უმრავლესობა კი პატარა, სუსტი ქვეყნებია.

ეროვნული უსაფრთხოებისადმი მიძღვნილ სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით იმ აზრს, რომ ხსენებული ცნება მეტად ბუნდოვანია მისი შემადგენელი არარაოდენობრივი კომპონენტების სიმრავლისა და თავისებური ბუნების გამო. მართლაც, *ეროვნული უსაფრთხოება*, ისევე როგორც *ეროვნული*

ინტერესები, დაუსრულებელი თეორიული დებატების თემიდან მოარულ ტერმინად იქცა, მაგრამ მისი შინაარსი დღესაც ადრინდელივით ბუნდოვანი რჩება და ამიტომ კვლავაც მრავალნაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.[158]

---

158 ეროვნული უსაფრთხოების შესახებ იხილეთ:Barry Buzan, *People, States and Fear*. Second Edition, Lynne Rienner Publishers, Boulder, 1991; Dietrich Fisher, *Nonmilitary Aspects of Security: A Systems Approach*, UNIDIR, Dartmouth, 1993; Jasgit Singh and Thomas Bernauer, *Security of the Third World Countries*. UNIDIR, Dartmouth, 1993; Donald M. Snow, *National Security: Defence Policy for a New International Order*, Third edition, St. Martin's Press, New York, 1995; Daniel J. Kaufman, Jeffrey S. McKitrick, Thomas J. Jeney (eds.), *US National Security: A Framework for Analysis*, Lexington Books, D. C. Heath and Co., Lexington, 1985; James N. Rosenau, "Security in a Turbulent World", *Current History*, Vol. 94, No. 592, May 1995, pp. 193-200; Michale T. Klare, "Redefining Security: The New Global Schisms", *Current History*, Vol. 95, No. 604, November 1996, pp. 353-358; Graham Allison and Gregory F. Treverton (eds.), *Rethinking American Security*, W. W. Norton and Company, New York, 1992; Barry Buzan, Ole Waever, Jaap De Wilde. Security: A New Framework for Analysis. Lynn Rienner Publishers, Boulder, 1998; ალექსანდრე რონდელი, „საერთაშორისო ურთიერთობები", მესამე, განახლებული გამოცემა, „ნეკერი", თბილისი, 2006, გვ. 123 – 142; მალხაზ მაცაბერიძე, ეროვნული უსაფრთხოების ცნებისა და შინაარსის შესახებ, „პოლიტოლოგიის საკითხები", 1, თბ., 1992, გვ. 17-29; *დავით აფრასიძე*, უსაფრთხოების საკითხები გერმანულენოვან ლიტერატურაში, სადიპლომო ნაშრომი საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1998; *თეა წულუკიანი*, ეროვნული უსაფრთხოების არასამხედრო ასპექტები, სადიპლომო ნაშრომი, თბილისის დიპლომატიური აკადემია, 1998; *ალექსანდრე რონდელი*, საერთაშორისო ურთიერთობები, თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, 1996, გვ. 95-108. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების შესახებ იხ.:David Darchiashvili, *Georgia – the Search for State Security, in Caucasus*, Working Paper, CISAC, Stanford University, Stanford, 1997; *ალექსანდრე რონდელი*, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები, სადისკუსიო წერილების სერია, 3, მეორე გამოცემა, გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს ოფისი, თბ., გამომცემლობა „ნეკერი", 1999; *დავით დარჩიაშვილი*, პოლიტიკოსები, ჯარისკაცები, მოქალაქენი, თბ., 2000; *დავით აფრასიძე*. უსაფრთხოება: ძველი ცნების ახალი შინაარსი?. „ახალი აზრი". 1, ივლისი-აგვისტო, 2001, გვ. 7-15; *გიორგი მესხიშვილი*. ეროვნული უსაფრთხოების სისტემის განვითარება პოსტსაბჭოთა საქართველოში. ""ახალი აზრი", 3, ნოემბერი-დეკემბერი, 2001, გვ.23-37; თემურ კეკელიძე. საქართველოს ეროვნული უშიშროების ასპექტები ქვეყნის უშიშროების საკითხებზე შექმნილ უახლეს დოკუმენტთა ჭრილში. საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის

პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება. ეროვნული უსაფრთხოების შესახებ საუბრისას ექსპერტები ნაკლებად მიმართავენ სხვადასხვა „წონის" ქვეყნების მაგალითს, მათ თავისებურებათა შედარებით ანალიზს. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ სხვადასხვა სიდიდის ქვეყნებს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი ცნებები და პრინციპები თუ ერთნაირი არა, ძალიან მსგავსი უნდა ჰქონდეთ. მართლაც, ნებისმიერ ქვეყანას პირველ რიგში ესაჭიროება უსაფრთხოება, საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა, მეზობლებისაგან თუ რომელიმე სხვა წყაროდან მომდინარე საფრთხეთა გაცნობიერება და უვნებელყოფა, საკუთარი ეროვნული ინტერესების და უმთავრესი ფასეულობების დაცვა და სხვ.

პატარა, სუსტი ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების საკითხების შესწავლისას საკმაოდ კარგად ჩანს, რომ დღეს მათ მიმართ თანამედროვე საერთაშორისო სისტემა ბევრად უფრო „ლმობიერი" და „მეგობრულიც" კია, ვიდრე ეს XX საუკუნის მეორე ნახევრამდე იყო. ამ კატეგორიის ქვეყნების უსაფრთხოების სამხედრო კომპონენტი ხშირად ისეთი მნიშვნელოვანი აღარაა, როგორც ეს უწინ იყო. რა თქმა უნდა, ზოგიერთ რეგიონში (მაგ., ახლო აღმოსავლეთი, კავკასია, ცენტრალური აზია, აფრიკა და სხვ) პატარა ქვეყნები თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ, მაგრამ აშკარაა, რომ მათი ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებში სამხედრო ფაქტორს თანდათანობით ეკონომიკური, პოლიტიკური და ეკოლოგიური ფაქტორები „ჩრდილავენ". თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში აგრესია, სამხედრო ძალის გამოყენება ნაკლებად პოპულარული ხდება. გლობალიზაციის მზარდი გაღრმავების პირობებში კი, როდესაც სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუტს, გარკვეული ეროზია ემუქრება, ხოლო ნაციონალიზმი შიგნიდან ხრავს, ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების საშინაო და არასამხედრო ასპექტები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

ბიულეტენი, 56, ივნისი 2001, გვ. 39-45; Ghia Nodia. Georgia: Dimensions of Insecurity. In Statehood and Security: Georgia after the Rose Revolution. Bruno Coppieters and Robert Legvold (Editors). The MIT Press. Cambridge. Mass. 2005. pp. 39-82; Damien Helly and Giorgi Gogia. Georgian Security and the Role of the West. In Statehood and Security: Georgia after the Rose Revolution. Bruno Coppieters and Robert Legvold (Editors). The MIT Press. Cambridge, Mass., 2005, pp. 271-305; Bruno Coppieters. Locating Georgian Security. In Statehood and Security: Georgia after the Rose Revolution. Bruno Coppieters and Robert Legvold (Editors). The MIT Press. Cambridge, Mass., 2005, pp. 339-387

ომები სულ უფრო ხშირად სახელმწიფოთა შიგნით მიმდინარეობს და მათში გარეშე ძალა შემდეგ ჩაებმება ან როგორც ერთ-ერთი მეომარი მხარის მოკავშირე, ან *ჰუმანიტარული ჩარევის* (ხშირად – საერთაშორისო) ფორმით.[159]

პატარა ქვეყნების უმრავლესობას საერთაშორისო პოლიტიკაში დიდ ანგარიშს არ უწევენ. მიუხედავად ამისა, არის ისეთი პატარა ქვეყნები, რომლებიც საკმაოდ აქტიურნი არიან ან მათი მნიშვნელობა იზრდება დროდადრო. ამგვარი პატარა ქვეყნები მნიშვნელოვანნი ხდებიან არა თავიანთი ძლიერებისა და მოტივაციის, არამედ – რომელიმე სტრატეგიული რესურსის ან გეოგრაფიის (მდებარეობის) წყალობით, ეს კი მათ პასიურ როლს განაპირობებს, რადგან პრაქტიკულად ისინი მთლიანად საერთაშორისო სისტემის მთავარი მოქმედი პირების (*აქტორების*) ქცევაზე და გეოპოლიტიკური ვითარების ცვლილებებზე არიან დამოკიდებულნი.

პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შედეგიანობისა და, საზოგადოდ, საერთაშორისო სისტემაში მათი არსებობისა და „მოღვაწეობის" შეფასებისას, დღემდე გაბატონებული კრიტერიუმი ერთი რამ იყო – *გადარჩენა*. მართალია, ამგვარ კრიტერიუმს აშკარად ვულგარული დარვინიზმის სუნი უდის, მაგრამ, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მწარე სინამდვილეა. პატარა ქვეყნების უმრავლესობას არც დღეს ულხინს, მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო სისტემა მათ უკვე არსებობისა და აქტიური პოლიტიკის წარმართვის პირობებს უქმნის. საერთაშორისო ცხოვრების თანამედროვე ეტაპზე პატარა, სუსტი სახელმწიფოებისათვის საარსებო გარემო ბევრად უფრო კეთილმყოფელია, ვიდრე – ოდესმე და მათი უსაფრთხოება საერთაშორისო სამართლებრივი საშუალებებითა და მთლიანად საერთაშორისო სისტემაში დამკვიდრებული ნორმებითა და წესებით უწინდელთან შედარებით უფრო უკეთ არის დაცული.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პატარა ქვეყნებისათვის განცხრომის, „ოქროს ხანა" დადგა და მათ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებზე აღარ უნდა იზრუნონ? არავითარ შემთხვევაში. სინამდვილეში, პატარა ქვეყნები, რომლებიც თითქმის გუშინდელ დღემდე საერთაშორისო სისტემის

159 Hakan Wiberg, *Security Problems of Small Nations, in Small States and the Security Challenge in the New Europe*, edited by W. Bawens, A. Clesse and O. F. Knudsen, Brassey's, London, 1996, p. 24.

ლამის „უკანონო შვილებად" იყვნენ მიჩნეული და დიდი სახელმწიფოების ინტერესების შეჯახებისას პოლიტიკურ „ხურდად" აღიქმებოდნენ, დღეს საერთაშორისო საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები გახდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ საკუთარ უსაფრთხოებაზე იმგვარადვე უნდა იფიქრონ, როგორც დიდმა ქვეყნებმა. დღეისათვის პატარა ქვეყნები დამფრთხალ, სამსხვერპლოდ გამზადებულ, შეშინებულ ქვეყნებს როდი ჰგვანან; მოკრძალებული სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების მიუხედავად, ამ სახელმწიფოებს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში თავიანთი ადგილი და ფუნქციები აქვთ მინიჭებული. მათი ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები რთული, მრავალმხრივია და ამავე დროს, სპეციფიკურიც:პატარა ქვეყნები საკუთარი უსაფრთხოების პრობლემებს და პრიორიტეტებს მეტწილად ლოკალურ და რეგიონალურ დონეზე განიხილავენ, რაც სრულებითაც არ გამორიცხავს იმას, რომ ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა მიზეზების (განსაკუთრებული გეოსტრატეგიული თუ გეოეკონომიკური მდებარეობა, ენერგოშემცველებისა თუ სხვა რომელიმე უმნიშვნელოვანესი ნედლეულის ფლობა და სხვ.) გამო შეიძლება გლობალური პოლიტიკისა და ეკონომიკის, სუპერსახელმწიფოთა ინტერესების სფეროში აღმოჩნდეს (მაგ., კუვეიტი, აზერბაიჯანი, ავსტრია, კუბა, ისრაელი, საქართველო და სხვ.). პატარა ქვეყნისთვის საგარეოპოლიტიკურ სტრატეგიაში სერიოზული შეცდომის დაშვება მიუტევებელია, რადგან ამგვარი შეცდომა, შეიძლება, საბედისწერო აღმოჩნდეს.

საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებისა და საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის განსაზღვრისას პატარა ქვეყანა ძლიერზე უფრო ზუსტი, შეუცდომელი უნდა იყოს. დიდ, ძლიერ ქვეყანას საკუთარი სტრატეგიული შეცდომების გამოსწორების მეტი რესურსი (ვრცელი ტერიტორია, დიდი მატერიალური და ადამიანური რესურსები, მეტი დრო) აბადია. პატარა ქვეყანა, რომელიც თავის გადარჩენის სტრატეგიაში არასწორ არჩევანს გააკეთებს, ჩვეულებრივ, განწირულია ხოლმე.

როგორი მოქნილიც არ უნდა იყოს პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და როგორი სისწრაფითაც არ უნდა რეაგირებდეს იგი პირობათა და მოვლენათა ცვლაზე, მან საკუთარი სტრატეგიული მიზანი მაინც უნდა განსაზღვროს და სტრატეგიული არჩევანი უნდა გააკეთოს. ეს კი საერთაშორისო სისტემის ზოგიერთი ქვეყნის მხარდაჭერას და სხვებთან დაპირისპირებას ნიშნავს,

რაც, ბუნებრივია, უზარმაზარ რისკთან არის დაკავშირებული.

დიდი თუ პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები მრავალმხრივია, მათ როგორც საგარეო, ასევე საშინაო ასპექტები აქვთ. ბუნებრივია, რომ პატარა, სუსტ ქვეყანას გაუჭირდება გარედან მომდინარე შესაძლო საფრთხეებთან გამკლავება, მაგრამ შინ მოწესრიგებულობის, შიდა შეკავშირებულობის და ქვეყნის შიგნით არსებული საფრთხის (ან საფრთხეების) ნეიტრალიზაციის პრობლემას იგი ვერ გაექცევა. პატარა ქვეყანა, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, პირველ რიგში შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე უნდა ზრუნავდეს. საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლდოვას და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის ბევრი პატარა, განსაკუთრებით „ახალგაზრდა" სუვერენული ქვეყნის მაგალითი ამ შეხედულების სისწორეზე მეტყველებს.

პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები მოიცავს სამხედრო-პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, კულტურულ და ზოგჯერ ეთნო-კულტურულ ასპექტებს. მართალია, მათი განხილვა ცალ-ცალკე შეიძლება, მაგრამ სინამდვილეში ისინი გადახლართულნი და ურთიერთგანმსაზღვრელნი არიან. ხშირად ზოგიერთი პატარა ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმსაზღვრელია შიდა და საგარეო უსაფრთხოების პრობლემებიც.

ექსპერტები ხშირად მიუთითებენ, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, სადაც ეკონომიზაცია და ეკოლოგიზაცია უკვე მეტად მნიშვნელოვან ფაქტორებად იქცა, უსაფრთხოების სამხედრო ასპექტების მნიშვნელობა თითქოს ძალიან შემცირდა.[160] დღეს ისიც კარგად არის გაცნობიერებული, რომ სამხედრო და არასამხედრო ხასიათის საფრთხეები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და ერთის გამწვავება სხვათა გამწვავებასაც იწვევს. უსაფრთხოების საკითხების კვლევაში ფეხი მოიკიდა სისტემურმა მიდგომამ, რაც არა ერთი რომელიმე, არამედ ყველა მოსალოდნელი საფრთხის ერთმანეთთან

---

160 Jessica Tuchman Mathews, "Redefining Security", *Foreign Affairs*, Spring 1989, pp. 162-177; Porter, Gareth, "Environmental Security as a National Security Issue", *Current History*, Vol. 94, May 1995, No. 92, pp. 218-222; Fischer, Dietrich, *Nonmilitary Aspects of Security: A Systems Approach*, UNIDIR, Dartmouth, 1993.

კავშირში და ერთმანეთის კონტექსტში განხილვას გულისხმობს. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უსაფრთხოების არასამხედრო კომპონენტების ძალზე გაზრდილი როლია.

უსაფრთხოების ობიექტიცა და სუბიექტიც შეიძლება ცალკეული პიროვნება და ცალკეული სახელმწიფო იყოს. იგივე შეიძლება ითქვას მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების, სახელმწიფოთა დაჯგუფებებისა და მთელი საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის შესახებაც. ჩვენ სახელმწიფოთა *ეროვნული უსაფრთხოება* გვაინტერესებს. სახელმწიფო როდის გრძნობს თავს უსაფრთხოდ? – როდესაც იგი გრძნობს, რომ დაცულია ყველა აღქმული სამხედრო და არასამხედრო საფრთხისაგან, რომელიც კი თავად სახელმწიფოს არსებობას, მისი მოსახლეობის სიცოცხლეს, თავისუფლებას და კეთილდღეობას შეიძლება დაემუქროს. *არნოლდ ვოლფერსის* თქმით, „უსაფრთხოება, ობიექტურად, ასახავს შეძენილი ფასეულობების მიმართ საფრთხის არარსებობას, სუბიექტურად კი, შიშის არარსებობას, რომ ეს ფასეულობები ხელყოფილი იქნება".[161]

ქვეყანას უნდა ჰქონდეს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს არსებული და აღქმული საფრთხეების თავიდან აცილებას, სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფას მსოფლიო მასშტაბით. პატარა ქვეყნისათვის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა იმავე შინაარსისაა, რაც დიდი, ძლიერი ქვეყნისათვის, მაგრამ, მასშტაბების თვალსაზრისით პატარა ქვეყნის ამოცანები უფრო მოკრძალებულია. გარდა ამისა, პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ამოცანებს შორის დღემდე ყველაზე მნიშვნელოვანი გადარჩენა რჩება.

უსაფრთხოების შენარჩუნება თუ უზრუნველყოფა მხოლოდ სტატუს კვოს შენარჩუნებას როდი ნიშნავს. იცვლება საერთაშორისო გარემო, თავად სახელმწიფოც იცვლება და ამიტომ უსაფრთხოების უზრუნველყოფა ცვლილებების მიმართ ადაპტირების, შეგუების უნარიცაა. უსაფრთხოება ნიშნავს ცვლილებებისადმი იმგვარ შეგუებას, რომელსაც სამართლიანი და მშვიდობიანი წესრიგისაკენ მივყავართ. უსაფრთხოების უზრუნველყოფა დინამიკური განვითარების პროცესში საფრთხეთა განეიტრალებას, მათ თავიდან აცილებას ნიშნავს. *დიტრიხ ფიშერის* შეხედულებით, ცვალებად (გარეშე) პირობებში უსაფრთხოების მიღწევის მცდე-

161 Arnold Wolfers, *Discord and Collaboration*, Johns Hopkins University Press, Baltimore, 1962, p. 150.

ლობისას აქცენტი განსაზღვრული მიზნისაგან რაც შეიძლება ნაკლებ უკანდახევაზე კეთდება და ამიტომ ამგვარ მიდგომას შეიძლება *ადაპტაციის თეორია* ვუწოდოთ.[162]

მსოფლიო საკმაოდ სწრაფად იცვლება. ეკონომიკური და ტექნოლოგიური მიღწევები სხვა სფეროებში ცვლილებებს აჩქარებენ. დღეს გლობალურ დონეზე ოთხი მეტად მნიშვნელოვანი პროცესი ვითარდება და ღრმავდება:*გლობალიზაცია, ნაციონალიზმი, რეგიონალიზაცია* და *დემოკრატიზაცია*. ხსენებული პროცესები, ზოგიერთი დადებითი შედეგის მიუხედავად, ქვეყნების ფრაგმენტაციასაც იწვევენ.

გლობალიზაცია სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთდამოკიდებულების ზრდის ფაქტორიც არის და შედეგიც. ამავე დროს იგი გლობალურ პრობლემებზე ქვეყნების რეაგირებაცაა, რადგან ხსენებული პრობლემების გადაჭრა მათ ცალ-ცალკე არ ძალუძთ. *გლობალიზაცია* ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას მრავალ სფეროში, საერთო ღირებულებების მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბებას, კაცობრიობის კოლექტიური პასუხისმგებლობის გაძლიერებას. იმავდროულად გლობალიზაცია უკურეაქციასაც იწვევს, რაც გამოიხატება ნაციონალიზმის კიდევ უფრო მომძლავრებაში და ზოგიერთი საზოგადოებრივი ჯგუფის რადიკალურ განწყობასა და ქმედებებში ამ პროცესის წინააღმდეგ. გლობალიზაცია თითქოს ინტეგრაციის პროცესია, მაგრამ მის შედეგად ფრაგმენტაციაც ვითარდება.

ნაციონალიზმი ბევრისათვის მოულოდნელად XX საუკუნის მეორე ნახევარში საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოთა უსასრულო ფრაგმენტაციის, ეთნიკური, შიდასახელმწიფოებრივი დაძაბულობის და კონფლიქტების მიზეზი გახდა. საყურადღებოა, რომ თუ ადრე ნაციონალიზმი იმპერიებს ხრავდა შიგნიდან, თანამედროვე ეტაპზე იგი (განსაკუთრებით კი მისი უკიდურესი ფორმა, ეთნიკური ნაციონალიზმი), საერთაშორისო უსაფრთხოების უალრესად საშიშ მოვლენად იქცა. დღეს არსებულ სახელმწიფოთა უმრავლესობისთვის ნაციონალიზმი ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა. ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ გლობალიზაციის გაღრმავებასთან ერთად ნაციონალიზმი, როგორც ამ პროცესის საწინააღმდეგო რეაქცია და სახელმწიფოს ეროზიის შედეგი, კიდევ უფრო ძლიერ ფაქტორად მოგვევლინება.

---

162 Dietrich Fisher. *Nonmilitary Aspects of Security: A Systems Approach*, UNIDIR, Dartmouth, 1993, p. xii.

რეგიონალიზაცია თანამედროვე მსოფლიოში მეტად თვალსაჩინო მოვლენად იქცა. იგი, პირველ ყოვლისა, ეკონომიკური პროცესების შედეგია, მაგრამ მას უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური და კულტურული ცვლილებების გამოწვევაც შეუძლია. რეგიონალიზაცია სახელმწიფოთა მიერ მათთვის საერთო რეგიონალური პრობლემების გადაწყვეტისაკენ მიმართულ მჭიდრო თანამშრომლობას, ინტეგრაციას იწვევს. რეგიონალიზაცია სახელმწიფოთა სუვერენიტეტს ზღუდავს, მაგრამ ეკონომიკური, ეკოლოგიური და, რაც მთავარია, უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებას უწყობს ხელს. რეგიონალიზმის პროცესში ბევრი პატარა სახელმწიფოა ჩათრეული და ამით მათი უსაფრთხოება თითქოს უფრო დაცულია. რეგიონალიზაცია მჭიდრო რეგიონალურ თანამშრომლობას, რეგიონალურ ინტეგრაციას ემყარება და ამდენად რეგიონული უსაფრთხოების პირობებს ქმნის.

დემოკრატიზაცია XX საუკუნის მინურულს უმძლავრეს გლობალურ პროცესად იქცა. უსაფრთხოებასთან მისი მიმართება მარტივი ხასიათის როდია. როცა დემოკრატიზაციის პროცესი საწყის ფაზაშია, ზოგიერთ საზოგადოებაში (განსაკუთრებით – მრავალეროვნულში) იძაბება ეთნიკური ურთიერთობები; ხშირია სეპარატიზმისა და ირედენტიზმის გამოვლინებები, ეთნიკური კონფლიქტები. დემოკრატიზაცია სოციალური ცვლილებების პროცესია, ცვლილებებს კი, ჩვეულებრივ, სტაბილურობის მოშლა მოსდევს და უსაფრთხოება ირღვევა.

სამხრეთი კავკასიის ქვეყნებში დემოკრატიზაციის პროცესის შესწავლისას ამ მოვლენაზე ყურადღება გაამახვილა *ნ. მაკფარლეინმა.*[163] სამწუხაროდ, პოსტტოტალიტარულ საზოგადოებაში დემოკრატიზაცია ხშირად ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზე ამოზრდილ დაძაბულობასა და დაპირისპირებას იწვევს. ზოგადად კი დემოკრატიზაცია მშვიდობიანი გარემოს შექმნას უწყობს ხელს. დემოკრატიზაციის შედეგად ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოება, ძლიერდება ეკონომიკური სტიმულები და ბერკეტები, მცირდება სამხედრო ძალის ფაქტორის მნიშვნელობა; უფრო მეტიც, ამჟამად საკმაოდ ფეხმოკიდებული ე. წ. *დემოკრატიული მშვიდობის* თეორია გვარწმუნებს, რომ საერთო დემოკრატიულ ფასეულობებზე აღმოცენებული და განვითარებული სახელმწიფოები

163 S. Neil MacFarlane, "Democratization, Nationalism and Regional Security in the Southern Caucasus", *Government and Opposition,* Vol. 32, No. 3. Summer 1997, pp. 399-420.

ერთმანეთს არ ეომობიან და შექმნილ კონფლიქტურ ვითარებას მშვიდობიანი მეთოდებით აგვარებენ.[164] დემოკრატიზაციის პროცესი უფრო შორეულ პერსპექტივაში ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას ემსახურება, ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულ სამოქალაქო საზოგადოებაზე გადასვლის პირველ ეტაპზე კი, იგი თითქმის ყოველთვის, დესტაბილიზაციის უმთავრეს ფაქტორად წარმოგვიდგება.[165] დემოკრატიზაციის პროცესის გავლა ნებისმიერი თანამედროვე ერისათვის აუცილებელი პირობაა, რადგან გრძელვადიან პერსპექტივაში თანამედროვე სახელმწიფოებრიობა და მისი შენარჩუნება დემოკრატიული შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო გარემოს შექმნის გარეშე ნაკლებად არის შესაძლებელი. მოდერნიზაცია კი დემოკრატიზაციასთან ერთად დესტაბილიზაციასაც შეიცავს.[166]

პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ბევრ პრობლემას შორის არის ერთი, რომელიც მისთვის ხშირად არათუ უმნიშვნელოვანესი, არამედ საბედისწეროც კი შეიძლება აღმოჩნდეს. ვგულისხმობ ისეთ რეალობას, როგორიც პატარა, სუსტი და დიდი, ძლიერი ქვეყნების მეზობლობაა, რაც პირველს უსაფრთხოების პრობლემას უქმნის.

ძლიერი ქვეყნის პატარა მეზობლის უნარი, შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა (არა მხოლოდ სუვერენულობა!), გაატაროს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, რომელიც მის ეროვნულ ინტერესებს პასუხობს, აი ყველაზე მიმზიდველი თემა იმ მკვლევართათვის, ვინც პატარა, სუსტ ქვეყნებს შეისწავლის. მართლაც, პატარა ქვეყნისათვის ძლიერი სახელმწიფოს უშუალო მეზობლობაზე საშიში არაფერია.[167]

ო. კნუტსენის აზრით, უშუალო მეზობლობაში მყოფ ძლიერ სახელმწიფოსთან პატარა ქვეყნის მიმართებას პირველ ყოვლისა

164 იხ. Sean M. Lynne-Jones, "Preface", in: M. E. Brown, S. M. Lynne-Jones, S. E. Miller (Eds), *Debating the Democratic Peace*, The MIT Press, Cambridge, Mass., 1996, pp. ix-xxxiii.

165 თეა წულუკიანი, ეროვნული უსაფრთხოების არასამხედრო ასპექტები, სადიპლომო ნაშრომი, თბილისის დიპლომატიური აკადემია, თბილისი, 1998, გვ. 8.

166 Mr. Order Meets Mr. Chaos, *Foreign Policy*, May/June 2001, p. 54.

167 ამ საკითხის დეტალური ანალიზი იხ.:ოლავ კნუტსენი, პატარა სახელმწიფო:უსაფრთხოების პრობლემა, „პოლიტიკა", No. 7, 1991, გვ. 27-33 და No. 8, გვ. 20-28; Olav F. Knudsen, *Sharing Borders with a Great Power: An Examination of Small State Predicaments*, NUPI Report 159, May 1992.

განსაზღვრავს გეოგრაფიული სიახლოვე (საერთო საზღვრით), რომელსაც კონტაქტი მოსდევს და აქედან გამომდინარე, ცხადია კონფლიქტის შესაძლებლობაც.[168] სავსებით ბუნებრივია, რომ იმ საერთაშორისო სისტემაში, სადაც ძალთა იერარქია არსებობს, კარის მეზობლებს შორის არსებული ძალთა დიდი სხვაობა, ძლიერს სუსტი მეზობლისათვის საკუთარი ნების თავს მოხვევის ცდუნებას აღუძრავს და განსხვავებული შეხედულებების გაჩენისას, დავის გადასაწყვეტად ძალის გამოყენებისაკენ უბიძგებს.

დიდი, ძლიერი სახელმწიფო, როგორც წესი, საკუთარი გავლენის სფეროს შექმნას ლამობს. იგი ამ სფეროში მეტი და მეტი ქვეყნის მოქცევას ცდილობს, მაგრამ, პირველ ყოვლისა, უახლოეს მეზობლებზე საკუთარი გავლენითა და ბატონობით არის დაინტერესებული. ბუნებრივია, შესაძლებლობებში დიდი სხვაობა ძლიერ ქვეყანას მასზე ბევრად უფრო სუსტი პატარა მეზობლის დაყოლიებასა და დამორჩილებას უადვილდებს. თუ საერთაშორისო სისტემის უძლიერეს ქვეყნებს შორის მეტოქეობა გამწვავდა, პატარა ქვეყანაზე ძლიერი მეზობლის მხრიდან მეტი ზეწოლაა მოსალოდნელი. საერთაშორისო კონფლიქტის პირობებში ძლიერი სახელმწიფოები არც თავიანთი პატარა მეზობლების ოკუპირებაზე ამბობენ უარს.

პატარა ქვეყნის დამოუკიდებლობის უგულებელყოფაში საბჭოთა კავშირს ბადალი ნამდვილად არ ჰყავდა. კარგად არის ცნობილი, რომ ბალტიის სამმა დამოუკიდებელმა სახელმწიფომ (ესტონეთი, ლატვია, ლიტვა) შედარებით მოკლე პერიოდში საკმაოდ ბევრს მიაღწია და ევროპის ერთა ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრი გახდა. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას და, პირველ რიგში, *სტალინს* ტერიტორიული ექსპანსიისა და ბოლშევიკური „სამოთხის" სხვა ქვეყნებზე გავრცელების ჟინი ასულდგმულებდა. ჩვეულებრივ, ამგვარი ექსპანსიის აუცილებელობის არგუმენტად საბჭოთა კავშირის „სტრატეგიული და უსაფრთხოების ინტერესები" იყო მოხმობილი. ბალტიის პატარა სახელმწიფოების დამოუკიდებლობა საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის აუტანელი გახდა და 1939 წელს, ჰიტლერთან გარიგების შედეგად სტალინმა ესტონელთა, ლატვიელთა და ლიტველთა დამონება გადაწყვიტა. თუ აქამდე სსრკ-ისა და ბალტიის ქვეყნების ურთიერთობები მეტნაკლებად დიპლომატიურ ჩარჩოებში წარიმართებოდა,

168 ოლავ კნუტსენი. პატარა სახელმწიფო:უსაფრთხოების პრობლემა. „პოლიტიკა", No. 7, 1991, გვ. 28.

ამჯერად ოკუპაციის შიშით სამივე ქვეყანამ საბჭოთა კავშირთან „ურთიერთდახმარების“ პაქტს მოაწერა ხელი. ამ გზით საბჭოთა კავშირმა აღნიშნული ქვეყნების ტერიტორიაზე 20 ათასამდე ჯარისკაცი განალაგა, ხოლო ლიტვაში საზღვაო და საჰაერო ბაზების გამოყენების უფლება მიიღო.

1940 წლის ზაფხულში სტალინმა, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ ბალტიის სამ პატარა ერთან „ზრდილობიანად“ საუბრის დრო უკვე დასრულდა. ამიტომ პირდაპირ მოსთხოვა „საბჭოთა კავშირის მიმართ მეგობრულად განწყობილი მთავრობების“ ფორმირება და მათ ტერიტორიაზე დამატებითი საბჭოთა სამხედრო ნაწილების განლაგება. ბალტიის ქვეყნების ხელმძღვანელობა მიხვდა, რომ სტალინი მათი ქვეყნების მთლიან ოკუპაციას ამზადებდა და ულტიმატუმის ყველა პირობაზე დასთანხმდა. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირმა არც გათვალისწინებული მცირე ფორმალობები შეასრულა და ესტონელებს, ლატვიელებსა და ლიტველებს მათი დამოუკიდებლობა თავზე დაამხო.

უსუსურ მეზობელთან ძლიერი ქვეყნის „დიპლომატიური“ ურთიერთობის მეტად საყურადღებო მაგალითია 1939 წლის სექტემბრის მიწურულს მოსკოვში საბჭოთა კავშირისა და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა. ვიაჩესლავ მოლოტოვმა დაუფარავი მუქარით მიმართაკოლეგას: „თუ ესტონეთი მოსკოვთან სამხედრო კავშირზე არ დასთანხმდება, ჩვენ საკუთარ უსაფრთხოებას სხვა გზით, ესტონეთის თანხმობის გარეშე უზრუნველვყოფთ.“[169] ესტონელი მინისტრისავის ნათელი იყო, რას ნიშნავდა მოლოტოვის სიტყვები. მით უმეტეს, რომ პოლონეთის გაყოფა და დარბევა ორი ავაზაკი სახელმწიფოს, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მიერ რამდენიმე დღით ადრე მოხდა. მოლოტოვმა დასძინა, რომ ესტონეთში უნდა განლაგებულიყო 35 ათასიანი საბჭოთა ჯარი. ამაზე ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მორიდებით უპასუხა, რომ ეს ესტონეთის არმიას აღემატებოდა. ოთახში შემოსულმა სტალინმა მოლოტოვს უთხრა: „შენ ძალიან ულმობლად ეპყრობი ჩვენს მეგობრებს. 25 ათასი ჯარისკაციც იკმარებს.“[170] ასე მოეწერა ხელი სსრკ-სა და ესტონეთს შორის „ურთიერთდახმარების პაქტს“.

საბჭოთა კავშირის მიერ დიპლომატიად გასაღებულმა შან-

---

169 Леонид Млечин. МИД: Министры иностранных дел. Москва, Центрполиграф. 2001. стр. 182

170 იქვე. გვ. 183

ტაუმა მხოლოდ ფინელები ვერ გატეხა. სტალინმა მათ მოსთხოვა ბალტიისპირეთის სამ სახელმწიფოსთან დადებული „ხელშეკრულებების“ ანალოგიურ დოკუმენტზე მოეწერათ ხელი, მაგრამ ფინელებმა საკუთარ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა არ ისურვეს. მოლაპარაკება საბჭოთა და ფინეთის დელეგაციებს შორის მთელი თვე (1939 წლის 12 ოქტომბერი – 9 ნოემბერი) გაგრძელდა. საბჭოთა დელეგაციას ხელმძღვანელმა სტალინმა ფინელებისგან მათი კუთვნილი ზოგიერთი ტერიტორიაც (ფინეთის ყურის კუნძულები, კარელიის ნაწილი, ნახევარკუნძული რიბაჩი და ხანკოს ნახევარკუნძულის ნაწილი) მოითხოვა. სტალინი ფინელებს სამაგიეროდ აღმოსავლეთ კარელიის ნაწილს სთავაზობდა. ფინელები უარზე იყვნენ. მაშინ 1939 წლის 30 ნოემბერს სსრკ ფინეთს თავს დაესხა.[171] საყურადღებოა, რომ ფინელებმა დახმარება სთხოვეს გერმანიას, მაგრამ უარი მიიღეს. '*მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის* ერთგულმა გერმანიამ სტალინს არა მარტო მხარი დაუჭირა, არამედ სხვა ქვეყნებს ხელი შეუშალა, დახმარება აღმოეჩინათ ფინეთისთვის. ფინელები მთელი ზამთარი სამაგალითოდ იბრძოდნენ. სტალინმა ბლიცკრიგით ფინეთის მთლიანად განადგურება ვერ მოახერხა და იძულებული გახდა, მოლაპარაკება დაეწყო. საბჭოთა კავშირმა 131 ათასი კაცი დაკარგა, ფინეთმა – 29 ათასი. დასუსტებული ფინეთი იძულებული გახდა დაეთმო ყველაფერი, რაც სტალინმა მოთხოვა. მაგრამ, მთელმა მსოფლიომ დაინახა ფინელთა მამაცობა და საბჭოთა კავშირის სამხედრო უძლურება. ეს ომი ისტორიაში „ზამთრის ომის“ სახელით შევიდა. პატარა ერის სიმამაცემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მთელ მსოფლიოზე და, პირველ ყოვლისა, თავად აგრესორზე. ერთ-ერთმა საბჭოთა მარშალმა მეგობართა წრეში ასე იხუმრა:"კიდევ ერთი ასეთი ომი და ჩვენგან არაფერი დარჩებაო“, რის გამოც სტალინის რისხვა დაიმსახურა.

ძალის პოლიტიკის პირობებში პატარა ქვეყანა ძლიერი მეზობლისაგან კარგს არაფერს უნდა ელოდეს. თუ ძლიერი მეზობელი ეკონომიკურად განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოა, მაშინ პატარა მეზობელზე მისი გავლენა ყველაზე ხშირად ეკონომიკური ექსპანსიის ხასიათს იძენს.

საყურადღებოა, რომ თავად სტალინმა რამდენჯერმე პატივისცემით მოიხსენია ფინეთის სამხედროთა მამაცობა. პირვე-

171 William R. Trotter. Frozen Hell. The Russo – Finnish winter war of 1939 – 40. Algonquin Books of Chapel Hill, 2000, pp. 21-22

ლად ეს მოხდა 1943 წელს, თეირანის კონფერენციის მსვლელობისას, ხოლო შემდეგ რამდენჯერმე მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც. 1948 წელს ფინეთის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას მოსკოვში მან ასეთი სადღეგრძელოც კი წარმოთქვა – „არავინ სცემს პატივს ქვეყანას, რომელსაც ცუდი არმია ჰყავს, მაგრამ ყველა სცემს პატივს კარგი არმიის მქონე ქვეყანას. ვადღეგრძელებ ფინეთის არმიას!"

პატარა ქვეყანა ძლიერისაგან რაც უფრო შორს მდებარეობს, მით უფრო ნაკლები უნდა იყოს მისით დაინტერესება. პატარა მეზობელს კი ყველაზე მეტად მაშინ არ ულხინს, როცა მისი ძლიერი მეზობელი მას თავისი მეტოქის (ან მეტოქეების) მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის პლაცდარმად ან სტრატეგიული თვალსაზრისით ხელსაყრელ ტერიტორიად აღიქვამს. ამგვარ შემთხვევაში ძლიერი სახელმწიფოს ზეწოლა პატარა მეზობელზე ძალიან დიდი იქნება. მაგალითის საძიებლად შორს წასვლა არ დაგვჭირდება; ამისთვის 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკა ამის ნათელი დადასტურებაა.

პოლიტიკური უსაფრთხოება. პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ელემენტთა შორის პოლიტიკური უსაფრთხოება უმთავრესია. ეროვნული უსაფრთხოების დანარჩენი ელემენტები მასზეა „დაშენებული". დიდი თუ პატარა სუვერენული ერთეული, ერთნაირად უნდა ზრუნავდეს საკუთარ გადარჩენაზე, სუვერენულობისა და ტერიტორიული მთლიანობის, სასიცოცხლო პოლიტიკური ინსტიტუტების დაცვა-განმტკიცებაზე. ყოველივე ეს ნებისმიერი სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტებს წარმოადგენს. პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკური მიზნებისა და პრიორიტეტების შესახებ უკვე საკმაოდ ვისაუბრეთ. ამიტომ მართებული იქნება პოლიტიკური უსაფრთხოების შიდასახელმწიფოებრივ ასპექტებზე შევჩერდეთ.

სწორად აღინიშნა:„ხალხს საფრთხე ემუქრება, როდესაც სახელმწიფო არაეფექტური ან სუსტია და არ ძალუძს ადამიანების სიცოცხლის დაცვა და მათი ძირითადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება".[172] რამდენად არის განვითარებული სახელმწიფოებრიობა, რამდენად მდგრადია იგი, როგორ უძლებს იგი

172 Dietrich Fisher, *Nonmilitary Aspects of Security: A Systems Approach*, UNIDIR. Dartmouth, 1993, p. 12.

საზღვრის გარედან თუ საზოგადოების შიდა განვითარების პროცესიდან მომდინარე გამოწვევებს – აი, ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების შიდასახელმწიფოებრივი ასპექტების ხასიათის ძირითადი განმსაზღვრელი მომენტები. იმის გამო, რომ პატარა ქვეყნების უდიდესი ნაწილი შედარებით „ახალგაზრდაა" და უკანასკნელ ათწლეულებში ათობით ახალი პატარა ქვეყანა წარმოიშვა, მათი ეროვნული უსაფრთხოების შიდასახელმწიფოებრივ ასპექტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა. პატარა ქვეყანა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ისედაც სუსტია და როცა ამას თან მისი შიდა სისუსტე, სახელმწიფოებრიობის სიმყიფეც ემატება, ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება.

შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური უსაფრთხოება სახელმწიფოს ტერიტორიული და ინსტიტუციური სტრუქტურების მდგრადობას, არსებული პოლიტიკური რეჟიმის სტაბილურობას ნიშნავს. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისათვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან პოლიტიკური უსაფრთხოების შიდასახელმწიფოებრივი კომპონენტების სტაბილურობის გარეშე ვერ მოხერხდება სამოქალაქო საზოგადოებისა და თანამედროვე ეკონომიკის ჩამოყალიბება. ევროპის ქვეყნებს რამდენიმე საუკუნე დასჭირდათ იმისათვის, რომ *ერი-სახელმწიფოები* შეექმნათ და მდგრადი სახელმწიფოებრიობა ჩამოეყალიბებინათ. თანამედროვე პატარა კვაზი-სახელმწიფოების უმრავლესობას ისტორიამ ამდენი დრო არ მისცა და მათთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანის, *მდგრადი სახელმწიფოებრიობის* შექმნისათვის რამდენიმე ათწლეულიღა აკმარა. მათთვის დასავლური ყაიდის სახელმწიფოს შექმნა ყოფნა-არყოფნის საკითხია. პატარა სახელმწიფოებს იმის საშუალება არ გააჩნიათ, რომ მრავალსაუკუნოვანი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ევოლუციის პროცესი დასავლეთის ქვეყნების მსგავსად განვლონ და ამ ევოლუციას რამდენიმე საუკუნე მოანდომონ.

თანამედროვე პატარა სახელმწიფოების უმრავლესობას ხელისუფლების რეალური დაყოფისა და მისი შტოების გაწონასწორების თვალსაზრისით, საკონსტიტუციო კონტროლის, სამართლებრივი რეჟიმის, სახელმწიფოს ფუნქციონირების სფეროში ჯერჯერობით დიდი პრობლემები ექმნება. ბევრი პატარა ქვეყნისათვის მეტად აქტუალურია ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების პრობლემა და ხელისუფლების ლეგიტიმურობის არასაკმარისი დონე, რის გამოც ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხ-

ოების შიდასახელმწიფოებრივი კომპონენტი უაღრესად სუსტია. მართვის მოძველებული კულტურა და მანკიერი მეთოდები, და გალაღებული კორუფცია ხსენებულ პრობლემებს კიდევ უფრო ამწვავებს და მრავალი ახალი პატარა სახელმწიფოს სუვერენულ არსებობას ძირს უთხრის.

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა დიდად არის განპირობებული მისი საშინაო ვითარებითა და პოლიტიკით. შიდასახელმწიფოებრივი არასტაბილურობა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას ძირს უთხრის, მის საგარეო პოლიტიკას არაეფექტურს და მოუქნელს ხდის. ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების განხილვისას ერთი რამ სავსებით ცხადი ხდება:ეროვნული უსაფრთხოების ამ კომპონენტში საგარეო საფრთხის განეიტრალების შესაძლებლობებს შიდა საფრთხეები განსაზღვრავენ. შიდაპოლიტიკური პრობლემების სიმწვავე და ქვეყნის პოლიტიკური ელიტის უუნარობა, გაუმკლავდეს ხსენებულ პრობლემებს, პოლიტიკურ უსაფრთხოებას სათუოს ხდის.

პატარა (განსაკუთრებით – ახალგაზრდა) სახელმწიფოთა პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა და ამავე დროს ფაქტორი ალბათ ამ სახელმწიფოებში სათანადო პოლიტიკური ელიტის არსებობა და მისი ხასიათია. მომზადებული, პასუხისმგებლობის უნარის მქონე პოლიტიკური ელიტის არსებობა ის აუცილებელი პირობაა, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოებრიობის შექმნას და ქვეყნის პოლიტიკურ უსაფრთხოებას განსაზღვრავს. ელიტის პრობლემა უაღრესად სერიოზულია და ახალგაზრდა სახელმწიფოთა გამოცდილება ამას ადასტურებს. იგი განსაკუთრებით მწვავე აღმოჩნდა პოსტკოლონიურ სახელმწიფოებში. არანაკლებ მწვავეა ხსენებული პრობლემა პატარა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში. ამ ქვეყნებს საბჭოთა კავშირიდან მემკვიდრეობით ერგო საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო ნომენკლატურა, რომელიც ახალი სახელმწიფოებრიობისა და ეკონომიკის მშენებლობისათვის გამოუსადეგარია. აქედან პოსტსაბჭოური სახელმწიფოების ტრანზიციის ურთულესი პრობლემები და კრიზისული, ხშირად უიმედო ვითარება, რომელშიც აღმოჩნდა ბევრი ამგვარი ქვეყანა. მთელი ეროვნული (და მათ შორის – პოლიტიკური) უსაფრთხოების თვალსაზრისით სრულიად სხვა ფასეულობების საფუძველზე აღზრდილი და განსწავლული ახალი პოლიტიკური ელიტის შექმნა ახალგაზრდა სახელმწიფოთა უპირველესი ამოცანაა.

პოლიტიკური უსაფრთხოების თვალთახედვით ქვეყანა ასე თუ ისე მაშინ არის დალხენილი, როცა მისი პოლიტიკური ინსტიტუტები მყარია და სტაბილური, პოლიტიკური პროცესები – გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეული და აღიარებული ნორმებისა და წესების შესაბამისად განვითარებული; ამასთან პოლიტიკური ბრძოლა ისეა დარეგულირებული, რომ სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარებას ემსახურება და პოლიტიკური სტაბილურობა უზრუნველყოფილია.

სამხედრო უსაფრთხოება. პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სამხედრო ასპექტები ისევე მრავალფეროვანი და რთულია, როგორც საშუალო და დიდი სახელმწიფოებისა. პატარა ქვეყანა მასზე ბევრად უფრო დიდებთან შედარებისას, სამხედრო თვალსაზრისით, უმწეო გვეჩვენება, მაგრამ დედამიწაზე არსებული სახელმწიფოების უმრავლესობა ხომ პატარაა და მათი სამხედრო ძლიერებაც – დაახლოებით ერთნაირი. თუმცა არის ზოგიერთი გამონაკლისი. თავისი სამხედრო ძლიერებით ისრაელი არა მხოლოდ ნებისმიერ პატარა ქვეყანას დაჩრდილავს, არამედ ბევრ საშუალო ქვეყანასაც კი შურით აღავსებს; მით უმეტეს დღეს, როდესაც ბირთვულ იარაღსაც ფლობს. სამხედრო თვალსაზრისით საკმარისად ძლიერი ქვეყნებია:შვეცია, სირია, შვეიცარია და სხვ.

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში პატარა ქვეყნები თავს მთლად უსაფრთხოდ ჯერაც ვერ გრძნობენ. პრაქტიკულად ყოველ მათგანს ჰყავს შეიარაღებული ძალები (ფლოტი თუ არა, პატარა არმია მაინც). ბევრ პატარა ქვეყანას არმია პრაქტიკულად ალბათ არც სჭირდება, მაგრამ შეიარაღებული ძალები ხომ სუვერენული ქვეყნის ატრიბუტად მიიჩნევა, არმია და ოფიცერთა კორპუსი ეროვნული სიამაყის დაკმაყოფილების ძლიერი საშუალებაა. გარდა ამისა, ბევრ პატარა ქვეყანაში არმია უფრო შიდა პრობლემების მოსაგვარებლად არის განკუთვნილი. არცთუ იშვიათად არმიის სწორედ ამგვარი გამოყენების პრაქტიკას ზოგიერთი პატარა ქვეყანა სამხედრო დიქტატურამდე ან თუნდაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სამხედროთა განმსაზღვრელი როლის აღიარებამდე მიჰყავს. ზოგიერთ პატარა სახელმწიფოში იმდენი გენერალია, რომ შექმნილი დისპროპორცია კომიკურად გამოიყურება. ამავე დროს არის პატარა ქვეყნები, რომლებსაც შეიარაღებული ძალები არ გააჩნია (ცენტრალურ ამერიკაში მდე-

ბარე კოსტა-რიკას მხოლოდ მცირერიცხოვანი პოლიცია ჰყავს).

პატარა ქვეყნისათვის შეიარაღებული ძალების ყოლა უაღრესად ძვირი სიამოვნებაა, ხშირად — ფუფუნებაც კი. თანამედროვე შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა ძალზე ძვირია. სამხედრო მოსამსახურეთა წვრთნა-მომზადება და სათანადო კონდიციამდე მიყვანა და შენარჩუნება ასევე ძალზე ძვირია და რთული. პატარა ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობები კი, როგორც წესი, უმნიშვნელოა. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც რომელიმე პატარა ქვეყანა საკუთარი სამხედრო ხარჯების მონა ხდება და მისთვის სრულიად შეუფერებელი სიდიდის არმიას ინახავს. ამგვარი ქვეყნები ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში ადრეც იყო არც დღეს არის იშვიათი. პატარა ქვეყანა, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში მაღალ სამხედრო ხარჯებს გაიღებს, ეკონომიკურად ძალზე განვითარებული უნდა იყოს (როგორც ისრაელი). სხვანაირად მისი მეურნეობა ამ ხარჯების დაწოლას ვერ გაუძლებს. როგორც წესი, დიდი სამხედრო დანახარჯების მქონე პატარა სახელმწიფოებში სამხედრო დიქტატურა ან ავტორიტარული რეჟიმია დამყარებული.

ეროვნული უსაფრთხოების სამხედრო კომპონენტი ყოველ პატარა ქვეყანას კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული და განსაზღვრული. ეროვნული უსაფრთხოების წმინდად ან ნაწილობრივ სამხედრო ასპექტის მქონე მიზანი ან პრიორიტეტი რაც შეიძლება ზუსტი და რეალისტური უნდა იყოს; წინააღმდეგ შემთხვევაში პატარა ქვეყანამ შეიძლება არა მხოლოდ ბიუჯეტი დააზარალოს, არამედ შეიძლება საბედისწერო შეცდომაც დაუშვას (პატარა ქვეყნისათვის ყველა სერიოზული სტრატეგიული შეცდომა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს).

კონფლიქტები პოლიტიკური ბუნებისაა და მათ, ცხადია, პოლიტიკური მიზნები აქვთ. ეს გარემოება პატარა ქვეყნებს აგრესორის შეკავებასა და მისგან დაცვაში ეხმარება. თუ პატარა ქვეყანა თავისი მოქალაქეების პოლიტიკურ მობილიზებას ახერხებს, მას პოტენციურ თუ ფაქტობრივ აგრესორთან შედარებით გარკვეული უპირატესობა უჩნდება. *შვეიკსის* აზრით, *სამხედრო ძალას* განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება კონფლიქტის მეორე ფაზაში.[173] პირველ ფაზაში, (ე.ი იქამდე, სანამ სამხედრო მოქმედებები დაიწყება), და მესამე დამასრულებელ ფაზაში, (როცა

173 V. V. Sveics, *Small Nation Survival, Political Defence in Unequal Conflicts*, Exposition Press, N. Y., 1970, p. 14.

სამხედრო ოპერაციები შეწყდება), *პოლიტიკურ ძალას* ენიჭება მეტი მნიშვნელობა. პოლიტიკური ერთიანობა და მობილიზების მაღალი დონე დიდ გავლენას ახდენს როგორც კონფლიქტის მსვლელობაზე, ისე მის შედეგებზეც. პატარა ქვეყანას შეუძლია აგრესიას (სუპერძალის აგრესიის ჩათვლით), პოლიტიკური საშუალებების გამოყენებით გაუძლოს. პატარა ქვეყნებს საკუთარი ხალხის გაერთიანებით, პოლიტიკური ძალა ემატებათ, ხოლო აგრესორი პოლიტიკურად ყოველთვის უფრო სუსტია. ქვეყნის დამარცხება მასზე პოლიტიკური კონტროლის დამყარებას ნიშნავს.[174] გამარჯვებას განსაზღვრავს საზოგადოებრივი აზრი და სხვაზე გაბატონება საზოგადოებრივი აზრის კონტროლს დაქვემდებარების გარეშე ძნელი წარმოსადგენია.

მართალია, დღეს ბევრნი თანამედროვე გლობალიზაციისა და საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის დაჩქარების პირობებში, პატარა ქვეყნების შეიარაღებული ძალების შენახვას ფუფუნებად და უაზრობად მიიჩნევენ, მაგრამ მაინც ხსენებული ქვეყნები, ისევე როგორც მათი უფრო „მძიმეწონოსანი კოლეგები", შეიარაღებული ძალების შენახვაზე, მათ განვითარებასა და დახვეწაზე ზრუნავენ, ხშირად ამას სხვა სფეროების (განსაკუთრებით – სოციალური, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის) საზიანოდ სჩადიან.

პირველ ყოვლისა, პატარა ქვეყანას მართებს იმის განსაზღვრა, თუ საკუთარი ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული უსაფრთხოების რომელი მიზნებისა და პრიორიტეტებისათვის ესაჭიროება შეიარაღებული ძალები. ასევე უნდა განისაზღვროს, რა სიდიდისა და შემადგენლობის შეიარაღებული ძალებია საჭირო მიზნების მისაღწევად, ან რამდენად არის შესაძლებელი მათი ყოლა. ქვეყანას შექმნილი საერთაშორისო და რეგიონული ვითარების, ჭეშმარიტი ეროვნული ინტერესების რეალისტურად ამსახველი სამხედრო დოქტრინა უნდა გააჩნდეს.[175] გარდა ამისა, ისიც ცნობილია, რომ სამხედროები ყოველთვის ცდილობენ საზოგადოება დაარწმუნონ, რომ მის მიერ გაღებული სამხედრო ხარჯები

---

174 იქვე, p. 45.

175 საქართველოს სამხედრო პრობლემების შესახებ იხ.:დავით დარჩიაშვილი. პოლიტიკოსები, ჯარისკაცები, მოქალაქენი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2000; სამხედრო სამოქალაქო ურთიერთობები. მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტი, თბილისი, 2000.

არასაკმარისია და ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების უზრუნველყოფისათვის მათ მეტი რესურსები ესაჭიროებათ. ამგვარი რამ განსაკუთრებით პატარა ქვეყნისათვის არის საზიანო, რადგანაც მას დიდი სამხედრო ბიუჯეტი უაღრესად მძიმე ტვირთად დააწვება. არსებობს ეროვნული უსაფრთხოების სამხედრო-სტრატეგიული კომპონენტის მიმართ განსაკუთრებული ყურადღების ინერცია. მართალია, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში, სადაც ეკონომიკური და სხვა არასამხედრო კომპონენტების მნიშვნელობა საკმაოდ სწრაფად იზრდება, სამხედრო კომპონენტი ჯერ ისევ ძლიერია და სამხედროები ამის გამო გარკვეული პრიორიტეტით სარგებლობენ.

ეკონომიკური უსაფრთხოება. პატარა სახელმწიფოს კონტექსტის განხილვის გარეშე, ეკონომიკური უსაფრთხოების ენდოგენურ (შიდა) და ეგზოგენურ (გარეშე) ფაქტორთაგან ძნელია რომელიმეს უპირატესობა მიანიჭო, თუმცა გადაჭრით უნდა ითქვას, რომ შიდა ფაქტორების მნიშვნელობა ყოველთვის უაღრესად დიდია. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება, პირველ ყოვლისა, მის ეკონომიკურ დინამიზმს ნიშნავს. რომლის მიღწევასაც წინ ეღობება მორალურად და ფიზიკურად მოძველებული ძირითადი ფონდები, ინფრასტრუქტურა, მუშახელის დაბალი კვალიფიკაცია, კორუფცია, ქვეყანაში მომუშავე საერთაშორისო კორპორაციების მიმართ არასწორი პოლიტიკა და სხვ.

ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას საშიშროებას უქმნის ეკონომიკური ბოიკოტი, ემბარგო და ბლოკადა. ყოველივე ეს შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერი ქვეყნის მიმართ, მაგრამ პატარა სახელმწიფოსთვის ეკონომიკური ზეწოლის (ომის) ხსენებული ფორმები განსაკუთრებით საშიშია, რადგან მისი შიდა შესაძლებლობები და საკუთარი რესურსების მობილიზების უნარი, ჩვეულებრივ, ძალზე შეზღუდულია.

პატარა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოებისათვის განსაკუთრებული საშიშროება მაშინ იქმნება, როცა მას მონოკულტურაზე დაფუძნებული მეურნეობა (ე. წ. კოლონიური სტრუქტურა) აქვს. თუ პატარა ქვეყანა საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურაში დაქვემდებარებული მდგომარეობით ხასიათდება, იგი ძირითადად, საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ვერ ახერხებს. უფრო მეტიც, უმრავლეს შემთხვევებში მისი ეკონომიკური მდგომარეობა უარესდება ხოლმე.

ადრე, ეკონომიკური ნაციონალიზმის, ეკონომიკური ავტარკიისა და თვითკმარობის კონცეფციების და პრაქტიკის ბატონობის პირობებში, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების იმპერატივები მეტ-ნაკლებად ნათელი იყო: ეკონომიკის სასიცოცხლო, სტრატეგიულ დარგებში რაც შეიძლება მეტი თვითკმარობა და ზოგჯერ ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილის სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების თვალსაზრისით განვითარება და ფუნქციონირება, რაც უმეტესად ეკონომიკურად არარენტაბელური იყო და სახელმწიფოს მხრებზე გადადიოდა.

ქვეყნის ეკონომიკის ტერიტორიული სტრუქტურა, ზოგიერთი საწარმოო დარგის გეოგრაფია ხშირად სამხედრო უსაფრთხოების მოთხოვნებს ექვემდებარებოდა. მაგალითად, საფრანგეთში თვითმფრინავების წარმოება ქვეყნის სამხრეთ მხარეში, ქ. ტულუზის რაიონში, განვითარდა, რაც ტრადიციული მოწინააღმდეგის – გერმანიისაგან სიშორემ განაპირობა. საბჭოთა კავშირში კი სამხედრო მრეწველობის ძირითადი კერები ვოლგისპირეთსა და ურალში განვითარდა, რადგან ეს რეგიონები ქვეყნის სიღრმეში მდებარეობდა.

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების, საერთაშორისო ურთიერთობათა ეკონომიზაციის პირობებში ეკონომიკური „იზოლაციონიზმის“ გატარებას, ეკონომიკური თვითკმარობის პრინციპის ძველებურად გამოყენებას დიდი ქვეყნებიც კი ველარ ახერხებენ. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის პირობებში პატარა ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკა საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში ხელსაყრელი პოზიციების დაკავებაში მდგომარეობს და საერთაშორისო ბაზრებზე დამოკიდებულების მკვეთრად გაზრდილი დონით განისაზღვრება. ამგვარ პირობებში ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნებისა და კრიტერიუმების დადგენა ძნელი საქმეა. თუმცა, ჯერ კიდევ ადრეა იმის მტკიცება, რომ ქვეყნების უსაფრთხოების ინტერესები ეკონომიკური ინტეგრაციის ინტერესებმა მთლიანად დაჩრდილა და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საჭიროება გაქრა.

აშკარაა, რომ თანამედროვე ეტაპზე ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში ეკონომიკური უსაფრთხოება ახალ ნიშნებსა და განზომილებებს იძენს. ადრე იგი, პირველ ყოვლისა, ქვეყნის მეურნეობის მაქსიმალურად მეტ დივერსიფიცირებასა და თვითკმარობას გულისხმობდა. დღეისთვის კი ეკონომიკურ უსაფრთხოებას უფრო მეტად ცვალებად საერთაშორისო ეკო-

ნომიკურ კონიუნქტურასთან, ბაზრების დინამიკასთან შეგუების უნარი, აგრეთვე - *შრომის საერთაშორისო დანაწილების* მექანიზმებში საკუთარი ადგილისა და ფუნქციის მონახვა და აქტიური ვაჭრობა განსაზღვრავს. თუ ქვეყნის ეკონომიკაში განვითარებულია თანამედროვე დარგები და ტექნოლოგიები, მისი შრომითი რესურსების კულტურული და პროფესიული დონის შენარჩუნება და ზრდა უზრუნველყოფილია განათლების ეფექტური სისტემით, მაშინ ამგვარი ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემები რთული არ იქნება. პატარა ქვეყნებს რაც შეეხება, ზემოთქმული, პირველ ყოვლისა, მათ ეხება. ჩვეულებრივ, ბუნებრივი რესურსების უკმარისობა სწორედ პატარა ქვეყნებს ახასიათებს და მათი მთავარი რესურსი განათლებული და კვალიფიციური შრომითი რესურსები უნდა იყოს.

პატარა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ საუბარს ართულებს არა მხოლოდ საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე გლობალური ხასიათის ცვლილებები და ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავება, არამედ ყოველი პატარა ქვეყნის განსხვავებული, უნიკალური უსაფრთხოებითი გარემოს სპეციფიკა, რეგიონალური კონტექსტი და განსხვავებულობა (მაგალითად, ისრაელის ეკონომიკური უსაფრთხოების კრიტერიუმები დანიისა თუ ბელგიის ანალოგიური კრიტერიუმებისაგან დიდად განსხვავებული იქნება). ცხადია, რომ პატარა პოსტსაბჭოური სახელმწიფოების ეკონომიკური უსაფრთხოების პრიორიტეტების განსაზღვრა განსაკუთრებით რთული ამოცანაა, რადგან ამ სივრცეში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, მათი სპეციფიკა, უთუოდ, უნიკალურია (ისტორიაში ჯერ არ ყოფილა ტრანზიცია ე. წ. სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზროზე!). არა მხოლოდ მათი უსაფრთხოების, არამედ მთლიანად პოსტსაბჭოური საზოგადოების ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთეულებად ჩამოყალიბების პრობლემები სერიოზულ, მასშტაბურ კვლევას მოითხოვს.

როცა თანამედროვე სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შეკვეცაზე საუბრობენ, პირველ ყოვლისა, სწორედ ეკონომიკურ სუვერენიტეტს გულისხმობენ. მართლაც, ეკონომიკურად სავსებით „სუვერენული" (ე. ი. მთლიანად თვითკმარი, არავისზე დამოკიდებული და ა. შ.) სახელმწიფოს წარმოდგენაც კი ძნელია. დღეისათვის, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებისა და ინტეგრაციის პროცესების პირობებში, ქვეყნების პოლიტიკური სუ-

ვერენიტეტიც შეიბღალა და ზოგიერთი ექსპერტი სუვერენიტეტს „თვალთმაქცობასაც“ კი უწოდებს.[176]

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების პირობებში პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნებისათვის განსაკუთრებით აქტუალური ხდება ურთულესი გარდამავალი პერიოდის დასაძლევად ისეთი ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება და დამკვიდრება, რომელიც ამ ქვეყნების ეკონომიკის უწყვეტ ფუნქციონირებას, დინამიზმს, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სოციალური კრიზისის შერბილებას უზრუნველყოფს. მთავარია, მათ საკუთარი ეკონომიკა იმგვარად განავითარონ, რომ შრომის საერთაშორისო დანაწილების მექანიზმში თავიანთი ადგილისა და ფუნქციის მონახვა შეძლონ და დაქვემდებარებულ, ჩამორჩენილი ეკონომიკური სტრუქტურის მქონე ქვეყნებად არ გადაიქცნენ.

ცალკეულ პოლიტიკურ ძალებსა და ექსპერტებს ეკონომიკური უსაფრთხოება სხვადასხვაგვარად ესმით. მით უფრო ძნელად გასააზრებელი და ჩამოსაყალიბებელია პატარა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების იმპერატივები.

საზოგადოებრივი უსაფრთხოება. ბარი ბიუზანის აზრით, ძნელია საზოგადოებრივი უსაფრთხოება პოლიტიკურისაგან განასხვავო.[177] ეს სამართლიანი შენიშვნაა; მართლაც, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ზოგიერთი მომენტი სამხედრო და პოლიტიკური უსაფრთხოების სამოსელში გვევლინება. ზოგჯერ საზოგადოებისათვის საფრთხეები პოლიტიკური მნიშვნელობის საფრთხეებში გადაიზრდება. საზოგადოებრივი უსაფრთხოებისათვის საშიშროებები, ჩვეულებრივ, სახელმწიფოთა შიგნით ჩნდება და ვითარდება. საზოგადოებრივი უსაფრთხოების სფეროში უმთავრესად ხვდება კულტურული, რელიგიური იდენტურობის პრობლემებით გაჩენილი საფრთხეები. გარდა ამისა, თუ ქვეყანაში დამნაშავეობის დონე მაღალია, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას სერიოზული პრობლემები ექმნება. ტერორიზმი, მათ შორის საერთაშორისოც, ასევე საზოგადოებრივი უსაფრთხოების სფეროს განეკუთვნება.

საზოგადოების უსაფრთხოების უსაფრთხოების სფეროში ხვდება გარდამავალი პოსტსაბჭოური პატარა სახელმწიფოე-

---

176 Stephen D. Krasner, *Sovereignty: Organized Hipocrisy,* Princeton University Press, Princeton, 1999.

177 Barry Buzan, *People, States and Fear,* Second Edition. Lynne Rienner Publishers, Boulder, 1991, p. 122.

ბის მოსახლეობაში სოციალური პოლარიზაციის პროცესით გამოწვეული პრობლემები და დაძაბულობა, აგრეთვე სიღარიბისა და მოსახლეობის მარგინალური ჯგუფების გაჩენით წარმოქმნილი უკმაყოფილების ძლიერი მუხტი, რომელიც არცთუ ისე იშვიათად საზოგადოებრივ წესრიგს და სტაბილურობას ძირს უთხრის. პოსტსაბჭოური ქვეყნების მოსახლეობამ საკუთარ თავზე იწვნია გარდამავლაი პერიოდის უაღრესად მძიმე სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც ხშირ შემთხვევებში სოციალური პროტესტის მიზეზი გახდნენ.

ყველაზე ხშირად საზოგადოებრივი უსაფრთხოების პრობლემები ეთნიკური და რელიგიურ-კულტურული წარმოშობის და ხასიათისაა. ნაციონალიზმი (განსაკუთრებით – მისი უკიდურესი ეთნიკური ფორმა), სეპარატიზმი და ირედენტიზმი საზოგადოებრივი უსაფრთხოების ყველაზე დიდი „მტრებია". ეთნიკური და რელიგიური სიჭრელით გამორჩეულ ქვეყნებში ნოყიერი ნიადაგი არსებობს იმ საფრთხეებისათვის, რომლებიც საზოგადოებას, სახელმწიფოს ემუქრებიან. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიღწევა განსაკუთრებით ძნელია მყიფე სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნებში. როდესაც რომელიმე ტერიტორია სუვერენული ხდება და სახელმწიფოებრიობის შენებას იწყებს, ამ პროცესის თანმხლები პრობლემები მთელ საზოგადოებას და სახელმწიფოს სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ზოგჯერ ამგვარი საფრთხე გარედან არის „იმპორტირებული" ან გარედან ხელშეწყობის შედეგად იკრებს ძალებს. პატარა, სუსტი ქვეყნისათვის გარედან ამგვარი ჩარევა უაღრესად საშიშია. ქართველმა მკითხველმა ეს შესანიშნავად იცის.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების პრობლემების მოგვარება მაღალ პოლიტიკურ კულტურას მოითხოვს. მათი შედეგიანი გადაწყვეტა დემოკრატიული გზით უფრო ხერხდება. უპირატესად ძალისმიერი მეთოდების გამოყენებამ სერიოზული საზოგადოებრივი პრობლემები შეიძლება უფრო გააღრმავოს ან მათი გადაჭრა დროებით გადაიდოს.

ეკოლოგიური უსაფრთხოება. ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოების პრობლემები განსაკუთრებით აქტუალური XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ხდება. ამ დროისათვის ეკოსისტემათა ცხოვრებაში ადამიანის მასშტაბურმა ჩარევამ, ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგებმა, ბირთვული და თერმობირთვული

იარაღის მრავალმა გამოცდამ, ატომური ენერგეტიკის განვითარებამ და მრავალმა სხვა გარემოებამ და ფაქტორმა კაცობრიობის მოაზროვნე ნაწილს სერიოზული ეჭვი აღუძრა ბუნების მიმართ ადამიანის შეხედულებათა სისწორეში. იგივე უნდა ითქვას ბუნებრივი გარემოს მიმართ მტაცებლური მიდგომის გამოც. გარემოს დაბინძურების შედეგები იმდენად საზარელი გამოჩნდა, რომ ეკოლოგიური ასპექტი ეკონომიკისა და პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად წარმოჩნდა. ეკოლოგიურმა კომპონენტმა ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებშიც მეტად სერიოზული ყურადღება მიიპყრო.[178] ეროვნული უსაფრთხოების ეკოლოგიური კომპონენტები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მათ ძალუძთ არა მხოლოდ სახელმწიფოს ფიზიკური საფუძველი მოარყიონ, არამედ თვით მისი არსებობაც კი სათუო გახადონ.

ისეთ ტრადიციულ ბუნებრივ უბედურებებს, როგორიც არის ტაიფუნები, დიდი მიწისძვრები, ხანგრძლივი გვალვა, ეპიდემიები, შეუძლია ბევრ (განსაკუთრებით პატარა!) სახელმწიფოს გამანადგურებელი ომის ტოლფასი ზიანი მიაყენოს, მთლიანად ქვეყანა გაავერანოს. ამჟამად კი ეკოლოგიური საფრთხის არანაკლებ საშიში ტექნოგენური წყაროები გაჩნდა (რადიოაქტიური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური). თანამედროვე ბიოლოგიაში ისეთი ძვრები ხდება, რომ, სამწუხაროდ, ეკოლოგიური საფრთხის კიდევ არაერთი წყარო გამოჩნდება.

დღეისათვის უკვე ყველასთვის აშკარა ხდება ეკოლოგიური უსაფრთხოების მნიშვნელობა. პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ეკოლოგიური ასპექტების უგულებელყოფა უკვე აღარ შეიძლება. პატარა ქვეყანას მეზობლად მდებარე ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარმა ავარიამ შეუძლია გადაშენების საფრთხე შეუქმნას. სერიოზული ტექნოგენური კატასტროფა პატარა ქვეყნისათვის თითქმის დაღუპვის ტოლფასია. ჯერ კიდევ კარგად არ არის შესწავლილი გლობალური კლიმატური ცვლილებების დინამიკა და ბუნება, მაგრამ უკვე ნათელია, რომ გლობალური კლიმატის სერიოზულ ცვლილებებს დედამიწის დიდ სივრცეებზე შეუძლია ტრაგიკული შედეგები გამოიწვიოს, ბევრ პატ-

178 ამის შესახებ იხ.:Gareth Porter, "Environmental Security as a National Security Issue", *Current History*, May 1995, Vol. 94, No. 592, pp. 218-222; Jessica Tuchman Mathews, "Redefining Security", *Foreign Affairs*, Spring 1989, pp. 162-177; Norman Meyers, *Ultimate Security: The Environmental Basis of Political Stability*, Norton, New York, 1993; Mathias Finger, "The Military, the Nation State and the Environment", *The Ecologist*, Vol. 21, No. 5, 1991.

არა ქვეყანას არსებობის ბუნებრივი საფუძველი გამოაცალოს.

პატარა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ეკოლოგიური განზომილება დღითიდღე სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

უკვე ისიც ნათელია, რომ დიდმასშტაბიან ეკოლოგიურ საფრთხეებსა თუ უბედურებებს პატარა ქვეყანა მარტო ვერ გაუმკლავდება და ამისთვის კოლექტიური (საერთაშორისო) ძალისხმევაა საჭირო.

ეროვნული უსაფრთხოების ზოგიერთი თანამედროვე პრობლემა. შეიძლება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კიდევ რამდენიმე სფეროსა თუ პრობლემის გამოყოფა. მაგალითად, სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებს შორის ზოგჯერ თვალსაჩინო ადგილს იკავებს ინფორმაციული უსაფრთხოება. ეს ჩვეულებრივ ხდება მაშინ, როცა რომელიმე სახელმწიფო კრიტიკულ, კონფლიქტისწინა თუ კონფლიქტის ვითარებაში აღმოჩნდება. ამ შემთხვევაში მისი საერთაშორისო იმიჯი, მისი მოსახლეობის ლოიალურობა საკუთარი ხელისუფლების მიმართ, შეიარაღებული ძალების საბრძოლო სულისკვეთება და შემართება ბევრად არის დამოკიდებული ქვეყანაში მიღწეული ინფორმაციული უსაფრთხოების დონეზე.

რუსეთმა, მაგალითად 2007 წელს ესტონეთზე ინტერნეტის მეშვეობით იერიში მიიტანა და ესტონეთის ხელისუფლების ელექტრონული სისტემები ჩაახშო, რითაც მთავრობის და მთლიანად ქვეყნის ფუნქციონირებას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. 2008 წელს რუსეთმა იგივე გააკეთა საქართველოს მიმართაც და ნაწილობრივ საწადელს მიაღწია კიდეც.

ინფორმაციული უსაფრთხოების მიღწევა ერთობ სერიოზულ პრობლემად იქცევა პატარა, სუსტი ქვეყნისათვის, როცა იგი უფრო ძლიერ სახელმწიფოს უპირისპირდება. პატარა ქვეყანას სერიოზული პროპაგანდისტული ღონისძიებებისათვის საკმარისი რესურსები და შესაძლებლობები არ გააჩნია და ამდენად იგი საკუთარი იმიჯის, პოზიციის სისწორისა და მორალური უპირატესობის წარმოჩენისა და პროპაგანდისათვის ბრძოლაში დიდ, ძლიერ ქვეყანას მეტოქეობას ძნელად თუ გაუწევს. ამიტომ ინფორმაციულ ომში სასურველი შედეგების მიღწევას პატარა ქვეყანა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდეს და შედეგებს არა დიდი რესურსებით, არამედ გონივრული, ზოგჯერ არატრადიციული გზებითა და მეთოდებით უნდა აღწევდეს. ინფორმა-

ციული უსაფრთხოებისა და პროპაგანდისტული ომის თვალსაზრისით, დამოუკიდებელი საქართველოს წინაშე წამოჭრილი დიდი პრობლემები ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის მსვლელობაში და განსაკუთრებით ომის შემდგომ პერიოდში რუსეთის ხელისუფლებამ დიდი რესურსები მოახმარა პატარა საქართველოს წინააღმდეგ პროპაგანდისტულ ომს მედიაში და გარკვეულ შედეგებსაც მიაღწია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ინტერნეტის გამოყენებას. იგი თანამედროვე მსოფლიოში ინფორმაციული უსაფრთხოების სერიოზულ ინსტრუმენტად იქცა. ამ მხრივ პატარა ქვეყნის შესაძლებლობები იზრდება. გააზრებული ინფორმაციული პოლიტიკა პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მძლავრ იარაღს წარმოადგენს.

თუმცა განათლების მნიშვნელობის შესახებ საუბარი ერთგვარად მოსაწყენიც კი გახდა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს თანამედროვე მსოფლიოში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა. თანამედროვე სახელმწიფოებრიობა, ეკონომიკური დინამიზმი და კეთილდღეობა შეუძლებელია ეფექტური განათლების სისტემის გარეშე მიიღწეს. განათლებაში ფულის დაბანდება გრძელვადიანი ინვესტირების ყველაზე შედეგიანი გზაა. თანამედროვე სახელმწიფოსათვის განათლებული, კვალიფიციური მოსახლეობა უმნიშვნელოვანესი, განმსაზღვრელი ფაქტორია. ნებისმიერი სახელმწიფო მისი მოსახლეობის უნარზეა დამოკიდებული. ყველაზე დიდი რესურსი კი, მისი მოსახლეობის უნარი და „ხარისხია" (ეს განსაკუთრებით პატარა ქვეყანაზე ითქმის). სახელმწიფოები, რომლებსაც გადარჩენისა და საერთაშორისო სისტემაში ღირსეული ადგილის დაკავება-შენარჩუნების სტრატეგია მოეპოვებათ, საკუთარი მოსახლეობის განათლების პრობლემას უდიდეს ყურადღებას აქცევენ. დღეს უნივერსიტეტები არა მხოლოდ ტექნოლოგიების განვითარების, არამედ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში პროგრესის მთავარ მამოძრავებელ ძალად იქცნენ. უმაღლეს სკოლებში იწრთობა ქვეყნის კვალიფიციური ნაწილი, ქვეყნის ელიტა, რომელმაც უნდა წარმართოს მისი ცხოვრება, უზრუნველყოს მისი გადარჩენა და შემდგომი განვითარება. უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში დაწესებული თუ გაბატონებული ქცევისა და ზნეობრივი ნორმები, აღზრდისა და განათლების ტრადიციები და მეთოდები განაპირობებენ ქვეყნის მომავალს. განათლების სისტემის ეფე-

ქტურობა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების გრძელვადიანი უზრუნველყოფის საწინდარია.

პატარა ქვეყნისთვის განათლების სისტემა მისი შემდგომი არსებობის ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველი და ფაქტორია. თუ განათლების სისტემაში გამეფებულია ჩამორჩენილი ტრადიციები და მეთოდები, გამჯდარია კორუფცია და უპასუხისმგებლობა, იგი ქვეყანას არა თუ არ არგებს, არამედ მის გადარჩენას სათუოს ხდის.

პოსტსაბჭოური ქვეყნების განათლების სისტემა სერიოზულ რეფორმებს საჭიროებს, რასაც არა მხოლოდ დიდძალი რესურსები, არამედ სათანადო სურვილი და ცოდნა სჭირდება. ამ მიმართულებით, სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა ზოგიერთ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც. ზოგიერთი პოსტსაბჭოური სახელმწიფო, სერიოზული სიძნელეების მიუხედავად, განათლების სისტემის მოდერნიზაციას ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტთა შორის განიხილავს და თავისი საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებად მიიჩნევს. ინფორმაციული ტექნოლოგიების დაწინაურებისა და გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების პირობებში განათლებისთვის სათანადო ყურადღების მიუქცევლობა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების არსებითი პრობლემების გაუთვალისწინებლობის ტოლფასია.

2.2 პატარა ქვეყნის შესაძლებლობები

თუ ერი ერობს, მტერი ვერ მტერობსო.
ქართული ანდაზა

ბევრი ექსპერტის აზრით, პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ხასიათს, პირველ ყოვლისა, განსაზღვრავს საერთაშორისო სისტემის ხასიათისტრუქტურა და მდგომარეობა. სწორედ საერთაშორისო სისტემა და რეგიონული ქვესისტემიის იერარქიაში ადგილი განაპირობებსსაზღვრავს პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ შესაძლებლობებს.

პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მეორე, მეტად დამახასიათებელი თავისებურებაა, რომ იგი ცდილობს რაც შეიძლება მეტად იყოს ჩართული სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში, სარგებლობდეს საერთაშორისო რეჟიმე-

ბით, სამართლითა და ნორმებით საკუთარი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

მესამე, აგრეთვე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის კონკრეტული პატარა ქვეყნის პოლიტიკური წყობილების (რეჟიმის) ტიპი და განვითარების დონე. ნაკლებად დემოკრატიულ ქვეყნებში, საგარეო პოლიტიკას მნიშვნელოვანწილად რეჟიმის უსაფრთხოების, მისი ლეგიტიმაციის ინტერესები განსაზღვრავს. ამგვარ ვითარებაში, დიდი მნიშვნელობა აქვს პიროვნების (ლიდერის) და (მმართველი ელიტის) ნებას. უფრო დემოკრატიულ პატარა ქვეყნებში საგარეო პოლიტიკის წარმართვა მოსახლეობაში მხარდაჭერას, პოპულარობას მოითხოვს. პიროვნების, ლიდერის ფაქტორი განსაკუთრებით ძლიერია პოსტ-კოლონიურ, ახალგაზრდა პატარა სახელმწიფოებში, რაც შეიძლება აიხსნას ამგვარი ქვეყნის საგარეოპოლიტიკური ელიტის განუვითარებლობითუწიფურობით, ხელისუფლებაზე კონტროლის სისუსტით და ზოგჯერ თავად მისივე კონსტიტუციის თავისებურებებით.[179]

პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ყველაზე არსებითი პრობლემა საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების დაცვა და ძლიერი სახელმწიფოების პოლიტიკურ თამაშში თოჯინისა თუ პაიკის როლის შესრულებისგან თავის დაღწევაა. ამასთანავე ამ პრობლემის გადაწყვეტა საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული ნორმებისა და იდეალების დაცვითა და შემდგომი განმტკიცებით უნდა მოხერხდეს.

პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ძირითადად გამოიხატება მოსაზღვრე ქვეყნებთან და იმ დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, რომელთა გავლენისა თუ ინტერესების სფეროშიც არის იგი მოქცეული. ალბათ, ყველაზე რთული და სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემა მაინც დიდ, ძლიერ სახელმწიფოებთან ურთიერთობაა. ამ ორმხრივ ურთიერთობებში პატარა ქვეყანა, ჩვეულებრივ, თავს იცავს. მისი ხელმძღვანელობისათვის კარგად უნდა იყოს გაცნობიერებული, თუ რას ეძიებს დიდი ქვეყანა, რა მიზნები აქვს მას.

პატარა ქვეყნის ხელმძღვანელობას ესაჭიროება საერთაშორისო ვითარებაში, რეგიონულ ურთიერთობებში ზედმიწევნით

---

179 იხ.: Jeanne A. K. Hey. Refining Our Understanding of Small State Foreign Policy. In Small States in World Politics: Explaining Foreign Policy Behaivor. Edited by Jeanne A. K. Hey. Lynn Rienner Publishers, Boulder. 2003, pp. 185-195

გარკვევა, როგორც მეზობელი, ისე მისთვის ყველაზე საშიში დიდი ქვეყნის საშინაო ვითარებისა და საგარეო პოლიტიკის ძალიან კარგი ცოდნა. სანდო ინფორმაციის გარეშე წარმოუდგენელია, პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა შედეგიანი გამოდგეს. დიდ ქვეყნებს ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავებისათვის საკმარისი მატერიალური და ინტელექტუალური რესურსები მოეპოვებათ, რასაც პატარა ქვეყანა მოკლებულია. ამიტომ, საგარეო პოლიტიკასა და ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში ჩართული ადამიანები საკმარისად მაღალი კვალიფიკაციის მქონენი უნდა იყვნენ, განსაკუთრებით, თანამედროვე პირობებში, როცა გაზრდილი ურთიერთდამოკიდებულება საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილე ქვეყნებს გლობალურ დონეზე აიძულებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებსა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესახებ ინფორმირებულნი იყვნენ და ოპერატიულად მოახდინონ საჭირო რეაგირება. საერთაშორისო ურთიერთობათა ზოგიერთ თეორეტიკოსს მიაჩნია, რომ საერთაშორისო პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, ცვლილებებზე, მოვლენებზე რეაგირებას და არა წინასწარ შემუშავებულ სტრატეგიას ემყარება. ბუნებრივია, პატარა ქვეყანას ცვალებად გარემოზე რეაგირების თვალსაზრისით არც საკმარისი მოქნილობა შეიძლება ახასიათებდეს და არც საგარეო პოლიტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფის საკმარისი საშუალებები მოეპოვებოდეს.

საყოველთაო ურთიერთდამოკიდებულების განუხრელი გაღრმავებისა და ყოველი ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობებში უფრო და უფრო მეტი ჩართულობის პირობებში პატარა ქვეყნის მიერ ინფორმაციის მოპოვება-გადამუშავების უნარსა და საერთაშორისო საქმეებში მისი მონაწილეობის მზარდ დონეს შორის სხვაობა განუხრელად იზრდება. ამიტომ პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური სამსახურები მეტად მოქნილი და პროფესიულად კარგად მომზადებული უნდა იყოს. პატარა ქვეყანა თავისი მოკრძალებული შესაძლებლობებით და საერთაშორისო პოლიტიკის შედარებით ვიწრო, ლოკალური ხედვით, ბუნებრივია, ცვალებად გარემოსთან შეგუების ნაკლები უნარით ხასიათდება.

არც პატარა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებს ძალუძთ ფართო რადიუსითა და ინტერესებით მოქმედება. დაზვერვა რთული და საკმაოდ ძვირადღირებული საქმიანობაა. პატარა ქვეყანა, ჩვეულებრივ, დაზვერვის ძირითად ობიექტად მეზობლებს, საკუთარ რეგიონს ირჩევს ხოლმე. ამ მხრივ გამონაკლისს

წარმოადგენდა ზოგიერთი პატარა სოციალისტური ქვეყანა (გდრ, კუბა, პოლონეთი), რომელთა სადაზვერვო სამსახურებს ეფექტურად იყენებდა საბჭოთა კავშირი. მისი თავისებურებებისა და უზარმაზარი დიასპორის არსებობის გამო, ამ მხრივ არც ისრაელია ტიპური შემთხვევა.

რომელიმე სამხედრო კავშირის წევრ პატარა ქვეყანას საშუალება ეძლევა უფრო ძლიერი მოკავშირისა თუ მოკავშირეებისაგან მეტი პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის ინფორმაცია მოიპოვოს. როცა სამხედრო კავშირის წევრებს შორის ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თავად პატარა ქვეყნის მიერ მოპოვებული ინფორმაციის ხარისხს, რადგან კარგი ინფორმაციის „გაყიდვით" იგი მისთვის საჭირო ინფორმაციას „იყიდის".

რაც არ უნდა უმნიშვნელო იყოს პატარა ქვეყნის სამხედრო ძლიერება, საერთაშორისო ურთიერთობებში სამხედრო ფაქტორს ჯერაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ნებისმიერი დიპლომატია მაშინ არის შედეგიანი, როცა მას ზურგს სამხედრო ძალა უმაგრებს. არავინ სცემს პატივს ისეთ ქვეყანას, რომელსაც თუნდაც მისი ზომისა და შესაძლებლობების ტოლფასი სამხედრო ძალა არ გააჩნია. სამხედრო ძალა უდიდესი პოლიტიკური და დიპლომატიური ფაქტორია. მის გარეშე დიპლომატია მეტწილად უნაყოფოა.

ჯერ კიდევ ამერიკელმა ჯეიმს როზენაუმ 1966 წელს აღნიშნა, რომ პატარა ქვეყნის საგარეოპოლიტიკური ქცევა არა იმდენად არის განპირობებული მისი ზომით, რამდენადაც მისი განვითარების დონით.[180] დაახლოებით იმავე აზრისაა თანამედროვე ამერიკელი მკლევარი ჯინ ჰეი, როცა ასკვნის, რომ პატარა ქვეყნის განვითარების დონე მისი საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორებს შორის მნიშვნელობით მეორეა.[181]

პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკის თავისებურებათა შესწავლის შედეგად მკლევარნი გარკვეულ განზოგადოებებამდე მივიდნენ. ამერიკელი ექსპერტი ჯინ ჰეი პატარა ქვეყნების საგარეოპოლიტიკური ქცევის შეფასებისას ამტკიცებს, რომ ამგვარი

---

180 James N. Rosenau. Pre-Theories and Theories of Foreign Policy.: In John A. Vasquez. Classics of International Relations. Prentice-Hall Inc; Englwood Cliffs, New Jersey, 1986, pp. 148-162

181 Jeanne A. K. Hey. Refining Our Understanding of Small State Foreign Policy. In Small States in World Politics: Explaining Foreign Policy Behaviour. Edited by Jeanne A. K. Hey. Lynn Rienner Publishers, Boulder, 2003, pp. 185-195

ქვეყნების პოლიტიკის სპეციფიკური თავისებურებები შემდეგნაირია:

- ისინი მსოფლიო პოლიტიკაში ნაკლებად ერევიან;
- მათი საგარეო პოლიტიკა „ვიწრო დიაპაზონით" ხასიათდება;
- მათი პოლიტიკა შემოიფარგლება მიმდებარე გეოგრაფიული არეალით;
- ხაზს უსვამენ საერთაშორისო სამართლის და სხვა „ზნეობაზე დაფუძნებულ" ნორმებს;
- მაქსიმალურად ცდილობენ შეუერთდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებს და საერთაშორისო ხელშეკრულებებს;
- ცდილობენ ნეიტრალური პოზიცია დაიკავონ;
- მფარველობის მოპოვების, პარტნიორობისა და რესურსებისათვის უძლიერეს სახელმწიფოებს ეყრდნობიან;
- ცდილობენ ითანამშრომლონ სხვა ქვეყნებთან და მათთან კონფლიქტს ერიდებიან;
- უსაფრთხოებისა და გადარჩენისათვის არაპროპორციულად დიდ საგარეოპოლიტიკურ რესურსებს ხარჯავენ.[182]

პატარა ქვეყნები იერარქიულ საერთაშორისო სისტემაში არსებობენ და მოქმედებენ. დღეისთვის მათი აქტიურობა საერთაშორისო ორგანიზაციებში, სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე ამგვარი ქვეყნების ერთადერთ საგარეოპოლიტიკურ იარაღს – დიპლომატიას დამატებით ძალას ანიჭებს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია და ფორუმი ვაკუუმში არ იმყოფება და საერთაშორისო სისტემაში ჯერაც გაბატონებული ძალის ზეობისა და იერარქიულობის გავლენას განიცდის. მართალია პატარა ქვეყნები სუვერენული თანასწორუფლებიანობით სარგებლობენ, სინამდვილეში ძლიერ ქვეყნებს თავიანთი ძალა მაინც მეტ უპირატესობას ანიჭებს. ეს მწარე სინამდვილე ბევრჯერ იწვნია საქართველომ თავისი დამოუკიდებლობის მანძილზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში ინტეგრაციისადმი მზარდი მიდრეკილება პატარა ქვეყნებს რამდენადმე უმსუბუქებს საერთაშორისო ურთიერთობათა „ჯუნგლებში" გადარჩენას."

საგარეო პოლიტიკის თავისებურებები. არსებობს ცნება – *ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ელიტა*. რას გულისხმობს იგი?

---

182 Jeanne A. K. Hey. Introducing Small State Foreign Policy. In Small States in World Politics: Explaining Foreign Policy Behaviour. Edited by Jeanne A. K. Hey. Lynn Rienner Publishers, Boulder, 2003, p. 3

ყოველ სუვერენულ ქვეყენაში არსებობს სახელმწიფო დანესებულებები, პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ექსპერტები და სხვ., რომლებსაც, მართალია სხვადასხვა „წონის", მაგრამ მაინც საკუთარი წვლილი შეაქვთ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებისა და მიზნების განსაზღვრაში, სტრატეგიის შემუშავებასა და მის განხორციელებაში.

დღეისათვის აღარავინ უარყოფს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შიდა ფაქტორების მნიშვნელობას.[183] ნებისმიერი სიდიდის ქვეყნის საგარეო პოლიტიკა მისი საშინაო ვითარებით, ხან მეტად და ხან ნაკლებად მისი საშინაო პოლიტიკით არის განპირობებული. ამავე დროს ქვეყნის საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება და წარიმართება ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული სეგმენტის, ფენის თუ ჯგუფის მიერ, რომელსაც, ჩვეულებრივ, *პოლიტიკურ ელიტას* უწოდებენ. ზოგჯერ ხსენებული ელიტიდან გამოყოფენ ე.წ. *საგარეო პოლიტიკურ ელიტას*. აქვე უნდა ითქვას, რომ დიდ ქვეყანაში მათ შორის გარკვეული განსხვავებები არსებობს, უკანასკნელი პირველის მხოლოდ მცირე ნაწილია. პატარა ქვეყანაში კი პოლიტიკურ ელიტასა და საგარეო პოლიტიკურ ელიტას შორის მეტი კავშირი შეინიშნება, ისინი უფრო ურთიერთდაკავშირებულნი ან სულაც გადახლართულნი არიან. პატარა ქვეყანაში არ არის ბევრი დიდი ქალაქი, სადაც, ჩვეულებრივ, პოლიტიკური ელიტა იყრის თავს. დედაქალაქი ხშირად პატარა ქვეყნის პოლიტიკური ელიტის უდიდესი ნაწილის ადგილსამყოფელია და ამის გამო ქვეყნის პოლიტიკური ელიტის სხვადასხვა „პროფილების" ურთიერთკავშირი და ურთიერთშეღწევადობის ხარისხი უფრო მაღალია.

როცა საგარეო პოლიტიკას ვეხებით, პირველ ყოვლისა, უნდა ვაღიაროთ, რომ იგი პრაქტიკულად პოლიტიკური ელიტის საქმიანობას წარმოადგენს. ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არა მხოლოდ არ მონაწილეობს, არამედ საგარეო პოლიტიკაში მონაწილეობის მიღების რაიმე სურვილს ხშირად არც ამჟღავნებს.[184]

---

183 ამის შესახებ იხ.: Gabriel Almond. *The American People and Foreign Policy.* Praeger. New York. 1960; B.C. Cohen. "Political Systems. Public opinion. and Foreing Policy: the United States and the Netherlands". *International Journal.* 33. 1977-78. pp. 195-216; M. Halperin. *Bureaucracy and Foreign Policy.* Brookings Institution. Washington. D. C. 1974; James N. Rosenau. *Domestic Sources of Foreign Policy.* Macmllan. New York. 1967

184 საუბარია სახელმწიფოებრიობის გარკვეული ტრადიციების მქონე ქვეყნებზე, სადაც მოსახლეობაში ჩამოყალიბებულ ინტერესთა ჯგუფებს თავთავიანთი პრობლემები და საქმიანობა იზიდავს. ახალგაზრდა სუვერენულ ქვეყნებში

მეტ-ნაკლებად ნორმალურ პირობებში განვითარებულ და ეკონომიკური დინამიზმით გამორჩეულ ქვეყანაში მოსახლეობის სხვადასხვა ფენები მათთვის აუცილებელ სარფიან საქმეში არიან ჩაბმულნი, ქვეყნის საგარეო საქმეების წარმართვა კი საზოგადოების გარკვეულ ჯგუფს ეკისრება. ბუნებრივია, საზოგადოება თავისი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსით დაინტერესებულია. მასმედიის საშუალებით მან იცის ის, რაც მის ინტერესს შეიცავს. მოსახლეობა მხოლოდ კრიზისული ვითარების დროს (განსაკუთრებით – საერთაშორისო დაძაბულობის თუ კონფლიქტის პერიოდში), ინტერესდება სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკით და ზოგჯერ მიტინგების, დემონსტრაციების, პეტიციების თუ ნების გამოხატვის სხვა ფორმების გამოყენებით მასში უფრო აქტიური მონაწილეობის მიღებას ლამობს.

მთლიანად მოსახლეობის ან მისი გარკვეული ჯგუფების ინტერესს საგარეო პოლიტიკის საკითხების მიმართ და ხსენებული პოლიტიკის „კეთებაში" მათ მონაწილეობას დიდი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს როგორც ხსენებული პოლიტიკის მიზნების განსაზღვრის, ასევე წარმართვის პროცესისათვის. საგარეო პოლიტიკაზე დემოკრატიული კონტროლის თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მის „სამზარეულოში" საზოგადოებრიობის მონაწილეობა.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდიდან საგარეო პოლიტიკა საჯაროობისაკენ შემობრუნდა. ომის საზარელმა შედეგებმა მსოფლიო საზოგადოება გამოაფხიზლა და დაარწმუნა, რომ ომი, არ შეიძლება მხოლოდ დიპლომატებისა და სამხედროების საქმე იყოს. დემოკრატიულ საზოგადოებას, ბუნებრივია, საგარეო პოლიტიკის საჯაროობა ახასიათებს. დიქტატურა თუ ავტორიტარული რეჟიმი, ცხადია, მაქსიმალურად შეეცდება საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესი საკუთარ მონოპოლიად გაიხადოს.

ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური საქმიანობა არა მხოლიდ ინსტიტუციონალიზაციის ხასიათით, არამედ დაუწერელი, ხანდახან ფესვგამჯდარი ტრადიციებით გამოირჩევა. ზოგიერთ ქვეყანაში საგარეო საქმეთა სამინისტრო საგარეო პოლიტიკის საკითხებზე ლამის მონოპოლიურ კონტროლს ინარ-

---

მოსახლეობის საერთო პოლიტიზაცია, ჩვეულებრივ, უფრო მაღალია და ამიტომ საგარეო პოლიტიკის მიმართ ზოგჯერ ცხოველი ინტერესი და მასში მონაწილეობისაკენ მიდრეკილება უფრო შეიმჩნევა.

ჩუნებს, ზოგშიც პრეზიდენტის ან მთავრობის თავმჯდომარის როლი ძალიან დიდია და ა. შ. არის ქვეყნები, სადაც პარლამენტი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შემუშავებისა და წარმართვის პროცესში ასევე ძალიან დიდ როლს ასრულებს.

როცა თანამედროვე სახელმწიფოთა ე.წ. „საგარეო პოლიტიკური ელიტის" შესახებ საუბრობენ, ჩვეულებრივ, ქვეყნის ხელმძღვანელობა (პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი), საგარეო საქმეთა სამინისტრო, პარლამენტის ზოგიერთი კომიტეტის წევრები იგულისხმება. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, საჭიროა გამოვყოთ ე.წ. *ფორმალური საგარეო პოლიტიკური ელიტა* (ქვეყნის ხელმძღვანელობა, საგარეო საქმეთა უწყების „მაღალი ეშელონის" წარმომადგენლები და პარლამენტის წევრთა გარკვეული ჯგუფი).[185] მათი აზრით, აგრეთვე არსებობს ე.წ. *არაფორმალური საგარეო პოლიტიკური ელიტა*, რომელშიც ნაგულისხმევია ყველა, ვინც სხვადასხვა ფორმით და დონით გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შემუშავების და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე (პოლიტიკური პარტიების საგარეო საქმეთა კომიტეტების წევრები, სახელმწიფო მრჩეველთა ნაწილი, მსხვილი მეწარმეები თუ ფინანსისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების ექსპერტები, პროფკავშირთა ხელმძღვანელობა, მეცნიერები, ჟურნალისტები, ეკლესიის წარმომადგენლები და ზოგიერთი ჯგუფისა და სახელმწიფო აპარატის გარკვეული წარმომადგენლები.) *გ. ოლმონდი* ამ ჯგუფს *პოლიტიკური და საზოგადოებრივი აზრის ელიტას* უწოდებს.[186] ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ *პეტერ ბაერის* გაფრთხილებას, რომ ცნება *საგარეო პოლიტიკური ელიტა* მხოლოდ ინტელექტუალური, აღქმითი კონსტრუქციაა.[187] ხსენებული ცნება სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულ შინაარსსა და ელფერს იძენს. ტოტალიტარულ სახელმწიფოში ეს ელიტა, არცთუ ისე მრავალფეროვანია და გამოკვეთილი იერარქიით ხასიათდება. სათანადო ტრადიციის მქონე დემოკრატიულ ქვეყნებში იგი ნაირნაირი და მრავალრიცხოვანია, ახალგაზრდა სუვერენულ ქვეყნებში კი, იმისდა მიხედვით, თუ რაოდენ დემოკრატიულია საზოგადოებრივი ცხოვრება, საგარეო პოლიტიკური ელიტის შემად-

185 Peter R. Baehr, "The Dutch Foreign Policy Elite", *International Studies Quarterly*, Vol. 24, N2, June 1980, pp. 226-227

186 G. Almond, *The American People and Foreign Policy*, Praeger, New York, 1960, p. 239

187 Peter R. Baehr, "The Duch Foreign Policy Elite...," p.227

გენლობაც და იერარქიულობაც განსხვავებული შეიძლება იყოს.

საჭიროა პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ელიტის თავისებურებათა ცოდნაც. როგორც წესი, ასეთი ქვეყნების პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ძალზე ხშირად ბავშვობიდან, სკოლის მერხიდან იცნობენ ერთმანეთს. არცთუ იშვიათად მათ ერთი და იგივე უმაღლესი სასწავლებელი აქვთ დამთავრებული და ყოველივე ამის გამო, მათი ურთიერთობა საკმაოდ სპეციფიკურია. ამგვარ მოვლენას აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. სამწუხაროდ, ეს საკითხი ჯეროვნად არ არის შესწავლილი; არადა, მას პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკის შესწავლისათვის, შესაძლოა, არსებითი მნიშვნელობაც კი ჰქონდეს. სამწუხაროდ, ძალიან ჩამორჩება პოსტსაბჭოთა პატარა სახელმწიფოების საგარეოპოლიტიკური ელიტის შესწავლაც.[188]

ჩვენი აზრით, პოსტსაბჭოთა სივრცის პატარა ქვეყნების პოლიტიკური ელიტა ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე იმყოფება. ნებისმიერ რევოლუციას (თუნდაც „ხავერდოვანს") პოლიტიკურ ასპარეზზე ახალი ძალები, ახალი პიროვნებები გამოჰყავს. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის და მისი მოპოვების შემდგომ პირველ პერიოდში ე.წ. *პოლიტიკური ელიტა* უაღრესად ჭრელია, ფერმენტაციის პროცესში იმყოფება, რადიკალიზმითა და იდეალიზმით არის აღსავსე და ამდენად, არც რეალისტური შეხედულებებითა და ქმედებებით გამოირჩევა. რევოლუციური თუ პოსტრევოლუციური ისტერიის, ეიფორიის შემდეგ საჭირო ხდება ქვეყნის შიგნით ურთულესი აღმშენებლობითი პროცესის დაწყება და საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირების პროცესის მაქსიმალური დაჩქარება. ამ ამოცანების შესრულებას კი პროფესიული ცოდნა, გამოცდილება ესაჭიროება. თუ ახალი სუვერენული სახელმწიფო მაღალგანვითარებულ და სამოქალაქო საზოგადოების მქონე ქვეყანას გამოეყო, მაშინ ამ ახალგაზრდა ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ელიტის ფორმირებას არც დიდი დრო დასჭირდება და არც მწვავე პრობლემები შეექმნება.

სულ სხვაა, როცა ახალი სუვერენული ქვეყანა „იბადება" ტო-

188 პატარა პოსტსაბჭოთა პოლიტიკური და, კერძოდ, საგარეო პოლიტიკური ელიტის ფორმირებისა და მოღვაწეობის საკითხები უაღრესად საყურადღებოა. ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოების და მით უმეტეს პოსტტოტალიტარული საზოგადოების პოლიტიკური ელიტა საგანგებო შესწავლას იმსახურებს. მოსალოდნელია, რომ მკვლევრები ხსენებულ პრობლემას სათანადო ყურადღებას მიაქცევენ.

ტალიტარული, ხელოვნურად შექმნილი, ე.წ. კომუნისტური პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ნგრევის შედეგად. ამგვარი პროცესი ისტორიაში პირველად მოხდა და, ბუნებრივია, უაღრესად რთული და მტკივნეული ხასიათი მიიღო. ის, რაც პოსტკომუნისტურ ქვეყნებში პოლიტიკურ ელიტად მიიჩნევა, სინამდვილეში მოსახლეობის ერთი მეტად თავისებური სეგმენტია. იგი ძალზე მოკლე პერიოდში ჩამოყალიბებული ჯგუფია, რომლის შემადგენლობაში ვხვდებით როგორც ძველი რეჟიმის ფუნქციონერებს, ისე დისიდენტური წრეების წარმომადგენლებს, სხვადასხვა სპეციალობისა და წარსულის მქონე პიროვნებებს, რომლებსაც რევოლუციურმა პროცესმა თავი ერთად მოუყარა და ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოს შექმნის პასუხისმგებლობა დააკისრა. მათგან ზოგი სახელმწიფო სტრუქტურებში მოღვაწეობს, ზოგი კი -პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებში.

შეცვლილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პირობებმა და ფაქტორებმა ახალი ტიპის პოლიტიკური ელიტის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში პოლიტიკური ელიტის მაღალი ეშელონები ძირითადად ძველი რეჟიმის დროს აღზევებული პიროვნებებით არის „დაკომპლექტებულია". ამგვარი ვითარება გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ ყოვლისა, ყოფილი ფუნქციონერები აქტიური, გამოცდილი ადამიანები არიან. ზოგიერთი მათგანი ადრე დაწინაურდა არა მხოლოდ თავისი ბასრი პოლიტიკური „კლანჭების", არამედ პროფესიული მომზადებისა და უნარის გამო. ამ კატეგორიის ადამიანები ახალ პირობებშიც პოლიტიკურ ელიტაში აღმოჩნდნენ და ისინი ზოგჯერ სხვებზე უკეთესად ასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს. ძველი ფუნქციონერების მეორე ნაწილს შეადგენენ პროფესიული კარიერისტები, პოლიტიკანები და ძლიერი პატივმოყვარეობითა და ძალაუფლების სურვილით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც ცდილობენ როგორმე მოერგონ ყველა რეჟიმს და პირობას. ბევრ მათგანს ეს შესანიშნავად გამოსდის კიდეც.

პოსტკომუნისტური პატარა სახელმწიფოების პოლიტიკურ ელიტაში ძველი ფუნქციონერების სიმრავლე აგრეთვე მათი პირადი მეგობრობის, ურთიერთმხარდაჭერის, ნათესაური კავშირებისა და ხშირად „საქმიანი" საერთო წარსულის შედეგიცაა. ზოგიერთ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში პატრონაჟის სისტემის დამკვიდრების შედეგად ძველი ნომენკლატურის მომრავლება ახალ მმართველ

კლასში არც არის გასაკვირი.

სსრკ-ის ნგრევის შედეგად აღზევებულ რევოლუციონერებსა და ფსევდორევოლუციონერებს რაც შეეხება, უნდა ითქვას, რომ გარკვეული დიფერენცირება მათ შორისაც მოხდა. ვინც უნარიანი პოლიტიკოსი გამოდგა, მოღვაწეობას განაგრძობს და ამდენად ქვეყნის პოლიტიკურ ელიტას შემორჩა, ხოლო ვინც მხოლოდ ავანტიურისტი იყო, პოლიტიკიდან შორს აღმოჩნდა.

ჩვენს მიზანს არ შეადგენს პოსტსაბჭოთა სუვერენული ქვეყნების პოლიტიკური ელიტის გენეზისისა და ჩამოყალიბების პროცესის ანალიზი, მაგრამ ამგვარი ანალიზი ძალიან დაგვეხმარებოდა იმ პოზიტიური და ნეგატიური პროცესების გაცნობიერებაში, რომლებიც მიმდინარეობს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და იმ მოვლენებისა თუ ხილული ან უხილავი სტრუქტურებისა და მექანიზმების ახსნაში, რომლებიც ასე მრავლადაა წარმოდგენილი გარდამავალი პროცესის მსვლელობაში.

საგარეო პოლიტიკაზე დემოკრატიული კონტროლი. როგორი გზით უნდა გადაწყდეს, *რა არის საზოგადოებისათვის კარგი* და *რა – ცუდი?* – ამის თაობაზე ძველი საბერძნეთიდან მომდინარე ორი ძირითადი ტრადიცია არსებობს. პირველს *პლატონს* მიაკუთვნებენ, მეორეს – *არისტოტელეს. პლატონისეული ტრადიციის* თანახმად, თუ რა არის საზოგადოებისათვის კარგი ანუ რაში მდგომარეობს ეროვნული ინტერესები, საზოგადოების ყველაზე ღირსეულმა, განსწავლულმა და მიუკერძოებელმა პიროვნებებმა უნდა გადაწყვიტონ. *არისტოტელური ტრადიცია* საზოგადოების სიკეთედ მიიჩნევს იმას, რასაც ხალხი დემოკრატიული გზით გადაწყვეტს, ე. ი. მოქალაქეებმა საჯაროდ უნდა განიხილონ ყველა პრობლემა და გადაწყვეტილება იმის გასარკვევად, თუ რა არის ეროვნული ინტერესი.

თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოება მეორე, არისტოტელესეულ პრინციპს იყენებს, მაგრამ თავის მოტყუება არ ივარგებს; უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფოს ინტერესებს საბოლოოდ მაინც ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი, ე.წ. *პოლიტიკური ელიტა* განსაზღვრავს. ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ელიტა გადაწყვეტილებებს მოსახლეობის დაუკითხავად და საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად იღებს. გარდა იმისა, რომ არსებობს არჩევნები, ეროვნული ინტერესების შესახებ მსჯელობა გამუდმებით მიმდინარეობს მოსახლეობის სხ-

ვადასხვა ჯგუფებში, პარლამენტში, პოლიტიკურ პარტიებში, მასმედიაში, მთავრობაში, სამთავრობო და არასამთავრობო კვლევით ცენტრებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, პროფესიულ კავშირებში და სხვ.

რაოდენ ტრივიალურადაც არ უნდა ჟღერდეს, უნდა ვაღიაროთ, რომ პოლიტიკური ელიტა, ქვეყნის ხელისუფლება, საბოლო ჯამში ხალხის ნების აღმსრულებელია. პირწავარდნილი დიქტატორებიც კი ვერ ბედავენ საკუთარი ხალხის ნების წინააღმდეგ აშკარად გალაშქრებას. ისინი პროპაგანდას და საზოგადოებრივი ცნობიერების მანიპულირების სხვადასხვა საშუალებას იყენებენ, რათა საკუთარი გადაწყვეტილებები ლეგიტიმურად, ხალხის ნების გამოვლინებად წარმოაჩინონ. დემოკრატიულ ქვეყნებში კი იმგვარი ვითარებაა შექმნილი, რომ არაპოპულარული გადაწყვეტილებების მიღება უაღრესად დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ეფექტურად მოქმედი ინსტიტუტები და მექანიზმები ეროვნული ინტერესების განსაზღვრას დემოკრატიული გზით უზრუნველყოფენ. საბოლოოდ, ხსენებული ინტერესების დაცვას თუ ცხოვრებაში გატარებას, რა თქმა უნდა, მოსახლეობის გარკვეული ჯგუფი – *პოლიტიკური ელიტა* ახორციელებს.

იგივე შეიძლება ითქვას საგარეო პოლიტიკური მიზნებისა და ამოცანების, ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების განსაზღვრის თაობაზეც. დღევანდელი საგარეო პოლიტიკა საზოგადოების მსჯელობის საგანია. საგარეო პოლიტიკური პრობლემები პარლამენტის, პოლიტიკური პარტიების, მასმედიის, დამოუკიდებელი ექსპერტების, მეცნიერების საქმიანობის განუყოფელ ნაწილად იქცა. აღარაფერს ვამბობთ იმ სახელმწიფო სტრუქტურებსა და უწყებებზე, რომელთა ფუნქცია სწორედ საგარეო პოლიტიკის საკითხების განხილვა, გადაწყვეტილებების მიღება და მათი ცხოვრებაში გატარებაა.

უკვე აღინიშნა, რომ ჭქვეყანაში არსებობს ე. წ. ფორმალური და არაფორმალური საგარეო პოლიტიკური ელიტა. სწორედ მათი ურთიერთქმედება ქმნის საგარეო პოლიტიკაზე დემოკრატიული კონტროლის განხორციელების ეფექტურ საშუალებას. განსჯისა და განხილვის საგნად მიჩნეულ ყველა პრობლემას წამოჭრის არაფორმალური ელიტა, ფორმალურ ელიტას კი არა მხოლოდ დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, არამედ საკუთარი შეხედულებებისა და მიზნების საჯაროდ განცხადება უწევს. ზოგიერთი ექსპერტის

აზრით, სწორედ ამ ორი ჯგუფის ინტენსიური ურთიერთქმედება ასახავს ობიექტურად ქვეყანაში საგარეო პოლიტიკაზე არსებული დემოკრატიული კონტროლის ეფექტურობის დონეს.[189]

პატარა ქვეყნის დიპლომატია. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სწორედ სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი ქვეყნისთვის არის დიპლომატია მძლავრი საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტი. დიპლომატია კი, როგორც ვიცით, სახელმწიფოთა შორის, სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ურთიერთობათა სხვა მონაწილეებს შორის ურთიერთობების წარმართვის ხელოვნებაა.[190] სახელმწიფოს დიპლომატია გულისხმობს საგარეო პოლიტიკური პრობლემების გაცნობიერებას, განხილვას, მიზნების განსაზღვრასა და დასახვას და მათი მიღწევისათვის საჭირო დიპლომატიური საშუალებების გამოყენებას. თავის მხრივ, ეს ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ოფიციალური თუ სხვა წარმომადგენლების საშუალებით (ასევე სხვა მონაწილეების გამოყენებით), გარკვეული ინტერესების გაცნობიერებას, განსაზღვრას და მათი დაცვის უზრუნველყოფას, რისთვისაც გამოიყენება დიპლომატიური მიმოწერა, ოფიციალური მოლაპარაკებები და კერძო შეხვედრები, ლობირება, ვიზიტები, დამუქრება და სხვა საშუალებები.

რ. ბარსტონმა დიპლომატიური საქმიანობა ექვს ძირითად სფეროდ დაყო.[191] *პირველი* გულისხმობს ქვეყნის ოფიციალურ წარმომადგენლობას რწმუნებათა სიგელის გადაცემით, პროტოკოლითა და მიმღები ქვეყნის დედაქალაქისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის დიპლომატიურ ცხოვრებაში მონაწილეობით. *მეორე* სფერო არის საკუთარი მთავრობის ინტერესებისთვის აუცილებელი ინფორმაციის მოპოვება, პრობლემებისა და მოვლენების გაცნობიერება და შეფასება. საელჩო თუ სხვა სახის წარმომადგენლობა თავის მთავრობას მისთვის საინტერესო პროცესებისა თუ მოვლენების შესახებ გამუდმებით უნდა ატყობინებდეს. *მესამე* სფერო არის პოლიტიკისა თუ ახალი ინიციატივებისათვის ნიადაგის მომზადება. *მეოთხე* სფეროა პოტენციური თუ უკვე მიმდინარე კონფლიქტის, შექმნილი დაძაბულობის, დაპირისპირების შემცირება და შერბილება. *მეხუთე* სფერო მუდმივი ცვლილებე-

189 Peter R. Baehr, "The Dutch Foreign Policy Elite...," p.235

190 R.P. Barston, *Modern Diplomacy,* Longman, London and New York, 1991, p.1

191 იქვე,... გვ. 2-3

ბის პროცესში საერთაშორისო წესრიგის განმტკიცებას გულისხმობს. *მეექვსე* სფეროდ *რ. ბარსტონი* საერთაშორისო ნორმებისა და წესების შემუშავებასა და დანერგვას მიიჩნევს.

თანამედროვე დიპლომატია სულ უფრო მეტად არის ჩართული ორმხრივ თუ მრავალმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებში. ეკონომიკური საკითხები მისთვის არც ადრე იყო უცხო, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე ეტაპზე ამგვარი პრობლემატიკა დიპლომატიური საქმიანობის განსაკუთრებულ მიმართულებად იქცა. ეს ერთნაირად ეხება როგორც დიდ, ძლიერ, ისე პატარა სახელმწიფოებს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მცირე შიდა ბაზრისა და ექსპორტის შეზღუდულობის გამო, პატარა ქვეყნებისათვის საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში (განსაკუთრებით საერთაშორისო ვაჭრობაში) აქტიური მონაწილეობა სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს. ცხადია, რატომაც არის პატარა ქვეყნებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი დიპლომატიის ეკონომიკური მხარე.

პატარა ქვეყნებს თავიანთი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური სისუსტის მიუხედავად, თანამედროვე დიპლომატიაში აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ სხვადასხვა დიპლომატიური ინსტრუმენტები, მაგალითად ე.წ. „კონსენსუსის პრინციპი". პატარა ქვეყნებს აქვთ საშუალება ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციასა თუ ფორუმზე კონსენსუსის პრინციპის გამოყენების შემთხვევაში (ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია სწორედ კონსენსუსის პრინციპს იყენებს!) გადაწყვეტილების მიღებისას ან წინასწარი მოლაპარაკებისას საკუთარი პოზიციის დაფიქსირებითა და მისი ბოლომდე გატანით დაიცვან თავიანთი ინტერესები ან საკუთარი ხმის „ძვირად გაყიდვით" გაზარდონ საკუთარი მნიშვნელობა („წონა"). საკმაოდ ცნობილია შემთხვევა როდესაც პატარა მალტამ ჰელსინკის საბოლოო აქტზე მუშაობისას მოინდომა ხმელთაშუაზღვის პრობლემატიკის (მალტის უსაფრთხოებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი!) დოკუმენტში ჩართვა. მალტაზე დიდი დაწოლის მიუხედავად მისი პოზიცია გაზიარებულ იქნა, რადგან ამ პაწაწინა ქვეყანამ კონსენსუსის პრინციპი ჯიუტად ბოლომდე გამოიყენა. ამ შემთხვევას ეუთოში „მალტის სინდრომიც" კი უწოდეს.[192]" "

---

192 Michael W. Mosser. "Engineering Influence: The Subtile Power of Small States in the CSCE/OSCE". In Small States and Alliances. Erich Reiter and Heinz Gärtner (Editors). Physica-Verlag. Heidelberg and New York, 2001, p. 71

იმის გამო, რომ ხშირად *დიპლომატია* საგარეო ურთიერთობათა, საგარეო პოლიტიკის სინონიმად გამოიყენება, საჭიროდ მივიჩნიეთ ამ თავში პატარა ქვეყნების დიპლომატიის შესახებ უმთავრესად მათი დიპლომატიური შესაძლებლობებისა და თავისებურებების თვალსაზრისით გვესაუბრა.

უძველესი დროიდან ხალხები და სახელმწიფოები დიპლომატიას თავიანთი ინტერესების დასაცავად იყენებდნენ. დღეისათვის მთელ მსოფლიოში დიპლომატიური სამსახურების გარკვეული უნიფიცირება მოხდა. მართალია, ერთი ქვეყნის დიპლომატიური სამსახური მეორისაგან განსხვავდება, მაგრამ მათ მიზნებსა და საქმიანობას შორის მაინც მსგავსება შეინიშნება. დიპლომატიური სამსახურების საორგანიზაციო სტრუქტურებში და მუშაობის მეთოდებში, რა თქმა უნდა, ხშირად არის სერიოზული განსხვავებები, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატიურ სამსახურებს განსხვავებებზე მეტი საერთო აქვთ.

თვალნათლივ უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოებისათვის დიპლომატიური სამსახურისა და, საზოგადოდ, საკუთარი დიპლომატიის შექმნა დამოუკიდებლობის პირველივე წუთებიდანვე სასიცოცხლო ამოცანა ხდება. ახალი ქვეყნების პოლიტიკურ ელიტას, როგორც წესი, არ გააჩნია ხანგრძლივი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობით ბოძებული დიპლომატიური საქმიანობის, საგარეო პოლიტიკის მიზნების განსაზღვრისა და მისი წარმართვის გამოცდილება, სტრატეგიული აზროვნებისა და დაგეგმვის კულტურა (არაფერს ვამბობთ საკუთრივ დიპლომატიური უწყებისა და მთელი სამსახურის მოწყობისა და მისი ეფექტურად ამუშავების გადაუდებელ პრობლემაზე).

დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდანვე ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი უწყება, როგორც წესი, სწორედ ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოს დიპლომატიური სამსახური ხდება. თანამედროვე სამყაროში იზოლირებული ქვეყნები პრაქტიკულად აღარ არსებობს, ურთიერთდამოკიდებულება, სხვადასხვა სახის კავშირები არა ეპიზოდური, არამედ მუდმივი ხასიათისაა. უამრავი პრობლემის (თუნდაც შიდა პრობლემის) გადაწყვეტა საერთაშორისო ურთიერთობების გამოყენებას მოითხოვს და ამდენად, ცხადია ეფექტურად მომუშავე დიპლომატიურ სამსახურზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფო ცდილობს ყველა შესაძლებელი საერთაშორისო კონვენციისა და შეთანხმების, საერთაშორისო ორგა-

ნიზაციის მონაწილე გახდეს, თავი დაიმკვიდროს როგორც საერთაშორისო თანამეგობრობის ახალმა და ამავე დროს სრულფასოვანმა წევრმა. პატარა ქვეყნისათვის საერთაშორისო ორგანიზაციებში დამკვიდრება და აქტიური თანამშრომლობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს მისი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

საგარეო პოლიტიკა, დიპლომატიური საქმიანობა არ შეიძლება სტატიკური იყოს. იგი ყოველთვის პროცესია. ერთი შეხედვით სტაბილური ვითარება იცვლება. ამის გამოა, ქვეყნების დიპლომატიური საქმიანობა, მათი საგარეო პოლიტიკა მუდმივ რევიზიასა და კორექტირებას რომ მოითხოვს. ეს განსაკუთრებით პატარა, სუსტ სახელმწიფოებს ეხება, რომელთა უმრავლესობის საგარეო პოლიტიკა ძირითადად ცვალებადი გარემოსადმი შეგუებას, სხვადასხვა ცვლილებებზე რეაქციას წარმოადგენს.

საგარეო პოლიტიკა არის პროცესი, რომელშიც კონტროლს დაუქვემდებარებელი ფაქტორებია ჩართული. სწორედ ამიტომ არის საგარეო პოლიტიკა ის სფერო, რომელშიც ქვეყნების მთავრობებს ყველაზე ხშირად მეტი სირთულის დაძლევა უხდებათ. პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა კი ზოგჯერ მისი მთავრობისაგან (პირველ ყოვლისა, ხელმძღვანელობისა და საგარეო უწყებისაგან) გმირობის ტოლფას მოღვაწეობას მოითხოვს (განსაკუთრებით – კრიტიკულ ვითარებაში, რომელიც ზოგიერთ პატარა ქვეყანას არცთუ ისე იშვიათად ექმნება).

ნებისმიერი ქვეყნისათვის საგარეო პოლიტიკა და მაშასადამე, დიპლომატიური საქმიანობა ნიშნავს საკუთარი ტერიტორიის გარეთ ქვეყნის ეროვნული ინტერესების დაცვას და წინ წაწევას. ძალზე ხშირად ეს ინტერესები შიდა პრობლემების (სეპარატიზმის, საგარეო ვაჭრობის გაზრდის, დამატებითი კაპიტალისა და უახლესი ტექნოლოგიის მოპოვების აუცილებლობის და სხვ.) „გაგრძელებას" წარმოადგენს. მართალია, დიპლომატიური საქმიანობის მიზნები, პირველ ყოვლისა, იმ პრობლემებს და ამოცანებს მოიცავს, რომლებიც ქვეყნის გარეთ წარმოიშობა და ვითარდება (მეზობლებთან, უფრო ძლიერ ქვეყნებთან ურთიერთობა, ამ ურთიერთობების შედეგად შექმნილი კონფლიქტური ვითარება და სხვ.), მაგრამ ესა თუ ის საერთაშორისო პრობლემა, შეიძლება, შიდა და საგარეო მოვლენების კომბინაციას წარმოადგენდეს. მაგალითად, გამორიცხული არ არის, შეიქმნას ისეთი ვითარება, როცა რომელიმე ქვეყნის შიდა პრობლემების მისსავე საზიანოდ

გამოყენება გარეშე ძალამ მოინდომოს და ეს შეძლოს კიდეც. ამგვარი ვითარება განსაკუთრებით პატარა, სუსტი ქვეყნისათვის არის მტკივნეული და სახიფათოა.

ქვეყნის დიპლომატიის ეფექტურობა წინასწარ განსაზღვრული მიზნებისა და მიღწეული შედეგების შედარებით ფასდება. დღეს დიპლომატიურ საქმიანობას უწინდელთან შედარებით გაცილებით მეტი საჯაროობა, გახსნილობა ახასიათებს. დემოკრატიულ სახელმწიფოებში საზოგადოებას ნებისმიერი სახელმწიფო უწყებისა თუ სამსახურის გაკონტროლების ყველა საშუალება აქვს მინიჭებული. საზოგადოებისათვის დახურული სფეროების რიცხვი სულ უფრო და უფრო ნაკლები რჩება. ეს დიპლომატიურ, საგარეო პოლიტიკის სფეროებზეც ითქმის. საიდუმლო ხელშეკრულებების დადება წარსულს ჩაბარდა. ამავე დროს, დიპლომატიური საქმიანობა, საგარეო პოლიტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგჯერ გარკვეული დროით საიდუმლოების შენახვას და ზოგიერთი სახის საიდუმლო ნაბიჯის გადადგმას საჭიროებს. როგორც კანადელი მკლევარი ა. *ენდრიუ* შენიშნავს, „არ არსებობს საიდუმლო მოლაპარაკებისა და საზოგადოების მონაწილეობის (საჯაროობის) ერთმანეთის საწინააღმდეგო მოთხოვნათაგან თავის დაღწევის სასწაულებრივი გზა.“[193] უმრავლეს დიპლომატიურ მოლაპარაკებათა დასრულების შემდეგ მათი შედეგები საზოგადოებისთვის მალე ხდება ცნობილი, მოლაპარაკებისათვის მზადება, მოსამზადებელი სამუშაო კი არა მარტო მაღალკვალიფიციური სპეციალისტების გამოყენებას, არამედ ზოგჯერ მოლაპარაკებების ზოგიერთი მომენტის საიდუმლოდ დაცვას მოითხოვს.

პატარა ქვეყნის საგარეო უწყებას, ძლიერი ქვეყნების ანალოგიურ უწყებებთან შედარებით, ალბათ მხოლოდ ერთი უპირატესობა აქვს – იგი არ არის იძულებული, ყოველ საერთაშორისო პრობლემასთან დაკავშირებით დააზუსტოს და დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია. ზოგიერთი საერთაშორისო პრობლემა პატარა ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს უშუალოდ არ უკავშირდება. ასეთ დროს პატარა ქვეყანა ახერხებს თავი აარიდოს ამ საერთაშორისო პრობლემასთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირებას. ამავე დროს, თუ პატარა ქვეყანას რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში თუ ფორუმზე თავმჯდომარეობა ან სხვა მსგავსი ფუნქციის შესრულება უწევს, საკუთარი პოზიციის განცხადები-

193 Arthur Andrew, *Defence by Other Means. Diplomacy for the Underdog.* Canadian Institute of International Affairs, Toronto, 1971, p.44

სათვის თავის არიდება მეტად გაძნელდება.

საგარეო საქმეთა უწყება საკუთარი ფუნქციის ეფექტური შესრულებისათვის საკმაოდ დიდი მოცულობის სანდო ინფორმაციას უნდა ფლობდეს. ამას იგი, პირველ ყოვლისა, უცხო ქვეყნებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში შექმნილი თავისი დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით ახერხებს. დიდ სახელმწიფოებს ბევრ ქვეყანაში აქვთ საელჩოები და სხვა სახის წარმომადგენლობები. გარდა ამისა, მათ საზღვარგარეთ მრავალრიცხოვანი დიპლომატიური პერსონალის შენახვა შეუძლიათ. ბუნებრივია, დიდი საელჩოების მრავალრიცხოვან პერსონალს ინფორმაციის მოპოვების ბევრად მეტი საშუალება აქვს, პატარა ქვეყნების მცირერიცხოვან დიპლომატიურ სამსახურს კი სახსრების სიმცირისა და მუშაკთა მცირე რიცხვის ნაწილობრივი კომპენსირება მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციითა და მუშაობის მაღალი ეფექტურობით ძალუძს.

პატარა ქვეყნის საგარეო უწყებისათვის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემაა საკუთარი დიპლომატიური წარმომადგენლობების „გეოგრაფიის" განსაზღვრა (სად და რა რაოდენობით არის აუცილებელი საელჩოებისა და საკონსულოების გახსნა). ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოსათვის ხსენებული პრობლემა მარტივი არ არის, რადგან დამოუკიდებელი არსებობის საწყის ეტაპზე მას საკუთარი ეროვნული ინტერესები, ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები ჯერაც არა აქვს საკმარისად გაცნობიერებული. ამიტომ საკმაოდ რთული ამოცანაა უკიდურესად შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობების პირობებში დიპლომატიური წარმომადგენლობების ოპტიმალური ქსელის დაგეგმვა (როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური სარგებლის თვალსაზრისით).

ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფო არსებობის პირველივე დღეებიდან სისხლსავსე დიპლომატიურ ცხოვრებაში ერთვება და კარგა ხანს სტრატეგიული და ტაქტიკური გაურკვევლობისა და უკიდურესი ცაიტნოტის პირობებში მოქმედებს; ამიტომ მისთვის ეფექტური დიპლომატიური სამსახურის უმოკლეს დროში შექმნა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

არსებული შეხედულებით, დიდი, ძლიერი ქვეყნების დიპლომატები, ჩვეულებრივ, უფრო მაღალი კვალიფიკაციისა არიან, ვიდრე მათი კოლეგები პატარა ქვეყნებიდან. ამგვარ შეხედულებას ადრე მყარი საფუძველი ჰქონდა; დღეს კი ბევრი პატარა ქვეყნის დიპლომატმა როგორც პროფესიული მომზადების, ასევე

დაძლეული დიპლომატიური კარიერის თვალსაზრისით უმაღ-ლეს მწვერვალებს მიაღწია. პატარა ქვეყნის დიპლომატები ამას განსაკუთრებით უნდა უმადლოდენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებშიც მოღვაწეობა მათი პროფესიული ზრდის საუკეთესო საშუალება აღმოჩნდა. გაეროში, იუნესკოში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მაღალ თანამდებობებს არცთუ იშვიათად სწორედ პატარა ქვეყნების დიპლომატები აღ-წევენ. საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ ის არის, რომ იქ პატარა ქვეყნების დიპ-ლომატებს თავის გამოჩენის, მაღალი თანამდებობის დაკავების საუკეთესო პირობები ექმნებათ. (გავიხსენოთ თუნდაც გაეროს სახელგანთქმული გენერალური მდივნები შვედი *დაგ ჰამარშელ-დი*, ბირმელი *უ ტანი* და სხვები).

დიდ ქვეყანას, პატარასთან შედარებით, მაღალკვალიფიცი-ური დიპლომატების მეტი რაოდენობის მომზადება და დასაქმება შეუძლია. ბევრი კვალიფიციური სპეციალისტის არსებობა, მრავა-ლი დიდი საელჩოსა და წარმომადგენლობის დაკომპლექტების საშუალება მძლავრ ქვეყანას დიდი მოცულობისა და „მაღალხ-არისხოვანი" ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობებს უქმნის; ინფორმაცია კი, როგორც ცნობილია, დიპლომატიურ საქმიანობა-შიც სასიცოცხლო, განმსაზღვრელი ფაქტორია.

არსებობს ერთი დელიკატური საკითხი, რომელსაც უთუოდ უნდა შეეხოთ. სხვადასხვა ქვეყნების სადაზვერვო სამსახურები, საკუთარი საშუალებების და არხების გარდა, დიპლომატიური სამ-სახურის საშუალებებს და არხებსაც იყენებენ. პატარა ქვეყნების სადაზვერვო სამსახურებს, როგორც წესი, საკმაოდ შეზღუდული საშუალებები მოეპოვებათ (გამონაკლისია ისრაელი და ზოგიერ-თი სხვა ქვეყანა, რომელსაც მძლავრი საფინანსო საშუალებები ან მრავალრიცხოვანი დიასპორა უმაგრებს ზურგს). ამიტომაც პატარა ქვეყნების მიერ საკუთარი დიპლომატიური სამსახურის და მისი ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობა ასევე შეზ-ღუდულია. ლოგიკურია, რომ პატარა ქვეყნის დიპლომატიური საქმიანობა „უშუალო სამეზობლოშია" უფრო ინტენსიური, ხოლო მისი სადაზვერვო საქმიანობა, როგორც წესი, პრაქტიკულად მე-ზობლებით არის შემოფარგლული, რაც პატარა ქვეყნის ეროვნუ-ლი უსაფრთხოების სპეციფიკური პირობებით არის გამოწვეული.

პატარა ქვეყნის დიპლომატიურ სამსახურს, დიდ ქვეყანას-თან შედარებით, ბევრად ნაკლები მოცულობის ინფორმაციის

მოპოვება და დამუშავება ძალუძს. ამავე დროს, როგორც უკვე აღინიშნა, ეს ინფორმაცია, ჩვეულებრივ, გეოგრაფიული თვალსაზრისითაც შეზღუდულია და რომელიმე რეგიონზე (როგორც წესი, პატარა ქვეყნის მეზობლებზე) არის ფოკუსირებული. მსოფლიოს დანარჩენი რეგიონების შესახებ მისი ინფორმაცია ან ზედაპირულია ან – სრულებით უმნიშვნელო. ისიც აღსანიშნავია, რომ პატარა ქვეყნის ინფორმაცია საკუთარი რეგიონის შესახებ დიდი, ძლიერი ქვეყნის მიერ მოპოვებულს მოცულობითაც ჩამორჩება და ხარისხითაც. დიდ, ძლიერ სახელმწიფოს ნებისმიერ რეგიონში შექმნილი ვითარების და პატარა ქვეყნების შესაძლებელი ქმედებების შეფასების მეტი უნარი აქვს. *დ. ვიტალის* აზრით, უმეტესწილად ასე ხდება, მაგრამ ზოგჯერ პატარა ქვეყნები საკუთარ რეგიონში სანდო ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებას და ამ მხრივ გარკვეული უპირატესობის მიღწევასაც კი ახერხებენ.[194]

საჭიროა კიდევ ერთხელ შევეხოთ დაზვერვის საკითხს. პატარა ქვეყნები, როგორც წესი, ძლიერი ქვეყნების მიმართ აქტიურ სადაზვერვო მუშაობას არ აწარმოებენ. მოკრძალებული შესაძლებლობების გამო ამის გაკეთება მათ არ ძალუძთ. გარდა ამისა, ისინი ცდილობენ დაზვერვის სფეროში ძლიერ ქვეყნებთან ჭიდილს თავი აარიდონ. სამაგიეროდ, ძლიერი ქვეყნებისათვის ყველა ქვეყანა გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს. ამდენად ისინი თავიანთ სადაზვერვო საქმიანობას რაც შეიძლება მეტ ქვეყანაზე განავრცობენ. სადაზვერვო საქმიანობაში ამგვარი ასიმეტრია პატარა და დიდ ქვეყანას შორის მატერიალური და სხვა შესაძლებლობების, პოლიტიკური რისკის სხვაობიდან გამომდინარეობს.

პატარა ქვეყნების სადაზვერვო სამსახურები ძირითადად თავდაცვითი, კონტრდაზვერვითი საქმიანობით იფარგლებიან. მასზე ძლიერი ქვეყნების წინააღმდეგ აქტიური სადაზვერვო საქმიანობის გატარებას მხოლოდ ზოგიერთი პატარა ქვეყანა ახერხებს. *ა. ენდრიუს* აზრით, პატარა დემოკრატიული ქვეყნის რეალური ვითარებიდან გამომდინარე, ძლიერ ქვეყანასთან ურთიერთობაში სადაზვერვო საქმიანობა, დიპლომატიასთან შედარებით, დამხმარე როლს ასრულებს.[195]

პატარა ქვეყნების მოკრძალებული შესაძლებლობების მიუხედავად, მათ ეროვნული უსაფრთხოებისათვის განსაკუთრებით

---

194 David Vital. *The Ineaquality of States*. Clarendon Press. Oxford. 1967. p. 23

195 Arthur Andrew. *Defence by Other Means. Diplomacy for the Underdog*. Canadian Insitute of International Affairs. Toronto, 1971, p.69

მნიშვნელოვანი ინფორმაცია დიდად უღირთ, ამიტომ, პირველ ყოვლისა, მათი დიპლომატიური სამსახური და დაზვერვა უნდა იყოს უაღრესად ეფექტური. ინფორმაციის უქონლობა პატარა ქვეყნისათვის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

თანამედროვე პირობებში უაღრესად საყურადღებოა საკუთრივ დიპლომატის (ელჩის თუ სხვა დიპლომატიური მუშაკის) როლისა და ფუნქციის განხილვა. დიპლომატია ურთიერთობათა სფეროც არის და ხელოვნებაც. კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები დიპლომატის როლს თითქოსდა აკნინებს, მას თითქოს უფუნქციოს ხდის. დღეს, როცა ნებისმიერ საგარეო საქმეთა მინისტრს შეუძლია ტელეფონით (უფრო თანამედროვე საშუალებებზე არაფერს ვამბობთ) დაუკავშირდეს თავის უცხოელ კოლეგას ან რამდენიმე საათში ჩაფრინდეს მის სანახავად, ტრადიციული დიპლომატიისა და დიპლომატის როლი და ფუნქცია, მართლაც შეზღუდული შეიძლება გვეჩვენოს. *პიტერ კალვერტი* ირონიულად იმასაც კი აღნიშნავს, რომ ხშირად საელჩოები თავიანთ ტრადიციით განსაზღვრულ ფუნქციებს აღარ ასრულებენ და უფრო მეტად „გადასახლების", „დაჯილდოებისა" და თავიანთი ქვეყნებიდან სტუმრების მიღების ადგილად გადაიქცნენ.[196] ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე კომუნიკაციების და მაღალი დონის გახშირებული პირადი შეხვედრების გამო დიპლომატების (კერძოდ, ელჩების) მნიშვნელობა დაკნინდა.[197]

ა. ენდრიუს აზრით, დიპლომატების როლის დაკნინების შესახებ საუბარი მათ გარშემო არსებულმა გარკვეულმა იდუმალებამ და რომანტიკულმა წარმოდგენებმა განაპირობა.[198] დროთა განმავლობაში დიპლომატიისა და დიპლომატების შესახებ გარკვეული, აზრი ჩამოყალიბდა. ამას ხელი შეუწყო არა მარტო იმ სპეციფიკურმა პირობებმა, რომლებშიც დიპლომატებს უძველესი დროიდან დღემდე უხდებათ მუშაობა, არამედ ზოგიერთი დიპლომატის პიროვნულმა თვისებებმაც. ტრადიციულად, დიპლომატიურ სამსახურში უაღრესად მომზადებული, ზოგჯერ პიროვნული თვისებებით გამორჩეული ადამიანები ხვდებოდნენ. ბევრმა მათგანმა დიდად გაითქვა სახელი სხვადასხვა საიდუმლობების, ჭორების, ინტრიგების მოყვარული საზოგადოებისათვის დიპლომატები

196 Peter Calvert, *The Foreign Policy of New States*, Wheatsheaf, Sussex, 1986, pp. 96-98

197 R. P. Barston, *Modern Diplomacy*, Longman, London and New York, 1991, p.5

198 Arthur Andrew, *Defence by Other Means...*, p.69

მეტად მიმზიდველ სამიზნეს წარმოადგენდნენ. დიპლომატიის და დიპლომატების ირგვლივ რომანტიკული შარავანდედის ჩამოყალიბებას ამანაც შეუწყო ხელი. ამასთანავე არსებობს შეხედულება, თითქოს საერთაშორისო ურთიერთობათა ბევრი მოვლენის, საგარეო პოლიტიკის ბედს სწორედ დიპლომატები განსაზღვრავენ, სინამდვილეში კი ისინი საერთაშორისო ურთიერთობათა პროცესის ნაწილს წარმოადგენენ (თუმცა ეს ნაწილი ზოგჯერ მეტად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს).

იყო დრო, როდესაც ესა თუ ის მთავრობა სხვა სახელმწიფოთა და მათი მთავრობების ინტერესებისა და საქმიანობის შესახებ ცნობებს უმთავრესად თავისი დიპლომატების მეშვეობით მოიპოვებდა.[199] ამ ინფორმაციას ზოგჯერ მოგზაურებისა თუ ჟურნალისტების მონაყოლი ემატებოდა. გასაგებია, რომ ერთნიც და მეორენიც ხშირად მეტად ცალმხრივად და სუბიექტურად აფასებდნენ მოვლენებს. ამიტომ, ძველად დიპლომატებს უცხო სახელმწიფოთა შესახებ ინფორმაციაზე მონოპოლია ჰქონდათ მოპოვებული, მაგრამ ეს დრო წარსულს ჩაბარდა. ამჟამად სახელმწიფოთა შორის გაცხოველებული მიმოსვლაა, მთავრობათა ხელმძღვანელები, საგარეო საქმეთა მინისტრები, მათი მოადგილეები და სხვა პასუხისმგებელი პირები ხშირად ხვდებიან ერთმანეთს. გარდა ამისა, გაიზარდა იმ ჟურნალისტთა და მეცნიერთა რიცხვი, რომლებიც საერთაშორისო ცხოვრებას აშუქებენ. ბევრი მათგანი წლობით ცხოვრობს ამა თუ იმ ქვეყანაში და ზოგჯერ ამ ქვეყნის პრობლემების საუკეთესო ექსპერტი ხდება. ასე რომ, ელჩებისა თუ სხვა დიპლომატების ინფორმაცია და შეფასებები მონოპოლიურ ხასიათს აღარ ატარებს, არამედ სხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციასთან არის შეჯერებული. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ დიპლომატები საჭირონი აღარ არიან? რა თქმა უნდა, არა. სინამდვილეში დიპლომატების საქმიანობის პირობებმა, მათდამი მოთხოვნებმა და საზოგადოდ, მათმა როლმა და ფუნქციამ განიცადა გარკვეული ევოლუცია.

გამოჩენილი დიპლომატის *ჰაროლდ ნიკოლსონის* აზრით, ელჩი ყოველთვის ინფორმაციის ძირითად წყაროდ უნდა რჩებოდეს. იგი იმ ქვეყნის პოლიტიკური პირობების, ტენდენციებისა და განწყობილებების შემფასებელი უნდა იყოს, სადაც სამსახ-

---

199 დიპლომატის პროფესიული მხარეების შესახებ იხ.:Г. Никольсон. Дипломатия. ОГИЗ. Москва. 1941б стр. 67-68; Жюль Камбон. Дипломат. ОГИЗ. Москва, 1946. стр. 11-17, 25-39.

ური უნევს.[200] იგივე *ნიკოლსონი* ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლისას პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთა რიცხვი გარკვეული დროით რამდენიმე პიროვნებით შემოიფარგლება. მათი ახლოს გაცნობა და საფუძვლიანი შესწავლა მხოლოდ ამ ქვეყანაში აკრედიტებულ ელჩს შეუძლია. მათზე გავლენის მოხდენის უნარიც მას შესწევს.[201] ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი შეხედულება უფრო მეტად დიდი, ძლიერი სახელმწიფოების დიპლომატებზე ვრცელდება, რადგან ყველაზე ხშირად სწორედ ისინი ხვდებიან ქვეყნის ლიდერებს და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს. პატარა ქვეყნების დიპლომატებს კი სხვა ქვეყნების ლიდერების გაცნობა, მათთან საჭირო ურთიერთობის დამყარება, მათი შეხედულებების შესწავლა და ზემოქმედება მაშინ უადვილდებათ, როცა მეზობელ ქვეყნებში არიან აკრედიტებული. მეზობლებს უფრო ცხოველი ურთიერთობები აქვთ და ამავე დროს ხშირად – ყველაზე რთულიც და დელიკატურიც. ამიტომაც როგორც პატარა ისე დიდი მეზობელი ქვეყნების დიპლომატები, ჩვეულებრივ, უფრო ახლო უნდა იცნობდნენ მეზობლების პოლიტიკურ ელიტას და ხელმძღვანელობას.

„დემოკრატიას ყოველთვის ეყოლება ელჩები და დესპანები, მაგრამ საკითხავია, ეყოლება კი მას დიპლომატები?“ – სარკაზმით შენიშნავდა გასული საუკუნის დასაწყისში სახელგანთქმული დიპლომატი ფრანგი *ჟიულ კამბონი*.[202] იგი მიუთითებდა, რომ დემოკრატიის პირობებში სათანადო შერჩევა აღარ ხდება და ამდენად დიპლომატიურ სამსახურში ყველანაირი ადამიანი შეძლება აღმოჩნდეს. ამ დროს ყველაფერი სწრაფად იცვლება, ერთი მთავრობა მეორეს ცვლის და დიპლომატიურ სამსახურშიც კადრების დიდი დენადობაა. *ჟ. კამბონის* აზრით, ეს გარემოება ხელს არ უწყობს პროფესიული დიპლომატიური სამსახურის განვითარებას. მისი დასკვნის თანახმად, დიპლომატია ტრადიციებსა და საჭირო კადრებს მონარქიაზე მეტად დემოკრატიულ რესპუბლიკაში საჭიროებს.[203] დემოკრატიის პირობებში სახელმწიფო სამ-

---

200 Г. Никольсон. Дипломатическое искусство. Изд. ИМО, Москва, 1962, стр. 97

201 იქვე.

202 Жюль Камбон. Дипломат. ОГИЗ, Москва, 1946, стр. 40.

203 იქვე.

სახურის მაღალ ეშელონებში, სადაც ყველაზე უკეთ შეიძლება სახელმწიფო ინტერესების გაცნობიერება, მეტი ადამიანი შეიძლება აღმოჩნდეს. პატარა დემოკრატიულ ქვეყანაში საკმარისი რაოდენობით უნდა იყვნენ ადამიანები, რომლებსაც სხვადასხვა სფეროში მაღალ თანამდებობებზე მოღვაწეობით დიპლომატიური კარიერისათვის სათანადო საფუძველი შეექმნებათ.

სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებასა და გლობალიზაციის პროცესების ინტენსიფიცირებასთან ერთად ქვეყნებს შორის მანძილი და დაკავშირებისათვის საჭირო დრო მცირდება. ამგვარი ტენდენციების გამო დიპლომატიას ზოგიერთი ფუნქცია ეკარგება, მაგრამ, სანამ არსებობენ სუვერენული სახელმწიფოები, დიპლომატიაც და დიპლომატებიც საჭირონი იქნებიან.

ადრე დიპლომატიური სამსახური ელიტარულ საქმიანობად მიიჩნეოდა. სიტყვა *დიპლომატი* ლამის იმავე არისტოკრატს ნიშნავდა და უმეტესწილად ასეც იყო. დიპლომატიურ სამსახურს კორპორატიულობა ყოველთვის ახასიათებდა, მაგრამ იგი ზოგჯერ კასტურ ხასიათსაც იძენდა. დემოკრატიულ საზოგადოებაში დიპლომატიური სამსახური გარკვეულ კორპორატიულობას შეიძლება ინარჩუნებდეს, მაგრამ კასტურობა, დიპლომატთა კასტის ჩამოყალიბება მისთვის უკვე უცხოა. ეს ერთნაირად ითქმის დიდ და პატარა სახელმწიფოებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ განვითარებულ ქვეყნებში დიპლომატიური კარიერა ისეთი მიმზიდველი აღარ არის, როგორც ეს ადრე იყო. უფრო მიმზიდველი სხვა სფეროებში დაწინაურება გახდა.

ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოსათვის დიპლომატიური კადრების მომზადება უაღრესად სერიოზული ამოცანაც არის და პრობლემაც. ამგვარ ქვეყანას დამოუკიდებლად არსებობის პირველივე დღეებიდანვე ესაჭიროება პროფესიულ დიპლომატთა საკმაო რიცხვი. ამგვარი ამოცანის გადაწყვეტა ზოგჯერ ნაწილობრივ საზღვარგარეთული დიასპორიდან მოწვევით (ასე იყო ბალტიის ქვეყნებში, სომხეთში და სხვ.), ხოლო ძირითადად კი დიპლომატიური კადრების საზღვარგარეთ მომზადების გზით ხერხდება. ამავე დროს, ბუნებრივია, პატარა ქვეყანამ თავად უნდა შეიმუშაოს საკუთარი დიპლომატიური კადრების მომზადების სტრატეგია და შექმნას ამის შესაძლებლობები.

ცხადია, პატარა სახელმწიფოს სპეციალური დიპლომატიური უმაღლესი სასწავლებლის შექმნა გაუჭირდება. მას ბევრი დიპლო-

მატი არც ესაჭიროება. ამგვარი ამოცანის გადაწყვეტა კიდევ უფრო ურთულდებათ ახალგაზრდა, პატარა სუვერენული ქვეყნებს, რომელთაც ამისათვის არც გამოცდილება გააჩნიათ, არც – კადრები და არც – საკმარისი მატერიალური საშუალებები.

დიპლომატიური კადრების მომზადება რთული ამოცანაა იქ, სადაც საამისო გამოცდილება არ არსებობს. საბედნიეროდ, ახალგაზრდა სუვერენულ ქვეყანაში დიპლომატიური სამსახური ნიჭიერ, ენერგიულ და პატივმოყვარე ადამიანებს იზიდავს. სხვადასხვა სფეროდან დიპლომატიურ უწყებას მოაშურებენ ერუდირებული, ენერგიული კადრები. მათ შორის ბევრი ახალგაზრდაა. კარგია, თუ მათ შორის საუნივერსიტეტო განათლების მქონენი ჭარბობენ, რადგან სწორედ ამგვარი განათლება ქმნის შემდგომი სპეციალური მომზადებისა და დიპლომატიური კარიერის საუკეთესო საფუძველს. დიპლომატიური კადრების მომზადება და როტაციის პრინციპის თანმიმდევრული განხორციელება ახალფეხადგმული დიპლომატიური სამსახურის ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთი საწინდარია.

პატარა ქვეყნის დიპლომატიური სამსახურის მუშაკს ფართო ერუდიცია და რომელიმე დარგში მაღალი კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეს. პატარა ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობები, როგორც წესი, მცირერიცხოვანია, ამიტომ მათი თანამშრომლები უფრო უნივერსალურნი უნდა იყვნენ. საელჩოები და სხვა სახის დიპლომატიური წარმომადგენლობები ცხოვრების მრავალ სფეროსთან (საგარეო პოლიტიკა, სამართალი, ეკონომიკა, ვაჭრობა, კულტურა, სამხედრო საქმე და ა.შ.) არიან დაკავშირებულნი. ამიტომაც ერუდირებული და განათლებული პიროვნება დიპლომატიური საქმიანობის მრავალფეროვნებაში, მის სპეციფიკაში უკეთ გაერკვევა და თავის ქვეყანას ეფექტურ სამსახურს გაუწევს.

უკვე აღინიშნა, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები საქმიანობის მეტად ფართო სპექტრით ხასიათდება. განსაკუთრებით გაიზარდა მათი ეკონომიკური როლი და მოცულობა. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები თანამედროვე დიპლომატიური უწყებების საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს სფეროდ იქცა. ამის გამო დიპლომატს ძალზე ხშირად სპეციალური ეკონომიკური განათლება ესაჭიროება.

თანამედროვე დიპლომატიისათვის მეტად დამახასიათებელია როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვისა და საქმიანობის გაზრდა, ასევე თვით დიპლომატიური საქმიანობის ინტენსიფიცირება, რაც სხვადასხვა პრობლემებისადმი მიძღვნილი

შეხვედრების, ვიზიტების, მოლაპარაკებათა და ხელშეკრულებათა რიცხვის სწრაფ ზრდაში გამოიხატება. მათში მონაწილეობა ნებისმიერი დიპლომატიური სამსახურისაგან არა მხოლოდ დაძაბულ, დიდი მოცულობის მოსამზადებელ სამუშაოს მოითხოვს, არამედ სათანადო რაოდენობის კვალიფიციური დიპლომატიური კადრების გამოყენებასაც.

პატარა ქვეყნის დიპლომატების ერთ-ერთი ფუნქციაა თავიანთი ქვეყანა გააცნონ იმ სახელმწიფოს საზოგადოებრიობას, რომელშიც მოღვაწეობა უწევთ. აღნიშნული ფუნქცია განსაკუთრებით აქტუალურია ახალგაზრდა სუვერენული ქვეყნებისათვის; მსოფლიოში და განსაკუთრებით საერთაშორისო სისტემის წამყვან, უძლიერეს სახელმწიფოებში მათ ხომ ნაკლებად იცნობენ. საკუთარი ქვეყნის წარმოჩენა, მის მიმართ კეთილგანწყობის შექმნა და მეგობრების მოძიება ახალგაზრდა სუვერენული ქვეყნის დიპლომატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. პატარა ქვეყნის დიპლომატებმა საჭიროა თავიანთი ქვეყანა გააცნონ სხვა სახელმწიფოების წამყვან უმაღლეს სასწავლებლებს, მასმედიას, საქმიან წრეებს. ამგვარი პოპულარიზაციის კეთილშობილური მისიის შესრულება მხოლოდ ერუდირებულ, ღრმად განათლებულ და დიპლომატისათვის აუცილებელი ზოგიერთი თვისებით გამორჩეულ პიროვნებებს ძალუძთ.

2.3 პატარა ქვეყნის დიპლომატიის ინსტრუმენტი:კავშირები

მე ზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო.
ქართული ანდაზა

მოკლე გ ზიდან მტერს ელოდე, შორი გ ზიდან-მოყვარესო.
ქართული ანდაზა

საერთაშორისო პოლიტიკა ჯერაც წარმოუდგენელია კავშირების გარეშე. ჯერ კიდევ რეალიზმის ერთ-ერთმა „მამამ" ჰანს მორგენთაუმ შენიშნა, რომ „კავშირები ძალთა ბალანსის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოვლინებაა".[204] ჯორჯ ლისკას აზრით კი „შეუ-

204 Hans J. Morgenthau. Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace. Fourth Edition. Alfred A. Knopf, New York, 1967, p. 175

ძლებელია ისაუბრო საერთაშორისო ურთიერთობათა შესახებ და კავშირები უგულვებელყო; ორივე, სახელწოდების გარდა, ხშირად ერთი და იგივეა".[205]

რა არის „კავშირი" საყოველთაოდ მიღებული, „კლასიკური" გაგებით? კავშირი არის მის მონაწილეთა მიერ განცხადებული ვალდებულება გაუწიონ ურთიერთს სამხედრო დახმარება თუ ერთ-ერთი მოკავშირე აგრესიის მსხვერპლი გახდა, ფორმულირებული და გაფორმებული საგანგებო ხელშეკრულებით. კავშირი უპირველესად და უმთავრესად სამხედრო კავშირია. ამიტომ კავშირში შემსვლელი სახელმწიფო მშვიდობიან დროს იმედოვნებს იყოს საფრთხისგან დაცული, ხოლო ომის შემთხვევაში მიიღოს დახმარება მოკავშირისა თუ მოკავშირეებისაგან. სტივენ უოლტის აზრით, „კავშირი არის ორი ან ორზე მეტ სახელმწიფოს შორის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა", სამხედრო ვალდებულება, ჩვეულებრივ წერილობითი ფორმით განცხადებული.[206] კავშირი, პირველ ყოვლისა, სამხედრო კავშირია და სერიოზულ ვალდებულებებს აკისრებს ხელმომწერ მხარეებს.

ექსპერტების უმრავლესობა, რომლებიც კავშირებს შეისწავლიან, ამტკიცებენ, რომ „კავშირი", არსებითად, „სამხედრო კავშირს" ნიშნავს.[207]

უკანასკნელ ხანს გაძლიერდა წარმოდგენა, რომ ჰობსისეული, „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ" პრინციპზე დამყარებული საერთაშორისო ურთიერთობები ადგილს უთმობენ ყველა ქვეყნისათვის ურთიერთსასარგებლო ურთიერთობებს. გლობალიზაციამ და მისმა თანმდევმა ბევრმა ეკონომიკურმა, სოციალურმა და კულტურულმა პროცესმა თითქოს შეუქცევადი გახადა საერთაშორისო ურთიერთობათა „მოთვინიერების" პროცესი და „ინტერესთა ჰარმონიის" ეპოქასთან მიგვიყვანა.[208]"

---

205 George Liska. Nations in Alliance: The Limits of Interdependence. Johns Hopkins University Press. Baltimore, 1968, p.3

206 Stephen M. Walt. "Alliance". In the Oxford Companion to Politics of the World. Edited by Joel Kriegel et al., New York, Oxford, p. 20

207 იხ.: Volker Krause, J. David Singer. Minor Powers, Alliances, and Armed Conflict: Some Preliminary Patterns. In Small States and Alliances. Erich Reiter, Heinz Gärtner (eds.). Physica – Verlag, Heidelberg and New York, 2001, pp. 15 – 23. Stefan Bergsmann. The Concept of Military Alliance. In Small States and Alliances. Erich Reiter, Heinz Gärtner (eds.). Physica – Verlag, Heidelberg and New York, 2001, pp.25 - 37

208 ამის შესახებ იხილეთ:Laurence Martin. Alliances and Alignments in a Global-

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პატარა ქვეყანა, პირველ ყოვლისა, ცდილობს, იყოს ნეიტრალური და საერთაშორისო პოლიტიკის ყველა უარყოფით და საშიშ მოვლენას აარიდოს თავი. განზე დგომის, ნეიტრალიტეტის სურვილი პატარა ქვეყნის (მით უმეტეს – „ახალშობილის"!) ბუნებრივი ინსტინქტია. ამგვარი ინსტინქტი სავსებით გასაგებია, მაგრამ მასში საერთაშორისო ურთიერთობათა ბუნების არასაკმარისი ცოდნა, დიპლომატიური გამოუცდელობა იგრძნობა. მართალია, პატარა ქვეყნების საზოგადოებრიობაც და ხელმძღვანელობაც სავსებით სამართლიანად შეიძლება ფიქრობდნენ, რომ სხვებთან (მით უმეტეს დიდ, ძლიერ ქვეყნებთან და მათ შორის არსებულ ქიშპთან) არაფერი ესაქმებათ, მაგრამ სინამდვილეში, უნდათ მათ ეს, თუ არა, ხშირად ძლიერი ქვეყნების ინტერესთა ობიექტს წარმოადგენენ და საერთაშორისო ურთიერთობათა ამ მწარე და დაუნდობელ სინამდვილეს ვერ გაექცევიან.

რადგან ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსი არცთუ ისე ადვილი მოსაპოვებელია, ბევრი პატარა ქვეყანა, როგორც უწინ, ასევე დღესაც ე.წ. მიუმხრობლობის პოლიტიკას მიმართავს და ცდილობს საერთაშორისო სისტემაში უძლიერესი სახელმწიფოების ინტერესთა და ურთიერთქმედებათა „მაგნიტურ ველს" გარეთ დარჩეს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიუმხრობლობა საკმაოდ პოპულარული იდეოლოგია გახდა და 60-იან'წლებში მან აპოგეას მიაღწია. მართალია, მიუმხრობელ ქვეყნებს შორის უმრავლესობა პატარა იყო, ამ მოძრაობაში ზოგიერთი დიდი ქვეყანაც აღმოჩნდა (მაგ., ინდოეთი).[209]...

ნეიტრალიტეტის, მიუმხრობლობის, განზე დგომის სურვილი პატარა ქვეყნის სისუსტითა და თავის გადარჩენის ინსტინქტით არის განპირობებული. ამგვარი პოზიცია უფრო გასაგებია მაშინ, როცა დამოუკიდებელი არსებობის დასაწყისში პატარა ქვეყნის ახალი პოლიტიკური ელიტა საგარეოპოლიტიკურ შეხედულებებში იდეალიზმისა და, ზოგჯერ, უტოპიზმის დიდ გავლენას განიცდის. გამოუცდელი პოლიტიკური ელიტა საერთაშორისო სისტემას, მის

---

izing World. In the Global Century: Globalization and National Security. Edited by Richard L. Kugler and Ellen L. Frost. Vol. I. National Defense University, Washington, D.C. 2001, pp. 599-611"

209 Radovan Vukadinović, "Small States and the Policy of Non-Alignment". In: August Schou and Arne Olav Brundtland (Eds.), *Small States in International Relations*, Almqvist and Wiksell, Stockholm, 1971, pp. 98-114

რეალურ ვითარებას და მექანიზმებს კარგად არ იცნობს. გარდა ამისა, იგი ზოგჯერ ე.წ. „სირაქლემას პოლიტიკას" მიმართავს — საფრთხეთა თავიდან აცილებას მათი არდანახვით, უარყოფით ცდილობს. თუ პატარა ქვეყანა ერთი ან მეტი უფრო ძლიერი და მით უმეტეს საერთაშორისო სისტემის უძლიერესი ქვეყნების ინტერესების სფეროში აღმოჩნდა, იგი რეალობას — პოლიტიკურ მანევრირებას, ურთულეს დიპლომატიურ ბრძოლას — ვერ დაემალება. საერთაშორისო სისტემაში პრაქტიკულად არ არსებობს „მყუდრო ადგილი", მაგრამ არის იმგვარი რეგიონები, იმგვარი ვითარება, რომლებშიც „მოყოლილი" პატარა ქვეყანა გადარჩენაზე დღენიადაგ უნდა ზრუნავდეს.

ნებისმიერი ქვეყნის და მით უმეტეს პატარა, სუსტი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტს *კავშირი* წარმოადგენს. სანამ *ძალთა იერარქია* და *ძალთა წონასწორობა* პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორებია, კავშირები პოლიტიკის ინსტრუმენტად დარჩება.[210] კავშირების მექანიზმები, ხასიათი და კონტექსტი ისტორიულ ეპოქებში იცვლება, მაგრამ არსებობს ამ კავშირთა გარკვეული ზოგადი ნიშნები, რომლებიც ყოველთვის უცვლელია.

კავშირი, როგორც პოლიტიკური ინსტრუმენტი ზნეობრივი თვალსაზრისით „ნეიტრალურია". სახელმწიფო კავშირში შედის, კავშირს კრავს სხვა სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოებთან ძირითადად არა პოლიტიკური თუ ზნეობრივი პრინციპების მიხედვით, არამედ რაციონალური გზით, საუკეთესო პოლიტიკური შედეგის ძიების საფუძველზე. *რ. როთსტაინის* აზრით, სანამ პოლიტიკოსი თავისი ქვეყნის რომელიმე კავშირში შეყვანის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს, სამი კითხვის შესახებ უნდა დაფიქრდეს:რა

---

210 პატარა ქვეყნების კავშირების შესახებ იხილეთ: Heinz Gärtner. Small States and Alliances. In Small States and Alliances. Erich Reiter and Heinz Gärtner (Editors). Physica-Verlag, Heidelberg and New-York, 2001, pp. 1-9; Erich Reiter. Introductory Comments on the Objective of the Small States and Alliances Workshop. In Small States and Alliances. Erich Reiter and Heinz Gärtner (Editors). Physica-Verlag, Heidelberg and New-York, 2001, pp. 11-14; Krause, Volker, Singer, J. David. Minor Powers, Alliances, and Armed Conflict: Some Preliminary Patterns. Erich Reiter and Heinz Gärtner (Editors). Physica-Verlag, Heidelberg and New-York, 2001, pp. 15-23; Dan Reiter. Learning, Realism and Alliances: The Weight of the Shadow of the Past. In Small States in International Relations. Edited by Christine Ingebritsen, Iver Naumann, Sieglinde Gstöhl, and Jessica Beyer. University of Washington Press, Seattle, 2006, pp. 231-272

უპირატესობა გააჩნია კავშირში შესვლას მის გარეთ დარჩენასთან შედარებით? ვთქვათ, კავშირში შესვლა მართებული ნაბიჯია, მაგრამ ხომ არ არსებობს აღნიშნული კავშირის კიდევ უკეთესი ალტერნატივა? თუ კავშირში შესვლა გადაწყვეტილია, მაშინ როგორი, რა ხასიათისა უნდა იყოს ეს კავშირი?[211]

კავშირის შექმნა ნიშნავს საკავშირო ხელშეკრულებაზე ხელმოწერისას არსებული ვითარების „გაყინვას". ამასთანავე, ცნობილია, რომ საერთაშორისო ვითარება საკმაოდ სწრაფად იცვლება და არ არის გამორიცხული, რომელიმე ერთ-ერთი მოკავშირის მდგომარეობა მაინც შეიცვალოს. ნათელია ისიც, რომ კავშირში შესული სახელმწიფოებიდან რომელიმე უფრო მეტ სარგებელს პოულობს, ვიდრე მეორე ან დანარჩენები. ზოგჯერ შეიძლება ისეც მოხდეს, რომ კავშირში ყოფნით უკმაყოფილო ერთ-ერთმა მოკავშირემ შეიძლება აღნიშნული კავშირის დენონსაცია მოითხოვოს ან მეორე მოკავშირეს პირობებისა და მოვალეობების გადახედვა მოთხოვოს. ყოველივე ამას კი, შეიძლება, სერიოზული პოლიტიკური დანაკარგები მოჰყვეს.

ყოველი კავშირის შექმნას, ჩვეულებრივ, კონტრკავშირის შექმნა მოსდევს, რაც თავისთავად ცვლის საერთაშორისო თუ რეგიონულ ვითარებას, ზოგჯერ ანეიტრალებს, აუფასურებს პირველი კავშირის შექმნის შედეგებს.

კავშირის რომელიმე მონაწილემ, შეიძლება, საკუთარი ინტერესების მისაღწევად სხვა მონაწილის (ან მონაწილეების) „პაიკად" გამოყენება მოინდომოს და მოკავშირეთა მიმართ თავის ვალდებულებებზე ნაკლებად იფიქროს. ამ შემთხვევაში „წესიერი" მოკავშირე ნამგებიან ვითარებაში აღმოჩნდება. საზოგადოდ, კავშირში შესვლა და მოკავშირეობა ნიშნავს სერიოზულ მოვალეობებს და ხარჯებს, კონფლიქტური ინტერესების არსებობას, კავშირის წევრის საშინაო ვითარებაზე სხვა წევრის თუ წევრების მხრიდან ზოგჯერ მნიშვნელოვან გავლენას და ა.შ.

კავშირში მონაწილეობას დადებითთან ერთად ზოგჯერ უარყოფითი მხარეებიც ახლავს. კავშირში შემსვლელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ უპირატესობებსა და შეღავათებთან ერთად, მას შეიძლება დამატებითი სიძნელეები და პრობლემები შეექმნას. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ქვეყნისათვის საუკეთესო ვარიანტი იქნება მიუმხრობელი დარჩეს, არცერთი კავშირის

---

211 Robert L. Rothstein, *Alliances and Small Powers*, Columbia University Press, New York and London, 1968. p. 47

ნევრი არ იყოს და სავსებით დამოუკიდებელი პოლიტიკა გაატაროს. რაც ნაკლები კავშირი გაქვს, მით უფრო დამოუკიდებელი ხარ, მაგრამ ამგვარი რამ საერთაშორისო პოლიტიკაში პრაქტიკულად შეუძლებელია. დიდი, ძლიერი ქვეყნები ვერ ახერხებენ იზოლაციაში არსებობას, უსაფრთხოების მწვავე პრობლემების მქონე პატარა ქვეყანა კი დღენიადაგ მოკავშირეებს უნდა დაეძებდეს. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ნეიტრალური სახელმწიფოებიც კი გარშემო მოთარეშე სახელმწიფოებს ხშირად გარკვეულ ხარკს უხდიან.

ზოგჯერ კავშირები გაფორმებული არ არის, მაგრამ საერთაშორისო სისტემაში ჩართულმა სახელმწიფოებმა, როგორც წესი, იციან, ვინ არის პოტენციური მეტოქე ან მოკავშირე და საკუთარი ინტერესების განსაზღვრის და საგარეო პოლიტიკის დაგეგმვის დროს საკმაოდ კარგად აცნობიერებენ, კრიტიკულ ვითარებაში ვისთან შეკრან კავშირი.

კავშირები იმიტომ იქმნება, რომ ძალთა წონასწორობის მექანიზმზე აგებული საერთაშორისო სისტემა აიძულებს სუვერენულ სახელმწიფოებს ისინი საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით გამოიყენონ. გარდა ამისა, კავშირში შესვლისაგან მიღებული უპირატესობები უარყოფითს რომ არ აჭარბებდეს, კავშირები არ იარსებებდა. სხვასთან ან სხვებთან კავშირში შესვლამ შეიძლება როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის სარგებელი თუ უპირატესობა მოიტანოს.

კავშირში შესვლის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები ორი სახისაა:სამხედრო და პოლიტიკური. სამხედრო მიზნებიდან ერთი უმთავრესია -— აღქმული მეტოქის, მოწინააღმდეგის შეკავება. შესაძლო აგრესორმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მისი სავარაუდო მსხვერპლი მარტო აღარ არის და შეტაკება უკვე გაერთიანებულ ძალასთან (კავშირი) მოუხდება. თუ აგრესორი არც ამან გააჩერა და კავშირში შესული ქვეყანა მისი მსხვერპლი აღმოჩნდა, წინ მოკავშირეთა გაერთიანებული ძალები აღუდგება, რაც თავისთავად უფრო ეფექტური წინააღმდეგობის საშუალებაა, ვიდრე ეულად დარჩენა და მოძალადესთან პირისპირ შერკინება.

სამხედრო კავშირში მყოფი ქვეყანა იმედოვნებს, რომ თავის პარტნიორზე პოლიტიკურ გავლენას იქონიებს და მას საგარეო პოლიტიკას თავის სასარგებლოდ წარამართვინებს. ამგვარი ვითარების დადასტურებაა თუნდაც პოლიტიკური კონსულტაციები მოკავშირეთა შორის. კავშირში ყოფნით ნაკისრი ვალდებულე-

ბები ხშირად ერთ-ერთ მოკავშირეს აიძულებს ავანტურისტული ქმედებისაგან თავი შეიკავოს. გარდა ამისა, რომელიმე კავშირის წევრობა ქვეყანას დიპლომატიურ ბრძოლაში უპირატესობას ანიჭებს.

მაგალითად, მას შეუძლია დაპირდეს თავის დიპლომატიურ მეტოქეს, რომ მისი მხრიდან გარკვეული დათმობების შედეგად, თავად მსგავს ნაბიჯს გადადგამს და კავშირიდან გავა ან დაშლის მას. გარდა ამისა, ძლიერთან და ავტორიტეტის მქონე ძლიერ ქვეყანასთან კავშირში ყოფნა ნებისმიერ ქვეყანას პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ უპირატესობას ანიჭებს.

კავშირების ანალიზისას მათი სამხედრო და პოლიტიკური ასპექტების ერთმანეთისაგან გამიჯვნა იოლი როდია. ძნელად მოიძებნება ისეთი წმინდა სამხედრო კავშირი, პოლიტიკური მნიშვნელობა ან ქვეტექსტი რომ არ გააჩნდეს. არც ყოველგვარი სამხედრო განზომილებებისგან თავისუფალი წმინდა პოლიტიკური კავშირი შეიძლება არსებობდეს. მართებული იქნებოდა დაგვესკვნა:კავშირების უმრავლესობა ერთსა და იმავე დროს ორნაირ მიზანს, — პოლიტიკურსა და სამხედროს, — ითვალისწინებს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ კავშირში თავდაპირველად მეტი პოლიტიკური შინაარსია ჩაქსოვილი, ზოგიერთი კი, პირიქით, უფრო მეტად სამხედრო მიზნებს გულისხმობს.

რა თქმა უნდა, კავშირი ძირითადად სამხედრო ხასიათის მოვლენაა. ერთი (უფრო ხშირად სუსტი) ქვეყანა კავშირის მეოხებით ცდილობს ძალა „ისესხოს" და პოტენციური მეტოქე შეაკავოს. კავშირი, პირველ ყოვლისა, შეკავებისა და თავდაცვის საშუალებაა. იგი საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ არის მიმართული.

ამავე დროს, კავშირი პოლიტიკის ინსტრუმენტიცაა. კავშირში შესვლა ამაგრებს ქვეყნის პოზიციას დიპლომატიის სფეროში, იგი მიმართულია ძალადობის გამოყენებით სტატუს კვოს შეცვლის წინააღმდეგ, არსებული სტატუსისა და ვითარების შესანარჩუნებლად.

რ. როთსტაინის აზრით, უფრო მართებული იქნებოდა კავშირების არა „პოლიტიკურ" და „სამხედრო" ტიპებად დაყოფა, არამედ იმის მიხედვით დაჯგუფება, თუ რომელი ემსახურება უშუალო სამხედრო საშიშროების განეიტრალებას და რომელი იკვრება გრძელვადიანი, პოტენციური საფრთხის გათვალისწინებით.[212]

212 Robert L. Rothstein, *Alliances and Small Powers*, Columbia University Press,

პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის, მისი ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების შესწავლისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვიხილოთ ის საერთაშორისო გარემო, რომელშიც მას უხდება არსებობა. საერთაშორისო სისტემა ძლიერ ქვეყანაზე ისეთ დიდ გავლენას ვერ ახდენს, როგორც პატარაზე. ძლიერი ქვეყანა საერთაშორისო სისტემაზე, მის სტრუქტურასა და ხასიათზე თავად ახდენს უდიდეს გავლენას. პატარა ქვეყნისათვის კი ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანია რეგიონული სისტემის ხასიათი, რადგან მისი ინტერესები და შესაძლებლობები, როგორც წესი, უფრო ლოკალურია და რეგიონის საზღვრებს ნაკლებად გაცილებული.

საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში საკმაოდ ძლიერია *ნეორეალიზმიდან* მომდინარე შეხედულება, რომლის თანახმად პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკას საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა და ხასიათი განსაზღვრავს, ხოლო მათი შიდა მახასიათებლები და ვითარება ნაკლებ გავლენას ახდენს მათ საგარეო პოლიტიკურ „ქცევაზე".

არიან მკვლევრები, რომლებიც საპირისპიროს ამტკიცებენ. მათი აზრით, პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკას საკმაოდ ხშირად საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა და ხასიათი კი არ განსაზღვრავს, არამედ, პირველ ყოვლისა, ამ ქვეყნების შიდაპოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება.[213]

როგორ და რატომ ირჩევენ პატარა, სუსტი ქვეყნები ძლიერ მოკავშირეებს? სპეციალურ ლიტერატურაში პატარა ქვეყნების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა უმრავლესობის თანახმად, მათი კავშირში შესვლა ძალის საერთაშორისო იერარქიულობით (საერთაშორისო სისტემის სტრუქტურით) და პატარა ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური სისუსტით არის განპირობებული. ძალთა ბალანსის მექანიზმის მოტრფიალე რეალისტები *რობერტ როთსტაინი* და *ჯორჯ ლისკა* ფიქრობენ, რომ პატარა, სუსტი ქვეყნები უფრო მეტად კავშირებში შეუსვლელობასა და ნეიტრალურად დარჩენას ამჯობინებენ, რათა ამა თუ იმ კავშირში ყოფნით შექმნილი შესაძლო მახე თავიდან აიცილონ. მათი აზრით, ამგვარი ქვეყნები, სხვა გზის უქონლობის გამო, ხშირად მათთვის ყველაზე საშიშ ძლიერ ქვეყანასთან

New York and London, 1968, p. 51

213 იხ.:Miriam Fendius Elman, "The Foreign Policies of Small States: Challenging Neorelaism in Its Own Backyard", *British Journal of Political Science*, Vol. 25, April 1995, pp. 171-217

კრავენ კავშირს, რასაც *მიტმასნას (მიტმასნებას)* უწოდებენ.[214] ამას ისინი იმიტომ კი არ სჩადიან, რომ თავისუფლების ყადრი არ იციან, არამედ იმიტომ, რომ სხვა ალტერნატივა ვერ უპოვიათ და გადარჩენა სურთ.[215] *სტივენ უოლტი*, ვისთვისაც ძალთა წონასწორობა საფრთხეთა წონასწორობა უფროა, მიიჩნევს, რომ პატარა, სუსტი ქვეყანა ცდილობს მოკავშირედ გაიხადოს ის ძლიერი ქვეყანა (ან ქვეყნები), რომელიც მეტოქეობას უწევს პატარა ქვეყნისათვის საფრთხედ ქცეულ ძლიერ ქვეყანას. ამავე დროს, *ს. უოლტის* აზრით, პატარა, სუსტი ქვეყანა, როცა სანდო მოკავშირეს ვერ პოულობს, სწორედ იმ ძლიერ ქვეყანას უკავშირდება, რომლისაც მას ყველაზე მეტად ეშინია. ყველაზე ხშირად ასე ძალიან სუსტი ქვეყანა იქცევა.[216]

ერიკ ლებსის აზრით, არსებობს პატარა, მაგრამ „მებრძოლი", „ურჩი" სუსტი ქვეყნებიც, რომლებსაც მათთვის საფრთხის შემქმნელ ძლიერ ქვეყანასთან მიტმასნას მასთან დაპირისპირება და უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმა ურჩევნიათ.[217] (გავიხსენოთ როგორ მოიქცა 1939 წელს ფინეთი სსრკ-ის მუქარისა და აგრესიის მიუხედვად).

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა შეხედულება საბოლოოდ მაინც გარეშე ფაქტორებს, გარეშე საფრთხის არსებობას უწევს ანგარიშს და მხედველობაში სულაც არ იღებს პატარა ქვეყნის კავშირში შესვლის სურვილს (განსაკუთრებით „მიტმასნის" შემთხვევაში), ამ ქვეყნის შიგნით არსებული ვითარების, მისი შიდა მახასიათებლების მნიშვნელობას.

პატარა ქვეყნების მიერ კავშირების გამოყენების შესწავლისას დან რეიტერმა გამოარკვია, რომ გაბატონებული წარმოდგენა იმის თაობაზე, რომ ამგვარი ქვეყნები სხვა ქვეყნებთან კავშირის შექმნას აღქმული საფრთხის შესაბამისად მიმართავენ, მთლად

---

214 ინგლისურენოვან ლიტერატურაში ამ მოვლენას უწოდებენ *Bandwagoning.*

215 იხ.:R. Rothstein, *Alliances and Small Powers,* Columbia University Press, New York, London, 1968; George Liska, *Alliances and the Third World,* Johns Hopkins Press, Baltimore, 1968

216 Stephen M. Walt, *The Origins of Alliances,* Cornell University Press, Ithaca and London, 1990, p. 29

217 იხ.:Eric Labs, "Do Weak States Bandwagon?" *Security Studies,* Vol. 1, N3, Spring 1992, pp. 338-416

მართებული არ უნდა იყოს.[218] დ. რეიტერმა მეოცე საუკუნეში პატარა ქვეყნების მიერ კავშირებში შესვლის შემთხვევები ე.წ. სწავლის თეორიის გამოყენებით გააანალიზა და დაასკვნა, რომ ეს ქვეყნები კავშირებს იყენებენ საკუთარ ადრინდელ გამოცდილებაზე, ადრინდელი ქცევის ავკარგიანობის შეფასებაზე დაყრდნობით. დ. რეიტერის აზრით, ამგვარი რამ იმიტომ ხდება, რომ პატარა ქვეყნების პოლიტიკოსებს გაურკვევლობის პირობებში რთული გადაწყვეტილებებისა და არჩევანის გაკეთება, პირველ ყოვლისა, დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე უხდებათ. თუ გამოცდილება პოზიტიური იყო, მას იყენებენ, ხოლო თუ არა, მაშინ ახალ გზებს ეძებენ. სწავლის თეორია ამ შემთხვევაში, თავის მხრივ, ეყრდნობა გადაწყვეტილებათა მიღების ანალიზის ორ სფეროს:სოციალურ ფსიქოლოგიას და ორგანიზაციის თეორიას.[219]

დ. რეიტერის მიერ შემჩნეული თავისებურების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პატარა ქვეყნები კავშირებში შესვლისას არა მხოლოდ ძალთა წონასწორობის მექანიზმიდან გამომდინარე ლოგიკით, არამედ უფრო მეტად საკუთარ გამოცდილებისა და წარმოდგენების თანახმად მოქმედებენ. დ. რეიტერის აღნიშნულ დასკვნას ჯერაც გაბატონებულ რეალიზმის თეორიაში გარკვეული კორექტივი შეაქვს.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, პატარა, სუსტი ქვეყნები ზოგჯერ სხვა, უფრო ძლიერ ქვეყანას საკუთარი შინაური აშლილობის, არასტაბილურობისა და მმართველი რეჟიმის გადარჩენის სურვილის გამო უკავშირდებიან და ძალთა წონასწორობის პრინციპს ნაკლებად იყენებენ.[220] *სტივენ დეივიდის* აზრით, განვითარებადი ქვეყნების „საგარეოპოლიტიკურ ქცევას" ყველაზე მეტად განსაზღვრავს ამ ქვეყნების ლიდერთა შეხედულება იმის თაობაზე, თუ რომელი სხვა სახელმწიფო გამოადგებოდა ყველაზე

218 Dan Reiter. Learning, Realism and Alliances: The Weight of the Shadow of the Past. In Small States in International Relations. Edited by Christine Ingebritsen, Iver Naumann, Sieglinde Gstöhl, and Jessica Beyer. Univeristy of Washington Press, Seattle, 2006, pp. 231-272

219 იქვე . . ., p. 232

220 იხ.:Stephen R. David. "Explaining Third World Alignment", *World Politics*, N43, January 1991, pp. 233-256; Deborah Welsh Larson. "Bandwagoning Images in American Foreign Policy: Myth or Reality?" In: Robert Jervis and Jack Snyder (Eds.). *Dominoes and Bandwagons: Strategic Beliefs and Great Power Competition in the Eurasian Rimland*, Oxford University Press, New York, 1991

მეტად საკუთარი რეჟიმის შესანარჩუნებლად.[221] გასაგებია, რომ ამ მიზანს ხელისუფლების შენარჩუნების მოსურნე ლიდერები სახელმწიფოს ინტერესების ხარჯზე აღწევენ.

ხსენებული ავტორების მიერ გაზიარებული მოსაზრების თანახმად, პატარა ქვეყნები მიტმასნების გზას მაშინ ირჩევენ, როცა ქვეყნის შიგნით არამყარი, სისუსტის მდგომარეობა ექმნებათ. თუ შიდა სისუსტის გამო პატარა ქვეყანა ან თავის მტერს უნდა მიეტმასნოს, ან ამ მტრის ძლიერ მეტოქეს, განსაცდელში ჩავარდნილი პატარა, სუსტი ქვეყნის საფრთხეში მყოფი ელიტა თუ რეჟიმი კავშირს იმ ქვეყანასთან ეძებს, რომელიც, მისი წარმოდგენით, ხელისუფლებას შეუნარჩუნებს.

თუ პატარა, სუსტი ქვეყნის შიგნით საკმარისი სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობის უქონლობით, ეთნიკური თუ სოციალური დაპირისპირებით, მწვავე სოციალური პრობლემების გამო ვითარება უკიდურესად გართულდა, ქვეყნის ხელმძღვანელობა ტერიტორიული მთლიანობის თუ საკუთარი რეჟიმის გადარჩენის მიზნით ისეთი მოკავშირის გამონახვას შეეცდება, რომელიც ამ მიზნის მიღწევისათვის გამოადგება. ამგვარი მოკავშირისაგან მიღებული დახმარება თუ ხელშეწყობა შეიძლება საფინანსო და ეკონომიკური, სამხედრო თუ პოლიტიკური დახმარების, იდეოლოგიური სოლიდარობის გამოცხადების სახით გამოიხატოს. სუსტი რეჟიმი, როგორც წესი, ქვეყნის შიგნით საზოგადოების ერთ რომელიმე არცთუ ისე მრავალრიცხოვან ჯგუფს ეყრდნობა. რეჟიმი გადარჩენის მიზნით სწორედ მას მოუხმობს, მაგრამ აღნიშნული ჯგუფი ქვეყნის რესურსების უფრო დიდ „წილს" მოითხოვს. რადგან სუსტი ქვეყნის მმართველ რეჟიმს ამ ერთადერთი პოლიტიკური დასაყრდენის დაკარგვა არ სურს, იგი იძულებულია დამატებითი რესურსები ქვეყნის გარეთ მოიძიოს.

ყოფილ კოლონიაში გაზრდილი და მომზადებული პოსტ-კოლონიური ქვეყნების ლიდერები დახმარების იმედით სწორედ ხსენებულ მეტროპოლიას მიმართავენ.

ქვეყნის შიგნით შექმნილი მწვავე პრობლემების გამო ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდნილი პატარა, სუსტი ქვეყნის ხელმძღვანელობა, როცა მიზნად არა საკუთარი რეჟიმის, არამედ ნამდვილად ქვეყნის გადარჩენას ისახავს, დამატებითი ძალის „სესხებას," გარედან დახმარების მიღებას ზუსტად ისევე ცდი-

221 David, Stephen, R., Explaining Third World Alignment. *World Politics*, Vol. 43, N 2, January 1991, pp. 235.

ლობს და უფრო ხშირად იძულებული ხდება, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, „უმცირესი ბოროტების“ არჩევის გზით იმოქმედოს.

ზოგჯერ იქმნება ისეთი ვითარება, როცა ქვეყნის ერთიანობის ან არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგე ჯგუფი დამხმარეს, მოკავშირეს ქვეყნის გარეთ ეძებს (ან თავად გარეშე ძალა იყენებს ხსენებულ ჯგუფს!). ამ შემთხვევაში პატარა, სუსტი ქვეყნის მიერ მოკავშირეთა მოძიება შეიძლება კიდევ უფრო რთული ამოცანა გახდეს, რადგან გამორიცხული არ არის, ძირგამომთხრელ გარეშე ძალასთან დაპირისპირება, შესაძლოა, არავინ ისურვოს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ რაიმე „რეცეპტი“ არ არსებობს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პატარა, სუსტი ქვეყნის ხელმძღვანელობას ურთულესი პოლიტიკური და დიპლომატიური ამოცანების გადაწყვეტა ესაჭიროება; და, პირველ ყოვლისა, ეს ძლიერი და სანდო მოკავშირის მოძიებაა.

საყურადღებოა, რომ პატარა და შინაგანად სუსტი ქვეყნის ძლიერ ქვეყანასთან დაპირისპირებისას ეს უკანასკნელი უფრო ხშირად დაუფარავ მუქარას, დაწოლას და შანტაჟს კი არ მიმართავს, არამედ სუსტი ქვეყნის შიგნით დასაყრდენს — უკმაყოფილოებსა და გამყიდველებს — ეძებს და მათი საშუალებით ცდილობს საკუთარი მიზნების მიღწევას. საკმარისი სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობის უქონლობის, გარკვეული შიდა გათიშულობის პირობებში, ძლიერი ქვეყნის დაწოლა, მუქარა, შანტაჟი თუ აგრესია პატარა, სუსტ ქვეყანას შიგნიდან აძლიერებს, კრავს და მის საზოგადოებას დამრაზმავ გამაერთიანებელ საერთო მიზანს უქმნის. ამ დროს პატარა, სუსტმა ქვეყანამ ძლიერ მეტოქეს, შესაძლოა, მოულოდნელად ეფექტური წინააღმდეგობა გაუწიოს.[222]

შიდა ერთიანობის უქონლობით, აშლილობითა და სუსტი სახელმწიფოებრიობით გამორჩეული პატარა ქვეყნები გარედან „დაწოლას“, შანტაჟს ნაკლებად უძლებენ და იძულებულნი ხდებიან პოზიციები დათმონ ან იმ ძლიერ ქვეყანას მიეტმასნონ, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინიათ.

სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, სუსტი, პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკა და სხვა, უფრო ძლიერ სახელმწიფოებთან მათი კავშირი ხშირად პირველთა შიდა პოლიტიკური ვითარების ხასიათითა და დინამიკით აიხსნება. ხშირად არ მართლდება

---

222 ამის შესახებ იხ.:Andrew Mack, "Why Do Big States Lose Small Wars?" *World Politics*, January 1975. pp. 175-200

რეალიზმის ის შეხედულება, თითქოს პატარა, სუსტი ქვეყნების ხელმძღვანელობა ყველაზე მეტად საგარეო საფრთხის განეიტრალებაზე ზრუნავს. სინამდვილეში ამგვარი ქვეყნების ხელმძღვანელობისათვის შიდა სისუსტე და მისგან მომდინარე საფრთხე უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე გარედან მომდინარე საშიშროება. ყველა ქვეყნის ხელმძღვანელობას, მმართველ ელიტასა თუ პოლიტიკურ ლიდერს მოწინააღმდეგენი შინა ჰყავს და ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით ამ მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად ან შესასუსტებლად ზოგჯერ საგარეო პოლიტიკის გამოყენება უწევს.[223] ის ხელმძღვანელობა და ის ლიდერები, რომლებიც ყველაზე დიდ სიძნელეებს საშინაო პოლიტიკაში აწყდებიან, დიდ დაწოლას განიცდიან და მხოლოდ საკუთარი ძალებით ვერ ახერხებენ ახალ-ახალი სიძნელეების და გამოწვევების უვნებელყოფას, ყველაზე ხშირად საშინაო საფრთხის გასანეიტრალებლად საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტებს, პირველ ყოვლისა, უფრო ძლიერ ქვეყანასთან კავშირს მიმართავენ. ამგვარად, ქვეყნის შიდა პოლიტიკური ვითარება, ხელმძღვანელობის თუ ლიდერის შესაძლებლობები და სოციალური პოზიცია ძალიან დიდ გავლენას ახდენს პატარა, სუსტი სახელმწიფოს მმართველი რეჟიმების თუ პოლიტიკური ლიდერების მიერ არჩეული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიაზე.

ქვეყნის შიგნით ძალაუფლებისათვის ბრძოლას და ამით გამოწვეულ საგარეო პოლიტიკურ ამა თუ იმ *„ქცევას“*, პირველ ყოვლისა, განსაზღვრავს ქვეყნის ორი მახასიათებელი: სახელმწიფოს პოლიტიკური შესაძლებლობები, უნარი და ქვეყნის მოსახლეობის სოციალური ერთიანობა.[224]

პირველი გულისხმობს მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნების უნარს, ეკონომიკური განვითარებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას. სახელმწიფოს პოლიტიკური უნარიანობა აგრეთვე გულისხმობს ეფექტურ მთავრობას, რომელსაც ძალუძს არა მხოლოდ მატერიალური და ადამიანის რესურსების მობილი-

---

223 იხ.:Bruce Bueno De Mesquita and Randolph Siverson. "War and the Survival of Political Leaders: A Comparative Study of Regime Types and Political Accountability", *American Political Science Review*, Vol. 89, N4, December 1995, pp. 843-844; Kalevi J. Holsti, *The State, War and the State of War*, Cambridge University Press, New York, 1996. p. 104

224 იხ.:Joel S. Migdal. *Strong Societies and Weak States: State-Society Relations and State Capacities in the Third World*. Princeton University Press. Princeton. 1988; Robert Jackson. *Plural Societies and New States: A Conceptual Analysis*. Institute of International Studies, University of California. Berkeley. 1972

ზება, არამედ რესურსების გადანაწილებისას შესაძლო კონფლიქ-ტის თავიდან ასარიდებლად საზოგადოებაზე ეფექტური კონ-ტროლის გატარება. სუსტი მთავრობა კი, ჩვეულებრივ, ერთ-ერთ მეტოქე ჯგუფს წარმოადგენს და ხშირად არის კორუმპირებული, არაეფექტური და ზოგჯერ არალეგიტიმურიც კი. ქვეყანა იმართე-ბა სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით. მათი ეფექტურობის შეფასების საფუძველზე შეიძლება სახელმწიფოს პოლიტიკური შესაძლებლობების, უნარის შეფასება.

მოსახლეობის სოციალური ერთიანობა გულისხმობს სა-ზოგადოების უნარს შეუნარჩუნოს თავის წევრებს, როგორც მო-ქალაქეებს, ერთიანობა საერთო მიზნის (მიზნების) მისაღწევად იმგვარად, რომ არ მოხდეს თანამშრომლობის უნარს მოკლებულ მეტოქე ჯგუფებად და კლანებად მისი დაშლა და გახლეჩა. თუ სახელმწიფოში არ არსებობს მოსახლეობის სოციალური ერთიანო-ბა, მაშინ თანაარსებობა შეუძლებელი ხდება და საზოგადოების სხ-ვადასხვა ჯგუფები ქვეყნის რესურსებზე კონტროლისათვის იწყე-ბენ ბრძოლას. ამგვარი ბრძოლა ანტაგონისტურია, საზოგადოება-ში აღარ არის ურთიერთნდობა და ამგვარი ვითარების ლოგიკური შედეგი შეიძლება შეიარაღებული კონფლიქტი გახდეს.

ორივე ხსენებული მახასიათებელი (სახელმწიფოს პოლიტი-კური უნარი და ქვეყნის მოსახლეობის სოციალური ერთიანობა) შეგვიძლია განვმარტოთ როგორც სახელმწიფოს *სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობა*. ის ქვეყნები, რომლებშიც ამგვარი ერთიანობა სათუოა, შიდა სოციალური უწესრიგობის და კონ-ფლიქტის ასპარეზი ხდება და მათ ხელმძღვანელობას საგარეო საფრთხეებზე უფრო მეტად საშინაო საფრთხეთა უვნებელყო-ფაზე უხდება ზრუნვა. ეს კი ზოგჯერ საგარეო პოლიტიკური ინ-სტრუმენტების გამოყენებას, კერძოდ კი უფრო ძლიერ ქვეყნებთ-ან (ზოგიერთი მათგანი გუშინდელი ან ამჟამინდელი მეტოქე და მტერიც შეიძლება იყოს!) კავშირის დამყარებას და ამ გზით სა-კუთარი ხელისუფლების შენარჩუნებას და ქვეყანაში შიდა სტაბი-ლურობის აღდგენას ნიშნავს.

ასიმეტრიული კავშირები. მოკავშირეთა შორის ურთიერთუნ-დობლობა უძველესი დროიდან მომდინარე პრობლემაა. ძლიერი და სუსტი მოკავშირის ურთიერთობა თავის მხრივ მეტად საყურადღებო პრობლემაა. ექსპერტების აზრით, ურთიერთნდობა მოკავშირეთა შო-რის მაშინ ღრმავდება, როცა მათ მიერ აღქმული საერთო საფრთხე

დიდია, როცა მოკავშირეებს უსაფრთხოებისა და სხვა ინტერესები გამოკვეთილი საერთო საფრთხის გავლენით უყალიბდებათ.

როდესაც პატარა ქვეყანა ძლიერს უკავშირდება, ბუნებრივია, ასიმეტრიული დამოკიდებულება შეიქმნას და ინტერესთა კონფლიქტიც სავსებით მოსალოდნელი და ლოგიკურია.

კავშირის ფუნქციონირება და შენარჩუნება მოკავშირეთა შორის კონსულტაციების ხასიათსა და ურთიერთნდობის გაღრმავებაზე არის დამოკიდებული. თეორიულად, ყოველი მოკავშირე მეორე მოკავშირისგან (ან სხვა მოკავშირეებისგან) იღებს ინფორმაციას და კონსულტაციას იმ „მოცულობით", რაც მას უშუალოდ „ეხება". ძლიერი მოკავშირისაგან სუსტი პარტნიორი იმ მოცულობის ინფორმაციას უნდა ელოდეს, რაც მისი ძალის ან მოცემული პრობლემის გადაჭრაში მისი სავარაუდებელი წვლილის შესატყვისია. პატარა, სუსტი ქვეყანა მტკივნეულად განიცდის იმას, რომ ძლიერი მოკავშირე არასაკმარისად „უხსნის კარტს" და ნაკლებად აგებინებს საკუთარ გეგმებსა და ქმედებებს.

პატარა ქვეყნის ამგვარ „ეჭვიანობას" და უკმაყოფილებას გარკვეული საფუძველი მოეპოვება. მართალია, პატარა ქვეყნების წვლილი კავშირის საერთო ძლიერებაში, როგორც წესი, დიდი არ არის, მაგრამ კავშირის ეფექტურობის თვალსაზრისით მათი ძალისხმევა და წვლილი, შეფარდებითად შეიძლება საკმაოდ დიდი იყოს და მთელი ძალების მობილიზაციას მოითხოვდეს. ამასთანავე, როგორც წესი, პატარა ქვეყანა უფრო მეტად რისკავს. ბუნებრივია, პატარა ქვეყანას კავშირის გამოყენებით აღქმული საფრთხეების განეიტრალების, უფრო ძლიერი მოკავშირის (ან მოკავშირეების) მაქსიმალური დახმარების და გულწრფელი თანამშრომლობის იმედი უნდა ჰქონდეს.

დიდი და პატარა ქვეყანა კავშირში ერთსა და იმავეს – უსაფრთხოებას – ეძიებენ. ამავე დროს დიდი და პატარა ქვეყნების ინტერესები ამ მიმართებით, ჩვეულებრივ, სხვადასხვა სიმძაფრისა და ხასიათისაა.

ვინ ვის ირჩევს მოკავშირედ? რანაირი, რა ხასიათის კავშირი უნდა შეიქმნას? საუკეთესო მოკავშირის შერჩევა, საუკეთესო კავშირის შექმნა და კავშირის საკუთარი ინტერესებისათვის მისი ოპტიმალური გამოყენება ალბათ პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა. პატარა ქვეყნისათვის კი ხსენებული ამოცანა შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვანიც იყოს.

ძლიერი წევრი, როგორც წესი, ასიმეტრიულ კავშირში

მონაწილეობით ბევრს „იმკის“. თუმცა ზოგჯერ სუსტი მოკავშირე (პატარა ქვეყანა) გარკვეული მიზეზების (რესურსები, სტრატეგიული მდებარეობა და სხვა) გამო შეიძლება მასზე ძლიერი მოკავშირისათვის ძალზე ღირებული იყოს. ამგვარი კავშირის მაგალითად *ჰ. მორგენთაუს* მიაჩნია ამერიკის შეერთებული შტატებისა და ისლანდიის მეტად მჭიდრო ურთიერთობები ცივი ომის პერიოდში, როდესაც ისლანდია ამერიკის სტრატეგიული ავიაციისათვის მეტად მნიშვნელოვან „აეროდრომად“ (კეფლავიკის ბაზა) იქცა.[225] იგივე შეიძლება ითქვას კუბის მნიშვნელობაზე საბჭოთა კავშირისათვის ცივი ომის პერიოდში.

ნებისმიერი ქვეყანა, დიდი თუ პატარა, ძლიერი, „მდიდარი“ მოკავშირის მოძიებას ცდილობს. ამასთანავე მას არ უნდა გააჩნდეს ისეთი ინტერესები, რომლებიც მოკავშირეებს დახმარებას შეუზღუდავს, და ამის გამო კავშირს შეასუსტებს. თუ მოკავშირეებს საერთო იდეოლოგია აქვთ, მით უკეთესი, მაგრამ უმთავრესია მოკავშირეებს საერთო ინტერესები ჰქონდეთ. ამ შემთხვევაში, იდეოლოგიური განსხვავებები მეორე პლანზე გადაიწევს.

ასიმეტრიული კავშირი „უნაყოფობის“ დიდ შესაძლებლობას შეიცავს. ძლიერი ქვეყანა პატარისაგან დიდ დახმარებას არ ელის. გარდა ამისა, ზოგჯერ პატარა ქვეყანას თავისი ძლიერი მოკავშირე შეუძლია ისეთ კონფლიქტში ჩაითრიოს, რომელიც მის გეგმებში სულაც არ შედის. პატარა ქვეყანა, რომელიც ძლიერ ქვეყანასთან კავშირით საფრთხის თავიდან აცილებას ცდილობს, სინამდვილეში შეიძლება უსაფრთხოების მოპოვების ნაცვლად ამ დიდ ქვეყანას დაექვემდებაროს, მისი სატელიტი გახდეს (მით უმეტეს, ძლიერი ქვეყანა თუ მისი მეზობელია). მართალია, ძლიერი მეზობელი-მოკავშირე სამხედრო თვალსაზრისით შეიძლება მომგებიანი იყოს (პატარა ქვეყანა ამით თავს უფრო უსაფრთხოდ იგრძნობს), მაგრამ, პოლიტიკური თვალსაზრისით, გამორიცხული არ არის ეს სახიფათოც აღმოჩნდეს – ძლიერ მეზობელზე დაქვემდებარების ან მისი მხრიდან სულაც ინტერვენციის რეალური საფრთხე შექმნას.

რ. როთსტაინის აზრით, დიდ ქვეყანასთან (ან ქვეყნებთან) კავშირმა პატარა ქვეყანას, ზოგჯერ შეიძლება ვერაფერი სიკეთე მოუტანოს, რადგან იგი უსუსტეს რგოლად და მტრის შემოტევის პირველ ობიექტად რჩება[226].

---

225 Hans J. Morgenthau, *Politics Among Nations*, Fourth Edition. Alfred A. Knopf, New York, 1967, p. 179.

226 R.L.Rothstein, *Alliances and Small Powers*, Columbia University Press, New

ხშირად კავშირები ძლიერი ქვეყნების დაწოლისა და შანტაჟის შედეგად და არა მონაწილეთა სურვილით იქმნება. ამ მხრივ საყურადღებოა სსრკ-სა და ბალტიის ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულებები, რომლებიც ჰიტლერისა და სტალინის გარიგებისა („მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი", 1939 წ.) და პოლონეთის გაყოფის შემდეგ დაიდო და, ფაქტობრივად, თავსმოხვეული და კაბალური იყო[227]. მსგავსი ხასიათისა იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სსრკ-სა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის დადებული 300-ზე მეტი ხელშეკრულება, პროტოკოლი და სხვ. საბოლოოდ, ხსენებული „ასიმეტრიული მოკავშირეობა" ვარშავის პაქტის შექმნით დასრულდა, რომელშიც საბჭოთა კავშირმა სუსტი სატელიტები ძალით შეიყვანა. სწორედ ამგვარ კავშირებს უწოდებენ „კატისა და თაგვების" ან „ალ კაპონეს" ტიპის კავშირებს.

პატარა ქვეყანა კავშირში შესვლით შეიძლება დიდი ქვეყნის დაქვემდებარებაში აღმოჩნდეს, მაგრამ იმის ბევრი მაგალითიც არსებობს, როცა პატარა ქვეყნები საკუთარ ტერიტორიაზე ძლიერი მოკავშირის შეიარაღებული ძალების დატოვებას ცდილობენ, რადგან მათი წასვლის შემდეგ თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობენ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამგვარი ვითარება შეიქმნა სამხრეთ კორეაში, ტაივანზე, დასავლეთ ევროპის ბევრ პატარა ქვეყანაში. სამხრეთ კორეაში და ტაივანზე დღესაც მსგავსი ვითარებაა. დამოუკიდებელი სომხეთის სურვილი – შეინარჩუნოს საკუთარ ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზები – ამგვარი პოლიტიკის მაგალითია.

ყურადღებას იმსახურებს დიდი ქვეყნის – ძლიერი მოკავშირის თვალით დანახული „ასიმეტრიული კავშირების" არახელსაყრელი ასპექტები. პატარა, სუსტი ქვეყანა, ჩვეულებრივ, ძლიერის მაქსიმალურად გამოყენებას ცდილობს. ზოგჯერ საქმე შესაძლოა იქამდეც კი მივიდეს, რომ პატარა ქვეყანამ ძლიერი მოკავშირე შეიძლება მისი ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებაზე დაიყოლიოს და კონფლიქტშიც კი ჩაითრიოს.

პატარა ქვეყანა, ძლიერ მოკავშირეზე გავლენის მოხდენის მიზნით, მასთან ფორმალური თავდაცვითი, სამხედრო ხელშეკრულების დადებას უნდა ცდილობდეს. პატარა ქვეყანა უნდა ეცადოს, რომ ამგვარ ხელშეკრულებაში ნათლად და კონკრეტულად იყოს განსაზ-

---

York and London. 1968. p.62

227იხ. Albert N. Tarulis. *Soviet Policy Toward the Baltic States 1918-1940.* Notre Dame University Press, South Bend, Indiana.1959

ღვრული, მოკავშირე (ან მოკავშირეები) რა შემთხვევაში აღმოუჩენს მას სამხედრო დახმარებას. ამგვარი ხელშეკრულების მიღწევა პატარა ქვეყნის მოხერხებულ ფანდად შეიძლება მივიჩნიოთ.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაზე ფორმალური და ნათლად ჩამოყალიბებული სამხედრო ხელშეკრულებაც არ იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ პატარა ქვეყანას ძლიერი მოკავშირე თავისი სამხედრო საშუალებებით დაიცავს. ამიტომ პატარა ქვეყნის დიპლომატია ფორმალური თუ არაფორმალური დაპირებების „სანდოობის გაზრდის" მიმართულებით დღენიადაგ უნდა იღვწოდეს. ზოგჯერ პატარა ქვეყნები გარკვეულ „ილეთებსაც" კი იყენებენ ძლიერი მოკავშირის კიდევ უფრო „დასაბმელად". იმისათვის, რათა საბჭოთა რაკეტების კუბაში განლაგებით თავი უსაფრთხოდ ეგრძნო, ფიდელ კასტრომ დიდი დაწოლა განახორციელა კრემლზე, რომელიც ადრე „თავისუფლების კუნძულის" დაცვის პირობას იძლეოდა. კასტრომ იმდენს მიაღწია, რომ საბჭოთა ბალისტიკური რაკეტები კუბაში განლაგდა (ცხადია, ამის წინააღმდეგი არც საბჭოთა კავშირი ყოფილა). ამან, როგორც ვიცით, 1962 წელს ცნობილი „კუბის სარაკეტო კრიზისი" გამოიწვია. მაშინ კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომის რეალური ხიფათის წინაშე აღმოჩნდა.

პატარა ქვეყანას კიდევ ერთი საშუალება მოეპოვება, რომელიც ძლიერი მოკავშირე ქვეყნის საზოგადოებრივი აზრის „დამუშავებასა" და მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვებაში მდგომარეობს. პატარა ქვეყანაში შეღწევის, მისი საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების შესაძლებლობა თითქოს სწორედ ძლიერ ქვეყანას უნდა მოეპოვებოდეს და არა – პირიქით, მაგრამ პატარა ქვეყნები ამ მხრივ ზოგჯერ საკმაო „ოსტატობას" იჩენენ და თავიანთ მიზანს აღწევენ კიდეც[228]. *მაიკლ ჰანდელი* პატარა ქვეყნების ამგვარ ილეთებს „სუსტის იარაღად" ნათლავს[229].

ცივი ომის პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა ასიმეტრიული კავშირების თავისებურებები. ორივე სუპერძალა (აშშ და სსრკ) მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნებს წარმოადგენდნენ და, ფაქტობრივად სამხედრო დახ-

228 Robert O. Keohane, "Lilliputians' Dilemma: Small States in International Politics". *International Organization*, 26, 1969, p.306; Robert O. Keohane, "The Big Influence of Small Allies", *Foreign Policy*, Spring 1971, N2, pp.161-183

229 Michael Handel, *Weak States in the International System*, Frank Cass, London, 1990, p.124

მარებას არ საჭიროებდნენ, მაინც დღენიადაგ მოკავშირეთა ძიებაში იყვნენ. ამის მიზეზი გავლენის სფეროების გაფართოება და იდეოლოგიური ინტერესები იყო. ცივმა ომმა გვიჩვენა, რომ მოკავშირის ყოლას ბირთვულ ეპოქაშიც კი, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ამავე დროს, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების სხდომებზე და ფორუმებზე ამა თუ იმ რეზოლუციისათვის ხმის მიცემისას ორივე სუპერძალა მეტოქეზე მეტი ხმის დაგროვებას ცდილობდა და ამით სურდა არა მხოლოდ თავისი გაეტანა, არამედ თავისი უპირატესობაც წარმოეჩინა.

ძლიერი ქვეყნის მოკავშირედ ყოფნა პატარა ქვეყნისათვის, რა თქმა უნდა, ბევრი სიკეთის მომტანია, მაგრამ, როგორც ვნახეთ, ამგვარ კავშირს უარყოფითი, ზოგჯერ კი ძალიან სახიფათო მხარეებიცა აქვს.

სუსტ მოკავშირეს, ანუ პატარა ქვეყანას „მოვლა-პატრონობა" (მფარველობა და დაცვა) ესაჭიროება. ზოგჯერ ძლიერი ქვეყანა სუსტ ქვეყანასთან კავშირის შეკვრას კონფლიქტის პერიოდშიც კი ერიდება, რადგან ამგვარი კავშირისაგან უფრო მეტ უხერხულობასა და უარყოფით შედეგს მოელის. ამ მხრივ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საყურადღებოა ესპანეთისა და გერმანიის ურთიერთობები. გავრცელებულია შეხედულება, თითქოს ჰიტლერი ესპანელი დიქტატორის ფრანკოს მოკავშირედ გახდომას და ესპანეთთან კავშირით თავისი სამხედრო ბანაკის გაძლიერებას ცდილობდა. ბევრს დღესაც ჰგონია, რომ ფრანკომ სიბრძნე გამოიჩინა, „დაუძვრა" ჰიტლერს და თავის ქვეყანას ომი აარიდა. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ცნობილი გახდა, რომ სინამდვილეში ფრანკო თურმე გერმანიის მხარეზე ომში ჩაბმას ცდილობდა, მაგრამ ამის სანაცვლოდ გერმანიას აფრიკული კოლონიების დასაბრუნებლად დახმარების გაწევას სთხოვდა. ჰიტლერს ესპანეთი, როგორც მოკავშირე, ბევრს არაფერს მატებდა, სამაგიეროდ დამატებითი პრობლემები ექმნებოდა და ამიტომ ფრანკოს მოკავშირეობაზე უარი განაცხადა[230].

პატარა ქვეყანას შეუძლია ძლიერი მოკავშირე კონფრონტაციასა და კონფლიქტში ჩაითრიოს. ცივი ომის პერიოდში ამგვარი ტენდენცია შეინიშნებოდა როგორც აშშ-ის, ისე სსრკ-ის ბანაკშიც. „კუბის ურჩობამ" სსრკ და აშშ კიდევ უფრო დააპირისპირა. კუბაში

---

230 Raymond Carr. "A Seemingly Ordinary Man", *The New York Review of Books*, Vol.XLI, N19. Nov. 17,1994. p.16; Paul Preston. *Franco*. Basic Books, New York. 1994

საბჭოთა რაკეტების განლაგებით გამოწვეული კრიზისის შემდეგაც კასტრო ურჩობდა და საბჭოთა ხელმძღვანელობას დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რათა იგი გაეროს მიერ ინსპექტირებაზე დაეთანხმებინა. იყო სხვა მსგავსი შემთხვევებიც.

პოლიტიკური, სტრატეგიული პრობლემების გარდა, პატარა ქვეყანასთან კავშირი ძლიერ ქვეყანას ხშირად ეკონომიკურ პრობლემებსაც უქმნის. სუსტ მოკავშირეს ხშირად „შენახვა" ესაჭიროება. გავიხსენოთ, რამდენი ინვესტიცია ჩადო აშშ-მა მისი სუსტი მოკავშირეების ეკონომიკაში. თუ აშშ-ს ამ მხრივ შედარებით გაუმართლა, საბჭოთა კავშირს საპირისპირო მოუვიდა; თავისი სუსტი მოკავშირეების ეკონომიკაში ინვესტირება მხოლოდ არაეფექტური კი არა, თავად საბჭოთა კავშირისთვის აღმოჩნდა გამჩანაგებელი. ათობით აფრიკული ქვეყანა, რომლებმაც საბჭოთა კავშირის მეცადინეობითა და დახმარებით ე.წ. „სოციალისტური განვითარების" გზა „აირჩიეს", უმეტესწილად ღარიბ-ღატაკ დიქტატურებად იქცნენ. გავიხსენოთ იმავე კუბისათვის გაწეული უზარმაზარი დახმარება, რომელმაც საბჭოთა კავშირს, ფაქტობრივად, არაფერი მოუტანა[231]. იგივე შეიძლება ითქვას აშშ-ის მიერ სამხრეთ ვიეტნამისათვის გაწეულ უზარმაზარ დახმარებაზეც, რომელიც, ფაქტობრივად, ამ ქვეყნის არაეფექტურ, კორუმპირებულ რეჟიმს მოხმარდა და არა მხოლოდ უნაყოფო აღმოჩნდა, არამედ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უაღრესად არასასიამოვნო შედეგებით დასრულდა.

კავშირის შიდა სიმტკიცისა და სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით სუსტი მოკავშირის საშინაო საქმეებში ჩარევა ურთულეს პრობლემად იქცევა ხოლმე. ზოგჯერ, მოკავშირე ქვეყნის შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში ძლიერი მოკავშირის და მთლიანად კავშირისათვის მიუღებელი მოვლენები ვითარდება; ამ დროს ძლიერი მოკავშირე იძულებული ხდება ჩაერიოს უფრო სუსტის საშინაო საქმეებში. კიდევ კარგი, თუ ეს მხოლოდ ეკონომიკური დახმარება ან პროპაგანდაა. მაგრამ ზოგჯერ პოლიტიკური მანიპულირება, თვით სამხედრო ინტერვენციაც კი ხდება საჭირო. ამას კი შედეგად უკმაყოფილება და მთელი მსოფლიოს მასშტაბით სახელის გატეხვა მოჰყვება. 1953 წელს ამგვარი რამ დაემართა საბჭოთა კავშირს გდრ-ში, 1956 წელს – უნგრეთში და 1968 წელს – ჩეხოსლოვაკიაში. სამხედრო ინტერვენციით მუქარა და შანტაჟი

231 Peter J. Fliess. *International Relations in the Bipolar World*. Random House, New York, 1968, p.104

საბჭოთა კავშირმა პოლონეთისა და იუგოსლავიის მიმართაც გამოიყენა. ამ მოვლენებმა მას მთელ მსოფლიოში დიდად გაუტეხა სახელი.

აშშ ამ მხრივ უფრო შედეგიანად მოქმედებდა და მოკავშირე ქვეყნებში რთული ვითარების შექმნისას სამხედრო ინტერვენციისაგან თავის არიდებას ახერხებდა. თუმცა მასაც მოუხდა ზოგიერთი უხეირო მოკავშირე რეჟიმისათვის დახმარების გაწევა (მაგალითად, სამხრეთ ვიეტნამში).

პატარა, სუსტი მოკავშირეების მიერ შექმნილი ბევრი პრობლემის მიუხედავად, ძლიერი ქვეყნები მაინც ცდილობენ რაც შეიძლება მეტი მოკავშირის მოძიებას (ეს ხდება როგორც მშვიდობიან, ისე დაძაბულ და კონფლიქტურ პერიოდში). ამგვარი ტენდენცია განსაკუთრებით ცივი ომის პერიოდში გამოიკვეთა.

ცივმა ომმა დაგვანახა, რომ ბიპოლარულ საერთაშორისო სისტემას უფრო მყარი და ხანგრძლივი კავშირები ახასიათებს, მულტიპოლარულთან შედარებით, რომ ორივე დაპირისპირებული ბლოკი ასიმეტრიულ, ჰეგემონურ კავშირს წარმოადგენდა, მომცრო ქვეყნები თავიანთი ბლოკის ლიდერზე ძლიერ იყვნენ დაქვემდებარებულნი, ან მის უზარმაზარ დაწოლას განიცდიდნენ. ცივი ომის ეპოქაში ერთი ბლოკიდან მეორეში „გადასვლა" ძალიან იშვიათი იყო, სამხედრო კავშირები საკმაოდ მყარი აღმოჩნდა.

სამხედრო კავშირები. სამხედრო კავშირების შესახებ საერთაშორისო ურთიერთობებში ჩამოყალიბდა შეხედულებათა სამი სისტემა, რომლებიც სამი განსხვავებული სკოლიდან მომდინარეობენ. ესენია:რეალიზმი, პლურალიზმი/ლიბერალიზმი და ინტერნალიზმი. თითოეული მათგანი სამხედრო კავშირებს განსხვავებულად აფასებს, თუმცა ერთი რამ არანაირ დავას არ იწვევს:იმისათვის, რომ ალიანსს წარმატებული მომავალი ჰქონდეს, აუცილებელია იგი მონაწილეობის „თავისუფალ არჩევანს" ეფუძნებოდეს.

რეალიზმი, როგორც ცნობილია, საერთაშორისო ურთიერთობათა ცენტრში სუვერენულ სახელმწიფოს აყენებს (სწორედ იგია საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის მთავარი კომპონენტი). რეალიზმის მიხედვით, სახელმწიფოს ძირითადად საფრთხის როგორც მოქმედი, ისე აღქმული წყაროებისაგან საკუთარი ინტერესებისა და ტერიტორიის უსაფრთხოების დაცვა აფიქრებს. საერთაშორისო სისტემას კი ანარქიულზე მეტად იერარქიული ეთქმის, ვინაიდან არ არსებობს სახელმწიფოზე მაღლა მდგომი

პოლიტიკური ძალაუფლება – მსოფლიო მთავრობა. სახელმწიფოთა ინტერესები ხშირად ისე განიხილება, როგორც კონფლიქტური და, შესაბამისად, თითოეული ქვეყანა სულ უფრო მეტი ძალისა და გავლენის მოპოვებას ესწრაფვის.

კლასიკური რეალიზმის ხედვის თანახმად, საკუთარი ფასეულობებისა და ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით სახელმწიფომ შეიძლება სხვა ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობა დაამყაროს. ამგვარმა თანამშრომლობამ შეიძლება სხვადასხვა ფორმები მიიღოს – არაფორმალური და დროებითი დაჯგუფებიდან დაწყებული და ფორმალური, ხელშეკრულებაზე დაფუძნებული გაერთიანებით დამთავრებული. რა სახისაც არ უნდა იყოს ამგვარი თანამშრომლობა, ან რითაც არ უნდა იყოს იგი მოტივირებული, მიზანი ყოველთვის ერთია – სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესების ისეთი მაქსიმალური უზრუნველყოფა, რომელსაც ისინი დამოუკიდებლად ვერ მიაღწევდნენ.

ნებისმიერი ქვეყანა, რომელსაც აუცილებლობის შემთხვევაში საკუთარი ინტერესების სამხედრო ძალით დაცვა ან საერთაშორისო სისტემის სხვა წევრებთან შედარებით რაიმე მნიშვნელოვანი ძალის მოპოვება არ ძალუძს, დახმარებას უნდა ეძებდეს. ამასთან, თუ ორ სახელმწიფოს საერთო საფრთხე ემუქრება, მაშინ ადვილი შესაძლებელია, რომ სამხედრო დახმარების აუცილებლობა სამხედრო ალიანსში გადაიზარდოს. იგი, როგორც წესი, ხელშეკრულებაზე იქნება დაფუძნებული, თუმცა ისტორიას ახსოვს ისეთი არაფორმალური (უხელშეკრულებო) კავშირებიც, როგორიც საიდუმლო ალიანსებია.

ლოგიკური იქნებოდა გვეფიქრა, რომ საერთო საფრთხის გაქრობასთან ერთად ალიანსიც დაიშლება, თუმცა სინამდვილეში ხშირად/ზოგჯერ ასე არ ხდება. ამის მაგალითია ცვალებად რეალობასთან ადაპტირების გზაზე მდგარი ნატო. რეალიზმის მიხედვით, სახელმწიფოთა უსაფრთხოების დაცვასთან ერთად მნიშვნელოვანია აგრეთვე ისეთი ღირებულებებისა და იდეების ხელშეუხებლობაზე ზრუნვა, როგორიც ქვეყნის სუვერენიტეტი და უცხო სახელმწიფოს საქმეებში ჩაურევლობის პრინციპია. მაგალითად, ერთი რომელიმე ქვეყნის (თუნდაც ალიანსის გარეთ მყოფის) მიმართ განხორციელებული აგრესია არა მარტო აგრესორის მსხვერპლს, არამედ საერთაშორისო სისტემის სტაბილურობასაც ემუქრება. ამგვარად, აგრესიის საპასუხოდ ჩამოყალიბებული სამხედრო კავშირი უბრალო თავდაცვითი ხასიათის ერთობიდან

სუვერენიტეტისა და სხვის საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების დაცვის გარანტად შეიძლება იქცეს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პოლიტიკის დინამიკის უფრო ღრმა ახსნის ძიებაში რეალიზმი სცილდება *კლასიკური რეალიზმის* ჩარჩოებს. ეს არის *ნეორეალიზმი* ანუ *სტრუქტურული რეალიზმი*, რომლის ძირითადი მიზანია რეალისტთა დაკვირვებების საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი თეორიის ჩამოყალიბება, რომელიც უფრო პოზიტიური ხასიათის იქნება, ვიდრე ნორმატიული (ე.ი. იგი სამყაროს ისეთს წარმოგვიდგენს, როგორადაც ჩვენ მას აღვიქვამთ და არა ისე, როგორის ხილვაც ჩვენ გვსურს).

საერთაშორისო სისტემა იმგვარადაა ორგანიზებული, რომ ძალის ნებისმიერი აკუმულირება ავტომატურად იწვევს დამაბალანსებელი ინსტრუმენტების შექმნას სახელმწიფოთა სხვა ჯგუფების მხრიდან, რომლებიც მუდმივად ცდილობენ სისტემაში წარმოქმნილი უთანასწორობების ნეიტრალიზებას. ამდენად, სამხედრო ალიანსი შემთხვევითი მოვლენა როდია; ასე ვთქვათ, იგი საერთაშორისო სისტემის „ძრავას" ფუნქციას ასრულებს (სისტემის დაბალანსების, ძალთა წონასწორობის შექმნისა თუ აღდგენის მიმართულებით).

სამხედრო ალიანსების ხანგრძლივობის საკითხთან დაკავშირებით *კლასიკურ* და *სტრუქტურულ რეალიზმს* შორის მნიშვნელოვანი სხვაობა არსებობს. საგარეო საფრთხის (ე.ნ. *თუკიდიდესეული „შიშის"*) გაქრობის შემთხვევაში სტრუქტურული რეალიზმი სამხედრო კავშირის მომავალს ძალზე პესიმისტურად აფასებს. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ნატოს მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება სწორედ სტრუქტურული რეალიზმიდან მომდინარეობს; „ცივი ომის" დასრულებამ არა მარტო საფრთხე გააქრო, არამედ ძალთა ბიპოლარული ბალანსი დაირღვა და შესაბამისად უსაფრთხოების სფეროში ტრანსატლანტიკურ თანამშრომლობას რაციონალური საფუძველი გამოეცალა. აქედან გამომდინარე, სტრუქტურული რეალიზმის ზოგიერთი წარმომადგენელი დაასკვნის, რომ ადრე თუ გვიან ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის გაქრობა გარდაუვალია. მხოლოდ საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხე ნატოს უზარმაზარი სამხედრო მანქანის არსებობისათვის გასამართლებელი მიზეზი ვერ იქნება.

რეალისტები კიდევ ერთ მოსაზრებას ავითარებენ. მათი აზრით,

სახელმწიფოები კავშირებში არა მარტო *ძალის* საპირისპიროდ ერთიანდებიან, არამედ *საფრთხის* საწინააღმდეგოდაც. ზოგიერთი მეცნიერი ორი ცნებიდან – *„ძალთა წონასწორობა“* და *„საფრთხეთა წონასწორობა“* - მეორეს ამჯობინებს. როდესაც სახელმწიფო განიხილება, როგორც პოტენციური აგრესორი, ამ ქვეყნის არა მარტო ზრახვები უნდა იქნეს შესწავლილი, არამედ მისი შესაძლებლობებიც უნდა შეფასდეს. რეალისტთა აზრით, საფრთხის წინააღმდეგ მიმართულმა ალიანსმა შეიძლება ორი ფორმა მიიღოს:*გაწონასწორება* ან *„მიტმასნა“ (bandwagoning)*. ბალანსირება არსებული საფრთხის გამო სახელმწიფოთა სამხედრო კავშირში შესვლას გულისხმობს, *„მიტმასნა“* კი საფრთხის უშუალო წყაროსთან კავშირში შესვლაა. ბევრი მიმომხილველი მიიჩნევს, რომ „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ საერთაშორისო სისტემაში თავს იჩენს მრავალი უთანასწორობა, აგრესიის საფრთხე და აგრესიის აშკარა გამოვლინებაც კი, რომელსაც სახელმწიფოები სამხედრო კავშირის ზემოაღნიშნული ორი ფორმიდან ერთ-ერთის გამოყენებით დაუპირისპირდებიან.

პლურალიზმის მიხედვით, საერთაშორისო სისტემა მისი წევრი სახელმწიფოების აქტიურობათა უბრალო არითმეტიკულ ჯამს აღემატება. არასახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ისეთივე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, როგორც სახელმწიფოები. იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებზეც, რომლებსაც ფუნქციონირებისთვის სულაც არ სჭირდებათ წევრი ქვეყნების მუდმივი თანხმობის ძიება. პლურალიზმის მიხედვით, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, სატრანსპორტო კავშირები, მასობრივი ინფორმაციისა და სატელეკომუნიკაციო საშუალებები და საერთაშორისო სამართლის მუდმივცვალებადი სისტემა ძირს უთხრის რეალისტთა წარმოდგენას, თითქოს საერთაშორისო სისტემა „სუვერენული, თვითკმაყოფაზე მყოფი კუნძულების არქიპელაგი“ იყოს. საერთაშორისო სისტემაში ალიანსებისა და სხვადასხვა დაჯგუფებების ჩამოყალიბების პროცესის მამოძრავებელ ძალად შეიძლება იქცეს არა მხოლოდ სახელმწიფოები, არამედ ბიზნესი, ადამიანის უფლებების დამცველი და ჰუმანიტარული ორგანიზაციები და თვით ცალკეული პიროვნებანიც კი. პლურალიზმის წარმომადგენელთა აზრით, საერთაშორისო სისტემის რეფორმის აუცილებელ წინაპირობას მისი მრავალფეროვნებისა და რთული ხასიათის გათვითცნობიერება წარმოადგენს.

მათივე შეხედულების თანახმად, მცდარია სუვერენული სახელმწიფოების ისე განხილვა, თითქოს ისინი მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მზრუნველი წარმონაქმნები იყვნენ. რეალიზმი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნავს. პლურალიზმის მიხედვით კი, ამგვარი მკვეთრი საზღვრის გავლება არ არის მართებული. სახელმწიფოები შედგება ეროვნული, ეთნიკური, კულტურული და ისტორიული ჯგუფებისაგან, რომლებიც არა მარტო ერთი რომელიმე ქვეყნის საზღვრებში, არამედ დედამიწის სხვადასხვა ნაწილებში არსებულ ანალოგიურ ჯგუფებთან ურთიერთქმედებენ. ალიანსების (მათ შორის – სამხედრო კავშირების) შექმნისას სახელმწიფოთა ქმედებები და ურთიერთობები არა მარტო ძალისა და უსაფრთხოების გაზრდის მოსაზრებებითაა განპირობებული, არამედ ასევე კულტურისა და ფასეულობების სფეროში არსებულ უპირატესობებსაც ითვალისწინებს. 350-წლიანი „ვესტფალიის მოდელი", რომელიც რეალისტთა ორ უმთავრეს პრინციპს – სახელმწიფოს სუვერენიტეტის უზენაესობასა და სხვის საქმეებში ჩაურევლობას – ეფუძნებოდა, დღეისათვის სერიოზულ წინააღმდეგობებს აწყდება. როგორც პლურალიზმისა და ლიბერალიზმის წარმომადგენლები აღნიშნავენ, თავად ტერმინ „ვესტფალიის მოდელი" (იგი სახელმწიფოებს შორის ჰარმონიული ურთიერთობების ოქროს ხანას გულისხმობს) შეცდომის მიზეზი ხდება. სინამდვილეში ვესტფალიის ზავიდან (1648წ.) მოყოლებული დღემდე საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოთა სუვერენიტეტი ხშირად შელახულა, რაზეც თავად სისტემა მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვის მოსაზრებით არცთუ იშვიათად „თვალს ხუჭავდა." უფრო მეტიც, სახელმწიფოების საარსებო გარემო, სწრაფად იცვლება. ამ ტრანსფორმაციის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი კი ეკონომიკის, კულტურისა და ტელეკომუნიკაციების სფეროებში მიმდინარე *„გლობალიზაციის"* პროცესია.

პლურალიზმის წარმომადგენლების აზრით, სუვერენული სახელმწიფოების სისტემა ორმხრივ ზეწოლას განიცდის („ზემოდან" და „ქვემოდან" ზეწოლას). ზემოდან სახელმწიფოთა სუვერენიტეტს ორი „რევოლუცია" ემუქრება. ჯერ ერთი, ურთიერთდამოკიდებულებისა და გლობალიზაციის განვითარება სახელმწიფოთა „ოპერატიულ" ანუ ეფექტურ სუვერენიტეტს ამცირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოთა ფუნქციების სულ უფრო დიდი ნაწილი სახელმწიფო კონტროლის ჩარჩოებს გაცილებულ

მსოფლიო კაპიტალისტურ ეკონომიკას გადაეცემა. მეორე მხრივ, ნორმატიული რევოლუცია *სუვერენიტეტის ეროზიას* ახდენს და ზღუდავს სახელმწიფოების იმ უფლებებს, რომლებსაც ისინი ადრე ქვეყნის შიგნით თავისუფლად იყენებდნენ (ასეთ სფეროს განეკუთვნება ადამიანის უფლებების დაცვა). ზეწოლას „ქვემოდან" რაც შეეხება, იგი გამოიხატება უსუსური, გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოების სიმრავლით, რომელთა სუვერენიტეტზე პრეტენზიები საფუძველს მოკლებულია. სამწუხაროდ, დღეს არსებული პატარა ქვეყნების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამგვარია.

საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევრები ყურადღებას კიდევ ერთ პრობლემაზე ამახვილებენ. კერძოდ, „ცივი ომის" შემდგომი ხანის საერთაშორისო სისტემა არა მარტო სახელმწიფოთა შორის, არამედ ქვეყნების შიგნით არსებული დაძაბულობების, კრიზისული სიტუაციებისა და კონფლიქტების მოწმე გახდა. ერთ-ერთი გავრცელებული მოსაზრების თანახმად, „ცივმა ომმა" შექმნა გლობალური ჰეგემონური ჩარჩო, რომელმაც სტაბილურობა დაამყარა დაძაბულ რეგიონებში, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კონტროლირებადი კონფლიქტის დამკვიდრებით კონფრონტაციის მთავარ წყაროებში დაძაბულობის შემცირება უზრუნველყო. „ცივი ომის" დასასრულთან ერთად ეს ჩარჩო გაქრა, რამაც მთელ მსოფლიოში მრავალ ფარულ „ეთნიკურ" კონფლიქტს დაუდო სათავე.

საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტთა აზრით, „ცივი ომის" შემდგომ კონფლიქტებში ძლიერი ქვეყნების მონაწილეობა შინაარსს იცვლის. კერძოდ, კონფლიქტში ჩართული ერთი რომელიმე მხარის აქტიური მხარდაჭერა კონფლიქტის შეკავებისა და ლოკალიზების მცდელობებით იცვლება. ძნელი სათქმელია, რამდენად არის შესაძლებელი საფრთხის ამგვარ წყაროებთან ბრძოლის მიზნით ტრადიციულ, საერთო საფრთხის წინააღმდეგ მიმართულ პრინციპებზე დაყრდნობით ალიანსის ჩამოყალიბება. ამის გამო შექმნილ რეალობას უფრო შეეფერება რამდენადმე მოქნილი სტრუქტურის მქონე სამხედრო კავშირი, რომელიც არასტაბილურობასთან საბრძოლველად და არა რომელიმე კონკრეტული მტრის წინააღმდეგ არის ჩამოყალიბებული.

პლურალიზმის მიხედვით, საერთაშორისო სისტემა ვითარდება და სულ უფრო სცილდება ე.წ. *„ვესტფალიის მოდელს"*, რომლის ცენტრშიც სახელმწიფო იმყოფებოდა. პლურალიზმის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ალიანსების (მათ

შორის, სამხედრო კავშირების) შექმნა სულაც არ არის განპირობული მხოლოდ სუვერენული სახელმწიფოს, მისი ტერიტორიისა და ინტერესების დაცვის სურვილით. პოზიტიური, პროგრესული განზომილება შეიძლება სამხედრო ალიანსსაც ჰქონდეს – იგი შეიძლება იყოს ისტორიული, კულტურული და იდეოლოგიური გამოცდილებისა და ფასეულობების გაზიარების საფუძველზე შექმნილი ერთობა; თუმცა პლურალიზმის კრიტიკოსები თავდაცვითი ხასიათის სამხედრო კავშირის შესაძლებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ იმ შემთხვევაში, თუ ალიანსი საფრთხის რაიმე არსებული წყაროს წინააღმდეგ არაა შექმნილი. ე. ი. მათი აზრით, სამხედრო კავშირის არსებობისათვის აუცილებელია საფრთხის გარკვეული წყაროს არსებობა. ალიანსის არსებობის სხვა განმსაზღვრელებს (იდეოლოგიური, კულტურული და სხვ.) რაც შეეხება, ძალზე ძნელია, იპოვო ისეთი დამაჯერებელი იდეოლოგიური ფაქტორი, რომელიც თავდაცვითი ხასიათის მქონე სამხედრო კავშირში შესვლას ყველასათვის სასურველ მიზნად გადააქცევდა.

„ცივი ომის" დასასრული ლიბერალური დემოკრატიის ტრიუმფად განიხილება. თუმცა ეს „ტრიუმფი" სერიოზულ დებატებს იწვევს. ასე მაგალითად, თუ ლიბერალური დემოკრატიის საყოველთაო გამარჯვება საგარეო საფრთხის წყაროებს მოსპობს, ამან შეიძლება ძალზე ნეგატიური გავლენა იქონიოს ქვეყნებისა და ერების შიდა შეკავშირებულობაზე და სახელმწიფო დაასუსტოს.

სამხედრო კავშირების საკითხთან დაკავშირებით არსებობს შეხედულებები, რომელიც არსებულ მდგომარეობასა და მოვლენების განვითარებას საკუთრივ ალიანსის პერსპექტივიდან განიხილავს. ე.წ. *გადაწყვეტილების მიღების თეორია* საეჭვოდ ხდის მოსაზრებას, რომ გადაწყვეტილებები (მაგალითად, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში) რაციონალურად მოქმედი და პროგნოზირებადი, მონოლითური და იერარქიულად ორგანიზებული მთავრობების მიერ მიიღება. *ინტერნალიზმის* წარმომადგენელთა აზრით, მთავრობები ვერტიკალურად იყოფა სხვადასხვა ელემენტებად (დეპარტამენტებად), რომლებიც კონკრეტულ პრობლემასა თუ კრიზისულ ვითარებას თავისებურად შეიძლება მიუდგნენ. ამ პროცესის საბოლოო შედეგი —- გადაწყვეტილება ან პოლიტიკა —- ამ ელემენტებსა და მათ განსხვავებულ მიდგომებს შორის კომპრომისის მიღწევის შედეგია. თეორიაში ამგვარ მოვლენას *ორგანიზაციული პროცესის მოდელს* უწოდებენ. გადაწყვეტილების მიღების თეორიას კიდევ ერთი, ადამიანური ელემენ-

ტი შემოაქვს. მთავრობები და მათზე დაქვემდებარებული ორგანიზაციები ცალკეული პიროვნებებისა თუ ადამიანთა ჯგუფებისაგან შედგება, რომლებსაც საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ. ამ შემთხვევაშიც მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებს შორის კომპრომისის შედეგია. ამრიგად, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენას ახდენს მთავრობის ვერტიკალური და ჰორიზონტალური (ე. ი. დეპარტამენტებად და ადამიანთა ჯგუფებად) დაყოფა.

ამ თეორიის საფუძველზე შეიძლება აიხსნას აგრეთვე სამხედრო ალიანსების არსებობის ფენომენი განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კავშირს რაიმე მკვეთრად გამოხატული საფრთხე არ ემუქრება (მაგ., „ცივი ომის" შემდგომი ნატო). სწორედ თავის გადარჩენის ძლიერმა ორგანიზაციულმა „ინსტინქტმა" შეასრულა გადამწყვეტი როლი „ცივი ომის" შემდგომ ნატოს არსებობაში.

საერთაშორისო ინსტიტუტების თეორიის მიხედვით, საერთაშორისო ორგანიზაცია მისი წევრების ხელში ინსტრუმენტი უფროა, ვიდრე დამოუკიდებელი აქტორი. ამდენად, უფრო მართებული იქნებოდა გვესაუბრა არა ორგანიზაციის *გადარჩენაზე*, არამედ მისი *გამოყენების შესაძლებლობაზე*. ამ თვალსაზრისით, ნატო მისი წევრების მიერ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სახელმწიფოებრივ თუ არასახელმწიფოებრივ წარმონაქმნებთან კავშირების დასამყარებლად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც მოკავშირეთა ქცევის კონტროლის საშუალება, „შიდა"[232] მიზნებისთვისაც.

ამრიგად, ჩვენ სამხედრო ალიანსების მომავალთან დაკავშირებით სამი სკოლის წარმომადგენელთა მოსაზრებები განვიხილეთ. არც ერთი მათგანი არ იძლევა გარკვეულ პასუხს, თუ რა ბედი ელის ამგვარ კავშირებს. რეალიზმს საფრთხის წყაროს გარეშე დარჩენილი ალიანსის გადარჩენაში ეჭვი ეპარება. კლასიკური რეალიზმი შედარებით ოპტიმისტურია. მისი მიმდევრების აზრით, სამხედრო ალიანსი შეიძლება გადარჩეს, თუ წევრი სახელმწიფოები მისი არსებობიდან სარგებელს ნახავენ. სტრუქტურული რეალიზმის მიხედვით, ნაკლებად სავარაუდოა, პოსტბიპოლარულმა სამხედრო კავშირებმა ძალთა წონასწორობაში და მსოფლიო წესრიგში ცვლილებებს გაუძლონ. პლურალიზმი სცილდება სახელმწიფო ინტერესების, ძალისა და მათთვის საფრთხის

232 ამ შემთხვევაში ტერმინი „შიდა" გულისხმობს არა შიდასახელმწიფოებრივ, არამედ შიდაორგანიზაციულ გარემოს.

შემქმნელი წყაროების ჩარჩოებს. ამ სკოლის წარმომადგენელთა აზრით, სამხედრო ალიანსის არსებობისთვის საჭირო საგარეო საფრთხე თუ გაქრა, ამ შემთხვევაში მივიღებთ ე.წ. „რბილი“ უსაფრთხოების გარემოს, რომელიც სამხედრო კავშირის შენარჩუნებისთვის შეიძლება არასაკმარისი აღმოჩნდეს.

სამხედრო კავშირის ძირითადი ფუნქცია წევრი ქვეყნების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალიანსები უმეტეს შემთხვევაში საგარეო საფრთხის საპასუხოდ იქმნება. როგორც კი საფრთხის წყარო ქრება, სამხედრო კავშირის წევრი სახელმწიფოები თავს უსაფრთხოდ გრძნობენ, რამაც შეიძლება ალიანსის დაშლა გამოიწვიოს. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნები საფრთხის ნაკლები სიმწვავის წყაროებთან გამკლავების, ან მომავალი საფრთხეებისაგან თავის დაზღვევის მიზნით უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შენარჩუნებას ისურვებენ, შესაძლებელია სამხედრო კავშირმა არსებობა გააგრძელოს (შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეცვლილი ფორმით).

„ცივი ომის“ დროს ტერიტორიის დაცვა სამხედრო კავშირების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი იყო. ამ საბაბითა და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად ხდებოდა ჯარების განლაგება მოკავშირე ქვეყნის მიწაზე. უკანასკნელ წლებში კი უცხოეთში მუდმივად განლაგებული ჯარის რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. მაგალითისათვის, გაუქმდა აშშ-ის სამხედრო ბაზები ფილიპინებზე, ხოლო გერმანიასა და დიდ ბრიტანეთში ისინი საგრძნობლად შემცირდა. გაუქმდა უცხოეთში განლაგებული რამდენიმე რუსული სამხედრო ბაზაც, ხოლო რაც დარჩა, მათი პირადი შემადგენლობა და შეიარაღება საგრძნობლად არის „შეთხელებული“. ამ საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების შემცირება, გარემოსდამცველთა წინააღმდეგობები (მაგ., გერმანიაში), ანტიამერიკული პროტესტები (მაგ., ოკინავა), „მიმღები“ ქვეყნის უარყოფითი დამოკიდებულება (მაგ., საქართველო რუსეთის ბაზების წინააღმდეგ) და სხვ.

მართალია, ტერიტორიული აგრესიისაგან თავის დაცვა შესაბამის თავდაცვის სამინისტროთა და *სამხედრო სტრატეგიის სპეციალისტთა* უმთავრეს საქმიანობად რჩება, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უახლესი საომარი სტრატეგია უმთავრესად *არატერიტორიული* ხასიათისაა. თუმცა პატარა *ქვეყნისთვის* სამხედრო საფრთხე პირველ ყოვლისა ტერიტორიულია.

სამხედრო ტექნოლოგიების დახვეწა (კერძოდ, ზუსტი, მოქმედების დიდი რადიუსის მქონე რაკეტების არსებობა) სერიოზულ ზეგავლენას ახდენს და სახეს უცვლის სამხედრო ალიანსებს. ამჟამად მოკავშირეთა დასაცავად აუცილებელი აღარ არის მათ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალის განლაგება. მოკავშირის დაცვა ე.წ. დისტანციური და გამაფრთხილებელი ოპერაციების წარმოებით უკვე სავსებით შესაძლებელია.

2.4 საგარეო პოლიტიკური როლები: ბუფერი, ნეიტრალიტეტი, მიუმხრობლობა

დრონი წავლენ და წამოვლენ,
ფერს იცვლის ყველაფერია.
ვაჟა-ფშაველა

ცნობილია, რომ პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა და მათი უსაფრთხოების პრიორიტეტები მათ მოკრძალებულ სამხედრო-პოლიტიკურ „წონას" და შესაძლებლობებს უნდა ემყარებოდეს. საერთაშორისო სარბიელზე პატარა ქვეყნების საქმიანობა, მათი საგარეო პოლიტიკა საკმაოდ სპეციფიკურია და მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს[233].

პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკის თავისებურებების, მათი როლისა და ფუნქციების შესწავლისას ინტერესს იწვევს ის ზოგიერთი ხერხი და მეთოდი, რომელსაც პატარა, სუსტი სახელმწიფოები საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და საერთაშორისო ურთიერთობათა ორომტრიალიდან თავის დასაღწევად იყენებენ. ამ მხრივ ქართველი მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს პატარა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი როლის *(ბუფერი)* და სტატუსის *(ნეიტრალიტეტი)* განხილვა.[234]

---

233 პატარა ქვეყნების შესახებ იხ. *ალექსანდრე რონდელი.* სუსტი ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე. „ქართული დიპლომატია", II, თბილისი, 1995; გვ. 5-24; M. Handel. *Weak States in the International System*, Frank Cass. London. 1990; თორნიკე თურმანიძე. ბუფერული სახელმწიფოები. სამაგისტრო ნაშრომი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2002, ხელნაწერი.

234 ალექსანდრე რონდელი. პატარა ქვეყნის ორი როლი:ბუფერი და ნეიტრალიტეტი. „ქართული დიპლომატია", წელინდეული, 5, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 1998. გვ. 151-165.

ორივე ხსენებული ფენომენი პატარა ქვეყნების „ბიოგრაფიების“ მეტად მნიშვნელოვანი მახასიათებელია და საერთაშორისო ურთიერთობებში დღესაც შესამჩნევ როლს ასრულებს. *მიუმხრობლობა* კი საერთაშორისო პოლიტიკის ნაკლებად გავრცელებული მოვლენაა. იგი „ცივი ომის“ პერიოდის პირმშოდ მიიჩნევა.

ბუფერული სახელმწიფო. *ბუფერული ქვეყანა* საერთაშორისო ურთიერთობებში მეტად საყურადღებო მოვლენაა. მიუხედავად ამისა, იგი, როგორც ფენომენი, საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში არ არის სათანადოდ შესწავლილი.[235] ამ მოვლენის არსისა და თავისებურებების შესწავლა უმთავრესად კონკრეტული სახელმწიფოების, მათი ბუფერული როლისა და ფუნქციების განხილვისას ხდებოდა.

ტრადიციის თანახმად, ბუფერული ორ ან მეტ ძლიერ ქვეყანას შორის მოქცეულ პატარა, სუსტ სახელმწიფოს ეწოდება, რომელსაც აქტიური საგარეო პოლიტიკა არ გააჩნია. *ტ. მატისენის* აზრით, ბუფერული სახელმწიფო არის „პატარა დამოუკიდებელი ქვეყანა, რომელიც ორ უფრო ძლიერ (ჩვეულებრივ მეტოქე) სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ბლოკებს) შორის მდებარეობს“.[236] *მ. უაითის* შეხედულებით, „ბუფერული სახელმწიფო ორ ან მეტ უფრო ძლიერ ქვეყანას შორის მდებარე სუსტი ქვეყანაა, რომელიც არსებობს და შესაძლოა წარმოიქმნა კიდეც მათ შორის კონფლიქტის შესარბილებლად“[237]. აი, კიდევ რამდენიმე განსაზღვრა. ეს ტერმინი „ხშირად იხმარება სუსტი, ზომით პატარა სახელმწიფოს დასახასიათებლად, რომელსაც, შესაძლოა, საკუთარი საგარეო პოლიტიკა არ გააჩნდეს“[238]; „პატარა დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც ორ უფრო მოზრდილ, ჩვეულებრივ, ერთმანეთის მეტოქე სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ბლოკს) შო-

---

235 ბუფერული სახელმწიფოების შესახებ დანვრილებით იხილეთ: თორნიკე თურმანიძე. ბუფერული სახელმწიფოები. ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია. თბილისი, 2006

236 Trygve Mathisen, *The Functions of Small States in the Strategies of the Great Powers*, Universitetsforlaget, Oslo, 1971, p. 107.

237 Martin Wight. *Power Politics*, Edited by H. Bull and C. Holbraad. Leicester University Press, 1995, p. 107.

238 Pitman B. Potter, "Buffer State", In: *Encyclopedia of the Social Sciences*, N.3-4, 1930, p.45

რის მდებარეობს";[239] „დიდ ქვეყნებს შორის მოქცეული პატარა პოლიტიკური ერთეულები";[240] „სისუსტის არეალები, რომლებიც გამოიყენება ძლიერთა არეალების გასამიჯნად და მათ შორის კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობათა შესამცირებლად";[241] ბუფერულ სახელმწიფოს სხვა ავტორებიც დაახლოებით ამდაგვარად განმარტავენ.[242]

ტერმინი „ბუფერი" პოლიტიკური ერთეულის მიმართ პირველად 1876 წელს იქნა გამოყენებული, ხოლო ცნება „ბუფერული სახელმწიფო" – 1883 წელს.[243] ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ბუფერული ტერიტორიის ან ქვეყნის კონცეფცია საერთაშორისო პოლიტიკის პრაქტიკაში ადრე არ არსებობდა. ძველი ეგვიპტის პოლიტიკა საშიშ მეზობლებთან მიმართებაში ბუფერული ტერიტორიების არსებობას ითვალისწინებდა. ძველი რომის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ირანისაგან თავის დასაცავად ბუფერულ ზონად სირიას იყენებდა.[244] ამგვარმა პრაქტიკამ დღემდე მოაღწია.

XX მეოცე საუკუნეში ბევრი ბუფერული სახელმწიფო არსებობდა. ისინი ამჟამადაც არსებობენ. ასეთებია ავღანეთი, ანგოლა, ბელგია, ბუტანი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, პოლონეთი, იუგოსლავია და ბევრი სხვა.[245] თუ რუსეთის (შემდგომში კი საბჭოთა კავშირის) დასავლეთის მიმართულებით გაფართოების მუდმივ მცდელობებს გავიხსენებთ, აშკარა გახდება პოლონეთისა და თურქეთის, როგორც ბუფერული სახელმწიფოების როლი.

---

239 Nicholas J. Spykman. "Frontiers, Security and International Organization", *Geographical Review,* N 32, 1941, p.440

240 Trygve Mathisen. *The Function of Small States in the Strategies of Great Powers,* Scandinavian University Press, Oslo, 1971 p. 107

241 Martin Ira Glassner and Harm J. De Blij, *Systematic Political Geography,* John Wiley and Sons, New York, 1989, p.236

242 *The International Relations Dictionary,* ABC - CLIO, Santa Barbara, Ca., 1988, p.92; M. G. Partem, "The Buffer System in International Relations", *The Journal of Conflict Resolution,* vol. 27, 1983, pp. 3 -26

243 I. Murray and others, eds., *The Oxford English Dictionary,* The Clarendon Press, Oxford, 1933, vol. 1, p.127, 1158

244 Nicholas J. Spykman and Abbie A. Rollins, "Geographic Objectives in Foreign Policy", *The American Political Science Review,* vol. 33, 1939, p. 406

245 ექსპერტთა აზრით, ამ საუკუნეში სულ ცოტა, 32 ქვეყანა ასრულებდა ან ასრულებს ბუფერის როლს. იხ.: Thomas E. Ross, "Buffer States : A Geographer's Perspective", In: John Chay and Thomas E. Ross. (Eds.), *Buffer States in World Politics,* Westview Press, Boulder, 198, PP. 20-21.

რუსეთს პოლონეთის ბუფერული როლი ხელს არ აძლევდა. 1815 წლის ვენის კონგრესზე რუსეთის მიერ პოლონეთზე კონტროლის დაწესების სურვილმა კრიზისი წარმოქმნა. იგივე მოხდა 1945 წელს იალტის კონფერენციაზე, როცა დასავლეთის ქვეყნებმა ვერ შეძლეს პოლონეთის დამოუკიდებლობის დაცვა და, ფაქტობრივად, იგი სტალინს „ჩააბარეს". რუსეთის დაუოკებელ სურვილს დაპატრონებოდა შავი ზღვის სრუტეებს ყოველთვის წინ ხვდებოდა დასავლეთის ქვეყნების ძლიერი წინააღმდეგობა. მთელი XIX საუკუნის მანძილზე დიდი ბრიტანეთი ცდილობდა რუსეთისაგან თურქეთის დამოუკიდებლობის დაცვას და მისი, როგორც ბუფერული სახელმწიფოს, შენარჩუნებას (გავიხსენოთ თუნდაც 1854-56 წწ. ყირიმის ომი). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1946 წელს, საბჭოთა კავშირმა მოინდომა შავი ზღვის სრუტეების დასაკუთრება, მაგრამ ამჯერადაც დასავლეთის, კერძოდ კი აშშ-ის წინააღმდეგობას წააწყდა, რაც ცნობილ „ტრუმენის დოქტრინაში" აისახა (აშშ-მა თურქეთის დამოუკიდებლობა სასიცოცხლო ინტერესად გამოაცხადა).

ბუფერი აგრეთვე შეიძლება იყოს დაპირისპირებულ სახელმწიფოებს, ბლოკებს ან მათი გავლენის სფეროებს შორის განლაგებული რეგიონი ან ზონა, რომლის უპირველესი ფუნქცია დაპირისპირებულთა გამიჯვნა და კონფლიქტის შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანაა. შეიძლება არსებობდეს ბუფერული სისტემა, რომელიც ერთი სახელმწიფოს რომელიმე ნაწილს, სახელმწიფოთა ჯგუფს ან ვრცელ რეგიონს გულისხმობს (მაგ., ცენტრალური ამერიკა, აღმოსავლეთი ევროპის დასავლეთი ნაწილი და სხვ.). ბუფერულ სახელმწიფოს ან ზონას ზოგჯერ *ძალის ვაკუუმს* უწოდებენ.[246] ცნება *ბუფერული სახელმწიფო* ძალაზე დაფუძნებული ძველი პოლიტიკის სამყაროდან მომდინარეობს და ამიტომ ზოგიერთს მიაჩნია, რომ იგი უკვე მოძველდა.

ბუფერული სისტემის, ზონის, სახელმწიფოს განსაზღვრისას სამი ელემენტი ყოველთვის არის წარმოდგენილი: 1. იერარქიული ელემენტი (ანუ შესაძლებლობათა განაწილება ბუფერულ სისტემაში). ბუფერული სახელმწიფოს ძლიერება საგრძნობლად ჩამორჩება მის მეზობლებს; 2. გეოგრაფიული ელემენტი (ბუფერი ჩვეულებრივ მდებარეობს ე.წ „მაბუფერებელ" ძალებს შორის; 3. პოლიტიკური ელემენტი. ბუფერული ქვეყანა (ქვეყნები) საერთა-

246 Martin Wight, *Power Politics*..., p. 160

შორისო სისტემის ჭეშმარიტად[247] სუვერენულ ერთეულად უნდა მოიაზრებოდეს.

ბუფერული ზონისა თუ სახელმწიფოს „თანდაყოლილი", გენეტური თავისებურება ის არის, რომ იგი, როგორც მეზობლების დაპირისპირებული ინტერესების სფერო, მისი მიმზიდველობის გამო კონფლიქტის მიზეზად და კერად შეიძლება იქცეს. ამგვარი რამ არაერთგზის მოხდა ავღანეთში, პოლონეთში. ამ მხრივ გამონაკლისს არც სამხრეთი კავკასია წარმოადგენს.

მეტოქისაგან ბუფერული ქვეყნით გამოყოფილი ყოველი ძლიერი სახელმწიფო ჩვეულებრივ დაინტერესებულია არ დაუშვას მეტოქის მიერ „ბუფერის" გაკონტროლება. შესაძლებლობების კვალობაზე შეეცდება ან ბუფერულ სახელმწიფოს ნეიტრალურობა და სუვერენულობა შეუნარჩუნოს, ან მასზე საკუთარი გავლენა, კონტროლი დაამყაროს, რაც მომავალში სულაც არ გამორიცხავს მის მიერ „ბუფერის" ანექსირებას და საკუთარ სასაზღვრო მხარედ გადაქცევას.

მ. უაითი ბუფერულ სახელმწიფოებს სამ ტიპად აჯგუფებს: *ტრიმერები, ნეიტრალები* და *სატელიტები.*[248] *ტრიმერი* ისეთი ბუფერია, რომელიც თავის ძლიერ მეზობლებზე და ამავე დროს მეტოქეებზე გარკვეული გავლენის მოხდენას, მათ „წაკიდებას", მათ შორის მანევრირებას ახერხებს. *ნეიტრალი* ისეთი სახელმწიფოა, რომელსაც აქტიური საგარეო პოლიტიკა არ გააჩნია. იგი თავისთვის ყოფნას და „შეუმჩნევლად" დარჩენას ცდილობს. *სატელიტი* ისეთი ქვეყანაა, რომელსაც საგარეო პოლიტიკას სხვა სახელმწიფო უკონტროლებს. ტრიმერობიდან ნეიტრალობაზე და შემდეგ სატელიტობაზე გადასვლა მკვეთრი არ არის და მათ შორის აშკარა ზღვარის გავლება ხშირად ძალზე ჭირს. ძალთა წონასწორობის დარღვევამ, ძლიერების იერარქიის რყევამ ერთსა და იმავე ბუფერულ სახელმწიფოს შეიძლება მოკლე ისტორიულ დროში ყველა ხსენებული ტიპის თვისებები

247 ცივი ომის დროს ყოფილი საბჭოთა სატელიტები, ე.წ. „სახალხო დემოკრატიის ქვეყნები" (პოლონეთი, გდრ, ჩეხოსლოვაკია და ა.შ.) არ იყვნენ ბუფერული სახელმწიფოები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ავტორი მათ ბუფერებად აღიქვამს. სინამდვილეში, ისინი საბჭოთა სატელიტებს წარმოადგენდნენ. ზოგან საბჭოთა შეიარაღებული ძალები იყო განლაგებული და მათ საზღვრებზე გადიოდა ე.წ. „სსრკ-ის თავდაცვის პერიმეტრი". ისინი ვარშავის პაქტის წევრები იყვნენ. ამიტომ მათი ბუფერებად აღიარება მართებული არ იქნებოდა.

248 Martin Wight. Power Politics..., p. 160

მიანიჭოს და სამივე როლი შეასრულებინოს. ტრიმერობა არც ისეთი ადვილია. ყველაზე კარგად ეს საკოის საჰერცოგოს გამოსდიოდა. ნეიტრალური ბუფერული სახელმწიფოს კარგ მაგალითად შეიძლება საფრანგეთ-გერმანიისა და საფრანგეთ-იტალიის საზღვრების გაყოლებით განლაგებული პატარა ქვეყნები – შვეიცარია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები და ბელგია – მივიჩნიოთ. რუსეთს ყველაზე მეტად ბუფერული სახელმწიფოები პოლონეთი და თურქეთი აღიზიანებდა. საბჭოთა კავშირმა ბუფერი მონღოლეთი სატელიტად აქცია (ამჟამად მონღოლეთი უფრო ნეიტრალი ბუფერის როლს ასრულებს).

30-იანი წლების მიწურულს ბევრისათვის ნათელი გახდა, რომ გერმანიისა და საბჭოთა კავშირის შეჯახება გარდუვალი იყო. ორივე მხარემ ავადსახსენებელი მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის (1939წ.) ხელმოწერის შემდეგაც კარგად იცოდა, რომ მათ შორის ომი მაინც დაიწყებოდა. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა, ე.წ. „ბუფერული ზონის" გასაფართოებლად, რომელსაც აგრესიის შემთხვევაში გერმანიის დარტყმა[249] უნდა „შეერბილებინა". ამისათვის სტალინმა ჯერ პოლონეთის ერთი მესამედი მიიერთა, შემდეგ ბალტიის ქვეყნები „ჩაყლაპა", რუმინეთს კი ბესარაბია და ბუკოვინის ნაწილი წაართვა. მხოლოდ ფინეთისათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის წართმევა შეიძლება სამხედრო-სტრატეგიული აუცილებლობით იქნეს „გამართლებული", რადგან ამით სსრკ მნიშვნელობით მეორე ქალაქს – ლენინგრადს (იგი სახელმწიფო საზღვრიდან დაახლოებით 30 კმ-ით იყო დაშორებული) უშუალო საფრთხეს ააცილებდა.

ისტორია გვიდასტურებს, რომ განვითარების ზენიტში მყოფი ძლიერი ქვეყნები მეზობელ ბუფერულ სახელმწიფოებს „ყლაპავენ" ან ნაწილებად ჰყოფენ, მაგრამ როცა ისინი თავად სუსტდებიან ან მარცხდებიან, ყოფილი ბუფერული ქვეყნები საკუთარი სუვერენიტეტის აღდგენას ახერხებენ, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამაში

249 ხსენებულ საკითხზე დღეს სხვაგვარი შეხედულებაც არსებობს. ზოგიერთ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ *სტალინი* საბჭოთა გავლენის სფეროს გასაფართოებლად აღმოსავლეთ ევროპაში ღრმა შეჭრით ომის დაწყებას და მთელ ევროპაზე გაბატონებას ესწრაფვოდა. იხ.:R.C. Raack. "Stalin's Role in the Coming of World War 2: The International Debate Goes On", *World Affairs*, Vol.159,N2, Fall,1996; Markus Wehner, "Der Letzte Sowjetmythos", *Frankfurter Allgemeine Zeitung*, 10 April 1996; Виктор Суворов. Ледокол. Издательский дом «Новое время», Москва, 1993; Виктор Суворов. День М. АО «Всё для вас», Москва, 1994.

სხვა ძლიერი სახელმწიფოები არიან დაინტერესებულნი. ამგვარად მოხდა პორტუგალიის, ბელგიის, ავსტრიის, პოლონეთის და სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობის აღდგენა. იგივე შეიძლება ითქვას ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის შესახებაც. არ არსებობს სახელმწიფო, რომელსაც საერთაშორისო სისტემის ძალის იერარქიისაგან თავის დაღწევა შეეძლოს, მაგრამ ძლიერ ქვეყნებს თავიანთ უფრო სუსტ მეზობლებზე გავლენისა და კონტროლის დამყარება შეუძლიათ. პატარა, სუსტ ქვეყნებს უმეტესწილად არჩევანის საშუალებაც არ რჩებათ. საერთაშორისო სისტემაში ძალის ვაკუუმი ვერ იქნება და ბუფერულ სახელმწიფოს მხოლოდ საკუთარი ძალებით თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სამწუხაროდ, არ შეუძლია.

არსებობს მოსაზრება, რომ ცნება „ბუფერული სახელმწიფო" შეიძლება გამოყენებული იქნეს ორი მეტოქის „იდეოლოგიურად" გამმიჯვნელი ან ორ სახელმწიფოს შორის მდებარე, „ეკონომიკური ხიდის" ფუნქციის მქონე ქვეყნის მიმართ.

მართალია, თანამედროვე საერთაშორისო სისტემა ამავე დროს საერთაშორისო საზოგადოებად განიხილება, საგარეო პოლიტიკაში ჯერაც რეალიზმის, ძალის პრინციპები და კატეგორიები დომინირებს. ეროვნული უსაფრთხოების ცნება, მართალია, უფრო მრავალგანზომილებიანი გახდა და მხოლოდ სამხედრო უსაფრთხოებას აღარ გულისხმობს, მაგრამ სუვერენული სახელმწიფოები კვლავაც საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ცდილობენ, რეგიონული თუ მსოფლიო ჰეგემონობისთვის იღვწიან, გავლენის სფეროებს ქმნიან და ერთმანეთთან ომობენ. ამგვარად, „სუსტი მეზობელი", „მორჩილი მეზობელი", „ნეიტრალური მეზობელი" ჯერ კიდევ აქტუალური ცნებებია. ასევე აქტუალურია ცნება „ბუფერული სახელმწიფო", თუმცა დღეისათვის მას ნაკლებად იყენებენ.[250] განვიხილოთ თუნდაც ყოფილი ე. წ. სოციალისტური აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები, რომლებსაც არ სურდათ კვლავ რუსეთის სატელიტებად გადაქცევა. მათ არც ბუფერულ ქვეყნებად ყოფნა ხიბლავდათ და ნატო-ში გაწევრიანებას ლამობდნენ. არც ყოფილი საბჭოთა ბალტიისპირეთის–რესპუბლიკებს უნდოდათ კვლავ ბუფერულ ქვეყნებად დარჩენა. ნატო-ში გაწევრიანება მათთვის

250 საყურადღებოა რუსეთის ზოგიერთი ანალიტიკოსის შეხედულება, რომ დასავლეთი ამიერკავკასიაში „ბუფერული ზონის" შექმნას ცდილობს. განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოს. იხ.:В. Никитин, Внешняя политика Грузии: идеалы и интересы. «Независимая газета», 4 Января, 1996.

ბუფერის როლზე უარის თქმას და უსაფრთხოების გარანტიების მიღებას ნიშნავს. მათ ისტორიულ მეხსიერებაში ბუფერული ფუნქცია (1918-1940 წწ.) უაღრესად მძიმე, ტრაგიკული გამოცდილების სიმბოლოდ რჩება. ამავე დროს ზოგიერთი ქვეყანა (ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა), რომელიც თავისი ძლიერი და „მეტად მოსიყვარულე" მეზობლის კლანჭებიდან თავის დაღწევას ცდილობს, უსაფრთხოების გარანტიების მიღების შემთხვევაში ბუფერული სახელმწიფოს ფუნქციაზე უარს არ იტყოდა. ამასთან მათ არ ავიწყდებათ, რომ ბუფერული ტერიტორია არცთუ ისე იშვიათად შეიძლება ბრძოლის ველად გადაიქცეს.

ამჟამად, როცა საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში ანუ მსოფლიოს ბევრ რეგიონში ძალთა ახალი წონასწორობა ყალიბდება, ბუფერული ფუნქცია და ბუფერული სახელმწიფოს როლი საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთ მოვლენად რჩება. ზოგიერთი სახელმწიფოსათვის ბუფერული ქვეყნის ფუნქცია ცუდს არაფერს მოასნავებს, ზოგიერთისათვის კი გაურკვეველი, ძნელად პროგნოზირებადი ვითარების მომტანია. საკუთარი ინიციატივით ბუფერის როლს ფაქტობრივად, არავინ ირჩევს, სახელმწიფო ბუფერული ხდება გეოგრაფიული და პოლიტიკურ-სტრატეგიული ფაქტორებისა და უძლიერესი სახელმწიფოების პოლიტიკური ნების შედეგად; ბუფერული სახელმწიფო ხომ ყოველთვის შედარებით პატარა და სუსტია.

სახელმწიფოს ბუფერულობას, როგორც ვთქვით, მისი გეოსტრატეგიული მდებარეობა განსაზღვრავს, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია წმინდა გეოგრაფიული ფაქტორებიც. ჯერ კიდევ უძველესი ცივილიზაციები ცდილობდნენ ფიზიკურ-გეოგრაფიული ზღუდეები (მთები, უდაბნოები, ჭაობები და ა.შ.) ერთმანეთისაგან გასამიჯნად გამოეყენებინათ. რთული, არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები ზღუდავდნენ ურთიერთქმედებებს და ამცირებდნენ სამხედრო კონფლიქტების შესაძლებლობას. დღეს, როცა განვითარებული სამხედრო ტექნიკა (თვითმფრინავები, რაკეტები) ბუფერული ტერიტორიების მნიშვნელობას თითქოს უნდა აქარწყლებდეს, სახელმწიფოები, უსაფრთხოების მოთხოვნილებების გამო (სამხედრო მოქმედებები მაინც ძირითადად ტერიტორიის დაკავებას გულისხმობს), ბუფერულ ტერიტორიებს კვლავაც სტრატეგიულ რესურსად მიიჩნევენ. საბოლოოდ, ბუფერული სახელმწიფო ორი ან მეტი ძლიერი სახელმწიფოს სურვილით მათ შორის შექმნილ სტაბილურ „ნეიტრალურ" ზო-

ნას წარმოადგენს. ამგვარი ფუნქციის მქონე სახელმწიფოს სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მის უნარზე ხელი შეუწყოს უფრო ძლიერ მეზობლებს შორის მშვიდობის შენარჩუნებას. ასევე მნიშვნელოვანია მეზობლების სურვილი, შეინარჩუნონ იგი როგორც ბუფერი. თვით ბუფერულ ქვეყანას, როგორც წესი, საკუთარი ძალებით თავის დაცვა არ ძალუძს და მისი, როგორც სახელმწიფოს, გადარჩენა თითქმის მთლიანად უფრო ძლიერი მეზობლების პოლიტიკურ ნებაზე არის დამოკიდებული. ამრიგად, ძლიერ მეზობლებს ხელს უნდა აძლევდეს მათ შორის პატარა, სუსტი სახელმწიფოს არსებობა. ბუფერული სახელმწიფოსათვის კი უაღრესად მნიშვნელოვანია უფრო ძლიერ მეზობლებთან თავისთვის ხელსაყრელი ურთიერთობი დაამყაროს.

დიდი მნიშვნელობა აქვს ბუფერული ქვეყნის ტერიტორიის, რელიეფის ხასიათს. თუ რელიეფი სატრანსპორტო კომუნიკაციებისათვის რთული და არახელსაყრელია, მაშინ ქვეყანას შეუძლია გამმიჯვნელის ფუნქციაც შეასრულოს, მაგრამ თუ მის ტერიტორიას ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, ხოლო რელიეფის ხასიათი მასზე გადაადგილებას ხელს უწყობს, მაშინ იგი შეიძლება შეტევისათვის აგრესორმა გამოიყენოს. პირველი შემთხვევისთვის მაგალითად ავღანეთი გამოდგება; იგი დიდხანს ასრულებდა გამმიჯვნელი ბუფერული სახელმწიფოს ფუნქციას რუსეთსა და დიდი ბრიტანეთის იმპერიას (ინდოეთი) შორის. პოლონეთი კი, პირიქით, გერმანიასა და რუსეთს შორის ადვილად გასავლელი ბუფერი იყო.

სანამ პოლიტიკური განსხვავებები და ომები იარსებებს, ბუფერული ზონებისა და სახელმწიფოების საჭიროებაც არ გაქრება.

ბუფერული ქვეყანა სუვერენული სახელმწიფოა, მაგრამ ყველაზე მეტი ხიფათი სწორედ ამგვარი ფუნქციის მქონე ქვეყნების სუვერენულობას ემუქრება. თუ მის ძლიერ მეზობლებს შორის ურთიერთობები ძალიან დაიძაბა, ბუფერული სახელმწიფო ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდება და მისი, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, არსებობა სათუო გახდება. შესაძლოა ბუფერული სახელმწიფო იძულებული გახდეს ერთ-ერთი ძლიერი მეტოქის მფარველობა აღიაროს და თავის ტერიტორიაზე მისი შეიარაღებული ძალებიც კი მიიღოს; შესაძლოა შეიქმნას ისეთი ვითარება, როცა ბუფერული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას რეალური საფრთხე დაემუქროს და იგი ნაწილ-

ნაწილ დაიშალოს კიდეც. არ არის გამორიცხული საქმე იქამდეც კი მივიდეს, რომ ბუფერული სახელმწიფო ერთ-ერთმა ძლიერმა მეზობელმა მიიერთოს. ასე რომ, ბუფერული ქვეყანა საკმაოდ სპეციფიკური ფუნქციის მქონე სახელმწიფოა; იგი, როგორც სუვერენული სახელმწიფო, ისეთ განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ გარემოში არსებობს, რომელიც მის სუვერენულობას დღენიადაგ საფრთხეს უქმნის.

ბუფერული სახელმწიფოს არასახარბიელო გეოპოლიტიკურ ვითარებას ხშირად კიდევ უფრო ის ართულებს, რომ ძლიერ მეზობლებს მისი საზღვრები სადავოდ მიაჩნიათ; ეს კი ბუფერულ სახელმწიფოს მის წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაში დამატებით პრობლემებს უქმნის. ამ მხრივ საუკეთესო მაგალითია პოლონეთი, რომლის საზღვრებს მისი ძლიერი მეზობლები – რუსეთი, პრუსია (გერმანია) და ავსტრია-უნგრეთი – ისე ცვლიდნენ, როგორც მოესურვებოდათ. თანამედროვე რუსეთი თავის ზოგიერთ ბუფერ-მეზობელთან საზღვრებს ეჭვის თვალით უყურებს და ამ ქვეყნებს საფრთხის შეგრძნებას უქმნის.

ბუფერული სახელმწიფოს როლის შესრულება დიდხანს უხდებოდა გერმანიასა და საფრანგეთს შორის მდებარე ბელგიას, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა დასავლეთი ევროპა ჯერ ეკონომიკური, შემდეგ კი პოლიტიკური ინტეგრაციის გზით განვითარდა, ბელგიას ამგვარი ფუნქციის შესრულება უკვე აღარ უწევს.

ნებისმიერმა ძლიერმა სახელმწიფომ ადრე თუ გვიან უნდა განსაზღვროს თავისი საზღვრები და საკუთარი თავდაცვისა თუ უსაფრთხოების პერიმეტრის საზღვრები. გაფართოებას, ექსპანსიას ყოველთვის გარკვეული ზღვარი აქვს. ძლიერი ქვეყნისთვის ეს რთული პრობლემაა, მისი უფრო პატარა მეზობლებისათვის კი – ყოფნა-არყოფნის საკითხი. ის, თუ სად გაივლის ძლიერი და სუსტი სახელმწიფოების საზღვარი, სუსტი მეზობლისათვის მეტად მტკივნეული პრობლემაა, მაგრამ თავის დაზღვევას ძლიერი მეზობელიც ცდილობს, რადგან გარკვეულ საფრთხეს მოელის სუსტი მეზობლისაგან. საფრთხის შეგრძნება შესაძლოა უსაფუძვლო, გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ ძლიერმა სახელმწიფომ იცის, რომ მისი სუსტი მეზობელი ერთ მშვენიერ დღეს, სხვა სახელმწიფოებთან კავშირით, მას საფრთხეს შეუქმნის; მან შეიძლება თავისი ტერიტორია ძლიერი მეზობლის მეტოქეს „შესთავაზოს“. ამიტომ ძლიერი სახელმწიფოსთვის სუსტი მეზობლის

არსებობაც კი გარკვეულ საფრთხესა და რისკს წარმოადგენს.

ძლიერ სახელმწიფოსა და მის სუსტ მეზობელს შორის ძალის, ძლიერების ასიმეტრიაა, უთანასწორობაა. ამავე დროს ეს უთანასწორობა არ არის მარტივი. იგი რამდენიმე ისეთ ფაქტორს მოიცავს, რომლებიც ამ თითქოსდა უბრალო ასიმეტრიულობას საკმაოდ რთულ შინაარსს ანიჭებენ. *პირველი* ფაქტორი მდგომარეობს ძლიერი სახელმწიფოს მიერ სუსტ მეზობელზე კონტროლის, გავლენის უნარში, მის დონეში. *მეორე* ფაქტორი გულისხმობს ძლიერი მეტოქის „მონაწილეობას", იმავე სუსტ მეზობელზე მის გავლენას და კონტროლის უნარს. თუ ძლიერი მეტოქის „მონაწილეობა" დიდია, მაშინ პირველი ძლიერი მეზობლის კონტროლისა და გავლენის უნარი მცირდება. *მესამე* ფაქტორი სუსტი ქვეყნის მიმზიდველობაში მდგომარეობს. პატარა, სუსტ ქვეყანას შესაძლოა ისეთი რამაც გააჩნდეს, რაც ძლიერი მეზობლისათვის ან მისი მეტოქისათვის იყოს ძალიან მიმზიდველი, სასურველი. ეს შეიძლება იყოს მინერალური რესურსები, პოტენციური სამხედრო ბაზისათვის ხელსაყრელი ადგილი და სხვ. ამგვარი მიმზიდველობა პატარა მეზობლისათვის როგორც დადებით, ასევე უარყოფით მნიშვნელობას შეიძენს. თუ ორივე ძლიერი მეზობლისათვის მათ შორის მდებარე პატარა ქვეყანა თანაბრად მიმზიდველია, მაშინ ურთიერთობაში გარკვეული სიმეტრია მყარდება და „ბუფერის" ეფექტი ძლიერდება[251]. *მეოთხე* ფაქტორი საკუთრივ პატარა სახელმწიფოს შესაძლებლობებია. სამხედრო ძლიერება ერთი ასპექტია, მაგრამ მეორე ძალზე მნიშვნელოვანი ასპექტი ქვეყნის შინაგანი ერთიანობაა. თუ პატარა ქვეყანა შიგნიდან გათიშულია, მასში სოციალური, ეთნიკური თუ სხვა სახის კონფლიქტი ან მისი შესაძლებლობა არსებობს, მისი საგარეო შესაძლებლობები საგრძნობლად მცირდება. *მ. უაითი* შენიშნავს, რომ აუცილებელი არ არის ბუფერული სახელმწიფო უძლური იყოს.[252] პატარა ბუფერული ქვეყანა ძლიერი ხელისუფლებისა და მოსახლეობის საკმარისი შეკავშირების წყალობით, თავის ძლიერ მეზობელს ზოგჯერ აიძულებს უარი თქვას პატარა მეზობლის „ჩაყლაპვაზე", მის „სატელიტიზაციაზე" და მის ბუფერულ როლს დათანხმდეს. ამის მაგალითად გამოდგებოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირის პოზიცია

251 Pierre Renouvin and Jean-Baptiste Duroselle, *Introduction to the History of International Relations,* Frederick A. Praeger. New York, 1967, p. 270

252 M. Wight, *Power Politics....* p. 166

ფინეთის მიმართ. მაშინ საბჭოთა კავშირმა ფინეთი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, არ „ჩაყლაპა" და მას დამოუკიდებელი არსებობის უფლება შეუნარჩუნა (ფინეთი კი საბჭოთა კავშირს გერმანიასთან ერთად ებრძოდა!). 1943 წლის დეკემბერში, როცა თეირანის კონფერენციაზე მოკავშირეთა ლიდერები ფინეთის მომავლის საკითხს განიხილავდნენ, სტალინმა რუზველტს და ჩერჩილს უთხრა:„ქვეყანა, რომელიც ასეთი სიმამაცით იბრძოდა საკუთარი დამოუკიდებლობისათვის, ყურადღების ღირსია."[253] ფინელთა სიმამაცე და სიმტკიცე სტალინმა ომის შემდეგაც რამდენჯერმე გაიხსენა. ფინელი დიპლომატის მაქს იაკობსონის აზრით, სამხედრო ძალის უდიდეს თაყვანისმცემელ სტალინზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა 1939-40 წლების სსრკ-ფინეთის ომში ფინელების ერთიანობამ და სიმამაცემ. სტალინის შეფასებით, ფინელებს ვაჟკაცობის გამოცდა ჩაბარებული ჰქონდათ.[254] როგორც ჩანს, იმ გარემოებამ, რომ ფინეთი (პოლონეთისაგან განსხვავებით!) ევროპის ჩრდილოეთ პერიფერიაზე მდებარეობდა და მასზე სრული კონტროლის დაწესებასთან დაკავშირებულმა ურთულესმა პრობლემებმა სტალინს აფიქრებინა, რომ საბჭოთა კავშირისათვის ფინეთის, როგორც ბუფერის, როლი, მისაღები იყო.

ძალის პოლიტიკისა და გეოპოლიტიკური ინტერესების დომინირების პირობებში პატარა, სუსტი ქვეყანა ხშირად ბუფერის როლს ასრულებდა, მაგრამ თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ პირობებში (სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია და ინტეგრაცია), ბუფერული ფუნქციისათვის „გამზადებულ" პატარა სახელმწიფოს ძლიერმა ქვეყნებმა ამჟამად შესაძლოა სავაჭრო ტრანზიტული გზის, სატრანზიტო „დერეფნის" ფუნქცია დააკისრონ. ასეთ შემთხვევაში ამ ძლიერ სახელმწიფოებს შორის თანხმობა უნდა იყოს. ტრანზიტი მომგებიანია, მას ხშირად პოლიტიკური და სამხედრო მფარველობა და უსაფრთხოებაც ახლავს. ამიტომ შესაძლოა რომელიმე ქვეყანა ან ქვეყნები თავიანთ მოსაზღვრე სუსტ სახელმწიფოებს სატრანზიტო გზის ფუნქციაში ეცილებოდნენ და ამ მომგებიანი ფუნქციის მითვისებას ლამობდნენ (გავიხსენოთ, როგორ ცდილობდა რუსეთი ნავთობსადენი მის ტერიტორიაზე ყო-

---

253 Max Jacobson. "Finland: A Nation that Dwells Alone", *The Washington Quarterly*, Vol. 19, N 4, 1996, p. 41; Max Jakobson. Finland in the New Europe. Praeger, Westport, ct., 1998, p. 47

254 იქვე,..., გვ. 41

ფილიყო გაყვანილი და არა სამხრეთ კავკასიაში).

თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის ძლიერი ეკონომიზაციის პირობებში ყოფილმა ბუფერმა შეიძლება შემაერთებელი რგოლის, ხიდის როლი შეასრულოს. ეს შესაძლებლობა ექმნება პოლონეთს, თუ რუსეთი დემოკრატიული გზით განვითარდება და მისი ეკონომიკა გაძლიერდება.[255] იგივე შეიძლება ითქვას ბალტიისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების შესახებაც.[256] თუ გეოეკონომიკა მთლიანად შეცვლის გეოპოლიტიკას (შესაძლებელია კი ამგვარი რამ?), მაშინ ბუფერული სახელმწიფო საჭირო აღარ იქნება და ყოფილი ბუფერები მართლაც ხიდებად იქცევიან.

ნეიტრალიტეტი. ტერმინი *ნეიტრალიტეტი* ასახავს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს და ამავე დროს იმ სახელმწიფოს სამართლებრივ სტატუსს, რომელიც სხვა სახელმწიფოთა შორის მიმდინარე საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობს.[257] ქვეყნის ნეიტრალიტეტი მაშინ მთავრდება, როცა იგი საომარ მოქმედებაში ჩაებმება, მაგრამ ქვეყანა ნეიტრალურ სტატუსს არ კარგავს, თუ იგი აგრესორისაგან იცავს თავს. ნეიტრალურ სახელმწიფოს გაეროს წესდების შესაბამისად აქვს თავდაცვის უფლება.

ნეიტრალიტეტის ცნებაც და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა ისტორიის მანძილზე იცვლებოდა, ვითარდებოდა და ახალ-ახალ თავისებურებებს იძენდა.[258] უფრო მეტიც, ყველა ნეიტრალურმა სახელმწიფომ ამ ცნებას და მის პრაქტიკულ მხარეს რაღაც საკუთარი, განსაკუთრებული შესძინა. ფინეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ურჰო კეკონენმა ერთხელ შენიშნა, რამდენი ნეიტრალური სახელმწიფოც არის, იმდენი სახის ნეიტრალიტეტი არსებობსო.

---

255 იხ.:Sherman W. Garnet, "Poland: Bulwark or Bridge?" *Foreign Policy*, N 102, Spring 1996, pp. 66-82.

256 საქართველოს ბუფერული ფუნქციის შესახებ იხ.:თორნიკე თურმანიძე. ბუფერული სახელმწიფოები. ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია. თბილისი, 2006, გვ. 27-34; Давид Анрасидзе. Россия и ее соседи: судьба буферной зоны . Pankisi. Info. 23.04.2009

257 *Encyclopedia of Public International Law*, Vol. 4. North-Holland Publishing Company, Amsterdam, 1982, pp. 9-10.

258 ნეიტრალიტეტის შესახებ იხ.:ალექსიძე, ლევან. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998, გვ. 300-301; P.Lyon, *Neutralism*, Leicester University Press, Leicester, 1963; R. Ogley, *The Theory and Practice of Neutrality in the Twentieth Century*, Barnes and Noble, New York. 1970.

როდესაც რომელიმე ქვეყანას ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსის მიღება სურს, იგი ამას არა მხოლოდ საკუთარი სურვილითა და შესაძლებლობით აღწევს, არამედ მასზე უფრო ძლიერი ქვეყნების (პირველ ყოვლისა, რეგიონის წამყვანი ქვეყნების) თანხმობისა და სურვილის საფუძველზე. ნეიტრალიტეტის გარანტიის „თამასუქი", ფაქტობრივად, მათ უნდა გასცენ. 1956 წლის შემოდგომაზე, როდესაც უნგრეთმა ანტიკომუნისტური, ანტისაბჭოთა ამბოხების შემდეგ განაცხადა, რომ ნეიტრალური ქვეყანა უნდა გახდეს, ამ იდეას მხარი არც საბჭოთა კავშირმა დაუჭირა და არც აშშ-მა. უნგრეთი საბჭოთა ბანაკში, მისი გავლენის სფეროში იმყოფებოდა და მისი ნეიტრალიტეტი კი არა, დამოუკიდებლობაც კი სათუო იყო. რამდენიმე კვირაში საბჭოთა ჯარებმა სისხლში ჩაახშეს უნგრეთის დამოუკიდებლობა და ქვეყანაში კვლავ კომუნისტური რეჟიმი აღადგინეს.

ნეიტრალიტეტი პატარა ქვეყნის ეროვნული ინტერესების პირმშოა. იგი, პირველ რიგში „ეგოისტური" ეროვნული ინტერესების შედეგია და სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის პრინციპებს ეფუძნება. დროთა განმავლობაში პოლიტიკაში ეკონომიკური ასპექტების მნიშვნელობის ზრდასთან ერთად ნეიტრალიტეტმაც ძლიერი ეკონომიკური „შეფერილობა" მიიღო და ეს ტენდენცია საერთაშორისო სამართალშიც აისახა.

ერთმანეთისგან განასხვავებენ მუდმივ ნეიტრალიტეტს, კონკრეტული კონფლიქტის მიმართ ნეიტრალიტეტს და ომის დროს ნეიტრალიტეტს[259].

მუდმივი ნეიტრალიტეტი გულისხმობს სხვა სახელმწიფოების მიერ აღიარებულ რომელიმე ქვეყნის განსაკუთრებულ საერთაშორისო სტატუსს, რომელიც გამომდინარეობს მისი ვალდებულებებიდან იყოს მუდმივად ნეიტრალური. ნეიტრალურად გამოცხადებულ სახელმწიფოს უფლება არა აქვს საკუთარი სურვილით უარყოს თავისი სტატუსი. მუდმივი ნეიტრალიტეტი გულისხმობს ნეიტრალური სახელმწიფოს ამგვარ სტატუსს ნებისმიერი სახელმწიფოს და კონფლიქტის მიმართ.

ქვეყანა ნეიტრალური შეიძლება საგანგებო სამართლებრივი აქტის გარეშეც გახდეს. თუ იგი ნეიტრალიტეტს ხანგრძლივი პე-

---

259* იხ.:Gerald Stourzh. *Some Reflections on Permanent Neutrality.In: Small States in International Relations*, edited by August Schou and Arne Olav Brundtland. Almquist and Wiksell, Stockholm.1971. pp. 93-98.

რიოდის მანძილზე იცავდა, ამ ნეიტრალიტეტს სხვა სახელმწიფოთა მიერ შეიძლება დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა მიენიჭოს და ხსენებული ქვეყანა მუდმივად ნეიტრალურ სახელმწიფოდ საგანგებო სამართლებრივი აქტის გარეშეც მიიჩნიონ. ამგვარია, მაგალითად, შვეიცარის ნეიტრალიტეტი. ფინეთიცა და ირლანდიაც ასე არიან მიჩნეულნი ნეიტრალურ ქვეყნებად.

დედამიწაზე ამჟამად მხოლოდ სამ სახელმწიფოს – შვეიცარიას, ავსტრიას და თურქმენეთს[260] აქვს მინიჭებული მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი. მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსზე სახელმწიფოთა უფლება კვლავაც დამოწმებულია 1975 წლის 1 აგვისტოს ჰელსინკის საბოლოო აქტში.

ნეიტრალური სახელმწიფო ვალდებულია არ წამოიწყოს შეიარაღებული კონფლიქტი; 2 დაიცვას თავისი ნეიტრალიტეტი და დამოუკიდებლობა; თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერი იღონოს, რათა არ იქნეს ჩათრეული რაიმე შეიარაღებულ კონფლიქტში და თავი აარიდოს ნებისმიერ ისეთ ქმედებას, რომელსაც კონფლიქტის გამოწვევა შეუძლია. მუდმივად ნეიტრალურ სახელმწიფოს არა აქვს უფლება მიიღოს რაიმე ვალდებულება, რომელიც მის დამოუკიდებლობას პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით შეზღუდავს. მას არ შეუძლია გახდეს რომელიმე ეკონომიკური გაერთიანების თუ საბაჟო კავშირის წევრი.

მუდმივი ნეიტრალიტეტი 4 პასიური საგარეო პოლიტიკის გატარებას არ გულისხმობს. ნეიტრალურ ქვეყანას შეუძლია აქტიურად დაიცვას საკუთარი ინტერესები. მას აგრეთვე აქვს უფლება კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის მედიატორის როლი შეასრულოს.[261] 5

მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსით მის მფლობელ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის გარანტიები 6 ენიჭება. დანარჩენ სახელმწიფოებს კი იმის გარანტიები, რომ ნეიტრალური ქვეყანა მშვიდობიანი და ყველა შესაძლო მომავალი კონფლიქტისაგან განზე მდგომი იქნება. ნეიტრალური სახელმწიფო არ უნდა მოექცეს

---

260 1995 წლის 12 დეკემბერს გაეროს საიუბილეო 50-ე სესიაზე თურქმენეთს მიენიჭა პოზიტიური ნეიტრალიტეტის სტატუსი. ეს ამგვარი სტატუსის მქონე მესამე ქვეყანაა მსოფლიოში და პირველი მუსლიმურ სამყაროში და ცენტრალური აზიის რეგიონში.

261 იხ. მაგალითად, *Finland as a Mediator in the Karabakh Conflict*. UOM. Publications of Ministry of Foreign Affairs, Helsinki, 1997.

სხვა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ და მას არ უნდა დაექვემდებაროს. მისი ტერიტორია არ უნდა გახდეს საომარი მოქმედების ასპარეზი.

მუდმივი ნეიტრალიტეტი, როგორც წესი, პატარა ან საშუალო სიდიდის სახელმწიფოებს გააჩნიათ. ძლიერი სახელმწიფოსათვის ამგვარი სტატუსი სასურველი არ იქნებოდა.

მუდმივი ნეიტრალიტეტი, ჩვეულებრივ, ესადაგება ისეთ სახელმწიფოს, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ პირობებს აკმაყოფილებს. ეს პირობები შემდეგია:

- ნეიტრალური ქვეყანა არ უნდა წარმოადგენდეს სხვა სახელმწიფოს პოლიტიკის მნიშვნელოვან ობიექტს და გეოგრაფიულად „მარგინალურ ზონაში" უნდა მდებარეობდეს;
- უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დაცვა;
- უარი უნდა თქვას ყოველგვარ ექსპანსიონიზმზე;
- მას უნდა ახასიათებდეს შიდა შეკავშირებულობის მაღალი დონე (ქვეყანაში თუ შიდა გათიშულობაა, ადრე თუ გვიან სხვა ქვეყნები მის საქმეებში ჩაერევიან);
- უარი უნდა თქვას ყოველგვარ იდეოლოგიურ საგარეო პოლიტიკაზე[262].

როგორც ვხედავთ, მუდმივი ნეიტრალიტეტი პატარა ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის საუკეთესო გარანტიაა, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი პირობები ყველა პატარა ქვეყანას როდი ესადაგება.

თავისთავად მუდმივი ნეიტრალიტეტი კონფლიქტების შესაძლებლობას ამცირებს და მშვიდობის გავრცელების ფაქტორად გვევლინება.

ნეიტრალიტეტი ხელს უწყობს საერთაშორისო პოლიტიკაში დაძაბულობის შემცირებას. ოთხმა სახელმწიფომ – შვეიცარიამ, ავსტრიამ, ფინეთმა და შვეციამ – საერთაშორისო შეთანხმებებისა და შიდა კანონმდებლობის მეშვეობით თავი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადეს და საერთაშორისო დაძაბულობის შემცირებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. თურქმენეთი მხოლოდ 1995 წლიდან გახდა ნეიტრალური და ამის შედეგებზე საუბარი ჯერ ნაადრევად გვეჩვენება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს 1955 წლის

262 *Encyclopedia of Public International Law*, Vol. 4. North-Holland Publishing Company, Amsterdam, 1982,p. 137

ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ავსტრია მუდმივ ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადდა[263]. „ცივი ომის" ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ ჟამს შუაგულ ევროპაში მდებარე უაღრესად მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ „დერეფანში" მოქცეულმა ავსტრიამ ორივე დაპირისპირებული ბანაკის მცდელობით ნეიტრალური სტატუსი მოიპოვა და ამით ევროპისა და მსოფლიოს უსაფრთხოებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თავიდან ავსტრიის ნეიტრალიტეტის საკითხი უაღრესად რთულ საერთაშორისო პრობლემად იქცა. აშშ-ს ეშინოდა, ავსტრიის ნეიტრალურ სახელმწიფოდ გადაქცევის შემდეგ გერმანიისთვისაც მსგავსი სტატუსის მინიჭებაზე არ დაწყებულიყო საუბარი. ამერიკელთა შიშის საფუძველი ის იყო, რომ სტალინმა განაცხადა, გერმანიის გაერთიანებას დავეთანხმები, თუკი მას ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოაცხადებენო.[264] ავსტრიის მაგალითი გვიდასტურებს, რომ მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსის გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობათა ერთ-ერთ საყურადღებო მექანიზმს წარმოადგენს. ავსტრიის ნეიტრალიტეტის კონცეფციას ავსტრიელი ექსპერტები ისტორიაში უნიკალურად მიიჩნევენ. ჰაინც გერტნერი და ოტმარ ჰოლი აღნიშნავენ, რომ ავსტრიის ნეიტრალიტეტი თავისი ფორმით არ ჰგავს სხვა ქვეყნების ნეიტრალიტეტს. მართალია, აღნიშნავენ ისინი, იგი სამართლებრივი სტრუქტურის თვალსაზრისით შვეიცარიის ანალოგიურია, მაგრამ მისი წარმოშობის მიზეზით (აღმოსავლეთ-დასავლეთის ცივი ომის გამო!") ავსტრიის ნეიტრალიტეტი ყველასაგან განსხვავებულია.[265] ავსტრიის ნეიტრალიტეტის თავისებურებათა შესახებ მეტად საყურადღებო დეტალურ ანალიზს გვთავაზობს პაულ ლუიფი.[266]

---

263 ავსტრიის ნეიტრალიტეტის შესახებ იხ.: Gerald Stourzh, "The Origins of Austrian Neutrality". In: Alan T. Leonard (Ed.), *Neutrality: Changing Concepts and Practices*, University Press of America, Lanham, 1988, pp. 35-57

264 ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად გულწრფელი იყო სტალინი, მაგრამ ამერიკელები შიშობდნენ, რომ მოვლენები ამ გზით შეიძლება განვითარებულიყო

265 Heinz Gärtner. Otomar Höll. "Austria". In Small States and Alliances. Erich Reiter and Heinz Gärtner (eds.). Physica – Verlag. Heidelberg and New York, 2001, p. 184

266 Paul Luif. "Austria: The Burdens of History". In Small States in World Politics: Explaining Foreign Policy Behavior. Edited by Jeanne A. K. Hey. Lynne Rienner Publishers, Boulder, 2003, pp. 95 - 115

ალბათ, რაც უფრო გაიზრდება მუდმივი ნეიტრალიტეტის მქონე ქვეყნების რიცხვი, მით უფრო შემცირდება კონფლიქტების რიცხვი და მათი სიმძაფრეც; მაშასადამე, საერთაშორისო პოლიტიკაშიც მეტი სტაბილურობა იქნება. ამავე დროს მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოები თითებზე ჩამოსათვლელია და მათი რიცხვი არ იზრდება. მეტიც, შესაძლოა მალე მათ აღარც იარსებონ, რადგანაც მსოფლიოს სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების განუხრელი გაღრმავება ნეიტრალიტეტის იდეას ნიადაგს აცლის. გარდა ამისა, პოლიტიკური პროცესებიც იმ მიმართულებით ვითარდება, რომ ნეიტრალიტეტი ზოგიერთ ქვეყანას დამოუკიდებლობის ნაკლებ გარანტიებს შეუქმნის, ვიდრე რომელიმე ძლიერ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკში მონაწილეობა. ასე მაგალითად, ავსტრიაში ფეხს იკიდებს შეხედულება, რომ მუდმივი ნეიტრალიტეტის ნაცვლად ქვეყნისათვის უკეთესი იქნებოდა ნატოში გაწევრიანება.

მუდმივი ნეიტრალიტეტი, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი, შეიძლება ამა თუ იმ სახელმწიფოს მიენიჭოს, მაგრამ სახელმწიფოს შეუძლია აგრეთვე გაატაროს მუდმივი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა და ამ გზით დაიმკვიდროს ნეიტრალიტეტი. ევროპის ოთხი „დამსახურებული" ნეიტრალური სახელმწიფოდან ორი (შვეიცარია და ავსტრია) მუდმივად ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსით სარგებლობენ, ხოლო დანარჩენი ორი (ფინეთი და შვეცია) უკვე კარგა ხანია, მუდმივ ნეიტრალიტეტს საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპად აღიარებენ. ამ ორი ქვეყნის მუდმივი ნეიტრალიტეტი სამართლებრივად არ არის აღიარებული, მაგრამ ისინი თანმიმდევრულად ახორციელებენ „მიუმხრობლობის" საგარეო პოლიტიკას. მათი ნეიტრალიტეტი სინამდვილეში მიუმხრობლობაა. უკვე საუკუნენახევარზე მეტია, რაც შვეცია ამ პოლიტიკას ატარებს. მუდმივი ნეიტრალიტეტის პრინციპი ამ ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილი არ არის და არც საერთაშორისო დონეზეა განცხადებული. 1899, 1902 და 1912 წლებში შვეციაში მთავრობას აიძულებდნენ მუდმივი ნეიტრალიტეტის გზას დადგომოდა. 1975 წელს, როცა შვეციაში ახალი კონსტიტუცია მიიღეს, ქვეყნის კომუნისტურმა პარტიამ მასში მუდმივი ნეიტრალიტეტის შესახებ მუხლის შეტანა მოითხოვა, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია.[267]

---

267 Hanspeter Neuhold. "The Neutral States of Europe: Similarities and Differ-

ფინეთის ნეიტრალიტეტს სპეციფიკური ხასიათი აქვს. იგი არ არის გაფორმებული არც ამ ქვეყნის და არც საერთაშორისო სამართლით. 1948 წელს საბჭოთა კავშირთან დადებულ ორმხრივ შეთანხმებაში, რომელიც საბჭოეთთან ფინეთის „განსაკუთრებულ ურთიერთობებს" ითვალისწინებს, სიტყვა „ნეიტრალიტეტი" საერთოდ არ არის ნახსენები, მაგრამ მის მეოთხე მუხლში აღნიშნულია, რომ „ფინეთი იღებს ვალდებულებას არ მიიღოს მონაწილეობა ძლიერ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტებში".

ხსენებული ორი ტიპის – *ლეგალური* და *ფაქტობრივი* – მუდმივი ნეიტრალიტეტის შედარებისას იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ პირველი მისი მფლობელი სახელმწიფოს ქცევის პროგნოზირებას აადვილებს, რაც, რა თქმა უნდა, დანარჩენ სახელმწიფოებს ხელს უფრო აძლევს. ამავე დროს, ამგვარი ნეიტრალიტეტი დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით ქვეყანას დიდად ზღუდავს. ლეგალური მუდმივი ნეიტრალიტეტის მქონე ყველა სახელმწიფო პატარაა და სუსტი და ამიტომ ნეიტრალიტეტის დარღვევა მათ შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეთ.

მუდმივი ნეიტრალიტეტის *ფაქტობრივად* გამტარებელი ქვეყანა საგარეო პოლიტიკაში თითქოს უფრო თავისუფალია და მოქნილობის მეტი საშუალებაც მოეპოვება. მაგრამ იმისათვის, რომ მისი ფაქტობრივი ნეიტრალურობა ლეგალურ ნეიტრალურობას მაქსიმალურად დაუახლოვდეს, იგი, ჩვეულებრივ, ცდილობს სკრუპულოზურად დაემორჩილოს ნეიტრალიტეტის წესებს. ქვეყანა ფაქტობრივ მუდმივ ნეიტრალიტეტს თავისი საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ირჩევს. თუ იგი მის მიერ არჩეულ ნეიტრალიტეტის პოლიტიკას უღალატებს, შეიძლება ძლიერ დაზარალდეს, რადგან სხვა სახელმწიფოები საკუთარ საგარეო პოლიტიკას და უსაფრთხოების პრიორიტეტებს ამ ქვეყნის ნეიტრალიტეტის გათვალისწინებით გეგმავენ და ახორციელებენ. ისინი „ნეიტრალის" მიერ თავის ვალდებულებებზე უარის თქმით გამოწვეულ შედეგებს იოლად ვერ შეეგუებიან. ამგვარი „ნეიტრალის" პოლიტიკური იმიჯი და მისდამი ნდობა მეტად სათუო გახდება და შესაძლოა საფრთხე დაემუქროს მის სუვერენიტეტსაც კი. ამიტომაც ამ ტიპის „ნეიტრალი" ქვეყნები ცდილობენ მუდმივი ნეიტრალიტეტის არჩეულ გზას არ გადაუხვიონ.

ადრე ნეიტრალიტეტი ძალიან იზიდავდა დასავლეთ ევროპის

---

ences", In: Alan T. Leonard (Ed), *Neutrality: Changing Concepts and Practices*, University Press of America. Lanham, 1988, pp. 100-101

პატარა სახელმწიფოებს. ევროპიდან ნეიტრალიტეტი მსოფლიოს სხვა რეგიონებშიც მოხვდა. ამა თუ იმ ფორმით ნეიტრალურნი იყვნენ ან არიან:შვეიცარია, ავსტრია, ნიდერლანდები, ბელგია, კოსტა-რიკა, ლაოსი, კამბოჯა, ნორვეგია, შვეიცარია, დანია, ფინეთი, ირლანდია და თურქმენეთი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნეიტრალიტეტზე უარი არც ერთ ნეიტრალურ სახელმწიფოს არ უთქვამს და ამავე დროს უსაფრთხოების თვალსაზრისით არც ერთ მათგანს არ შექმნია პრობლემები. ნეიტრალურმა ქვეყნებმა არა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობა შეინარჩუნეს, არამედ საკუთარი ეკონომიკის მძლავრი განვითარებაც მოახერხეს. ამ ქვეყნებმა საკუთარი ნეიტრალიტეტი აქტიურ საგარეო პოლიტიკას შეუთავსეს და საერთაშორისო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი და პრესტიჟი მოიპოვეს. ნეიტრალიტეტის პოლიტიკის სპეციფიკური ფორმით გამტარებელი პატარა ქვეყნის – ფინეთის უსაფრთხოების პოლიტიკა ცივი ომის შემდგომ პერიოდში დეტალურად განიხილა უაღრესად საინტერესო შრომაში ფინელმა მკვლევარმა კარი მოტოლამ.[268] ნეიტრალური შვეიცარიის უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი ასპექტები გააანალიზა შვეიცარიელმა ექსპერტმა ჰეიკო ბორხერტმა.[269] ორივე ხსენებული ქვეყანა, ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გატარებისას, ახერხებს საკუთარი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური პრობლემების გვარიანად მოგვარებას. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ევროპის მშვიდ გარემოში ვითარდება.

როგორია ნეიტრალური სახელმწიფოების მომავალი? შეძლებენ თუ არა ისინი კვლავაც მაქსიმალური სარგებელი მიიღონ საკუთარი ნეიტრალიტეტიდან? *მ. კოქსისა* და *რ. მაკგინტის* აზრით, მომავალში ნეიტრალიტეტი უაზრობად იქცევა, რადგანაც თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური სისტემა იმგვარად ვითარდება, რომ პატარა ქვეყნებს მასში არსებობისა და განვითარებისათვის ნეიტრალიტეტი აღარ დასჭირდებათ[270].

---

268 Kari Möttöla. "Finland, the European Union and NATO – Implication for Security and Defense". In Small States and Alliances. Erich Reiter and Heinz Gärtner (eds.). Physica – Verlag. Heidelberg. New York, 2001, p. 113 - 144

269 Heiko Borchert. "Switzerland and Europe's Security Architecture: The Rocky Road from Isolation to Cooperation". In Small States and Alliances. Erich Reiter and Heinz Gärtner (eds.). Physica – Verlag, Heidelberg, New York, 2001, p. 161 - 182

270 M. Cox and R. MacGinty. "Farewell to a Beautiful Idea: The End of Neutrality in the Post-Cold War World", In: W. Bauwens, A. Cless and O. F. Knudsen (Eds.), *Small States and the Security Challenge in the New Europe*, Brassey, London,

ნეიტრალიტეტის მიმართ განწყობა არა მხოლოდ საერთაშორისო დონეზე, არამედ ნეიტრალიტეტის ამა თუ იმ სტატუსის მქონე ცალკეულ ქვეყნებშიც იცვლება. „დრო და დრო" ნეიტრალურ ქვეყნებში დებატები მწვავე ხასიათს ღებულობს და საკმაოდ მწვავედაც კი საზოგადოება ორად იყოფა ხოლმეკიდეც. მაგალითად, ავსტრიაში საკმაოდ მწვავე დისკუსია მიმდინარეობს. საზოგადოებრიობა ორად გაიყო. ნაწილს კვლავ ნეიტრალიტეტის დატოვება სურს, მეორე ნაწილი კი მას თანამედროვე პირობებისათვის შეუფერებლად მიიჩნევს. ფიქრობენ, რომ ამ საკითხის გამო ავსტრიაში რამდენიმე წლის შემდეგ რეფერენდუმის ჩატარება გახდება აუცილებელი. შვეიცარიაშიც დროდადრო იწყებენ საუბარს ნეიტრალიტეტის მოძველებასა და მასზე უარის თქმის შესახებ.

საქართველოშიც ნეიტრალიტეტის თემა დრო და დრო გაჟღერდება ხოლმე. საქართველოს ნეიტრალიტეტის იდეა უმთავრესად რუსეთიდან მომდინარეობს. ეს მოხდა უკვე რამდენჯერმე, 90-იანებში, 2007-8 წლებში, ამჟამადაც ზოგიერთი ამ იდეას მხარს უჭერს, თუმცა საქართველოს მმართველ ელიტაში ნეიტრალიტეტის იდეა მხარდაჭერას არ პოულობს.[271]

ნეიტრალიტეტი სუვერენული სახელმწიფოებისა და დამოუკიდებელი პოლიტიკის სამყაროს პირმშოა და ურთიერთდამოკიდებულ და ინტეგრირებულ საერთაშირისო სისტემაში, იგი უწინდელ მნიშვნელობას და ფუნქციას კარგავს. გარდა ამისა, თანამედროვე სამყაროში სწრაფად იცვლება საფრთხის წყაროების რიცხვი და ხასიათი (ეკონომიკური სტაგნაციით დაწყებული და საგარეო პოლიტიკური არასტაბილურობით დამთავრებული); ამასთანავე კონფლიქტები უფრო ეთნიკურ, რელიგიურ და სოციალურ განზომილებებს იძენს, სეპარატიზმი სუვერენული სახელმწიფოს ლამის მთავარი მტერი ხდება[272]. ბევრი ექსპერტი ფიქრობს, რომ გარეშე საფრთხეები ნაკლებად აქტუალური, ხოლო შიდა საფრთხეები უფრო სერიოზული ხდება. ნეიტრალიტეტი კი ქვეყანას გარეშე საფრთხეებისგან იცავს.

1996, p.123

271 ამ მხვრივ მეტად საყურადღებოა:Зураб Давиташвили. «Нейтралитет или западная ориентация?» Центральная Азия и Кавказ. 5 (23), стр. 109-116 და Ghia Nodia. Why Georgia Dare Not Risk Declaring Neutrality. "Radio Free Europe/Radio Liberty, April 2, 2009

272 იხ.:R. Väyrynen. "Security and Prosperity of Small European States in the Coming Decade". Paper prepared for the *Conference on the Security of Small States*, Institute for European and International Studies, Luxembourg, 22-23 October, 1993.

მიუმხრობლობა. უკვე აღინიშნა, რომ სამხედრო-პოლიტიკური სისუსტის გამო პატარა ქვეყნებს, პირველ ყოვლისა, ძლიერი სახელმწიფოების ჭიდილში ჩათრევისა და, საზოგადოდ, ყოველგვარი საშიში პოლიტიკური მოვლენების თავიდან აცილება სურთ. მათ ყოველგვარი კავშირების, კოალიციების, კონფლიქტების და სხვა ამგვარი მოვლენების გარეშე სწადიათ მშვიდი და საამური ცხოვრება; ამავე დროს, ისიც შესანიშნავად ესმით, რომ თვითონ საერთაშორისო სისტემის ელემენტებს წარმოადგენენ და ნებსით თუ უნებლიედ ხსენებული სისტემის ფუნქციონირებაში მონაწილეობენ. პატარა ქვეყნებს, ჩვეულებრივ, მსოფლიო ბატონობისა და რეგიონის ლიდერობის პრეტენზია ვერ ექნებათ და ისინი უმთავრესად გადარჩენასა და ყოველგვარი კოლიზიებისა და კატასტროფებისაგან თავის დაღწევას ცდილობენ.

ზოგიერთი პატარა ქვეყანა ხელსაყრელი საგარეო და საშინაო ფაქტორების გამოყენების წყალობით გარკვეული დროის განმავლობაში ჩრდილში დარჩენას ახერხებს, ზოგიც ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ირჩევს ან ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსს იმკვიდრებს. პატარა ქვეყნების უმრავლესობა კი მთლიანად (თუმცა სხვადასხვა დონითა და სხვადასხვაგვარად) არის ჩართული საერთაშორისო ურთიერთობათა სრულ სპექტრში და ოდნავი სულის მოთქმაზე ან ნეიტრალიტეტის მიუღწეველ ფუფუნებაზე ვერც კი ოცნებობს.

განზე დგომა, საერთაშორისო პოლიტიკის საშიში მოვლენების თავიდან აცილება პატარა ქვეყნების „პოლიტიკური ინსტინქტია". ამგვარი ქვეყნები, როგორც კი საშუალება მიეცემათ, ნებისმიერი კავშირებისა და ვალდებულებების გარეთ დარჩენას ცდილობენ. მიუმხრობლობა – აი, რა სურთ ყველაზე მეტად პატარა, სუსტ სახელმწიფოებს, მაგრამ დიდი, ძლიერი ქვეყნები მიუმხრობლად დარჩენის შესაძლებლობას იშვიათად იძლევიან. მიუმხრობლად დარჩენა ყველაზე მეტად იმ ქვეყნისათვის არის საძნელო, რომელიც ძლიერი სახელმწიფოების ინტერესთა სფეროშია მოქცეული ან რომლის გეოგრაფიული მდებარეობა მიუმხრობლობის შესაძლებლობებს ამცირებს.

მიუმხრობლობა პატარა ქვეყნისათვის განზე დგომის, საერთაშორისო პოლიტიკის ორომტრიალისაგან თავის დაღწევის ძალზე ძნელად გამოსაყენებელი ხერხია. *რ. როთსტაინი* ფიქრობს, რომ მიუმხრობლობა პატარა ქვეყანას მხოლოდ იქამდე ძალუძს, სანამ მას არ დაემუქრა ძლიერი სახელმწიფო.[273] *ო. კნუდსენი*

273 Robert L. Rothstein, *Alliances and Small Powers*, Columbia University Press,

ყურადღებას ამახვილებს საყოველთაოდ მიღებულ შეხედულებაზე, რომლის თანახმადაც „მიუმხრობლობა არარეალისტური და სახიფათოა".[274]

მიუმხრობლობა ტაქტიკაა და არა – საგარეო პოლიტიკა. საერთაშორისო პოლიტიკაში იქმნება ვითარება, როცა პატარა ქვეყანას შეუძლია მიუმხრობლობის ტაქტიკას მიმართოს. ამ მხრივ „ცივი ომის" პერიოდი მიუმხრობლობის პოლიტიკის გატარებისათვის მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა. უძლიერეს ქვეყნებს შორის დაძაბულობის ზრდა, უკიდურესი დაპირისპირება პატარა ქვეყნის მიუმხრობლობას შეუძლებელს ხდის.

მიუმხრობლობა ისეთი ტაქტიკაა, რომლითაც საერთაშორისო სისტემაში ძალის გარკვეული (მაგ. უძლიერესი ქვეყნების თანაბარი ძალა) კონფიგურაციის პირობებში პატარა ქვეყანამ შეიძლება პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებელი ნახოს.

მიუმხრობლობამ, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის ფენომენმა, გამოკვეთილი სახე „ცივი ომის" პერიოდში მიიღო. ორი მოწინააღმდეგე ბლოკის არსებობამ და მათ შორის დაპირისპირებამ უაღრესად რთული ვითარება შეუქმნა ათობით პატარა და საშუალო ქვეყანას, რომელთა დიდ ნაწილს ორი სუპერძალის ინტერესებისა და გავლენის სფეროს გარეთ დარჩენა სურდათ. მათ არც ერთ ბლოკში გაერთიანება არ უნდოდათ. ამავე დროს ბევრი სუსტი სახელმწიფო დიდი დაწოლისა და იძულების გზით აღმოჩნდა სხვადასხვა ბანაკში. იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ან ეკონომიკური ინტერესების გამო აირჩიეს ერთ-ერთი დაპირისპირებული ბლოკის წევრობა.[275]

ანტაგონისტური სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების წარმოქმნა, საერთაშორისო დაძაბულობის ზრდა და ორი სუპერძალის (სსრკ და აშშ) ყველა სფეროში დაპირისპირება დანარჩენ ქვეყნებს, საკუთარი დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას უზღუდავდა (ეს განსაკუთრებით პატარა და საშუალო ქვეყნებზე ითქმოდა). იდეოლოგიურად დაპირისპირებული ორი ბირთვული სუპერძალის

New York, 1968, p. 247

274 Olav Fagelund Knudsen, *Sharing Borders with a Great Power: An Examination of Small State Predicaments*, NUPI Report 159, May 1992, p.16

275 მიუმხრობლობის საყურადღებო ანალიზი, იხ.:Satiash Kumar, "Nonalignment: International Goals and National Interests", *Asian Survey*, Vol. 23. Issue 4, pp. 445-462; Fouad Ajami, "The Fate of Nonalignment", *Foreign Affairs*, Vol. 59, Issue 2, Winter 1980/81, pp. 366-385.

ინტერესთა შეჯახების ფონზე მათი ეროვნული ინტერესები უმნიშვნელოდ მიიჩნეოდა).

საყურადღებოა, რომ 50-იანი წლებისათვის დეკოლონიზაციის პროცესის შედეგად ახალი სუვერენული სახელმწიფოების რიცხვმა იმატა. გარდა ამისა, იყო ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზნების გამო მიუმხრობლად ყოფნას ამჯობინებდნენ და ამის განხორციელებას ცდილობდნენ კიდეც.

დაპირისპირებული ბლოკების გარეთ დარჩენა და ამ გზით საშინაო და საგარეო პოლიტიკური ინტერესების უზრუნველყოფა ზოგიერთი პატარა და საშუალო ქვეყნისათვის ძალზე მიმზიდველ იდეად იქცა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ინდოეთი ბრიტანეთის კონტროლს ემორჩილებოდა, ქვეყნის ვიცე-პრემიერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა, შემდგომში დამოუკიდებელი ინდოეთის შემქმნელმა და ყველაზე ცნობილმა პოლიტიკოსმა *ჯავაჰარლალ ნერუმ* 1946 წლის სექტემბერში განაცხადა, რომ დამოუკიდებლობის გზით სვლას ინდოეთი დაჯგუფებათა პოლიტიკის თავიდან აცილებით განახორციელებს, მაგრამ მშვიდობისა და თავისუფლების დასამკვიდრებლად ყველასთან ითანამშრომლებს.[276] ორი წლის შემდეგ ბირმის პრემიერ-მინისტრმა *უ ნუმ* ასევე განაცხადა, რომ მისი ქვეყანა გარე სამყაროსთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებას ეცდება, მაგრამ მსოფლიო ძალების ნებისმიერ კავშირში შესვლისაგან თავს შეიკავებს.[277]

1954 წელს იუგოსლავიის პრეზიდენტმა *იოსიპ ბროზ-ტიტომ* და ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა *ჯ. ნერუმ* განაცხადეს, რომ ბლოკების მიმართ მიუმხრობლობის პოლიტიკის გზას ადგებიან, რომელიც არც „ნეიტრალიტეტია", არც „ნეიტრალიზმია" და არც პასიურობა, არამედ აქტიური, პოზიტიური და კონსტრუქციული პოლიტიკაა; მას შედეგად მოჰყვება კოლექტიური მშვიდობა, რომელიც კოლექტიური უსაფრთხოების დამყარების შესაძლებლობას შექმნის.

თანდათანობით ჩამოყალიბდა ე.წ. „მიუმხრობლობის მოძრაობა", რომლის წევრებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი კონფერენცია ჩაატარეს, სადაც მოძრაობის პრინციპები და მიზნები განისაზღვრა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ინდოეთი და იუ-

---

276 იხ.: Satiash Kumar, "Nonalignment: International Goals and National Interests", *Asian Survey*, Vol. 23, Issue 4, April 1983, p. 446.

277 იქვე, p. 446.

გოსლავია, რომლებიც „მიუმხრობლობის მოძრაობის" ლიდერები გახდნენ. 1964 წელს *კაირო*ს მიუმხრობელი სახელმწიფოების კონფერენციაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა მიუმხრობლობის მომხრე ქვეყნების საერთო შეხედულებები, რომელთაგან უმთავრესი იყო:აქტიური მშვიდობიანი თანაარსებობა; კოლონიების მიერ დამოუკიდებლობის მიღების სრული უფლება; ყოველი ერის უფლება იყოს დამოუკიდებელი, გაეროს ქარტიის შესაბამისად; ყოველი სუვერენული ქვეყნის სუვერენულობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; ყოველი ერის უფლება აირჩიოს ის სოციალური და პოლიტიკური წყობა, რომელიც მას სურს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მიუმხრობლობის მოძრაობა განვითარებადი ქვეყნების ერთგვარი „პოლიტიკური კლუბი" გახდა. მართალია, მათ ბევრი საერთო პრობლემა აერთიანებდა, მაგრამ ყოველ ქვეყანას საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების პრობლემები და ამოცანები ჰქონდა, რომლების კოლექტიურად გადაწყვეტა შეუძლებელი იყო. ხსენებულ მოძრაობაში არასოდეს ყოფილა ერთიანობა. მისი ლიდერების მცდელობათა მიუხედავად, მიუმხრობლობის მოძრაობა შესუსტდა და 80-იანი წლების დამდეგს გადაგვარდა.

ცივი ომის დამთავრებასთან ერთად *ჯაკარტაში* (ინდონეზია) მიუმხრობელ სახელმწიფოთა X სამიტი გაიმართა, რომელზეც, გარეგანი ერთიანობის მიუხედავად, კვლავ აშკარა გახდა, რომ მიუმხრობლობის მოძრაობას მკვეთრად ჩამოყალიბებული მიზნები და შინაგანი ერთიანობა აკლდა. 1995 წელს *კარტახენაში* (კოლუმბია) შედგა XI სამიტი 113 სახელმწიფოს მეთაურის და მთავრობის ხელმძღვანელის მონაწილეობით. ზოგად დეკლარაციებს ვერც ეს სამიტი გასცდა; ამასთან კიდევ ერთხელ გამოაშკარავდა მოძრაობის შიგნით ერთიანობის არარსებობის ფაქტი.[278] აგრეთვე გაირკვა, რომ მოძრაობას, მთელი რიგი პრობლემების სერიოზული გაცნობიერებისა და ერთობლივი გადაჭრის აუცილებლობის შეგრძნების მიუხედავად, საკუთარი მიზნების ჩამოყალიბებისა და მათი მიღწევის გზების მოძიების თვალსაზრისით ახალი იდეები არ გააჩნია.

საყურადღებოა, რომ ფორმალურად მიუმხრობლობის მოძრაობა ჯერ კიდევ არსებობს. 1998 წლის 2-3 სექტემბერს *დურბანში* (სამხრეთ აფრიკა) შედგა მოძრაობის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების შეხვედრა. მასზე

278 იხ.:Sally Morphet. "The Non-Alligned and Their 11th Summit at Cartagena", October 1995. *Round Table*, Issue 340, October 1996, pp. 455-462.

წარმოდგენილი იყო მიუმხრობლობის მოძრაობის 102 ნევრი ქვეყანა. დამკვირვებელთა (15 ქვეყანა) შორის იყვნენ სომხეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, უკრაინა, სტუმართა შორის კი – რუსეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი.

მოძრაობის წევრი ქვეყნების შეხვედრის დეკლარაციაში აღინიშნა, რომ მიუმხრობლობის 43-წლიანი ისტორია გრძელდება და ახალ ათწლეულში მოძრაობა ისევ დიდ ძალად გადაიქცევა. აღსანიშნავია, რომ შეხვედრის დოკუმენტებში აქცენტი ჩრდილოეთის მიერ უგულებელყოფილ სამხრეთის პრობლემებზე გაკეთდა. *დურბანში* ის ქვეყნები იყვნენ წარმოდგენილნი, რომლებსაც ტრადიციულად „მესამე სამყაროს" და განვითარებად ქვეყნებს უწოდებენ. ეს ზუსტად აისახა შეხვედრის ოფიციალურ მასალებში. სამიტის ვრცელ საბოლოო დოკუმენტში საერთაშორისო ვითარების დეტალური ანალიზი განვითარებადი ქვეყნების პოზიციებიდან არის მოცემული.[279]

მიუმხრობლობის მოძრაობაში ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო მაინც ერთი ქვეყნის – იუგოსლავიის მაგალითია, რომელიც არა მხოლოდ ამ მოძრაობის ერთ-ერთ შემქმნელად და სულისჩამდგმელად მოგვევლინა, არამედ მიუმხრობლობის იდეისა და პრაქტიკის მეტად საგულისხმო მაგალითად წარმოდგა.

იუგოსლავიამ 40-იანი წლების მიწურულს მოახერხა საბჭოთა კავშირთან „მეგობრობის" ბორკილებიდან თავის დაღწევა. საბჭოთა კავშირსა და მას შორის რუმინეთი და უნგრეთი მდებარეობს. ამ გარემოებამ იუგოსლავიას საკუთარი, დამოუკიდებელი პოლიტიკის მოძებნა გაუადვილა. მთელი „ცივი ომის" განმავლობაში იუგოსლავია განზე იდგა, მაგრამ არც აშშ-ს „შეკვრია". თითქმის მთელი ამ ხნის მანძილზე იუგოსლავია მიუმხრობლობის პოლიტიკის გატარებას ცდილობდა და მიუმხრობლობა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად აქცია.[280]

მეტად საყურადღებოა, რომ „ცივი ომის" პერიოდში ორივე სუპერძალა რაც შეიძლება მეტი მოკავშირისა თუ სატელიტი ქვეყნის მოძიებას ლამობდა, მაგრამ უკვე 50-იანი წლებიდან მოყოლებული ორივე მეტოქე საკმაოდ პოზიტიურად უყურებდა იმ ქვეყნებს, რომლებიც ნეიტრალურად დარჩენას ცდილობდნენ.

---

279 იხ.:*XII Summit Conference of Heads of States or Government of the Non-Aligned Movement*, Basic Documents. Durban, 1998. pp. 11-178.

280 იხ.:Radovan Vukadinović. "Small States and the Policy of Non-Alignment". In: August Schou and Arne Olav Brundtland (Eds.), *Small States in International Relations*, Almqvist and Wiksell, Stockholm, 1971, pp. 99-121

ზოგიერთმა მიუმხრობელმა სახელმწიფომ (ინდოეთი, კამბოჯა და ინდონეზია) იმდენი შეძლო, რომ ორივე სუპერძალისაგან ახერხებდა დახმარების მიღებას. მიუმხრობლობა ზოგიერთი ქვეყნისათვის ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგანაც მწვავე შიდა პრობლემების გამო ისინი იძულებულნი გახდნენ ან ერთი ან მეორე ბანაკის მხარეს გადახრილიყვნენ. ზოგიერთი მიუმხრობელი ქვეყნის შიგნით რეჟიმის შეცვლაც მიუმხრობლობიდან რომელიმე სუპერძალის მხარეზე (ზოგჯერ კი მისი კლიენტისა თუ სატელიტის სტატუსზე) გადასვლას ნიშნავდა. მიუმხრობლობა ძალზე მონოლითური მოძრაობა არასოდეს ყოფილა და მისი მონაწილეები ერთმანეთისაგან ყოველთვის საკმაოდ განსხვავებულნი იყვნენ.[281]

მიუმხრობლობის მოძრაობაში ბევრი ბზარი და წინააღმდეგობა იყო. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მთელი მოძრაობის მიზნებთან და ინტერესებთან ყოველი ქვეყნის ეროვნული ინტერესების, უსაფრთხოებისა თუ ეკონომიკური პრიორიტეტების შეთანხმება უაღრესად რთული (ზოგჯერ შეუძლებელი) ამოცანა იყო. მოძრაობის დრამატული ისტორია გაუგებრობებით, მიუმხრობელი ქვეყნების ლიდერთა კინკლაობითა და მეტოქეობით, ღალატით არის აღსავსე. შემთხვევითი არ იყო, რომ 1980 წელს მისმა ერთ-ერთმა „მამამ", ბირმის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა უ ნუმ მოძრაობა ღალატის მსხვერპლად შემთხვევით როდი მიიჩნია. „მე ვერ ვხედავ მისთვის მომავალს", – განაცხადა უ ნუმ.[282]

მიუმხრობლობა ხშირად მიმზიდველია იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებმაც დაქვემდებარებისაგან დაიხსნეს თავი. მათ თვალში მიუმხრობლობა დამოუკიდებლობის ფსიქოლოგიურ ეფექტს ზრდის. გარდა ამისა, მიუმხრობელი ქვეყნის „პოლიტიკური ფასი" მაღლა იწევს მაშინ, როცა ძლიერი მეტოქეები დანარჩენი, უფრო სუსტი ქვეყნების გადაბირებას ცდილობენ. როგორც *რ. როთსტაინი* შენიშნავს, მიუმხრობლობის პოლიტიკას ზოგჯერ იმ ქვეყნის ხელისუფლება ირჩევს, რომელსაც გარკვეული შიდა პრობლემები შეექმნა და საშინაო ჩავარდნების კომპენსირებას ახლა საერთაშორისო ასპარეზზე თითქოსდა მნიშვნელოვანი როლის შეძენით ცდილობს.[283]

---

281 იხ.:Peter J. Fliess, *International Relations in the Bipolar World,* Random House, New York. 1968, pp. 135-160: Trygve Mathisen. *The Functions of Small States in the Strategies of the Great Powers,* Universitetsforlaget, Oslo, 1972, pp. 250-258.

282 *The New York Times,* August 5, 1980, p. A3.

283 Robert L. Rothstein, *Alliances and Small Powers,* Columbia University Press, New York, 1968, p.252

როდესაც მიუმხრობლობის შესახებ ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ მიუმხრობლობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც გარკვეულ პერიოდში სახელმწიფოთა გარკვეული ჯგუფის მიერ დაპირისპირებულ ბლოკებში მონაწილეობისგან თავის ასარიდებლად შექმნილი გაერთიანება (ამის მაგალითია „ცივი ომის" პერიოდი). ამავე დროს მიუმხრობლობა არის საერთაშორისო ცხოვრების პრაქტიკაში ჩამოყალიბებული უნივერსალური პოლიტიკური კონცეფცია. მიუმხრობლობის პოლიტიკა უნივერსალური ხასიათის მქონე საერთაშორისო პრინციპების კომპლექსს წარმოადგენს.

მიუმხრობლობა სრულებითაც არ ნიშნავს პასიურობას. მიუმხრობელ ქვეყანას ძალუძს გაატაროს აქტიური საგარეო პოლიტიკა (ინდოეთი და იუგოსლავია „ცივი ომის" პერიოდში ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენენ).

მიუმხრობლობის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია და პრაქტიკა, როგორც უკვე ითქვა, „ცივი ომის" პერიოდში აღმოცენდა და განვითარდა. ბიპოლარული სისტემის მოშლის შემდეგ მან მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ საერთაშორისო სისტემის განვითარებისა და ტრანსფორმაციის შემდგომ ეტაპებზე მიუმხრობლობა კვლავ გახდეს პატარა და საშუალო სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტი.

2.5 პატარა ქვეყანა საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში

სხვისი იმედით მცხოვრები
ბრიყვი იქნება ტიალი,
ხელიდან არ ჩამოერთმის
ტანჯვა-ნვალების ფიალი.
ვაჟა-ფშაველა

უკვე აღინიშნა, რომ პატარა ქვეყნები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ტერიტორიის ფართობით, მოსახლეობის რიცხოვნობით, შიდა შეკავშირებულობის დონით, კულტურით, სამხედრო შესაძლებლობებით, საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში ადგილითა და როლით და სხვ. განსაკუთრებით კი მათ ერთმანეთისაგან მაინც ეკონომიკური განვითარების დონე განასხვავებს. ამ

კატეგორიის ქვეყნების შესწავლას ეს გარემოება კიდევ უფრო ართულებს.[284]

ეკონომიკური განვითარების დონის თვალსაზრისით პატარა ქვეყნებს შორის განსხვავება მართლაც გასაოცარია. ამ კატეგორიის ქვეყნებში ირიცხება შვეიცარია და გამბია, ნორვეგია და ჰაიტი, დანია და ჩადი, ბელგია და გაიანა, სინგაპური და ტოგო, ავსტრია და იამაიკა, კუვეიტი და ბოლივია, ისრაელი და ლაოსი. ზოგიერთი პატარა ქვეყანა ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით მსოფლიოს სახელმწიფოთა პირველ ათეულშია მოხვედრილი. მათი უმრავლესობა კი დედამიწის ყველაზე ჩამორჩენილი და ღარიბი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება.

ამგვარი ვითარება იმაზე მიგვითითებს, რომ ქვეყნის ზომას (სიდიდეს) მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს (თუმცა ადრე ამის საწინააღმდეგო შეხედულება უფრო იყო მიღებული).

არაერთგზის აღნიშნულა, რომ პატარა ქვეყნების სიცოცხლისუნარიანობა ბევრს ჯერაც აეჭვებს. ამგვარი ეჭვები არა მხოლოდ პატარა ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკური სისუსტის, მათი სამხედრო დაუცველობის გამო არსებობს, არამედ მათი ეკონომიკური უპერსპექტივობის შესახებ გავრცელებული შეხედულებებით არის გამოწვეული. და ეს ხდება მაშინ, როცა სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით ძლიერ, გავლენიან ბევრ დიდ ქვეყანაში მოსახლეობა გაცილებით უარესად ცხოვრობს, ვიდრე ზოგიერთ პატარა ქვეყანაში. მართლაც, 1998 წლისათვის, განსაკუთრებით ხალხმრავალი პირველი ათი სახელმწიფოდან (100 მილიონზე მეტი მოსახლეობით) მხოლოდ ორი (აშშ და იაპონია)

---

284 პატარა ქვეყნების ეკონომიკური თავისებურებებისა და პრობლემების შესახებ იხ.: Peter J. Lloyd, *International Trade Problems of Small Nations*, Duke University Press, Durham, 1968; Bela Kadar, *Small Countries in World Economy*, Hungarian Academy of Sciences. Center for Afro-Asian Research, Budapest, 1970; Simon Kuznets, "Economic Growth of Small Nations", In: E. A. G. Robinson (Ed.), *Economic Consequences of the Size of Small Nations*, Proceedings of a Conference Held by the International Economic Association, Macmillan, London, 1960, pp.14-32; Martin F. J. Prachowny, *Small Open Economies: Their Structure and Policy Environment*, Heath, Lexington, 1975; Raimo Vayrunen, "The Position of Small Powers in the West European Network of Economic Relations", *European Journal of Political Research*, 2, June 1974; Marshall R. Singer, *Weak States in a World of Powers: The Dynamics of International Relationships*, The Free Press, New York, Collier-Macmillan Limited, London, 1972, pp. 208-272

გამოირჩეოდა ცხოვრების მაღალი დონით.[285] რუსეთის (148 მლნ კაცი) ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მოცულობა 1998 წელს ნიდერლანდების (15 მლნ კაცი) ანალოგიურ მაჩვენებელს ჩამორჩებოდა, ხოლო პაკისტანის (118 მლნ კაცი) ერთობლივი ეროვნული პროდუქტი კი ნორვეგიის (4,2 მლნ კაცი) ნახევარზე ნაკლები იყო. ამგვარი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება.

კარგა ხანს იყო გაბატონებული შეხედულება, რომ თითქოს ყველა ქვეყანა ეკონომიკური თვითკმარობისაკენ უნდა ისწრაფვოდეს. სრული ეკონომიკური ავტარკია შეუძლებელია, მაგრამ XX საუკუნეშიც ეკონომიკური ნაციონალიზმი (ნეომერკანტილიზმი) ბატონობდა და სახელმწიფოები ცდილობდნენ ეკონომიკურად რაც შეიძლება დამოუკიდებელნი ყოფილიყვნენ. 50-იანი წლებიდან მოყოლებული ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება განუხრელად იზრდება და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია უცილობელი ფაქტი ხდება. ეკონომიკურმა ინტეგრაციამ, მრავალეროვნულმა კორპორაციებმა, კაპიტალის ჯერ არნახულმა ექსპორტმა XX საუკუნის მიწურულის მსოფლიო გლობალიზაციის ქსელში გააბა. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საერთაშორისო ვაჭრობა ყოველი ქვეყნისათვის მთავარი ასპარეზი გახდა. შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესის გაღრმავებამ და საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის გაზრდამ ყველა ქვეყანა ჯერ არნახული ეკონომიკური კონკურენციის ფერხულში ჩააბა. ადრე, როცა საბაჟო ტარიფები მაღალი იყო და ქვეყნები ნეომერკანტილიზმის პოლიტიკას წარმართავდნენ, მსხვილი სახელმწიფოების შიდა ბაზარი, მისი დიდი ტევადობა ბევრს ნიშნავდა. ამჟამად ბაზარი გლობალური გახდა და ცალკეული ქვეყნების შიდა ბაზრის ტევადობას უწინდელი მნიშვნელობა აღარ გააჩნია. თავის დროზე *როდერიკ პითიმ* შენიშნა, რომ ეკონომიკური თვითკმარობა საჭიროა მხოლოდ ომის პირობებში, ხოლო მშვიდობის ჟამს ავტარკიისაკენ სწრაფვას აზრი არა აქვს.[286] დადგა ის დრო, როდესაც ახალი სახელმწიფოს შექმნისთანავე საკითხავი ის კი არ არის, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანია იგი, არამედ ის, „შეძლებს თუ არა იგი გლობალურ სისტემაში თავისი ადგილის მონახვას".[287] მაშასადამე დღეისათვის

285 *The Economist*, January 3-9. 1998. p. 64

286 Roderick Peattie, *Look to the Frontiers: A Geography for Peace Table*. Harper and Brothers, New York, London, 1944. p.144

287 S.B. Cohen, "Impact of the Changing International System on the Nation State",

უკვე ნათელი გახდა, რომ პატარა ქვეყნები ეკონომიკური თვალსაზრისით განწირულნი არ არიან და ბევრ მათგანს ამ მხრივ მაღალგანვითარებული ქვეყნის სტატუსის მიღწევა ძალუძს.

მაშ რას ეფუძნებოდა პატარა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობათა მიმართ ტრადიციული უნდობლობა? ამის მიზეზი ორი იყო:პატარა ქვეყნების ბუნებრივი და ადამიანური რესურსების სიმცირე და მათი შიდა ბაზრის მცირე ტევადობა. რესურსების სიმცირეზე საუბრისას, პირველ ყოვლისა, ყურადღებას აქცევდნენ იმ გარემოებას, რომ პატარა ქვეყნის მცირე ფართობის ტერიტორიას შეუძლებელია დიდი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსები დაეტია. გარდა ამისა, პატარა ქვეყანას არც შრომითი რესურსები ექნებოდა საკმარისი და ვერც მაღალკვალიფიციური და მრავალი პროფილის მქონე მომზადებული მუშახელი ეყოლებოდა. შიდა ბაზრის მცირე ტევადობა ასევე მეტად უარყოფით მოვლენად განიხილებოდა, რადგან იგი არა მხოლოდ დივერსიფიცირებული ეკონომიკის, არამედ, საზოგადოდ, მასშტაბური წარმოების გაშლის შესაძლებლობებს არ ქმნიდა. ამის გამო პატარა ქვეყანა ვიწრო საწარმოო სპეციალიზაციას უნდა დასჯერებოდა და საკუთარი ეკონომიკა ცალმხრივად განევითარებინა. ამგვარი ცალმხრივობა ექსპორტის ვიწრო სპეციალიზაციას განაპირობებს, რაც ყოველთვის დიდ საფრთხეს ქმნის, რადგან ბაზრის კონიუნქტურის არასასურველი ცვლილებები სწორედ არადივერსიფიცირებული, ვიწრო სპეციალიზაციის მქონე პატარა ქვეყნებისათვის არის ყველაზე მტკივნეული და ზოგჯერ გამჩანაგებელიც კი.

პატარა ქვეყანა მართლაც ვერსად წაუვა რესურსების უკმარისობას და საკუთარი შიდა ბაზრის მცირე ტევადობას. ასევე ვერ გაექცევა იგი თავისი ეკონომიკის გარკვეულ ცალმხრივობას (ზოგჯერ უკიდურესსაც კი) და ამით გამონვეულ ვიწრო საწარმოო სპეციალიზაციას. ამიტომაც, პატარა ქვეყანა პროდუქციას, როგორც წესი, შეზღუდული ნუსხით აწარმოებს და ცდილობს საკუთარი ექსპორტი ვიწრო სპეციალიზაციის გზით კონკურენტუნარიანი გახადოს. ამავე მიზეზის გამო პატარა ქვეყანა დიდ ქვეყნებზე მეტადაა დამოკიდებული საერთაშორისო ვაჭრობაზე. მას ბევრი რამის შემოტანა ესაჭიროება, მაგრამ ამისათვის მისმა ექსპორტმა მაღალი შემოსავალი და იმპორტის გაშლის საშუალება უნდა შექმნას.

Paper Presented to the *90th Annual Conference of the Association of American Geographers*, San Francisco, 29 March-2 April, 1994

პატარა ქვეყანა აქტიურად უნდა ვაჭრობდეს, რადგან შემოსავლიანი ექსპორტის გარეშე მას განვითარების საშუალება არ ექნება. საექსპორტო დარგების განვითარება და გასატანი პროდუქციის სარფიანად გაყიდვა — პატარა ქვეყნის ეკონომიკის სასიცოცხლო პრობლემებია. უფრო მეტიც, პატარა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოება მისი ექსპორტის ეფექტურობაზეა დამოკიდებული. რაც უფრო პატარაა ქვეყანა, მით უფრო მაღალია საგარეო ვაჭრობის შეფარდება მის ეროვნულ შემოსავალთან.[288]

პატარა ქვეყნის ეკონომიკის დამახასიათებელი ნიშანია ვიწრო საექსპორტო სპეციალიზაცია; ბუნებრივია, რომ მცირე ეროვნულ ეკონომიკას ობიექტური მიზეზების გამო არ შეუძლია მრავალი სახის პროდუქცია აწარმოოს და ბევრი დარგი განავითაროს. როგორც წესი, პატარა ქვეყანაში ის დარგებია განვითარებული, რომლებშიც მას *შედარებითი უპირატესობა* აქვს მოპოვებული. ამგვარი უპირატესობა მას შეიძლება შეუქმნას გარკვეულმა ბუნებრივმა წიალისეულმა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ, იაფმა ან კვალიფიციურმა მუშახელმა, ხელსაყრელმა სატრანსპორტო-გეოგრაფიულმა მდებარეობამ, მომსახურების რომელიმე სახეობამ.

ბევრი პატარა ქვეყანა ადრე სხვისი კოლონია იყო. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყოფილი კოლონია, ჩვეულებრივ, ცდილობს საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაფერისი ეკონომიკური პოლიტიკა გაატაროს, ის სამეურნეო დარგები განავითაროს, რომლებიც მის დამოუკიდებელ არსებობასა და განვითარებას წაადგება. ყოფილი კოლონიისთვის დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმართვაზე, საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლაზე უფრო ძნელი ამოცანა ზოგჯერ სწორედ დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაა.

ამის მიზეზი კოლონიად ყოფნისას მეტროპოლიის ინტერესების შესაბამისად განვითარებული მისი ეკონომიკის *დარგობრივი* და *ტერიტორიული სტრუქტურაა*. მეტროპოლია კოლონიაში იმ დარგს ან დარგებს ავითარებს, რომლებიც მას აინტერესებს. ეს, რა თქმა უნდა, კოლონიური ტერიტორიის სპეციფიკისა და *შედარებითი უპირატესობების* გათვალისწინებით, მეტროპოლიის ბატონობის შედეგად ხდება. კოლონიაში ვითარდება ეკონომიკა, რომელიც ე.წ. *კოლონიური სტრუქტურით* ხასიათდება. პირველ

288 Simon Kuznets, *Economic Growth of Small Nations* ..., p. 20; A.D. Knox, "Some Economic Problems of Small Countries", In: Burton Benedict (Ed.), *Problems of Smaller Territories. University of London*, The Athlone Press. 1967, p.36.

ყოვლისა, ეს ნიშნავს მეტროპოლიის ინტერესებით განსაზღვრული ეკონომიკის ცალმხრივობასა და მის ვიწრო სპეციალიზაციას. როდესაც ყოფილი კოლონია დამოუკიდებელ ქვეყნად იქცევა, ეკონომიკის უკვე არსებული *კოლონიური სტრუქტურის* სწრაფად დანგრევა და ახლით შეცვლა ადვილად როდი ხდება.

ყოფილ კოლონიას არსებობისა და განვითარების უზრუნველსაყოფად ექსპორტისაგან მიღებული შემოსავალი ესაჭიროება. ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფო, როგორც წესი, კაპიტალისა და სახსრების უკიდურეს ნაკლებობას განიცდის. ამიტომ სასიცოცხლოდ აუცილებელი შემოსავლის მისაღებად იგი იძულებული ხდება მეტროპოლიის მიერ განვითარებული საექსპორტო დარგები გამოიყენოს. ამავე დროს ყოფილი კოლონია კმაყოფილი უნდა იყოს, თუ მისი საექსპორტო პროდუქცია ყოფილმა მეტროპოლიამ შეიძინა ან ტრადიციულ ბაზრებზე მისი გაყიდვა მოახერხა. ამიტომაც ყოფილი კოლონია, საკუთარი მეურნეობის კოლონიური სტრუქტურის რღვევისა და რესტრუქტურიზაციის სურვილის მიუხედავად, იძულებულია მისივე გამოყენებით მიიღოს შემოსავალი. მეურნეობის კოლონიურ სტრუქტურას ძლიერი ინერცია ახასიათებს.

ქვეყანას შეუძლია შეცვალოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია, მოიძიოს ახალი მოკავშირეები, მაგრამ მისთვის ტრადიციული (თუნდაც კოლონიური წარსულიდან შემორჩენილი!) სამეურნეო დარგებისა და ბაზრების სწრაფად შეცვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს განსაკუთრებით მაშინ რთულდება, როცა ყოფილი კოლონიის საექსპორტო დარგი თუ დარგები რომელიმე სასარგებლო წიაღისეულისა თუ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებაზეა დამყარებული. ნედლეულის ექსპორტი ჩამორჩენილთა ხვედრია. ამგვარი ექსპორტით ქვეყანას დიდი შემოსავალი ვერ ექნება.[289] ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას არ ექნება საკმარისი შესაძლებლობები განათლების, მეცნიერების გასავითარებლად, საკუთარ მეურნეობაში რესტრუქტურიზაციის მოსახდენად და ა. შ. ამიტომ სერიოზული იმედი შეიძლება მხოლოდ უცხოური კაპიტალის მოზიდვით იყოს ნასაზრდოები. უცხოურ კაპიტალს ამა თუ იმ ქვეყანაში იქაური ხელსაყრელი პირობები იზიდავს. უცხოელი ინვესტორის ინტერესს ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ნედლეული, იაფი და კვალიფიციური მუშახელი, ან რომელიმე

289 აქ არ იგულისხმება ნავთობის ექსპორტი, რომლითაც არაერთი პატარა ქვეყანა გამდიდრდა.

სხვა ფაქტორი განსაზღვრავს. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ზოგჯერ უცხოური ინვესტიციები სწორედ ყოფილი კოლონიის მეურნეობის ტრადიციულად წამყვანი, ყველაზე „კოლონიური" დარგების მიმართულებით მიედინება.

ეკონომიკურად ჩამორჩენილი პატარა ქვეყნების სასიცოცხლო ამოცანები აისახება მათ საგარეო პოლიტიკაში, რომელიც ძირითადად ეროვნული მეურნეობის რესტრუქტურიზაციას, რეზერვების შექმნას, ექსპორტის განვითარებას და მის დივერსიფიცირებას ემსახურება.

პატარა ქვეყნის ეკონომიკის ზოგიერთი თავისებურება. პატარა ქვეყნების ეკონომიკა მსოფლიო მეურნეობის ეკონომიკურ პარამეტრებზე (პირველ ყოვლისა, საერთაშორისო ფასებზე) შესამჩნევ ზემოქმედებას ვერ ახდენს. პატარა ქვეყნები კი, რომელთა უმრავლესობაც ერთი ან რამდენიმე სახის ნედლეულისა თუ ნახევარფაბრიკატების ექსპორტით არსებობს, საერთაშორისო ბაზრის კონიუნქტურას ყველაზე მეტად გრძნობენ. ამას ისიც ემატება, რომ პატარა ქვეყნების მიერ არც საერთაშორისო სატრანსპორტო ხარჯები განისაზღვრება და ისინი იძულებულნი ხდებიან საერთაშორისო ბაზრის მექანიზმების მეტწილად „პასიური" ნაწილები იყვნენ.

პატარა ქვეყნის ეკონომიკური სპეციალიზაცია, როგორც უკვე აღინიშნა, ვიწროა და ამდენად იგი საერთაშორისო ბაზრის არამდგრადი კონიუნქტურის, მისი არაპროგნოზირებადობის, გაურკვევლობის გამო თავს უსაფრთხოდ ვერ გრძნობს. თუ მისი საექსპორტო პროდუქცია სხვადასხვა მიზეზთა გამო (კონკურენტის გამოჩენა, ტექნოლოგიის შეცვლა, ბაზრის გაჯერება და სხვ.) ვერ გასაღდა, ამას პატარა ქვეყნისათვის უაღრესად ნეგატიური, ზოგჯერ კატასტროფული შედეგიც შეიძლება მოჰყვეს. პატარა ქვეყნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ექსპორტის გეოგრაფია რაც შეიძლება ვრცელი იყოს. ამით იგი საერთაშორისო ბაზრის კონიუნქტურის მერყეობით გამოწვეული უარყოფითი შედეგების მეტ-ნაკლებ შერბილებას შეძლებს.

პატარა ქვეყნისათვის განსაკუთრებით რთული პრობლემაა საერთაშორისო ბაზარზე მზა სამრეწველო პროდუქციის სარგებლიანად გატანა. უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ სამრეწველო განვითარების თვალსაზრისით საკმაოდ წინ წაიწია და თავის ექსპორტში უკვე სამრეწველო პროდუქციაც ჩართო. გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქ-

ცია უფრო ძვირადღირებულია, თუმცა მისი საწარმოო ხარჯებიც საკმაოდ მაღალია. თანამედროვე სამრეწველო პროდუქციის საწარმოებლად და საერთაშორისო ბაზარზე გასაყიდად, პირველ ყოვლისა, საჭიროა კაპიტალი, კვალიფიციური მუშახელი და თანამედროვე ტექნოლოგია. სამივე ხსენებული კომპონენტის მხრივ პატარა ქვეყნების დიდი ნაწილი, როგორც წესი, მოიკოჭლებს. ეს პირველ რიგში ეხება ეკონომიკურად ჩამორჩენილ პატარა სახელმწიფოებს. მათ არც დაგროვების საკმარისი შიდა წყაროები მოეპოვებათ, არც – კვალიფიციური მუშახელი და არც – თანამედროვე ტექნოლოგია.

საერთაშორისო ბაზარზე გამოჩენა და დამკვიდრება განსაკუთრებით რთული ამოცანაა ახალგაზრდა სუვერენული ქვეყნისათვის, რომელსაც არც საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში მონაწილეობის გამოცდილება აქვს და არც კონკურენტუნარიანი პროდუქციის მწარმოებელი მაღალგანვითარებული საწარმოო დარგები.[290] პატარა ქვეყნისათვის კი ხსენებული ამოცანის გადაწყვეტა კიდევ უფრო რთულია, რადგან იგი საკუთარ საწარმოო სპეციალიზაციას თავად ვერ განსაზღვრავს (ამას უმთავრესად საერთაშორისო ბაზარი სჩადის). რა თქმა უნდა, შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში საკუთარი „ნიშის" მონახვას ქვეყანა თვითონ უნდა ეცადოს, ამ მიზნის მისაღწევად სტრატეგია თვითონ უნდა განსაზღვროს, მაგრამ პატარა, ახალბედა ქვეყანას მისთვის სრულებით ახალ სამყაროში იქ უკვე დამკვიდრებული ნორმებისა და წესების შესაბამისად უწევს არსებობა. თუ დიდ, ძლიერ ქვეყანას თავად ძალუძს ხსენებული ნორმებისა და წესების შეცვლა ან გარკვეულწილად უგულებელყოფა, პატარა, ახალბედა ქვეყნისათვის უკვე არსებულ ურთიერთობათა სისტემასა და სტრუქტურებში ჩართვა და საკუთარი მეურნეობის საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ეფექტურად ამოქმედება მართლაც რომ ურთულესი ამოცანაა. თანამედროვე საერთაშორისო ბაზარი გაჯერებულია პროდუქციით, კონკურენ-

290 მკითხველს კარგად ეხსომება 80-იანი წლების მიწურულსა და 90-იანი წლების დასაწყისში ჩვენში საყოველთაოდ გავრცელებული ის გულუბრყვილო ლოზუნგები და იმედები, რომელთა შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო თავისი ჩაით, მანგანუმით თუ ბორჯომის წყლით მოკლე ხანში საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრდებოდა და საამურად იცხოვრებდა. ძნელია იმის თქმა, თუ რა ასაზრდოებდა ამგვარ წარმოდგენებს – სრული უმეცრება თუ პათოლოგიური ოპტიმიზმი.

ცია მაღალია, მიწოდება და მოთხოვნა გაწონასწორებულია. იქ ფეხის შედგმა და დამკვიდრება კი ახალბედა პატარა ქვეყნისათვის სასიცოცხლო ინტერესსა და აუცილებლობას წარმოადგენს.

მკვლევართა აზრით, საერთაშორისო ბაზარზე ფეხის მოკიდების მოსურნე პატარა ქვეყნისათვის უფრო ადვილია მინერალური თუ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ექსპორტის მეშვეობით მიაღწიოს ამას და არა გადამამუშავებელი მრეწველობის (განსაკუთრებით მანქანათმშენებლობის) პროდუქციის გატანით.[291] პატარა ქვეყნებში გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია საკუთარი ბაზრისთვის უფროა განკუთვნილი. რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ ისეთ მაღალგანვითარებულ პატარა ქვეყნებს (შვეიცარია, ნორვეგია, შვეცია, ავსტრია, ნიდერლანდები, ბელგია, დანია, ფინეთი, ისრაელი და ზოგიერთი სხვა), რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო შრომის დანაწილებაში და პირველხარისხოვან, კონკურენტუნარიან, ხოლო ზოგჯერ უნიკალურ სამრეწველო პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე ყიდიან.[292]

პატარა ქვეყნები (განსაკუთრებით კი „ახალბედები") კაპიტალის ნაკლებობას განიცდიან. ინვესტორებს, ჩვეულებრივ, უფრო დიდი ბაზრები იზიდავს. გარდა ამისა, მათ ბევრი არაფერი იციან ახალგაზრდა სუვერენული პატარა ქვეყნის შესახებ, არ იცნობენ მის საბაზრო თუ ბიზნესის გარემოს. ახალგაზრდა პატარა ქვეყნები ხშირად პოლიტიკურად არამდგრადები არიან, მათი საფინანსო და სამართლებრივი ინფრასტრუქტურა ნაკლებად მიმზიდველია უცხოელი ინვესტორებისათვის, რომელიც, ბუნებრივია, რისკს უნდა მოერიდოს. ახალგაზრდა პატარა ქვეყანამ რაც შეიძლება სწრაფად და შედეგიანად უნდა გამოიჩინოს თავი, უცხოელი ინვესტორებისათვის დროზე გახდეს მიმზიდველი. როგორც წესი, ახალგაზრდა პატარა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტას ამგვარი გამოცდილება არ გააჩნია. ამგვარ ქვეყანაში, ჩვეულებრივ, ძალიან ცოტაა საერთაშორისო ბიზნესის გარემოს, მისი ტრადიციების, ნორმებისა და წესების მცოდნე ხალხი. ახალბედა პატარა ქვეყანას ესაჭიროება მიმზიდველი საინვესტიციო

---

291 A. D. Knox, "Some Economic Problems of Small Countries", In: Burton Benedict (ed.), *Problems of Smaller Territories*, University of London. The Athlone Press, London, 1967, p. 40

292 გავიხსენოთ თუნდაც, შვეციის მანქანათმშენებლობის, ფინეთის ელექტრონული, ისრაელის სამხედრო მრეწველობის, შვეიცარიის ზუსტი მანქანათმშენებლობის, ფარმაცევტული და სხვა პროდუქცია.

კლიმატის, ასევე მიმზიდველი საკუთარი იმიჯის შექმნა. პატარა ქვეყანა ბევრია, მაგრამ უცხოელი ინვესტორები მათგან მხოლოდ ზოგიერთებს არჩევენ და იქ აბანდებენ თავიანთ კაპიტალს. ბევრმა პატარა ქვეყანამ უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ ვერა და ვერ გახდა მნიშვნელოვანი უცხოური ინვესტიციების ობიექტი.

პატარა ქვეყნებისათვის უზარმაზარი მნიშვნელობა ჰქონდა მრავალეროვნული კორპორაციების გავრცელებას. ხსენებული კორპორაციები განსაკუთრებით 60-იანი წლების შემდეგ მომრავლდა და მსოფლიო ეკონომიკური ცხოვრების ალბათ ყველაზე თვალსაჩინო და მძლავრი ფაქტორი გახდა.[293] ამ კორპორაციების შესახებ მათი მომრავლებისთანავე სხვადასხვა აზრი გაჩნდა. ერთნი ამ კორპორაციებს თანამედროვე ეკონომიკური პროცესების ლოგიკურ პირმშოდ და პროგრესის ფაქტორად მიიჩნევდნენ. მეორენი კი მათ ნეოკოლონიალიზმის, მდიდარი ქვეყნების მიერ სუსტების ექსპლუატაციის ინსტრუმენტად მოიაზრებდნენ. დღეისათვის ნათელი გახდა, რომ მრავალეროვნული კორპორაციები შემთხვევითი, ეფემერული მოვლენა არ არის. მათი რიცხვი ათობით ათასს აჭარბებს და მათი როლი თანამედროვე ეკონომიკურ პროცესებში მართლაც რომ განუზომელია. მრავალეროვნული კორპორაციები ბევრი პატარა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვან და ზოგჯერ განმსაზღვრელ როლს ასრულებენ.

სწორედ მრავალეროვნული კორპორაციების საქმიანობა უწყობს ხელს გლობალური მასშტაბით კერძო კაპიტალის ექსპორტს. მრავალეროვნულმა კორპორაციებმა წარმოების გეოგრაფია შეცვალეს. მათ წარმოების საერთაშორისო „რეორგანიზაცია" მოახდინეს.[294] სწორედ მათი მეცადინეობით მოხდა გადამამუშავებელი მრეწველობის ზოგიერთი დარგის (ელექტრონული, სამკერვალო და სხვ.) განვითარებად (მათ შორის ბევრ პატარა ქვეყანაში) „მი-

---

293 იხ:Thomas D. Lairson, David Skidmore, *International Political Economy: The Struggle for Power and Wealth,* Harcourt Brace Jovanovich College Publishers, Fort Worth, 1993, pp. 251-274; David H. Blake, Robert S. Walters, *The Politics of Global Economic Relations,* Third Edition. Prentice-Hall, Inc., Englewood Cliffs, N.J., 1987, pp. 90-138; Joan Edelman Spero, *The Politics of International Economic Relations,* Fourth Edition. St. Martin's Press, New York, 1990, pp. 103-144, 236-260

294 Joseph Grunwald, Kenneth Flamm, *The Global Factory: Foreign Assembly in International Trade,* The Brookings Institution, Washington, D.C., 1985, pp. 1-10

გრაცია.“ მრავალეროვნულმა კორპორაციებმა ხსენებული დარგები ამ ქვეყნებში, ცხადია, მოგების გაზრდის სურვილით დაამკვიდრეს, მაგრამ ბევრმა ჩამორჩენილმა სახელმწიფომ ამის წყალობით უმუშევრების ნაწილი დაასაქმა, გარკვეული მოგება მიიღო, ახალ ტექნოლოგიასა და თანამედროვე მენეჯმენტს დაეუფლა, ექსპორტი გაზარდა და ამით დაგროვების შესაძლებლობაც მიიღო. საკმარისია გავიხსენოთ ჰონკონგი, სინგაპური, ჩილე, ტაივანი, ირლანდია, რომლებიც თავიანთი მთავრობების მიერ შემუშავებული შედეგიანი სტრატეგიისა და მათ ეკონომიკაში მრავალეროვნული კორპორაციების აქტიური ჩაბმის შედეგად სწრაფი ეკონომიკური განვითარების გზას დაადგნენ და საკმაოდ მაღალ დონეს მიაღწიეს.

ბევრმა პატარა ქვეყანამ მაღალ ეკონომიკურ მაჩვენებლებს ნედლეულის ექსპორტითაც მიაღწია. ეს, პირველ ყოვლისა, ნავთობის ექსპორტს ეხება. ამ სტრატეგიული ნედლეულის ფასები საერთაშორისო ბაზარზე დიდხანს მაღალი რჩებოდა და ნავთობით მდიდარმა ბევრმა პატარა ქვეყანამ მისი საშუალებით (ნავთობის მოპოვებას, გადამუშავებას და ექსპორტს ამ ქვეყნებში უმეტესწილად მრავალეროვნული კორპორაციები აწარმოებენ) დიდძალი მოგება მიიღო და ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ განვითარებული ეკონომიკის შექმნა მოახერხა. ამის კარგი მაგალითია კუვეიტი, საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბული საამიროები, ბრუნეი და ზოგიერთი სხვა ქვეყანა.

სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი ათამდე პატარა ქვეყანა (მაღალგანვითარებულ ევროპულ ქვეყნებს არ ვგულისხმობ) უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ეკონომიკურად შესამჩნევად მომძლავრდა. მათგან ზოგიერთმა (საუდის არაბეთი, კუვეიტი და სხვ.) განვითარებულ სამრეწველო ქვეყნებში კაპიტალიც კი დააბანდა. ნავთობით მდიდარმა პატარა ქვეყნებმა თავიანთი პოლიტიკური „წონაც“ კი გაზარდეს. მათ თავიანთი ქმედებებით შეუძლიათ ნავთობის წარმოებისა და მოხმარების სფეროში სერიოზული ცვლილებები გამოიწვიონ (გავიხსენოთ თუნდაც 1974 წლის მსოფლიოს ენერგეტიკული კრიზისი და მისი შედეგები).

სწრაფ ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად, ზოგიერთმა პატარა ქვეყანამ ატომური იარაღის შექმნაც კი მოახერხა. ამ მხრივ პირველია ისრაელი, მაგრამ, ვინ იცის, მომავალში ამას კიდევ რამდენი პატარა ქვეყანა შეძლებს; ეს კი საერთაშორისო სისტემაში ვითარებას მნიშვნელოვნად შეცვლის.

პატარა ქვეყნები, როგორც აღვნიშნეთ, სამხედრო-პოლიტი-

კური სისუსტის გარდა, უმეტესწილად ეკონომიკურადაც სუსტნი არიან. ამის გამო ისინი პოლიტიკურად კიდევ უფრო დიდ გასაჭირში შეიძლება აღმოჩნდნენ, რადგან არ არის გამორიცხული ძლიერმა ქვეყნებმა, რომლებიც მათ საექსპორტო პროდუქციას ყიდულობენ, ამ ბერკეტის გამოყენება მოინდომონ და მათ იმპორტის შემცირებით დაემუქრონ. ეს კი პატარა ქვეყნისათვის თითქმის კატასტროფის ტოლფასია. პატარა ქვეყნების მიმართ ამგვარ ქმედებებს ძლიერი ქვეყნები ზოგჯერ წარმატებით იყენებენ.

ეკონომიკურად სუსტი პატარა ქვეყანა ხშირად ამა თუ იმ ძლიერ ქვეყანაზე ხდება დამოკიდებული, რომლისგანაც საფინანსო და ეკონომიკურ მხარდაჭერას იღებს. საპასუხოდ კი ძლიერი ქვეყანა მასზე დაქვემდებარებული პატარა ქვეყნისაგან პოლიტიკურ მხარდაჭერას მოითხოვს ხოლმე. ეს მხარდაჭერა შეიძლება გამოიხატოს მცირე ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის ან ბაზების განლაგების თხოვნაში, გაეროსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში ხმის მიცემისას თანადგომაში და სხვ.

პატარა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ შიდა ბაზრის მცირე ტევადობის გამო მის ტერიტორიაზე ფართომასშტაბიანი წარმოების განვითარებას აზრი ეკარგება. თუ მის ტერიტორიაზე საწარმო მუშაობს, იგი თავისი პროდუქციის დიდ ნაწილს საექსპორტოდ უნდა აწარმოებდეს. პატარა ქვეყნების უმრავლესობას ფართომასშტაბიანი წარმოების გაშლა პრაქტიკულად ამიტომაც არ ძალუძს. ამგვარი წარმოება აქამდე მხოლოდ მაღალგანვითარებულ პატარა სამრეწველო ქვეყნებში (შვეცია, ჰოლანდია, შვეიცარია და სხვ.) იყო, მაგრამ თანამედროვე მრავალეროვნული კორპორაციები სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობას ძლიერ აკნინებენ, რადგან მათი საქმიანობა გლობალური მასშტაბისაა და ხშირად ისინი თავიანთ მსხვილ საწარმოებს სწორედ პატარა ქვეყნების ტერიტორიაზე ქმნიან, თუ ამას სარფიანი საქმის ინტერესები მოითხოვს.

პატარა ქვეყანა იმდენად არის დამოკიდებული საერთაშორისო ბაზარზე, საერთაშორისო ვაჭრობაზე, რომ რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა გვეჩვენოს, იგი დიდ ქვეყანაზე მეტად უნდა ზრუნავდეს საკუთარ ეკონომიკურ თვითკმარობაზე, გარეშე ეკონომიკური კრიზისისა თუ სხვა უარყოფითი მოვლენების შემარბილებელ საკუთარ მექანიზმებზე.

მართალია, თავისუფალი ვაჭრობა და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია ბევრს აშინებს. ფიქრობენ, რომ პატარა

ქვეყნები ამ პროცესის შედეგად კიდევ უფრო შესუსტდებიან, მაგრამ ამჟამინდელი ვითარება გვიჩვენებს, რომ თავისუფალი ვაჭრობის მექანიზმებისაგან ყველაზე მეტად მოგებულნი პატარა ქვეყნები რჩებიან. ისინი ყველაზე მეტს ვაჭრობენ, საერთაშორისო ვაჭრობა მათი უმეტესობის „პროფესია" გახდა. საერთაშორისო ვაჭრობის განუხრელმა ზრდამ გააძლიერა საწარმოო სპეციალიზაცია. პატარა ქვეყნები იძულებულნი გახდნენ კიდევ უფრო ვიწრო სპეციალიზაციაზე გადასულიყვნენ, რამაც მათი საერთაშორისო ბაზარზე დამოკიდებულება უფრო გაზარდა. სამაგიეროდ, შედეგიანმა სპეციალიზაციამ მათი განვითარება უზრუნველყო. სპეციალიზაციას ეფექტიანობა უნდა მოყვეს. თუ პატარა ქვეყანამ ეფექტიანი სპეციალიზაციის მეშვეობით საერთაშორისო ბაზარზე ადგილი დაიმკვიდრა, მისი საქმე რიგიანად წავა. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სპეციალიზაციაზე საუბრისას, პირველ ყოვლისა, ვგულისხმობთ მომგებიან სპეციალიზაციას ისეთ თანამედროვე დარგებში, როგორიცაა საფინანსო მომსახურება, ელექტრონული სისტემები, ინფორმაციის დამუშავება და სხვ. გავიხსენოთ ხსენებული სპეციალიზაციის დარგებში თუნდაც სინგაპურის, ირლანდიის, კვიპროსის და სხვა პატარა ქვეყნების მიღწევები.

მიუხედავად იმისა, რომ გლობალიზაციის პროცესი პატარა ქვეყნებს ახალ პერსპექტივებს უქმნის, საერთაშორისო ვაჭრობაში დაქვემდებარებული როლი მათ ეკონომიკურ განვითარებას აბრკოლებს.

მაიკლ ჰანდელის აზრით, პატარა ქვეყნებს საერთაშორისო ვაჭრობაში ძირითადად შემდეგი პრობლემები ექმნებათ[295]:

1. იმის გამო, რომ გარკვეული პროდუქციის წარმოებით არიან ვიწროდ სპეციალიზებულნი, მათ მეტად უძნელდებათ ეკონომიკური თვითკმარობის მიღწევა. ამის შედეგად ისინი საერთაშორისო ვაჭრობაზე, თავიანთი ექსპორტის ეფექტურობაზე არიან ძლიერ დამოკიდებულნი;
2. პატარა ქვეყნების ექსპორტ-იმპორტის შეფარდება მათი ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მაჩვენებელთან ბევრად აღემატება დიდი, ძლიერი ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს;
3. დიდ ქვეყნებთან შედარებით მათი საგარეო ვაჭრობის გეოგრაფია ბევრად უფრო შეზღუდულია.

---

295 Handel, Michael, *Weak States in the Internatinoal System*, Frank Cass, London, 1990, p. 235.

4. პატარა ქვეყნის ეკონომიკას მასშტაბური წარმოების გაშლა არ გამოადგება, რადგან მისი შიდა ბაზარი საკმარისად ტევადი არ არის. გარდა ამისა, ამგვარი წარმოების განვითარებას ესაჭიროება ძლიერი სამეცნიერო-კვლევითი ბაზა, რომლის შექმნის საფინანსო და სხვა საშუალებები, პატარა ქვეყანას, როგორც წესი, არ გააჩნია. თუ პატარა ქვეყანამ მაინც შეძლო მასშტაბური წარმოების შექმნა, მაშინ იგი საგარეო ბაზრებზე დიდად იქნება დამოკიდებული.

სუსტად განვითარებული პატარა ქვეყნების უმრავლესობის ეკონომიკის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მსოფლიო მეურნობაში დაქვემდებარებულ როლს ასრულებენ.[296] ისინი განვითარებულ ქვეყნებზე არიან დაქვემდებარებულნი საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურით, ფინანსებით და კაპიტალდაბანდებების სფეროთი. ბუნებრივია, რომ ძირითადი საფინანსო რესურსები, უძლიერესი ბანკების უმრავლესობა განვითარებულ ქვეყნებშია თავმოყრილი და პატარა, სუსტ ქვეყნებს სესხებისა და ფინანსური დახმარების მიღება მათგან უწევთ. კაპიტალიც განვითარებული ქვეყნებიდან მოდის.

პატარა განვითარებადი სახელმწიფოები მათი კაპიტალის ექსპორტზეა დამოკიდებულნი. საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურაში პატარა განვითარებადი ქვეყნების ადგილსა და როლს რაც შეეხება, მათ ხსენებული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების არასაკმარისი დონე, ექსპორტის არადივერსიფიცირებულობა, ექსპორტში ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების დომინირება განსაზღვრავს. ყოველივე ამის შედეგად პატარა განვითარებადი ქვეყნები ეკონომიკურად დაქვემდებარებულ როლს სჯერდებიან. უფრო მეტიც, ხშირად ეკონომიკურ დაქვემდებარებას პოლიტიკური დაქვემდებარებაც ერთვის.

---

296 ჩვენ არ ვეხებით დაქვემდებარების თეორიულ საკითხებს და, საზოგადოდ, დაქვემდებარების თეორიას. ხსენებული თეორიის შესახებ. იხ.:Susanne Bodenheimer. "Dependency and Imperialism: The Roots of Latin American Underdevelopment", In: K.T. Fann and D.C. Hodges (Eds.), *Readings in U.S. Imperialism*, Porter Sargent, Boston, 1971, pp.155-182; Theotonio Dos Santos, "The Structure of Dependence", In: Robert J. Art, Robert Jervis (Eds.), *International Politics*, Second Edition. Harper Collins Publishers, 1985,pp.3030311; D.Seers, *Dependency Theory: A Critical Reassessment*, Frances Pinter, London, 1982; ალექსანდრე რონდელი. საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, თბილისი, 1996, გვ.164-176

ძალზე საყურადღებოა განვითარებული პატარა ქვეყნების ეკონომიკური ასპექტების განხილვა. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ქვეყნების რიცხვი ნელა, მაგრამ მაინც იზრდება. ზოგიერთი პატარა ქვეყანა არ არის „მაღალგანვითარებული" ამ ტერმინის ზუსტი მნიშვნელობით, მაგრამ მისი მოსახლეობის ცხოვრების დონე საკმაოდ მაღალია და ეკონომიკური კეთილდღეობის გარკვეული დონეა მიღწეულია. ამიტომაც, მაღალგანვითარებულ პატარა ქვეყნებთან ერთად (შვეიცარია, ნიდერლანდები, შვეცია და სხვ.) არსებობენ ისეთი პატარა ქვეყნებიც, რომელნიც ეკონომიკური კეთილდღეობის მიხედვით აშკარად უსწრებენ პატარა ქვეყნების უმრავლესობას. ამ ქვეყნების კატეგორიაში იგულისხმებიან კვიპროსი, კოსტა-რიკა, პუერტო-რიკო, სეიშელის კუნძულები და სხვ. არაფერს ვამბობთ ნავთობის ექსპორტით გამდიდრებულ კუვეიტზე, საუდის არაბეთზე და სხვებზე.

1982 წელს ხუთმა პატარა ევროპულმა ქვეყანამ (შვეიცარიამ, შვეციამ, ნორვეგიამ, დანიამ და ლუქსემბურგმა) მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ სულზე მაჩვენებლით მსოფლიოში ყველაზე მაღალგანვითარებულ სახელმწიფოს, აშშ-ს გაუსწრო. დასავლეთ ევროპის პატარა ქვეყნები მსოფლიოს პატარა ქვეყნებისათვის პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური დინამიზმის თვალსაჩინო მაგალითად იქცნენ. მართალია, იმავე ევროპაში არის პატარა ქვეყნები (პორტუგალია, საბერძნეთი), რომლებიც ამ მხრივ კვლავ საგრძნობლად ჩამორჩებიან.[297]

ინტეგრაციულმა პროცესებმა განვითარებულ პატარა სახელმწიფოებსაც რთული პრობლემები შეუქმნა. ხსენებული ქვეყნების ეკონომიკის გახსნილობამ იმატა და ისინი გარეშე პროცესების მიმართ უაღრესად მგრძნობიარენი გახდნენ. ამავე დროს მათ მოახერხეს ახალ პირობებთან შეგუება. ამ ქვეყნების პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ელიტამ თავის დროზე დაიწყო ცვლილებებისადმი შეგუების საკუთარი ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება. დასავლეთ ევროპის მაღალგანვითარებული პატარა სახელმწიფოების ეკონომიკის ექსპერტებმა, ვერ მოახერხეს მათ წარმატებულ განვითარებაში და ცვლილებებისადმი შეგუებაში ყველა მათგანისათვის საერთო ზოგადი შეხედულებებისა თუ მე-

297 მხედველობაში არა გვაქვს ყოფილი ე.ნ. სოციალისტური ბლოკის სახელმწიფოები (ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი და სხვები), რომლებმაც საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა მხოლოდ 80-იანი წლების მინურულიდან დაიწყეს.

თოდების ამოცნობა.[298]

მაღალგანვითარებულმა პატარა ქვეყნებმა შედეგს მიაღწიეს არა მხოლოდ საკუთარი რესურსებისა და შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენებით, არამედ ზედმიწევნით კარგად შემუშავებული ეკონომიკური სტრატეგიის მეშვეობით, რომლის არსი ეკონომიკურ მოქნილობასა (იგულისხმება გარეშე ცვლილებებისადმი შეგუების უნარი) და პოლიტიკურ სტაბილურობას შორის წონასწორობის შენარჩუნების მიღწევაში მდგომარეობდა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ხსენებული ქვეყნის განვითარების პროცესში სახელმწიფო პოლიტიკა მეტ-ნაკლებ როლს ასრულებდა. ადგილი არ ჰქონდა საერთაშორისო ბაზრის ცვლილებებისადმი სტიქიურ შეგუებას. *პიტერ კატცენსტაინის* აზრით, მაღალგანვითარებული პატარა ქვეყნების ამგვარ მიღწევაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ე.წ. დემოკრატიულმა კორპორატიზმმა, რომელიც იმავე *კატცენსტაინის* შეხედულებით, სამი ელემენტისაგან შედგება:ეროვნულ დონეზე გამოხატული სოციალური თანამშრომლობის იდეოლოგია; ინტერესთა ჯგუფების შედარებით ცენტრალიზებული და კონცენტრირებული სისტემა; მიზნებისა და ინტერესების კონფლიქტურობის შერბილება და ინტერესთა ჯგუფებს შორის ქმედებათა კოორდინირება და პოლიტიკური ვაჭრობა, რაშიც მონაწილეობას სახელმწიფო ბიუროკრატია და პოლიტიკური პარტიები იღებს.[299] ამგვარმა თანამშრომლობამ ეკონომიკური შედეგიც მოიტანა და პოლიტიკური სტაბილურობაც უზრუნველყო.

პატარა ქვეყნების ეკონომიკური სფეციფიკა რთულია და ჯერაც არ არის საკმარისად შესწავლილი. მისი შესწავლა განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როცა საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ძირეული ცვლილებები მიმდინარეობს, უკიდურესად ღრმავდება ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, უარესდება მრავალი პატარა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა და იზრდება მათი დაქვემდებარება. ამავე დროს, როგორც აღინიშნა, ზოგიერთი პატარა ქვეყანა ხსენებულ ცვლილებებს საკმაოდ შედეგიანად ეგუება და საკუთარი ეკონომიკური უსაფრთხოებისა

---

298 იხილეთ ამ საკითხის ერთ-ერთი საუკეთესო ექსპერტის *პიტერ კატცენსტაინის* ცნობილი შრომა: Peter J. Katzenstein, *Small States in World Markets: Industrial Policy in Europe*, Cornell University Press, Ithaca and London, 1993.pp.28-29

299 Peter J. Katzenstein, *Small States in World Markets...*, pp.30-37

და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფას ახერხებს. ყოველი პატარა ქვეყანა, მიუხედავად იმისა, რომ სხვების ეკონომიკასთან მის ეკონომიკას ბევრი საერთო აქვს, საკუთარი ეკონომიკური სტრატეგიის მეშვეობით ცდილობს როგორც ქრონიკულ, ისე უახლესი ძვრებითა და ცვლილებებით შექმნილ ეკონომიკურ პრობლემებთან გამკლავებას.

ჯერაც/კვლავაც მძიმეა ადრინდელი პატარა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური ვითარება, რომლებიც ცენტრალიზებულიდან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ფაზაში იმყოფებიან და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების შერბილებასა და გადაჭრას ცდილობენ.[300]

პატარა ქვეყნების ეკონომიკური ასპექტების განხილვიდან რა დასკვნების გამოტანა შეგვიძლია? როგორი უნდა იყოს პატარა, ეკონომიკურად სუსტი ქვეყნის სტრატეგია საკუთარი ეკონომიკის განმტკიცებისა და გარედან მომდინარე შესაძლო უარყოფითი გავლენის შედეგების შემცირების მიზნით?[301] თუ შევეცდებით არსებული შეხედულებებისა და „რეცეპტების" განზოგადებას, მივიღებთ შემდეგი სახის რეკომენდაციებს, რომელთა განხორციელებაც ნებისმიერი პატარა ქვეყნისათვის რთულ ამოცანას წარმოადგენს:

1. პატარა ქვეყანა საკუთარი მეურნეობისა და ექსპორტის დივერსიფიცირებას უნდა ცდილობდეს. ამით იგი ნაკლებად იქნება დაქვემდებარებული ცალმხრივი ექსპორტის (ზოგჯერ ე.წ. „მონოკულტურის") შემოსავლის ფლუქტუაციაზე. გარდა ამისა, ამ გზით ქვეყანა ეკონომიკურად უფრო თვითკმარი გახდება. ამასთანავე ქვეყანა, აგრეთვე, საგარეო ვაჭრობაზე და მასში მიმდინარე უარყოფით პროცესებზე ნაკლებად იქნება დამოკიდებული;

2. პატარა ქვეყანა სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსისა და ორიენტაციის კონტრაგენტთა შერჩევით უნდა ცდილობდეს საკუთარი საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიის გაფართოებას. გარ-

300 ხსენებული პატარა ქვეყნების ეკონომიკური პრობლემების შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ.

301 ამ საკითხის შესახებ იხილეთ: Albert O. Hirshman. *National Power and the Structure of Foreign Trade,* University of California Press. Berkeley.1969; Klaus Knorr, *Power and Wealth: The Political Economy of International Power,* Basic Books. New York. 1973; Peter J. Lloyd, *International Trade: Problems of Small Nations,* Duke University Press, Durham.1968

და ამისა, ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ ბაზრების რიცხვის გაზრდას, არამედ დაახლოებით ერთი „სიდიდის“ ბაზრების მოძიებას;

3. პატარა ქვეყანა უნდა ცდილობდეს საკუთარი საგარეო ვაჭრობა პატარა (სუსტ) პარტნიორებთან წარმართოს. თუმცა, ამ შემთხვევაში ზოგჯერ შეიძლება ამ უკანასკნელთა გადახდისუნარიანობის პრობლემა წამოიჭრას.

4. პატარა ქვეყანა უნდა მოერიდოს მხოლოდ ერთ პარტნიორთან ვაჭრობას (განსაკუთრებით თუ იგი ძლიერი სახელმწიფოა);

5. პატარა ქვეყანა საკუთარი ეკონომიკური განვითარების დაჩქარების მიზნით უნდა ისწრაფოდეს თავისი შედარებითი უპირატესობის იმ ელემენტთა გამოყენებას, რომლებიც შესაძლოა სიახლეს და ამავე დროს პოტენციურად მძლავრ ეკონომიკურ ფაქტორს წარმოადგენდეს. ამის მაგალითია საკომუნიკაციო სისტემები, ინფორმაციის დამუშავება და სხვ. ტექნოლოგიური სიახლეები გლობალური მასშტაბისაა, მაგრამ ზოგიერთ პატარა ქვეყანას მათი ხელსაყრელად გამოყენება ძალუძს;

6. პატარა ქვეყანა გარედან ეკონომიკური ზეწოლის, შანტაჟისა და ბლოკადის შესაძლებლობას უნდა აცნობიერებდეს და შეძლებისდაგვარად ამ მიმართულებით თადარიგის დაჭერას ცდილობდეს;

7. პატარა ქვეყანა ცდილობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

გლობალიზაცია ქვეყნებს საწარმოო სპეციალიზაციის ბევრ შესაძლებლობას უქმნის. შრომის საერთაშორისო დანაწილების კიდევ უფრო გაღრმავებით პატარა ქვეყნებს, განსხვავებით დიდებისაგან, საწარმოო სპეციალიზაციის მეტი საშუალება ექმნებათ.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციამ და საერთაშორისო ვაჭრობაზე შეზღუდვების მოხსნამ დიდი, ტევადი ბაზრების უპირატესობები შეამცირა და თავის მხრივ გაზარდა გლობალურ ბაზარზე შეღწევის შესაძლებლობები. გლობალურ ბაზარზე შეღწევა ტრადიციულად ადვილი არ იყო პატარა ქვეყნებისათვის, რომელთა მცირე, არატევადი ეროვნული ბაზრები ზღუდავდნენ ხსენებული ქვეყნების ეკონომიკურ შესაძლებლობებს. ამჟამად კი გლობალური ბაზარი, ტრანსპორტისა

და კომუნიკაციის სწრაფად შემცირებული ხარჯების მიზეზით, სულ უფრო „შინაური“ ხდება ყველა სიდიდის ქვეყნებისათვის. პატარა ქვეყნების შეფარდებითი პოზიცია გლობალიზაციის შედეგად გაუმჯობესდა. გლობალური ბაზრის ბევრი სექტორი (გარდა სოფლის მეურნეობის, საფეიქრო და ფეხსაცმლის წარმოების, ფოლადის) პრაქტიკულად ღიაა ყველასათვის.

ადრე, 60-იან წლებამდე, კონკურენცია ეფუძნებოდა მდებარეობის, იაფი რესურსებისა და იაფი ენერგიის ფაქტორებს. 60-იანი წლებიდან მოყოლებული კონკურენტუნარიანობის მისაღწევად სულ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორები ხდება იაფი მუშახელი, ტექნოლოგია, ცოდნა და ინფორმაცია. პარალელურად იზრდებოდა დროის ფაქტორის მნიშვნელობა. მეცნიერების, ცოდნის შედარებითი უპირატესობის ფაქტორის თვალსაზრისით ბევრი პატარა ქვეყანა ჯერ კიდევ არ არის კონკურენტუნარიანი, მაგრამ სხვა ფაქტორების თვალსაზრისით მათი კონკურენტუნარიანობა ნაკლებად იზღუდება. თუ პატარა ქვეყანა მოახერხებს განათლებისა და მეცნიერების სფეროში შედეგიანი პოლიტიკის ცხოვრებაში გაატარებას, მას შეუძლია გლობალიზაციის პირობებში საკმაოდ კონკურენტუნარიანი გახდეს.

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებები პატარა ქვეყნებს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესების მეტ პირობებს უქმნის, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელნი უნარიანად ეგუებიან მიმდინარე ცვლილებებს და მოქნილი სტრატეგიის გამოყენებით მოქმედებენ. პატარა ქვეყანა, წესით, უფრო სწრაფად და ადვილად უნდა ეგუებოდეს ცვლილებებს, რაც გლობალიზაციის პირობებში განსაკუთრებით საჭიროა.

თავი 3

პატარა სახელმწიფოების ახალი ტიპი: პოსტსაბჭოური სახელმწიფო

უანგელოზოს საყდარსა
ეშმაკი დაჰპატრონდება.
ვაჟა-ფშაველა

სოციალისტური ბანაკისა და საბჭოთა კავშირის დაშლამ, საბაზრო ეკონომიკებად და დემოკრატიულ ქვეყნებად ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოების განვითარებამ მსოფლიოს 20-ზე მეტი ახალი პატარა სახელმწიფო შემატა.

ხსენებული ქვეყნები ისტორიულად მეტად თავისებური წარმონაქმნებია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მართლაც უნიკალურნი არიან. აქამდე ისტორიისათვის უცნობი იყო ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე მრავალეროვანი ტოტალიტარული იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოების საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის ქვეყნებად გარდაქმნის შემთხვევები. ეს ახალი ქვეყნები გარკვეულწილად „მუტანტებია"; მათი განვითარება XX საუკუნის მანძილზე ხელოვნური პოლიტიკური და ეკონომიკური სქემების საფუძველზე მოხდა და ამდენად, გარკვეული თვალსაზრისით, ისტორიულ ექსპერიმენტს წარმოადგენდა. ხელოვნურმა მარქსისტულმა სქემებმა არ გაამართლა, შეიწირა ათობით მილიონი ადამიანი, დიდძალი რესურსები ქარს გაატანა და ამ „ექსპერიმენტში" ჩართული ერები ისტორიული განვითარების გზას დიდი ხნით ჩამოაშორა. 80-იანი წლების მიწურულიდან და 90-იანი წლების დასაწყისიდან, ეს ქვეყნები კვლავ ბუნებრივი განვითარების გზას უბრუნდებიან და თავიანთი მძიმე ხვედრის გამოსწორებას ცდილობენ.

დედამიწაზე ახლადწარმოქმნილი პატარა ქვეყნები უჩვეულო და ურთულეს პირობებში ცდილობენ ფეხზე წამოდგომას და საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში თავიანთი ადგილის პოვნას.

როცა პატარა ქვეყნების მეტად თავისებური ჯგუფის, ახალი ტიპის შესახებ ვსაუბრობთ, ბუნებრივია, რომ ამ დროს ხსენებული ქვეყნების მართლაც ახალ სპეციფიკურ ნიშნებს, თვისებებს

და მათ შეთანაწყობას ვგულისხმობთ. სიახლე, სპეციფიკურობა — —ხშირად განუმეორებლობა, უნიკალურობაა. ახალი, განსხვავებული ტიპის (ყოფილი სოციალისტური თუ საბჭოთა) ქვეყანა ჯერ-ჯერობით 23-ია (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია, ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, მოლდოვა, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, მონღოლეთი). მათ რიცხვს მალე, ალბათ, დაემატება კუბა, კსდრ (ჩრდილოეთი კორეა) და ჩინეთი.

მათი დიდი ნაწილი (რუსეთის, პოლონეთის, ჩინეთისა და უკრაინის გარდა) პატარა, სამხედრო-პოლიტიკურად და ეკონომიკურად სუსტი სახელმწიფოებია[302]. მათი ნაწილი *კვაზი-სახელმწიფოებია*, რადგანაც მათ არ გააჩნიათ სუვერენული სახელმწიფოებრიობის საკმარისი ტრადიციები.

რატომ არიან ხსენებული ქვეყნები უნიკალურნი? წარმოადგენენ თუ არა ისინი ნამდვილად თანამედროვე სახელმწიფოთა სპეციფიკურ, ახალ ტიპს?

როგორც უკვე აღინიშნა, მათი დიდი ნაწილი (15 ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა) კომპაქტური (ტერიტორიულად დაუნაწევრებელი), მრავალეროვანი, ტოტალიტარული იმპერიის ნარჩენებს წარმოადგენს. ამავე დროს პოლიტიკურად, სოციალურ-ეკონომიკურად და კულტურულად ისინი, როგორც უკვე ითქვა, „მუტანტი" სახელმწიფოები არიან. ზოგიერთ მათგანს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გარკვეული, შედარებით ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, ზოგიერთს კი პირველად უწევს სახელმწიფოებრიობის შექმნა. უმრავლესობას თანამედროვე სახელმწიფოებრიობის არანაირი გამოცდილება არა აქვს (მხოლოდ ესტონეთი, ლატვია და ლიტვა იყვნენ დამოუკიდებელნი დაახლოებით 20 წლის მანძილზე, ხოლო საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობამ მეოცე საუკუნის დასაწყისში 3 წელიწადს ვერ გადააჭარბა).

რუსეთის და უკრაინის გარდა, ყოფილი საბჭოთა რესპუბ-

---

302 ამგვარი ქვეყნების ზოგიერთი თავისებურების შესახებ იხ.:Alexander Rondeli, "Civil Security in Transition", *War Report*, N 45, September 1996, pp.22-23; Alexander Rondeli, "The Nature of Security Problematique in the CIS", In: S. Neil MacFarlane and Oliver Thranert (Eds.), *Balancing Hegemony. The OSCE in the CIS*, Centre for International Relations, Queen's University, Kingston, 1997, pp. 17-25

ლიკების უმრავლესობა პატარა სახელმწიფოა (ყაზახეთიც და უზბეკეთიც პატარა, სუსტი ქვეყნების კატეგორიას მიეკუთვნება).

ამავე დროს, ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა (დიდიც და პატარაც), თანამედროვე ერი-სახელმწიფოს საკმარისი ტრადიციებისა და გამოცდილების უქონლობის გამო ჯერაც, ე.წ. *კვაზი-სახელმწიფოდ* შეგვიძლია მივიჩნიოთ.[303] ამ ქვეყნების სახელმწიფოებრიობა, სახელმწიფო ინსტიტუტები ძირეულ ცვლას განიცდის, ზოგიერთი ინსტიტუტი კი თავიდან იქმნება. სახელმწიფოს, საზოგადოებას კორუფციის მძიმე სენი სჭამს და სახელმწიფო ინსტიტუტები არაეფექტურია.[304]

ამ სახელმწიფოთა შიგნით უაღრესად სუსტია სამოქალაქო საზოგადოების ელემენტები, ადგილობრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კულტურაში პრაქტიკულად არ იგრძნობა დემოკრატიის ტრადიციები და მოსახლეობის მენტალიტეტში ჯერჯერობით ეთნიკური ნაციონალიზმია გამჯდარი, თვითშეგნებისა და თვითიდენტურობის ძირითადი და ხშირად ერთადერთი ფორმა ეთნიკური კუთვნილებაა.

ამ სახელმწიფოთა საზოგადოებაში ჯერ კიდევ მძლავრობს „საბჭოთა" მენტალიტეტი და მართვის „საბჭოური" კულტურა. მოსახლეობაში კორუფციასთან ერთად ფესვები აქვს გადგმული კუთხურობას, უზნეო ინდივიდუალიზმს, ინიციატივის უქონლობას და ძლიერი ლიდერის (ავტორიტარული ლიდერის თუ დიქტატორის) იმედად ყოფნას, ეთნიკურ და რელიგიურ ქიშპს, ნაციონალიზმს და შოვინიზმს და ამის შედეგად სეპარატიზმსა და ირედენტიზმს[305].

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ახალ სუვერენულ სახელმწიფოებად გადაიქცნენ, მაგრამ ბევრი მათგანშიის შიგნით შეინიშნება თვითგამორკვევის მაძიებელი ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების აქტიურობა, არსებული ავტონომიურობისა და ფედერალიზმის ნორმებითა და პრაქტიკით უკმაყოფილება, სრული დამოუკიდებლობის ან სხვა სახელმწიფოსთან შეერთების მოთხ-

---

303 კვაზი-სახელმწიფოს შესახებ იხ.:Robert H. Jackson, *Quasi-States: Sovereignty, International Relations and the Third World*, Cambridge University Press, Cambridge, 1993, pp. 21-49

304 რევაზ ბახტაძე. გადაწყვეტილების მიღება სუსტ სახელმწიფოში. ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია. თბილისი, 2007, გვ. 15-35

305 საქართველოს მაგალითზე ხსენებული თავისებურებების შესახებ იხ.:Brian O'Halloran. *The Bumpy Road to Democracy: State-Building in the Republic of Georgia*, Government Honors Thesis,Colby College, May 1993

ოვნები (სეპარატიზმი, ირედენტიზმი).

ამავე დროს, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში შემორჩენილი პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების მსხვრევა და ახალზე (დემოკრატიული სახელმწიფო, საბაზრო ეკონომიკა) გადასვლა მიმდინარეობს. გარდამავალ პერიოდში კი ღრმა სოციალური და ეკონომიკური კრიზისი შეიმჩნევა და სახელმწიფო უკიდურესად არის დასუსტებული.

მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში არსებული სახელმწიფო საზღვრები ხშირად იყო გავლებული ვოლუნტარისტულად და პოლიტიკურ თუ კულტურულ წანამძღვრებს არ ეფუძნებოდა, რაც ეთნიკური და რელიგიური ქიშპის სერიოზული წყარო გახდა.

როგორც ვხედავთ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ახალ სუვერენულ სახელმწიფოებად გადაიქცნენ, მაგრამ მათ შიგნით საკმარისი შეკავშირება (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური) არ შეინიშნება. ისინი თანამედროვე ერ-სახელმწიფოებად ჯერ ვერ ჩამოყალიბდნენ. ეს კი აუცილებელი პირობაა, რათა ისინი, როგორც პოლიტიკური ერთეულები, მდგრად და ეფექტურ ორგანიზმებად იქცნენ, რომლებსაც საკუთარი მოსახლეობის მშვიდობიანი არსებობისა და განვითარების უზრუნველყოფა და შიდა და გარეშე საფრთხესთან გამკლავება შეეძლებათ.

ყოფილ კომუნისტურ (განსაკუთრებით კი პოსტსაბჭოთა) სახელმწიფოებში განსახორციელებელია უაღრესად სერიოზული ამოცანა – თანამედროვე ერი-სახელმწიფოს შექმნა. დასავლეთში ეს პროცესი დიდი სირთულეებითა და დრამატიული კოლიზიებით წარიმართა. პოსტსაბჭოთა სივრცეში კი ერი-სახელმწიფოების შესაქმნელად ბევრი დრო არ რჩება, რადგან მათი შინაგანი არამდგრადობა და ცენტრიდანული ძალები, უკვე არსებულ კვაზი-სახელმწიფოებს აფეთქებით ემუქრება, თუ მათ ერმა-სახელმწიფომ „ლაგამი არ ამოსდო“. ყოფილი საბჭოთა იმპერიის მთელ სივრცეში ჯერაც ყველაზე ძლიერი ფაქტორი ეთნიკური ნაციონალიზმია, რომელსაც ხსენებული სივრცის რესტრუქტურიზაცია არსებულ ვითარებაში მხოლოდ სისხლიანი კონფლიქტების გზით ძალუძს.

თანამედროვე სამყაროში სახელმწიფო არის უსაფრთხოების კონცეფციის საკვანძო ელემენტი, მისი საძირკველი. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მოსახლეობას სწორედ თანამედროვე ერი-სახელმწიფოების სასწრაფოდ შექმნით შეუძლია საკუთარი უსაფრთხოებისა და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფა. ეს

უნდა მოხდეს ისტორიულად მოკლე ვადაში და, რაც მთავარია, მაშინ, როცა ერი-სახელმწიფო, როგორც ადამიანთა თვითმმართველობის, პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი, გაბატონებული ფორმა, გადაგვარების პროცესის ნიშნებს ავლენს – ერი-სახელმწიფო უკვე ეროზიას განიცდის როგორც შიგნიდან, ასევე გარეშე ზეეროვნული ძალებისა და ფაქტორების გავლენით.

გლობალიზაციამ, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებამ, კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიამ საერთაშორისო ეკონომიკური სისტემა ერთიან მსოფლიო მეურნეობად აქცია. მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში ინტეგრაცია ბევრი სირთულის მიუხედავად, გაღრმავდა, ხოლო ევროპაში ინტეგრაციის პროცესმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო და პოლიტიკური ინტეგრაციის ფაზაში შედის. ევროპის ქვეყნები თანდათან თმობენ არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ სუვერენულობას და ერთიან ევროპულ სახელმწიფოს ქმნიან. მსგავსი ტენდენცია შეინიშნება მსოფლიოს სხვა რეგიონებში, ინტეგრაციის ესა თუ ის ფორმა ვითარდება ჩრდილოეთ ამერიკაში, ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აფრიკის ზოგიერთ რეგიონში.

ინტეგრაციის მცდელობაა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის(დსთ) შექმნა და მისი განვითარებისაკენ მიმართული ძალისხმევა. მის ჩარჩოებში ინტეგრირების მცდელობამ გამოავლინა პოსტსაბჭოთა სივრცისათვის დამახასიათებელი ისეთი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები და პროცესები, რომლებიც ინტეგრაციისათვის არახელსაყრელი გამოდგა. პოსტსაბჭოთა სივრცეში რეინტეგრაციაზე მეტად დეზინტეგრაციის პროცესი მიმდინარეობს[306]. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები უმეტესწილად ცდილობენ არა რუსეთის „მეთაურობით" გაერთიანდნენ, არამედ იმგვარ ინტეგრაციულ პირობებზე დასთანხმდნენ, რომლებიც მათი ეროვნული ინტერესების შესაბამისი იქნება. ამიტომაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობა ცდილობს ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებასთან შეგუებას, საკუთარ პოლიტიკაში მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებათა გათვალისწინებას. სხვა გზა მათ არც აქვთ – მსოფლიო ბაზარი აიძულებს ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს საერთაშორისო

306 იხ.:P. Terrence Hopmann, Stephen D. Shenfield, Dominique Arel, *Integration and Disintegration in the Former Soviet Union: Implications for Regional and Global Security,* Occasional Paper N30, Thomas J. Watson Jr. Institute for International Studies, Brown University, Providence, 1997

პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში დიდი ხნის წინ დამკვიდრებული თამაშის წესები მიიღონ, მსოფლიო ბაზრის ულმობელ წესებს დაემორჩილონ.

მსოფლიო ბაზრის ფუნქციონირებას ხელს უწყობდა ერი-სახელმწიფოს არსებობა. პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციის ამ ფორმამ ადამიანის თვითშეგნებასა და თვითმმართველობას შორის ურთიერთკავშირი უზრუნველყო. ერი-სახელმწიფო აღმოჩნდა მეტ-ნაკლებად თვითკმარი პოლიტიკური და ეკონომიკური ერთეული, რომელმაც ამავე დროს საერთო ენის, ისტორიისა და ტრადიციების მქონე ადამიანთა კოლექტიური თვითშეგნება გამოხატა. კოლექტიური თვითშეგნება ტერიტორიულ სახელმწიფოში, სუვერენულობაში გამოიხატა.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ევროპაში თანამედროვე ერი-სახელმწიფოების განვითარება სამ მთავარ „ბურჯს" – *ძალოვან სტრუქტურებს* (შეიარაღებული ძალები, პოლიცია), *გადასახადების აკრეფის ეფექტურ მექანიზმს* და *სასამართლოს* ეყრდნობოდა. სახელმწიფომ შეძლო საზოგადოებრივი კონტროლის დამყარება საკუთარ მოქალაქეებზე, რის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბება და განვითარება.

ეფექტურად მომუშავე სასამართლოების სისტემა ეფექტური სახელმწიფოს საწინდარია, ხოლო საგადასახადო სისტემის მოქნილობა და ეფექტურობა – სახელმწიფოს განვითარების საფუძველი. ძლიერი სახელმწიფოებრიობის გარეშე ნებისმიერი ქვეყნის არსებობა მუდამჟამს სათუო იქნება. მართალია, სუსტი პოლიტიკური ერთეულები ზოგჯერ საკმაოდ ეფექტურად იყენებენ ძალთა წონასწორობის მექანიზმს და ოსტატურად ახერხებენ თავის გადარჩენას, მაგრამ გაუთავებლად ამის კეთება შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ სუსტი სახელმწიფოებრიობა აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას და შეიძლება ეკონომიკური კატასტროფის მიზეზი გახდეს.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე ერი-სახელმწიფოს პოზიციები შესუსტებას იწყებს. სახელმწიფო სუვერენიტეტს კაპიტალის მოძრაობა, საერთაშორისო ვაჭრობა, სახელმწიფო საზღვრების დამძლევი ინფორმაციული ნაკადები, მსოფლიო საფინანსო ბაზრების ინტეგრაცია და ტრანსნაციონალური წარმოება გარედან უთხრის ძირს. შიგნიდან კი მისი ძირის გამომთხრელნი თვითგამორკვევის მაძიებელი ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფები არიან. ორმხრივი შემოტევის შედეგად სახელმ-

ნიფო სუვერენიტეტის პოზიციები სუსტდება. მსოფლიო მეურნეობის ინტეგრაციული ტენდენციების და სახელმწიფოთა შიგნიდან „გამხლეჩი" ფაქტორების მოქმედების შედეგად ერი-სახელმწიფო სუვერენულ სახელმწიფოს ჩარჩოებში ადამიანების თვითიდენტურობისა და თვითმმართველობის ურთიერთქმედებას ველარ უზრუნველყოფს. მოქალაქეები სახელმწიფოებისადმი ლოიალურობას კარგავენ. გლობალური ურთიერთდამოკიდებულების იმპერატივთა ზემოქმედებას ყველაზე დიდი და ძლიერი ქვეყნებიც კი ვერ აღწევენ თავს, შიდა შეუკავშირებლობისა და ფრაგმენტაციისაგან ყველაზე პატარა ქვეყნებიც კი არ არიან დაცულნი.

მეოცე საუკუნე ერი-სახელმწიფოს, სუვერენიტეტის ეპოქა იყო. ერთი მხრივ, სოციალიზმის იდეებმა და კომუნისტური სახელმწიფოების შექმნისა და ფუნქციონირების პრაქტიკამ სახელმწიფოს უკიდურესი ძლიერება მიანიჭა, რამაც პიროვნება, მისი ინიციატივა დათრგუნა. მეორე მხრივ, დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფოს როლი ზოგჯერ ძალიან იყო დაკნინებული, რათა ბაზრის ძალებს უფრო თავისუფლად ემოქმედათ. საუკუნის მიწურულს კი ერი-სახელმწიფო თითქმის ანაქრონიზმად იქცა. საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოებთან ერთად პოზიციებს არასახელმწიფო მოქმედი პირებიც (მრავალეროვნული კორპორაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ბანკები და ა.შ.) იმაგრებენ. სახელმწიფოს კონკურენციას სხვა მოქმედი პირებიც უწევენ, თუმცა სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობებში ადრინდელი მონოპოლიური თუ არა, წამყვანი როლის შესრულებას ჯერ კიდევ წარმატებით ახერხებს.[307]

ყველა მხრიდან მომდინარე დაწოლის მიუხედავად, ერი-სახელმწიფო, სუვერენული სახელმწიფო, ის უნივერსალური პოლიტიკური და ეკონომიკური ფენომენია, რომლის არსებობა თვით გლობალიზაციის პროცესს ჭირდება. სახელმწიფო არა მხ-

---

307 ბევრი ექსპერტის აზრით, ერი-სახელმწიფო გლობალიზაციის პროცესს კიდევ დიდხანს გაუწევს წინააღმდეგობას. იხ.:Janice E. Thomson, Stephen Krasner, "Global Transactions and the Consolidation of Sovereignty", Robert J. Art and Robert Jervis (Eds.), *International Politics. Enduring Concepts and Contemporary Issues,* Third Edition, Harper Collins Publishers, New York, 1992, pp. 310-330; Joseph LaPalombara, "International Firms and National Governments", Brad Roberts (Ed.), *Order and Disorder after the Cold War,* The MIT Press, Cambridge, Mass., 1995, pp. 339-349; Peter F. Drucker, "The Global Economy and the Nation-State", *Foreign Affairs,* Vol. 76, N 5, September-October 1997,pp. 159-171

ოლოდ უსაფრთხოების ერთადერთი რეალური გარანტია, არამედ ქონებრივი უფლებების გარანტიც. ხსენებული უფლებების არსებული სისტემა თუ მოიშალა, რომელ საერთაშორისო ტრანსაქციებზე მოხერხდება საუბარი? პოსტსაბჭოთა სივრცის ახალ სუვერენულ სახელმწიფოებს რაც შეეხება, მათი უსაფრთხოების თუ ეკონომიკური განვითარების პროცესის უზრუნველყოფა მხოლოდ სრულყოფილ ერ-სახელმწიფოებად ჩამოყალიბების შემთხვევაში გახდება შესაძლებელი.

მზარდ პოლიტიზაციასა და არაეფექტურ პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობა – ასე დაახასიათა *სემუელ ჰანტინგტონმა* ის ვითარება, რომელშიც ყოფილი კომუნისტური ქვეყნები აღმოჩნდნენ.[308] ამგვარ ვითარებაში მყოფ საზოგადოებებში ძლიერდება ანარქია, დამნაშავეობა, სოციალური და პოლიტიკური ძალები ერთმანეთს უპირისპირდება, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ემხრობა ავტორიტარიზმს, დიქტატურას, სამხედრო ხელისუფლების დანესებას. ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ამას ემატება მოსახლეობის გარკვეული (ხშირად – მნიშვნელოვანი) ნაწილის ნოსტალგია წარსულის მიმართ („დიდ, ძლიერ სახელმწიფოში იყო უსაფრთხოება, სამართლიანობა, კანონი კანონობდა და არ იყო მომავლის შიში") და ადრე არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების (სსრკ) რესტავრაციის სურვილი. პოსტსაბჭოთა სივრცეში ამგვარი განწყობა საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის მოსახლეობის იმ ფართო ფენებში, რომლებსაც ყველაზე მეტად შეეხო საბჭოთა კავშირის დაშლისა და ახალი სუვერენული სახელმწიფოების შექმნის უკიდურესად მტკივნეული პროცესების თანმხლები ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი და უკიდურესი ნაციონალიზმი.

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტები (და, რაც მთავარია, სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტები) ვერ ახერხებენ მოჭარბებული პოლიტიკური ენერგიის სახელმწიფოს მშენებლობის მიმართულებით კონსტრუქციულ წარმართვას. ამასთანავე ეთნიკურ-ტერიტორიული პრინციპის მიხედვით ორგანიზებულ ყოფილ საბჭოთა კავშირში, სადაც ქვეყნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ დაყოფას ძირითადად ეთნიკური ჯგუფების განსახლების მოხაზულობა განაპირობებდა, დათრგუნვილი იყო

---

308 იხ.:Samuel P. Huntington. *Political Order in Changing Societies*, Yale University Press, New Haven, 1968

ყველა სახის (ეროვნული, რელიგიური, სოციალური, პოლიტიკური) თვითშეგნება. ამის საპასუხოდ, ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში განვითარდა ეროვნული ინტელიგენცია, წარმოებდა ეროვნული ისტორიისა და კულტურის კვლევა, დაწინაურდა ეროვნული ხელოვნება. თავი იჩინა ეროვნულმა თვითშეგნებამაც, რადგან პიროვნებას სწორედ მისი მეშვეობით შეეძლო ოფიციალურად დეკლარირებული ე.ნ. სოციალისტური იდეოლოგიის შემოტევისაგან საკუთარი კულტურული თვითმყოფადობის დაცვა და შენარჩუნება. საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგად პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველა სახის კულტურული თვითშეგნებიდან პრაქტიკულად მხოლოდ ერთი – ეროვნული თვითშეგნება არსებობდა. სწორედ მან შეავსო ოფიციალური იდეოლოგიის მსხვრევის შედეგად წარმოშობილი ვაკუუმი.

3.1 დემოკრატიზაციის პროცესი

რა კაცი ვუთხრა იმასა, ვისაც არა სძულს მონება?
ვაჟა-ფშაველა

გავრცელებული მოსაზრებით, დემოკრატია მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტიაა, მაგრამ პოსტსაბჭოთა სივრცეში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ მმართველობის ავტორიტარული ფორმიდან დემოკრატიულზე გადასვლამ თურმე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საერთაშორისო და რეგიონულ უსაფრთხოებაზე. 90-იანი წლების მოვლენებმა გამოააშკარავა, რომ სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და მოლდავეთში დემოკრატიული განვითარების პროცესი დემოკრატიზაციასა და უსაფრთხოებას შორის არსებული ურთიერთკავშირის გაუთვალისწინებლად მიმდინარეობდა.

ამიერკავკასიაში პოლიტიკურ ტრანსფორმაციასა და რეგიონულ უსაფრთხოებასთან ამ პროცესის კავშირის განხილვისას ორი ძირითადი საკითხი წამოიჭრება:ერთი (ემპირიული) – არსებობს თუ არა რეგიონში რაიმე კავშირი დემოკრატიზაციასა და შესაძლო საფრთხეს შორის? მეორე კი (თეორიული) – როგორ შეიძლება აიხსნას ეს კავშირი?

მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიზაცია რეგიონულ არასტაბილურობას განაპირობებდა რეგიონში კონფლიქტის წარმოქმნის

საკმარისი პირობა ეს მაინც არ იყო. დემოკრატიზაციის პროცესსა და ომს შორის არსებულ კავშირზე საუბრისას ყურადღების ცენტრში ექცევა სახელმწიფოთაშორისი და საზღვრებთან დაკავშირებული ძალადობა. დიდ გავლენას ახდენს რეგიონის ეთნიკური სიჭრელე, სსრ კავშირის დაშლით გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები, იმ ქვეყნების შესუსტება, სადაც მეტ-ნაკლებად მიმდინარეობდა დემოკრატიზაციის პროცესი და ამასთანავე კონფლიქტების გაღვივების გამომწვევი რეგიონული კონტექსტი.

ფართოდ გაგებული დემოკრატია ითვალისწინებს პერიოდული და თავისუფალი არჩევნების გზით არჩეულ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა დაცვის კონსტიტუციურ და სამართლებრივ გარანტიებს, თავისუფალი და ეფექტური სასამართლო ინსტიტუტების არსებობას.[309] ამას შეიძლება სამოქალაქო საზოგადოებისა და ინსტიტუციური პლურალიზმის ელემენტები დაემატოს. ეს კი გულისხმობს საზოგადოებაში ფესვებგადგმული ქმედითუნარიანი პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების არსებობას, რომლებიც თავის მხრივ ხელისუფლებისა და მოქალაქეთა ურთიერთდამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენენ.

პოსტსაბჭოთა სივრცის პატარა სახელმწიფოებში (სამხრეთი კავკასია, ცენტრალური აზია, მოლდავეთი) მმართველობის დემოკრატიული ფორმა ჯერ არ გაბატონებულა. მიმდინარე საშინაო პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, ეს ახალი პატარა სახელმწიფოები გარეგნულად ნაწილობრივ დემოკრატიასთან უფრო ახლოს დგანან. აქ ჯერ კიდევ შეიმჩნევა ავტორიტარიზმის ნიშნები და დემოკრატიის ელემენტებიც არასრულყოფილადაა განვითარებული.

ცივი ომის შემდგომ პერიოდში დემოკრატიზაცია ორი განსხვავებული გზით ვითარდება. პირველ შემთხვევაში სახელმწიფო ერთიანი და შინაგანად ძლიერი რჩება; იგი განაგრძობს სახელმწიფოებრივ საქმიანობას, ატარებს მოქნილ პოლიტიკას კანონიერებისა და მართლწესრიგის დასამყარებლად და აკონტროლებს პოლიტიკურ ცვლილებებს.

მაგრამ მეორე მხრივ დემოკრატიზაციასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა შესაძლოა ქვეყანა დაასუსტოს და მასში შინაგანი აშლილობა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში დემოკრატიზაციის

---

309 Samuel Huntington, *The Third Wave: Democratization in the Late Twentieth Century*, University of Oklahoma Press, Norman, 1991. pp. 5-13

პროცესი ქმედითუნარიანი სამთავრობო ინსტიტუტების არარსებობისა და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური არასტაბილურობის პირობებში მიმდინარეობს. რაც უფრო სუსტია სახელმწიფო (ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში კი სახელმწიფოებრიობა უკიდურესად მყიფეა), მით უფრო მოსალოდნელია, დემოკრატიზაციამ კოლექტიური შიში წარმოშვას, რაც შემდგომ ძალადობაში გადაიზარდოს.[310]

დემოკრატიზაცია და უსაფრთხოება. სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფო ერთმანეთისაგან პოლიტიკური განვითარებით განსხვავდება. სამივე დამოუკიდებელი ქვეყანა დღეს საბჭოთა პერიოდთან შედარებით გაცილებით უფრო ღიაა და თავისუფალი. მეტია აზრის თავისუფლება, საკანონმდებლო ხელისუფლება მეტნაკლებად იზიარებს საზოგადოებრივ აზრთა სიმრავლეს და პოლიტიკური ასპარეზიც შედარებით ფართოა. საქართველოსა და სომხეთში შესამჩნევი პროგრესი შეიმჩნევა თავისუფალი და ეფექტური სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დემოკრატიზაციის პროცესი ჯერ არ არის იმდენად შორს წასული, რომ ავტორიტარული განვითარების რეალური საფრთხე გამორიცხოს.

როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დემოკრატიზაციისა და ძალადობის თანხვედრაზე ვსაუბრობთ, ჩნდება კითხვა :არსებობს თუ არა მათ შორის რაიმე მიზეზობრივი კავშირი? დემოკრატიზაციის პროცესში მყოფ საზოგადოებებს მეზობლებთან კონფლიქტი ახასიათებთ. ეს ყველაზე ხშირად იმით აიხსნება, რომ სახელმწიფოს შიგნით პოლიტიკური აქტიურობის ზრდა მმართველი ავტორიტარული ელიტების მდგომარეობას ემუქრება. გრძნობენ რა თავიანთი ძალაუფლების შესუსტების საშიშროებას, ისინი ნაციონალიზმისა და პოპულიზმის საშუალებით ცდილობენ ხალხის მხარდაჭერის მოპოვებას. ნაციონალიზმი დასაშვებს ხდის ხალხისა და ხელისუფლების აზრის ერთიანობას და ამასთან სულაც არ არის აუცილებელი მმართველი ელიტების ძალაუფლების ხელყოფა. ამგვარი მიდგომა გავრცელებულია, მა-

310 ამ საკითხების შესახებ ვრცლად იხილეთ:S. Neil MacFarlane, "Democratization, Nationalism and Regional Security in the South Caucasus", *Government and Opposition*, Vol. 32, N3, Summer 1997, pp. 399-420; Renee De Nevers, "Democratization and Ethnic Conflict", In: Michael E. Brown (Ed.), *Ethnic Conflict and International Security*. Princeton University Press, Princeton, 1993, pp. 61-78

გრამ იგი სულაც არ არის დემოკრატიული.

პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიზაციის პროცესს თან სდევდა ნაციონალიზმის (უფრო სწორად ეთნონაციონალიზმის) გაძლიერება.

დემოკრატიზაცია და ეთნონაციონალიზმი. დემოკრატიზაციასა და ეთნონაციონალიზმს შორის არსებულ ურთიერთკავშირზე მსჯელობისას საინტერესო იქნება *ნილ მაკფარლეინის* მიერ განხილული სამი ძირითადი საკითხის გათვალისწინება. პირველ რიგში აუცილებელია გავიგოთ, საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის პერიოდში რატომ იქცა ნაციონალიზმი რეგიონის მკვიდრი ეროვნული ჯგუფების აზროვნებაში დომინანტად. მეორე მხრივ, საინტერესოა, რამდენად ძლიერია სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში ნაციონალისტური აზროვნების ათვისების უნარი. მესამეც, რა კავშირია ნაციონალიზმსა და დაუცველობას შორის.[311]

პირველ საკითხს რაც შეეხება, უნდა აღინიშნოს, რომ ნაციონალიზმის ფენომენი 1988-1991 წლებში არ გაჩენილა. როგორც პოლიტიკური ძალა, ის წინ უსწრებდა დემოკრატიზაციის პროცესს, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ითრგუნებოდა. ნაციონალიზმი დემოკრატიზაციას არ გამოუწვევია, მან მხოლოდ ხელი შეუწყო მის ხელახალ აღზევებას. მაგალითად, სამხრეთ კავკასიის ხალხებში ძლიერი ეთნიკური პათოსი ადრევე არსებობდა. ამ რეგიონში ნაციონალისტური მოძრაობები მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისშივე შეიმჩნეოდა. 1918-1921 წლებში სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა დამოუკიდებლობის შედარებით მცირე პერიოდი გაიარეს, მაგრამ პოლიტიკურ და ეთნიკურ ნიადაგზე შეჯახებები უკვე მაშინ მოხდა.

საბჭოური წესრიგის დამყარებამ და საბჭოთა ხალხის ძალით ფორმირების პროცესმა ხელი შეუწყო უკმაყოფილების ზრდას არა მარტო რუსეთის, არამედ ერთმანეთის მიმართაც. ამის მაგალითს წარმოადგენს სომხეთ-აზერბაიჯანის გამუდმებული ბრძოლა ტერიტორიისათვის. საქართველოში ავტონომიური რესპუბლიკების შექმნა ასევე ხელს უწყობდა ქვეყნის შიგნით განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის უთანხმოების გაღვივებას.[312]

---

311 S. Neil MacFarlane. "Democratization...," p. 411;

312 ამ მხრივ საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამს შვედი მკვლევარი სვანტე კორნელი, რომელსაც მიაჩნია, რომ საქართველოში ავტონომიე-

ყოველივე ამას მეორე საკითხამდე მივყავართ. იმისათვის, რომ ავხსნათ სახელმწიფოში ეთნიკური ნაციონალიზმის წარმოშობის მიზეზი, უნდა ავხსნათ არა მარტო პოლიტიკური ელიტის არჩევანი, არამედ ისიც, თუ რატომ მიიღო ეს არჩევანი ხალხმა. ამაზე ოთხი ძირითადი ფაქტორი ახდენს გავლენას.

საბჭოთა პერიოდში ამ საზოგადოებებში არსებობდა ნაციონალიზმის იდეოლოგიური საფუძველი, რომელიც გაბატონებულ იდეოლოგიას უპირისპირდებოდა. ოფიციალური იდეოლოგიური ინსტრუმენტები თავმოყრილი იყო სამუშაო ადგილებზე, სკოლებში. ეროვნული სულისკვეთება, ენისა და ტრადიციების ერთგულება, საკუთარი ერის ისტორიის სწავლა – პირადი ცხოვრების ნაწილი იყო, რაც ოჯახიდან მომდინარეობდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნაციონალისტურ იდეებში ასახული თვითგამორკვევის სტრუქტურა უკვე არსებობდა და საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა. სამხრეთ კავკასიასთან მიმართებაში მეტად პრობლემატური ხდება ის მოსაზრება, თითქოს დემოკრატიზაციის პროცესში ეთნიკურობა პოლიტიკურ ხასიათს იძენს, რაც შემდგომში ნაციონალიზმში გამოიხატება. საქართველოსა და სომხეთში აზერბაიჯანზე მეტად დემოკრატიზაციის გამოჩენამდეც შეინიშნებოდა ეთნიკური ნაციონალიზმის გამოვლინების შემთხვევები (თბილისში გამართულმა მასობრივმა დემონსტრაციამ (1956 წ.) და სომეხთა გენოციდის 50 წლისთავისადმი მიძღვნილმა ხალხმრავალმა გაფიცვამ ერევანში (1965 წ.) ასობით უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეინირა). ყოველივე ამას ნაციონალიზმის თეორიის მთავარ პრობლემასთან მივყავართ, რომელიც პოლიტიკური ტრანზიციის პერიოდში პოლიტიკურ ელიტათა ინტერესებს უკავშირდება.

საჯაროობისა და გარდაქმნის ხანაში კონტექსტური ასპექტები მეტნაკლებად მომწიფებული იყო, რათა ოფიციალურ იდეოლოგიას დაპირისპირებოდა. ყოველივე ამან პოლიტიკაში იდეოლოგიური ვაკუუმი წარმოქმნა. ამ ვაკუუმის შესავსებად სავსებით ლოგიკური გადაწყვეტილება იყო ნაციონალისტური იდეების გამოყენება.

ასეთ არჩევანს ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური თუ ეკონომიკური სტრუქტურების მოშლამაც. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი იყო, ხალხი ნაცნობ, ტრადიციულ მსოფლმხედ-

---

ბის არსებობამ სეპარატიზმის გაღვივებას შეუწყო ხელი. იხ.: Svante E. Cornell, *Autonomy and Conflict: Ethnoterritoriality and Separatism in the South Caucasus – Cases in Georgia*, Uppsala Universitet, Uppsala, 2002.

ველობას დაბრუნებოდა. ამას გარდა, რეგიონის მოსახლეობაში ნაციონალისტური პოპულიზმის განვითარება ზოგიერთმა მოვლენამაც დააჩქარა (1989 და 1990 წლებში საბჭოთა ჯარის მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევა ბაქოსა და თბილისში).

ბოლოს გასარკვევია, თუ რა კავშირი არსებობს ნაციონალიზმსა და კონფლიქტს, ომს შორის. ბოლოს გასარკვევია, ამერიკელი მკვლევარის *სტივენ ვან ევერას* აზრით, ნაციონალიზმს ძალადობისაკენ ოთხი წინაპირობა უბიძგებს:ნაციონალისტურმა მოძრაობამ უკვე მოიპოვა საკუთარი სახელმწიფოებრიობა, ან ჯერ კიდევ იბრძვის ამისათვის; არსებულ დისპორებთან მოძრაობის დამოკიდებულება; რამდენად ცნობს მოძრაობა სხვა ჯგუფების მიერ წამოყენებული მოთხოვნების საფუძვლიანობას; მოძრაობის დამოკიდებულება მოცემულ სივრცეში არსებულ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ.[313]

აღნიშნულ ფაქტორებს ზოგჯერ უფრო სერიოზულ პრობლემებამდე მივყავართ. პირველ რიგში ეს არის სახელმწიფოს შესუსტება, რის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ. საბჭოთა კავშირის დაშლამ საგრძნობლად გაართულა მდგომარეობა. მოიშალა ის ძირითადი ინსტიტუციური სტრუქტურები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იყო სახელმწიფოთა შორის არსებული პოლიტიკური დავების ეფექტური გადაწყვეტა. ჯერ ერთი, რეგიონისათვის დამახასიათებელი შიდასახელმწიფოებრივი ანარქია ძალადობის გამოვლენის საკმაოდ მძლავრ წინაპირობას წარმოადგენს. მეორეც, ეს გახლავთ რეგიონის ერებში ეროვნული თვითშეგნების სრულიად შეუთავსებელი ხასიათი. საქართველოში პრეზიდენტ *ზ. გამსახურდიას* პერიოდში გაბატონდა შეხედულება, თითქოს ეროვნული უმცირესობები ბოროტად იყენებდნენ ქართულ სტუმართმოყვარეობას და ამდენად საფრთხეს უქმნიდნენ ქართულ ეროვნულ თვითშეგნებას. ყარაბაღს რაც შეეხება, გორბაჩოვის ხანისათვის დამახასიათებელმა პოლიტიკურმა შესაძლებლობებმა აქაც და სომხეთშიც შექმნეს ირედენტისტული აგიტაციის საკმაოდ ძლიერი საფუძველი. „დიდი სომხეთის“ შექმნის იდეა თავისთავად ემუქრებოდა როგორც აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას,

---

313 Stephen Van Evera, "Hypothesis on Nationalism and War", *International Security*, Vol. XVIII, N4, Spring 1994, pp. 5-39; შემდგომში ს. ვან ევერამ კიდევ უფრო დახვეწა საკუთარი შეხედულებები. იხ.:Stephen Van Evera, "Hypothesis on Nationalism and the Causes of War", In: Charles A. Kupchan (Ed.), *Nationalism and Nationalities in the New Europe*, A Council on Foreign Relations Book, Cornell University Press, Ithaca and London, 1995, pp. 136-157

ისე საკუთრივ აზერბაიჯანის ეროვნულ თვითშეგნებასაც.

სეპარატისტული კონფლიქტების წარმოშობასა და გაღვივებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი რუსეთსაც. მას იმპერიალისტური ამბიციები ჯერაც შემორჩენილი აქვს და დაკარგული ძალაუფლების მიმართ ძლიერ ნოსტალგიას განიცდის.

კონტექსტის საბოლოო კომპონენტი რეგიონში საერთაშორისო ინსტიტუტების როლია. აქ მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით დასავლეთის ნაკლებად დაინტერესებამ ხელი შეუწყო რეგიონის შიდა საკითხებში რუსეთის ჩარევას. ამასთანავე დასავლეთი ცდილობდა ნაკლებად შეჯახებოდა რუსეთის ინტერესებს. რეგიონის სხვა სახელმწიფოებს კი (ირანსა და თურქეთს) რუსეთის ძალის დასაბალანსებლად მცირე შესაძლებლობები მოეპოვებოდათ და თვით რეგიონში არსებული მრავალმხრივი ურთიერთობების სტრუქტურებს და ნორმებს სისუსტე ახასიათებდათ. ერთი სიტყვით, გლობალურმა საერთაშორისო ატმოსფერომ დასაშვები გახადა ის ფაქტი, რომ 90-იანი წლების პირველ ნახევარში რუსეთმა შეძლო რეგიონისათვის საკუთარი ზეგავლენის თავს მოხვევა.

მთელი რიგი არგუმენტები ადასტურებენ, რომ ურთიერთმოქიშპე ნაციონალისტურ მოძრაობებთან და სამოქალაქო ომთან ერთად ამიერკავკასიაში რეგიონული უსაფრთხოების გაუარესებას დემოკრატიზაციამაც შეუწყო ხელი. არსებული სინამდვილე ცხადყოფს, რომ ჰიპოთეზა დემოკრატიზაციისა და ომის შესახებ მართებულად ითვალისწინებს კონფლიქტების წარმოქმნას ეთნიკურად განსხვავებულ საზოგადოებებში. სავსებით მართებულად აღნიშნავს *ნ. მაკფარლეინი*, რომ რეგიონში დემოკრატიზაცია იმდენად ელიტებისა და მასების ეთნონაციონალიზმის წარმოქმნის პირობა არ იყო, რამდენადაც მანამდე არსებული ნაციონალისტური იდეების ხელახალი გამოვლენის მიზეზი, რის გაძლიერებაშიც საკმაოდ დიდი როლი საბჭოთა გამოცდილებამ ითამაშა.[314]

საყურადღებოა, რომ ცენტრალური აზიის პატარა სახელმწიფოებში 90-იანი წლების დასაწყისის ზოგიერთი ნაციონალისტური აქცია იქაური ავტორიტარული ხელისუფლების მიერ იქნა დათრგუნვილი. არ არის გამორიცხული, რომ ცენტრალურ აზიაში დემოკრატიზაციის პროცესის შემდგომი განვითარება შეიძლება სამხრეთ კავკასიაში მომხდარი მოვლენების მსგავსად წარიმართოს.

---

314 S. Neil MacFarlane "Democratization, Nationalism, and Regional Security in the Southern Caucasus", *Government and Opposition*, Vol. 32, N3, Summer 1997, p. 418

საქართველოსა და აზერბაიჯანში, ისევე როგორც მოლდავეთში, ეროვნული თვითშეგნების მრავალფეროვნებამ და სახელმწიფოსა და ეროვნულ უმცირესობათა შორის სუსტმა კავშირმა განაპირობა როგორც უმცირესობათა, ისე უმრავლესობათა ეთნონაციონალიზმი. ამას თავის მხრივ ხელი შეუწყო კომუნიზმის მარცხითა და მწვავე ეკონომიკური კრიზისით გამოწვეულმა იდეოლოგიურმა ვაკუუმმა, რომელმაც ძირი გამოუთხარა როგორც გაბატონებული ელიტების, ისე მასების უსაფრთხოებას. კონფლიქტის წარმოქმნის საშიშროება გარკვეულწილად განაპირობა ამიერკავკასიაში რუსეთის ჰეგემონიის არასრულმა გაქრობამ და რეგიონის რესპუბლიკებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანმა გავლენამ. ამასთანავე პოლიტიკური თუ ეკონომიკური სისუსტე რეგიონის ქვეყნებს განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტები დამოუკიდებლად მოგვარების საშუალებას არ აძლევდა.

თავის მხრივ, რეგიონში კონფლიქტებისადმი მიდრეკილებას უფრო მყარი საფუძველი სიტყვისა და პრესის თავისუფლებამ შეუმზადა. მით უმეტეს, რომ აქაურ ჟურნალისტებს არც საკმარისი პროფესიონალიზმი გააჩნდათ და არც ობიექტური ანალიზის უნარი. გორბაჩოვის მმართველობის ბოლოს სიტყვის თავისუფლებაზე გაუქმებულმა შეზღუდვებმა მკვეთრი დესტრუქციული დაღი დაასვა ეთნოსებს შორის ურთიერთობებს (მხედველობაში გვაქვს გავრცელებული პოლიტიკური შეხედულებების მეცნიერული შეფასების შედარებით სუსტი ბაზა, ნაციონალისტური და პოპულისტური რიტორიკა). შეიძლება, უკეთესი ყოფილიყო არა თავისუფალი მასმედიის მხარდაჭერა, არამედ ამ დარგში გაცილებით მეტი პროფესიონალიზმის დანერგვა, რითაც ეთნიკური დაპირისპირების თავიდან აცილება თუ არა, შერბილება მაინც შესაძლებელი გახდებოდა.

აქვე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს უმრავლესობა-უმცირესობების ურთიერთობებსაც. საჭიროა, შეიქმნას ისეთი სტრუქტურები, რომლებიც უმცირესობათა უფლებების დაცვას უზრუნველყოფენ. აუცილებელია კარგად იქნეს გააზრებული ის ფაქტი, რომ შინაგანი მშვიდობა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური კეთილდღეობის საწინდარია, ხოლო შინაგან მშვიდობას კი სახელმწიფოს ეფექტური მშენებლობა უზრუნველყოფს; ამასთანავე, რასაკვირველია, დემოკრატიის ნორმები უნდა იქნეს დაცული.

3.2 ინსტიტუციური გარდაქმნები და სახელმწიფოს როლი

აქ არვის - დიდსა თუ პატარასა, -
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,
დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული.
ილია ჭავჭავაძე

ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების მმართველობის სისტემამ და ეკონომიკურმა წყობამ რადიკალური ცვლილებები განიცადა. ეს, ძირითადად, სპონტანური პროცესია (გამონაკლისს წარმოადგენს ჩინეთი, სადაც რეფორმებს, 80-იანი წლებიდან მოყოლებული, თავად კომუნისტური მთავრობა ახორციელებდა). პოსტსოციალისტური და პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობაში მიწის პრივატიზაცია, ეკონომიკის კერძო სექტორის აღმოცენება და ფინანსური მომსახურების ახალი ფორმების გაჩენა, ამ პროცესების გაკონტროლების არაერთი მცდელობის მიუხედავად, უპირატესად მაინც სტიქიურად მოხდა. ამდენად, საზოგადოებრივი (მათ შორის – სახელისუფლებო) ინსტიტუტების გარდაქმნა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში შეიძლება განვიხილოთ, როგორც არაორგანიზებულ ცვლილებათა და გეგმაზომიერ ქმედებათა ერთობლივი შედეგი.[315]

დაგეგმილი ინსტიტუციური გარდაქმნები. გარდამავალი ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო პოლიტიკას რამდენიმე ფაქტორი განსაზღვრავს. უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება თეორიულ საფუძველს, რომელსაც ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა დაეყრდნოს. აქ სამი პარადიგმა გამოიყოფა: *ნეოკლასიციზმი, ნეოკეინსიანიზმი* და *ნეოსტრუქტურალიზმი*. ისინი გადაწყვეტილების მიმღებთ რეალობის სხვადასხვაგვარ სურათს თავაზობენ.

ნეოკლასიკური სკოლა საზოგადოებაში ინტერესთა ჰარმონიას ხედავს. ამ თვალსაზრისის თანახმად, საერთო კეთილდღეო-

315 ამ მხრივ საყურადღებოა ვ. პაპავას მიერ გამოთქმული მოსაზრებები. იხ.: Vladimer Papava. "Necroeconomics – The Theory of Post-Communist Transformation of an Economy", *International Journal of Social Economics*. Vol. 29. No. 10, 2002. pp. 796-805.

ბის გაზრდის მიზნით ეკონომიკურ აგენტებს შორის რესურსების გადანაწილება დაუბრკოლებლად ხდება. ფასების ლიბერალიზაციას, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩაურევლობას, საბაზრო მექანიზმის თავისუფალ ფუნქციონირებას საზოგადოება „წონასწორობის" მდგომარეობაში მოჰყავს. მაგრამ იმის გამო, რომ ცენტრალიზებული ტიპის ეკონომიკის საბაზრო სისტემით შეცვლას სახელმწიფოს მხრიდან სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირება და სრულიად ახალი ინსტიტუტების შექმნა ესაჭიროება, აღნიშნული პარადიგმის მოშველიება, პირველ ეტაპზე მაინც, არ არის საკმარისი იმისათვის, რათა რომელიმე პოსტკომუნისტურმა ქვეყანამ ეკონომიკური სიძნელეები დაძლიოს.

ნეოკეინსიანელები ბაზრის გაუმართაობაზე ამახვილებენ ყურადღებას და სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ ურთიერთობებში კორექტივების შეტანას დადებითად აფასებენ. საზოგადოებაში არსებული კონფლიქტი, რესურსთა გადადინების შემთხვევები (ე.წ. ექსტერნალიები) სახელმწიფოებრივ რეგულირებას მოითხოვს, რასაც ხშირად კარგი შედეგი მოჰყვება; თუმცა ცნობილია ბაზრის ნორმალური ფუნქციონირების სწორედ ამ მიზეზით შეფერხების ფაქტებიც (მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში).

ნეოსტრუქტურალიზმის მიმდევრები განვითარებადი სახელმწიფოების ეკონომიკის არადივერსიფიცირებულობასა და მის სხვა სტრუქტურულ ხარვეზებზე მიუთითებენ და, ნეოკეინსიანელების მსგავსად, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევას აუცილებლობად მიიჩნევენ.

აღნიშნული პარადიგმების პოსტკომუნისტურ სინამდვილესთან მისადაგება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებას მოითხოვს, როგორიცაა: რესურსების მკვეთრი არათანაბარი განაწილება, ეკონომიკური ინსტიტუტების არაეფექტური ფუნქციონირება, წარმოების სტაგნაცია და ბაზრის შიგნით კონფლიქტის მაღალი დონე. დღესდღეობით მთელ რიგ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის პროცესის განახლებას დიდად განაპირობებს ორგანიზაციული და საინსტიტუციო კაპიტალი.

ზემოთ განხილული პარადიგმები სათანადოდ ვერ ასახავს ტექნოლოგიურ პროგრესსა და გლობალიზაციის როლს კაპიტალიზმთან პოსტკომუნისტური საზოგადოების მიახლოებაში. ფაქტია, რომ აღმოსავლეთ ევროპასა და ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში მოქნილი საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბება მოსალოდნელზე უფრო სწრაფად ხდება, უმჯობესდება ადამი-

ანური კაპიტალის გამოყენებაც.

ხელისუფლების მიერ მოწონებული პარადიგმა უშუალოდ განსაზღვრავს მისი სავაჭრო, სამრეწველო თუ სხვა პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. პოსტკომუნისტურ ქვეყნებს კარგად გაანალიზებული და მოფიქრებული სამრეწველო პოლიტიკა ამჟამად ჰაერივით ესაჭიროება. სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ბაზრის ხელშეუხებლობა საბიუჯეტო დეფიციტს ვერ აღმოფხვრის და ვერც ეკონომიკურ კეთილდღეობასა თუ სოციალურ სტაბილურობას მოუტანს კაპიტალიზმის მშენებლობაში გამოუცდელ საზოგადოებას[316]. ამ შემთხვევაში სამრეწველო პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ეროვნულ მეურნეობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებას, რაც პირველ რიგში საწარმოთა დიდი ნაწილის რესტრუქტურიზაციასა და ზოგიერთი მათგანის გაუქმებასაც კი მოითხოვს. ბაზრის შესახებ სახელმწიფოს მიერ მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება და ამის მიხედვით, რესურსების სტრატეგიული გადანაწილება შესაძლო ეკონომიკური კრიზისის თავიდან აცილების საუკეთესო გზაა. სახელმწიფოს როლის უარყოფა პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის უთუოდ დამღუპველი აღმოჩნდება. ხელის ერთი მოსმით მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა დემოკრატიად ვერ იქცევა. ამიტომაც „შოკური თერაპია" აქ ხშირად გაუმართლებელია და საჭირო ხდება მმართველობის ახალ მოდელზე თანდათანობითი გადასვლა.

პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაზე დიდ გავლენას ახდენს კაპიტალიზმის ე.წ. „კონტინენტურ" და „ანგლო-საქსურ" თვალთახედვათა ჭიდილი. იმის მიუხედავად, რომ გლობალიზაციის პროცესმა კაპიტალიზმის ყველა ნაირსახეობა ერთმანეთს საოცრად დაუახლოვა, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის სახელმწიფო მართვაში განსხვავებანი ჯერ კიდევ შესამჩნევია. ამის გამო, ყოფილი კომუნისტური ქვეყნების მთავრობები არჩევნის წინაშე დგანან, როდესაც სახელმწიფო სექტორის სიდიდესა თუ სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ხარისხს განსაზღვრავენ. ამ დროს ისინი ითვალისწინებენ როგორც სამეცნიერო კამათის შედეგებს, ისე საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების რეკომენდაციებსაც. ამასთან, ევროპული და ამერიკული რჩევა-დარიგებები ერთმანეთს ხშირად არ ემთხვევა, რის შედეგადაც სახელმწიფო

316 Daniel Dăianu, "Institutional Change and Public Policy in Post-Communist Society", *Millenium*, III, Bucharest, Summer 1999. p.137

პოლიტიკის ჩამოყალიბებაში გარკვეულ როლს ერის პოლიტიკური კულტურა და ეკონომიკური ტრადიციები ასრულებს.

სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებლობა. პოსტკომუნისტური საზოგადოების კაპიტალიზმისაკენ სვლას თან სდევს სასაუბრო ენაში ისეთი ცნებების დამკვიდრება, როგორიცაა *ლიბერალიზაცია, პრივატიზაცია, სტაბილიზაცია* და *გახსნილობა*. მეცნიერთა უმრავლესობის აზრით, ამ ტერმინთა არსის სისრულეში მოყვანას მტკიცე და გონივრული სახელმწიფო პოლიტიკა ესაჭიროება. მსოფლიო ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წამყვანი სპეციალისტების, *ჯ. სტიგლიცისა* და *ნ. სტერნის*, თქმით, „ეკონომიკის კარგ ფუნქციონირებას მთავრობისა და ბაზრის „შეზავება" ესაჭიროება. ეკონომიკური სტრატეგიის ბირთვს ამ „ნაზავის" წონასწორობა, სტრუქტურა და ფუნქციონირება წარმოადგენს".[317]

დღესდღეობით თითქმის არავინ უარყოფს იმ ფაქტს, რომ გარდამავალი ეკონომიკა სახელმწიფოს ჩარევის გარეშე განწირულია. უკანასკნელი წლების მოვლენებმა ცხადყო პოსტკომუნისტური ქვეყნების ბანკებსა და კაპიტალის ბაზრებზე უფრო მკაცრი კონტროლის დაწესების მიზანშეწონილობა. ამჟამად ერთადერთ სადავო საკითხად სახელმწიფო პოლიტიკის მასშტაბები რჩება.

პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში წარმატებული სახელმწიფო პოლიტიკის განსამტკიცებლად ხელისუფლებამ ხალხს საკუთარი ეკონომიკური პროგრამის პრინციპები და მიზნები უნდა ამცნოს. ამგვარი ახსნა-განმარტება მთავრობას მისი ქმედების არასწორად გაგებისაგან დააზღვევს, ხოლო როდესაც ოპოზიცია ლიბერალიზმიდან გადახრას ტოტალიტარული წყობილებისაკენ მიბრუნების მცდელობად მონათლავს, მმართველი ძალა ჭკვიანურ ნაბიჯს გადადგამს, თუ მოწინააღმდეგესთან სერიოზული, კონსტრუქციული დიალოგის გამართვას არ მოერიდება, რათა საბოლოოდ სახელმწიფოს გარდაქმნასა და მოდერნიზაციას შეუწყოს ხელი.

ეკონომისტების დიდი ნაწილის აზრით, გლობალიზაცია ეროვნულ ეკონომიკურ პოლიტიკას უწინდელ მნიშვნელობას უკარგავს და სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო სისტემის

317 N. Stern, J. Stiglitz, *A Framework for a Development Strategy in a Market Economy: Objectives, Scope, Institutions, and Instruments*, London, EBRD Working Paper, N20, April 1997, p.1

დამოუკიდებელი ერთეულის, არსებობას სათუოს ხდის. ზოგიერთს ეს თვალსაზრისი გადაჭარბებული ჰგონია, მაგრამ ერთი რამ მაინც აშკარაა:გლობალიზაციის პროცესი, რომელიც არა მარტო ბაზრების ინტეგრაციაში, არამედ ინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ღირებულებებისა და ნორმების ფართოდ გავრცელებაში გამოიხატება, დიდ გავლენას ახდენს სახელმწიფოთა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე. გლობალიზაცია გამათანაბრებელ ძალად არ უნდა აღვიქვათ. მას მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის უფსკრულის გაღრმავებაც ძალუძს. აქვე საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ, არსებული შიშის მიუხედავად, გლობალიზაცია ალბათ ბოლოს ვერ მოუღებს სახელმწიფოთა სუვერენულობის, ავტონომიურობის სურვილს, ვინაიდან საზოგადოებები როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ეს განსხვავება ძლიერ ემოციურ როლს ასრულებს საზოგადოებების წევრთა თვითშეგნებაში და გამოხატულებას ჰპოვებს არა მხოლოდ ოჯახისა თუ თემის დონეზე, არამედ გარკვეულწილად სახელმწიფო პოლიტიკაშიც. ბრიტანელმა მკვლევარმა *ერნესტ გელნერმა* ერ-სახელმწიფოს მოდერნიზაციის წარმმართველი ძალა უწოდა. საზღვრების არარსებობის შემთხვევაში იმ რეგიონებსა და ქვეყნებს შორის სხვაობის წაშლა, რომლებიც ეკონომიკური განვითარების ერთ საფეხურზე არ იმყოფებიან, კონკრეტული ეკონომიკური პრობლემების მიზეზების დადგენასა და მათ აღმოფხვრას საოცრად გაართულებს. ასე რომ, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ცალკეული სახელმწიფოების მმართველობის ორგანოების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, რადგან ეს მათ მიერ მოზიდული უცხოური ინვესტიციების და შედეგიანი მაკროეკონომიკური, სამრეწველო, სავაჭრო, სოციალური პოლიტიკის საწინდარია.

სახელმწიფოს ჩაურევლად ეკონომიკური წინსვლის მაგალითები ისტორიაში ძალზე ცოტაა. თუმცა, თავად სახელმწიფო პოლიტიკაზეც საკმაოდ ბევრი რამ არის დამოკიდებული. ბოლო ათწლეულების ლათინური ამერიკა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ არ უნდა მოქმედებდეს სახელმწიფო საზოგადოებრივ სფეროში. გადაჭარბებული პოპულიზმი ეკონომიკურ პოლიტიკაში, დიდი საბიუჯეტო დეფიციტი, ხელოვნურად გაბერილი სახელმწიფო სექტორი, იმპორტული საქონლის ეროვნულით ზედმეტად ჩანაცვლების სტრატეგია, მრეწველობის ნაკლებ-

მომგებიანი დარგების სუბსიდირება, მოსახლეობის სოციალური და პოლიტიკური გაუცნობიერებლობა, საზოგადოების წევრებს შორის შემოსავლის არათანაბარი განაწილება — დღეს ყოველივე ეს სახელმწიფო პოლიტიკის ლათინურამერიკული მოდელის განუყოფელ ნაწილად გვევლინება. განსხვავებული სურათია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სადაც ზოგიერთმა სახელმწიფომ 70-იან და 80-იან წლებში დიდ წარმატებას სწორედ გონივრული მაკროეკონომიკური პოლიტიკის წყალობით მიაღწია. „აზიელი ვეფხვების" ეს გამოცდილება ნათელყოფს საექსპორტო ორიენტაციის, მაღალკვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადების, ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების, ასევე „გამჭვირვალობის", მკაცრი ადმინისტრაციული ნორმებისა და ძლიერი ხელისუფლების უზარმაზარ მნიშვნელობას განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობისათვის.

ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და ცხოვრებაში დანერგვა იოლი საქმე არ არის, ვინაიდან ამ პროცესს მუდმივად თან სდევს სერიოზული შეცდომების დაშვების საფრთხე. ძველი წყობილებიდან შემორჩენილი სტერეოტიპების გამო პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კი ეს რისკი რამდენჯერმე იზრდება. ამიტომ ამ ქვეყნებში სახელმწიფო პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტური მენტალიტეტისა და მასთან დაკავშირებული მართვის კულტურის აღმოფხვრისაკენ უნდა იყოს მიმართული.

ოთხი მთავარი პრობლემა. ყოფილი კომუნისტური ქვეყნების ხელისუფლება ოთხი დიდი სირთულის წინაშე დგას. იგი მოვალეა უზრუნველყოს:

ა) საზოგადოებრივი ინსტიტუტების გარდაქმნა;

ბ) ეკონომიკური პროგრესი;

გ) სოციალური სტაბილურობა;

დ) ეთნიკური და კონფესიური „მშვიდობა".

ამ ცვლილებათა პოლიტიკური ქვეტექსტი დემოკრატიის მშენებლობაა, რაც, იმას ნიშნავს, რომ ავტორიტარული რეჟიმების მიერ განხორციელებული რეფორმები საზოგადოების ჭეშმარიტ გარდაქმნას ვერ მოახდენს. აზიის ეს გამოცდილება პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის გასათვალისწინებელია. ამასთანავე, საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვავოთ მოდერნიზაცია და ეკონომიკური ზრდა. პირველი ცნება მეორეს მოიცავს, ხოლო ორივეს ერთად კი საზოგადოებრივი ინსტიტუტების წარმატებული ფუნქციონირება

განაპირობებს.

საზოგადოებრივი (პირველ რიგში, სახელისუფლებო) ინსტიტუტების ქმედითუნარიანობა დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ყოფილ კომუნისტურ სახელმწიფოებში ისეთი პრობლემების არსებობა, როგორიცაა სოფლის მეურნეობის დარგების არაპროდუქტიულობა, საბანკო სექტორის დაუცველობა, დემოკრატიის მშენებლობაში დაშვებული სერიოზული დარღვევები და სხვა სწორედ ამ სფეროს სისუსტის ნიშანია.

ცალკეულ ერთა ისტორიული გამოცდილების გათვალისწინების გარეშე, პოსტკომუნისტური საზოგადოების კაპიტალისტურად გარდაქმნა წარმოუდგენელია. ეკონომიკური ზრდისთვის ბიძგის მიცემა ადვილი არ არის, ვინაიდან არ არსებობს მეურნეობის მაჩვენებელთა გაუმჯობესების რაიმე უტყუარი სახელმძღვანელო სქემა. გავრცელდა მოსაზრება, თითქოს იაფი მუშახელის მქონე ნებისმიერ სახელმწიფოს სწრაფი ეკონომიკური წინსვლის უნარი შესწევს. ჭეშმარიტება კი ალბათ ისაა, რომ რესურსების გონივრულად გამოყენება და უცხოური კაპიტალდაბანდებებისათვის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა მოცემული ქვეყნის საზოგადოებრივი ინსტიტუტების მუშაობისა და ადმიანური კაპიტალის ხარისხზეა დამოკიდებული. საქართველოში ბევრი განუხორციელებელი ეკონომიკური და სოციალური პროექტი სწორედ ადამიანური კაპიტალის, პირველ ყოვლისა, მისი ახალი ელიტის გამოუცდელობის შედეგია.

პოსტკომუნისტურ სახელმწიფოთა მთავრობებისათვის ყველაზე რთული იქნება სტაბილური სოციალური სისტემის შექმნა. ცნობილია, რომ გლობალიზაცია საზოგადოებათა სოციალურ დანაწევრება-გახლეჩას უწყობს ხელს და ეს კარგად ჩანს განვითარებული ქვეყნების მაგალითზე. გარდამავალი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში საბაზრო რეფორმები ძალიან ხშირად მოსახლეობის ფართო მასების უკმაყოფილებას იწვევს, რადგან მოსალოდნელი საერთო კეთილდღეობის ნაცვლად ისინი საზოგადოებას სიმდიდრის მკვეთრ არათანაბარ გადანაწილებას და დიდ შიდა დაძაბულობას ქმნიან. იმ გარემოში, სადაც მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული ზღვარი აშკარად არის გამოკვეთილი, სოციალური დესტაბილიზაცია გარდუვალია. ყოფილი კომუნისტური ქვეყნების ხელისუფალთათვის უმჯობესია ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომლებიც მოქალაქეებს, პირველ ყოვლისა, თანაბარი შესაძლებლობების გარანტიას შეუქმნის.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით არ გადაწყვეტილა დავა იმის

თაობაზე, თუ რომელი ფაქტორები აჩქარებს კაპიტალიზმთან პოსტკომუნისტური საზოგადოების მიახლოებას; პოლიტიკოსთა ნაწილი გარე ფაქტორებს ანიჭებს უპირატესობას, მეორე ნაწილი – შიდა ფაქტორებს.

ინსტიტუტთა როლი. ეკონომიკური ზრდის გავრცელებული თეორიის მიხედვით, ეროვნული წარმოების სწრაფ და მდგრად განვითარებას ადამიანური კაპიტალის არსებობა და მოსახლეობის ფულადი დანაზოგების პროცენტული ნამატი განაპირობებს. 90-იანი წლების გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ პროგრესის საფუძვლად საზოგადოებრივი ინსტიტუტების ეფექტური ფუნქციონირება უნდა მივიჩნიოთ. ამგვარი დასკვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის, რადგან საკუთარი ინსტიტუციური სისტემის გარდაქმნას ამჟამად სწორედ ისინი ცდილობენ.

საზოგადოებრივი ინსტიტუტები ოთხი კაპიტალის (*სოციალური, სამოქალაქო, „წინამძღოლობის“* და *„ერთიანობის“*) სახითაა წარმოდგენილი.

სოციალური კაპიტალის ფორმალური განმარტება, ისევე როგორც მისი რაოდენობრივი შეფასება, უაღრესად რთულია, მას ხელით ვერ შეეხები, რადგან იგი პიროვნებათა შორის ურთიერთობებს მოიცავს და ამით ფიზიკური კაპიტალისაგან თვისებრივად განსხვავდება. სოციალური კაპიტალი თავისი ბუნებით უფრო ეგალიტარულია, ვიდრე ფიზიკური კაპიტალი. იგი საზოგადოებრივი პროგრესის ძლიერი ფაქტორია. როგორც სამართლიანად შენიშნავს *ს. დე ვილდერი*, „კაპიტალის სხვა ფორმათაგან განსხვავებით, მას ძალუძს სარგებელი ძლიერზე მეტად უძლურს მოუტანოს“.[318]

საზოგადოების მთელი კაპიტალი, როგორც ცნობილია, სხვადასხვა კატეგორიებად იყოფა. გვაქვს *ფიზიკური*, ანუ *ბუნებრივი* კაპიტალი (მიწის ფართობები, მინერალური რესურსები და სხვ.), *საფინანსო* კაპიტალი, *სანარმოო* კაპიტალი (მანქანა-დანადგარები და სხვა მოწყობილობა), არსებობს აგრეთვე *ინფრასტრუქტურული* კაპიტალი, *ადამიანური* კაპიტალი (პიროვნების ცოდნა და კვალიფიკაცია) და *სოციალური* კაპიტალი (პიროვნებათა შორის ურთიერთობები, მათი ნორმები, შრომის ეთიკა, ინსტიტუტები,

318 Stefan de Wylder, *Sustainable Human Development and Macroeconomics*, A Discussion Paper. UNDP, New York, p.14

ორგანიზაციები, შრომის ეთიკა, ტრადიციები, ჩვევები, განწყობა და სხვ.) დღეისათვის ყველასათვის ნათელია, რომ სოციალური კაპიტალის დაგროვება და მისი ხარისხი ყველაზე მეტად განაპირობებს მდგრად განვითარებას.

სოციალური კაპიტალი საზოგადოებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს მოიცავს. მისი როლი ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში ძალზე დიდია.

სამოქალაქო კაპიტალი მრავალი ელემენტისაგან შედგება. მათგან უმთავრესი ალბათ სახელმწიფოს მმართველობის ორგანოებში არსებული ძალაუფლების თანაფარდობისა და ურთიერთკონტროლის ადმინისტრაციული სისტემაა. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანების სიმრავლე.

„წინამძღოლობის" კაპიტალი ყურადღების ცენტრში ექცევა კრიზისული ვითარების დროს, როდესაც ქვეყნის ლიდერებს მნიშვნელოვანი არჩევანის გაკეთება უხდებათ. სახელმწიფოს საერთაშორისო სისტემასა და მსოფლიო მეურნეობაში გზის გასაგნებად, ნორმალურად ფუნქციონირებადი პოლიტიკური და ეკონომიკური მექანიზმების გარდა, გამჭრიახი, სწორი „კოორდინაციის" უნარის მქონე ხელისუფლება ესაჭიროება.

ზოგიერთ პოსტ-საბჭოურ ქვეყანაში არსებული მმართველი ელიტა ყოფილი საბჭოთა ნომეკლატურისა და ახალი პოლიტიკური ძალების „ნაზავს" წარმოადგენს, ზოგიერთში კი მთლიანად ახალი პოლიტიკური ძალებით არის წარმოდგენილი. ბუნებრივია, რომ „წინამძღოლობის" კაპიტალი როგორცარც პირველ, ისე და არც მეორე შემთხვევაში თანამედროვე მოთხოვნებს მხოლოდ ნაწილობრივ პასუხობს.

„ერთიანობის" კაპიტალი პოლიტიკურ და სოციალურ სტაბილურობას, საზოგადოების ერთ მუშტად შეკვრის უნარს გულისხმობს და, სხვათა მსგავსად, კაპიტალიზმის განვითარების როგორც წინამძღოლ, ისე თანმხლებ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს.

გლობალიზაციის, ახალი ტექნოლოგიებისა და მსოფლიოში ეკონომიკურ ძალთა გადანაწილების ეპოქა ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოთაგან „საერთო კაპიტალისტურ ფერხულში" ჩაბმას მოითხოვს, რაც ამ ქვეყნებში საზოგადოებრივი ინსტიტუტების გარდაქმნას, ეკონომიკურ მაჩვენებელთა გაუმჯობესებას, სოციალურ ფრაგმენტაციასთან ბრძოლასა და მწირი სახელმწიფო

ბიუჯეტის პირობებში ადამიანური კაპიტალის ფორმირებას აუცილებელს ხდის. ამ მხრივ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ახალი ტიპის განათლების დანერგვა და კვალიფიციური ახალგაზრდა კადრების მომზადება. სწორედ აღნიშნული მიზნების განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს ხსენებული ქვეყნების სახელმწიფო პოლიტიკა, რადგან ეს მათ მიერ წარმატების მიღწევის საუკეთესო საშუალებას უქმნის. განათლების პრობლემების უყურადღებოდ დატოვება სტრატეგიული, შესაძლოა ფატალური შეცდომაც კი იყოს დამოუკიდებელი განვითარების გზაზე დამდგარი ქვეყნისთვის.

3.3 ნაციონალიზმის ფაქტორი

ორ ძმასა მთელი ქვეყანა სახნად, სათესად, ბაღადა
რატომ არ ეყოთ, ეს მიკვირს, ერთმანეთს ხოცდენ რაღადა?
დავით გურამიშვილი

ალბათ არც ერთი საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური მოვლენა ან პროცესი არ იპყრობს სადღეისოდ ისეთ საყოველთაო ყურადღებას, როგორც ნაციონალიზმი. მე-20 საუკუნე არა მხოლოდ ნაციონალიზმის აღზევების, არამედ მისი დამანგრეველი „მუშაობის" საუკუნეც იყო. აშკარაა, რომ დაწყებული საუკუნის დასაწყისშიც ნაციონალიზმის მძვინვარება არ დაცხრება. ნაციონალიზმის „რენესანსის" ხანა განსაკუთრებით საუკუნის მიწურული აღმოჩნდა. ცივი ომის უკანასკნელ წლებში უკვე შეიმჩნეოდა ნაციონალიზმის ხელახალი აფეთქების წანამძღვრები; ეს ის დრო იყო, როდესაც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რესპუბლიკაში ნაციონალიზმის უარყოფითი გამოვლინებები გახშირდა.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ნაციონალიზმის აღორძინება და მძლავრ პოლიტიკურ ძალად მისი გადაქცევა ბევრისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა[319]. დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ

319 ნაციონალიზმის შესახებ იხ.: ედუარდ კოდუა. ეთნოსოციოლოგიის ზოგიერთი საკითხი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2002; ზურაბ დავითაშვილი. ნაციონალიზმის კომპლექსური ტიპოლოგიის საკითხისათვის. „ახალი აზრი", 5, მარტი-აპრილი, 2002, გვ. 5-13; ზურაბ დავითაშვილი. ნაციონალიზმი და გლობალიზაცია. „მეცნიერება", თბილი-

ამერიკაში მილიტარიზმსა და ნაციონალიზმზე უკვე კარგა ხანია, რაც კონტროლი არსებობს და ამიტომ ყოფილი იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის სივრცეში ნაციონალიზმის უკიდურესი გამოვლინებები და ეთნიკური კონფლიქტები დასავლეთის საზოგადოებრიობისათვის მოულოდნელიც კი აღმოჩნდა. ამასთანავე საიდუმლოს არავისათვის არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპი თანამედროვე პოლიტიკური ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია და ახალი სახელმწიფოების წარმოქმნა სწორედ ამ პრინციპის საერთაშორისო ნორმად აღიარების შემდეგ დაჩქარდა.

ეთნიკური ნაციონალიზმი ახალი სუვერენული სახელმწიფოების მოსახლეობის პოლიტიკური და ეკონომიკური კულტურის ძირითადი ელემენტი გახდა. ამ გარემოებამ მეტად თავისებური დაღი დაასვა ხსენებული ქვეყნების საშინაო პოლიტიკურ ვითარებას და მათ საგარეო პოლიტიკას, მეტად სპეციფიკური შეფერი-

---

სი, 2003; Benedict Anderson, *Imagined Communities: Reflections on the Origin and Spread of Nationalism,* Revised Edition. Verso, London, 1991; John Breuilly, *Nationalism and the State,* Manchester University Press, Manchester, 1982; Karl W. Deutch, *Nationalism and Social Communication.* Second Edition, MIT Press, 1966; Ernest Gellner, *Nations and Nationalism,* Blackwell, Oxford, 1983; Eric J. Hobsbawm, *Nations and Nationalism Since 1780,* Cambridge University Press, Cambridge, 1990; Elie Kedouri, *Nationalism,* Hutchinson, London, 1960; James Mayall, *Nationalism and International Society,* Cambridge University Press, Cambridge, 1990; Antony D. Smith, *Nationalism in the Twentieth Century,* Martin Robertson, Oxford, 1979; Antony D. Smith. *Theories of Nationalism,* Second Edition. London, Duckworth/New York, Harper and Row, 1983; Antony D. Smith, *National Identity,* University of Nevada Press. Reno, 1991; Michael E. Brown (Ed.). *Ethnic Conflict and International Security,* Princeton University Press, Princeton, 1993; Nationalism. Ethnic Conflict, and Democracy. Larry Diamond and Marc F. Plattner (Editors). The Johns Hopkins University Press, 1994; Richard Caplan and John Feffer (Eds.), *Europe's New Nationalism: States and Minorities in Conflict,* Oxford University Press, New York, 1996; Charles A. Kupchan (Ed.), *Nationalism and Nationalities in the New Europe,* Cornell University Press, Ithaca, 1995; O.Dahbour and M.R. Ishay, *The Nationalism. Reader,* Humanities Press, New Jersey, 1995; Louis L Snyder, *Encyclopedia of Nationalism,* Paragon House, New York. 1990; Rogers Brubaker. Nationalism Reframed: Nationhood and the national question in the New Europe. Cambridge University Press. 1997; Michael Hechter, *Containing Nationalism,* Oxford University Press, Oxford, 2000; Anthony D. Smith. Nationalism: Theory, Ideology, History. Polity, 2001; Rogers Brubaker. Ethnicity without Groups. Harvard University Press, 2004; Paul Lawrence. Nationalism: History and Theory. Pearson Longman, 2005,

ლობა მიანიჭა ამ ახალგაზრდა პოლიტიკური წარმონაქმნების ცხოვრების ყველა სფეროს და დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის განმტკიცებასთან ერთად ახლადაღმოცენებული სახელმწიფოების ყველაზე მძლავრ დამანგრეველ ფაქტორად იქცა.

ისეთმა გამჭრიახმა ექსპერტმაც კი, როგორიც ბრიტანელი ედვარდ ქარი იყო, სათანადოდ ვერ შეაფასა თანამედროვე ისტორიაში ნაციონალიზმის ძალა და ადგილი. 1944 წელს დაწერილ წიგნში „ნაციონალიზმი და შემდეგ" მან მსოფლიოს შემდგომი განვითარება წარმოადგინა, როგორც სოციალური თანასწორობისაკენ სწრაფვა, ხოლო ნაციონალიზმი უმნიშვნელო მოვლენად მიიჩნია[320].

ნაციონალიზმი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ერთ-ერთ უმძლავრეს ფაქტორად გვევლინება. მართალია, ნაციონალიზმს ინტენსიურად იკვლევენ, მაგრამ მისი კონცეფცია და არსი, ისევე როგორც მისი თანამედროვე გამოვლინებები ჯერ საკმარისად არ არის განსაზღვრული და შესწავლილი.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ნაციონალიზმი (როგორც წესი, პოპულიზმთან გადანასკვული) არა მხოლოდ მძლავრ გამაერთიანებელ, სოლიდარობისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის აუცილებელ მამობილიზებელ ძალად, არამედ დამანგრეველ, დამთრგუნველ, გამთიშველ, სეპარატიზმისა და ეთნიკურ-რელიგიური კონფლიქტების წარმომქმნელ ფაქტორად მოგვევლინა.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და მის ნანგრევებზე ახალი სუვერენული სახელმწიფოების გაჩენის განმსაზღვრელი ფაქტორი ალბათ სწორედ ნაციონალიზმი იყო. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების არამდგრადობისა და შესაძლო შემდგომი რღვევის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორიც იგივე ნაციონალიზმია, რომელიც საფუძვლად უდევს ხსენებულ ქვეყნებში განვითარებულ ირედენტიზმსა და სეპარატიზმს, ეთნოსებს შორის დაპირისპირებას.

ამავე დროს ნაციონალიზმის ნეგატიურ გამოვლინებებსა და შედეგებთან ერთად მისი კონსტრუქციული როლიც უნდა აღინიშნოს. იგი ხელს უწყობს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას, ქვეყნის შიდა სტაბილურობას, რადგან თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის სამსახურში ჩადგომით დადებითი და კონსტრუქციული შედეგების მოტანა შეუძლია.

კონსტრუქციული, სახელმწიფო ნაციონალიზმი, რომელიც თანამედროვე ერი-სახელმწიფოს შექმნას უწყობს ხელს, სწორედ

---

320 იხ:Edward H. Carr, *Nationalism and After*, Macmillan, London. 1967

ის არის, რაც შესამჩნევად აკლია ბევრ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს მდგრად პოლიტიკურ ერთეულად გადაქცევის გზაზე.

მართალია, ნაციონალიზმის იდეოლოგიებს ერთი რამ (სახელმწიფოს შექმნა) აქვთ საერთო, ისინი ორი ძირითადი მახასიათებლის (შინაარსი და სიმძაფრე) მიხედვით განსხვავდებიან.[321] არსებობს ნაციონალიზმის სხვადასხვა ტიპოლოგია. ჩვენ ვისარგებლებთ ახალი სუვერენული ქვეყნების პრობლემების განხილვისათვის ყველაზე გამოსადეგი შედარებით მარტივი ტიპოლოგიით, რომელიც ორგვარ ნაციონალიზმს გამოყოფს: ეთნიკურს და სამოქალაქოს.[322]

ეთნიკური ნაციონალიზმი ერს განიხილავს როგორც ადამიანთა ჯგუფს, რომელსაც მსგავსი ფიზიკური ნიშნები, კულტურა, რელიგია, ენა და საერთო წინაპრები აერთიანებს. სხვა ეთნოსის წარმომადგენელი, თუნდაც იგი ხსენებული ერის, მისი ერი-სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობდეს და მისი მოქალაქე იყოს, ამ ერის ნაწილად არ განიხილება.

თუ პირველი სახის ნაციონალიზმი არის საერთო ეთნიკური და კულტურული ნიშნების მიხედვით კოლექტიური თვითშეგნების გამოხატულება, მეორე ერს მოქალაქეობისა და პოლიტიკური მონაწილეობის კატეგორიებით განსაზღვრავს, ე.ი. ადამიანთა ჯგუფი სამოქალაქო ნიშნებით (გარკვეულ პოლიტიკურ ერთობაში ყოფნა; საერთო პოლიტიკური ფასეულობები; საცხოვრებელ ადგილად ქცეული სახელმწიფოსადმი თავის მიკუთვნება და ლოიალურობა; ჩვეულებრივ, აგრეთვე, საერთო ენა) გამოიყოფა. ამგვარ ერში მოქალაქე, მისი ეთნიკური თუ სხვა ნიშნების მიუხედავად, ერის ნაწილია. ამგვარი ერის წევრებს საერთო სახელმწიფოებრიობა აკავშირებს. საერთო აღიარებით, სამოქალაქო ნაციონალიზმი არბილებს რასობრივ, ეთნიკურ და რელიგიურ განსხვავებებს და მინიმუმამდე დაჰყავს ამ საფუძველზე წარმოქმნილი შესაძლო წინააღმდეგობები[323]. ამის გამო სამოქალაქო

321 Charles A. Kupchan, "Introduction: Nationalism Resurgent", In: Charles A. Kupchan (Ed.), *Nationalism and Nationalities in the New Europe*, Cornell University Press, Ithaca, 1995, p.4

322 ნაციონალიზმის ხსენებული ორი ტიპი განხილულია შემდეგ შრომებში:Liah Greenfield, *Nationalism*, Harvard University Press, Cambridge, 1992; Anthony D. Smith, *The Ethnic Origins of Nations*, Blackwell, Oxford, 1991.

323 ჰეტეროგენულ საზოგადოებებში სამოქალაქო ნაციონალიზმის შესახებ იხ.:Arend Lijphart, *Democracy in Plural Societies: A Comparative Exploration*, Yale University Press, New Haven, 1977; Wolf Linder, *Swiss Democracy: Possible Solutions to Conflict in Multicultural Societies*, St. Martin's Press, 1994.

ნაციონალიზმის დომინირების პირობებში უკეთ არის დაცული არა მხოლოდ ცალკეულ მოქალაქეთა, არამედ უმცირესობათა უფლებებიც, მინიმუმამდეა დაყვანილი ეთნიკური ხასიათის კონფლიქტების წარმოშობის შესაძლებლობანი და უზრუნველყოფილია უსაფრთხოება. სამოქალაქო ნაციონალიზმი ხელს უწყობს ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ შეკავშირებას და პოლიტიკურ თანასწორობას, რაც თავის მხრივ სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და სრულყოფისათვის არის სასარგებლო.

სამოქალაქო ნაციონალიზმი, უაღრესი მიმზიდველობისა და სარგებლიანობის მიუხედავად, საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. არც მისი განვითარებაა ადვილი, რადგან კარგად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ და სამართლებრივ ინსტიტუტებს საჭიროებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია ურთიერთობათა რეგულირება და პოლიტიკური ხელისუფლების განაწილება ეთნიკური და სოციალური „საზღვრების" მიუხედავად. სამოქალაქო ნაციონალიზმი ფესვგადგმულ, ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ ერთობებში არის შესაძლებელი.

ამგვარ ერში და სახელმწიფოში წინ დგას მოქალაქეობა და არა ეთნიკური წარმოშობა. სამოქალაქო ნაციონალიზმი მხოლოდ ერი-სახელმწიფოს, ტერიტორიული სახელმწიფოს კონტექსტში არსებობს. ეთნიკურმა ნაციონალიზმმა კი, შეიძლება, ერი-სახელმწიფო, ტერიტორიული სახელმწიფო ვერც შექმნას.

ეთნიკური ნაციონალიზმი ფართოდ არის გავრცელებული ნაკლებად განვითარებულ პოლიტიკურ ერთობებში. მაღალი პოლიტიკური და ეკონომიკური კულტურით „გაჟღენთილ" საზოგადოებაში იგი ვერ დამკვიდრდება. ამგვარი ნაციონალიზმი ცეცხლის ალივით მოედება ხოლმე იმ საზოგადოებებს, რომელთა პოლიტიკურ კულტურაშიც სამოქალაქო ელემენტების სისუსტე შეინიშნება. ყველაზე დიდ საფრთხეს იგი სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესს უქმნის, თუმცა თავად ერი-სახელმწიფოს შექმნას აცხადებს თავის უმაღლეს მიზნად. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ამ თეზისის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს. ეთნიკური ნაციონალიზმი სხვადასხვა სახით და სიმძაფრით წარმოჩინდება ხოლმე, მაგრამ მთელ პოსტსაბჭოთა და პოსტკომუნისტურ სივრცეში, ყველაზე მეტად მისი დამანგრეველი მოქმედება მაინც ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე აღმოცენებულმა პოლიტიკურმა ერთეულებმა, ხოლო პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთმა, საქართველომ, აზერბაიჯანმა და მოლდოვამ განიცადეს. მთელი ერის პოლიტიკურ

კულტურაზე ეთნიკური ნაციონალიზმის უზარმაზარი გავლენის მაგალითებია პოსტსაბჭოთა რუსეთი და სომხეთი, რაც მათ მეზობლებს უსაფრთხოების მნიშვნელოვან პრობლემებს უქმნის.

ეთნიკური ნაციონალიზმი განსაკუთრებით მრავალეროვან პოლიტიკურ ერთეულებშია საშიში. სიდიდე-სიპატარავის მიუხედავად, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ეთნიკურად და რელიგიურად უმეტესწილად სწორედ ამგვარ, ჰეტეროგენულ საზოგადოებებს წარმოადგენენ.

ამიტომაც, როგორც წესი, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში საკმაოდ დიდია ისეთი ეთნიკური ჯგუფების რიცხვი, რომლებიც მაღალი რანგის ავტონომიას ან უფრო ხშირად სულაც სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვენ. პოსტსაბჭოურ საზოგადოებებში, როგორც უკვე ითქვა, არ არსებობს დემოკრატიის ტრადიციები, დიალოგის წარმართვის პოლიტიკური კულტურა. კულტურული ჰეტეროგენულობის პირობებში კი კონფლიქტის თავიდან აცილების პრაქტიკულად ერთადერთი გზა დიალოგის წარმართვაა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კულტურამ მძიმე დაღი დაასვა ეთნოსთა შორის ურთიერთობებს და ამ მხრივ პოსტსაბჭოთა სივრცეში აღმოცენებულ ახალ სუვერენულ სახელმწიფოებს ძალიან მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა[324].

სწორედ ამან გაამწვავა ეთნიკური ურთიერთობები, გაახშირა სეპარატიზმი და ეთნიკური კონფლიქტები აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სამწუხაროდ, გაბატონებულია ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელიც მოსახლეობას არა სოციალური და პოლიტიკური თანასწორობის, არამედ უპირატესად საერთო ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე აერთიანებს. ეთნიკური ნაციონალიზმი არ საჭიროებს მდგრად პოლიტიკურ ინსტიტუტებს და მაღალ პოლიტი-

---

324* ამ მხრივ საყურადღებოა:Paul A. Goble, "Three Faces of Nationalism in the Former Soviet Union", In: Charles A. Kupchan (Ed.). *Nationalism and Nationalities in the New Europe*, Cornell University Press, Ithaca, 1995, pp. 122-135. Valery Tishkov, "Post-Soviet Nationalism", In: Richard Caplan. John Feffer (Eds.). *Europe's New Nationalism: States and Minorities in Conflict*, Oxford University Press. New York, 1996, pp. 23-41; Ghia Nodia, "Nationalism and the Crisis of Liberalism", In: *Europe's New Nationalism...*, pp. 101-119; Jack Snyder, "Nationalism and the Crisis of the Post-Soviet State", In: Michael Brown (Ed.). *Ethnic Conflict and International Security*, Princeton University Press, Princeton, 1993, pp. 79-101.

კურ კულტურას. მართალია, მასში დესტრუქციული ძალა თავისთავად არ არის ჩადებული, მაგრამ ეთნიკურად უმეტესწილად არაჰომოგენური სახელმწიფოებისაგან შემდგარ თანამედროვე სამყაროში, სადაც ეთნოსთა შორის რთული და კომპლექსური ურთიერთობები შეინიშნება, ეთნიკური ნაციონალიზმის მოჭარბება ეროვნებათა შორის დაძაბულობის გაღვივებას, სეპარატიზმს, ირედენტიზმს, კონფლიქტს და სახელმწიფოს დესტაბილიზაციასა და დაშლას იწვევს.

ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები წარმოადგენენ. რუსეთმა სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიის ქვეყნებში, უკრაინასა და მოლდავეთში ეთნიკური ნაციონალიზმის გამოვლინებას დიდად შეუწყო ხელი, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ხსენებულ რეგიონებში მისმა ძირგამომთხრელმა პოლიტიკამ, სამწუხაროდ, მეტად ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა და დაბალი პოლიტიკური კულტურის პირობებში ტრაგიკული შედეგები გამოიწვია. ეთნიკური ნაციონალიზმი კვლავაც უშლის ხელს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მდგრადი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას, ამძაფრებს ეროვნებათა შორის ურთიერთობებს, აღვივებს სეპარატიზმს. სამწუხაროდ, ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების ბევრი წარმომადგენელი ხელს უწყობს ეთნიკური ნაციონალიზმის გაღვივებას, რადგანაც ისინი თავიანთ უპასუხისმგებლო პოლიტიკას სწორედ მასზე და პოპულიზმზე აგებენ, რითაც კიდევ უფრო ასუსტებენ თავიანთი ქვეყნების ისედაც მყიფე, ახალჩასახულ სახელმწიფოებრიობას. შეიძლება ითქვას, რომ ისინი სწორედ იმ ტოტს ჭრიან, რომელზედაც ყველანი ვსხედვართ და რომლის მოვლაც ყველაზე მეტად გვმართებს. გავიხსენოთ თუნდაც პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ეროვნული კუთვნილების აღმნიშვნელი პუნქტის შეტანის შესახებ ატეხილი ვნებათა ღელვა 90-იანი წლების მიწურულის საქართველოში.

უსაფრთხოების რეალური შეგრძნება და ერი-სახელმწიფოს მიმართ ლოიალურობა არ შეიძლება განვითარდეს იმ ქვეყნებში, სადაც ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი სხვა ეთნოსებთან ურთიერთობას უპირატესად საკუთარი ეთნიკური ნაციონალიზმის, ე. ი. საკუთარი გამორჩეულობისა და ქედმაღლობის საფუძველზე აგებს.[325]

---

325 ყოფილი კომუნისტური სამყაროს ტერიტორიაზე პოლიტიკურ პროცესებში ეთნიკური ნაციონალიზმის როლის შესახებ იხილეთ:Ghia Nodia, "Nationalism and the Crisis of Liberalism". In: Richard Caplan, John Feffer (Eds). *Europe's New Nationalism*, Oxford University Press. New York and Oxford, 1996, pp.101-

პოსტსაბჭოთა პატარა სახელმწიფოების სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესს და ეროვნული უსაფრთხოების ძირითად პრიორიტეტს სწორედ ქვეყნის შიგნით მცხოვრებ ეთნოსებს შორის სამოქალაქო მშვიდობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის დამკვიდრება წარმოადგენს. სამწუხაროდ, ამ ქვეყნებში არსებული მეტად სპეციფიკური, დაბალი პოლიტიკური კულტურა ხელს უწყობს ეთნიკური ნაციონალიზმის დომინირებას და ამის შედეგად ისედაც არამდგრადი სახელმწიფოებრიობის შესუსტებას.

ნაციონალიზმი, კონკრეტულად კი პოსტსაბჭოთა სივრცეში გაბატონებული ეთნიკური ნაციონალიზმი, ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოების ყველაზე ძნელად დასაძლევ სენად და ყველაზე დიდ პოტენციურ საფრთხედ გვევლინება.

პოსტსაბჭოთა პატარა ქვეყნებში ეთნიკური ნაციონალიზმისა და სეპარატიზმისგან განკურნების ყველაზე ეფექტური საშუალება ალბათ ფედერალიზმი უნდა იყოს. მართალია, საბჭოთა კავშირში ფედერაციის იდეა ახალი და გაუგებარი არასოდეს ყოფილა (ბოლოს და ბოლოს თავად საბჭოთა კავშირი ფორმალურად ფედერაციული სახელმწიფო იყო), მაგრამ, სამწუხაროდ, ფედერაციის ცნება ტოტალიტარული სახელმწიფოს კონტექსტში ძალზე დამახინჯებული იყო. თანამედროვე რუსეთის ფედერაციაც ჭეშმარიტ ფედერაციად გადაქცევის უაღრესად მტკივნეულ პროცესში იმყოფება. შესაძლოა ეს იყოს ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არც მრავალრიცხოვანი ერები და არც ეროვნული უმცირესობები თავიანთი ქვეყნების ფედერაციული მოწყობის იდეას მაინცდამაინც დიდი ნდობით რომ არ ეკიდებიან.

ამგვარი მიდგომა გასაგებიცაა, რადგან უნიტარული, ავტორიტარული (უფრო მეტიც, ტოტალიტარული!) მმართველობის ხანგრძლივმა პერიოდმა ფედერაციის იდეას სახელი გაუტეხა და მის მიმართ უნდობლობა წარმოშვა. ეთნიკური ნაციონალიზმის, შოვინიზმის, სუსტი სამოქალაქო კულტურის პირობებში ქვეყნის ფედერალური მოწყობა, მართლაც, შეიძლება სათუოდ მოგვეჩვენოს, რადგან არამდგრად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფედერალიზმი, ბევრის აზრით, ისედაც მყიფე სახელმწიფოებრიობას

119: George Schopflin, "Nationalism and the Ethnic Minorities in Post-Communist Europe", In: *Europe's New Nationalism*, pp. 151-168; Michael E.Brown (Ed.). *Ethnic Conflict and International Security*, Princeton University Press. Princeton, 1993; Charles A. Kupchan (Ed). *Nationalism and Nationalities in the New Europe*. A Council on Foreign Relations Book. Cornell University Press. Ithaca and London, 1995

სასიკვდილო დარტყმას მიაყენებს.

თუ ფედერალიზმი ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების მხრიდან სათანადო პასუხისმგებლობითა და თვით მისი აუცილებლობის ჭეშმარიტი შეგნებით განხორციელდა, იგი შეიძლება პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთი ეთნიკურად „ჭრელი" ახალგაზრდა სახელმწიფოს გადარჩენისა და მდგრადი არსებობის ერთადერთი საფუძველი გახდეს.

ამ მხრივ საყურადღებოა შვეიცარიის მაგალითი. თანამედროვე შვეიცარია, როგორც ფედერალური(თუმცა მისი სახელწოდება შვეიცარიის კონფედერაციაა!) სახელმწიფო, შეიქმნა მცირე კანტონების (ტერიტორიული ერთეულების) გაერთიანების შედეგად. კანტონების სიმცირე ხელს არ უწყობდა ტევადი შიდა ბაზრის წარმოქმნას. მათ ცალ-ცალკე არც საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა შეეძლოთ. ამიტომაც XIX საუკუნის შუა წლებში საჭირო გახდა კანტონების პოლიტიკური ინტეგრირება ფედერალურ სახელმწიფოდ.[326] თანამედროვე ევროპული ინტეგრაციაც ევროპის ფედერალიზაციის პროცესია. შვეიცარიისა და ევროპის ინტეგრაციის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ის სეპარატისტული წარმოდგენა, თითქოს ნებისმიერი სახელმწიფო მაინცდამაინც ერთ ენას ან კულტურას უნდა ემყარებოდეს, არ არის მართებული.

კულტურული და პოლიტიკური პლურალიზმი, თუ იგი დემოკრატიულ, სამოქალაქო კულტურას ეყრდნობა, მდგრადი და განვითარებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ხელს არ უშლის.[327] დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პირობებში ფედერალიზმის დამკვიდრება ხელს შეუწყობდა მრავალეროვნული პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების გადარჩენას, მათ მიერ ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას და შემდგომ განვითარებას.

---

326 Wolf Linder, *Swiss Democracy. Possible Solutions to Conflict in Multi-Cultural Societies*, St Martin's Press. 1994, pp.38-83, p.161

327 ამ საკითხის შესახებ იხილეთ:Arend Lijphart, *The Politics of Accomodation*, University of California Press. Berkeley, 1975; Arend Lijphart, *Democracy in Plural Societies*, Yale University Press, New Haven and London, 1977

თავი 4

ახალწარმოშობილ სახელმწიფოთა შიდა სისუსტე

4.1 უნიათო მართვა

თუ შვილნი არ ვევარგენით,
რა ქნას სამშობლო მიწამა.
ვაჟა ფშაველა

ბრძენმან არ უნდა იკადროს, ურიგო რაც რამ ფერია,
ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახდების ერია.
დავით გურამიშვილი

„ახალგაზრდა ქვეყნებისთვის" ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსტიტუტების დროულად განმტკიცება და მათი მდგრადობის მიღწევა. ხშირად ამგვარ ქვეყნებს ბევრი პრობლემა ექმნებათ სწორედ მათი ჯერ კიდევ სუსტი სახელმწიფოებრიობის გამო. ზოგჯერ მყიფე სახელმწიფოებრიობა ქვეყნის არსებობასაც კი სათუოდ ხდის. ასეთი ქვეყნები ხშირად „არშემდგარ" სახელმწიფოებად მოიხსენიება.[328]

იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მხოლოდ ახლა იწყებენ საკუთარი სახელმწიფოებრიობის მშენებლობას, განსაკუთრებული, ალბათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო მართვის ეფექტიანობას. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ სახელმწიფო მართვის სფეროში მიღწეული შედეგები განაპირობებს არა მხოლოდ საკუთრივ სახელმწიფო მექანიზმების ეფექტურ ფუნქციონირებას, არამედ ისინი ხელს უწყობენ კერძო სექტორის განვითარებასაც. სახელმწიფო მართვის საკითხი პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნების კონტექსტში ცენტრალურ ადგილს იკავებს. სწორედ სახელმწიფო მართვაში იყრის თავს ყველა ის მანკიერება, რომლებიც პოსტსაბჭოურ ქვეყნებს საბჭოთა სისტემისაგან მემკვიდრეობით ერგო. ზოგიერთ მათგანში ყოფილმა საბჭოთა ბიუროკრატიამ სწორედ

328 Robert I. Rotberg. Failed States, Collapsed. Weak States: Causes and Indicators. In State Failure and State Weakness in a Time of Terror. Robert I. Rotberg (Editor). Brookings Institution Press, Washington, D.C., 2003, pp. 1-25

სახელმწიფო მართვის მექანიზმების ყველა რგოლს შეაფარა თავი და ასე შეეცადა არა მხოლოდ საკუთარი თავი გადაერჩინა, არამედ დაკარგული პოზიციებიც დაებრუნებინა. ბევრმა ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი წარმატებები მოიპოვა, მაგრამ ამით უმეტეს შემთხვევებში თავის ახალგაზრდა სახელმწიფოს მოუტანა ზიანი.

ბიუროკრატიის გარეშე სახელმწიფო ვერ იარსებებს. იგი სახელმწიფოს ძირითადი ბურჯია. ბუნებრივია, სახელმწიფოს ნორმალური, ეფექტური ფუნქციონირებისთვის კარგად განსწავლული, გაწვრთნილი და ორგანიზებული ბიუროკრატია ესაჭ�roება. ახალგაზრდა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებს ყოფილი საბჭოური ბიუროკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყენება მოუხდათ. ყველაზე ნაკლებად ეს მოხდა ბალტიის სახელმწიფოებში, დანარჩენებში კი საბჭოური მართვის კულტურისა და მენტალიტეტის მქონე ბიუროკრატიამ 90-იან წლებში თითქმის მთლიანად შეავსო სახელმწიფო აპარატი.

რა იყო საბჭოური ბიუროკრატიის მთავარი განმასხვავებელი თვისება? – ეს იყო ქვეყანაში და სახელმწიფო აპარატში სიცრუის დამკვიდრება. ვინაიდან საბჭოთა პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა მცდარ თეორიულ წანამძღვრებზე და უკიდურეს ძალადობაზე, ტერორზე იყო აგებული (ისტორიამ ეს დაასაბუთა!). ყველაფრის საფუძველი სიცრუე გახდა. ე. წ. „საბჭოთა ელიტა“, რომელსაც თავად არ სჯეროდა იმ იდეოლოგიისა, რომლის გამოც მილიონობით ადამიანი აწამა, დაასახიჩრა და მოსპო, ქვეყნის მოსახლეობას ციინიკურად თავს ახვევდა ყალბ ფასეულობებსა და პრინციპებს. საძირკველშივე მცდარმა პრინციპებმა და გახრწნილმა სახელმწიფო აპარატმა (კომუნისტური პარტია ხომ სახელმწიფოს ხერხემალი იყო) შექმნა ბიუროკრატიის ახალი, ისტორიაში აქამდე უცნობი ტიპი, რომლის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები იყო უინიციატივობა, ადამიანური და მატერიალური რესურსების ფლანგვა, კორუფცია, სიცრუე. საბჭოთა ბიუროკრატიას არ შეიძლება საზოგადოების ჭეშმარიტი კეთილდღეობა თავის მიზნად დაესახა. ტოტალიტარულმა საბჭოთა სისტემამ გამოზარდა ისეთი ბიუროკრატია, რომლის უდიდესი ნაწილიც ნამდვილად გამოუსადეგარი აღმოჩნდა ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს შესაქმნელად. მაგრამ პოსტსაბჭოურ საზოგადოებას სხვა ბიუროკრატია არ გააჩნდა და „ძველებმა“ „ახლებურ კოსმეტიკას“ მიმართეს. შედეგად ბევრ ქვეყნებში ტლანქი, არაეფექტური, პრაქტიკულად საბჭოური ტიპის სახელმწიფო აპარატი და მართვის კულტურა შემორჩა.

აუცილებელია ისიც ითქვას, რომ პოსტსაბჭოური ქვეყნების სახელმწიფო მართვაში არსებული მანკიერება და პრობლემები სტრუქტურული და ხშირად ინერციული ხასიათისაა. დასავლეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შეგონებისა და დახმარების მიუხედავად, ძალიან ნელა მიმდინარეობს სახელმწიფო მართვის რეფორმირება, თანამედროვე მოთხოვნილებებსა და ამოცანებზე მისი მორგება. მაგალითად, ბალტიის ქვეყნებში, საქართველოში ძირეული ცვლილებები გატარდა ამ მიმართულებით, მაგრამ ბევრ ქვეყანაში ვითარება თითქმის იგივე დარჩანაკლებად შეიცვალა და უკვე ყველასთვის ნათელია, რომ არსებული ტიპის სახელმწიფო მართვის სისტემა და კულტურა თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ხელს უშლის. უფრო მეტიც, იგი ხრწნის საზოგადოებას, აფერხებს ეფექტური კერძო სექტორის შექმნას და ეკონომიკურ განვითარებას, დისკრედიტაციას უწევს განცხადებულ დემოკრატიულ ფასეულობებს და პრინციპებს.

პოსტსაბჭოური ქვეყნების ნაწილში ჩამოყალიბდა სახელმწიფო მართვის მეტად თავისებური ტიპი, რომელიც თავისი არსით საბჭოური უფროა, თუმცა პროგრესულის, დემოკრატიულის ელემენტებსაც შეიცავს და რაც მთვარია, მის ნიღაბს იფარებს. ამ ქვეყნებში ჩამოყალიბდა და ყალიბდება ავტოკრატიული მმართველობა, რომლის საფუძველია პატრონაჟის სისტემა, კლანური კავშირები და კლიენტელიზმი. სახელმწიფო კვლავაც მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების სრულ გამგებლად რჩება. პიროვნებათა და უმცირესობათა უფლებები არა საბჭოური სახით, მაგრამ მაინც დათრგუნვილია. სახელმწიფო აპარატი ძირითადად საკუთარი თავის გადარჩენისა და გამდიდრებისათვის და არა საზოგადოებრივი პროგრესისათვის ზრუნავს. საზოგადოების ისედაც მწირი რესურსები (უცხოურ დახმარებასთან ერთად!) არაეფექტურად, მტაცებლურად გამოიყენება. ყოველივე ამის შედეგები სავალალოა.

საკუთრივ სახელმწიფო მართვის სფეროში ზოგიერთი სიახლეც შეინიშნება. ბევრ პოსტსაბჭოურ სახელმწიფოში მიღებულია კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მაგრამ, ექსპერტთა აზრით, მათში დატოვებულია „ხვრელები“ გარედან მანიპულირებისა და კორუფციისათვის, რაც საჯარო სამსახურს ნაკლებად ეფექტურს ხდის. თითქმის ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში სახელმწიფო სტრუქტურები პრაქტიკულად უნიათო მართვის, კორუფციისა და თავად სახელმწიფოს შესუსტების მთავარ პირობად და ფაქტორად იქცა. სახელმწიფო სამსახური არ იზიდავს პერსპექტიულ სპეციალისტებს,

(განსაკუთრებით – ახალგაზრდებს), სამაგიეროდ, სახელმწიფო აპარატი გადავსებულია უცოდინარი, კორუმპირებული პირებით, რომელთა გარკვეული ნაწილი კრიმინალურ სამყაროსთან დანაშაულებრივ ალიანსში იმყოფება. ეს განსაკუთრებით ითქმის ძალოვან სტრუქტურებსა და მატერიალური ფასეულობების მწარმოებელ და გამანაწილებელ უწყებებზე, საბაჟო და საშემოსავლო სამსახურზე. არაეფექტური სახელმწიფო სექტორი, იმის ნაცვლად, რომ ქვეყანაში ბიზნესს, მეწარმეობას შეუწყოს ხელი, სინამდვილეში მათ დათრგუნვას და მათზე "პარაზიტირებას ცდილობს. ამგვარი ვითარება ძირს უთხრის კერძო სექტორის დინამიკურ განვითარებას, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, მთლიანად ქვეყნის საერთო წინსვლას. საქართველოში „ვარდების" რევოლუციის შემდეგ მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა სახელმწიფო სტრუქტურებში, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფო სექტორის ეფექტურობის ზრდას.

ჭეშმარიტად ახალი საჯარო სამსახურის შექმნა, კვალიფიციური კადრებისათვის მეტ-ნაკლებად მისაღები პირობების შექმნა პოსტსაბჭოური სახელმწიფოებისათვის გადაუდებელი ამოცანაა. ამ მხრივ მხოლოდ ბალტიის ქვეყნებში მოხდა შესამჩნევი პროგრესი, რამაც ხელი შეუწყო მათ წინსვლას და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების პროცესი დააჩქარა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასამართლო სისტემის განმტკიცებას, ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნას. ამის გარეშე თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და საბაზრო ეკონომიკა ვერ შედგება.

4.2 კორუფცია

იქ ბოსტანს რა ახეირებს,
საცა დინგი სთხრის ღორისა!
ვაჟა-ფშაველა

კორუფცია ის კომპლექსური ხასიათის სოციალური ავადმყოფობაა, რომლის უარყოფითი გავლენა საზოგადოებრივი განვითარების პროცესზე დამანგრეველად, ზოგჯერ კი დამღუპველად მოქმედებს.

კორუფციით შეპყრობილი საზოგადოების წევრები ზოგჯერ ვერც აცნობიერებენ, რამდენად დამანგრეველია ამ სენის გავლე-

ნა სახელმწიფოზე, საზოგადოებრივ განვითარებაზე. ალბათ არ არსებობს საზოგადოება, რომელშიც კორუფცია ამა თუ იმ ფორმით და სიმძაფრით არ იჩენს თავს. ზოგჯერ კორუფცია საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრების წესიც კი ხდება. ამ შემთხვევაში მისი გავლენა სახელმწიფოს ცხოვრებაზე ყოვლისმომცველი და მომაკვდინებელი ხდება.

პირველ ყოვლისა, კორუფცია ხელს უშლის სახელმწიფოში რაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას, კადრების შერჩევის მექანიზმების ნორმალურ ფუნქციონირებას. ამასთანავე, გამორიცხულია კორუფცია ქვეყნის ცხოვრების ერთ რომელიმე სფეროში იყოს და ამ დროს დანარჩენებსაც არ მოედოს. კორუფცია უფრო სახელმწიფო სექტორს ახასიათებს. კორუფციის შეზღუდვის მიზნით, ჩვეულებრივ, ხსენებული სექტორის შეძლებისდაგვარად შემცირებასა და მასში საჯარო სამსახურისა და მართვის გამჭვირვალობისა და ანგარიშგების პრინციპზე აგებული ფორმების დანერგვას მიმართავენ. კერძო სექტორში კორუფციის განვითარებას საკუთრივ ამ სექტორის ბუნება და პირობები ხელს არ უწყობს.

სახელმწიფო სექტორში კორუფცია ხელს უშლის რაციონალური, სტრატეგიულად და ტაქტიკურად მართებული გადაწყვეტილებების მიღებას, საკადრო პოლიტიკის ეფექტურად წარმართვას. კორუფციის მაღალი დონე სახელმწიფო სამსახურებს იმდენად არაეფექტურს ხდის, რომ მათი ფუნქციონირება ქვეყნისთვის საზიანო ხდება.

ამის საუკეთესო მაგალითად შეიძლება საქართველოს ძალოვანი სტრუქტურების მიერ 90-იან წლებში პანკისის ხეობის სხვა ქვეყნის მოქალაქეებისა და საერთაშორისო ტერორისტებისათვის „იჯარით" გადაცემა გამოდგეს, რამაც საქართველო უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენა.

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში კორუფცია ახალი ხილი არ არის.[329] საბჭოთა წყობილების დროს ამ მოვლენამ მრავალი ფორმა და არნახული მასშტაბი შეიძინა. კორუფციის გავრცელების

---

329 პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კორუფციის შესახებ იხ.:Daniel Kaufman, and Paul Seigelbaum, "Privatization and Corruption in Transition Economies", *Journal of International Affairs,* Vol. 50, No. 2, 1996, pp. 419-458; Joel Hellman. "Winners Take All: The Politics of Partial Reform in Post Communist Transition", *World Politics,* Vol. 50, No. 2, 1998, pp. 203-234; Adrian Karatnycky, Alexander Motyl and Charles Graybow (eds.), *Nations in Transit,* New Jersey, Freedom House, 1998; *Anticorruption in Transition: A Contribution to the Policy Debate,* The World Bank, Washington D. C., 2000.

მხრივ არც რევოლუციამდელი რუსეთი და იმ ხანის სხვა სახელმწიფოები იყვნენ უცოდველნი. ასე რომ, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებმა მძვინვარე კორუფცია მემკვიდრეობით მიიღეს.

უმთავრესად არსებობის ახალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრინციპებზე და ფორმებზე გადასვლით გამოწვეულმა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა კრიზისმა ამ ქვეყნებში კორუფციის გავრცელება-გაღრმავებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი.

ხსენებულ სახელმწიფოებში კორუფციის არსებული მასშტაბები საზოგადოებას ე. წ. გარდამავალი პერიოდის სწრაფი და შედეგიანი გადალახვისა და დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის შექმნის საშუალებას არ მისცემს.

დღეს ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი ადამიანია. სწორედ მისი განათლების დონე, კვალიფიკაცია და მოქალაქეობრიობა განაპირობებენ ყველაზე მეტად საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების ხასიათსა და ტემპებს. ადამიანისა და ქვეყნის ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენება ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია (ეს განსაკუთრებით პატარა ქვეყნებზე უნდა ითქვას).

კორუფციით დაავადებულ საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე სუსტი რგოლი განათლების სისტემა ხდება. განათლების სისტემის დონე და ეფექტურობა კი ყველაზე მეტად განაპირობებს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან ეფექტურობას. განათლების სისტემაში კორუფციის ერთ-ერთი შედეგია საზოგადოებრივი ცხოვრების დანარჩენ სფეროში არაკომპეტენტურობისა და კორუფციის გავრცელება. ხანგრძლივ პერსპექტივაში ქვეყანას ყველაზე დიდ საფრთხეს კორუმპირებული განათლების სისტემა უქმნის.

პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფოებში კორუფციამ ცხოვრების ყველა სფეროში შეაღწია, მაგრამ განსაკუთრებით იგი მაინც სახელმწიფო აპარატში მძვინვარებს. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობა ძალზე ნელა გადადის ეკონომიკის საბაზრო პრინციპებზე. უცხოური კაპიტალდაბანდებები ამ ქვეყნებში მინიმალურია და ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად არ კმარა. კერძო ბიზნესი ძალზე შებოჭილია, რადგან სახელმწიფო სტრუქტურებში გაბატონებული არაკომპეტენტურობა და კორუფცია ძირს უთხრიან მის განვითარებას. ყველაზე მეტად კი კორუფცია ხელს უშლის საზოგადოებაში კონკურენციის წამახალისებელი გარემოს და შერჩევის მექანიზმების შექმნასა

და ფუნქციონირებას. ფესვგადგმული კორუფცია აფერხებს იმ-გვარი პირობების ჩამოყალიბებას, რომლებშიც საზოგადოებისა და სახელმწიფოს ყველა სფეროში და ყველა დონეზე იმოქმედებს სამართლიანი შერჩევის მექანიზმები და ქვეყანა თავის მოსახ-ლეობაში არსებული პოტენციალის სრულ გამოყენებას შეძლებს.

კორუფციას ძალუძს დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული, სტა-ბილური სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნის დასუსტება. ახ-ლადშექმნილ სუვერენულ ქვეყნებში კი სახელმწიფოებრიობა და თანამედროვე ერი ჩამოყალიბებას მხოლოდ იწყებს. ძლიერ კო-რუფციას შეუძლია არა მხოლოდ ძალზე სერიოზულად შეაფერ-ხოს მათი განვითარება, არამედ ქვეყანაში საზოგადოებრივი ქცევის იმგვარი ნორმები და წესები დაამკვიდროს, რომელთა გამოც ეროვნულ უსაფრთხოებას, თვით ქვეყნის არსებობასაც კი უდიდესი საშიშროება შეექმნება.

კორუფციის მეტად დამახასიათებელი ნიშან-თვისება ის გახ-ლავთ, რომ იგი ფეხს საკმაოდ სწრაფად იკიდებს და ვრცელდება. როცა კორუფცია, პოსტსაბჭოთა სივრცის მსგავსად, მთელ სა-ზოგადოებას ხრავს, მას არა მხოლოდ ვერ ამოძირკვავ, არამედ შეუძლებელია მეტ-ნაკლები ეფექტურობით შეებრძოლო. ამის მაგალითები შეინიშნება აფრიკის სახელმწიფოთა უმრავლესობაში. ლათინური ამერიკისა და აზიის ზოგიერთ სახელმწიფოში კი კერძო სექტორის გაძლიერებამ და ეკონომიკურმა აღმავლობამ კორუ-ფციის მოქმედების არეალი დიდად შეზღუდა და იგი ძირითადად „შევიწროვებული" სახით სახელმწიფო სექტორს შემორჩა.

ახალგაზრდა სახელმწიფოთა დამოუკიდებელი განვითარების საწყის ეტაპზე, როცა ეროვნული მეურნეობა და განსაკუთრებით საწარმოოო დარგები საკმარისად განვითარებული არ არის, ქვეყნის შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი საბაჟოდან და შიდა ვაჭრობი-დან შემოდის. ამგვარი ვითარება განსაკუთრებით დამახასიათებე-ლია ჩამორჩენილი პატარა ქვეყნებისათვის, რომელთა საწარმოო დარგები საკმარისად განვითარებული არ არის და შემოსავალი დიდად არის დამოკიდებული საბაჟო სამსახურზე, საბაჟო და სა-გადასახადო სამსახური კი კორუფციის უმნიშვნელოვანესი ბუდე ხდება. სახელმწიფო ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ სამსახურებს ეპოტინება და ჯიბეს იქ „მუშაობით" ისქელებს. ამ მხრივ გამოირჩევა აფრიკის ბევრი სახელმწიფო, რომლებიც უკვე რამდენიმე ათეული წელია დამოუკიდებელნი არიან, მაგრამ კორუ-ფციის, ბიძაშვილ-მამიდაშვილობისა და კუთხურობის გამო ვერა და

ვერ შექმნეს ეფექტური, მდგრადი სახელმწიფოებრიობა და უკიდურესად ჩამორჩენილები, „საერთაშორისო მათხოვრის“ როლს ვერ გასცდნენ. მსგავსი მოვლენები შეინიშნება პოსტსაბჭოთა სივრცის ზოგიერთ სახელმწიფოში, რის გამოც მათი ეროვნული მეურნეობა და სახელმწიფოებრიობა სათანადოდ ვერ ვითარდება.

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში არსებულ კორუფციას ექსპერტები ამ ქვეყნების განვითარების, ფეხზე წამოდგომის პროცესისათვის ყველაზე ძლიერ ხელისშემშლელ ფაქტორად, ეთნიკურ ნაციონალიზმთან ერთად, მათი ეროვნული უსაფრთხოებისათვის მეტად სახიფათო მოვლენად მიიჩნევენ.

იმ ქვეყნებში, სადაც საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ ახლა იქმნება, კორუფცია ძირს უთხრის რეფორმებს, განვითარებისაკენ მიმართულ საქმიანობას, პროგრესულ ცვლილებებს. კორუფციის გამო ახალი კომპანიები „ჩრდილოვან“, „იატაკქვეშა“ ეკონომიკაში გადასვლას ცდილობენ, ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საფინანსო რესურსები საზღვარგარეთ გაედინება (განსაკუთრებით ე. წ. „ოფშორული“ მიმართულებით!), ახალი უცხოელი ინვესტორები აღარ მოდიან, ძველები კი წარმოებას კვეცენ ან გარბიან. ამის შედეგად კორუფციით შეპყრობილი ქვეყანა ჩამორჩენილობისა და სიღარიბის მოჯადოებულ წრეში აღმოჩნდება. თუ ამგვარი ქვეყნის ხელმძღვანელობამ პოლიტიკური ნება არ გამოიჩინა და დროზე არ გაატარა საჭირო რეფორმები, კორუფციის შედეგად საკმარისად არ განვითარდება ბიზნესი, სახელმწიფოს შემოსავალი აღარ ექნება, მოსახლეობას ხელისუფლების მიმართ ნდობა გაუქრება, სახელმწიფოებრიობა კიდევ უფრო მყიფე გახდება, ბოლოს კი თავად სახელმწიფოს ლეგიტიმურობა და არსებობა სათუო გახდება[330].

პოსტსაბჭოურ სივრცეში კორუფციასთან ეფექტური ბრძოლის მაგალითად შეიძლება საქართველოში „ვარდების“ რევოლუციის შემდგომი პერიოდი მივიჩნიოდ, როდესაც ქვეყნის ახალმა ხელისუფლებამ კორუფციასთან ბრძოლაში ძალიან სერიოზულ შედეგებს მიაღწია.

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში ფართომასშტაბიანი კორუფცია ხელს უშლის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, კანონის უზენაესობის დამკვიდრებას. მათ გარეშე კი პოსტსაბჭოთა სივრ-

---

330 ამ საკითხზე უფრო დანვრილებით იხ.:რომან გოცირიძე და ოთარ კანდელაკი. გავლენიანი ჯგუფები და კორუფცია:საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მუქარა. ელფი, თბილისი, 2001

ცის ქვეყნების ისედაც სუსტი სახელმწიფოებრიობა მეტად არამდგრადი შეიძლება დარჩეს.[331] ისტორიის თანამედროვე ეტაპზე, როდესაც სახელმწიფო, როგორც ინსტიტუტი, გარედან გლობალიზაციის პროცესის, შიგნიდან კი სეპარატიზმის ძალების მხრიდან ისედაც დიდ დაწოლას განიცდის, კორუფციის „ანტისახელმწიფოებრივი" შედეგები ახალგაზრდა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისათვის შეიძლება საბედისწეროც კი აღმოჩნდეს.

კორუფცია ქვეყანას შიგნიდან ასუსტებს და ხშირად, ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის უმნიშვნელოვანეს საფრთხედ იქცევა.

4.3 კუთხურობა

უერთმანეთოდ არ ვვარგვართ
ეს ქვამ და ხემაც იცისა.
ვაჟა-ფშაველა

კუთხურობა უფრო ჩამორჩენილ საზოგადოებას, სუსტი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყნებს ახასიათებს. იგი ფართოდ არის გავრცელებული როგორც პატარა, ასევე საშუალო და დიდ ქვეყნებში. კუთხურობა განსაკუთრებით ძლიერია ისეთ ქვეყნებში, სადაც ერის ჩამოყალიბების პროცესი რთულ პრობლემებს აწყდება და სადაც სუბეთნოსები და სხვადასხვა კონფესიური ჯგუფები ქვეყნის მოსახლეობის კულტურულ სიჭრელეს განაპირობებენ.

ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებებში კუთხურობა ნაკლებად ან საერთოდ არ შეიმჩნევა. კაპიტალიზმის განვითარების მაღალი დონე ქვეყნის მოსახლეობის სოციალური კულტურისა და სოციალური მობილურობის მაღალ დონეს გულისხმობს. ურბანიზაციის მაღალი დონე და ქალაქის მოსახლეობის, ქალაქური ცხოვრების წესის დომინირება კუთხურობის არსებობის პირობებს სპობს. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული

331 პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კორუფციის შესახებ იხ.:James Anderson. *Corruption in Latvia: Survey Evidence*, World Bank, 1998; Sergyi Holovaty, *Background Report on Corruption in Ukraine*, Mimeo, World Bank, 2000; Tokhir Mirzoev, *Corruption in Tajikistan as Seen by the Private Sector*, Dushanbe, Tajikistan, September 1999, Mimeo; James Anderson, Omar Azfar, Daniel Kaufman, Young Lee, Amitabha Mukherjce and Randi Ryterman, *Corruption in Georgia: Survey Evidence*, World Bank Draft 1999.

ხასიათის შიდა თავისებურებები და საკმაო განსხვავებები, მართალია, ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს, მაგრამ განვითარებულ ქვეყნებში ისინი კუთხურობის საშიში გამოვლენების საფუძველს ვერ ქმნიან. დემოკრატიულ საზოგადობაში კუთხურობის ანტისაზოგადოებრივი გავლენა მინიმუმამდე არის დაყვანილი.

იმ ქვეყნებში, სადაც ხელისუფლების ნება და ძალა სასოფლო რაიონებში, ტომებში ნაკლებად იგრძნობა, კუთხურობა ადგილობრივი პოლიტიკური კულტურის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.[332]. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (განსაკუთრებით ტაჯიკეთში, თურქმენეთში, უზბეკეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში, ალბანეთში) კუთხურობა ადგილობრივი პოლიტიკური კულტურის საკმაოდ შესამჩნევი თავისებურებაა. მართალია, ხსენებული ქვეყნების მოსახლეობაში ტომები და ტომობრივი გაერთიანებები არ არის წარმოდგენილი, მაგრამ აქ ტრადიციულად სუსტია ცენტრალური ხელისუფლება, მნიშვნელოვანია შიდა სხვაობები და საკმაოდ მაღალია სოფლის მოსახლეობის ხვედრითი წილი. ამ ქვეყნებში მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი პოლიტიკურ არჩევანს ძალიან ხშირად აკეთებს არა რაციონალური გადაწყვეტილების გზით, არამედ ემოციურ, კუთხურ, ნათესაობრივ თუ ეთნიკურ გრძნობებზე და თვითშეგნებაზე დაყრდნობით. მაგალითისთვის იკმარებდა ყურღან-თეფელთა და ყულაბელთა (ტაჯიკეთი) ქიშპობის, ნახჭევანელთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში სპეციფიკური ადგილის (აზერბაიჯანი), პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა დიდი ნაწილის კუთხურობაზე დამყარებული რწმენის (საქართველო) გახსენება. კუთხურობის გამოვლინების სხვა მაგალითების მოყვანა შორს წაგვიყვანდა.

კუთხურობის გამოვლინება პოლიტიკურ ცხოვრებაში ხელს უშლის კადრების „დადებით ფილტრაციას", უფრო მომზადებული ხალხის წინსვლას და ამის შედეგად საზოგადოებრივ პროგრესს. როცა უფრო მეტი მნიშვნელობა იმას ენიჭება, თუ ქვეყნის რომელი კუთხის შვილია ესა თუ ის პიროვნება ან პოლიტიკური ფიგურა და ნაკლები ყურადღება ექცევა მის პროფესიულ თვისებებს, ბუნებრივია, შერჩევის მექანიზმი საუკეთესოდ ვერ იმუშავებს. როცა ელექტორატის მნიშვნელოვანი ნაწილი ხმას კუთხური გრძნობის საფუძველზე აძლევს და ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების პროცესში კუთხურობა შესამჩნევ როლს ასრულებს, დემოკრატიული

332 Gabriel A. Almond and Sidney Verba, *The Civic Culture*,. Princeton University Press, Princeton, 1963, p. 18

სახელმწიფო მშენებლობა ძალზე დიდ სირთულეებს წააწყდება.

კუთხურობა სოციალური ჩამორჩენილობის, საზოგადოების დაბალი პოლიტიკური კულტურის უტყუარი ნიშანია. მისი ბაზისა და გავლენის შესუსტება დამოკიდებულია საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათსა და ტემპებზე, აგრეთვე ცალკეული ქვეყნების თავისებურებებზე.

როგორც უკვე აღინიშნა, პატარა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში კუთხურობა დემოკრატიული აღმშენებლობის გზაზე დიდად ხელისშემშლელი ფაქტორია.

4.4 ოჯახსამოფარებული უზნეობა

გათამამებულ სიბრიყვეს
ან კი რა შეეწონება.
ვაჟა-ფშაველა

სუსტი სახელმწიფოებრიობა გულისხმობს რიგი შიდა საფრთხეების არსებობას, რომლებიც ხელს უშლის სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებას, მოსახლეობის შიდა შეკავშირებულობასა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. პოსტსაბჭოთა სივრცის ახალი სახელმწიფოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებად მიგვაჩნია მათ საზოგადოებაში საკმაოდ მკაფიოდ გამოხატული ინდივიდუალიზმი. მაგრამ მას არაფერი აქვს საერთო დასავლეთში (განსაკუთრებით პროტესტანტულ კულტურაში) დამკვიდრებულ ინდივიდუალიზმთან. ჩვენ ვსაუბრობთ უზნეო ანტისაზოგადოებრივ ინდივიდუალიზმზე, რომელიც დიდად უშლის ხელს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ამ თავისებურებას ამერიკელმა მკვლევარმა *ედუარდ ბანფილმა* „ოჯახსამოფარებული უზნეობა“[333] უწოდა.

საზოგადოებრივი ქცევის ხსენებული ტიპი დამახასიათებელია

333 ედუარდ ბანფილდმა 50-იან წლებში შეისწავლა სამხრეთ იტალიის ერთ-ერთი რაიონის მოსახლეობის საზოგადოებრივი ქცევის გამოვლინებები და დაასკვნა, რომ ჩამორჩენილი საზოგადოების წევრების ფასეულობები და ქცევა გარკვეული ხასიათისაა, რომელსაც მან „amoral familism“ უწოდა (ამ ტერმინის ქართული შესატყვისი (“ოჯახსამოფარებული უზნეობა“) შემოგვთავაზა ბატონმა ვახტანგ როდონაიამ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ). იხ.:Edward C. Banfield, *The Moral Basis of a Backward Society*, The Free Press/The University of Chicago. 1958.

ჩამორჩენილი საზოგადოებისათვის, რომელშიც განვითარება ძალზე ნელა მიმდინარეობს. ამგვარ საზოგადოებაში ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე პიროვნება დათრგუნვილი იყო, ბატონობდა ძალდატანება და ამდენად მოსახლეობას სახელმწიფოსა და ნებისმიერი ხელისუფლების მიმართ პათოლოგიური უნდობლობა განუვითარდა. ამგვარი საზოგადოების წევრი ფატალისტია, იგი არ იბრძვის საზოგადოების გასაუმჯობესებლად, ცხოვრობს მხოლოდ დღევანდელი დღით, მომავალს მისთვის არავითარი აზრი არ გააჩნია და პირადი და ოჯახის ინტერესების იქით მისი ინტერესი არ ვრცელდება. პრაქტიკულად ამგვარი ადამიანისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს საზოგადოებრივ აზრს, იგი უმეტესწილად მოკლებულია სახელმწიფოებრიობისათვის აუცილებელ ისეთ ელემენტს, როგორიცაა საზოგადოებრივი ზნეობა. ამგვარი საზოგადოების წევრი მტრულად არის განწყობილი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ საკუთარი პრობლემების გადაწყვეტას სწორედ მთავრობისგან მოელის[334]. ამგვარი განწყობა ხელს არ უწყობს სოციალურ ორგანიზაციას, მით უმეტეს, ეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნას, მდგრად სახელმწიფოებრიობას. ამგვარი საზოგადოებრივი უზნეობის ბატონობის პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელია კანონის უზენაესობა და სამოქალაქო საზოგადოების არსებობა.

თუ პირადად მისთვის არ ჩანს სწრაფი პირადი გამორჩენის პერსპექტივა, ოჯახსამოფარებულ უზნეოთა საზოგადოების ტიპურ წარმომადგენელს უქრება ყოველგვარი ინტერესი ჯგუფისა თუ კოლექტივის ან მისი ქვეყნის შედეგიანობის მიმართ. მისი მატერიალური კეთილდღეობის სტრატეგია მოკლევადიანია და სრულებით ეწინააღმდეგება იმას, რასაც მაქს ვებერმა „შრომის პროტესტანტული ეთიკა" უწოდა და რამაც ხელი შეუწყო კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას ევროპასა და ამერიკაში[335]. ამგვარ საზოგადოებაში არავინ ფიქრობს საზოგადოებრივ საქმეებზე, ეს მხოლოდ სახელმწიფო სამსახურში მყოფთა საქმეა, რადგანაც სახელმწიფო მათ ხელფასს ამისათვის უხდის. მაგრამ უბედურება სწორედ ის გახლავთ, რომ ეს სახელმწიფო მოხელეც ნაკლებად არის დაინტერესებული საზოგადოებრივი პროგრესით, ყველასათვის სასარგებლო და აუცილებელი საქმის კეთებით და სახელმწიფო სამსახურში მხოლოდ საკუთარი ჯიბის გასასქელებლად ილვწის. საზოგადოების

---

334 Joseph LaPalombara, *Democracy Italian Style*, Yale University Press, New Haven, 1987, p. 46

335 იხ.:Макс Вебер, Избранные произведения. «Прогресс», Москва, 1990, стр.61-306.

ნევრებს აზრადაც არ მოუვათ მოხელის საქმიანობის შემოწმება. მოხელეს მხოლოდ სხვა მოხელე ამოწმებს. ამგვარ საზოგადოებაში შეუძლებელია ორგანიზაცია, ორგანიზებულად რამის გაკეთება, რაც, ბუნებრივია, ხელს უშლის ეკონომიკურ განვითარებას.

სახელმწიფო სამსახურში მყოფნი არ ცდილობენ საქმის წინ წაწევას, უკეთესად შრომას. მათ მოწოდება არ გააჩნიათ, ისევე როგორც არ გააჩნიათ მოვალეობის გრძნობა. საზოგადოებრივი პროგრესის, ან თუნდაც მათი ორგანიზაციის ეფექტიანობის ხელშემწყობი ნებისმიერი სიახლე მოხელის მიერ განიხილება მხოლოდ საკუთარი ვიწრო ინტერესების ჭრილში; ასე იქნება ჩაკლული ყველაფერი, რაც პირად ინტერესებს არ შეესაბამება.

ოჯახსამოფარებულ უზნეოთა საზოგადოებაში კანონი უგულებელყოფილია, რადგანაც დასჯის არავის ეშინია. ამის გამო ყველა ცდილობს კანონს გვერდი აუაროს და საქმიანობა უკანონო გზებით წარმართოს, რაც საბოლოო ჯამში სასტიკად ასუსტებს სახელმწიფოს, ძალზე აფერხებს საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებას. ამგვარ საზოგადოებაში მოხელე კორუმპირებული თუ არ არის და ქრთამს არ იღებს, იგი სხვების მიერ მაინც მექრთამედ და საქმის „ჩამწყობად" განიხილება. ამგვარ საზოგადოებაში დაბალი ფენა სწორედ ამიტომ მიესალმება ყოველთვის „ძლიერ ხელს", ავტორიტარულ ლიდერს თუ დიქტატორს. ამგვარ საზოგადოებაში ის, ვინც აცხადებს, რომ მას საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ინტერესები ამოძრავებს და არა საკუთარი ჯიბისა, მატყუარად მიიჩნევა („რა უნდა?", „რას დაეძებს?", „სულელები ვგონივართ?" და ა.შ.)[336]. ყოველგვარი კონსტრუქციული იდეა დისკრედიტაციას განიცდის, რადგან არავის სჯერა, რომ ვინმე საზოგადოებრივ საქმეზე ფიქრობს. ოჯახსამოფარებულ უზნეოთა საზოგადოებაში კაცი არ მიესალმება და ხელს შეუშლის ქმედებას, რომელიც მთელ საზოგადოებას ან თუნდაც მის სამეზობლოს ან კოლექტივს სიკეთეს მოუტანს, თუ ეს გაუმჯობესება პირადად მას არ შეეხება, რადგანაც სხვათა მდგომარეობის გაუმჯობესება მის მიერ საკუთარი პირობების გაუარესებად მიიჩნევა. ამიტომაც პროგრესი ამგვარ საზოგადოებაში ან საერთოდ არ არის ან ძალიან ნელია.

ამგვარად, ოჯახსამოფარებულ უზნეოთა საზოგადოებაში ქცევის გაბატონებული ტიპი შემდეგ პრინციპებს ემყარება:1) იფიქრე მხოლოდ პირად ინტერესებზე, რადგანაც სხვებიც ამგვარადვე ფიქრობენ და იქცევიან; 2) ხელისუფლება, როგორიც არ უნდა

---

336 Edward C. Banfield, *The Moral Basis* ..., pp. 96-98

იყოს იგი, მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და კორუმპირებულია. მისი შეცვლა არაფერს მოგვცემს, რადგან ის, ვინც მოვა, ასევე მოიპარავს და არაფერს გააკეთებს; 3) ამგვარი საზოგადოების მოზრდილი წევრი არსებობს არა როგორც „პიროვნება“ და „მოქალაქე“, არამედ მხოლოდ როგორც „მშობელი“, „ნათესავი“ და „ძმაკაცი“; 4) „კარგი მთავრობა“ შეიძლება იყოს იღბლის და არა მიზანმიმართული მცდელობის შედეგი.

როგორც ვხედავთ, ოჯახსამოფარებულ უზნეობა განიხილება, როგორც პროგრესის შემაფერხებელი მოვლენა და საზოგადოების კულტურის ნორმალური მდგომარეობიდან „ამოვარდნა“.[337] საზოგადოებისთვის და სახელმწიფოსთვის უბედურებაა, თუ ამგვარი უზნეობა ადგილობრივი კულტურის ნორმალურ (თუნდაც ხანმოკლე ხნით) მდგომარეობად იქცევა.

პოსტსაბჭოური სივრცის ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოების საზოგადოებათა უმრავლესობის სოციალური და პოლიტიკური კულტურა ოჯახსამოფარებულ უზნეობით არის გაჟღენთილი და ამ საზოგადოებებს პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები ექმნებათ. მათი კულტურის ხსენებული თავისებურება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის გზაზე მეტად სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს.

4.5 ძლიერი ლიდერის მოთხოვნილება

ცუდია როცა ქვეყანას
პატრონი არა ჰყოლია.
ვაჟა-ფშაველა

მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისაც ვსტირი?
ილია ჭავჭავაძე

ჩამორჩენილ, ტრადიციულ საზოგადოებაში მისი წევრები ავტორიტარულ მმართველობას ბუნებრივად, სავსებით მისაღებად მიიჩნევენ. ამგვარი საზოგადოების წევრები ნებისმიერი

337 ამ მხრივ მეტად საყურადღებოა: *გაგა ნიჟარაძე*. პოლემიკური შენიშვნები ქართული კულტურის ზოგიერთი სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტის თაობაზე. კრებული “ჭკუა ვაისაგან”(ავტორთა ჯგუფი). მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბილისი, 1994,გვ.41-82

მმართველობის მიმართ არა მხოლოდ უნდობლობით არიან გამსჭვალულნი, არამედ, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ყველაზე მეტად ძლიერ მმართველს, ძლიერ ლიდერს ენდობიან.[338]

ამგვარი პარადოქსული ვითარება, პირველ ყოვლისა, ტრადიციულ (ჩვენ შემთხვევაში პოსტსაბჭოურ) საზოგადოებაში დემოკრატიული ტრადიციებისა და კულტურის უქონლობით, პოლიტიკური კულტურის დაბალი დონითა და სპეციფიკურობით აიხსნება. დღევანდელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (ბალტიის ქვეყნების და ნაწილობრივ საქართველოსა და უკრაინის გამოკლებით) დემოკრატიული განვითარების პროცესს, დემოკრატიულ გარდაქმნებს ჯერ არ გააჩნია მნიშვნელოვანი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საფუძვლები. დემოკრატიზაცია უფრო პოლიტიკური ელიტების შიგნით არსებულ შეხედულებებს (რამდენად გულწრფელს?) ეყრდნობა, რომელთა მიხედვითაც, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დემოკრატიული მმართველობა უნდა ჩამოყალიბდეს. უფრო მეტიც, 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ნათელი გახდა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში დემოკრატიული პროცესი შეფერხდა და თავი იჩინა ავტორიტარიზმმა. ეს განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებში.[339] გია ნოდიას მოსწრებული თქმით, პოსკომუნისტურ საზოგადოებათა უმრავლესობაში ახალ პოლიტიკურ წყობაზე გადასვლა არის უფრო გადასვლა „რაღაციდან", რაც არ არის დემოკრატია, რაღაცაზე, რაც არის ან ცდილობს, რომ იყოს დემოკრატია.[340]

ტრანსფორმაციის პერიოდში მყოფი პოსტსაბჭოური საზოგადოების წევრების უმრავლესობის სურვილი, ჰყავდეთ ძლიერი ლიდერი, სავსებით გასაგებია. მათ არ გააჩნიათ დემოკრატიუ-

---

338 დემოკრატიზაციის გზაზე წარმოქმნილი გამოწვევების და ავტორიტარიზმისა და ნახევრადავტორიტარიზმის შესახებ მეტად საყურადღებოა ამერიკელი მკვლევარის მარინა ოტაუეის ნიგნი. Marina Ottaway. Democracy Challenged: The Rise of Semi-Authoritarianism. Carnegie Endowment for International Peace. Washington, D.C. 2002

339 გია ნოდიას აზრით, დემოკრატიისა და ავტოკრატიის დილემა გამომჟღავნდა საქართველოში უკვე პრეზიდენტ გამსახურდიას მმართველობის პერიოდში. იხ.:Ghia Nodia, "Dynamics of State-Building in Georgia" *Democratizatsia,* Vol. 6, No. 1, Winter 1998, p. 9.

340 Ghia Nodia, "How Different Are Postcommunist Transitions?" *Journal of Democracy,* Vol. 7, No. 4, October 1996, p. 17.

ლი თვითმმართველობის ჩვევები და ტრადიცია, ხოლო საბჭოთა გამოცდილებამ ისინი უუნარობას, უინიციატივობას, ხელმძღვანელობაზე დაქვემდებარებას და მისგან წამოსული ბრძანებების შესრულებას მიაჩვია. „კარგი მეფე", „ძლიერი ლიდერი" დღეს უკვე საკმარისი არაა და ბევრი ხვდება, რომ ლიდერი კომპეტენტურიც უნდა იყოს. მაშასადამე, ლიდერს, მმართველის თვისებების გარდა, მენეჯერობის უნარიც უნდა ჰქონდეს. ეს შედარებით ახალი მოვლენაა და დაკავშირებულია მთელი ჩვენი ცხოვრების ეკონომიზაციასა და სოციალიზაციასთან.

გარკვეული დემოკრატიული გარდაქმნების მიუხედავად, პოსტსაბჭოური სახელმწიფოების საზოგადოება არ იშლის ძლიერი ლიდერის უნარზე დაყრდნობის სურვილს. ამგვარი ტენდენცია აიხსნება იმითაც, რომ პოსტსაბჭოური ქვეყნების უმრავლესობაში არ არის შექმნილი ეფექტური და სტაბილური სახელმწიფო ინსტიტუტები. ამის მიზეზი არის ისიც, რომ ამ ქვეყნების ლიდერებმა ამგვარი ინსტიტუტების შენებას პირად ერთგულებაზე აგებული პატერნალისტური მმართველობის სტრუქტურების შექმნა არჩიეს. ისინი პირადი და კლანური ინტერესების უზრუნველყოფის, ხელისუფლების შენარჩუნების ინსტრუმენტებად იქცნენ და ხელი შეუშალეს ჭეშმარიტი სახელმწიფოებრიობის შექმნა-გაძლიერების პროცესს. საზოგადოება არ ენდობა სახელმწიფო ინსტიტუტებს, კანონებს. ამავე დროს იგი აღარ ენდობა საკუთარ ლიდერებსაც. ამგვარ ვითარებაში მოსახლეობის უმრავლესობა კვლავაც უკეთესი, უფრო სანდო ლიდერის („კარგი მეფის") გამოჩენის იმედად რჩება.

მეტად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბევრი პოსტსაბჭოური პატარა სახელმწიფოს ე. წ. პოლიტიკურ ელიტას საკუთარი მოსახლეობა უუნარო და კორუმპირებულ პოლიტიკანთა ჯგუფად მიიჩნევს. ეს გასაგებიცაა, რადგან არა მხოლოდ „ძველი ნომენკლატურიდან" „ეროვნულ ელიტაში" გადმობარგებული ბობოლების, არამედ ახალი თაობის წარმომადგენლებისთვისაც კორუფციაში ჩაფლობა პრაქტიკულად გარდუვალია. საქმე ის გახლავთ, რომ გარდამავალ პოსტსაბჭოურ საზოგადოებაში დიდი ფული, რომელიც პოლიტიკის „კეთებას" (განსაკუთრებით საარჩევნო კამპანიების გატარებას), ესაჭიროება, არსებული ბიზნესიდან მოდის. ეს უკანასკნელი კი მიმდინარე ეტაპზე „სისუფთავით" ვერ დაიტრაბახებს და პოლიტიკოსებს აფინანსებს იმისთვის, რომ მათი გამარჯვების შემთხვევაში თავისთვის ხელსაყრელი „სასათბურე" პირობები შეიქმნას. ამ მოვლენას „პოლიტიკური

კორუფცია“ ეწოდება. იგი მეტად დამახასიათებელია პოსტსაბ-ჭოური ქვეყნებისათვის. ამგვარ პირობებში პოლიტიკური ბრძოლის წამყვან მეთოდად იყენებენ ე. წ. „კომპრომატს“ (მაკომპრომეტირებელ მასალას), რომელიც ყოვლად უზნეო, კორუმპირებულ საზოგადოებაში ადვილი „საშოვნელია“ (განსაკუთრებით, თუ აკონტროლებ ე. წ. „ძალოვან“ სამინისტროებს). ბუნებრივია, რომ გაუთავებელი „კომპრომატების ომის“ შედეგად საზოგადოებაში ისადგურებს ცინიზმი, უკიდურესი უნდობლობა, პოლიტიკოსების მიმართ ზიზღი, რაც სახელმწიფოებრიობის შენებას და დემოკრატიზაციას ხელს სულაც არ უწყობს.

გამოსავალი ეფექტური სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა და გამჭვირვალობისა და ანგარიშგების პრინციპების დამკვიდრებაა. ეს კი კორუფციაში ჩაფლულ, ავტორიტარულ მმართველებს და მათ ანტურაჟს ხელს არ აძლევს. პარადოქსულია, რომ ამგვარ ვითარებაში მოსახლეობის დიდ ნაწილს ძლიერი ხელმძღვანელობის, „ძლიერი ხელის“ და ხშირად დიქტატორის მიმართ სიმპათია უჩნდება და ქვეყნის გადარჩენას და კარგ მომავალს კვლავაც ძლიერი ლიდერის გამოჩენას უკავშირებს. ეფექტური დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნის გარეშე ძლიერი ლიდერის იმედად ყოფნა პოსტსაბჭოური ქვეყნების (აქ ბალტიის ქვეყნები კვლავ არ იგულისხმება!) პოლიტიკური კულტურის არსებით თავისებურებად დარჩება.

4.6 პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნების ეკონომიკური პრობლემები

თუმცა სესხი შვილს დასჯიდა, რად იღებდა მამა ვალსა?
დავით გურამიშვილი

ერთი ტიპის ეკონომიკიდან მეორეზე გადასვლა სისტემური ცვლილებების გატარებას ნიშნავს. ამგვარ გადასვლას გარკვეული სტრატეგია და მისი გატარების საშუალებები და შესაძლებლობები ესაჭიროება. ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლას თან ახლავს წარმოების მნიშვნელოვანი (ზოგჯერ კატასტროფიული) შემცირება და უმუშევრობის ზრდა. საბჭოთა ტიპის ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა ბევრ სხვა მოვლენასთან ერთად აგრეთვე საერთაშორისო ფასებზე გადასვლასაც გულისხმობს, ე.ი.

ქვეყანამ უნდა იყიდოს და გაყიდოს საერთაშორისო ფასებით, რაც თავისთავად წარმოების ძირეულ რეორგანიზაციას ნიშნავს. ამგვარ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ ზოგიერთი საწარმო (ზოგჯერ მთელი დარგები) არარენტაბელური ხდება და ილუპება. ამას კი შეიძლება ძალზე სერიოზული სოციალური და პოლიტიკური შედეგები მოჰყვეს. გადასვლის სტრატეგიაც და მისთვის საჭირო ინსტრუმენტების შერჩევა ქვეყანაში არსებულ პირობებსა და სხვადასხვა სპეციფიკურ ფაქტორებზე (იდეოლოგია, კულტურული და ისტორიული ფაქტორები, ტრადიციები, მოლოდინი, პროპაგანდა, სოციალური პრობლემები, პოლიტიკური და ეკონომიკური ელიტის თავისებურებანი და სხვ) არის დამოკიდებული. ეკონომიკური რეფორმების გატარების სტრატეგიაზე პრაქტიკულად ყოველთვის პოლიტიკური ფაქტორები ახდენენ გავლენას. ნებისმიერი გარდაქმნის („გარდამავალი)" პერიოდი (საზოგადოების დიდიუდიდესი ნაწილის) სოციალური პირობების გაუარესებას იწვევს, რაც ქვეყნის მოსახლეობაში უზარმაზარ უარყოფით მუხტს ბადებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელმწიფოს როლი გარდამავალ პერიოდში. ჩვეულებრივ, სწორედ ამ დროს აჭარბებს სახელმწიფოს როლი, მისი ფუნქცია ნორმალურად „მოქმედ" საბაზრო ეკონომიკაში მისსავე წილს.[341] გარდაქმნას, რეფორმებს სწორედ სახელმწიფო ახორციელებს. იგი, ასე ვთქვათ, საკუთარ თავს გარდაქმნის და ამავე დროს მთელი ეკონომიკური სისტემის შეცვლის მიზნით საზოგადოების კოლექტიურ ქმედებასაც წარმართავს. პირველ ყოვლისა, სწორედ სახელმწიფო განსაზღვრავს ე.წ. „თამაშის წესებს", ანუ ფორმალური ინსტიტუტების ქმედებებს. ამავე დროს სახელმწიფო ცდილობს შეზღუდოს ის პროცესები, რომლებსაც არასასურველი და სახიფათო სოციალური შედეგების მოტანა შეუძლიათ. ამგვარი სოციალური შედეგები კი გარდამავალ პერიოდში შეინიშნება, როდესაც მრავალი სახის ურთიერთობა ასიმეტრიული ხდება და სოციალურ ვითარებას პოლარიზაციის გაღრმავება ახასიათებს. სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში არა მხოლოდ წარმართავს რეფორმებს, არამედ თვალყურს ადევნებს რეფორმების პროცესს და, როცა ეს საჭირო

---

341 ამის შესახებ იხილეთ:Bruno Dallago, "Between Spontaneity and Economic Engineering: Path Dependence in the Process of Economic Transition", In: Rener Weichhardt (Editor), *Economic Developments and Reforms in Cooperation Partner Countries: The Social and Human Dimension*, Colloquium, 26-28 June, 1996, NATO, Brussels. 1997. pp.73-86

ხდება, მასში ერევა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაწყებით ეტაპზე, როგორც წესი, ქვეყანაში არ არის ძლიერი კერძო მესაკუთრეების საკმარისი რიცხვი და სახელმწიფომ მათ მომრავლებაზე უნდა იზრუნოს (უმჯობესია, თუ იგი ამას არაპირდაპირი ჩარევით გააკეთებს). გარდა ამისა, სახელმწიფომ გონივრულად და ეფექტურად უნდა გამოიყენოს გარდაქმნებისათვის მიღებული უცხოური დახმარება, რაც საბაზრო ეკონომიკაზე დაჩქარებული გადასვლის უაღრესად მძლავრ ფაქტორად იქცევა.

როგორც დავინახეთ, სახელმწიფომ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად მთელი რიგი სერიოზული ფუნქციები უნდა შეასრულოს. ეს გააზრებული სტრატეგიის შერჩევით და მისი შედეგიანი წარმართვით ხდება. ამ პროცესში შეცდომების დაშვება ბუნებრივია, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა, როგორც ამას გამოცდილება გვიჩვენებს, ყოვლისშემძლე სახელმწიფო აპარატისთვის ჩვეული ინერციისა და წინააღმდეგობის დაძლევაა. ბიუროკრატიის გაკონტროლება უაღრესად ძნელი საქმეა, რადგან იგი საჯაროობას, ანგარიშგებას და საქმიანობის გამჭვირვალობას ყოველნაირად გაურბის.

ბუნებრივია, რომ ყოველი ქვეყანა, საკუთარი სპეციფიკური პირობებიდან, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებიდან გამომდინარე, გარდაქმნის პროცესს თავისებურად აღიქვამს და წარმართავს. ყოველ ქვეყანას საკუთარი სტრატეგია და მისი გატარების საშუალებები აქვს. შესაბამისად, რეფორმების შედეგებიც განსხვავებული იქნება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა სწრაფად ვერ მოხდება, რადგან მას საკმაოდ ხანგრძლივი დრო და რესურსები ესაჭიროება. გადასვლას აგრეთვე აბრკოლებს ძველის შენარჩუნებით დაინტერესებულ ძალთა წინააღმდეგობა. მართალია, ინსტიტუციური ცვლილებები შეიძლება სწრაფად მოხდეს, მაგრამ საზოგადოებისათვის ახლებური „თამაშის წესებზე" გადასვლა და მათთან შეგუება ხანგრძლივი და ძალზე მტკივნეული პროცესია.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მის მსურველთათვის ახალი ხილია და სავსებით მოსალოდნელ სერიოზულ შეცდომებთან არის დაკავშირებული, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება სტრატეგიული ხასიათისაც იყოს. ამას ისიც ემატება, რომ განვითარებულ საბაზრო ქვეყნებიდან მივლინებული მრჩევლები ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და რაც მთავარია, კულტურული თავისებურებების შეფასებისას ყოველთვის როდი არ-

იან ობიექტურნი. მათთვის დამახასიათებელი ტექნოკრატიული ხედვა ადგილობრივი კულტურული თავისებურებების გაგებას, გათვალისწინებას აძნელებს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უნივერსალური, სტანდარტული გზა და მოდელი არ არსებობს. პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ, ბევრი მსგავსების მიუხედავად, თითოეულის საზოგადოება მეორისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება და ამდენად გარდაქმნის პროცესი და რეფორმები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნიკალურ მიდგომასა და გარდაქმნათა სტრატეგიას საჭიროებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პოლიტიკური და სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინება, რომლებსაც გარდაქმნის პროცესზე სერიოზული გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შედეგიანი საბაზრო ეკონომიკის აუცილებელი კომპონენტების შესახებ ბევრი რამ არის ცნობილი, მაგრამ თითქმის უცნობია ცენტრალიზებული, საბჭოთა ტიპის ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლის გზა. ზოგიერთი ექსპერტი ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებს დღემდე ურჩევს საბაზრო ეკონომიკაში რეფორმების ფორსირებული გატარების გზით სწრაფ „გადახტომას". სხვები უფრო ფრთხილ რეფორმებს ამჯობინებენ. მათი რიცხვი მატულობს; ბევრისთვის გახდა ნათელი, რომ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების უმრავლესობაში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი უკიდურესად რთული და მტკივნეული ყოფილა[342].

ბიუროკრატიული მართვის საბჭოთა „ტრადიციებმა" პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების (მათ შორის, სამხრეთ კავკასიის სუვერენული პატარა ქვეყნების) მთავრობები და ეკონომიკა ბაზრის პრინციპებზე, ყველა მონაწილის კონკურენტუნარიანობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ჩართვისას კიდევ უფრო უმწეო მდგომარეობაში ჩააყენა. საბჭოთა ეკონომიკურ სინამდვილეში შეძენილი არსებობისა და გადარჩენის „ხერხები" ახალი ვითარებისთვის გამოუსადეგარი აღმოჩნდა.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

---

342 ამ მხრივ განსაკუთებით საყურადღებოა ცნობილი ქართველი ეკონომისტის, პროფ. ვ. პაპავას, მოსაზრებები საქართველოში ეკონომიკური რეფორმების წარმართვისა და ამ პროცესში საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობის თაობაზე. იხ. Vladimer Papava. *Leszek Balcerovicz and Georgia*, GFSIS. Tbilisi. 2002

მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ზოგიერთი ეკონომიკური ასპექტი; მაგალითად, ძალაუფლება თავმოყრილია ანგარიშგებას ნაკლებად დაქვემდებარებულ პრეზიდენტთა და მინისტრთა მცირერიცხოვან ჯგუფში, რაც, ცხადია, მონოპოლიზმს, გარკვეული ეკონომიკური ჯგუფებისა და კლანების მფარველობას და კორუფციას უწყობს ხელს. არასტაბილური ვითარება, კონფლიქტები და ომები კონტრაბანდით ვაჭრობისა და სამხედრო და სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ ეკონომიკის სხვადასხვა დარგზე კონტროლის დაწესების შესაძლებლობას ქმნის.[343] ახალ ეკონომიკურ წესრიგზე, ნამდვილ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ზემოხსენებული მოვლენების გამო კიდევ უფრო ბრკოლდება.

საყურადღებოა პოსტსაბჭოთა პატარა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი თავისებურება. საბჭოთა კავშირის დაშლით გამოწვეული ეკონომიკური პროცესები, ახალი სახელმწიფოებისა და ეკონომიკის შექმნის მცდელობა ღრმა ეკონომიკური და სოციალური კრიზისის პირობებში ხდება. გარდამავალ ეტაპზე პატარა პოსტსაბჭოური სახელმწიფოებისათვის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე შემოსავლისა და დაგროვების პრობლემაა. მეურნეობის მოშლა, ახალი წარმოების შექმნა და ბაზრების ძიება დროს მოითხოვს, ქვეყანას კი იმპორტისა და სხვა მრავალი მიზნისთვის სახსრები ესაჭიროება. საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, დონორი-სახელმწიფოები, მართალია, ხშირად საკმაოდ შეღავათიან სესხებსა და კრედიტებს იძლევიან, მაგრან ვალი მაინც ვალია და მას გასტუმრება სჭირდება. ზოგიერთმა პატარა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ უკვე შთამბეჭდავი ოდენობის საგარეო ვალები დააგროვა, რომელთა გასტუმრება მომავალში უაღრესად რთული პრობლემა იქნება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბევრგან უპასუხისმგებლო პოლიტიკური ელიტა უცხოურ სესხებსა და კრედიტებს არაეფექტურად იყენებს, ამგვარი ქვეყნების მომავალი ეკონომიკური და საფინანსო ვითარება სათუოდ გვეჩვენება, რადგან დიდი საგარეო ვალების უღელი უაღრესად მძიმე იქნება.

ჯერჯერობით არც ეკონომიკური რეფორმების შედეგებია დიდად მიმზიდველი. ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკა განვითარების ძალიან ნელი ტემპებით ხასიათდება. მოსახლეობის დიდი ნაწილი უკიდურესად არის გაღარიბებული. ამ ქვეყნების

---

343 Edmund Herzig, *The New Caucasus: Armenia, Azerbaijan and Georgia,* The Royal Institute of International Affairs. London, 1999, p.122

უმრავლესობის საგარეო ვალი იზრდება, უცხოური დახმარების, სესხებისა და კრედიტების გარეშე კი მათ ეკონომიკას ძალიან სერიოზული პრობლემები ემუქრება.

საბჭოთა კავშირის „ძმური ოჯახის" დაშლას წინ უძღოდა მასში გაერთიანებულ ხალხთა დიდი იმედები, რომ დამოუკიდებლობა მათ საამურ ცხოვრებას და სწრაფ ეკონომიკურ პროგრესს მოუტანდა. სინამდვილე კი ყველაზე დიდი პესიმისტების ნინასწარმეტყველებაზე მწარე აღმოჩნდა. 90-იანი წლების დასაწყისში ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მწვავე ეკონომიკური კრიზისი გამეფდა. სსრკ-ის ნგრევის დამაჩქარებელ და შემდგომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ხელისუფლების სათავეში მოსულ პოლიტიკურ ძალებს ოდნავადაც არ ეეჭვებოდათ, რომ ეკონომიკური ტრანსფორმირება სწრაფად მოხდებოდა და ყველაზე ადრე საბაზრო ეკონომიკაზე პატარა რესპუბლიკები გადავიდოდნენ. ასე იყო საქართველოშიც. ვისაც 80-იანი წლების მიწურული და 90-იანი წლების დასაწყისი ახსოვს, მას ისიც უთუოდ ეხსომება, როგორ ოპტიმისტურ პროგნოზებს ავრცელებდა იმდროინდელი ქართული მასმედია და როგორი პათოლოგიური ოპტიმიზმი დამკვიდრდა მაშინდელ საზოგადოებრივ ცნობიერებაში. საზოგადოების დიდი ნაწილი დარწმუნებული იყო, რომ საქართველო სულ რაღაც 5-7 წელიწადში (!) ავსტრიისა თუ შვეიცარიის განვითარების დონეს მიაღწევდა და დაწინაურებული სახელმწიფოების რიგებს დაამშვენებდა. დიდი იყო უცხოური ინვესტიციების მოზიდვის იმედიც. ისეთი სურათი დაიხატა, თითქოს დამოუკიდებლობის მოპოვების მეორე დღიდანვე საქართველოში მილიარდობით დოლარი უნდა შემოსულიყო და მსოფლიოს უდიდესი კორპორაციები საქართველოში საკუთარი წარმოების დასაფუძნებლად ერთმანეთში ხელჩართულ ბრძოლას გამართავდნენ. რბილად თუ ვიტყვით, დღეს ეს წარმოდგენები და იმედები იმდენად გულუბრყვილოდ გამოიყურება, რომ მათ შესახებ საუბარიც უხერხულია.[344]

ერთი რამ ნათელია:საქართველოში, ისევე როგორც სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, საზოგადოებრიობის უმეტეს ნაწილს არა მხოლოდ ელემენტარული ეკონომიკური ცოდნა აკლდა, არამედ როგორც საკუთარი ქვეყნის ჭეშმარიტ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებზე, ისე საერთაშორისო პოლიტიკასა და ეკონომიკაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. მაშინდელი უმეცრება

344 იხ.: ალექსანდრე რონდელი. პოლიტიკა: მითები და რეალობა. „სამართალი", N1-2, 1994, გვ. 9-10

დღევანდელი თვალსაწიერიდან ტრაგიკომიკურად გამოიყურება.

პოსტსაბჭოთა სივრცის პატარა სახელმწიფოებმა ფეხი შედგეს მათთვის პრაქტიკულად უცნობ საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან უკვე ლამის 20 წელიწადი გავიდა, ბევრი მათგანი კი ჯერ ისევ ცდილობს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში საკუთარი ადგილისა და ფუნქციის დამკვიდრებას[345]. ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ ქვეყნებმა ჯერაც ვერ მოახერხეს ახალი ეკონომიკის შექმნა (აღარაფერს ვამბობთ მათი სხვადასხვა დარგების არაკონკურენტუნარიანობაზე).

საბაზრო ეკონომიკის ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელი მოთხოვნა-მიწოდებასთან საქონლისა და მომსახურების ფასების მისადაგების უნარია. საბჭოთა ეკონომიკაში კი, როგორც ვიცით, ფასწარმოქმნა არა ბაზრის მექანიზმების, არამედ ცენტრის გადაწყვეტილების შედეგი იყო.

საბაზრო ეკონომიკის აუცილებელი პირობა კერძო საკუთრებაა. მისი დამკვიდრება და სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთ ურთულეს და მტკივნეულ პროცესად მოგვევლინა.

საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია იმგვარი ეკონომიკური გარემო, რომელშიც გაბატონებულია კონკურენცია და არა მონოპოლია.

ახალ ეკონომიკურ პირობებს სათანადო სამართლებრივი ინფრასტრუქტურა და მოქნილი, ეფექტური საგადასახადო სისტემა ესაჭიროება. აღარაფერს ვამბობთ სათანადო საბანკო სისტემის, მყარი ეროვნული ვალუტის აუცილებლობაზე და, რაც მთავარია, ეროვნული ეკონომიკური განვითარების მყარი და გააზრებული სტრატეგიის შემუშავებასა და ცხოვრებაში გატარებაზე.[346]

---

345 საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის საკითხებს ჯერ კიდევ ი. ჭავჭავაძე ადევნებდა თვალს. თანამედროვე საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრირების პრობლემების უკეთ გაგებისათვის ქართველი მკითხველისათვის შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს *ილია ჭავჭავაძის* სტატიის „სატამოჟნო პოლიტიკა ევროპაში:ფრიტრედერობა და პროტექციონობა“ გაცნობა. ამ შრომაზე მიგვითითა *პროფ. ვ. პაპავამ*, რისთვისაც მას მადლობას ვუხდით. (*ილია ჭავჭავაძე*. თხზულებათა სრული კრებული. ტ. VIII, წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე. თბ., სახელგამი, 1956, გვ.310-323);

346 საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შესახებ იხილეთ: Edward P. Lazear (Ed.), *Economic Transition in Eastern Europe and Russia*, Hoover Institution Press, Stanford University, Stanford, 1995

ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლას ხელი შეუშალა აგრეთვე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკის დარგობრივმა და ტერიტორიულმა სტრუქტურამ, ცენტრზე მათმა დაქვემდებარებამ და რეგიონული თანამშრომლობის უქონლობამ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკა საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა. ადრე, ჯერ კიდევ მეფის რუსეთის ბატონობის წლებში, ბაქოს რაიონი საუკეთესო ნავთობის დიდი მარაგის წყალობით სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების „კუნძულად" იქცა. საქართველოსა და სომხეთში კი სამრეწველო განვითარება ძალიან დაჩქარდა XX საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა 50-იან წლებშიც, თუმცა, ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამრეწველო პოტენციალი ერთიანი საკავშირო ეკონომიკური კომპლექსის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა და ცალმხრივად იყო განვითარებული.

შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა რეჟიმის პერიოდში ამიერკავკასიის სამივე პატარა რესპუბლიკა საკმაოდ ურბანიზებულ და ინდუსტრიალიზებულ ტერიტორიად გადაიქცა. ამავე დროს, უაღრესად სუსტი დარჩა მომსახურების სექტორი. სათანადოდ არც სოფლის მეურნეობა განვითარებულა. ეს დარგი კონკურენტუნარიანი მხოლოდ ჩაკეტილი საბჭოთა ბაზრის პირობებში იყო. უფრო მეტიც, საბჭოთა ბაზრის სპეციფიკამ საერთაშორისო სტანდარტებით ამიერკავკასიის რესპუბლიკების არაკონკურენტუნარიანი საწარმოო დარგები ცალკეულ შემთხვევაში ლამის მონოპოლისტებად აქცია და მთელი რიგი უპირატესობა შეუქმნა. ამის მიუხედავად, ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკა ეკონომიკური განვითარების დონით საგრძნობლად ჩამორჩებოდა ბალტიისპირეთს, რუსეთისა და უკრაინის ბევრ რეგიონს და მხოლოდ შუა აზიის რესპუბლიკებს უსწრებდა. ამიტომაც, როდესაც სამივე რესპუბლიკა სუვერენულ ქვეყნებად იქცა, მათი ეკონომიკა ახალ საერთაშორისო გარემოში ფუნქციონირებისათვის სრულებით უვარგისი აღმოჩნდა. ამას თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ტექნოლოგიურად მოძველებულ, ტლანქ და ცალმხრივად განვითარებულ ე.წ. „სახალხო მეურნეობაში" კორუფცია, მიწერები იყო გამეფებული, არ იყო დანერგილი ჭეშმარიტი მართვა და ანგარიშგება, ადვილი გასაგებია, რატომაც აღმოჩნდნენ ხსენებული პატარა ქვეყნები 90-იანი წლებისათვის ამგვარ სავალალო ვითარებაში.

საქართველო, ისევე როგორც სამხრეთ კავკასიის სხვა დანარჩენი ქვეყნები (აზერბაიჯანი და სომხეთი), ისევე როგორც

ნებისმიერი პატარა ქვეყანა, თავისი მცირე, არატევადი შიდა ბაზრის გამო ძალზე დიდად არის დამოკიდებული ექსპორტზე და უცხოურ ინვესტიციებზე. მისთვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს კავკასიის დანარჩენ ქვეყნებთან რეგიონულ თანამშრომლობას, რომლის განვითარების გარეშე არც საქართველო და არც დანარჩენი ორი ქვეყანა უცხოელი ინვესტორებისათვის მიმზიდველი ვერ იქნებიან[347]. რეგიონული თანამშრომლობა მხოლოდ ეკონომიკური თანამშრომლობა როდია. მას პოლიტიკური, უსაფრთხოების და საერთაშორისო ასპექტებიც აქვს და სწორედ ეს ართულებს თანამშრომლობის განვითარებას.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჯერ რუსეთის იმპერიის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში იყვნენ ჩართულნი, ხოლო შემდეგ 70 წელზე მეტ ხანს (გამონაკლისს ბალტიისპირეთის ქვეყნები წარმოადგენენ, რომლებიც დაახლოებით 20 წელი დამოუკიდებელნი იყვნენ) საბჭოთა კავშირის ე. წ. ერთიანი სახალხო-მეურნეობრივი კომპლექსის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენდნენ. მართალია, ფორმალურად ყოველი საბჭოთა რესპუბლიკა კავშირის წევრი იყო და საკუთარი მთავრობა ჰყავდა, სინამდვილეში საბჭოთა კავშირი უაღრესად ცენტრალიზებულ და უნიტარულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ასეთივე იყო საბჭოთა ეკონომიკაც.

უკიდეგანო საბჭოთა ეკონომიკა ვითარდებოდა ტოტალიტარულ ქვეყანაში გაბატონებული იდეოლოგიის, პოლიტიკური და ეკონომიკური დოგმების თანახმად. ე.წ. სოციალისტური სახალხო მეურნეობა დირექტიულ დაგეგმვაზე დამყარებული უკიდურესად ცენტრალიზებული სისტემა იყო. ქვეყნის უზარმაზარი ფართობი და სხვადასხვა რეგიონებსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის დიდი გეოგრაფიული განსხვავებები (ასეთივე განსხვავება ზოგჯერ საკუთრივ რესპუბლიკების სხვადასხვა რეგიონებს შორისაც შეინიშნება) ხელისუფლებას აიძულებდა ანგარიში გაეწია ბუნებრივი და კულტურული სხვაობებისათვის და გარკვეული სახის რეგიონული პოლიტიკა გაეტარებინა. ამ პოლიტიკას საფუძვლად დაედო საბჭოთა ეკონომიკურ-გეოგრაფიული სკოლის

---

347 ამის შესახებ იხ. V. Papava, N. Gogatadze, "Prospects for Foreign Investments and Strategic Economic Partnreship in the Caucasus", *Problems of Economic Transition*, Vol. 41, N 5, September 1998, pp. 79-88; Папава, В., О формировании экономической системы на Южном Кавказе. *Общество и экономика*. No. 1, 2002, стр. 159-165.

მიერ შემუშავებული ქვეყნის დარაიონების პრინციპი. ქვეყანა დაიყო მსხვილ ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რაიონებად, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ხსენებული რაიონების ფიზიკურ-გეოგრაფიულ, კულტურულ, განვითარების დონეს და სხვა თავისებურებებს დაუკავშირდა.[348] სსრკ-ის ეკონომიკური რაიონების ბადე იცვლებოდა, რადგან დროდადრო საჭირო ხდებოდა ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებთან მათი შეხამება. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ეტაპზე ქვეყანაში 20 მსხვილი ეკონომიკური რაიონი არსებობდა. რუსეთში 11 ამგვარი რაიონი იყო, უკრაინაში – 3, ზოგიერთი რესპუბლიკა (მაგალითად, ყაზახეთი) ცალკე რაიონს წარმოადგენდა, ხოლო უფრო მომცრო რესპუბლიკები გაერთიანებულნი იყვნენ შუა აზიის, ბალტიისპირეთისა და ამიერკავკასიის მსხვილ ეკონომიკურ რაიონებში.

საყურადღებოა, რომ, სსრკ-ში არსებული მკაცრი კონტროლისა და ცენტრალური დაგეგმვის მიუხედავად, ყოველი რესპუბლიკა საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებას, რეგიონში უკეთესი პოზიციების მოპოვებას ცდილობდა. ამას ბევრი სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზი ჰქონდა, რომელთა განხილვა ამჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებულ მსხვილ ეკონომიკურ რაიონებში (ეს განსაკუთრებით სხვადასხვა რესპუბლიკებისაგან შემდგარ რაიონებზე ითქმის) ვერა და ვერ ჩამოყალიბდა ჭეშმარიტი რეგიონული თანამშრომლობა. ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებაზე, დამოუკიდებლად განვითარებაზე ზრუნავდა. ამგვარი ტენდენცია განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 70-იანი წლებიდან. ავიღოთ თუნდაც ე.წ. ამიერკავკასიის მსხვილი ეკონომიკური რაიონი, რომელშიც აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო შედიოდა. მართალია, მათ შორის ეკონომიკური კავშირები იყო, მაგრამ ყოველი მათგანი უფრო მეტად სსრკ-ის დანარჩენ რესპუბლიკებთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებით კი რუსეთთან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ცენტრის ძალისხმევა სწორედ ამისკენ იყო მიმართული, მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკურ რაიონებში თანამშრომლობის გაღრმავების პოლიტიკა ჰქონდა განცხადებული. ცენტრი უფრო მეტად ცდი-

---

348 Экономическая география СССР. "Просвещение", Москва. 1966, стр. 235-250. А.Н.Лавришев.Экономическая география СССР. „Экономика". Москва.1972.стр.297-311; Экономическая и социальная география СССР. Том 1, «Просвещение». Москва. 1986, стр. 33-62,158-167;Том.2,1887.стр.3-1

ლობდა ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა რუსეთზე მიება, მისთვის დაექვემდებარებინა. ცენტრის პოლიტიკური ინტერესები ეკონომიკურზე მაღლა იდგა. .

ჯერ კიდევ საბჭოთა ავტორები აღნიშნავდნენ, რომ სსრკ-ის მსხვილი ეკონომიკური რაიონები სინამდვილეში ამგვარ ინტეგრაციულ ერთეულებს არ წარმოადგენდნენ. ამ მხრივ კარგი მაგალითია ე.წ. ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონი, რომლის შემადგენელი საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი უფრო მეტად რუსეთზე იყვნენ ეკონომიკურად დაქვემდებარებულნი, ვიდრე ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულნი.[349]

ხსენებული ტენდენციის გამო, სსრკ-ის დაშლის შემდეგ ცენტრზე დაქვემდებარებული პატარა საბჭოთა რესპუბლიკები მასთან საწარმოო კავშირების მოშლის გამო, ეკონომიკურად უმწეონი აღმოჩდნენ. არც რეგიონული კავშირები იყო ძლიერი. ამან დააბრკოლა სამხრეთ კავკასიაში სამი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ეკონომიკური კავშირების და მათ შორის სხვა სახის თანამშრომლობის გაღრმავებაც. რეგიონული თანამშრომლობა ყველაზე ხშირად სწორედ ეკონომიკური ურთიერთობის საფუძველზე ვითარდება.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი არც ადვილი გამოდგა და არც ხანმოკლე. შეიძლება ითქვას, რომ , პოსტსაბჭოურმა სახელმწიფოებმა საბაზრო ეკონომიკის შექმნაში განსხვავებულ შედეგებს მიაღწიეს, მაგრამ ყველაში გარდამავალმა პერიოდმა მოიტანა მასობრივი უმუშევრობა, წარმოების სერიოზული დაცემა, რიგი საწარმოო დარგების გაქრობა, სოციალური პოლარიზაცია, უკიდურესი სიღარიბე და მოსახლეობის უმრავლესობის სოციალური დაუცველობა. ახალი ეკონომიკის შექმნა ხანგრძლივი და უაღრესად მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა.[350]

---

349 იხ: R.G. Gachechiladze, M.A. Nadzhafaliyev, A.D.Rondeli, "The Regional Development Problems of Transcaucasia", *Geoforum*, vol. 15, N1, 1984, pp. 65-73

350 საქართველოში გარდამავალი პერიოდის თავისებურებათა და სიძნელეთა შესახებ იხ.:Lado Gurgenidze, Mamuka Lobzhanidze, David Onoprishvili, „Georgia: From Planning to Hyperinflation", *Communist Economies and Economic Transformation*, Vol.6, N3, 1994, pp.259-287; Stephen F. Jones, "Georgia's Return from Chaos", *Current History*, October 1996, Vol.95, N603, pp.344-345; "Country Profile: Georgia, Armenia, Azerbaijan, Kazakhstan, Central Asian Republics", *The Economist Intelligence Unit*, 1993-94, London, pp.12-30; Simon Stone and Oliver Weeks, *Prospects for the Georgian Economy*, CACP Briefing, RIIA, Russian and Eurasia Programme, N 15, March 1998; ჰუმანური განვი-

იგი ერთნაირად უმძიმთ უზარმაზარ და რესურსებით მდიდარ რუსეთსაც და პატარა ქვეყნებსაც, როგორიცაა აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, თურქმენეთი და სხვ.

სწორედ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და საზოგადოდ ახალი ეკონომიკის შექმნისათვის აუცილებელი რეფორმების ძალზე მტკივნეული სოციალური შედეგები და ამის გამო საზოგადოების დიდი ნაწილის უკმაყოფილება ედო საფუძვლად საქართველოში ხალხის მასობრივად ქუჩაში გამოსვლას და მიტინგებს. ხალხის სოციალურ უკმაყოფილებას სხვადასხვა პოლიტიკური ძალები თავიანთი მიზნებისთვის იყენებდნენ. ხელისუფლება ხშირად ვერ ახერხებდა მტკივნეული რეფორმების „სოციალურ ანესთეზიას", რადგან ამისათვის რესურსები არ ჰყოფნიდა. მოსახლეობის მძაფრი რეაქცია სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებზე ბევრ პოსტკომუნისტურ ქვეყანაში შეინიშნებოდა და კვლავაც შეინიშნება.

თარების ანგარიში. საქართველო 1999. გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამა, გაერთიანებული ერების წარმომადგენლობა საქართველოში, 1999. V. Papava, T. Beridze, „Industrial Policy and Trade Regime in Georgia". *Eurasian Studies,* Vol. 3. N4, Winter 1996/97, pp. 65-78; ჭითანავა, ნოდარ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწილი, თბილისი, 2001. იხ. განსაკუთრებით გვ.გვ. 79-223: Vladimer Papava. Systemic Change in Post-Communist Economics. *Selected Papers from the Fifth World Congress of Central and East European Studies,* Warsaw. 1995. (Edited Paul G. Hare). Macmillan Press. 1995. pp. 266 - 292; Vladimer Papava. Necroeconomics: The Political Economy of Post-Communist Capitalism.(Lessons from Georgia). iUniverse. Inc. New York Lincoln Shangai. 2005; ვლადიმერ პაპავა. პოსტრევოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პათოლოგიური ანატომია. „შრომები". საგამომცემლო ფირმა „სიახლე", თბილისი, 2008.

თავი 5

პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნების უსაფრთხოების პრობლემები

შინ საქმეა არეული, გარეთ - მტერი მორეულიო.
ქართული ანდაზა

ყოველი პოსტსაბჭოური ქვეყანა დემოკრატიული საზოგადოების და საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაში საკუთარი ადგილისა და როლის განსაზღვრას ცდილობს. ცენტრალიზებული გეგმური ეკონომიკიდან საბაზროზე და ტოტალიტარული სისტემიდან დემოკრატიულზე გადასვლა ძალიან მძიმე და მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა. ამის შედეგია ის ღრმა ეკონომიკური და სოციალური კრიზისი, რომელსაც ამ ქვეყნების უმრავლესობა განიცდის. როგორც უკვე ითქვა, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები მათი აღმოცენებისა და განვითარების ძალზე სპეციფიკური პრობლემების გამო გამორჩეულ, უნიკალურ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენენ.

რუსეთის გარდა ისინი სუსტი ქვეყნებია. უკრაინას, ყაზახეთსა და უზბეკეთს თუ არ ჩავთვლით, ისინი მცირე ფართობსა და შედარებით მცირე ბუნებრივ რესურსებს ფლობენ. მათი უმრავლესობა ჯერაც ძალიან მყიფე სახელმწიფოებრივი ბაზის მქონე კვაზი-სახელმწიფოა. ამ სახელმწიფოთა საზოგადოებები დემოკრატიული ტრადიციების, სამოქალაქო ელემენტების დეფიციტს განიცდიან. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ მტკივნეულ პროცესში მათი ეკონომიკა ჯერ კიდევ ბევრ სერიოზულ პრობლემას განიცდის. გარდა ამისა, ამ ახალმა დამოუკიდებელმა ქვეყნებმა უნდა განავითარონ საკუთარი სტრატეგიული კულტურა, რათა ხელი შეუწყონ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებას.

პოსტსაბჭოურ სივრცეს, რომელშიც პატარა ქვეყნების ახალი ტიპია წარმოდგენილი, შემდეგი ნიშნები ახასიათებს:

- უზარმაზარი ტოტალიტარული მრავალეროვნული იმპერიის დანაწევრება;
- მეტად ძლიერ ყოფილ „ბატონსა“ და სუსტ მეზობლებს შორის

უსაფრთხოების უკიდურესი ასიმეტრიულობა;

- ყველა ახალი სახელმწიფოს სისუსტე;
- ეთნიკური ნაციონალიზმის დომინირება და პოლიტიკური თვითგამორკვევის ბევრი მსურველი ეთნიკური ჯგუფი გარემოში, რომელშიც თვითნებურად /გავლებული სახელმწიფო საზღვრები ჭარბობს;
- რეინტეგრაციისა და დეზინტეგრაციის პროცესების თანხვედრა;
- ადგილობრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კულტურაში დემოკრატიული ტრადიციის უქონლობა და ახალაღმოცენებული სამოქალაქო ელემენტების სისუსტე;
- „საბჭოური მენტალიტეტის" და მართვის კულტურის ინერცია;
- პოსტსაბჭოური სივრცის უსაფრთხოების პრობლემების სუსტი ცოდნა და ამის გამო ბევრი ქვეყნის მიერ რუსეთის „განსაკუთრებული უფლებების" ფაქტობრივად აღიარება;
- „გეგმური" ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლით განპირობებული მძიმე სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები პოსტსაბჭოური სივრცის ბევრ სახელმწიფოში;
- მასობრივი განადგურების (ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური) იარაღისა და ბირთვული ნარჩენების დიდი რაოდენობისა და ბირთვული რეაქტორების არსებობა.

უსაფრთხოების ბუნდოვანება. სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე ზემოქმედებს ხუთი ძირითადი კატეგორიის ფაქტორები: სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი და ეკოლოგიური. ეს ხუთი კატეგორია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არ მოქმედებს. ყოველი მათგანი განსაზღვრავს უსაფრთხოების პრობლემატიკის ცენტრალურ საკითხს; ისინი ურთიერთგადახლართულ ძლიერ ერთობლიობას წარმოადგენენ[351]. ტრადიციულად, განსაკუთრებულ და მთავარ როლს უსაფრთხოების სამხედრო კომპონენტი თამაშობდა, მაგრამ ამჟამად სხვა კომპონენტების მნიშვნელობაც იზრდება.

სუვერენული სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას მისი უსაფრთხოების ამოცანები და პრიორიტეტები განსაზღვრავენ. სუვერენული სახელმწიფოებრიობის საკმაოდ

---

351 Barry Buzan, *People, States and Fear*, Second Edition. Lynne Rienner Publishers, Boulder, CO, 1991, p.21

ხანგრძლივი გამოცდილებისა და სსრკ-ის ყოფილი ძირითადი ბირთვის როლის თამაშის მიუხედავად, რუსეთმაც კი ვერ განსაზღვრა მკაფიოდ საკუთარი უსაფრთხოების ინტერესები. სხვა პოსტსაბჭოური სახელმწიფოების ახალ მმართველ წრეებს საჭირო გამოცდილების, სტრატეგიული კულტურის და საგარეო პოლიტიკის დაგეგმვის ტრადიციის ნაკლებობის გამო ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები სერიოზულ გამოცდად ექცათ.

უსაფრთხოების ინტერესების განსაზღვრა ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის მეტად სერიოზული ამოცანაა. ამის მიზეზებია ძალზე რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, პოსტსაბჭოურ სივრცეში რუსეთის განუწყვეტელი მცდელობები დაიმორჩილოს მეზობლები და არ დაუშვას თავის სამეზობლოში სხვა ძლიერი სახელმწიფოების, განსაკუთრებით კი აშშ-ს გავლენის გაზრდა, ამასთანავე ნატოსა და ევროპული კავშირის აღმოსავლეთით კიდევ უფრო გაფართოება, შინაგანი განვითარების საკმაოდ არაპროგნოზირებადი დინამიკა, ბუნდოვანი „მეგობრობა-მტრობის" სტრუქტურა, უსაფრთხოების „კოდები"" და ურთიერთობები როგორც თანამეგობრობის წევრებს, ასევე მას და დანარჩენ მსოფლიოს შორის.[352] იმისათვის, რომ კვლავ ზესახელმწიფოდ ჩამოყალიბდეს, რუსეთის ძალისხმევა კვლავ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან მჭიდრო პატერნალისტური ურთიერთობის დამყარებაზეა ორიენტირებული. რუსეთში ჩამოყალიბდა საერთო აზრი, რომ მან, როგორც ძლიერმა ქვეყანამ, უნდა განამტკიცოს თავისი ბატონობა ახლო საზღვარგარეთში და განაგრძოს ჰეგემონური საგარეო პოლიტიკის გატარება[353]. როგორც *იან ქათბერტსონი* შენიშნავდა, რუსეთი 90-იან წლებში ეკონომიკური დახმარების სანაცვლოდ პოლიტიკურ ვასალობას ითხოვდა[354]. პოსტსაბჭოურ, პოსტიმპერიულ სივრცეში უსაფრთხოების აშკარა ასიმეტრია შეიმჩნევა. ძლიერი რუსეთი დიდი უპირატესობით სარგებლობს. იგი მეზობლებს ფაქტობრივად მეორეხარისხოვან

---

352 იხილეთ: Ian Cuthbertson, "The New 'Great Game'", *World Policy Journal*, Vol. XI, N4, Winter 1994/95, p.36

353 Dmitri Trenin, "Russia's Security Interests and Policies in the Caucasian region". In: Bruno Coppieters (Ed), *Contested Borders in the Caucasus*, VUB University Press, Brussels, 1995, p. 115-130; Margot Light, "Russia and Transcaucasia". In: John F.R. Wright, Suzanne Goldenberg, Richard Schofield (Eds.), *Transcaucasian Boundaries*, UCL Press, London, 1996, pp. 34-53.

354 Ian Cuthbertson. იქვე..., გვ. 39

ქვეყნებად მიიჩნევს და მათზე მუდმივ ზეწოლას ახორციელებს. ამისთვის ყველა მეთოდს მიმართავს:პოლიტიკურ ზეწოლას, ფინანსურ, ენერგეტიკულ ბერკეტებს, ხოლო საქართველოს მიმართ კი 2008 წლის აგვისტოში პირდაპირი აგრესია გამოიყენა.

„ახალბედა" დამოუკიდებელი სახელმწიფოები ისეთ საერთაშორისო სისტემაში აღმოჩნდნენ, სადაც თავიანთი ეროვნული ინტერესების შესაბამისად მოქმედებენ. ამჟამად პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნები რეგიონულ თუ გლობალურ კონტექსტში ცდილობენ საკუთარი სახის, როლისა და ფუნქციის პოვნას, ეროვნული ამოცანებისა და პრიორიტეტების განსაზღვრას ცდილობენ. ყოფილი იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის მწარე გამოცდილება „ახალბედა" სახელმწიფოებისთვის კარგი გაკვეთილია; მათ მხოლოდ ახალი საერთაშორისო ნორმებისა და წესების იმედი არ უნდა ჰქონდეთ და საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებზე მოკავშირეებისა და კოლექტიური უსაფრთხოების კონტექსტში უნდა იფიქრონ.

1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვებამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის შესაძლებლობა შეუქმნა (თუმცა ეს ურთიერთობები განსაკუთრებული ნიშნებით ხასიათდებოდა, რომლებსაც საბჭოთა მემკვიდრეობა განაპირობებდა). სსრკ-ის მოულოდნელმა დაშლამ რეგიონული უსაფრთხოების სტრუქტურის ახალი ინსტიტუციური მოწყობის დრამატული ამოცანები წამოჭრა. ზეცენტრალიზებული საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სტრუქტურების ახლით სწრაფი შეცვლა ვერ მოხერხდა. პოსტსაბჭოთა სივრცეში დამოუკიდებელი სახელმწიფოების აღმოცენება უსაფრთხოების ურთიერთობებისა და „მეგობრობა/მტრობის" სტრუქტურების წარმოშობას ნიშნავდა. უსაფრთხოების კონტექსტში ამან, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად იმოქმედა ურთიერთდამოკიდებულების რეგიონულ და საერთაშორისო მოდელებზე.[355]

სუსტი ქვეყნები/სუსტი სახელმწიფოები. საბჭოთა კავშირის დანაწევრება მისი წევრებისთვის განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა, საზღვაო იმპერიებისგან განსხვავებით, ეს იმპერია

---

355 სამხრეთ კავკასიაში რეგიონული უსაფრთხოების შესახებ იხ.: გიორგი გვალია. ძალთა წონასწორობა თუ საფრთხის წონასწორობა? ალიანსები სამხრეთ კავკასიაში. ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევის სერია, თბილისი, 2008

ტერიტორიულად მოსაზღვრე ე.წ. მოკავშირე საბჭოთა რესპუბ-ლიკებისგან შედგებოდა. ეს რესპუბლიკები პოლიტიკურად და ეკონომიკურად უფრო მჭიდროდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირე-ბულნი და კლასიკურ იმპერიებთან შედარებით უფრო გამოკვეთი-ლი სტრუქტურა „ცენტრი-პერიფერია" ჰქონდათ. საბოლოოდ, სსრკ-ის დაშლის შედეგად წარმოიქმნა ერთადერთი ძლიერი და 14 პატარა, სუსტი სახელმწიფო.

რუსეთის გარდა, ყველა პოსტსაბჭოური სახელმწიფო (მათ შო-რის – უკრაინაც) პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც სუსტია და არ ძალუძს ეროვნული ინტერესების დაცვა ან საკუთარი ეროვნუ-ლი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დსთ-ის სახელმწიფოების უსაფრთხოების ამოცანებსა და საგარეო პოლიტიკაზე უარყოფით გავლენას ახდენს საკუთარი საშუალებებისადმი უნდობლობა და ის მოსაზრება, რომ „უსაფრთხოების დილემის" გადაჭრის გზები გარეშე ძალებზე და ფაქტორებზეა დამოკიდებული.

სუსტი ქვეყნები ხშირად სუსტი სახელმწიფოებიც არიან. უსა-ფრთხოების კონცეფციის ცენტრალური კომპონენტია *სახელმ-წიფო*. პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც ახალი დამოუკიდებელი ერების აღმოცენება ხდება, სახელმწიფოებრიობისა და სახელმწი-ფოს მშენებლობის საკითხებს უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. *რობერტ ჯექსონის* ტერმინს თუ მოვიშველიებთ, პოსტსაბჭოური სივრცის თითქმის ყველა სახელმწიფო (გარკვეულწილად, რუსეთიც), კვაზისახელმწიფოა[356]. სახელმწიფოებრიობის იდეის განუვითარე-ბლობამ, მოსახლეობაში სოციალურ-პოლიტიკური ერთსულოვნე-ბის ნაკლებობამ, არასტაბილურმა ინსტიტუტებმა და უკიდურესად სუსტმა ეროვნულმა ეკონომიკამ პოსტსაბჭოური სახელმწიფოების შინაგან რღვევას და უცხოურ ინტერვენციასაც კი შეუწყო ხელი.

საბედნიეროდ, სახელმწიფოთა თანამეგობრობად აღქმუ-ლი თანამედროვე საერთაშორისო სისტემა არ დაუშვებს ამგვარ სახელმწიფოთა იურიდიულ გაქრობას. მათი სუვერენიტეტი, ბევრი ექსპერტის აზრით, აღარ შეილახება ომის, დაპყრობის, დანაწ-ევრების ან კოლონიალიზმის შედეგად, როგორც ეს ადრე ხშირად ხდებოდა.[357] ასეთმა მიდგომამ, *ჯექსონის* თქმით, მარგინალური სახელმწიფოებისათვის წარმოქმნა საკმაოდ განსხვავებული სუვე-

---

356 Robert Jackson, *Quasi-States: Sovereignty, International Relations and the Third World,* Cambridge University Press, 1993, pp. 21-30

357 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიამ საქართველოს წინააღმდეგ ამგვარ შეხედულებას საფუძველი გამოაცალა.

რენიტეტის რეჟიმი „დაზღვევით"; სისუსტისა და შინა დეზორგანიზაციის მიუხედავად, ასეთ სახელმწიფოებს, ახალი საერთაშორისო ნორმების თანახმად, არსებობის უფლება აქვთ[358]. როგორც *ჯეიმს მეიალი* შენიშნავს, პატარა და სუსტ სახელმწიფოებზე, მათი პოლიტიკური სისუსტისა და ეკონომიკური განუვითარებლობის მიუხედავად, თანამედროვე საერთაშორისო რეჟიმი ზრუნავს.[359]

პოსტსაბჭოურ ქვეყნებში სახელმწიფოებრიობის და დემოკრატიის მშენებლობა აუცილებლად გულისხმობს ეთნონაციონალიზმის აღორძინების წინააღმდეგ ბრძოლას. არც ერთი ეს ქვეყანა არ არის ერი-სახელმწიფო კლასიკური დასავლური გაგებით და პოსტსაბჭოურ სივრცეში ეთნოსისა და სახელმწიფოს საზღვრები იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს. სახელმწიფოს მშენებლობის პროცესმა გამოავლინა სამოქალაქო ელემენტების უკიდურესი სისუსტე და ერის იდეაში მოჭარბებული ეთნიკურობა. პოსტსაბჭოური ქვეყნების უმრავლესობა მრავალეთნიკური ერთეულია. იძულებითი რეჟიმის არარსებობამ, რომელიც მოწოდებულია პოსტსაბჭოური სახელმწიფოს ხშირად ერთიანობის შესანარჩუნებლად, ხანგრძლივი დროის მანძილზე ძალით შეკავებულმა ეთნიკურმა დაძაბულობამ, ისტორიულმა მეტოქეობამ და შუღლმა, გამოამჟღავნა სახელმწიფო საზღვრების შემთხვევითობა და თვითნებური ხასიათი.[360] ამ სახელმწიფოების მთავრობების წინაშე მდგარი ,ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანა თავიანთი ხალხების თავმოყვარე დემოკრატიულ ერებად გარდაქმნაა, მაგრამ ჯერჯერობით ვერც ერთმა მთავრობამ ვერ მოახერხა ისეთი ერის შექმნა, რომლის ეროვნული საზღვარი მემკვიდრეობით მიღებულ სახელმწიფო საზღვარს დაემთხვევა. ამრიგად, ეროვნული უსაფრთხოება პოსტსაბჭოთა კონტექსტში გულისხმობს რთულ ურთიერთობას ახალაღმოცენებულ ერებსა და ახალაღმოცენებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებს შორის. გარდა ამისა, შიდა ეთნიკური დაძაბულობები და პოსტსაბჭოურ თუ მეზობელ სახელმწი-

358 Robert Jackson. იქვე.., გვ. 24

359 James Mayall, *Nationalism and International Security,* Cambridge University Press, 1990, p.123

360 სახელმწიფო საზღვრების პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დსთ-ის სივრცეში. ამ საკითხზე იხ.: George Joffe, "Nationalities and borders in Transcaucasia and the Northern Caucasus", In: John F.R. Wright, Suzanne Goldenberg, Richard Schofield (Eds). *Transcaucasian Boundaries,* UCL Press, London, 1996, pp. 15-33; Mark N. Katz, "Nationalism and the Legacy of Empire", *Current History,* Vol. 93, N585, October 1994, pp. 327-331.

ფოებთან კონფლიქტების წარმოქმნის რეალური და პოტენციური საშიშროება ამძიმებს უსაფრთხოების ურთიერთობებს და „მეგობრობა/მტრობის“ სტრუქტურას მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში და მის „სამეზობლოშიც“.

პოსტსაბჭოურ სახელმწიფოებს განსაკუთრებით კი დსთ-ის კავაზისახელმწიფოებს უსაფრთხოების ძალიან სერიოზული პრობლემები ექმნებათ. მათ უმრავლესობას ისეთი „მემკვიდრეობითი“ სისუსტეები ახასიათებს, რომელთა ძირები მრავალეთნიკურობაში, პოლიტიკურ პროვინციალიზმში, მოსახლეობის არასაკმარის სოციალურ-ეკონომიკურ შეკავშირებულობაში უნდა ვეძიოთ[361]. მეტიც, დსთ-ის არც ერთი ქვეყანა (რუსეთის ჩათვლით) არ არის ეკონომიკურად თვითკმარი და ყოველი მათგანი ღრმა ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისს განიცდის. ეს კი მათ შინაური აშლილობისა და გარე ეკონომიკური საფრთხისაგან დაუცველს ხდის. ყველა ამ ქვეყანას სერიოზული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები ახასიათებს.

სახელმწიფოს მშენებლობის, პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესი სერიოზულ პრობლემებს უქმნის ამ ქვეყნებს, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ შიდა უსაფრთხოებას. სახელმწიფო რაც უფრო სუსტია, მით უფრო ბუნდოვანი ხდება მისი ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები. პოსტსაბჭოურ სივრცეში ბევრი სუსტი სახელმწიფოა, რის გამოც ამ სივრცეში დაუცველობის ხარისხი ძალიან მაღალია. მეტის თქმაც შეიძლება, მთავრობის (ცალკეულ შემთხვევებში – მმართველი ელიტის) უსაფრთხოება ზოგჯერ სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან არის გაიგივებული, რაც კიდევ უფრო ზრდის საერთო დაუცველობის შეგრძნებას. საბჭოური მენტალიტეტი, მართვის კულტურის ინერცია და „კომუნისტური რევანშიზმი“ კვლავ მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს. ყოველივე ეს, ეთნიკურ ნაციონალიზმთან და ერი-სახელმწიფოს მოსურნე ეთნიკური ერთეულების მაღალ წილთან ერთად, ნათელს ხდის, თუ რატომ მიიჩნევა პოსტსაბჭოური სივრცის უმეტეს ქვეყნებში შიდა დაუცველობა ეროვნული უსაფრთხოების ყველაზე პრიორიტეტულ საკითხად.

---

361 ამ საკითხზე იხ.:Revaz Gachechiladze, “State-Building in theTranscaucasus: Geography and History in Action”, *Proceedings of the II British-Georgian Geographical Seminar.* Tbilisi University Press, Tbilisi, 1996, pp. 58-71

„მეგობრობა/მტრობა“. პოსტსაბჭოურ სივრცეში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, არსებობს „კმაყოფილი“ და „უკმაყოფილო“(ანუ რევიზიონისტული) სახელმწიფოები. დსთ-ის კონტექსტში ეს დიქოტომია უფრო დრამატულ ხასიათს იძენს, ვინაიდან უკმაყოფილო ეთნიკური ჯგუფებისა და სახელმწიფოებრიობის პრეტენზიის მქონე ერების რიცხვი დიდია. ყოველივე ეს ეთნიკური დაძაბულობებით, თვითგამორკვევის უფლების მოთხოვნით, სეპარატისტული მისწრაფებების გაძლიერებით, შიდა სახელმწიფო და სახელმწიფოთაშორისი დაძაბულობებითა და კონფლიქტებით მთავრდება. აქ, ისევე როგორც სხვაგან თავს იჩენს თვითგამორკვევის უფლებასა და სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპს შორის საყოველთაოდ ცნობილი კონფლიქტი. ზოგჯერ გარეშე ძალები სწორედ ასეთ რევიზიონისტულ ეთნიკურ ჯგუფებს და სახელმწიფოებს უჭერენ მხარს, რითაც ზრდიან საერთო დაუცველობას (ეს განსაკუთრებით, დსთ-ზე ითქმის).[362] მაგალითად გამოდგება სამხრეთ კავკასია, როგორც დსთ-ის მომავალი უსაფრთხოების დინამიკის შესაძლო მოდელი; თუ 1991 წელს რეგიონში მხოლოდ ერთი რევიზიონისტული სახელმწიფო (სომხეთი) იყო, ახლა სამივე სახელმწიფო შეიძლება ასეთად ჩაითვალოს.

პოსტსაბჭოურ (პოსტიმპერიულ) სივრცეში რუსეთსა და მის მეზობლებს (უმეტესად პატარა ქვეყნებს!) შორის არსებულმა უსაფრთხოების ასიმეტრიამ რუსეთის, თავისი სუსტი მეზობლების მიმართ, ქედმაღლობა განაპირობა.[363] 2008 წლის აგვისტოში კი რუსეთი შეიჭრა სუვერენულ საქართველოში, მისი ორი ტერიტორია მიიტაცა და ისინი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა.[364] რუსეთის ამ ქმედებამ პოსტსაბჭოური სივრცის უსა-

---

362 ამ საკითხზე იხილეთ: Thomas Goltz. "Letter from Eurasia: The Hidden Russian Hand". *Foreign Policy,* N92. Fall 1993, pp. 92-116; Stephen Blank. "Russia's Real Drive to the South", *Orbis,* Vol. 39, N3, Summer 1995, pp. 369-386; John W.R. Lepingwell. "The Russian Military and Security Policy in the 'Near Abroad'", *Survival,* Vol. 36, N3, Autumn 1994, pp. 70-92; Sherman W. Garnett. Russia and its Borderlands: A Geography of Violence. *Parameters.* Spring 1997, pp. 4 - 21

363 იხ.: Alexander Rondeli. "Russia and Georgia: Asymmetrical Neighbors". Central Asia and South Caucasus Affairs (Edited by Boris Rumer and Lau Sim Yee). Sasakawa Peace Foundation, Tokyo, 2003, pp. 77 – 90; Alexander Rondeli. "Russia and Georgia: Relations Are Still Tense". *The Caucasus and Globalization,* Vol. 1 (1), 2006, pp. 67 - 74

364 იხ.: Jon E. Chicky. "The Russian Georgian War: Political and Military Implications

ფრთხოებას ახალი განზომილება შესძინა და რუსეთის მეზობელ პატარა ქვეყნებს საფრთხის შეგრძნება გაუძლიერა.

პოლიტიკური კულტურა – საფრთხის წყარო. ყოფილმა საბჭოთა სახელმწიფოებმა მემკვიდრეობით მიიღეს ისეთი პოლიტიკური კულტურა, რომელსაც დემოკრატიული ტრადიციები, სამოქალაქო საზოგადოების ელემენტები, ორმხრივი ნდობა და დიალოგის კულტურა აკლია. დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე ზოგიერთ პატარა პოსტსაბჭოურ ქვეყანას სათავეში ძირითადად რევოლუციური ანდა ფსევდორევოლუციური მთავრობები ედგა, რომლებიც ხელისუფლებაში ნაციონალიზმის ან პოპულიზმის ტალღამ მოიყვანა. როგორც ცნობილია, რევოლუციურ რეჟიმებს, ჩვეულებრივ, საშინაო და საგარეო ვითარებასა და მოვლენებზე დამახინჯებული და სპეციფიკური შეხედულება აქვთ. ახალ პოლიტიკურ ძალებს, „განათლებულ"" და პასუხისმგებელ პოლიტიკურ ელიტებად ჩამოყალიბებისათვის ცოტა დრო რჩებოდათ. თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მდგარი, განათლებული პოლიტიკური და ბიზნესელიტის უქონლობა ამ ქვეყნებს ურთულეს პრობლემებს უქმნის. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენ პოპულიზმის, ავტორიტარიზმის, ეთნიკური და რელიგიური დაძაბულობებისა და კონფლიქტების, შოვინიზმის, ადამიანისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების არაერთი უგულებელყოფის მოწმენი გავხდით[365]. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი საბჭოთა სივრცის ზოგიერთ ქვეყანაში უკვე გადაიდგა საზოგადოების დემოკრატიული გარდაქმნისაკენ მიმართული ნაბიჯები, თავად ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების პოლიტიკური სპეციფიკა და სადავო სახელმწიფო საზღვრები მაინც ამძიმებს პოსტსაბჭოური სივრცის უსაფრთხოების პრობლემებს.

---

for U.S. Policy". CACI Policy Paper, February 2009; Pavel Felgengauer. "This Was Planned, Not a Spontaneous War". *Novaya Gazeta*, August 14, 2008; Svante E. Cornell, Johanna Popjanevski, Niklas Nilsson. Russia's War in Georgia: Causes and Implications for Georgia and the World. CACI, Policy Paper. August 2008

365ამ პრობლემების უფრო ღრმა ანალიზისთვის იხილეთ: Paul A. Goble, "Three Faces of Nationalism in the Former Soviet Union", In: Charles A. Cupchan (Eds), *Nationalism and Nationalities in the New Europe*, Cornell University Press, Ithaca and London, 1995, pp. 122-135; Jack Snyder, "Nationalism and the Crisis of the Post-Soviet State", In: Michael E. Brown (Ed.), *Ethnic Conflict and International Security*, Princeton University Press, Princeton, 1993, pp. 79-101

დეზინტეგრაცია და/ან რეინტეგრაცია. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ცენტრიდანული და ცენტრისკენული ძალები, დეზინტეგრაციისა და რეინტეგრაციის პროცესები ერთმანეთს მეტოქეობას უწევენ. დეზინტეგრაციული ძალები რიგი ქვეყნების (აზერბაიჯანი, საქართველო, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, მოლდოვა, რუსეთი, უკრაინა) შიგნით შეიმჩნევა. ეს ფაქტორები საფრთხეს ზრდიან. ბევრ ქვეყანაში საკმარისადაა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც თავს დაუცველად გრძნობენ და სსრკ-ის ან მისი მსგავსი სახელმწიფოს აღდგენას ნატრობენ, რათა პოლიტიკურად და ეკონომიკურად უფრო უზრუნველყოფილად იგრძნონ თავი. ამ სურვილს აძლიერებს ე.წ. „ახლო საზღვარგარეთში" მცხოვრები დაახლოებით 23 მილიონი ეთნიკური რუსის და მილიონობით გაყოფილი ოჯახის განწყობაც. იმ გარემოში, სადაც მთავრობა მოსახლეობას სახელმწიფოს მზრუნველობითა და მომსახურებით, კანონიერებითა და წესრიგით ვერ უზრუნველყოფს, მატულობს დაუცველობისა და საფრთხის განცდა.

დსთ-ის უსაფრთხოების გარემოს რეალისტურად შეფასებისას უნდა ვაღიაროთ, რომ თანამეგობრობის პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ჰეგემონმა რუსეთმა ვერ მოახერხა დსთ-ის წევრი ბევრი ქვეყნის იმაში დარწმუნება, რომ რუსული ჰეგემონობით შექმნილი თანამეგობრობა და მისი უსაფრთხოების რეჟიმი ყოველი მათგანისთვის უცილობელი სიკეთეა. დსთ-ის წევრ ქვეყნებს რუსეთის მიერ მართვადი უსაფრთხოების ამგვარი რეჟიმის ავსა და კარგზე განსხვავებული შეხედულებები აქვთ. ზოგი მიიჩნევს, რომ რუსეთის მიერ შემოთავაზებული უსაფრთხოების რეჟიმი (მაგალითად, 1992 წლის ტაშკენტის შეთანხმება) მხოლოდ რუსეთის იმპერიული ბატონობის აღდგენის, გავლენის სფეროს შექმნის და სუსტი მეზობლების ხარჯზე საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებს ემსახურებოდა. 1992-1995 წლებში მეზობელი ქვეყნების საშინაო საქმეებში რუსეთის ჩარევა ადასტურებს ამგვარი დაეჭვების საფუძვლიანობას. ზოგს დსთ იმპერიის აღსადგენ იარაღად, ზოგს კი კოლექტიური უსაფრთხოების სტრუქტურის ჩამოყალიბების საშუალებად მიაჩნდა[366]. დსთ-ის წარუმატებლო-

---

366 მაგ. იხილეთ: Игорь Ротарь. Стать нашими сателлитами или умереть. «Независимая газета», 5 Мая 1994; Hannes Adomeit, "Russia as a 'great power' in world affairs: images and reality", *International Affairs*, Vol. 71, N1, January 1995, pp. 35-67; Teresa Rakowska-Harmstone, "Russia's Monroe Doctrine: Peacekeeping, Peacemaking, or Imperial Outreach?" In: M.A. Molok and H. Von

ბის გამო რუსეთმა მოახერხა კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების და ქვეყნებს შორის ორმხრივი შეთანხმებების ქსელის შექმნა[367]. დღეისათვის რუსეთის პოლიტიკა უფრო ორმხრივი შეთანხმებებისა და მასზე ორიენტირებულ რამდენიმე ქვეყანაზე დაყრდნობის გზით წარიმართა. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, დსთ-ის შიგნით მიღწეული სამხედრო შეთანხმებები ვარშავის პაქტის ანალოგიურ ფორმას მიიღებდა დსთ-ის წევრი ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების ამოცანებსა და დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ამოცანებს შორის მრავალი წინააღმდეგობა რომ არ არსებობდეს. 1999 წლის აპრილში საქართველომ, აზებაიჯანმა და უზბეკეთმა ამიტომაც თქვეს უარი ტაშკენტის 1992 წლის სამხედრო ხელშეკრულებაში მონაწილეობის გაგრძელებაზე. ამავე დროს თავად რუსეთს, დსთ-ის უსაფრთხოების ახალ რეჟიმში მისი გამორჩეული ადგილისა და გადამწყვეტი როლის მიუხედავად, ვერა და ვერ ჩამოუყალიბებია საკუთარი უსაფრთხოების პრიორიტეტები. მოგვიანებით რუსეთმა დსთ-ის ჩარჩოებში ახალი სამხედრო სტრუქტურა – კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია (ОДКБ) შექმნა. ამ ორგანიზაციაში საქართველო აღარ გაწევრიანდა.

უსაფრთხოების კომპლექსი, თუ კოლექტიური უსაფრთხოების სტრუქტურა? პოსტსაბჭოური სივრცის უსაფრთხოების დინამიკა *„რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის"*[ბ] აღმოცენების შესაძლებლობაზე მიუთითებს. *ბარი ბიუზანის* დაკვირვებით, *უსაფრთხოების კომპლექსი* წარმოადგენს „იმ სახელმწიფოთა ჯგუფს, რომელთა უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები იმდენად მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ რეალურად შეუძლებელია მათი ეროვნული უსაფრთხოების ერთმანეთისგან დამოუკიდებლად გააზრება"[368]. რას წარმოადგენს დსთ – კოლექტიური უსაფრთხოების სტრუქტურას, თუ რეგიონ-

---

Riehhoff (Eds), *Canada Among Nations 1994: A Part of the Peace*, Ottava, Carleton University Press, 1994, pp. 231-265; Sherman W. Garnett, "The Integrationist Temptation", *The Washington Quarterly*, Vol. 18, N2, Spring 1995, pp. 35-44.

367 ამ საკითხზე იხილეთ: William E. Odom, Robert Dujarric, *Commonwealth or Empire? Russia, Central Asia, and the Transcaucasia*, Hudson Institute, Indianapolis, Indiana, 1995.

368 Barry Buzan, *People, States and Fear*, Second Edition, Lynne Rienner Publishers, Boulder, CO, 1991, p.90

ული უსაფრთხოების კომპლექსს? ბიუზანის თქმით, „უსაფრთხოების კომპლექსი არსებობს იქ, სადაც უსაფრთხოების სფეროში მეზობლებთან შედარებით სუსტი ურთიერთდამოკიდებულებებით საერთო ფონზე უსაფრთხოების ურთიერთობათა მთელი რიგი გამოირჩევა გაცილებით ძლიერი, შიგნით მიმართული ხასიათით"[369]. ამჟამად მთელი პოსტსაბჭოური სივრცე (განსაკუთრებით კი დსთ), მიუხედავად იმისა, რომ რეგიონული კოლექტიური უსაფრთხოების სტრუქტურის ნიღაბი აქვს აფარებული, შეიძლება ამგვარ კომპლექსად განვიხილოთ.[370] იმის თქმაც შეიძლება, რომ პოსტსაბჭოთა სივრცის ფორმირების პროცესში რეგიონული უსაფრთხოების სულ ცოტა სამი კომპლექსი გამოიკვეთა: დასავლეთის (აღმოსავლეთ ევროპის), კავკასიის და ცენტრალური აზიის[371].

შეუძლია თუ არა რუსეთს რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსის ფორმირების პროცესზე ისე იმოქმედოს, რომ იგი კოლექტიური უსაფრთხოების სტრუქტურად ჩამოყალიბდეს? ვიდრე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები სუვერენულ სახელმწიფოებს წარმოადგენენ, პოსტსაბჭოურ სივრცეში შეუძლებელია მხოლოდ თანამშრომლობა ან მხოლოდ კონფლიქტი სუფევდეს. ბუნებრივია, რეგიონის ქვეყნებს შეძლებისდაგვარად მჭიდრო თანამშრომლობა რომ ურჩევნიათ ანარქიასა და „უსაფრთხოების დილემის"" შეუზღუდავ ქმედებას.

პოსტსაბჭოური პატარა სახელმწიფოები საფრთხეს სხვადასხვაგვარად აღიქვამენ, მაგრამ გაურკვევლობისა და დაუცველობის შეგრძნება ყველასათვის საერთოა.

პოსტსაბჭოურ სივრცეში უსაფრთხოების ვითარებას შემდეგი ნიშნები ახასიათებს:

- ბუნდოვანება;
- უსაფრთხოების შიდა პრობლემების სიჭარბე;

---

369 იქვე..., გვ. 193

370 ზოგიერთი მკვლევარი კავკასიას კასპიის ზღვის რეგიონთან ერთად განიხილავს. იხ.:მაგ., Vakhtang Maisaia. *The Caucasus–Caspian Regional Security Agenda in the 21st Century: Caspian Oil Geopolitics and Georgia*, Global Print, Tbilisi, 2002;

371 ამ საკითხზე იხ.:Vladimir Benevolenski and Andrei Kortunov, "Ethics, Integration, and Disintegration: A Russian Perspective", *Ethics and International Affairs*, Vol. 7, 1993, pp. 105-112; Bruno Coppieters, "Conclusions: The Caucasus as a Security Complex", In: Bruno Coppieters (Ed.), *Contested Borders in the Caucasus*, VUB University Press, Brussels, 1995, pp. 251-266

- ახალი სახელმწიფოების მხრიდან ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევის, და რუსეთზე ცალმხრივი დამოკიდებულების შესუსტების მცდელობა;
- გაბატონებული ძალის მხრიდან გავლენის სფეროს შექმნის და მეზობელი სუსტი ქვეყნების კვლავ პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაქვემდებარებაში დატოვების მცდელობა;
- პოსტსაბჭოური სუსტი სახელმწიფოების უუნარობა, თავი დაიცვან რუსეთის მანიპულირებისაგან მაშინ, როცა თვით რუსეთის უსაფრთხოება უშუალოდ პოსტსაბჭოური სივრცის სახელმწიფოების პოლიტიკურ განვითარებასთან არის დაკავშირებული;
- პოსტსაბჭოური სივრცის შიდა უსაფრთხოების დინამიკაზე გარეშე ძალების სულ უფრო საგრძნობი ზემოქმედება;
- კოლექტიური უსაფრთხოების სტრუქტურის შექმნის მცდელობის მიუხედავად, რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსების თანმიმდევრული ფორმირება.

უსაფრთხოების ვითარების უნიკალურობას განაპირობებს არა მარტო საერთაშორისო ანარქიის ხელშემწყობი პირობები და პოსტსაბჭოთა სივრცეში „უსაფრთხოების დილემის" მოქმედება, არამედ ამ პირობების ძალიან სპეციფიკური კომბინაცია, რომელიც პოსტსაბჭოური ქვეყნების უსაფრთხოების ვითარებასა და მის დინამიკაზე ახდენს ზემოქმედებას.[372]

5. 1 პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა (საქართველოს მაგალითი)

საქართველო მარტო დარჩა,
აღარ უნდა ყოფნა მხლებლად,
კავკასიის თეთრი ყანჩა
თავს გრძნობს დამოუკიდებლად.
კოტე ყუბანეიშვილი

საქართველო პოსტსაბჭოურ რესპუბლიკათაგან ერთ-ერთი იყო, რომელიც თავდაპირველად თვითგადარჩენისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, მოგვიანებით კი სტრატეგიული არჩევანის

372 სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური ასპექტების შესახებ იხ.: Revaz Gachechiladze. Geopolitics in the South Caucasus: Local and External Players. "Geopolitics". Vol.7, N1, Summer 2002, pp. 113-138; რევაზ ბახტაძე. გადაწყვეტილების მიღება სუსტ სახელმწიფოში. ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია. თბილისი, 2007, გვ. 53-78

წინაშე აღმოჩნდა. თვალი გადავავლოთ, შიდა დაპირისპირებისა და ეკონომიკური პრობლემების ფონზე როგორ ვითარდებოდა პატარა და სუსტი, კვაზისახელმწიფოს სტრატეგიული ორიენტაციის, ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი მიმართულებებისა და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების ფორმირების პროცესი.

შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოს საგარეო პოლიტიკა მოკლევადიან მიზნებზე ორიენტირებული, ე.წ. *„სტრატეგიული იდეალიზმით"* ხასიათდებოდა. მოგვიანებით ქვეყანამ საკმაოდ რეალისტური საგარეო პოლიტიკის განხორციელება დაიწყო, რომელიც რუსეთის მხრიდან მომდინარე საფრთხის შიშით უკვე ნაკლებად იყო მოტივირებული და მიზნად აღარც მხოლოდ თვითგადარჩენის მოკლევადიან ამოცანას ისახავდა.

ახალგაზრდა ქართული სახელმწიფოს „სტრატეგიული იდეალიზმი" ე.წ. *კულტურული პარადიგმების* სიჭარბით ხასიათდებოდა.[373] მათში მოიაზრება ტრადიციული ქართული ფასეულობები, უცხო ხალხებისა და სახელმწიფოების და, ზოგადად, მსოფლიოს აღქმა და მათ მიმართ დამოკიდებულება. ეს ღირებულებები ხშირად ახდენდა გავლენას ქართველ ხელისუფალთა შეფასებებზე, რამაც მათ პოლიტიკურ არაკომპეტენტურობასა და პოპულიზმთან ერთად ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში სასურველის რეალობად მიჩნევასა და სტრატეგიული იდეალიზმის დამკვიდრებას შეუწყო ხელი. *ედუარდ შევარდნაძის* დაბრუნებისა და ქვეყანაში შედარებითი სტაბილიზაციის დამყარების შემდეგ, 90-იანი წლების შუა ხანებში, ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ

373 ქართული კულტურისა და საგარეო პოლიტიკის ურთიერთკავშირზე საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს *ს. ჯონსი*. პოლიტიკური კულტურის მისეული ინტერპრეტაცია, როგორც ის თავად შენიშნავს, ვინროა და ტრადიციულ ღირებულებებს ეფუძნება, რომელსაც ავტორი ქართული კულტურული პარადიგმების, ან გლობალური პარადიგმების სახელით მოიხსენიებს. მათი მეშვეობით ხდება საგარეო პოლიტიკაში ეროვნული თვითშეფასების როლის ახსნა. მათ გარკვეული გავლენა ექნება ნებისმიერ საგარეოპოლიტიკურ „იდეოლოგიაზე", რომელიც, შესაძლოა, მომავალში განვითარდეს. *ჯონსის* თანახმად, ამგვარ გლობალურ პარადიგმებს მიეკუთვნება ქრისტიანი ერის რელიგიური თვითშეფასება (თვითიდენტურობა), ევროპელობის დასავლური თვითშეფასება, კავკასიელობა – არასრულფასოვნად გამოხატული რეგიონული თვითშეფასება და რუსეთის უარყოფა. ამ უკანასკნელის ნაცვლად შემდგომში გამოყენებულ იქნება ტერმინი „რუსეთის შიში" (ავტ.) იხ. Stephen Jones. "The Role of Cultural Paradigms in Georgian Foreign Policy", Manuscript.

გეოპოლიტიკური გარემოს შედარებით უკეთესი აღქმა გამოავლინა და ფრთხილი, მაგრამ ზედმიწევნით დასავლური ორიენტაციის საგარეო პოლიტიკის გატარება დაიწყო.

1990-იანი წლების ბოლოსათვის ცხადი გახდა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა ორი ძირითადი გარემოებით განისაზღვრება: პირველი, რეგიონული კონტექსტია, რომ იგი მეზობელ ყოფილ ბატონზე, არაპროგნოზირებად და რევანშისტულ რუსეთზე ძლიერ იყო დამოკიდებული; მეორე – ქვეყნის შინაგანი სისუსტე და ერთიანობის უქონლობაა, რაც მას დამოუკიდებელი და მტკიცე საგარეო პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმაში უშლიდა ხელს. ამგვარ ვითარებაში, ევროპასთან ინტეგრირებისა და რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების სტრატეგიული მიზნის მიღწევა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ამის მიუხედავად, ქვეყნის ხელისუფალთა აზრით, ფართომასშტაბიან საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში (კასპიის ზღვის ენერგეტიკული პროექტები და ევრაზიული სატრანსპორტო დერეფანი) მონაწილეობას გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა აღნიშნული მიზნების მისაღწევად.

ამდენად, 90-იან წლებში შესაძლებელია გამოიყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის შემდეგი მიმართულებები:

1. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა;
2. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია;
3. ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან მეგობრული, დაბალანსებული ურთიერთობების ჩამოყალიბება;
4. საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გაყვანა.;
5. რეგიონული თანამშრომლობის განვითარება;
6. საქართველოსა და მთლიანად რეგიონის მიმართ საგარეო ეკონომიკური დაინტერესების გაზრდა;
7. რეგიონულ ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობა.

ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნული ჩამონათვალი 90-იანი წლების მეორე ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტთა ნუსხას წარმოადგენს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2000 წლამდე საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ან საგარეო პოლიტიკური ორიენტა-

ციის ამსახველი ოფიციალური დოკუმენტის გამოქვეყნებისაგან გარკვეულწილად თავს იკავებდნენ. არ არსებობდა ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრული იქნებოდა საქართველოს მომავალი განვითარებისა და სტრატეგიის ხედვა და პოლიტიკური ორიენტაცია. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე მუშაობა 1996 წელს დაიწყო, მაგრამ იგი 2002 წელსაც არ იყო მოწონებული. ამგვარი შეფერხების ერთ-ერთ მიზეზად საზოგადოებაშიც და მმართველ ელიტაშიც ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხზე კონსენსუსის არარსებობა შეიძლება დასახელდეს; მეორე ფაქტორი ქვეყნის ხელისუფლების სიფრთხილე იყო, რომელიც 90-იანი წლებში ცდილობდა ხმამაღალი პროდასავლური რიტორიკით არ გაეღიზიანებინა მეზობელი რუსეთი.

2000 წლის ოქტომბერში თბილისში გამართულ კონფერენციაზე „საქართველო და მისი პარტნიორები:მომავალი ათასწლეულის მიმართულებები" მთავრობის მიერ იქნა წარდგენილი ასეთი სახელწოდების დოკუმენტი – „საქართველო და გარესამყარო:მომავლის ხედვა და სტრატეგია".

საქართველოს უშიშროების საბჭოს მიერ მოწონებული ეს დოკუმენტი წარმოადგენს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მკაფიოდ განსაზღვრის ცდას.

დოკუმენტში გარკვევით არის დაფიქსირებული საქართველოს სურვილი სტაბილური და ჰარმონიული ურთიერთობები ჰქონდეს მეზობელ სახელმწიფოებთან და, განსაკუთრებით, რუსეთთან. მასში აგრეთვე გაცხადებულია, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი მიზანი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრულფასოვანი ინტეგრაციაა და მის მისაღწევად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აშშ-სა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობას. რასაკვირველია ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველო დასავლეთისკენ შებრუნდა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირება. მკვლევართა ერთი ნაწილი დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკას ორ ძირითად პერიოდად ყოფს. პირველი მოიცავს ზ. *გამსახურდიას* პრეზიდენტობას დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 1992 წლამდე,[374] ხოლო მეორე – *ე. შევარდნაძის* ხე-

374 იხ.:Shireen T. Hunter, "The Evolution of the Foreign Policy of the Transcaucasian States", in: Gary K. Bertsch, Cassady Craft, Scott A. Jones, and Michael Beck (Eds), *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Cau-*

ლისუფლებაში მოსვლიდან (1992 წ.) დღემდე. 1991 წლის დეკემბერში, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ არ იყო აღიარებული და, საერთაშორისო სამართლის თანახმად, კვლავ ერთ-ერთ საბჭოთა რესპუბლიკად განიხილებოდა. 1991 წლის აპრილში, დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღების შემდეგ, ქვეყნის ხელისუფლება საერთაშორისო აღიარების მოპოვებასა და გარე სამყაროსთან კავშირების დამყარებას შეეცადა. დამოუკიდებლობის იმ ადრეულ წლებში უამრავი არაოფიციალური ვიზიტი და კონსულტაცია შედგა. მეორე პერიოდი განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის, რადგან, ქართული სტრატეგიული აზროვნებისა და საგარეო პოლიტიკური ანალიზის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ერთგვარ ათვლის წერტილს წარმოადგენს. საქართველოს საგარეო პრიორიტეტების თეორიული გააზრების ცდა გამსახურდიას პერიოდშიც შეინიშნებოდა (განსაკუთრებით, მეზობელ ქვეყნებთან მიმართებაში). იმ დროისათვის საკმაოდ პოპულარული იყო საუბრები ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე და საქართველოს როლზე კავკასიის რეგიონში. საქართველო რუსეთთან გამიჯვნას და სხვა სახელმწიფოებთან კონტაქტების დამყარებას ცდილობდა. ამის მიუხედავად, იმ პერიოდის ყველა ძალისხმევა მხოლოდ საგარეო პოლიტიკის განვითარების მცდელობად შეიძლება შეფასდეს და არა – მის რეალიზაციად და სტრატეგიული განსჯის ნაყოფად.

საქართველოს მიერ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის დაწყება 1992 წელს ე. შევარდნაძის დაბრუნებას უკავშირდება. მას შემდეგ საქართველო საერთაშორისო საზოგადოებაში საკუ-

---

casus and Central Asia, Routledge. New York, 2000 pp.98-99; აგრეთვე David Darchiashvili "Georgia – the Search for State Security", in *Caucasus Working Papers*, CISAC, Stanford University, Stanford, 1997 pp.2-3; *ედმუნდ ჰერციგი* გამსახურდიასეულ პერიოდს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირების საწყის ეტაპად მოიხსენიებს. იხ. Herzig, Edmund, *The New Caucasus*, The Royal Institute of International Affairs, London, 1999, pp.98-99; *ჰელენა ფრეზერი* კი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ათვლის წერტილად 1992 წელს, ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლას მიიჩნევს. მისი აზრით, ამ დრომდე სუვერენულობას მოკლებულ საქართველოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმართვა არ შეეძლო. იხ. Helena Frazer. *Managing Independence: Georgian Foreign Policy 1992-1996*, manuscript. M.Phil in International Relations. University of Oxford, April 1997, p.2; Alexander Rondeli. The Choice of Independent Georgia. In The Security of the Caspian Sea Region. Edited by Gennady Chufrin. SIPRI. Oxford University Press. Oxford, 2001. pp. 195 – 211

თარი ადგილის დამკვიდრებას, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ამის შესაბამისი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას ცდილობს.[375] ამ პერიოდში საქართველოს პოლიტიკური ელიტა სტრატეგიული ორიენტაციის განსაზღვრასა და მისგან გამომდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკურ მიზნებზე თანხმობის მიღწევას ესწრაფოდა.

შესაძლოა, 18 წელიწადი საკმაოდ მცირე დრო იყოს თანამედროვე სახელმწიფოებრიობის გამოცდილების არმქონე პატარა ქვეყნისათვის, რათა მან სრულყოფილად განსაზღვროს საგარეო პოლიტიკური მიზნები და გრძელვადიანი პოლიტიკური პერსპექტივა.

დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველო „სტრატეგიული არჩევანის", „საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის", „გრძელვადიანი პერსპექტივის" და სხვა კონცეფციებზე მეტად თვითგადარჩენისა და მოკლევადიანი მიზნების მიღწევაზე იყო ორიენტირებული. ამის მიუხედავად, აფხაზეთის კონფლიქტით გამონვეული სტრატეგიული არასტაბილურობისა და არახელსაყრელი საერთაშორისო ვითარების შექმნის შემდეგ, 1995 წლიდან, საქართველომ შეძლო სასურველი საგარეო პოლიტიკის განხორციელება. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოუგვარებელი კონფლიქტებისა და რუსეთის ზეწოლის მიუხედავად, საქართველოს საგარეო პოლიტიკამ თანდათანობით დასავლური ორიენტაცია შეიძინა, რომლის საბოლოო მიზანიც ევროპულ თანამეგობრობაში ინტეგრირებაა. ეს ტენდენცია თანდათან უფრო ცხადად გამოიკვეთა და შეუქცევად ხასიათს იძენს.

სუვერენული საქართველოს საგარეო პოლიტიკაში პირობითად სამი საფეხური შეიძლება გამოიყოს:1992-94 წლები და 1995-2003 წლები და 2004 წლიდან დღემდე.[376] პირველ პერიოდ-

---

375 იხ.:Nina Dadalauri and Lars Johannsen. "Shevardnadze's political strategies: The rise and fall of the incumbent". In Pathways – a study of six post-communist countries. Edited by Lars Johanssen and Karin Hilmer Pedersen. Aarhus University Press, 2009. pp. 52 - 68

376 გამსახურდიას პრეზიდენტობას საქართველოს საგარეო პოლიტიკის ცალკე აღებულ პერიოდად არ განვიხილავთ, რადგან იმ დროისათვის საქართველო სუვერენულ სახელმწიფოს არ წარმოადგენდა. მაშინ საგარეო პოლიტიკის წარმართვის მცდელობა ძირითადად საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო გარემოს იდეალიზებული ხედვით ხასიათდებოდა. ის მეტწილად ლოზუნგურ ხასიათს ატარებდა, რასაც პირობითად *სასურველის რეალობად მიღების სტრატეგია* შეიძლება ეწოდოს.

ში, მძიმე შიდა პრობლემებისა და გარეშე ზეწოლის პირობებში, საქართველოს საგარეო პოლიტიკა კონკრეტულ გამოწვევებზე რეაგირებასა და მოკლევადიან გათვლებზე იყო ორიენტირებული; მეორე პერიოდში საქართველომ შეძლო პოლიტიკური სტაბილურობის მიღწევა და სათანადო პოლიტიკური გამოცდილების დაგროვება, რამაც მას საერთაშორისო ურთიერთობებში უფრო აქტიური მოქმედებისა და გაცილებით გამოკვეთილი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობა მისცა.

1992-94 წლებში საქართველოს საგარეო პოლიტიკას მძიმე დალი დაასვა ქვეყნის შიდაპოლიტიკურმა ვითარებამ. გასაკვირი არ არის, რომ ახალგაზრდა სუსტმა სახელმწიფომ ტოტალური ეკონომიკური კრიზისის, ეთნიკური კონფლიქტებისა და შიდასახელისუფლო დაპირისპირების პირობებში ვერ შეძლო ისეთი ეფექტიანი საგარეო პოლიტიკის წარმართვა, რომელსაც უმთავრესად გრძელვადიანი სტრატეგიული გათვლები დაედებოდა საფუძვლად. ამგვარი პოლიტიკის განხორციელება, ყოფილი „უფროსი ძმის" მუდმივი ზეწოლის პირობებში, თითქმის შეუძლებელი იყო. ზოგიერთი ექსპერტი შენიშნავს, რომ საქართველო „ახლო საზღვარგარეთის" საქმეებში რუსეთის უშუალო და, შესაძლოა, „ყველაზე სავალალო" ჩარევის თვალნათლივი მაგალითი იყო.[377] აგრეთვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს საქართველოში პოლიტიკური გამოცდილების არმქონე დესტრუქციული ოპოზიციის არსებობა, რომელიც ხშირად ხელს უშლიდა რაციონალური და რეალისტური საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას. *ჯ. ეივსის* მოსაზრებით, მოსკოვისაგან დამოუკიდებლობის მისაღწევად საქართველომ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის ყველაზე რადიკალური გზა აირჩია.[378] შევარდნაძის მცდელობას, საქართველოს საგარეო პოლიტიკა უფრო რეალისტური, დაბალანსებული და პრაგმატული გაეხადა, ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილი ხშირად არ იზიარებდა. საზოგადოებრივი აზრი კვლავაც დამოუკიდებლობის შემდგომი ეიფორიით იმართებოდა, რომელსაც

---

377 John W. R. Lepingwell, "The Russian Military and Security Policy in the Near Abroad", *Survival,* vol.36, No.3, Fall 1994. p.75; Dmitri Trenin. The End of Eurasia:Russia on the Border Between Geopolitics and Globalization. Carnegie Endowment for Internatinoal Peace, Washington, D.C. and Moscow, 2002, pp. 182-183

378 Jonathan Aves, "The Caucasus States: the Regional Security Complex", in Roy Allison and Christoph Bluth (Eds). *Security Dilemmas in Russia and Eurasia.* The Royal Institute of International Affairs, London. 1998, p.176

არარეალისტური მოლოდინები ახასიათებდა. მის დამკვიდრებას განსაკუთრებით შეუწყო ხელი უპასუხისმგებლო ნაციონალისტურმა და პოპულისტურმა იდეებმა.

ისტორიის ამ მცირე მონაკვეთში საქართველომ წააგო ომი აფხაზეთში, შეუერთდა დსთ-ს და რუსეთთან სამხედრო ბაზების სტატუსზე შეთანხმებას მოაწერა ხელი. ეს პერიოდი ქართულ საზოგადოებაში ანტირუსული განწყობის ზრდით ხასიათდება. 1993 წლის მარტში *პრეზიდენტმა შევარდნაძემ* აფხაზეთში მიმდინარე ომს ღიად უწოდა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი. დსთ-ში გაწევრიანება რუსეთის მხრიდან დიდი ზეწოლის პირდაპირი შედეგი იყო. *ფრეიზერი* საქართველოს საგარეო პოლიტიკისადმი მიძღვნილ ნაშრომში ამ გადაწყვეტილების შეფასებისას ტრადიციული ტერმინის *Bandwagoning*-ის (მიტმასნების) საპირისპიროდ *Omnibalancing*-ს (ყველაფრის დამაბალანსებელს) იყენებს. მისი აზრით, საქართველოს ხელისუფალნი შეეცადნენ, რუსეთის მოსალოდნელი მკვეთრი ქმედების შერბილებას, რათა თავიდან აეცილებინათ ქვეყნის შიდა დეზინტეგრაციის უშუალო საფრთხე და რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობა უზრუნველეყოთ.[379] თუმცა, ქართველ ანალიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილის მოსაზრებით, დსთ-ში გაწევრიანება სხვა არაფერი იყო, თუ არა *კაპიტულაცია*.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საშინაო და საგარეო პოლიტიკა მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფება. ამ ურთიერთკავშირის სახე და ხასიათი ხშირად ამა თუ იმ ქვეყნის სპეციფიკითა და მისი რეგიონული უსაფრთხოების გარემოთი განისაზღვრება. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შიდა ფაქტორები მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა არა მარტო საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და სტრატეგიულ აზროვნებაზე, არამედ აგრეთვე იმ პოზიციაზეც, რომელსაც ქვეყანა საერთაშორისო თუ რეგიონულ დონეზე იკავებდა. ამასთან დაკავშირებით *ფრეზერმა* მართებულად შენიშნა, რომ 1992 წლიდან შიდა ფაქტორები ისეთივე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე, როგორც საგარეო ფაქტორები.[380]

თუკი თავდაპირველად ხელისუფლების ძირითად პრობლემებს ეთნიკური და სამოქალაქო დაპირისპირება, ეთნონაციონალისტური განწყობების ზრდა და მძიმე ენერგეტიკული კრიზისი წარ-

379 Helena Frazer, op. cit. p.23

380 Helena Frazer, op. cit. p.14-24

მოადგენდა, 1998 წლიდან საქართველოს სახელმწიფოებრიობის უმთავრეს საფრთხედ უხეირო მართვა და კორუფცია ექცა.

ტრადიციულად, პატარა სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები და უსაფრთხოების საკითხები უფრო ლოკალური ხასიათისაა, რომელთაც იშვიათად რეგიონული განზომილება ეძლევა. პატარა ქვეყნის უმთავრესი და ხშირად ერთადერთი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი საკუთარი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფაა.

საგარეო ფაქტორთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ დიდ სახელმწიფოებთან მეზობლობას, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ საერთაშორისო სისტემაში. პატარა სახელმწიფოსათვის ასევე ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების როლის ზრდა. პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, როგორც წესი, ცვალებად გარემოსთან სწრაფ ადაპტირებას გულისხმობს, რადგან თავად ამ ქვეყანას საერთაშორისო სისტემაზე უშუალოდ ზემოქმედება არ ძალუძს.

დამოუკიდებლობის პირველივე დღიდან ქვეყანა უნდა შეეცადოს, უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება და ეკონომიკური განვითარება; ადგილი დაიმკვიდროს, როგორც კონკურენტუნარიანმა პარტნიორმა და საერთაშორისო თანამეგობრობის სრულფასოვანმა წევრმა. ის მეზობლების მხრიდან ნდობისა და აღიარების მოპოვებას და ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირებისათვის სათანადო საგარეო პირობების შექმნას უნდა ესწრაფოდეს.

1992 წლიდან საქართველო უმძიმეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. ხელისუფლებამ დაიწყო იმ გზის ძიება, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს აღიარებასა და მის მხარდაჭერას უზრუნველყოფდა. უამრავი პრობლემის წინაშე მდგარ ახალ რუსეთთან დაძაბული ურთიერთობები ძალზე მცირე იმედს იძლეოდა.

საქართველო, რუსეთი და დასავლეთი.[381] რუსეთთან საქართ-

---

381 საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობების შესახებ დაწვრილებით იხ.: არჩილ გეგეშიზე. „ევროკავშირის როლი საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ნორმალიზაციაში: პოტენციალი, შეზღუდვები". საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. ექსპერტის აზრი, მარტი 2007; Jaba Devdariani. Georgia and Russia: The Troubled Road to Accommodation. In Statehood and Security: Georgia after the Rose Revolution. Bruno Coppieters and Robert Legvold (Editors). The MIT Press. Cambridge, Mass., 2005, pp. 153 – 203; Alexander Rondeli: "Russia and

ველოს ურთიერთობა არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც მარტივი და სწორხაზოვანი პროცესი. ორ ერს ურთიერთობათა ხანგრძლივი ისტორია აკავშირებს, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცა ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კი სსრკ-ის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნამ. თითქმის ორსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველ და რუს ხალხებს კულტურული და ისტორიული თანაცხოვრების ხანგრძლივი გამოცდილება ჩამოუყალიბდათ. მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში და მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველო რუსეთს ევროპასთან დამაკავშირებელ ხიდად განიხილავდა, რომელიც დასავლურ კულტურასთან ზიარების შესაძლებლობას იძლეოდა. რუსეთი ის ერთმორწმუნე ძლიერი მეზობელი იყო, რომელიც საკუთარი ინტერესებისთვის ძნელბედობის ჟამს საქართველოს მფარველობდა. ამავე დროს, რუსეთი ქართველებისათვის ის იმპერიული ძალა იყო, რომელიც ურცხვად არღვევდა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ყველა შეთანხმებასა და პირობას.

იმის მტკიცება, რომ საქართველო რუსეთს „ბოროტებად", მტრად აღიქვამს, უმართებულო იქნებოდა. როგორც *სტივენ ჯონსი* აღნიშნავს, „1917 წლის ბოლშევიკურ რევოლუციამდე ლიბერალური რუსეთი, მისი ავტოკრატიული ტრადიციების მიუხედავად, ქართველთა მხარდამჭერად მოიაზრებოდა. რუსეთი საქართველოსათვის დასავლეთთან დამაკავშირებელ ხიდს წარმოადგენდა და მე-19 საუკუნის პირველ ათწლეულში რუსეთის იმპერიაში მისმა ინტეგრირებამ ქართველებში ევროპული იდენტურობის გრძნობის გაძლიერებას შეუწყო ხელი".[382] 1917 წლის შემდეგ ბოლშევიკური რუსეთი დასავლეთზე უკვე ნაკლებად იყო ორიენტირებული და დამოუკიდებელი საქართველო (1918-1921 წლებში) მას ევროპის შემადგენელ ნაწილად არ აღიარებდა. როგორც *ჯონსი* აღნიშნავს, საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან „საქართველოს ევროპისაგან იზოლირების მცდელობამ ეს უკანასკნელი [რუსეთი] კომუნიზმის აღმოსავლური ჩამორჩენილობის სიმბოლურ ანტითეზად და მოწინააღმდეგედ აქცია".[383]

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მოსახლეობა დიდ უკ-

Georgia: Relations are Still Tense". The Caucasus and Globalization, Vol. 1(1), 2006, pp. 67 - 74

382 Stephen Jones, "The Role of Cultural Paradigms in Georgian Foreign Policy". Manuscript, p. 6

383 Ibid.

მაყოფილებას გამოხატავდა კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გამო, 1996 წელს საქართველოში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად, საქართველოში გამოკითხულთა 24% რუსეთს მაინც სასურველ მოკავშირედ აღიქვამდა.[384] 1999 წელს ეს მაჩვენებელი 13%-მდე შემცირდა. ამავე დროს, რუსეთის მიმართ იმედგაცრუებისა და დსთ-ის არაეფექტურობის მიუხედავად, 1999 წელს გამოკითხულთა 24% დარწმუნებული იყო, რომ საქართველო რუსეთთან და დსთ-სთან უფრო მეტად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული (40%-მა აშშ და დასავლეთის სხვა სახელმწიფოები დაასახელა).[385] რუსეთის მტრულმა დამოკიდებულებამ საქართველოს მიმართ ვარდების რევოლუციის შემდეგ გამოიწვია უკურეაქცია საქართველოს მოსახლეობაში და რუსეთის იმიჯი, განსაკუთრებით ქართველ ახალგაზრდობაში, კიდევ უფრო შეილახა.

რუსეთთან საქართველოს დამოკიდებულება მარტივი არასდროს ყოფილა, თუნდაც იმ მიზეზის გამო, რომ მოსახლეობის თითქმის 30% არაქართველია. გარდა ამისა, არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისისა და დასავლეთის მიმართ გარკვეული იმედგაცრუების გამო საქართველოს მოსახლეობაში რუსეთთან დაკავშირებული წარსულის მიმართ ნოსტალგიური განწყობილება ჯერ კიდევ შეინიშნება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთისადმი დამოკიდებულება მხოლოდ შიშის გრძნობით არ ხასიათდება, მასზე გავლენას ახდენს ხანგრძლივი კულტურული კავშირები და რუსეთის ძლიერების წინაშე ერთგვარი მოკრძალებაც. ორი რუსეთის (დემოკრატიულისა და იმპერიულის) არსებობა ქართველ ხელისუფალთა შორის დღემდე საკმაოდ პოპულარული კონცეფცია, რაც კარგად ხსნის ქართულ-რუსული ურთიერთობების რთულ, ურთიერთსაპირისპირო და კომპლექსურ ხასიათს. ამის მიუხედავად, რუსეთის სამხედრო ინტერვენცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, საქართველოს ტერიტორიის არაერთგზის დაბომბვა, ისევე როგორც რუსული მედიის ანტიქართული კამპანია საქართველოში აშკარა მტრობის გამოხატულებად აღიქმება. 2000 წლის დეკემბერში საქართველო-

384 *Opinion Analysis: Georgians Increasingly View the US as their Country's Main Ally,* Office of Research, Department of State, Washington D.C. November 29, 1999. Table 1. p. 6.

385 *Opinion Analysis: Georgians Increasingly View the US as their Country's Main Ally,* Office of Research, Department of State, Washington D.C. November 29, 1999, Table 3, p. 7.

ში ჩატარებულმა გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ გამოკითხულთა 55% ქვეყნისთვის ყველაზე დიდ საფრთხედ რუსეთს მიიჩნდევდა.[386] 2008 წლის აგვისტოში რუსეთის აგრესიამ საქართველოში გვიჩვენა, რომ ხსენებული შიში უსაფუძვლო არ ყოფილა.

რუსეთთან გეოგრაფიულ მეზობლობას, მის რესურსებსა და ბაზრის მოცულობას, ისევე როგორც კულტურულ კავშირებს, სამხრეთ კავკასიისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. აქედან გამომდინარე, საქართველო რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში რუსეთის კონსტრუქციულ მონაწილეობას სასურველ მოვლენად მიიჩნევს. სამწუხაროდ, რუსეთის ქმედებები სამხრეთ კავკასიაში და 2008 წლის აგრესია საქართველოში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის სამხედრო ბაზების შექმნა გვიჩვენებს, რომ რუსეთის მხრიდან დადებითი დამოკიდებულება არ შეინიშნება, რაც გვიჩვენებს, რომ მოსკოვი სამხრეთ კავკასიას მხოლოდ ე.წ. „ნულოვანჯამიანი თამაშის" კონტექსტში განიხილავს.[387]

საქართველო რუსეთთან არათანასწორი დამოკიდებულების შესუსტებასა და მისი გავლენის სფეროდან თავის დაღწევას შეეცადა, რაც მრავალი რუსი მიმომხილველის მიერ საქართველოს მხრიდან რუსეთის მიმართ უმადურობისა და ღალატის გამოვლინებად იქნა მიჩნეული. ამგვარი ემოციური შეფასება იოლი გასაგებია; საქართველო ხომ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის განხორციე-

---

386 *Opinion Analysis. Under Russian Pressure, Georgians Ponder Their Country's Options*. Office of Research, Department of State, Washington D.C., February 15, 2001, Table 3, p. 9.

387 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ დაწვრილებით იხილეთ:C.W. Blandy. Provocation. Deception, Entrapment: The Russo-Georgian Five Day War. Defense Academy of the United Kingdom, Advanced Research and Assessment Group, Caucasus Series, March 2009; Jon E. Chicky. The Russian-Georgian War: Political and Military Implications for U.S. Policy. Policy Paper, CACI, February 2009; Svante E. Cornell. Pipeline Power: The War in Georgia and the Future of the Caucasian Georgia and the Future of the Caucasian Energy Corridor. "*Georgetown Journal of International Affairs*", Winter. Spring 2009; Svante E. Cornell. "War in Georgia, Jitters All Around". *Current History*, October 2008, pp. 307 – 314; Pavel Felgengauer. This was planned, not a spontaneous war. "*Novaya Gazeta*", August 14, 2008; David J. Smith. History and Geopolitics; 1920 – 1921 Help Explain Russia's 2008 War on Georgia. "*24 Saati*", February 2, 2009; Iulian Chifu, Oazu Mantoi, Oleksandr Sushko. The Russian Georgian War. Editura Curtea Veche, Bucureşti, 2009; The Guns of August: Russia's War in Georgia. Edited by Svante E. Cornell & S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute & Sild Road Studies Program Joint Center, Washington, DC/Stockholm. M.E. Sharpe, 2009

ლებასა და საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების განსაზღვრას ცდილობს. საქართველოს რუსეთზე დაქვემდებარების შემცირებისა და სხვა მეზობლებსა და დასავლეთის სახელმწიფოებთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარების მცდელობას რუსი ხელისუფალნი არა მარტო ანტირუსულ, არამედ საქართველოსათვის მცდარ სტრატეგიულ ნაბიჯად მიიჩნევენ იმის გათვალისწინებით, რომ ძლიერ რუსეთს ემეზობლება. ქვეყნის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირების მცდელობა რუსი პოლიტიკოსების მიერ ხშირად ყოველგვარ გეოპოლიტიკურ ლოგიკასა და ეკონომიკურ რაციონალიზმს მოკლებულ იდეალიზმად აღიქმება.

საქართველოში არსებული გარკვეული პოლიტიკური ძალები ე.წ. „პროდასავლურ პოლიტიკას" ფატალურ შეცდომად მიიჩნევენ. ამ აზრს საქართველოს მოსახლეობის გარკვეული (განსაკუთრებით რუსულენოვანი) ნაწილიც იზიარებს, რომელსაც საქართველოს მომავალი რუსეთის გარეშე ვერ წარმოუდგენია. თუმცა ისიც ცხადია, რომ საქართველოს მიმართ აშკარად მტრული გატარებული პოლიტიკით, რუსეთი, ფაქტობრივად, მისგან პოლიტიკურ დისტანცირებას უწყობს ხელს.

საქართველოს პოლიტიკური ელიტა ქვეყნის მომავალი განვითარებისათვის, ტრადიციულად, რამდენიმე ალტერნატივას განიხილავს. პირველ მათგანს პირობითად *პრორუსული* შეიძლება ეწოდოს. იგი რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობასა და მასზე დამოკიდებულებას, ანუ ე.წ. რუსეთის სატელიტად ქცევას ითვალისწინებს. რუსეთის ამჟამინდელი პრობლემებისა და იმპერიული აზროვნების ფონზე რუსეთისადმი ამგვარი დაქვემდებარება საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა და მსოფლიო ეკონომიკაში სრულმასშტაბიანი ინტეგრირების საშუალებას არ მისცემს.

მეორე არჩევანი დასავლეთზე ორიენტაციაა. რისი ინტერპრეტირებაც სხვადასხვაგვარად შეიძლება, მაგრამ ძირითადად ის მაინც ევროპულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და უსაფრთხოების სტრუქტურებში სრულმასშტაბიან ინტეგრირებას გულისხმობს. ამ მიზნის მიღწევის უმთავრესი გზა ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავებაა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე აშშ-სთან მჭიდრო ურთიერთობას. ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ საქართველოს პოლიტიკური ელიტა ევროპულ ანუ დასავლურ ორიენტაციას ქვეყნის უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების საუკეთესო გზად მიიჩნევენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას დღეს უკვე აღარ

გააჩნია იმის ილუზია, რომ ამ მიზნის მიღწევა იოლი საქმეა.

ხშირად აღნიშნავენ, რომ ევროპელობის სურვილი და მასთან იდენტიფიცირება ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში „მითოლოგიზებულ" ხასიათს ატარებს. ქართულ მენტალიტეტში ქრისტიანობა ევროპასთან ასოცირდება, რაც ეთნიკურ ცნობიერებაში მიამიტურ ევროპულ იდენტურობას განაპირობებს. *სტივენ ჯონსის* თანახმად, „ქართველთა ევროპელობა საეკლესიო ტრადიციიდან მომდინარეობს, ვინაიდან მე-4 საუკუნიდან მოყოლებული, ისინი მუსლიმურ რეგიონში დასავლური ქრისტიანობის ფორპოსტს წარმოადგენდნენ".[388] მოგვიანებით ქართველთა დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიასთან ინტეგრირებას ქვეყანაში ვესტერნიზაციის პროცესის ზრდას უკავშირებდა. *ჯონსი* ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს:

„მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის იმპერიაში ჩართვამ ქართულ მოსახლეობაში ევროპელობის გრძნობის ზრდას შეუწყო ხელი. ქართველმა ინტელიგენციამ, რუსეთის უნივერსიტეტებში მიღებული განათლების შედეგად, სწრაფად აითვისა პროგრესის, ინდივიდუალიზმისა და თავისუფლების იდეები. იტალიისა და საბერძნეთის განმათავისუფლებელი მოძრაობები ქართველი პროგრესისტებისათვის მისაბაძ მაგალითად იქცა. საუკუნის ბოლოს განათლებულ წრეებში ლიბერალიზმი კიდევ ერთმა დასავლურმა იდეოლოგიამ – სოციალიზმმა ჩაანაცვლა".

რუსეთში 1917 წლის ბოლშევიკური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საქართველო, რომელიც ბოლშევიკურ რუსეთს არაევროპულ სახელმწიფოდ მიიჩნევდა, ახლა უკვე დამოუკიდებლად შეეცადა ევროპასთან ურთიერთობების დამყარებას, მაგრამ ამაოდ – 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა და მომავალი საბჭოთა კავშირის (შეიქმნა 1922 წელს) ნაწილად აქცია.

1990-იანი წლების დასაწყისში რუსეთი იყო ფენომენი, რომელიც ნაწილობრივ დასავლეთთან ასოცირდებოდა, ნაწილობრივ კი მის ანტიპოდად აღიქმებოდა, მაგრამ ამ ასოციაციებს პოლიტიკურზე მეტად კულტურული შინაარსი ექნებოდა. შესაბამისად, კავკასიისა და ცენტრალური აზიის რესპუბლიკებს დასავლეთსა და დასავლურ ტრადიციებზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა

388 Stephen Jones. op. cit., p. 9

ჰქონდათ.[389]

1980-იანი წლების მიწურულს, როდესაც საბჭოთა კავშირი თავისი არსებობის ბოლო ფაზაში შევიდა და ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობებმა ძალა მოიკრიბა, გაჩნდა მოსაზრება, რომ საქართველო, მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთთან ერთად რეგიონული ზესახელმწიფოების – რუსეთის, ირანისა და თურქეთის – ინტერესების გამაწონასწორებელ *ბუფერულ სახელმწიფოდ* გადაიქცეოდა.

რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე და მსოფლიოში მიმდინარე მზარდი ურთიერთდამოკიდებულებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესების ფონზე ბუფერული ზონის ალტერნატივა საქართველოსათვის ხელსაყრელი სტრატეგიული არჩევანი შეიძლება ყოფილიყო. ამავე დროს ბუფერის კონცეფცია ძლიერი და არცთუ იშვიათად მტრულად განწყობილი მეზობლების არსებობას გულისხმობს. სწრაფად ცვალებად თანამედროვე მსოფლიოში ბუფერის გეოპოლიტიკური ფუნქცია მაინტეგრირებელი (შემაკავშირებელი), შეიძლება ერთგვარი „ბუფერული ხიდი" გახდეს, ვიდრე — გამთიშავი.

1991-1992 წლებში ქართული პოლიტიკური ელიტის ნაწილი საქართველოს „ბუფერიზაციას" იდეალურ სტრატეგიულ არჩევანად განიხილავდა, რომელსაც ქვეყნისთვის დასავლური მხარდაჭერა შეეძლო მოეპოვებინა. მაგრამ მოგვიანებით სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოვლენებში რუსეთის ჩარევამ, ეკონომიკურმა სანქციებმა და დსთ-ში იძულებითმა გაწევრიანებამ გამოუცდელი ქართული პოლიტიკური ელიტის იმედები თანდათანობით გაფანტა. ცხადი გახდა, რომ რუსეთისათვის საქართველოზე გავლენის შენარჩუნება სასიცოცხლო ეროვნულ ინტერესს წარმოადგენდა და კავკასიას ის მხოლოდ გავლენის სფეროდ, დაქვემდებარებულ ზონად განიხილავდა. რუსეთი შიშობდა, კავკასიაში წარმოქმნილი ძალის ვაკუუმი სხვა მოქიშპე სახელმწიფოებს არ შეევსოთ.[390] იმავდროულად, მზარდმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სისუსტემ რუსეთს რეგიონში გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნების შესაძლებლობა არ მისცა.

---

389 იხ.:S. Neil MacFarlane, *Western Engagement in the Caucasus and Central Asia*, The Royal Institute of International Affairs, London, 1999, pp. 2-5

390 იხ.: Игорь Ротарь. Стать нашими сателлитами или умереть. «Независимая газета». 5 Мая 1994; აგრეთვე: В. Никитин. Внешняя политика Грузии. «Независимая газета». 4. 01. 96

საქართველოს არჩევანი. საქართველოს საგარეო პოლიტიკის კონცეფციის ჩამოყალიბება ძალიან გაძნელდა.[391] 1996 წლიდან დაიწყო მუშაობა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე, რომელიც მხოლოდ 2005 წელს, „ვარდების" რევოლუციის შემდეგ იქნა დასრულებული.

დამოუკიდებლობის საწყის ეტაპზე საქართველოს პოლიტიკური ელიტა საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების განსაზღვრისას ინტუიციასა და *ედუარდ შევარდნაძის* პირად გადაწყვეტილებებს ეყრდნობოდა. 1990-იანი წლების სხვადასხვა საექსპერტო ჯგუფისა და არასამთავრობო სექტორის ანალიტიკურმა საქმიანობამ უკვე გარკვეული პრაქტიკული გამოცდილების მქონე სახელმწიფო ელიტისათვის მეტი მნიშვნელობა და ღირებულება შეიძინა. თუმცა, როგორც *დ. დარჩიაშვილი* შენიშნავს, „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა გაცილებით პრაქტიკული იყო, ვიდრე კონცეპტუალური და ის მნიშვნელოვანი თეორიული ბაზის დეფიციტს განიცადა.[392]

პრეზიდენტმა შევარდნაძემ 1997 წელს პარლამენტისადმი მიმართვაში აღნიშნა, რომ ევროპასთან ინტეგრირება საუკუნეების მანძილზე ქართველთა ოცნება იყო.[393] 1999 წლის ერთ-ერთ გამოსვლაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა *ირაკლი მენაღარიშვილმა* დააფიქსირა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი ევროპული ინტეგრაციაა. ამ მიმართულებით გადადგმულ პირველ ნაბიჯად საქართველოსა და ევროპული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია იყო მიჩნეული.[394] 1999 წელს საქართველოს პრეზიდენტმა თავის ერთ-ერთ სიტყვაში აღნიშნა, რომ თანამედრო-

---

391 იხ.:Darchiashvili, David. "Trends in Strategic Thinking in Georgia", in Gary K. Bertsch, Cassady Craft, Scott A. Jones, and Michael Beck (Eds), *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia*, Routledge, New York, London, 2000, pp. 66-74

392 Darchiashvili, David. "The Search for State Security", in *Caucasus Working Paper*, CISAC, Institute for International Studies, Stanford University, Stanford, December 1997, p. 14

393 ე.შევარდნაძის მიერ 1997 წლის 27 მაისს, პარლამენტის სესიაზე წარმოთქმული სიტყვა, პარლამენტის უწყებანი, 31 მაისი,, 1997, გვ.30

394 "Recent Political Developments in Georgia", No.1, January 31, 1999. See the PAO web page of the US Embassy in Georgia

ვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ამჟამინდელი ტემპით გაგრძელების შემთხვევაში საქართველოსა და სხვა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წევრობა ყველა ძირითად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურაში გარდაუვალი გახდებოდა.[395] საქართველოს პარლამენტის იმჟამინდელმა თავმჯდომარემ, ზურაბ ჟვანიამ, 1999 წლის თებერვალში ევროპის საბჭოს სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა:„მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი".[396] ყოველივე ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ საქართველომ დასავლეთისკენ აიღო გეზი. იმავდროულად ქართველი ხელისუფალნი ფრთხილობდნენ და ამგვარი პოზიციის გამოხატვისას ერთგვარ თავშეკავებას ავლენდნენ, რათა მეზობელი რუსეთი არ გაეღიზიანებინათ. 2000-იანი წლების დასაწყისისთვის საზოგადოებაში ვესტერნიზაციის მიმართ უკმაყოფილების ზრდის გამო, ე.წ. პროდასავლურმა რიტორიკამ იკლო, რადგან მან რიგითი მოქალაქის კეთილდღეობაზე გავლენა ვერ მოახდინა. არაეფექტიან სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას, კორუფციის, სიღატაკისა და სოციალური პოლარიზაციის ზრდას საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი იმდროინდელი ხელისუფლების დასავლეთთან დაახლოების პოლიტიკასთან აკავშირებდა.

2002 წლის ნოემბერში ნატო-ს პრაღის სამიტზე საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოს სურს ნატოში გაწევრიანება. ეს ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებზე ორიენტირების კიდევ ერთი გამოვლენა გახდა.

2003 წლის „ვარდების" რევოლუციამდე დასავლური ორიენტაცია მხოლოდ დასავლეთისკენ მიპყრობილ დახმარების მომლოდინე მზერას და გაწვდილ ხელს როდი ნიშნავს; ის ევროპასთან ინტეგრირების კონკრეტულ ნაბიჯებსაც გულისხმობს. რამდენად პარადოქსულიც არ უნდა მოგვეჩვენოს, აფხაზ და ოს სეპარატისტთათვის აღმოჩენილი დახმარების შედეგად რუსეთმა დიდად შეუწყო ხელი საქართველოში პროდასავლური ორიენტაციის პოპულარობას.[397] მოსახლეობა იმედოვნებდა, რომ დასავლური დახმარება მას

---

395 Address of His Excellency Eduard Shevardnadze at the Inauguration of the Partnership and Co-operation Agreement in Luxembourg, June 1999, Georgia's State Chancellery Archive

396 *The Parliament of Georgia Newsletter*, Research Department, Parliament of Georgia, No. 2, February 1999, p.1

397 საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის თაობაზე უფრო დაწვრილებით იხ.:А. Арбатов, Безопасность: Российский выбор. Москва, 1999,

უმძიმეს საყოფაცხოვრებო პირობებს გაუუმჯობესებდა, ყოფილი საბჭოთა ნომენკლატურიდან მოსული ე.წ. ელიტის ძირითადი ნაწილი კი უცხოური სესხებითა და დახმარებებით ხელის მოთბობას იმედოვნებდა. ეს იმედები ბევრმა მართლაც რეალობად აქცია.

საქართველოს სტრატეგიული არჩევანის სირთულეს ორი უმთავრესი ფაქტორი განაპირობებს:პირველი – რეგიონული უსაფრთხოებაა, განსაკუთრებით კი მეზობელ რუსეთზე დამოკიდებულება, მეორე კი ქვეყნის საშინაო პრობლემებია, რომლებიც მის თავისუფალ მოქმედებას ზღუდავს. 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული რეგიონული თანამშრომლობის ზრდა და კასპიის ზღვისა და „აბრეშუმის გზის" ფართომასშტაბიან საერთაშორისო ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობა საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიღწევის უმთავრეს საშუალებად განიხილებოდა.[398]

პატარა და სუსტი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, გადარჩენის იმპერატივიდან გამომდინარე, მაქსიმალურ პრაგმატულობასა და მოქნილობას გულისხმობს. გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვა ხშირად ზედმეტ ფუფუნებად არის მიჩნეული. ამის მიუხედავად, საქართველოს მაგალითზე ნათლად ჩანს, რომ უმთავრესად თავის გადარჩენაზე მზრუნველი და სტრატეგიული აზროვნების მინიმალური გამოცდილების მქონე პატარა ქვეყნისათვის საკუთარი პრიორიტეტების განსაზღვრასა და სამომავლოდ არჩეული კურსის დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოს მაგალითი იმასაც ადასტურებს, რომ არასრულფასოვანი ინსტიტუტებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მქონე ქვეყანაში საგარეო პოლიტიკის წარმართვასა და მის განსაზღვრაში გადამწყვეტ როლს პოლიტიკური ელიტა და, განსაკუთრებით, ცალკეული პიროვნებები ასრულებენ. თუ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 2003 წლის ნოემბრამდე საქართველოს საგარეო პოლიტიკის ფორმირებაზე განმსაზღვრელ როლს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ასრულებდა, 2003 წლის „ვარდების რევოლუციის" შემდეგ საგარეო პოლიტიკაზე, მის ფორმირებასა და წარმართვაზე უდიდეს გავლენას

стр. 163-170; Trenin. Dmitri. "Russia's Security Interests and Policies in the Caucasus Region", in Bruno Coppieters (Ed.), *Contested Borders in the Caucasus*, VUB University Press. Brussels. 1995. pp. 115-130

398 იხ.: Archil Gegeshidze, "The New Silk Route: Issues and Perspectives", *Marco Polo Magazine*, No.4-5, 1999; Alexander Rondeli, "TRACECA: a Tool for Regional Cooperation in the Caucasus", *Marco Polo Magazine*, No.1, 1999. pp. 28-32

ახდენდა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი.

ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში განსაკუთრებული როლი შეასრულა პრეზიდენტმა *ედუარდ შევარდნაძემ*. დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე ყოვლისმომცველ ქაოსსა და იზოლაციაში მყოფი საქართველოსათვის საერთაშორისო გავლენისა, პოლიტიკური კავშირებისა და საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე *შევარდნაძის* დაბრუნებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. „შევარდნაძის ფაქტორმა" საქართველოს საგარეო პოლიტიკაში განსაკუთრებული როლი შეასრულა.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა მალე გააცნობიერეს, რომ დასავლეთის ინტერესი კავკასიის მიმართ ყველაზე მეტად ბუნებრივ რესურსებზე იყო დამყარებული. საბედნიეროდ, სამხრეთი კავკასია გაზისა და ნავთობის რესურსებით მდიდარი რეგიონია, რაც მის მიმართ დასავლეთის სერიოზულ ეკონომიკურ დაინტერესებას განაპირობებს. ამან კი დიდი წვლილი უნდა შეიტანოს რეგიონისა და კერძოდ საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაში. რეგიონის მთლიანი განვითარების გარეშე, საქართველოს ეკონომიკური წინსვლის შანსები ნაკლებ დამაჯერებლად გამოიყურება, კავკასიასა და ცენტრალურ აზიასთან ერთად კი, საქართველოს საკმაოდ კარგი სამომავლო პერსპექტივა ექნება. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ რეგიონული ეკონომიკური განვითარება დიდად იქნება დამოკიდებული სტაბილურობასა და უსაფრთხოებაზე. სწორედ ამიტომ იყენებს საქართველო სატრანსპორტო დერეფნისა და მილსადენების პროექტებს რეგიონული თანამშრომლობის მხარდასაჭერად. საქართველოს გათვლა მარტივი და ცხადია:ფართომასშტაბიანი საერთაშორისო პროექტები მნიშვნელოვან დასავლურ ინვესტიციებს მოიზიდავს, სტიმულს მისცემს ეკონომიკის განვითარებას და გაზრდის რეგიონში პოლიტიკური სტაბილურობისა და უსაფრთხოების მიმართ დასავლეთის დაინტერესებას.

საქართველოს ხელისუფალნი ქვეყნის ეროვნულ პერსპექტივას რეგიონული თანამშრომლობის ზრდას უკავშირებენ და ყოველგვარი შესაძლებლობის გამოყენებას ცდილობენ; რათა უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ სფეროში რეგიონული თანამშრომლობის აუცილებლობა განსაკუთრებით გამოკვეთონ. კავკასიაში ხელსაყრელი თანამშრომლობის მხარდაჭერის მიზნით, 1996 წლის თებერვალში პრეზიდენტმა *შევარდნაძემ* საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანსა და რუსეთს შორის ურთიერთობის სახელმძღვანელო ექვსი

პრინციპი წამოაყენა. მოგვიანებით ეს დოკუმენტი „მშვიდობიანი კავკასიის“ ინიციატივის სახელით გახდა ცნობილი.[399]

სამწუხაროდ, პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება კავკასიის რეგიონის სახელმწიფოების ინტენსიურ და ეფექტიან თანამშრომლობას აფერხებდა და ჯერაც აფერხებს. ეს თანამშრომლობა კი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.[400]

გარკვეულწილად, საქართველოს სამომავლო გეგმები და იმედები 1992 წელს შექმნილ შავი ზღვის ეკონომიკურ თანამშრომლობასთან (BSEC-თან) არის დაკავშირებული. 1999 წელს, საქართველოს თავმჯდომარეობის დროს, BSEC-მა საერთაშორისო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი მიიღო და წევრ სახელმწიფოებს ევროკავშირთან თანამშრომლობისა და დაახლოების ახალი პერსპექტივა შეუქმნა. BSEC-ის წევრობა არა მარტო რეგიონული თანამშრომლობის ზრდას უწყობს ხელს, არამედ საქართველოს გლობალიზაციის უარყოფითი ეფექტებისაგანაც იცავს. სამწუხაროდ ეს ორგანიზაცია სათანადოდ ვერ განვითარდა და ეფექტურობას მოკლებულია.

საქართველო გარკვეულ იმედებს სუუამზეც (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა) ამყარებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს წარმონაქმნი საკმაოდ ახალგაზრდაა და არასაკმარისად განვითარებულიც, რაც მის მიმართ მრავალი მიმომხილველის სკეპტიციზმს განაპირობებს.[401] ამჟამად სუუამ-ის ძირითადი შემაკავშირებელი ეკონომიკური ინტერესია. მომავალში იგი თავისუფალ სავაჭრო ზონად შეიძლება ჩამოყალიბდეს.[402]

ერთდროულად საქართველო დსთ-ის წევრის სტატუსსაც ინარჩუნებდა, იმის მიუხედავად, რომ ეს ორგანიზაცია საკმაოდ უღიმღამო აღმოჩნდა და როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისითაც უდღეური ბავშვის ასოციაციას იწვევს. 2008 წელს საქართველომ დსთ-დან გამოსვლის შესახებ გამოაცხადა.

---

399 *საქართველოს რესპუბლიკა*, 01.03. 1996

400 Alexander Rondeli. *Georgia: Foreign Policy and National Security Priorities*. Discussion Paper Series. 3. UNDP Country Office, Tbilisi. Georgia. 1999. pp. 19-29

401 სუუამის შესახებ იხ.:Кутелия. Бату. Стратегия национальной безопасности Грузии и её региональные аспекты. В сборнике «ГУУАМ: Проблемы и перспективы развития транспортно-коммуникационных коридоров». Киев. 2000, стр. 119-123.

402 На основе общих целей и подходов. Свободная Грузия, 28 Сентября, 2000 г.

ევროპასთან ინტეგრაცია საქართველოს მთავრობის უმთავრესი მიზანი გახდა. ამავე დროს, არც საქართველოს მოსახლეობას და არც მის ხელისუფლებას უახლოეს მომავალში ამ მიზნის მიღწევის თაობაზე ილუზია არ ამოძრავებს. პირიქით, ევროპულ სტრუქტურებთან და სახელმწიფოებთან თანამშრომლობის ზრდის მიუხედავად, „ევროპაში დაბრუნების" შანსებსა და შესაძლებლობებს ქართული პოლიტიკური ელიტა ამჟამად გაცილებით რეალისტურად აფასებს. იმის მიუხედავად, რომ ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირებისა და ქართული კანონმდებლობის ევროპულთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით კონკრეტული ნაბიჯები იქნა გადადგმული, ქვეყნის მოსახლეობის ძირითად ნაწილს მათ შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. მოსახლეობის სკეპტიციზმი ადვილად გასაგებია, რადგან შეუსრულებელი დაპირებები და მძიმე საყოფაცხოვრებო პირობები მის განწყობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წლის იანვარში ჩატარებულ პლებისციტში საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების თაობაზე ქვეყნის მოსახლეობის 77%-მა ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას მხარი დაუჭირა.

მიმდინარე ეტაპზე საქართველოს პოლიტიკურმა ელიტამ – ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, აშკარად დასავლური არჩევანი გააკეთა, მაგრამ ისმის კითხვა:ეს არჩევანი საბოლოო და შეუქცევადია, თუ —მას შეიძლება რაიმე დაემუქროს? საქართველოს არჩევანის შეუქცევადობა დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გაართმევს თავს ადგილობრივი ელიტა სახელმწიფოს მშენებლობისა და ეკონომიკური განვითარების კომპლექსურ პრობლემებს. ასევე მნიშვნელოვანი იქნება რამდენად შეძლებს იგი რუსეთთან 2008 წლის აგვისტოს ომით ქვეყნისთვის მიყენებული მძიმე ჭრილობების მოშუშებას და რუსეთის მიერ ფაქტობრივად ანექსირებული ტერიტორიების პრობლემის წარმატებით მოგვარებას. ამ მიმართულებით წარმატებებს შეუძლია არა მარტო გააუმჯობესოს საქართველოს საერთაშორისო იმიჯი და ეკონომიკური მიმზიდველობა, არამედ ქართულ საზოგადოებაში სოციალური და პოლიტიკური შეკავშირების გაძლიერებასაც შეუწყოს ხელი. საქართველოს კურსი ნატოსა და ევროპის კავშირში ინტეგრირებაზე საფრთხესაც შეიცავს, რაც 2008 წლის აგვისტოს რუსეთის საქართველოში აგრესიამ დაგვანახა. საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის კურსი ევროპისკენ ნეოიმპერიული რუსეთის დიდ გაღიზიანებასა და შიშს იწვევს და სამხრეთ კავკა-

სიის საქმეებში კიდევ უფრო მეტი ჩარევისაკენ უბიძგებს.

საქართველოს მიერ არჩეული პოლიტიკის თანმიმდევრულობის თვალსაზრისით, მეორე უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი საკითხი ხელისუფლების კონსტიტუციური, მშვიდობიანი გზით შეცვლაა. ის ფაქტი, რომ პიროვნებები ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებენ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში, სახელმწიფო ინსტიტუტების არასრულყოფილების და პოლიტიკური პარტიების ჯერაც დიდი სისუსტის შედეგია. ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს პოლიტიკური ელიტის უნარს ხელისუფლების ავტომატური და უწყვეტი გადაცემა დემოკრატიული მექანიზმებით უზრუნველყოს. ამ გარემოებას შეიძლება ითქვას განმსაზღვრელი როლი აქვს დემოკრატიული ქვეყნების მხრიდან საქართველოს მხარდაჭერისათვის. გარდა ამისა, საქართველოს პოლიტიკური ვითარების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ის, თუ ვინ იქნება ქვეყნის სათავეში, დიდწილად განსაზღვრავს საქართველოს სამომავლო სტრატეგიულ არჩევანს.

საქართველოს საგარეო პოლიტიკასა და სტრატეგიულ ორიენტაციაზე ზეგავლენის მომხდენ გარეშე ფაქტორებსა და პიროებებს (კასპიის ენერგეტიკული პოლიტიკა. რუსეთში არსებული ვითარება და დასავლეთთან მისი ურთიერთობა, აშშ-ის როლი რეგიონში, სხვადასხვა რეგიონული პრობლემები და სხვ.) რაც შეეხება, მათი პროგნოზირება მეტად რთული საქმეა.

ბოლოთქმა

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე პატარა ქვეყნების რიცხვის განუხრელი ზრდის მიუხედავად, ისინი მაინც ნაკლებად არიან შესწავლილნი. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიაში პატარა ქვეყნების პრობლემატიკის მიმართ ინტერესი ძალიან ნელა, მაგრამ მაინც მატულობს, რასაც პუბლიკაციების გაზრდილი რიცხვი მოწმობს.

ტრადიციულად პატარა ქვეყნები განიხილებოდა როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა უმნიშვნელო ფაქტორი და ბევრს მიაჩნდა, რომ მათ მომავალიც არა აქვთ. ისტორიულმა სინამდვილემ სხვაგვარად ინება. საგრძნობლად იმატა არა მარტო პატარა ქვეყნების რიცხვმა, არამედ საერთაშორისო ურთიერთობებში მათი როლიც განუხრელად გაიზარდა.

რას ნიშნავს პატარა ქვეყანა? რომელი კრიტერიუმების გამოყენებით არის შესაძლებელი პატარა ქვეყნის კატეგორიისა თუ ტიპის გამოყოფა? ამ კითხვებზე საბოლოო და ყველასათვის მისაღები პასუხი არ არსებობს. პატარა ქვეყნის ტიპის მხოლოდ რაოდენობრივი კრიტერიუმებით განსაზღვრის მცდელობები უნაყოფო აღმოჩნდა. საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკიდან გამომდინარე, პატარა ქვეყანა, პირველ ყოვლისა, სამხედრო-პოლიტიკურად სუსტი ქვეყანაა. სწორედ ეს თვისება განაპირობებს მის ადგილს, როლსა და შესაძლებლობებს საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, იგი განსაზღვრავს მისი საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების თავისებურებებსა და პრიორიტეტებს.

ჰედლი ბულის მიერ „ანარქიულ საზოგადოებად" მონათლულ საერთაშორისო სისტემაში პატარა ქვეყნებმა, მათი სიდიდისა და მოკრძალებული სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, პირველ ყოვლისა, საკუთარ უსაფრთხოებაზე უნდა იზრუნონ. მართალია, თანამედროვე საერთაშორისო სისტემა პატარა ქვეყნებს ბევრ შეღავათს უქმნის, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები მათთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას ცდილობენ, ბევრი მათგანი არა მარტო სუსტი ქვეყანაა, არამედ სუსტ, არასასიცოცხლისუნარიან სახელმწიფოდაც გვევლინება. ადრე ამგვარი პატარა სახელმწიფოები ხშირად იშლებოდა და ძლიერი მეზობლების საკბილო ხდებოდა. ამჟამად საერთაშორისო თანამეგობრობა ამ კატეგორიის

ქვეყნებზე ზრუნავს და მათ ფეხზე დადგომაში ეხმარება.

პატარა ქვეყნები, სხვა კატეგორიის ქვეყნების მსგავსად, გაჩენისთანავე უთანასწორობის, ძალადობის სამყაროში აღმოჩნდებიან ხოლმე. შედარებით უფრო „მძიმე წონითი კატეგორიის“ ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომელთაც საკუთარი ინტერესებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სათანადო შეიარაღებული ძალები შეიძლება ჰყავდეთ, პატარა ქვეყნებს იარაღად დიპლომატია რჩებათ. სწორედ ეს არის პატარა ქვეყნების ყველაზე მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკური ინსტრუმენტი. პატარა ქვეყანას მოქნილი, ეფექტური დიპლომატიის საშუალებით ძალუძს წონასწორობის მექანიზმის ეფექტური გამოყენება, თავისთვის მომგებიანი კავშირების შეკვრა; ამით მას შეუძლია ძალა „ისესხოს“, საერთაშორისო თანამეგობრობას ხმა მიანვდინოს და მისგან თანაგრძნობა და მხარდაჭერა ჰპოვოს.

გადარჩენისა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში პატარა ქვეყნისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი მოსახლეობის შეკავშირებულობას, ერთიანობას. მრავალეროვანი თუ მრავალკონფესიური პატარა ქვეყნისათვის ამ ფაქტორს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება, რაც ნათლად გამოჩნდა დამოუკიდებელი საქართველოს სინამდვილეში. უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პატარა ქვეყნის მმართველი ელიტის უნარს სწორად შეაფასოს ვითარება და არ დაუშვას სტრატეგიული შეცდომა, რაც სწორედ პატარა ქვეყნის კონტექსტში შეიძლება აღმოჩნდეს მისთვის ფატალური.

ეროვნული უსაფრთხოების ცნება, მისი შინაარსი იცვლება იმის გამო, რომ იცვლება საერთაშორისო გარემო, ღრმავდება ეკონომიკური ურთიერდამოკიდებულება და გლობალიზაციის პროცესი, ძლიერდება ტრანსნაციონალური ძალები, სტრუქტურები და პროცესები, ინფორმაციული რევოლუცია მომხდარი ფაქტია და იცვლება ომების ხასიათიც. ტრადიციული ომის ნაცვლად თავს იჩენს შიდასახელმწიფოებრივი ეთნიკური, რელიგიური და სამოქალაქო კონფლიქტები, პარტიზანული ომები, საერთაშორისო ტერორიზმი.

გლობალიზაციის ზეგავლენით მცირდება სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობა, იკვეცება სახელმწიფოთა სუვერენიტეტი. ახალი, ზეეროვნული ეფექტური სისტემის არარსებობის პირობებში უსაფრთხოების მთავარი გარანტი სუვერენული სახელმწიფოა.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პროცესებმა საბოლოოდ პატარა ქვეყნების უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ განვითარებაზე კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინეს, ეროვნული უსაფრთხოების პრობლემები პატარა ქვეყნებისათვის კვლავაც სასიცოცხლო მნიშვნელობისა დარჩა.

პატარა ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებში განსაკუთრებული მნიშვნელობა შიდა უსაფრთხოების პრობლემებს ენიჭება. ყველაზე მეტად ეს ახალწარმოქმნილ სუვერენულ სახელმწიფოებს ეხება. მართალია, მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონში (ჩრდილოეთ ამერიკა, დასავლეთ ევროპა) ეროვნული უსაფრთხოების სამხედრო ფაქტორი თანდათანობით ეკონომიკური, პოლიტიკური და ეკოლოგიური ფაქტორებით „იჩრდილება", მაგრამ დანარჩენ რეგიონებში (მათ შორის – პოსტსაბჭოურ სივრცეში, სადაც მილიტარიზმისა და ნაციონალიზმის ძალები ჯერ საკმარისად ვერ კონტროლდება) უსაფრთხოების სამხედრო ასპექტი კვლავინდებურად აქტუალურია.

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების, საერთაშორისო ურთიერთობათა ეკონომიზაციის პირობებში პატარა ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას უაღრესად მოქნილი, შრომის საერთაშორისო დანაწილების სწრაფად ცვალებად მექანიზმში საკუთარი ფუნქციის მონახვისა და დამკვიდრების, შეცვლილ საერთაშორისო ეკონომიკურ ვითარებასთან სწრაფი შეგუების პოლიტიკა ესაჭიროება. როცა თანამედროვე სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შეკვეცაზე საუბრობენ, პირველ ყოვლისა, სწორედ ეკონომიკურ სუვერენიტეტს გულისხმობენ, ამავე დროს, გლობალიზაციის დაჩქარების პირობებში, მცირე ტევადობის ბაზრების მქონე პატარა ქვეყნებს ეკონომიკური სპეციალიზაციისა და განვითარების უკეთესი საშუალებები უჩნდებათ. გლობალიზაციის პირობებში მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების არმქონე პატარა ქვეყნებმა განსაკუთრებული ყურადღება საკუთარი მოსახლეობის ცოდნის, კულტურის, შრომისუნარიანობის გაუმჯობესებას უნდა მიაქციონ. პატარა ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი მისი მოსახლეობაა. ამიტომ მის განათლებაში დაბანდება ეროვნული უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვანი გრძელვადიანი პრიორიტეტია.

პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა ძირითადად ვლინდება მოსაზღვრე ქვეყნებთან და იმ დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობაში, რომელთა გავლენისა თუ ინტერესთა სფეროშიც არის

იგი მოქცეული. პატარა ქვეყანას, ჩვეულებრივ, ჰყავს საკუთარი საგარეო პოლიტიკური ელიტა. სწორედ იგი განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს და წარმართავს ამ პოლიტიკას. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პატარა ქვეყნის მცირერიცხოვანი დიპლომატიური სამსახურის მაღალ ხარისხს, დიპლომატების მომზადების სათანადო დონეს და უნარს, რადგან ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ერთად სწორედ მათზე მოდის პატარა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის „კეთების" მთელი სიმძიმე.

საგარეო პოლიტიკის სფეროში პატარა ქვეყნის ნაცადი იარაღი კავშირების გამოყენებაა. სანამ ძალთა იერარქია ძალთა წონასწორობა საერთაშორისო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორებია, კავშირები მის ძლიერ ინსტრუმენტად დარჩება. პატარა ქვეყანა უფრო ხშირად ე.წ. ასიმეტრიული კავშირების მონაწილეა. ამგვარ კავშირებში მონაწილეობა, სადაც მოკავშირეებს შორის სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით დიდი სხვაობა არსებობს ხოლმე, პატარა ქვეყანას დიდ სარგებელთან ერთად ზოგჯერ მთელ რიგ სერიოზულ პრობლემებსაც უქმნის. სწორედ პატარა ქვეყნისათვის არის დამახასიათებელი პოტენციურ აგრესორთან მიტმასნვა, ანუ კავშირის შეკვრა იმ ქვეყანასთან, რომლისგანაც მას ყველაზე დიდი საფრთხე ემუქრება.

სუსტი სახელმწიფოებრიობის მქონე პატარა ნახევრად ავტორიტარული და ავტორიტარული ქვეყნების მმართველი რეჟიმები ზოგჯერ კავშირს ამყარებენ არა საგარეო პოლიტიკური მოსაზრებების საფუძველზე, არამედ – საკუთარი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე. საზოგადოდ კი, შიდა ერთიანობის უქონლობით, აშლილობითა და სუსტი სახელმწიფოებრიობით გამორჩეული პატარა ქვეყნები გარედან „დაწოლას", შანტაჟს ნაკლებად უძლებენ და იძულებულნი ხდებიან პოზიციები დათმონ ან იმ ძლიერ ქვეყანას მიეტმასნონ, რომლისაც ყველაზე მეტად ეშინიათ.

პატარა ქვეყანამ საგარეო პოლიტიკაში შეიძლება აირჩიოს ნეიტრალიტეტი ან მიუმხრომლობა, მას შესაძლოა გეოგრაფიამ და ბედმა ბუფერის როლიც არგუნოს. ნეიტრალური სტატუსის მიღებას პატარა ქვეყანა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ძლიერი ქვეყნების ჭიდილისაგან თავის დასაღწევად ესწრაფვის ხოლმე. მიუმხრობლობაც ამგვარი მიზნების მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა. ბუფერის ფუნქციას რაც შეეხება, აქ ვი-

თარება უფრო რთულია. ბუფერის როლს არ ირჩევენ. ბუფერის ფუნქცია უფრო ხვედრია, არც მაინც და მაინც სახარბიელო ხვედრი. ბუფერად ქცეული პატარა ქვეყანა უსაფრთხოების თვალსაზრისით კიდევ უფრო დაუცველი ხდება, რადგან მისი უფრო ძლიერი მეზობლისათვის იგი „ძალის ვაკუუმი" და მეტოქეზე გასალაშქრებელი გზაა. უნდა ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობათა ეკონომიზაციასა და ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებასთან ერთად ბუფერი სახელმწიფოები „ხიდის" ფუნქციას შეასრულებენ.

პატარა ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებს მისი სიდიდე განსაზღვრავს. ამგვარი ქვეყნის შიდა ბაზარი არ არის საკმარისად ტევადი, თუნდაც მისი მოსახლეობა მსყიდველობითი უნარით გამოირჩეოდეს. შეუძლებელია, მისი ეკონომიკა საკმარისად დივერსიფიცირებული იყოს. პატარა ქვეყნის ეკონომიკა ექსპორტზე უნდა იყოს ორიენტირებული. მას მასშტაბური წარმოების გაშლა არა მხოლოდ საკუთარი ბაზრის მცირე ტევადობის გამო არ ძალუძს, არამედ იმის გამოც, რომ ძალზე უჭირს კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიების შექმნისათვის აუცილებელი ძლიერი სამეცნიერო-კვლევითი ბაზის შექმნა. პატარა ქვეყნების უმრავლესობა მსოფლიო ეკონომიკაში დაქვემდებარებულ როლს ასრულებს. მათთვის გლობალიზაცია, ეკონომიკური თვალსაზრისით, მომგებიანი უნდა იყოს, რადგან ამგვარი ტენდენცია ამცირებს დიდი, ტევადი ბაზრების უპირატესობებს და პატარა ქვეყნებს გლობალურ ბაზრებზე შეღწევის მეტ საშუალებას უქმნის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად პატარა ქვეყნების ახალი ტიპი-პოსტსაბჭოური სახელმწიფოთა მთელი ჯგუფი დაემატა. ეს სახელმწიფოები – ისტორიულად მეტად თავისებური წარმონაქმნები – უნიკალურნი არიან. ისტორიაში პირველად ხდება ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე მრავალეროვანი ტოტალიტარული იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილ სახელმწიფოთა საბაზრო ეკონომიკის მქონე დემოკრატიულ ქვეყნებად გარდაქმნა. ეს ახლად წარმოქმნილი პატარა ქვეყნები უჩვეულო და ურთულეს პირობებში ცდილობენ ფეხზე წამოდგომას და საერთაშორისო სისტემაში თავიანთი ადგილის პოვნას.

თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ტრადიციებისა და გამოცდილების არმქონე ყველა ყოფილი პატარა საბჭოთა რესპუბლიკა (ბალტიის სამი ქვეყნის გარდა) ჯერაც მყიფე სახელმწიფოებრიობით ხასიათდება. მათი სახელმწიფო ინსტიტუტები ძირფესვიან

ცვლას განიცდიან; ისინი მეტად არაეფექტურნი და კორუფციის სენით შეპყრობილნი არიან. ამ სახელმწიფოთა შიგნით უაღრესად სუსტია სამოქალაქო საზოგადოების ელემენტები, ძლიერია ეთნიკური ნაციონალიზმი; საზოგადოებაში დემოკრატიული ტრადიციების ნაკლებობა შეინიშნება. კვლავაც საკმაოდ ძლიერია საბჭოური მენტალიტეტი და მართვის კულტურა. ეს პატარა ქვეყნები სიცოცხლისუნარიან სახელმწიფოებად გარდაქმნას და ეფექტური ეკონომიკის შექმნას ცდილობენ.

ამ ტიპის ქვეყნებს თვითდამკვიდრება უხდებათ გლობალიზაციის დაჩქარების პირობებში, როდესაც სახელმწიფო გარედან გლობალიზაციის ტრანსნაციონალური ფაქტორების დაწოლას განიცდის, ხოლო შიგნიდან მას თვითგამორკვევის მოსურნე ეთნიკური და რელიგიური ჯგუფები ხრავენ. ახალბედა პატარა პოსტსაბჭოურ ქვეყნებს საკუთარი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად სრულყოფილ ერ-სახელმწიფოებად ჩამოყალიბება ესაჭიროებათ. ცხადია, სახელმწიფოებრიობის მშენებლობა მათთვის ყველაზე აქტუალური პრობლემაა. ამასთანავე, ამ ქვეყნების თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებად გარდაქმნაში უმთავრესი როლი, სტრატეგიის შემუშავებიდან დაწყებული, მისი ცხოვრებაში გატარებით დამთავრებული, სწორედ სახელმწიფო ინსტიტუტებმა და სტრუქტურებმა უნდა შეასრულონ.

პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნებისათვის დამახასიათებელია შიდა სისუსტე, რომელიც ნაწილობრივ მათი საბჭოთა წარსულის, ხოლო უფრო მეტად იმ ახალი პრობლემების შედეგია, რომლებიც ხსენებული ქვეყნების ტრანსფორმირების პროცესმა მოიტანა. მაგალითად, პოსტსაბჭოური ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთმა მთავარმა ფაქტორმა, დემოკრატიზაციამ, ზოგიერთ მათგანში ეთნიკური დაძაბულობა და კონფლიქტები გამოიწვია.

დემოკრატიზაციის პროცესმა სერიოზული პრობლემები შეუქმნა ამ ქვეყნების ეროვნულ უსაფრთხოებას, ეთნოსთა შორის ურთიერთობათა წარმართვის თვალსაზრისით შეასუსტა სახელმწიფოს მონოპოლია. დემოკრატიზაცია აუცილებელი იმპერატივია, მაგრამ პოსტსაბჭოთა სივრცეში მას თან ახლავს ეთნიკური დაძაბულობის ზრდა და დაპირისპირება. შემდგომი დემოკრატიზაცია კი, უნდა ვივარაუდოთ, ეთნიკურ და რელიგიურ პრობლემებს სერიოზულად შეარბილებს. რადგანაც შესაძლებელი გახდება სხვადასხვა ეთნიკური და კონფესიური ჯგუფების ინტერესთა დაბალანსება.

პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუციურ გარდაქმნებს სახელმწიფო ატარებს. სწორედ საკუთარი თავის გარდაქმნის ეფექტურად წარმართვა არის პოსტსაბჭოური სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა. ლიბერალიზაციას, პრივატიზაციასა და ეკონომიკის სტაბილიზაციას მტკიცე და გონივრული სახელმწიფო პოლიტიკა ესაჭიროება. ამგვარი პოლიტიკა ქვეყნის ადამიანური კაპიტალის ეფექტურ გამოყენებასაც გულისხმობს.

პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნების სახელმწიფოებრიობისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის უდიდესი მტერი მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის ძირითად ელემენტად ქცეული ეთნიკური ნაციონალიზმია. ამ გარემოებამ მეტად თავისებური დაღი დაასვა პატარა ქვეყნების საშინაო პოლიტიკურ ვითარებას და საგარეო პოლიტიკას, სპეციფიკური შეფერილობა შესძინა ახალგაზრდა პოლიტიკურ წარმონაქმნთა ცხოვრების ყველა სფეროს და დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის განმტკიცებასთან ერთად ახლად აღმოცენებული სახელმწიფოების ყველაზე უფრო ძლიერ დამანგრეველ ფაქტორად იქცა. ნაციონალიზმი პოსტსაბჭოურ სივრცეში არა მხოლოდ მძლავრ გამაერთიანებელ, სოლიდარობისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის აუცილებელ მამობილიზებულ ძალად იქცა, არამედ დამანგრეველ და გამთიშველ, სეპარატიზმისა და ეთნიკური კონფლიქტების წარმომქმნელ ფაქტორადაც მოგვევლინა. თანამედროვე ერი-სახელმწიფოს შექმნის ხელშემწყობი კონსტრუქციული სახელმწიფო ნაციონალიზმი ბევრ პოსტსაბჭოთა პატარა სახელმწიფოს მდგრად პოლიტიკურ ერთეულად გადაქცევის გზაზე აშკარად აკლია. სამოქალაქო ნაციონალიზმი კი მხოლოდ ერი-სახელმწიფოს, ტერიტორიული სახელმწიფოების კონტექსტში არსებობს.

ახლად წარმოშობილ პოსტსაბჭოურ პატარა სახელმწიფოთათვის დამახასიათებელი შიდა სისუსტის მთავარი მიზეზები ეთნიკურ ნაციონალიზმთან ერთად მართვაში გაბატონებული პატრონაჟის სისტემა, კლანური კავშირების დომინირება და კლიენტელიზმია. სახელმწიფოებრიობის განვითარებასა და სამოქალაქო საზოგადოების შექმნას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნიან უნიათო მართვა, კორუფცია, ოჯახსამოფარებული უზნეობა, კუთხურობა, მოსახლეობაში ავტორიტარიზმის მიმართ შემწყნარებლობა, „კარგი მეფის" მოთხოვნილება. ზემოთ ჩამოთვლილ ყველა მოვლენის გარდა, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას

ხშირად აბრკოლებს ამგვარი სახელმწიფოს მშენებლობისათვის საჭირო სათანადო პოლიტიკური ნების, მართვაში გამჭვირვალობისა და ანგარიშგების პრინციპების, დამოუკიდებელი სასამართლოს უქონლობა.

პოსტსაბჭოურ პატარა ქვეყნებში სოციალისტური ეკონომიკიდან საბაზროზე გადასვლა ძირეული, სისტემური ცვლილებების გატარებას გულისხმობს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უნივერსალური, სტანდარტული გზა და მოდელი არ არსებობს. პოსტსაბჭოთა ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ბევრი მსგავსების მიუხედავად, თითოეულის საზოგადოება მეორისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება და, ამდენად, გარდაქმნის პროცესი და რეფორმები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნიკალურ მიდგომასა და გარდაქმნათა სტრატეგიას საჭიროებს.

პოსტსაბჭოთა პატარა ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების თავისებურებებსა და პრობლემებს, პირველ ყოვლისა განსაზღვრავს პოსტსაბჭოთა სივრცის სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც უზარმაზარი ტოტალიტარული მრავალეროვანი იმპერიის დაშლიდან, ყოფილ „ბატონსა" და მის სუსტ მეზობლებს შორის წარმოქმნილი უსაფრთხოების ასიმეტრიულობიდან, ახალბედა ქვეყნების სახელმწიფოებრიობის უკიდურესი სიმყიფიდან, ამ ქვეყნების საზოგადოებებში ეთნიკური ნაციონალიზმის ბატონობიდან გამომდინარეობს.

კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნის უნაყოფო მცდელობის შედეგად პოსტსაბჭოთა სივრცეში ე.წ. უსაფრთხოების რეგიონული კომპლექსების ჩამოყალიბება დაიწყო. უკვე გამოიკვეთა სამი ამგვარი კომპლექსი: დასავლეთის (აღმოსავლეთ ევროპის), კავკასიისა და ცენტრალური აზიის.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა პატარა სახელმწიფოების ეროვნული უსაფრთხოებისათვის დამახასიათებელია შიდა საფრთხეების სიჭარბე, რასაც პირველ ყოვლისა განაპირობებს მათი სახელმწიფოებრიობის სისუსტე და ხშირად ამ ქვეყნების მრავალეროვნულობა და მრავალკონფესიურობა. რუსეთის უშუალო მეზობლობაში მყოფი პატარა ქვეყნების ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებს კიდევ უფრო ამძიმებს რუსული იმპერიული ამბიციები და ძალისმიერი პოლიტიკა. 2008 წლის აგვისტოს რუსული აგრესია საქართველოში ამგვარი პოლიტიკის სამწუხარო შედეგია.

საქართველო პოსტსაბჭოური პატარა ქვეყნების თავისებურე-

ბებისა და პრობლემების ერთგვარ კვინტესენციას წარმოადგენს. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან მას ალბათ დამოუკიდებლობის მოპოვების ყველაზე დრამატული გამოცდილება დაუგროვდა. მიუხედავად იმისა, რომ პატარა ქვეყნისათვის დამახასიათებელი ბევრი სისუსტე საქართველოს დამოუკიდებლობის პირველივე დღეებიდან აშკარად დაეტყო, ამას დაემატა ისეთი უარყოფითი ფაქტორები, როგორიც ბევრად უფრო ძლიერი მეზობლის მხრიდან მის საშინაო საქმეებში ძალისმიერი ჩარევა და ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის სტრატეგიული გამოუცდელობა. პატარა საქართველო თითქოს მოვლენათა სვლას უნდა მიყოლოდა და მოკლევადიან შედეგებზე გათვლილი საგარეო პოლიტიკა უნდა აერჩია, მაგრამ მისმა ხელმძღვანელობამ ურთულეს პირობებში სცადა საერთაშორისო გარემოში ქვეყნის სამომავლო ადგილისა და ფუნქციის განმსაზღვრელ ხედვაზე დაფუძნებული გრძელვადიანი სტრატეგიის დამუშავება და მისი განხორციელება. საქართველომ გზა აირჩია:მიზნად დაისახა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა, ხოლო არჩეული მიმართულებით შემდგომი სვლის ტემპები, საერთაშორისო ფაქტორებთან, თავად საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის შედეგიანობაზე იქნება დამოკიდებული.

SMALL STATES IN THE INTERNATIONAL SYSTEM

Contents

Preface

Chapter 1. The small state:
- What is a small state?
- Typology of small states

1.1 The study of small states

1.2 The role of the small state in main concepts of international relations
- Realism
- Pluralism
- Globalism

Chapter 2. The small state in the international political system

1.1 Aspects of national security
- National security and the small state
- Political security
- Military security
- Economic security
- Societal security
- Environmental security
- Some contemporary problems of national security

2.2 Capabilities of the small state
- Foreign policy characteristics
- Democratic control over foreign policy
- Diplomacy of a small state

2.3 The tool of a small state's diplomacy-alliances
- Asymmetric alliances
- Military alliances

2. 4 Foreign policy roles: buffer, neutrality, nonalignment
- Buffer state
- Neutrality
- Nonalignment

2.5 The small state in the international economic system
- Some aspects of the small state's economy

Chapter 3. New type of a small state: post-Soviet state

1.1 The process of democratization
- Democratization and security
- Democratization and ethnic nationalism

3.2 Institutional reforms and the role of the state
- Planned institutional reforms
- Necessity for a state policy
- Four main problems
- The role of institutions

3.3 Nationalism factor

Chapter 4. Internal weaknesses of newly independent states

4.1 Bad governance
4.2 Corruption
4.3 Parochialism
4.4 Amoral familism
4.5 Reliance on a strong leader
4.6 Economic problems of small post-Soviet states

Chapter 5. Security problems of post-Soviet states

- Ambiguity of security
- Weak countries/weak states
- Amity/enmity
- Political culture – a source of threat
- Disintegration/reintegration
- Security complex or collective security structure?

5.1 Foreign policy of small post-Soviet states – the case of Georgia
- The formation of Georgia's foreign policy
- Georgia, Russia and the West
- The choice of Georgia

Conclusion